

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

## შრომები

XV

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities

Institute of Georgian History

## Proceedings

XV

თბილისი  
Tbilisi  
2019

**რედაქტორები:**

თედო დუნდუა  
ალექსანდრე ბოშიშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

გიული ალასანია  
თეიმურაზ პაპასექირი  
აპოლონ თაბუაშვილი  
ქეთევან გოჩიტაშვილი  
ლერი თავაძე  
შალვა გლოველი  
აკაკი ჩიქობავა  
ემილ ავდალიანი  
ეკა კვირკველია  
ჰიროტაკე მაედა (იაპონია)  
ფარარ ჯაბაროვი (აზერბაიჯანი)  
მიხაილ ჩორეუფი (რუსეთი)  
ალირეზა სოლეიმანზადე (ირანი)  
გუნტის ზემიტისი (ლატვია)  
რიმვიდას პეტრაუსკასი (ლიეტუვა)  
ანჯეი პუजტო (ლიეტუვა)  
ალექსანდრე ბურშე (პოლონეთი)  
იულიან მოგა (რუმინეთი)  
მირჩა პადურარუ (რუმინეთი)  
იაროსლავ პილიპჩუკი (უკრაინა)  
პოლ კრეგო (აშშ)  
გოჩა ცეცხლაძე (დიდი ბრიტანეთი)

**Editors:**

Tedo Dundua  
Alexander Boshishvili

**Editorial Board:**

Giuli Alasania  
Teimuraz Papaskiri  
Apolon Tabuashvili  
Ketevan Gochitashvili  
Leri Tavadze  
Shalva Gloveli  
Akaki Chikobava  
Emil Avdaliani  
Eka Kvirvelia  
Hirotake Maeda (Japan)  
Farhad Jabbarov (Azerbaijan)  
Mikhail Choref (Russia)  
Alireza Soleymanzadeh (Iran)  
Guntis Zemītis (Latvia)  
Rimvydas Petrauskas (Lithuania)  
Andžej Pukšto (Lithuania)  
Aleksander Bursche (Poland)  
Iulian Moga (Romania)  
Mircea Păduraru (Romania)  
Yaroslav Pylypcchuk (Ukraine)  
Paul Crego (USA)  
Gocha Tsetskhladze (UK)

<http://geohistory.humanities.tsu.ge>

e-mail – geohistory@tsu.ge

შემდგენლები: თ. დუნდუა, ა. ბოშიშვილი  
ავტორთა სტილი დაცულია

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019

ISSN 1987-9970

**შინაარსი  
CONTENTS**

**თუდო დუნდუა**

„ტრანსკავკასიური“ გზის შესახებ .....	9
--------------------------------------	---

**Tedo Dundua**

“Transcaucasian” Trade Route from India to Colchis (Summary) .....	19
--	----

**ემილ ავდალიანი**

ვაჭრობა და სასანური ირანის ინტერესები ლაზიკაში (VI ს.) .....	21
--	----

**Emil Avdaliani**

Trade And Sasanian Interests in Lazica (6 <sup>th</sup> c.) (Summary) .....	55
---	----

**როლანდ თოფჩიშვილი**

ქართლი – საქართველოს ცენტრი, ქართველი ერის შემქრები და გამაერთიანებელი .....	56
---	----

**Roland Topchishvili**

Kartli – the Center of Georgia and Georgians (Summary) .....	72
--	----

**ნესტან სულავა**

თარგუმების მნიშვნელობა „წმ. ევსტათი მცხოვლის წამების“ მიხედვით ....	74
---	----

**Nestan Sulava**

The Importance of Interpretations According to the “Martyrdom of St. Evstati Mtskhетeli” (Summary) .....	90
--	----

**ლერი თავაძე**

მიპრანიანთა დინასტიის განშტოება – ვარაზმანიანთა სახლი და საქართველო .....	91
--	----

**Leri Tavadze**

Cadet Branch of Mihranid Dynasty – House of Varazman and Georgia (Summary) .....	125
---	-----

<b>მამუკა წურტუმია</b>	
ომის იდეოლოგია ბიზანტიაში .....	128
<b>Mamuka Tsurtsimia</b>	
War Ideology in Byzantium (Summary) .....	164
<b>თოანე ჯაზარიანი</b>	
გაბრიელ შეჰანელის უახლოესი შთამომავლების კონტაქტები იერუსალიმის სამეფოსთან და ჰოსპიტალიერების ორდენის წევრებთან XII საუკუნეში .....	172
<b>Ioane Kazaryan</b>	
On the Contact of Gabriel of Shehan's Closest Descendants with the Kingdom of Jerusalem and with the Knights of Hospitallers in the 12 <sup>th</sup> Century (Summary) .....	188
<b>ნიკო ჯავახიშვილი</b>	
1210 წელს სპარსეთზე გალაშქრებაში მთიულთა მონაწილეობის ასახვა ქართულ ფოლკლორში .....	190
<b>Niko Javakhishvili</b>	
The Reflection in the Georgian Folklore of Highlanders' Participation in Georgian Army's Invasion in Persia in 1210 (Summary) .....	198
<b>ხათუნა ბაინდურაშვილი</b>	
სუნიტური მაზჰაბები XIII-XIV საუკუნეების თბილისში .....	199
<b>Khatuna Baindurashvili</b>	
The Sunni Mahd'habs in the 13 <sup>th</sup> -14 <sup>th</sup> Centuries Tbilisi (Summary) .....	222
<b>Михаил Чореф</b>	
К вопросу о характере обращения грузинской серебряной монеты в Крыму при первых Гираях .....	224
<b>Mikhail Choref</b>	
Georgian Silver Coins in Crimea Under the First Girays (Summary) .....	231

<b>გიორგი სოსიაშვილი</b>	
ფავლენიშვილთა წარმომავლობის საკითხისათვის .....	232
<b>Giorgi Sosiashvili</b>	
For the Question of the Pavlenishvilis' Origin (Summary) .....	249
<b>David Alexanyan, Evgeni Chanishvili</b>	
The Silver Coins of Tahmasb I and Muhammad Khudabandah From Zagemi Mint .....	250
<b>Зинаида Евгеньевна Оборнева</b>	
Греческие переводчики в сношениях России с Грузией: 1613-1645 гг. ....	258
<b>Zinaida E. Oborneva</b>	
The Greek Translators in Relations Between Russia and Georgia (1613-1645) (Summary) .....	271
<b>დავით ნასკიძაშვილი</b>	
ახალი მასალები ფოთის/ფასისის კოშკიდან .....	272
<b>David Naskidashvili</b>	
New Materials from Poti/Phasis Tower (Summary) .....	281
<b>Alireza Soleymanzadeh</b>	
Documents from the Reign of Nader Shah Regarding the Prelacy of Georgia ....	282
<b>აპოლონ თაბუაშვილი, თორნიკე მარუაშვილი</b>	
რუსეთის არმიის დეზერტირები XVIII საუკუნის საქართველოში .....	292
<b>Apolon Tabuashvili, Tornike Maruashvili</b>	
Deserters of the Russian Army in the 18 <sup>th</sup> Century Georgia (Summary) .....	302
<b>Leila Papoli-Yazdi, Mahboobeh Hosseini-Beheshti, Designs by Elaheh Shams</b>	
Some Remarks on the Unsolved Murder Case of Atabak Amin al-Sultan, the Iranian-Georgian Chief Minister of Three Qajar Kings .....	304

<b>ქლებები გოგიაშვილი</b>	
ისტორიული პირი თუ ლიტერატურული ფიგურა? ხალხური გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელზე .....	315
<b>Elene Gogiashvili</b>	
Historical Figure or Literary Character? Folk Narratives on Alexander the Great (Summary) .....	325
<b>ოსები ალიმბარაშვილი</b>	
ოსების დაბრუნება საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელი-სუფლების პერიოდში – მიზეზები და მიზნები .....	327
<b>Ioseb Alimbarashvili</b>	
Return of Ossetians from Georgia to the North Caucasus During Soviet Power – Reasons and Goals (Summary) .....	343
<b>დიმიტრი შველიძე</b>	
პეტრე კროპოტკინის წერილები გიორგი გოგელიასადმი (1904-1913) .....	345
<b>Dimitri Shvelidze</b>	
Peter Kropotkin's Letters to Giorgi Gogelia (Summary) .....	360
<b>ანა ჭეიშვილი</b>	
საფრანგეთში დაცული უცნობი ფოტოკოლექციის შესახებ, ჰუგო კრაფტის მოგზაურობა საქართველოში .....	361
<b>Ana Cheishvili</b>	
About an Unpublished Photographic Collection Kept in France, Hugues Krafft's Trip to Georgia (Summary) .....	376
<b>მიხეილ ბახტაძე</b>	
გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი .....	378
<b>Mikheil Bakhtadze</b>	
General Alexander Andronikashvili .....	408

**Tengiz Simashvili**

Archival Materials and Ioseb (Joseph) Jughashvili's (Stalin) Biography ..... 410

**პოლემიკა  
Discussion**

**Tedo Dundua, Emil Avdaliani,**

Abkhazians and Ossetians in Georgia.

Short History (*handout for the politicians*) ..... 432

**საერთაშორისო პრეზენტაცია  
International Conferences**

**Natia Phipia**

Perception of Medea According to Greco-Roman Visual Sources (Vases and Sarcophagus) .....

437



თუდო დუბდუა  
პროფესორი, თსუ

## „ტრანსკავკასიური“ გზის შესახებ

„ტრანსკავკასიური“ გზის ფუნქციონირების რეკონსტრუქცია, მისი ეპ-ონომიკური დატვირთვის ხარისხის ცვალებადობის დადგენა, მაგისტრალთა დაკავშირებული პოლიტიკური პერიპეტიიების ანალიზი რთული პრობლემაა წერილობითი წყაროების მწირი და, ერთი შეხედვით, ორაზროვანი ჩვენებების გამო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ორი, რადიკალურად საპირისპირო პოზიცია ამის პირდაპირი შედეგია. სკეციალისტთა ნაწილი სა-ერთოდ უარყოფდა ასეთი მარშრუტის არსებობის შესაძლებლობას. მათი მტკიცების მცდარი სუბსტრატი კარგად არის იღუსტრირებული რიგ გამოკ-ვლევებში.<sup>1</sup> ტრანზიტის არსებობის დამადასტურებელი არგუმენტაცია კი ასე-თი სახით გვესახება:

I. სტრაბონი შესაბამის ადგილს (Strabo. XI. 7. 3)<sup>2</sup> praes-ში გადმოგვ-ცემს („...არისტობულე ოქსის მიიჩნევს უდიდეს მდინარედ, მის მიერ ნახულთა შორის, რომლებიც კი აზიაში მიედინება, ინდოეთის მდინარეების გამოკლე-ბით. პატროკლეს თანახმად, არისტობულეც და ერატოსთენეც ამბობენ, რომ ამ მდინარით ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანის ზღვაში, ხოლო

<sup>1</sup> G. K. Gozališvili. O drevnem torgovom puti v Zakavkaz'e. istoriiis institutis šromebi. II. Tbilisi. 1956, pp. 152-160 (Г. К. Гозалишвили. О древнем торговом пути в Закавказье. Истории института истории и археологии СССР по Кавказу. II. тд. 1956, გვ. 152-160); Z. I. Ampol'skij. K izucheniu drevnego puti iz Kaspijskogo morja po reke Kure cherez Gruziu. istoriiis institutis šromebi. II. Tbilisi. 1956, pp. 161-180 (З. И. Ямпольский. К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Кура через Грузию. Истории и археологии СССР по Кавказу. II. тд. 1956, გვ. 161-180); O. Lort'kip'anije. antikur khanaši indoet'idan šavi zgvisken mimavalni satrantsito-savačro gvisi šesakheb. sak'art'-velos metsnierebat'a akademisi moambe (smam). t. XIX. №3. 1957. Tbilisi, pp. 377-383 (ო. ლორთქიფანიძე. ანტიკურ ხანაში indoet'idan შავი ზევისტური მიმავალი სატრანზიტო-საგაჭრო გზის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე) (სხვა). ტ. XIX. №3. тд. 1957. გვ. 377-383).

<sup>2</sup> Antikuri Kavkasia. Entsiklopedia. t. I. Tbilisi. 2010, p. 235 (ანტიკური კავკასია. ენციკლოპე-დია. ტ. I. тд. 2010, გვ. 235).

აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ კიროსითა და მის მომდევნო აღგილებით ევქსინის ზღვაში ჩააქვთ“.), რაც საკუთრივ აღნიშნული კუთხით და-სახელმწიფო ავტორის წყაროს – პატროკლეს (via არისტობულე და ერატოსთენ) საინტერესო ნაწილების იმავე ღროში ყოფნის ვარაუდის საფუძველს ქმნის. თუმცა საჭიროდ ვთვლით ამ მომენტის განმარტებას. უკანასკნელად მოხსენიებული მწერლის *prae*. გაგებულია როგორც ინდიკატორი შესაბამისი ექსპედიციის დასაწყისისათვის გზის უკვე ფუნქციონირებისა (პატროკლეს, სელევკიდთა სტრატეგოს, კასპიის ზღვის შესწავლა ჰქონდა დაგალებული), ე.ი. აღნიშნული ღონისძიების მიზნად უკვე აპრობირებული და ექსპლოატაციაში მყოფი მარშრუტის შესწავლა ისახება?! დავუშვათ აღნიშნული მხარეებში თავდაპირველად არასელევგიდური პრიმატის შესაძლებლობა, ჩვენ ზემოთ ყოველივეს ასეც ვვარაუდობთ – ჰირკანის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მიწები სირიის იმპერიის ნაწილია, რომლის მეტროპოლისიც, ჰირობითად, აქტიურად არის ჩაბმული ვაჭრობაში. თუკი მარშრუტის „კავკასიური“ მონაკვეთი და ჰირკანის ზღვაც ლისიმაქეს მიერ უკვე ათვისებული იყო, მისი ჰეგემონის აქ დამხობას სრულებითაც არ უნდა მოჰყოლოდა სხვა შემეცნებითი ექსპედიცია კასპიის მიდამოებში. ბერძნული წარმოების კაპიტალისტური წესი მსგავსი ცნობიერების სხვადასხვა, ჯერ კიდევ სრული ჩამოყალიბების სტადიიდან დაშორებული, ეკონომიკურ-გეოგრაფიული ორგანიზაციების ერთმანეთთან ინტენსიურ მიმართებებს გულისხმობდა. სახმარი ღირებულების კონკრეტულ დასავლურ ბაზარზე გარკვეულწილად წინასწარგანსაზღვრულობის, და აგრეთვე, საქონლის წყაროსკენ სოციალურ სწრაფვაზე ვეტოს პირობებში, „კავკასიურ“ მაგისტრალზე ლისიმაქეს მიერ ორგანიზებული ვაჭრობის ვარაუდი არ უნდა იყოს გამართლებული. ე.ი. სელევკის სრულ უპირატესობამდე ამ მხარეებში ან „ტრანსკავკასიური“ კომერცია საერთოდ არ იყო ორგანიზებული, ან მოლიანად პონტომდე სირიელი ბერძნების ხელში იყო მოქცეული. ამის დაშვებაც ძნელია. პატროკლეს შესწავლის ობიექტი – ჰირკანია – და დაშვება, რომ მან აქ მიიღო სრული ინფორმაცია მთელ შესაძლებელ გზაზე, ზოგიერთი სპეციალისტის მიერ გაიაზრება, როგორც კიდევ ერთი არგუმენტი სელევკის სტრატეგოსის მიერ დავალების მიღების მომენტისთვის მაგისტრალის მოქმედების სასარგებლოდ. ჯერ ერთი, თუკი გზა ფუნქციონირებდა, პატროკლეს, ისევე როგორც მთელ ბერძნულ ეკონომიკურ სამყაროს, სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდა ამის შესახებ, არავითარი მოგზაურობა საჭირო არ გახდებოდა; მეტად სიმპტომატიურია, რომ

სწორედ პირკანიის ზღვა გახდა მისი დაზვერვის ობიექტი. მთელი საინტერესო მარშრუტის ეტაპებიდან ის ერთადერთი იყო, რომელიც ბერძნულ უშუალო ემპირიზმს არ ექვემდებარებოდა. აქ კი არ მიიღო ინფორმაცია გზის დანარჩენ მონაკვეთებზე, არამედ ისინი უკვე ცნობილი იყო, ისევე როგორც კარგად იყო გაცნობიერებული კასპიის ზღვის დამაკავშირებელი ეკონომიკური ფუნქციები. სტრაბონთან პატროკლეს ინფორმაციის *praes-ში* მოტანა, ჩვენი აზრით, ნიშნავს შემდეგს: 1. პატროკლეს თხზულების „პუბლიკაციის“ დროისათვის გზა მოქმედებს, ავტორიც შესაბამის დროს იცავს; 2. ან კი ის ზოგადად შესაძლებლობაზე საუბრობს. იგივე მოდელი არისტობულე-ერატოსთენესაც უდგება, ხოლო სტრაბონის პოზიცია განპირობებული უნდა იყოს ერთადერთი მიზეზით – მის დროს მაგისტრალი „ტრანსკავკასიურ“ ფუნქციას ასრულებს, საკითხი აქტუალურია  $19/20$  წლებში მანც. რეალურია კი პრობლემის ასეთი გადაწყვეტა?! თუნდაც სტრაბონისეული კოლხეთის აღწერილობა არ არის თანადროული, სხვა ქრონოლოგიური ეტაპის ასახვაა – ის ძირითადად თეოფანედან მომდინარეობს. რა გარანტია არსებობს, რომ გზა „გეოგრაფიის“ გასრულების მომენტისთვის მოქმედებს?! რომაული და ბერძნული სამყარო ერთ ეკონომიკურ კომპლექსად არასდროს ქცეულა, ხოლო იტალიის ეკონომიკური კავშირები ჩვენთვის საინტერესო მხარეებთან უფრო რეექსპორტის შთაბეჭდილებას ტოვებს. სტრაბონმა „გეოგრაფია“, ალბათ, რომში გაასრულა.<sup>3</sup> იტალიკთა დაინტერესება ტრანზიტული ვაჭრობით და არა კოლხური ნედლეულით განაპირობებდა მეტად მწირ ინფორმაციას ქვეყნის ეკონომიკაზე ზოგადად, რომლის შევსებაც ადრეულ ავტორთა დამეტრულად არასაწინააღმდეგო სურათით ხდებოდა. სხვა სიტყვებით,  $19/20$  წლებში „ტრანსკავკასიური“ მოქმედებს, და კოლხური ქალაქების ფიასკოს ჯერ არ ჰქონია ადგილი.

რაც შეეხება პლინიუსის (*Plin. Nat. Hist. VI. 52*)<sup>4</sup> („ვარონი დასძენს აგრეთვე, რომ პომპეუსის ლაშქრობით გარკვეული იქნა, რომ შვიდი დღის განმავლობაში შესაძლებელია მიაღწიო ინდოეთიდან ბაქტრებამდე, მდინარე ბაქტრიამდე, რომელიც ერთვის ოქსოსს, ამ მდინარიდან კი შესაძლებელია ინდური საქონელი კასპიის ზღვის მეშვეობით მდინარე კირუსში შეიტანო, ამ-

<sup>3</sup> T. Qaukhchišvili. *Strabonis geographia. Tbilisi. 1957, p. 3* (თ. ჭავხიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. თბ. 1957, გვ. 3).

<sup>4</sup> V. V. Latyšev. *Izvestiâ drevnih pisatelej o Skifii i Kavkaze. VDI. 1949. №2, p. 875* (В. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. ВДИ. 1949. №2, გვ. 875); *Antikuri Kavkasia. Entsiklopedia. t. I, p. 506* (ანტიკური კავკასია. ენციკლოპედია. ტ. I, გვ. 506).

ასთანავე არაუმეტეს ხუთი დღისა სახმელეთო გზით მიიტანო პონტოში ფასისამდე“.) ინტერპრეტაციას – 1. პომპეუს ტრანზიტის მოქმედების შემთხვევაშიც უნდა შეესწავლა მარშრუტი და ის რომაული ემპირიზმისთვის დაეჭვებარებინა. გზის მოქმედების შესაძლებლობას ჩვენ ვერ დავუშვებთ სხვა მონაცემებზე დაყრდნობით, რაც კარგად არის კომენტირებული სპეციალურ ლიტერატურაში; 2. აქედან მეტად მნელია ვიგარაულოთ, თუ რა გრამატიკული კონიუნქტურა იყო დაცული ვარონის თხზულებაში, შესაბამისი ობიექტური რეალობისა; 3. ერთი ფაქტია – ფლავიუსების ხანაში „ტრანსკავკასიური“ ტრანზიტი მოშლილია.

II. მეტად საინტერესო ინფორმაცია ბაქტრიული ვაჭრების ფაზისში ყოფნის შესახებ ამ ტიპის არგუმენტთავანია. „ტრანსკავკასიური“ კომერციის არსებობის გარეშე მათი კოლხეთში მოხვედრა შეუძლებელი იქნებოდა.<sup>5</sup>

III. ბაქტრიული მონეტები<sup>6</sup> და ევტიდემეს სოდგური მინაბაძი<sup>7</sup> აღმოსავლეთ საქართველოდან განსახილველი კუთხით მეტად საინტერესო მომენტია, თუმცა შესაძლოა ეს ჯგუფი პართია-ალბანეთის გზით შემოდის. სომხეთის სამონეტო ბაზრისთვის აღნიშნული სამონეტო კატეგორია უცხოა, მაშინ როდესაც თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბაქტრიული ნუმიზმატიკის ნიმუში მიკვლეულია.<sup>8</sup> ლოგიკურია, როგორც იბრული, ასევე ალბანური აღმოჩენა უვტიდემეს ემისიად მივიჩნიოთ.<sup>9</sup> ასევე საჭიროა აღინიშნოს, რომ

<sup>5</sup> M. P. Inadze. Pričernomorskie goroda drevnej Kolhidy. T'bilisi. 1968, pp. 70-76 (М. П. Инадзе. Причерноморские города древней Колхида. Тб. 1968, გვ. 70-76); T. Qaukhchišvili. Sakartvelos istoriis dzveli berdznuli ts'qaroebi. T'bilisi. 1976, pp. 103-105 (თ. გაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ. 1976, გვ. 103-105).

<sup>6</sup> E. A. Pahomov. Monetnye klady Azerbajdjana i drugih respublik, kraev i oblastej Kavkaza. Vyp. II. Baku, №319 (Е. А. Пахомов. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. вып. II. Баку, №319); A. N. Zograf. Rasprostranenie nahodok antičnyh monet na Kavkaze, TONGÈ. t. I. Leningrad. 1945, p. 64, №79 (А. Н. Зограф. Распространение находок античных монет на Кавказе, ТОНГЭ. т. I. Ленинград. 1945, გვ. 64, №79).

<sup>7</sup> L. N. Kazamanova. Podražaniâ tetradrakhmam Evtidema v sobranii GIM. VDI. 1961. №3. Moskva, p. 120 (Л. Н. Казаманова. Подражания тетрадрахмам Евтидема в собрании ГИМ. ВДИ. 1961. №3. Москва, გვ. 120).

<sup>8</sup> I. A. Babaev. Denežnoe obrašenie Kavkazskoj Albanii v ellinističeskuy epohu. II Vsesoūznyj simpozium po problemam ellinističeskoj kul'tury na Vostoke. Tezisy dokladov. Erevan. 1984, p. 8 (И. А. Бабаев. Денежное обращение Кавказской Албании в эллинистическую эпоху. II Всесоюзный симпозиум по проблемам эллинистической культуры на Востоке. Тезисы докладов. Ереван. 1984, გვ. 8).

<sup>9</sup> V. I. Masson. Denežnoe hozjajstvo drevnej Srednej Azii po numizmatičeskim dannym. VDI. 1955. №2, p. 39 (В. И. Массон. Денежное хозяйство древней Средней Азии по нумизматическим данным. ВДИ. 1955. №2, გვ. 39); L. N. Kazamanova. Vvedenie v antičnuj numizmatiku. Moskva. 1969, p. 95 (Л. Н. Казаманова. Введение в античную нумизматику. Москва. 1969, გვ. 95).

დაბალი სინჯის სოგდური მინაბაძების<sup>10</sup> მონაწილეობა პართულ-იბერულ ვაჭრობაში, პართული დრაქმების პარალელურად, ალბათ, გამორიცხულია.

IV. კოლხური ოთორის ხვედრითი წონა უცხოურ ბაზრებზე და თვით ბაზრების რაოდენობა შეზღუდულია. ასეთ პირობებში მისი აღმოჩენის ფაქტი ფერგანის ველზე<sup>11</sup> მეტად სიმპტომატურია. ამავე დროს კოლხური ფულის ლოკალიზაცია უნიკალური განძის სახით თითქოსდა გამორიცხავს ამ კატეგორიის ნუმიზამატიკური ძეგლების მეტად თუ ნაკლებად ინტენსიურ მიმოქცევას შესაბამის რეგიონში. ე.ი. „ტრანსკავკასიური“ სატრანზიტო გზის მოქმედების ზოგადი ქრონოლოგიური შტრიხები ასეთი სახით გვესახება: I ეტაპი – ძვ. წ. III საუკუნე-II საუკუნის I ნახევარი (?), ერთი ცხადია, ძვ. წ. 65 წელს ის არ ფუნქციონირებს; II ეტაპი – რეანიმაცია – ტიბერიუსის პრინციპის დასაწყისი. ამის იქნით ნებისმიერი მოსაზრება ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით აპრიორულია. რამ განაპირობა ასეთი განრიგი?

ვიდრე ამ კითხვას პასუხს გაცემდეთ, აღნიშნავთ, რომ გზის გამოყენების სიხშირის (სატრანზიტო ტრანსპორტის ინტენსივობის) დადგენის ლოგიკური მეთოდი კოლხეთის და იბერიის სამონეტო ბაზრების ერთმანეთთან შედარების სახით წარმოგვიდგება. დასავლეთ საქართველოს ბაზრის არაავტონეტიკური ტიპოლოგიური დიფერენციალის ხვედრითი წონის ზრდა საპირო-პირო რეგიონში, რაც არ არის აღეკვატური და უსწრებს „მატერიალური“ კულტურის სფეროში მომხდარ შესაბამის ცვლილებებს, ერთი და იმავე ჯგუფის ნუმიზამატიკური ძეგლების დალექვის წმინდა „სატრანზიტო“ გზებზე მიუთითებს. ამ კუთხით კვლევას თვით გზის მოქმედების გრაფიკის დაზუსტებაც შეუძლია, ერთი პირობით: ეს კატეგორია ინტერლოკალური არ უნდა იყოს. მაგრამ ტრანზიტის მომწყობი სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობა თავისთვალ გულისხმობს მისი ვალუტის მაღალ სახმარ დირექტულებას, ფულის საქონლად ქცევას, ფართო მიმოქცევას სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონში. ფაქტობრივად, ამ ნიუანსს აღნიშნული მეთოდი არ-არაობამდე დაყავს. პრაქტიკული რეალიზაცია ქვემოთ იქნება ილუსტრირებული.

<sup>10</sup> L. N. Kazamanova. Podražaniâ tetradrahmam Evtidema v sobranii GIM., pp. 120-127 (Л. Н. Казаманова. Подражания тетрадрахмам Евтидема в собрании ГИМ., гл. 120-127). ფასანაურის ვეზემბლარი (№26) II ჯგუფის ბოლო ქვეჯგუფში შედის. მისი შეფარდებითი თარიღი ძვ. წ. II საუკუნის მიწურულზე მოდის, ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს მოდად ასე არ უნდა იყოს; L. N. Kazamanova. Vvedenie v antičnuy numizmatiku, p. 95 (Л. Н. Казаманова. Введение в античную нумизматику, гл. 95).

<sup>11</sup> G. F. Dundua. Numizmatika antičnoj Gruzii. Tbilisi. 1987, p. 167, n. 9 (Г. Ф. Дундуა. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987, гл. 167, №9).

ლი, თუმცა გარკვეული ხელსაყრელი წყაროთმცოდნეობითი კონიუნქტურის, შედარებითი შეზღუდული არეალის შესაბამისი ვალუტის პირობებში, ვოქვათ, ლისიმაქეს სტრატერები, კილვ დასაშვებია მისი გამოყენება.

დასავლური სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმების სწრაფი ეკონომიკური ევოლუცია, რომლის დაჩიხვის საფრთხეც აღექსანდრეს კამპანიამ და ფართო ბერძნულმა კოლონიზაციამ მოსპო, აღნიშნული ბაზრების მსყიდველობითუნარიანობის ზრდა ინდოეთთან პასიური ბალანსის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სწრაფი განვითარების საფუძველს ქმნიდა. „ტრანსკავკასიური“ ტრანზიტის გენეზის, ჩვენს ხელო არსებული მასალების მიხედვით, ძვ. წ. III საუკუნეზე მოდის. ამ გზის განსაკუთრებული თვისება მის სიიაფეში ძველმარეობდა, ხოლო აღნიშნულ მაგისტრალზე განსაკუთრებული უფლების მქონე სოციალური ორგანიზმი 1) ინდოეთთან დასავლეთის ვაჭრობაზე თითქმის მონოპოლიური რეგალის ფლობის, 2) საკუთრივ ინდოეთის სახელმწიფოების სპეციფიური სოციალურ-ეკონომიკური ტიპის გამო მათ მიერ ფასების განსაზღვრაში არადომინირებული პოზიციის პირობებში – მეტად რენტაბელური კომერციის წინაშე იდგა. იდეალური პირობები ასეთი ტრანზიტის ფუნქციონირებისთვის არის მოელი აღნიშნული მარშრუტის გაყოლებაზე მონოკონტროლის არსებობა. „სასანური“ ტიპის კლასიკური დაბრკოლების არსი კი სამდინარო მაგისტრალის ექსპლოატაციის რეგალის დეცნტრალიზაციაში, ირანელთა კასპიის ზღვაზე პეგემონიასა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ინდოეთთან დამაკავშირებელი საქარავნო გზების ირანის ტერიტორიაზე ლოკალიზაციაში ძველმარეობს.<sup>12</sup> ე.ო. სხვა სიტყვებით, ტრანზიტი ხორციელდება მარშრუტის ა) ერთი კონკრეტული სახელმწიფოს; ბ) ორი სახელმწიფოს მიერ ფლობის პირობებში (ამაზე ქვემოთ). ის წყდება, როცა მესამე ძალას აქვს გზა ინდოეთისკენ და, ამავე დროს, სტრატეგიული საშუალება არ დაუშვას I მარშრუტის მოქმედება.

რა მიმართებაში იყო „ტრანსკავკასიური“ მაგისტრალი ტიპოლოგიურად იდენტურ სხვა გზებთან? იაფი და სწრაფი სამდინარო მაგისტრალის მოშლა ტრანსირანული საქარავნო გზების (Strabo. XV. 2. 8)<sup>13</sup> და ირანული სავაჭრო

<sup>12</sup> N. V. Pigulevskaâ. Vizantiâ na putâh v Indiû (Iz istorii torgovli Vizantii s Vostokom v IV-IV vv.). Moskva-Leningrad. 1951 (Н. В. Пигулевская. Византия на путях в Индию (Из истории торговли Византии с Востоком в IV-IV вв.). Москва-Ленинград. 1951).

<sup>13</sup> The Cambridge Ancient History. v. XI. Cambridge. 1954, pp. 122-123; see also N. V. Pigulevskaâ. Vizantiâ na putâh v Indiû (აგრეთვე მაგ., Н. В. Пигулевская. Византия на путях в Индию).

კაპიტალის მნიშვნელობას წამოწევდა წინ. ამგვარად, სამდინარო მაგისტრალი და სახმელეთო ტრანზიტი გამორიცხავდა ერთმანეთს. ეს უკანასკნელი დაფუძნდა მხოლოდ პირველის მოშლის შედეგად. ოუმცა ამ განცხადების აბსოლუტიზაცია არ შეიძლება, ამაზე ქვემოთ. რაც შეეხება საზღვაო გზებს ეგვიპტიდან და სპარსეთის ყურიდან,<sup>14</sup> მათი ექსპლოატაცია ექსტენსიურ ხასიათს ატარებდა რიგი მიზეზების გამო. ნავიგაციის ევოლუცია და „ტრანსკავკასიური“ გზის არასტაბილური რეჟიმი შემდეგი სტიმული იყო ეგვიპტე-ინდოეთს შორის პირდაპირი კონტაქტების განვითარებისთვის.

უფრო კონკრეტულად, გზა სელევკიდური ფენომენი და სირიელ ელინთა ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი წყარო იყო. მისი გენეზისის თარიღად ზოგადად ძვ. წ. III საუკუნე უნდა ჩაითვალოს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ინდური საქონლის „ტრანსკავკასიურ“-ტრანზიტული კონდიციის უკანასკნელი პუნქტი იყო. აქედან ის სხვადასხვა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონზე ნაწილდებოდა. ამგვარად, აღნიშნულ პერიოდში კოლხეთის ფულადი ბაზრის უცხოური მონეტით მომარაგების წმინდა სავაჭრო-ეკონომიკურ არხებს სატრანზიტოც უმატებოდა. კოლხეთის და იბერიის სამონეტო ბაზრებს შორის მსგავსება, ერთის მხრივ, მეტად სიმატრომატურია, მაგრამ მაინცდამაინც გზის ინტენსივობის ხარისხის განსაზღვრის ასპექტით უკანასკნელის სპეციფიური შემადგენლობის და, საერთოდ, ქართლში სინქრონულ აღმოჩენათა სიმცირის პირობებში არაფრის მთქმელია (კოლხური თეთრი და აღეკლიანდოეს სახელით მოჭრილი სტატერები). ასეთი ვაჭრობისთვის ხელის-შემშლელი პირობების არარსებობა a priori მის ინტენსიურ ხასიათს გვავრაუდებინებს, თუკი ამასთან ერთად გავითვალისწინებთ პტოლემაიოსების გამოკვეთილ თაღასოკრატიას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონებში.<sup>15</sup>

ბაქტრიულმა სეპარატიზმა გზის აღმოსავლეთი მონაკვეთი აქაური ბერძნების ხელში მოაქცია და სელევკიდებიც, ეღობებოდნენ რა იბერიაში და, აღბათ, აღბანეთშიც ბაქტრიულების სწრაფვას ბაზრებისკენ, ერთის მხრივ,

<sup>14</sup> The Cambridge Ancient History. v. VI. Cambridge. 1964, p. 402; The Cambridge Ancient History. v. VII. Cambridge. 1964, p. 134; The Cambridge Ancient History. v. IX. Cambridge. 1962, p. 385, 599; The Cambridge Ancient History. v. X. Cambridge. 1963, pp. 252-253, 307, 313, 416-417; The Cambridge Ancient History. v. XI. Cambridge. 1954, p. 121, 236; M. Cary. A History of the Greek World. 323 to 146 B.C. London. I edit. 1932, first published as university paperback 1972, reprinted 1977, pp. 280, 288-289, 306; M. Rostovtzeff. History of the Ancient World. v. II. Rome. Oxford. 1927, pp. 301-302; M. P. Charlesworth. The Roman Empire. London. 1954 – about all the routes see (ყველა კატეგორიის გზაზე იხ.) pp. 129-130.

<sup>15</sup> The Cambridge Ancient History. v. VII, p. 175.

და მეორეს მხრივ, კარგავენ რა ტრანსირანული ტრანზიტის პერსპექტივას პაროელების გამო, მონოპოლისტური რეგალიის თანაბარი პროცენტით კმაყოფილდებან. კონკრეტულ შემთხვევაში სირიის პოლიტიკური და ეკონომიკური პრიმატის „სავაჭრო“ რეალიზაციის ფორმა ასეთი სახით გვესახება: გზის ხარჯები და ტრანზიტული ვაჭრობის ორგანიზაცია მთლიანად აღმოსავლელების კომპეტენციაში დატოვა, რითაც „პარაზიტული“ კომერციის რენტაბელობას ზრდიდა. ამით აიხსნება ბაქტრიული სოციალური ელემენტის აქტიურობა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე. ბაქტრო-სირიულ კოლექტიურ მონოპოლისტურ რეგალიას მათი სახელმწიფოების გარკვეულწილად პოლიტიკური აღიანს და სოციალურ-ეკონომიკური ტიპი განაპირობებდა. პაროის გაძლიერებამ, კერძოდ, მითრიდატე I-ის კამპანიამ, რომელსაც შედეგად მოჰყვა კასპიის ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნული ავტორიტეტის გაქრობა, და აგრეთვე ზემო აზიის პროვინციების დაქვემდებარება არშაკიდებისადმი<sup>16</sup>, მოსკო ბაქტრო-სელევკიდური მონოპოლია. ცოტა უფრო ადრე ბოლო მოედო სელევკიდთა კონტროლს კოლხეთზე, იბერიასა და ალბანეთზე, თუმცა ძნელია იმის განცხადება, რომ ის აქ სავსებით აღმოიფხვრა. რაც შეეხება ტრანსიროტის სიხშირის დადგენას, აქ ნუ-მიზმატიკური „გაუგებრობაა“ – ძვ. წ. II საუკუნის I ნახევრის არაავტონტონური მონეტების აღმოჩენები დასავლეთ საქართველოში მიზერულია. იბერია იწყებს პაროული დრაქმებით საკუთარი ბაზრის დაკომპლექტებას. ბაქტრიული მონეტები კი ჯერჯერობით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა მიკვლეული.

ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური მოვლენები ხელს უწყობდა ინდური საქონლის ტრანსირანული ტრანზიტის ორგანიზაციას არახოზია-დღრანგიანა-არიანა-ჰეკატომფილი-რაგა-ეკბატანა-მესოპოტამია-სირიის გზით, რომლის ინიციატორადაც მთლიანად ირანული სავაჭრო კაპიტალი გამოიდოდა. ბაქტრო-პაროული „ტრანსკავკასიური“ მონოპოლიის გენეზის შლიდა შავ და კასპიის ზღვებს შორის უკონტროლოდ დარჩენილი სახელმწიფოები, ერთის მხრივ, და აგრეთვე დიდი წინააღმდეგობა თვით აღნიშნულ ორ ერთეულს შორის. რაც შეეხება პაროის უშუალო კონტაქტებს, პირდაპირ კავშირს „დასავლეურ“ სამყაროსთან, მისი რეალიზაციისთვის ორი გზა არსებობდა: 1. via ალბანეთი-იბერია-კოლხეთი, ე.ი. სახმელეთო გზას მარგანა-ჰირკანის მიმართულებით ოქსისკე უნდა გადაეხვია და შემდგომ ჩვეული მარშრუტით წასულიყო. ამ

<sup>16</sup> The Cambridge Ancient History. v. IX, p. 579.

შემთხვევაში ირანს მდინარეების, მტკვრის და რიონის ხეობებზე კონტროლის დაწესება მოუხდებოდა, აქაური პოლიტიკური რუკა კი ზედმეტად დანაწევრებული იყო; 2. უფრო რენტაბელურ პერსპექტივებს სირია-პართიის თანასწორუფლებიანი „სახმელეთო“ მონოპოლიის შესაძლებლობა სახავდა, რაც, აღბათ, ხორციელდებოდა კიდეც გარკვეული დროის განმავლობაში.

მდინარეების მტკვრის და რიონის ხეობებში ძვ. წ. 65 წლის რომაული ექსპედიციის მიზანი ამ რეგიონების სატრანზიტო შესაძლებლობების შესახებ არსებული ბერძნული ინფორმაციის რევიზია იყო. ყოველივე ეს მიუთითებს: 1) „ტრანსკავკასიურის“ ექსპლოატაციით რომაელთა დაინტერესებაზე; 2) „ტრანსკავკასიური“ მონოპოლიის რესტავრაციის მეტად თუ ნაკლებად რეალური შანსების არსებობაზე. იგივეს ცდილობდა ევპატორიც, ხოლო ტიგრანეს ტიპოლოგიურად მსგავსი მისწრაფების ტაქტიკური რეალიზაცია სირიის ოკუპაციაში გამოიხატა.

რამ განაპირობა ასეთი ცხოველი ინტერესი რთულ პირობებში (ამაში ჩვენ პართიის სახელმწიფოს ფუნდამენტურ ტიპს ვგულისხმობთ), რა გარანტიები იყო მისი რეალიზაციისათვის?! „ტრანსკავკასიური“ ტრანზიტის პერსპექტივები ძლიერდება ჩინეთის თურქესტანის გავლით აბრეშუმის იმპორტის პირობებში,<sup>17</sup> ქუშანის სახელმწიფოს გენეზისთ და მასთან ანტიპართული ბლოკის შექმნის შესაძლებლობით. აქედან მოყოლებული „ტრანსკავკასიური“ კომერციის რეანიმაცია პართიის პოლიტიკური დესტაბილიზაციით და მის მიერ რომის ავტორიტეტის გარკვეული ცნობით იქნებოდა განპირობებული. ყოველივე ეს გულისხმობდა ქვეყნისთვის კაპიტულაციების მაგარი რეჟიმის თავს მოხვევას. ტიბერიუსის პრინციპატის დასაწყისი ამ მხრივ მეტად ნიშანდობლივია. სიმპტომატიურია, რომ ინდოეთში რომაულებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი, ხოლო ჩინეთში ადრეული, სწორედ ტიბერიუსის მონეტებია მიკვლეული.<sup>18</sup> მეორე ტრადიციული საკითხის გადაჭრას კვლავ და კვლავ ავგუსტეს დენარების მიმოქცევის ფართო დიაპაზონი უშლის ხელს.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, შეგვიძლია მხოლოდ *a priori* პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინების საფუძველზე ვივარაუდოთ „ტრანსკავკასიური“ ტრანზიტის პერიოდული ფუნქციონირება, ვთქვათ, ტრაიანეს, ავრე-

<sup>17</sup> M Cary. A History of the Greek World. 323 to 146 B.C., pp. 73-74; The Cambridge Ancient History. v. X, pp. 584-586, 598-599; The Cambridge Ancient History. v. XI, pp. 121-122; The Cambridge Ancient History. v. XII. Cambridge. 1961, pp. 97-8, 104.

<sup>18</sup> The Cambridge Ancient History. v. X, p. 417; The Cambridge Ancient History. v. XII, p. 271 n. 5.

ლიუსის ან სევერუსის დროს. გასაგები მიზეზების გამო ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. მონოპოლიური რეგალიის დისტრიბუციის კუთხით, ალბათ, იტალიკები თავიანთ აღმოსავლელ პარტნიორებთან მიმართებაში თანაბარ უფლებებს ჯერდებოდნენ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მაინც პაროული კონტროლის ქვეშ მოქცეული რომი-ქუშანის ეკონომიკური აღიანსი არ გამორიცხავდა ტრანსირანული კომერციის მოქმედებას.

საერთო ჯამში, გვიანანტიკურ ხანაში მაინც ძირითადი ტრანსირანული ტრანზიტი იყო. სასანურმა „რევოლუციაში“ კი საერთოდ მოშალა „ტრანსკავკასიური“ ვაჭრობის პერსპექტივები. წითელი ზღვის სანაოსნო ტრასამ ვერ მოიპოვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი ბაზების უქონლობის გამო, ამიტომ V-VI საუკუნეებში ბიზანტიური დიპლომატია სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს. რაც შეეხება რომაელთა პეგამონიის დაფუქნებას პალმირასა და პეტრაზე<sup>19</sup>, მისი მიზანი არაბული საშუალებლო ვაჭრობის მოგების წილის შემცირება იყო.

---

<sup>19</sup> The Cambridge Ancient History. v. IX, p. 382; The Cambridge Ancient History. v. XI, pp. 859-860; N. A. Maškin. Istorija drevnego Rima. Moskva. 1956, p. 419 (Н. А. Машкин. История древнего Рима. Москва. 1956, гл. 419).

**Tedo Dundua**

Professor,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## **“TRANSCAUCASIAN” TRADE ROUTE FROM INDIA TO COLCHIS**

### **Summary**

“Aristobulus declares that the Oxus is the largest of the rivers he has seen in Asia, except those in India. And Patrocles, as well as Aristobulus and Eratosthenes, say that it is navigable and that large quantities of Indian wares are brought down on it to the Hyrcanian Sea, and thence on that sea are transported to Albania and brought down on the Cyrus River and through the region that comes next after it to the Euxine” (Strabo. XI. 7. 3). All the authors listed above, including Strabo, use the present tense meaning that “Transcaucasian” transit of the Indian goods (along the rivers Indus – Bactra (Balkh) – Oxus (Amu-Daria) – Hyrcanian (Caspian) Sea – Cyrus (Mtkvari) – Phasis (Kvirila and Rioni) to the city of Phasis (Poti) in Colchis) worked hard in the 3<sup>rd</sup> c. B.C., first half of the 2<sup>nd</sup> c. B.C., and in 19/20 A.D. when Strabo “published” his work.

“Varro says also that during this expedition of Pompejus it was known that it is but seven days journey from India to the Bactrians, Bactra River, which runs into the Oxus; and that the merchandise of India, transported by the Caspian Sea, and so to the river Cyrus, may be brought in not more than five days by land as far as to Phasis in Pontus” (Plin. NH. VI. 52). It is clear enough that Varro speaks about a possibility of “Transcaucasian” transit by 65 B.C., it had been already broken. And Pliny has nothing to add. Again, there is no transit in the 70s of the 1<sup>st</sup> c. A.D.

So, the Seleucids gained a direct access to the cheap spice market as far back as in the beginning of the 3<sup>rd</sup> c. B.C. Greeks living in Syria organized spice supply of Europe via “Transcaucasian” river-route thus saving much money while transportation of the Indian goods. They started to gain handsome profit. Then it had to be shared with the allies, Greeks from Bactria. Colchian coins of the 3<sup>rd</sup> c. B.C. found the Central Asia, Bactrian coins of the 2<sup>nd</sup> c. B.C. found in

Eastern Georgia, and presence of the Bactrians in Colchis attest this trade.

Becoming stronger, the Arsacids cut this trade by organizing Caspian fleet. From that day on only their merchants could have a direct access to the spices transported towards Europe. The Seleucids had to do nothing but to pay huge sum for the goods brought from the left bank of the Euphrates. Romans, already governing Syria, had to do the same.

So, Transiranian transit became the most important one, only sometimes being interrupted by the same Romans, humiliating the Parthians and with the help of the Kushans organizing silk and spice supply of Europe via “Transcaucasian” trade route.

ეძილ აკდაკები  
ოსუ

**ვაჭრობა და სასანური ირანის ინტერესები  
ლაზიკაში (VI ს.)**

**გეოგრაფია და სასანიანთა სამშობლო**

გვიან ანტიკურ ხანაში სასანურ ირანს და აღმოსავლეთ რომის იმპერიას (ბიზანტიას) შორის წარმოებული ომები კარგად შესწავლილი საკითხია. მეტიც, ამ პერიოდზე არსებული აკადემიური ნაშრომების დიდი ნაწილი სწორედ სამხედრო საკითხებს ეხება. ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა ამ ომების, მირითადად, დასავლური – ბიზანტიური – ხედვით გადმოცემა. ამან გამოიწვია ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში სასანური ირანის შესწავლას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

მხოლოდ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ისეთი საკითხების შესწავლაში, როგორიც არის სასანიანთა იმპერიული აპარატი და ჯარი. აღსანიშნავია, ასევე, სასანური იმპერიის სასაზღვრო რეგიონებში აგებული სამშედრო ინფრასტრუქტურის ინტენსიური შესწავლა: რა მიზნებისთვის შენდებოდა კედლები და ციხე-სიმაგრეები და როგორ გამოიყენებოდა გეოგრაფიული ბარიერები იმპერიის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად? ამასთან ერთად, ბოლო დროს ისტორიოგრაფიაში იკვეთება საკითხი, გააჩნდათ თუ არა სასანიანებს გლობალური ხედვა იმისა, თუ რა ადგილს იკავებდა გვიან ანტიკურ ხანაში მათი იმპერია მახლობელ აღმოსავლეთში, რა იყო იმპერიის სტრატეგიული ინტერესები და ა.შ. ნაწილობრივ ამ მსჯელობას მივყავართ ბოლო დროს აღმოცენებულ საკითხამდე: რაოდენ შესაძლებელი იყო სასანიან შაპინშაპებს იმპერიის ოთხსაუკუნოვანი არსებობის პერიოდში ეხელმძღვანელათ ერთი დიდი გეგმით, ე.წ. „დიდი სტრატეგიით“?

ამ ბოლო კითხვაზე გადაჭრით პასუხის გაცემა რთულია არსებული მწირი წერილობითი და არქეოლოგიური მასალების გამო. თუმცა საინტერესოა, თუ რას ვგულისხმობთ იმპერიის „დიდ გეგმაში/ხედვაში“. ცალსახაა,

რომ სასანიანი მმართველები მოქმდებდნენ იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც გამოწვეული იყო იმ გეოგრაფიული, პოლიტიკური და სამხედრო რეალიებით, რომელიც III-VII საუკუნეებში მახლობელ აღმოსავლეთში არსებობდა. ეს ფაქტორები იშვიათად ჩანს წერილობით წყაროებში, მაგრამ ნაკლებად საგარაუდოა, რომ თითოეული მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სამხედრო გადაწყვეტილების მიღებამდე, სასანიანი მმართველები მხედველობაში არ მიღებდნენ ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ფაქტორებს იმპერიის თვის უკეთესი შედეგის მისაღწევად<sup>1</sup>.

თუ სასანური იმპერიის ეწ. „დიდი სტრატეგიის“ სამხედრო და პოლიტიკური კომპონენტები ბოლო დროს მკვლევართა ყურადღებას იპყრობს, იმპერიის ეკონომიკური ინტერესები და მათი როლის გათვალისწინება იმპერიის საგარეო პოლიტიკის წარმოებაში ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი. ასე, სასანური ეკონომიკური პოლიტიკა და მისი როლი იმპერიის საგარეო პოლიტიკაში, მის ტერიტორიულ ექსპანსიაზე მესაპოტამიაში, სირია-პალესტინაში, სამხრეთ კავკასიასა ან არაბეთის ნახევარკუნძულზე არ განიხილება სათანადო დონეზე.

ჩვენი აზრით, საწყისად მაინც სასანური იმპერიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა უნდა ჩაითვალოს. სპარსეთის გეოგრაფიული ლანდშაფტები და ამით გამოწვეული იმპერიის პროვინციების სიმდიდრე ან სიღარიბე, როგორც ნაჩვენები იქნება ქვემოთ, დიდწილად მიზეზი იყო იმ თითქმის შეუცვლელი პოლიტიკისა, რომელსაც სასანიანი მმართველები ატარებდნენ თითქმის ოთხ საუკუნეზე მეტი წენის განმავლობაში.

დასავლეთში გავრცელებული ტრადიციული მოსაზრებებისგან განსხვავებით, ამ თავის ერთ-ერთი იდეა იქნება ის, რომ სასანური ირანის გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ იმპერია ნაწილობრივ კონტინენტურ, ნაწილობრივ კი საზღვაო ძალად ჩამოაყალიბა. იმპერიის საზღვრები, ძირითადად, ხელეთზე გადიოდა და ესაზღვრებოდა გვიან ანტიკური ეპოქის მნიშვნელოვან მეტოქებს: დასავლეთით – აღმოსავლეთ რომის/ბიზანტიის იმპერიას, ხოლო ჩრდილოეთით – მომთაბარე ტომებს, რომელიც IV საუკუნიდან მოყოლებული პერმანენტულ მოძრაობაში იყვნენ ევრაზიის სტეპებში და ტრანსკონტინენტურ იმპერიებსაც ქმნიდნენ.

დასავლეთში გავრცელებული ტრადიციული ანალიზის მიხედვით, სასანური ირანის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა არცოუ ისე სახარბიელო იყო.

<sup>1</sup> Menander Protector. The History of Menander the Guardsman. ed. and trans. R. C. Blockley. Liverpool. 1985. Fragment 10, 1, pp. 111-113.

გეოპოლიტიკური მეტოქები ორი – დასავლეთის და ჩრდილოეთის – ფლან-გებიდან აიძულებდა იმპერიას ერთდროულად განეთავსებინა სალაშქრო ერთე-ულები რომის/ბიზანტიის და ნომადური იმპერიების პოტენციური ორმხრივი შემოტევის შესაჩერებლად. გარდა ამისა, იმპერიას, ასევე, უწევდა დიდი ფი-ნანსური და ხშირად ადამიანური რესურსების კონცენტრირება სხვა ფლან-გებზეც, მაგალითად სამხრეთ კავკასიაში, წინაისლამური ხანის არაბეთის ნა-ხევარკუნძულზე და ა.შ.

თუმცა სასანური ირანის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას ჩვენ ამ ნაშ-რომში დადებითი კუთხითაც განვიხილავთ. ქვემოთ ფართოდ იქნება მსჯელობა იმის შესახებ, რომ რომთან/ბიზანტიასთან შედარებით, სასანური ირანი უფრო ახლოს იყო გვაინ ანტიკურობაში არსებულ უმთავრეს სავაჭრო ცენტრებთან, როგორიც არის სამხრეთ აზია (ინდოეთი და კუნძული ტაპრობანე – თანა-მედროვე შრი-ლანკა), ცენტრალური აზია (ბაქტრია და განსაკუთრებით სოგ-დიანა), დასავლეთ ჩინეთი და არაბეთის ნახევარკუნძული.

ასევე, საჭიროა სასანიანთა სახელმწიფოს გეოგრაფიული თავისებურებე-ბის უფრო მეტად დეტალური გარჩევა, რათა ნაწილობრივ მაინც ავხსნათ სპარსელების ექსპანსიონიზმი VI საუკუნის საქართველოში.

სასანური იმპერიის საყრდენს ირანის ზეგანი წარმოადგენდა. ეს სივრ-ცე არ გამოირჩევა სახარბიელო კლიმატური პირობებით და დიდად განსხვავ-დება ხმელთაშუა ზღვისპირეთის კლიმატისგან. ტერიტორია არ გამოირჩევა მდინარეების სიუხვით, პროდუქტული მიწებით და, შესაბამისად, ეკონომიკუ-რი სიმდიდრით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ირანის ზეგანი თავისი სიდიდის გამო ის სივრცე, სადაც ისტორიულად მოსახლეობის დიდი რაოდენობა ცხოვრობდა. სხვა სიტყვებით, ზეგანის გაკონტროლება მმართველებს გადასა-ხადების აკრეფის და დიდი ჯარების შექმნის საშუალებას აძლევდა. გასაკი-რი არ უნდა იყოს, რომ აქემენიანებმა და შემდეგ სასანიანებმა, მიუხედავად თავისი პერიფერიული წარმომავლობისა ფარსის პროვინციების (ესაზღვრება სპარსეთის ყურეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან), იმპერიის მშენებლობა მას შემდეგ შეძლეს, როდესაც კიროს დიდი (აქემენიანების შემთხვევაში), ხოლო სასანიანების დროს არდაშირ I, დაუუფლინებ ირანის ზეგანს.

სასანიანებს შედარებით მარტივად შეეძლოთ ირანის ზეგანის დიდი ხნით გაკონტროლება, რადგან რეგიონი დაცული იყო თავდაცვისთვის გამოსაღევი დიდი გეოგრაფიული ბარიერებით. ამავდროულად, დისტანცია რომის/ბიზანტიის იმპერიიდან ირანის ზეგანამდე საქმაოდ დიდი იყო იმისთვის, რომ სასანიანე-ბისოვის ეგზისტენციალური საფრთხე შექმნილიყო. ეს გეოგრაფიული სიღრმე

ასევე ნიშნავდა იმას, რომ უცხოელი დამპყრობლისთვის თითქმის შეუძლებელი იყო არა მხოლოდ დაპყრობა, არამედ აღნიშნული ტერიტორიის ხანგრძლივი დროით შენარჩუნებაც კი. მართლაც, ანტიკურ ხანაში მხოლოდ აღექსანდრე დიდმა მოახერხა ირანის ზეგანის დაპყრობა. ოუმცა აქაც, ბერძნულ-მაკედონური ჯარის წარმატებების მიუხედავად, ირანის ზეგანზე ელინთა კონტროლი აღექსანდრეს ძვ. წ. 323 წელს გარდაცვალების შემდეგ მაღევე შეწყდა.

მართლაც, ირანის შუაგული დაცული იყო ჩრდილოეთიდან ელბურსის მთათა სისტემით, რომელიც გადაჭიმულია თითქმის 1000 კილომეტრზე თანამედროვე აზერბაიჯან-ირანის საზღვრიდან აღმოსავლეთით. მიუხედავად იმისა, რომ ელბურსის მთათა სისტემა ვიწროა, მხოლოდ 140 კილომეტრამდე სიგანეში, ის ერთ-ერთი მაღალია მსოფლიოში, რაც დასტურდება იმ ფაქტით, რომ ირანის და მოლიანად ევრაზის კონტინენტის ერთ-ერთი უმაღლესი წერტილი, მთა დამავანდი, ზუსტად ამ მოებშია. ელბურსის მთათა სისტემა ჩრდილოეთის შერიდან მყვეთრად ადის მაღლა, რითაც თითქმის გადაულახავ ბარიერს ქმნის (რამდენიმე გადასასვლელით) უცხო ძალების შემოსევებისთვის.<sup>2</sup>

დასავლეთით ირანის ზეგანს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მთათა სისტემა ესაზღვრებოდა. ზაგროსის მთები მესოპოტამიის თითქმის მთელ გაყოლებაზე ყოფდა ირანს დასავლეთით არსებული პროვინციებისგან. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ირანის ზეგანს მომთაბარეებით დასახლებული სტეპები და გაუვალი უდაბნოები ესაღვრებოდა.

შესაბამისად, ირანის ჰინტერლანდი (ზეგანი), სადაც მოსახლეობის დიდი რაოდენობა ცხოვრობდა, დაცული იყო თითქმის გაუვალი გეოგრაფიული ბარიერებით და როგორი კლიმატური პირობებით. გარდა ამისა, ირანის ზეგანი ანტიკურობის სხვა სამსედრო ძალებისგან ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებული იყო, რაც ზეგანზე შექმნილ დიდ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს საშუალებას აძლევდა ხანგრძლივად ეარსებათ. ხმელთაშუა ზღვისპირეთში რომის იმპერიის, შემდეგ კი ბიზანტიის მრავალსაუკუნოვანი არსებობა განსაკუთრებული მოვლენა იყო, როგორც ამას ბევრი ისტორიკოსი ამტკიცებს. ოუმცა ირანის ზეგანზე შექმნილი თითოეული მრავალსაუკუნოვანი ირანული იმპერია არანაკლებ საინტერესო ისტორიულ პროცესს წარმოადგენდა. მაგალითისთვის, აქემენიანთა იმპერია ორ საუკუნეზე მეტს ითვლიდა, პართია – თითქმის ხუთ საუკუნეს, ხოლო სასანური ირანი კი – ოთხ საუკუნეზე მეტ ხანს.

<sup>2</sup> W. B. Fisher. "Physical Geography". The Cambridge History of Iran in Eight Volumes. Vol. I. Cambridge. 1968, p. 38.

### **ძღიდარი ტერიტორიული სარტყელი**

სასანური ირანის ისტორია არ არის მხოლოდ ამ იმპერიის რომთან/ბიზანტიასთან ან მომთაბარეებთან ომების ისტორია, როგორც ეს ხშირად ხდება დასავლურ ისტორიოგრაფიაში. როგორც დასაწყისში ითქვა, რამდენიმე პატარა გამონაკლისის გარდა, გეოგრაფიული პარამეტრების გავლენა სასანური ირანის ისტორიაზე ჯერ კიდევ შეუსწავლელი საკითხია. მართლაც, გვიანანტიკური წერილობითი წყაროების დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ სასანური ირანის არსებობა სავაჭრო გზებისა და თავდაცვისთვის უკეთესი გეოგრაფიული სივრცეებისთვის ბრძოლა იყო. სავსებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ის უთანხმოებები, რომლებიც არსებობდა სასანურ და რომის/ბიზანტიის იმპერიებს შორის, პირველ რიგში, შედეგოდა ეკონომიკური და გეოგრაფიული მიზეზებისგან და მხოლოდ შემდეგ მოდიოდა იდეოლოგიური და მრავალი სხვა პრობლემა.

ის, რომ სასანური ირანის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა მნიშვნელოვანია, დასტურდება სასანიანების ლტოლვით დაეპყოოთ ირანის ზეგანის გარშემო არსებული ეკონომიკურად, ადამიანური რესურსებითა და სავაჭრო გზების ქსელით ძირიდარი ტერიტორიები. მხოლოდ ჭარბი მოსახლეობის, თუმცა როგორც კლიმატის მქონე ირანის ზეგანის გაკონტროლებით სასანიანები ვერ მიაღწევდინ სასურველ შედეგს – რეგიონში კონკურენცია გაუწიათ რომის/ბიზანტიის იმპერიისთვის. ამისთვის საჭირო იყო ეკონომიკური სიმდიდრის მოზიდვა, რომელიც ირანის ზეგანზე არ არსებობდა. ამ მარტივმა გეოგრაფიულ-ეკონომიკურმა ფაქტორმა განაპირობა აქტივიანების და მოგვიანებით სასანიანების მცდელობები გაეკონტროლებინათ შედარებით უფრო მდიდარი მიწები, რომლებიც გარს ერტყა ირანის ზეგანს.

ირანის ზეგანის ჩრდილოეთი, ელბურსის მთების გადაღმა, კასპიის ზღვის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფლის მუურნეობით მდიდარი მიწები იყო, რომლებიც პროვინცია ხორასანის ნაწილს წარმოადგნდა. კასპიის დაბლობი, დაახლოებით 600 კილომეტრი სიგრძის სივრცე იყო და, თავის მხრივ, ესაზღვრებოდა ნახევრად სტეპურ, გარდამავალ ზონას – გურგანს, რომელიც დღეს ცენტრალური აზის რეგიონის სამხრეთ ნაწილებს წარმოადგნს. სხვა სიტყვებით, ხორასანის პროვინციაში შემავალი ეკონომიკურად და ადამიანური რესურსებით მდიდარი კასპიის დაბლობი იმპერიის საზღვრისპირა რეგიონს წარმოადგნდა, რაც გამუდმებით მოითხოვდა აღნიშნული ტერიტორიის დაცვისთვის მსხვილი საფორტიფიკაციო ნაგებობების აშენებას ნომადე-

ბისგან მომდინარე საფრთხის პრევენციისთვის.

მსგავსი პრობლემა ჰქონდა სასანურ ირანს ელბურსის მთების გადაღმა, სადაც კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთი კილვ ერთი მდიდარი პროვინცია, ადარბადაგანი მდებარეობდა. ადარბადაგანის სტრატეგიული ადგილმდებარეობა მას ხდიდა მნიშნვნელოვან გზაჯვარედინს, რითაც ის ჩრდილოეთში, თანამედროვე აზერბაიჯანის წყლის რესურსებით (მდინარეთო ფართო ქსელი) მდიდარ ტერიტორიას ესაზღვრებოდა. ამასთანავე, ადარბადაგანიდან და თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიიდან ბევრად მარტივი იყო მდინარე მტკვრის და ალაზნის გასწვრივ საქართველოში შეღწევა (მაგ. სამხედრო მოქმედებებისთვის). სასანიანებისთვის კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირო, კავკასიონის მთების უკიდურესი აღმოსავლეთ წერტილი, ასევე მნიშნელოვანი იყო ევრაზიული სტეპებიდან მომთაბარე ხალხების შესაკავებლად. მართლაც, ეს სტრატეგიულად მნიშნელოვანი დერეფანი საჭირო იყო ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლისთვისაც, როგორც ერთ-ერთი იმ სამი ძირითადი გასასვლელიდან, რომელიც არსებობდა ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთ ნაწილში მოსახვედრად. მართლაც, დერეფნის სტრატეგიული მნიშნელობა იმითაც დასტურდება, რომ სასანიანებმა დიდი ფინანსური სახსრები გაიღეს ქალაქ დარუბანდის ციხე-სიმაგრის, ასევე როგორც ქალაქის სამხრეთით არსებული რამდენიმე თავდაცვითი კედლის ასაშენებლად/გასამაგრებლად.

ზაგროსის მთების დასასვლელით მდებარეობდა მესოპოტამია, სავარაუდოდ, ყველაზე მდიდარი პროვინცია, რომელიც სასანიან მონარქებს ჰქონდათ დაპყრობილი ოთხი საუკუნის განმავლობაში. მესოპოტამია მდიდარი იყო როგორც ადამიანური და წყლის რესურსებით, ასევე სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგი ტერიტორიებით. მესოპოტამია სპარსელებისთვის ასევე მნიშნელოვანი იყო იმით, რომ ის სამხრეთ-აღმოსავლეთი ესაზღვრებოდა სავაჭრო აქტივობით მდიდარ სპარსეთის ყურეს, ხოლო სამხრეთით – არაბეთის ნახევარკუნძულს. ამით რეგიონი იძნდა დიდ კონომიკურ მნიშნელობას, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

მესოპოტამიის ამ დადებითი გეოგრაფიული პარამეტრების მიუხედავად, მის ადგილმდებარეობას უარყოფითი ნიშნებიც გააჩნდა. ის, რომ სასანურ და რომის/ბიზანტიის იმპერიებს შორის წარმოებული ომების ეპიცენტრს მესოპოტამია წარმოადგენდა, დიდწილად აიხსნება ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფიით. თუ შუამდინარეთი განცალკევებულია ირანის ზეგანისგან ზაგროსის მთებით, ჩრდილოეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით მესოპოტამია ორგანულად

გადაბმულია სირია-პალესტინასთან და მცირე აზიის სამხრეთ ნაწილთან. მეტიც, მესოპოტამიის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით სირიის უდაბნო<sup>3</sup> ზღუდავდა ჯარების მოძრაობას ამ მიმართულებებით. სხვა სიტყვებით, მესოპოტამიიდან ხმელთაშუა ზღვისპირეთში მოსახვდრად საჭირო იყო სირიის გავლა. ამით აიხსნება ის ფაქტი, თუ რატომ იყო რომის/ბიზანტიის მდიდარი სირია-პალესტინის პროცენტი სასანური ჯარების ხშირი სამიზნე.

მესოპოტამიის და სირია-პალესტინის გეოგრაფიული გადაბმულობის გარდა, ამ სივრცეში ნაკლებად არის ბუნებრივი ბარიერები, რომელებსაც რომაელები/ბიზანტიელები და სასანიანები ერთმანეთისაგან თავდაცვისთვის გამოიყენებდნენ. ეს, თავის მხრივ, იმპერიებს შორის ომებს უფრო ახანგრძლივებდა, შედეგს კი – არაპროგნოზირებადს ხდიდა.

ამას ემატებოდა კიდევ ერთი სტრატეგიული ნიშანი, რომელიც ორივე იმპერიისთვის მესოპოტამიის გაკონტროლებას პრიორიტეტულს ხდიდა. მესოპოტამიის ჩრდილოეთი მდებარეობს ანტიტავრის მთები, რომლის განლაგება და მასში არსებული სამი მნიშვნელოვანი გასასვლელი საშუალებას აძლევდა ჯარებს მარტივად შეეღწიათ სირიიდან მცირე აზიის შუაგულში ან პირიქით.

ირანის ზეგანის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ზაგროსის მთები აღმოსავლეთის მიმართულებით ნელ-ნელა მარკანისა და საკასტანის<sup>4</sup> ნახევრადუდაბნოში გადადის (დღვევანდელი პაკისტანის ჩრდილოეთ-და-სავლეთი და ავღანეთის სამხრეთ-დასავლეთი).<sup>5</sup> სასანიანების მმართველობაში ამ ნახევრადაბნოში მძარცველი ტომების შეკავება საკმაოდ რთული იყო. შესაბამისად, ამ რეგიონიდან მომდინარე საფრთხე პერძენენტულ ხასიათს ატარებდა, რაც სასანიანებს სტაბილურობის დამყარებისთვის არახელსაყრელ პირობებს უქმნიდა.

ეს გეოგრაფიული მიზეზები ნათლად აჩვენებს, რომ მდიდარი ვაკებიდან ამოღებული გადასახადებით ხდებოდა ირანის ზეგანის მოსახლეობისგან შექმ-

<sup>3</sup> G. Fisher. Between Empires: Arabs, Romans and Sasanians in Late Antiquity. Oxford. 2011, pp. 76-111.

<sup>4</sup> The Cambridge History of Iran. Vol. I. Cambridge. 1968, pp. 25-44. P. Heather. Empires and Barbarians. Migration, Development and the Birth of Europe. London. 2009, pp. 208-221. P. Heather. Empires and Barbarians. Migration, Development and the Birth of Europe, pp. 208-221. J. Howard-Johnston. "The Two Empires in Late Antiquity". in Late Antiquity: Eastern Perspectives. Oxford. 2012, pp. 99-105. M. Gadjev. "On the Construction Date of the Derbent Fortification Complex". in Iran and the Caucasus. Leiden. 2007, pp. 1-15. M. Kazanski. A. Mastikova. Les Peuples du Caucase du Nord. Paris. 2003, pp. 95-99. The Cambridge History of Early Inner Asia. ed. D. Sinor. Cambridge. 1990, pp. 206-228, 285-316.

<sup>5</sup> J. Howard-Johnston. "The Two Empires in Late Antiquity". in Late Antiquity: Eastern Perspectives, pp. 90-111.

ნიღი ჯარების უზრუნველყოფა.<sup>6</sup>

სასანური ირანის შიგნით და მიმდებარედ ოთხი მთავარი სარესურსო ტერიტორიის გამოყოფა შეიძლება:

1. კლასიკური მიდია და დანარჩენი ირანის ზეგანი;
2. ფარსის პროვინცია, საიდანაც სასანიანები იყვნენ წარმომავლობით;
3. ხორასანის ნაწილი;
4. ადარბადაგანის ნაწილი (კლასიკური ატროპატენე).<sup>7</sup>

ეს ის ცენტრებია, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო კონცენტრირებული. თუმცა მდიდარ მხარეებს მაინც მესოპოტამია, ხორასანი და ნაწილობრივ ტაბარისტანი წარმოადგენდნენ, სადაც სასანიანების დროს ურბანიზაციის პროცესმა და მოსახლეობის ზრდამ უპროცესდენტო ზომებს მიაღწია.<sup>8</sup>

სხვა სიტყვებით, სასანური ირანის ეკონომიკური სიძლიერის მამოძრავებელი რეგიონები უშეალოდ იმპერიის საზღვრისპირა რეგიონები იყო. ეს რეგიონები კი ძლიერი გარე ძალებისგან პერმანენტული სამხედრო საფრთხის ქვეშ იყო, რაც ხსნის კიდევაც სასანურ ირანს და რომს/ბიზანტიას შორის გვიან ანტიკურობაში მომხდარ მრავალ ომს.

შესაბამისად, სასანური იმპერიის დამარსებლიდან, არდაშირ I-დან მოყოლებული, ყველა შაპინშაპის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური მიზანი იყო ირანის ზეგანის გარშემო მდებარე ეს ეკონომიკურად მდიდარი პროვინციები არ გამხდარიყო მტრის სამიზნე ან მთლიანად იმპერია რამდენიმე ფრონტიდან მტრის აღყაში არ მოქცეულიყო. ამისთვის კი სასანიანებს ნებისმიერი სამხედრო თუ დიპლომატიური ხერხით უნდა მოეხდინათ ამ რეგიონების საგარეო საფრთხისგან განეიტრალიზება. ეს სისტემა მუშაობდა, სანამ სასანური დინასტია ახერხებდა, მეტნაკლებად, ცენტრალიზებული მმართველობის შენარჩუნებას.

ზემომყვანილმა გეოგრაფიულმა მიმოხილვამ ცხადყო, რომ იმპერიის ადგილმდებარეობას მახლობელ აღმოსავლეთში ბევრი არასახარბიელო ნიშანი გააჩნდა. გარდა იმისა, რომ იმპერიას ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ერთდროულად შეეძლოთ დასხმონენ, საომარი მოქმედებები, ძირითადად, სასანური იმპერიის გეოგრაფიულად დაუცველ, ყველაზე მდიდარ პროვინციებში (მესოპოტამია, ხორასანი და ა.შ.) მიმდინარეობდა. მეტიც, უფრო გლობალუ-

<sup>6</sup> J. Howard-Johnston. "The Two Empires in Late Antiquity". in Late Antiquity: Eastern Perspectives, pp. 95-115.

<sup>7</sup> The Cambridge History of Iran. Vol. I, pp. 5-25.

<sup>8</sup> J. Howard-Johnston. "The Two Empires in Late Antiquity". in Late Antiquity: Eastern Perspectives, pp. 90-111.

რად რომ გადავხედოთ სასანური ირანის გეოგრაფიას და მის როლს იმპერიის განვითარებაში, ვნახავთ, რომ ამ გეოგრაფიულმა პარამეტრებმა VI-VII საუკუნეებში გამოიწვია სპარსეთის უფრო დამოუკიდებლობისკენ მიღრეკილი პროვინციების კონგლომერატად ჩამოყალიბება.

გეოგრაფია ართულებდა ერთი ცენტრიდან იმპერიის ეფექტიან გაკონტ-როლებას. სასანიანებმა დედაქალაქი იქვე, ქტესიფონში დატოვეს, სადაც ის პაროლებს ჰქონდათ ახ. წ. 224 წლამდე. მესოპოტამიიდან ირანის ზეგანის გაკონტროლება როგორი საქმე იყო, ორმაგად წარმოუდგენელი კი სამხრეთ კავკასიის, ხორასანის ან ინდოეთთან ახლოს არსებული ტერიტორიების გაკონტროლება. თუ ირანის ზეგანი მეტნაკლებად გეოგრაფიულად ოთხივე მხრიდან ჩაკეტილი იყო, მესოპოტამია აღმოსავლეთიდან, სამხრეთიდან და ნაწილობრივ ჩრდილოეთიდან ასევე იყო მოწყვეტილი გარე სამყაროს. ერთადერთი აქტიური კონტაქტი დასავლეთით, რომის იმპერიაში/ბიზანტიაში შემავალი სირია-პალესტინის ტერიტორიები იყო.

ზაგროსის მთები ზღუდავდა ირანის ზეგანის კონტროლს და, შესაბამისად, ქტესიფონიდან იმპერიის შორეული პროვინციების გაკონტროლებისთვის ერთადერთი გამოსავალი მართვის ძლიერი ცენტრალური აპარატის შექმნა იყო. სასანიანების დროს ეს წანილობრივ განხორციელდა კიდეც, რაღაც არდაშირის მიერ შექმნილი იმპერია პაროლების სახელმწიფოზე მეტად ცენტრალიზებული გამოდგა: შექმნიდან რამდენიმე წელიწადში სპარსელებმა მყარი კონტროლი დამყარეს შორეულ პროვინციებზე და პირველი დიდი სამხედრო წარმატებები მოიპოვეს რომთან ბრძოლაში, რაც პაროლების დროს წარმოუდგენელი რამ იყო.

თუმცა დროთა განმავლობაში, გეოგრაფიული ფაქტორები ისევ უპირატესობას იძენდა და იმპერიის ეფექტიან აღმინისტრირებას და მტრებისგან თავდაცვას საგრძნობლად ზღუდავდა. ამ საკითხში სასანური ირანის შედარება აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან რამდენიმე კარგი დასკვნის გამოტანის საშუალებას მოგვცემს. თავისი დასავლეური მეტოქესგან განსხვავებით, სასანური ირანი არ მდებარეობდა ერთდროულად რამდენიმე კონტინენტზე და, ერთი შეხედვით, ამ ფაქტს უნდა გაეადვილებინა იმპერიის მართვა/დაცვა. მართლაც, აღმოსავლეთ რომის იმპერია/ბიზანტია გვიან ანტიკურ ხანაში სამ კონტინენტზე – აფრიკა, აზია და ევროპა – მდებარეობდა. კონსტანტინოპოლის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მრავლად იყო მსხვილი გეოგრაფიული ბარიერები (მდინარეები, მთები და ნახევრად უდაბნოები), რაც იმპერიის მართვაში ხელის შემშლელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. თუმცა აღმო-

სავლეთ რომის იმპერიას/ბიზანტიას გააჩნდა ზღვა, რომელიც აერთიანებდა სამ კონტინენტზე გადაჭიმულ პროვინციებს. მეტიც, ძლიერი ფლოტით ხერხდებოდა შორეული რეგიონების შემკრა ეკონომიკურად, ხოლო სამხედრო მოქმედებებისას – ჯარების სწრაფად გადაგზავნა, იქნებოდა ეს მცირე აზიიდან ევკიპტეში, თუ კონსტანტინოპოლიდან ჩრდილოეთ აფრიკის მიმართულებით.

ეს უპირატესობა სასანურ ირანს არ გააჩნდა, რაც გამუდმებით ქმნიდა პრობლემებს. გეოგრაფიული პარამეტრების ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ სასანური ირანის გეოგრაფიული დანაწევრება იმპერიის ტრადიციულად დაბალი დონის პოლიტიკური ცენტრალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. ქვეყნის შორეული ტერიტორიების ერთმანეთთან უკეთ შესაკავშირებლად სასანიანი მმართველები დიდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებდნენ.<sup>9</sup>

ალბათ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსახრება, რომ სასანიანებმა შექმნეს ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფო,<sup>10</sup> შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ იყოს მართალი. კავალი და მისი გაეთ, ხოსრო ანუშირვანი, წარმატებით ახორციელებდნენ რეფორმებს V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ ცენტრალიზაციისკენ და სამხედრო სიძლიერისკენ<sup>11</sup> წარმატებული ნაბიჯების მიუხედავად, იმპერიის შიგნით ცენტრალიზაციის საწინააღმდეგო ტენდენციები ყოველთვის არსებობდა. მაგალითად, ხოსრო II-ის წინააღმდეგ ორი დიდი გამოსვლა მოხდა, ბაჰრამ ხობინის და შემდეგ ვისტასპის მეთაურობით. ამის გარდა, არსად გამქრალან ის პაროული წარმოშობის ოჯახები, რომლებიც მართავდნენ ირანს ჯერ კიდევ არშაკიდების დინასტიის დროს.

მითო სასანიანების ცენტრალიზებული იმპერიის შესახებ, რომელიც ცნობილი მეცნიერის ა. ქრისტენსენის მიერ იყო ჩამოყალიბებული გადასახედია. ეს პოსტულატი გადასახედია არა მარტო იმიტომ, რომ (როგორც ამას პ. პურშარიატი ამტკიცებს<sup>12</sup>) ა. ქრისტენსენს არ მოუცია ახსნა იმისა, თუ რატომ

<sup>9</sup> K. Alizadeh. “Borderland Projects of Sasanian Empire: Intersection of Domestic and Foreign Policies”. in Journal of Ancient History 2(2). 2014, pp. 93–115.

<sup>10</sup> A. Christensen. L’Iran sous les Sassanides. Copenhague. 1944, pp. 92-136, 358-370.

<sup>11</sup> E. W. Sauer. J. Nokandeh. K. Pitskhelauri. H. O. Rekavandi. Innovation and Stagnation: Military Infrastructure and the Shifting Balance of Power Between Rome and Persia. in Sasanian Persia. Between Rome and the Steppes of Eurasia. ed. E. W. Sauer, pp. 241-263.

<sup>12</sup> P. Pourshariati. Decline and Fall of the Sasanian Empire. The Sasanian-Parthian Confederacy and the Arab Conquest of Iran. London. 2008, pp. 33-56. T. Daryae. “The Fall of the Sasanian Empire to the Arab Muslims: From Two Centuries of Silence to Decline and Fall of the Sasanian Empire: the Partho-Sasanian Confederacy and the Arab Conquest of Iran”. in Journal of Persianate Studies. 3. Leiden. 2010, pp. 239-254. T. Daryae. K. Rezakhani. The Sasanian Empire. in King of the Seven Climes. A History of the Ancient World (3000 BCE-651 CE). 2017, pp. 162-164.

ფიგურირებენ პართიული ოჯახები ასე ხშირად საომარი მოქმედებების ან შაპინშაპების კარზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის დროს, არამედ იმიტომაც, რომ იმპერიის გეოგრაფიული მახასიათებლები ხელს უწყობდა სახელმწიფოს დასუსტებას, პროვინციებში ცენტრალური ხელისუფლების გაფლენის შემცირებას და ა.შ.

### **სასანური ირანი, ბიზანტია და კონტინენტური ვაჭრობა**

მიუხედავად იმისა, რომ ზემომოყვანილი მსჯელობის მიხედვით, სასანური ირანის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა სამხედრო კუთხით საქმაოდ არა-სახარბიელო იყო, ერთი მიმართულება, რაშიც ირანელებს გვიან ანტიკურ ხანაში უპირატულობა გააჩნდათ, იყო ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზები.<sup>13</sup>

სასანური ირანის სიახლოვე ინდოეთის სუბკონტინენტთან მას მეტ უპირატულობას ანიჭებდა მარტივად მიეღწია ინდოეთის, თანამედროვე შრი-ლანკისა და, უნდა ვივარაუდოთ, უფრო აღმოსავლეთით მდებარე სავაჭრო პორტებამდე.<sup>14</sup> მეტიც, გარდა ამ გეოგრაფიული სიახლოვისა, ის სავაჭრო გზები (სახმელეთო თუ საზღვაო), რომელიც არსებობდა გვიან ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე მისაღწევად, სასანური ირანის ტერიტორიაზე გადიოდა.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ სასანური ირანის თითქმის პერმანენტული ექსპანსიის მცდელობების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გეოგრაფიული ფაქტორები იყო. თუმცა აქ დასამატებელი იქნება ასევე გაკონტროლების სურვილი სავაჭრო გზებისა, რომლებიც, ძირითადად, ირანის ზეგანის გარშემო არსებულ მდიდარ მიწებზე ან ზღვებზე გადიოდა. ერთ-ერთი ასეთი გზა ინდოეთიდან საარსეთის ყურეში და შემდეგ მდინარეებით მესოპოტამიაში იმპერიის დედაქალაქ ქტესიფონამდეც აღწევდა.<sup>15</sup>

სავაჭრო გზებზე სასანური ირანის დომინირება ქმნიდა პრობლემებს,

<sup>13</sup> Narkvevebi makhllobeli aghmosavletis istoriidan (peodaluri khana). V. N. Gabashvilis redaktsiit. Tbilisi. 1957, pp. 33-34 (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ვერდალური ხანა). ვ. გაბაშვილის რედაქციით. თბილისი. 1957, გვ. 33-34).

<sup>14</sup> Kh. Rezakhani. "The Road That Never Was: The Silk Road and Trans-Eurasian Exchange. in Comparative Studies of South Asia, Africa and the Middle East. 30 (3). 2010, pp. 420-433.

<sup>15</sup> E. Avdaliani. Romi, bizantia da saimperio tavdatviti sistema IV-VII saukuneebshi. Tbilisi. 2017, pp. 132-171 (ე. ავდალიანი. რომი, ბიზანტია და საიმპერიო თავდაცვითი სისტემა IV-VII საუკუნეებში. თბილისი. 2017, გვ. 132-171); J. Howard-Johnston. "The Grand Strategy of the Sasanian Empire". in Untersuchungen zu Geschichte und Kultur des Nahen Ostens und des östlichen Mittelmeerraumes im Altertum. Festschrift für Josef Wiesehöfer zum 65. Geburtstag. ed. C. Binder. H. Börm, A. Luther. Duisburg. 2016, pp. 591-613.

რადგან აღმოსავლური ვაჭრობა ბიზანტიელებისთვის მნიშვნელოვანი იყო.<sup>16</sup> ინდოეთიდან და (სავარაუდოდ) ჩინეთიდან ხმელთაშუა ზღვის პორტებამდე უამრავი საქონელი ჩადიოდა. ორი საგაჭრო გზა იყო აღსანიშნავი: პირველი – სახმელეთო, რომელიც უმეტესწილად სასახური ირანის ტერიტორიის გავლით გადიოდა; მეორე – საზღვაო, ინდოეთის ოკეანისა (ერიტრეის ზღვა, როგორც ის იყო ცნობილი რომაელი/ბიზანტიელი ვაჭრებისა და მოგზაურებისთვის) და წითელი ზღვით, სინაის ნახევარკუნძულის გავლით, კლისმას პორტამდე.<sup>17</sup> მეორე გზის არჩევის შემთხვევაში, ბიზანტიელ ვაჭრებს ასევე უწევდათ ტაბრობანებს (შრი-ლანკა) კუნძულამდე ჩაღწევა.<sup>18</sup> IV საუკუნიდან ბიზანტიელებს თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდათ ეთიოპის პორტებში და მარტივად აღწევდნენ არაბების ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაპირს. აქედან კი საქონელი ინდოეთიდან აღწევდა სირიისა და პალესტინის მნიშვნელოვან ქალაქებამდე.<sup>19</sup>

ვაჭრები წითელი ზღვის გავლით თანამედროვე სინაის ნახევარკუნძულთან პატარა კუნძულ იოტაბეს აღწევდნენ, რომლის გაკონტროლება საკმაოდ დიდ მოგებას იძლეოდა აღმოსავლეთან ვაჭრობაში.<sup>20</sup> კუნძულის გაკონტროლება საშუალებას აძლევდა ბიზანტიელებს ან იმპერიის მოკავშირე წინაისლამური ხანის არაბი ტომების ლიდერებს (ფილარხებს) კონტროლი დაწესებინათ ორ მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, რომელიც სამხრეთ არაბეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე მიდიოდა. პირველი, ჩრდილოეთ ჰიჯაზსა და პალესტინა სალუტარი-

<sup>16</sup> N. Pigulevskaâ. Vizantiâ na putâh v Indiû. Moskva-Leningrad. 1951, pp. 55-80 (Н. Пигулевская. Византия на путях в Индию. Москва-Ленинград. 1951, стр. 55-80); Neizvesnogo avtora «Peripl Èritrejskogo morâ». Tekst, perevod, kommentarij, issledovaniâ M. D. Buharina. Sankt-Peterburg. 2007, pp. 49-62 (Неизвестного автора «Перипл Эритрейского моря». Текст, перевод, комментарий, исследования М. Д. Бухарина. Санкт-Петербург. 2007, стр. 49-62); Anonimnyj Geografičeskij traktat «Polnoe opisanie vseleannoj i narodov». S. V. Polâkova. I. V. Felenkovskaâ. Vizantijskij vremennik. t. VIII, pp. 277-288 (Анонимный Географический трактат «Полное описание вселенной и народов». С. В. Полякова. И. В. Феленковская. Византийский временнник. т. VIII, стр. 277-288).

<sup>17</sup> J. H. Johnston. “The India Trade in Late Antiquity”, in Sasanian Persia Between Rome and the Steppes of Eurasia. Edinburgh. 2017, pp. 287. S. Sidebotham. “Northern Red Sea ports and their networks in the late Roman/Byzantine period”. in Byzantine trade, 4th-12th centuries: the archaeology of local, regional and international exchange: papers of the thirty-eighth Spring Symposium of Byzantine Studies. Oxford. 2009, pp. 329-352.

<sup>18</sup> N. Pigulevskaâ. Vizantiâ na putâh v Indiû, pp. 184-191 (Н. Пигулевская. Византия на путях в Индию, стр. 184-191).

<sup>19</sup> N. Pigulevskaâ. Vizantiâ na putâh v Indiû, pp. 184-191 (Н. Пигулевская. Византия на путях в Индию, стр. 184-191).

<sup>20</sup> E. Avdaliani. Romi, bizantia da saimperio tavdatviti sistema IV-VII saukuneebshi, pp. 125-131 (ე. ავდალიანი. რომი, ბიზანტია და სამბერიო თავდაცვითი სისტემა IV-VII საუკუნეებში, გვ. 125-131).

სის ტერიტორიებზე კონტროლის დაწესებით, ბიზანტიელებს მარტივად შეეძლოთ გადაეკეტათ საზღვაო გზები მეწამული ზღვის ორ პორტამდე – კლის-მასა და იალამდე,<sup>21</sup> მეორე საგაჭრო გზა ბოსრადან მექამდე მიემართებოდა.<sup>22</sup>

უფრო შორს, ოკეანეში, ბიზანტიელი ვაჭრები გვერდს ვერ უვლიდნენ სპარსელ მეზღვაურებს, რომელთა გემები მოლიანად აკონტროლებდა, როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე ეკონომიკურად, სპარსეთის ყურეს და ინდოეთთან მისასვლელ საზღვაო გზებს.<sup>23</sup> შესაბამისად, სასანიანების მიერ ინდოეთთან ვაჭრობის მონოპოლია იწვევდა ფასების მკვეთრ ზრდას აღმოსავლეთ რომის იმპერიაში იმპორტულ ნაწარმზე. ალტერნატიული გზის მოძებნა კი გამოიწვევდა ფასების დარეგულირებას.<sup>24</sup> რადგან აბრეშუმის და სხვა ძვირფასი ნივთის შეტანისთვის ბიზანტია რეალურად ვერ აცდებოდა სასანიანებს მესოპოტამიის თუ წითელი ზღვის საგაჭრო გზებით, კონსტანტინოპოლისთვის ერთ დროს ოპტიმალური გამოსავალი comites commerciorum-ების და ხმარებით შედარებით დაბალ ფასად ნაწარმის ყიდვა იყო.<sup>25</sup>

სასანიანები არანაკლებ იყვნენ დაინტერესებულები არსებული ეკონომიკური მდგომარეობით. მონოპოლია შორეულ აღმოსავლეთთან ან სამხრეთ აზიასთან ვაჭრობაში, შაპინშაპებს საშუალებას აძლევდა დამატებითი გადასახადები აეკრიფათ ხაზინის შესავსებად<sup>26</sup> და რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად ეწარმოებინათ ომი, რაც ყველაზე დიდი პრობლემა იყო ბიზანტიელების-თვის (კავადის /488-531 წწ./ მაგალითი ამ მხრივ თვალსაჩინოა, როდესაც ფულის ნაკლებობის გამო მას 502 წელს კონსტანტინოპოლითან ომის დაწყება მოუწია).<sup>27</sup>

შესაბამისად, სავსებით ლოგიკურია სასანიანების მცდელობები, ყველა ხერხით შეეჩერებინათ ბიზანტიელთა გავლენის გავრცელება არაბეთის ნახევარკუნძულზე. კონსტანტინოპოლის შიში, რომ ირანის საგაჭრო მონოპოლია საბოლოოდ არაბეთზე მისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებით დასრულდებოდა, გამართლდა, როდესაც ხოსრო ანუშირვანმა საკუთარი მმართველო-

<sup>21</sup> F. K. Haarer. Anastasius I: Politics and Empire in the Late Roman World. Cambridge. 2006, pp. 42-43.

<sup>22</sup> M. Sartre. Bostra: Des origines à l'Islam. Paris. 1985, pp. 127-128, 132-135.

<sup>23</sup> Procopius, 1914-1940: BP. 1.20.11-13.

<sup>24</sup> Z. Rubin. "Byzantium and Southern Arabia – the policy of Anastasius". in The Eastern Frontier of the Roman Empire. Vol. II. Oxford. 1989, p. 393.

<sup>25</sup> Z. Rubin. "Byzantium and Southern Arabia – the policy of Anastasius", pp. 393.

<sup>26</sup> J. Howard-Johnston. The India Trade in Late Antiquity. in Sasanian Persia. Between Rome and the Steppes of Eurasia. ed. E. W. Sauer. Edinburgh. 2017, pp. 284-298.

<sup>27</sup> G. Greatrex. Rome and Persia at War, 502-532. Leeds, pp. 7-42.

ბის ბოლო წლებში სამხედრო რაზმები გაგზავნა არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილის, იემენის დასაპყრობად.<sup>28</sup> ეს სამხედრო წამოწყება წარმატებით დასრულდა და სამხრეთ არაბეთი ისლამის გავრცელებამდე სასანიანთა იმპერიაში შედიოდა.<sup>29</sup>

როგორც ითქვა, გვიან ანტიკურ ხანაში ორი ძირითადი კონტინენტური საგაჭრო გზა არსებობდა. არსებობდა დამატებითი გზებიც, მაგალითად, საზღვაო გზა საპარსეითის ყურედან, შემდეგ სახმელეთო გზაში გადასული. ოუმცა ყველა შემთხვევაში სასანიანებს მომგებიანი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა გააჩნდათ და ბიზანტიულები დამოკიდებულები იყვნენ ირანელების კეთილგან-წყობაზე.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა ძირითადი სავაჭრო გზისთვის სირია-მცირე აზია საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა. იქ გროვდებოდა და ნაწილდებოდა ყველაფერი ის, რაც წითელი ზღვით, არაბეთის ნახევარკუნძულიდან და მესოპოტამიიდან მოდიოდა.

ჩვენ ზემოთ მიმოვიზილეთ გეოგრაფიული პირობების როლი, როგორც მთავარი მიზეზი სასანურ ირანსა და რომს/ბიზანტიას შორის წარმოებული ომებისა ჩრდილოეთ მესპოტამიასა და სირიაში. ოუმცა ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ხშირი ომების მიზეზი, შეიძლება, სირია-მესოპოტამიაში სავაჭრო გზების კონტროლის მცდელობებიც ყოფილიყო. ჩვენ უკვე ვახსენეთ სასანური ირანის მიერ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილის დაპყრობა, რომელიც ასევე მნიშვნელოვანი იყო ბიზანტიისთვის ინდოეთთან ვაჭრობისთვის. იემენის დაპყრობა კარგ მაგალითს წარმოადგენს იმისა, თუ როგორ ერწყმის სასანური ირანის ეკონომიკური ინტერესები საგარეო პოლიტიკას.

### **იმპერიები, ვაჭრობა და ეტაპები**

შედარებით მშვიდი V საუკუნის შემდეგ, ურთიერთობები სასანურ ირანსა და ბიზანტიის იმპერიას შორის 502 წლიდან ისევ დაიძაბა, როდესაც კავადმა საომარი მოქმედებები წამოიწყო. ხანმოკლე შესვენებებით ომი ორ იმპერიას შორის მთელი VI საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო აღრული ბიზანტიის იმპერიისთვის და სასანური ირანისთვის შორეულ ინდოეთთან ვაჭრობა. ორივე სახელმწიფოსთვის გეოპოლიტიკურად მშვიდი V საუკუნე დასავლეთ ჩინეთთან

<sup>28</sup> I. Gajda. Le royaume de Himyar à l'époque monothéiste: L'histoire de l'Arabie du sud ancienne de la fin du IV<sup>e</sup> siècle. Paris. 2009, p. 152.

<sup>29</sup> F. K. Haarer. Anastasius I: Politics and Empire in the Late Roman World, pp. 45-46.

და სამხრეთ აზიასთან ვაჭრობის გაზრდით იყო დახასიათებული, ხოლო ბიზანტიის იმპერიაში ნაწარმი, ძირითადად, სასანური ირანის ტერიტორიის გაფლით შედიოდა.

როგორც ჩანს, აღმოსავლეთთან ვაჭრობამ დიდ მასშტაბებს მიაღწია და გეოპოლიტიკურ იარაღად გადაიქცა. როდესაც 502 წელს კავადის მიერ დაწყებული ომი დასრულდა, სპარსელებმა ემბარგო დააწესეს ბიზანტია-ინდოეთის ვაჭრობაზე.<sup>30</sup> მომდევნო აოწლეულებში სპარსელები ხსნიდნენ გზებს, თუმცა, როგორც ჩანს, ფასები ნაწარმზე სასანიანების მიერ ხელოვნურად იყო გაზრდილი. შესაბამისად, ჯერ იუსტინე I-ის (518-527 წწ.), შემდეგ კი მისი მემკვიდრის იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო სასანური ირანის ტერიტორიის შემოვლითი გზების მონახვა, რომლითაც მოხერხდებოდა ინდოეთსა და ჩინეთამდე მიღწევა.

ინდოეთამდე ირანის შემოვლით მისვლა მხოლოდ ზღვით მოხერხდებოდა: იუსტინიანე 530-იან წლებში ეცადა წითელი ზღვის გავლით, არაბეთის ნახევარკუნძულის გარშემოვლით ინდოეთამდე და კუნძულ ტაპრობანემდე არსებული სავაჭრო გზა აღედგინა. ამისოვის კი საჭირო იყო ამ გზის გასწროვ არსებული ხალხების და ქვეყნების მომხრობა. ზუსტად ამით უნდა ავხსნათ 530-იან წლებში სირია-პალესტინასთან მცხოვრები წინაისლამური ხანის არაბი ჯაფნიდების აღზევება, როდესაც ისინი იუსტინიანეს წაქეზებით სირია-პალესტინაში სამხრეთიდან მომავალი სავაჭრო გზის დასაცავად თავდაცვით შენაერთებს განალაგებდნენ.<sup>31</sup> სამხრეთით საჭირო იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აქსეუმის სამეფოს (თანამედროვე ეთიოპია) თავის მხარეს გადაყვანა და შემდეგ წითელი ზღვის გადაღმა არსებული იემენის დამორჩილებაც, რადგან ინდოეთთან ვაჭრობა ამ ორი ქვეყნის ტერიტორიაზე და თანამედროვე ბაბ-ელ-მანდების სრუტეზე გადიოდა.

კონსტანტინოპოლის, პირველი წარმატებების მიუხედავად, საბოლოოდ მაინც არ გამოუვიდა სპარსელების წარმმართველი პოზიციების დასუსტება ინდოეთისკენ მიმავალ სამხრეთ ზღვებში.<sup>32</sup> კოზმა ინდიკოპლევსტი თავის „ქრისტიანულ ტოპოგრაფიაში“ ახსენებს, თუ როგორ კონკურენციას უწევდნენ სპარ-

<sup>30</sup> J. H. Johnston. “The India Trade in Late Antiquity”, Sasanian Persia Between Rome and the Steppes of Eurasia. Edinburgh. 2017, p. 284.

<sup>31</sup> E. Avdaliani. Romi, bizantia da saimperio tavadtsviti sistema IV-VII saukuneebshi, pp. 125-131 (ქ. ავდალიანი. რომი, ბიზანტია და სასანურით თავდაცვითი სისტემა IV-VII საუკუნეებში, გვ. 125-131).

<sup>32</sup> S. E. Sidebotham. Berenike and the Ancient Maritime Spice Route. Los Angeles. 2011, pp. 279-280.

სელი ვაჭრები<sup>33</sup> რომაელ ვაჭრებს კუნძულ ტაპრობანეზე.

კოზმას ნაშრომიდან ერთი სცენა განსაკუთრებით აღსანიშნავია, როდე-საც ის თავისი ნაცნობის, სახელად სოპატრუსის, ეთიოპის საპორტო ქალაქ ადულისიდან ტაპრობანემდე მოგზაურობას აღწერს, რომელიც, დაახლოებით, 510-იან წლებში უნდა მომხდარიყო.<sup>34</sup> ტაპრობანეზე სავაჭრო საქმიანობით გამგზავრებულს კონკურენცია გაუწია სპარსეთიდან წამოსულმა ასევე საგაჭრო გემმა. ეს ორი დელეგაცია მიიღო იმ ადგილების მთავარმა და წყაროდან ჩანს, რომ მოითხოვა დაემტკიცებინა, რომელი მათგანი იყო უფრო მეტად ძლიერი ფინანსურად. მთავარმა საბოლოოდ ბიზანტიური ნომისმა მოიწონა, რითაც სპარსელი ვაჭარი ფრიად დამწუხრებული დარჩა.<sup>35</sup>

ამასთან ერთად, VI საუკუნის განმავლობაში სასანიანი მმართველების მიერ გადადგმული მთელი რიგი ნაბიჯები მიმართული იყო კონსტანტინოპოლის ინდოეთამდე სავაჭრო გზების გაჭრის მცდელობების შეკავებისკენ. მაგალითისთვის, ხოსრო ანუშირვანმა განსაკუთრებით გააძლიერა თავისი წინაისლამური ხანის არაბი მოკავშირე ნასირიდები, ვისაც, გარდა უდაბნოს გავლით სირია-პალესტინაზე თავდასხმებისა, დიდი ალბათობით, ასევე დაევალათ სპარსეთის ყურედან გამავალი სავაჭრო გზების დაცვა.<sup>36</sup> სამხრეთი, ასევე ხოსროს დროს, მოხერხდა ომანზე, შემდეგ, 570-იან წლებში კი, იემენზე სპარსული ძალაუფლების გავრცელება.

ხოსროს და მანამდე სხვა სასანიანი მმართველების დაპყრობითი ომები დიდწილად მიმართული იყო ერთი მიზნისაკენ: მყარად გაეკონტროლებინათ ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე მიმავალი სავაჭრო გზები. რადგან სავაჭრო გემბი ჩერდებოლნენ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილის და აფ-რიკის სანაპიროებზე, საჭირო იყო უშუალოდ ამ რეგიონების ხელში ჩაგდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხოსრო ანუშირვანის მმართველობის დასასრულისთვის, სასანიანები სრულად აკონტროლებდნენ სპარსეთის ყურეს, არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილს და ინდოეთის სანაპიროებზე არსებულ პორტებში დიდი რაოდენობით სავაჭრო გემები გააჩნდათ.

VI საუკუნეში ჩვენ მოწმენი ვხდებით იმისა, რომ საომარი მოქმედებები შორეულ ფლანგებზე ორი იმპერიის პერიფერიებზე გადადის. ეს არ ნიშნავდა

<sup>33</sup> Cosmas Indicopleustes. Book. XI, p. 365.

<sup>34</sup> Cosmas Indicopleustes. Book. XI, pp. 369-370.

<sup>35</sup> Cosmas Indicopleustes. Book. XI, p. 370.

<sup>36</sup> C. Morley. “The Arabian Frontier: A Keystone of the Sasanian Empire”, Sasanian Persia Between Rome and the Steppes of Eurasia. Edinburgh. 2017, pp. 275-276.

იმას, რომ მესოპოტამია აღარ წარმოადგენდა მნიშვნელოვან საომარ თეატრს. პირიქით, რეგიონი რჩებოდა ყველაზე მილიტარიზებულ ტერიტორიად და ხშირად იქ მიღწეული სამხედრო წარმატება გადამწყვეტი იყო ამა თუ იმ ზავის დადგებისთვის. VI საუკუნე გვიან ანტიკური ხანის ის პერიოდია, როდე-საც ბრძოლები იმპერიებს შორის მოიცავდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთს, შავი ზღვისპირეთს, დიპლომატიურ ბრძოლებს თანამედროვე ცენტრალურ აზიასა და ევრაზიის სტეპებში. ამის მიზეზი კი პირდაპირი სამხედრო-სტრა-ტეგიული მიზნების მიღწევის გარდა, ასევე იყო საჭიროება დაუფლებოდნენ დიდი ფინანსური მოგების მომტან ტრანსკონტინენტურ სავაჭრო გზებს.

იუსტინიანეს მცდელობები, სამხრეთ ინდოეთამდე საზღვაო გზა აემუშავებინა, წარუმატებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, კონსტანტინოპოლის დიპლო-მატიის დღის წესრიგში აბრეშუმის და სხვა ძვირფასი პროდუქციის მოსაზი-დად ცენტრალურ აზიამდე და ჩინეთამდე მიმავალი აღტერნატიული სავაჭრო გზების მოძიების საკითხი საკმაოდ მწვავედ დადგა.

### ომები დასავლეთ საქართველოს გარშემო და იმპერიების უკონომიკური ინტერესები

VI საუკუნე ასევე განსაკუთრებული დაბაბულობით იყო დახასიათებუ-ლი ორი იმპერიის მეორე პერიოდიაზე – სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი დასავლეთ საქართველოში, სადაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლო-ბაში საომარი მოქმედებები თითქმის არ შეწყვეტილა.<sup>37</sup>

ამ საომარი მოქმედებებიდან აღსანიშნავა ლაზიკის ომი, ან, როგორც ის ხშირად არის ცნობილი – „დიდი ომიანობა“ ეგრისში. ასევე მნიშვნელო-ვანია ბრძოლა სვანეთის გარშემო VI საუკუნის მეორე ნახევარში. ომი ლა-ზიკაში სათანადო არის განხილული ქართულ ისტორიოგრაფიაში. გაანა-ლიზებულია ომის დაწყების მიზეზები, საომარი მოქმედებების მსვლელობა, მოლაპარაკებები, ომის შედეგები, წერილობით წყაროებში ნახსენები თავდაც-ვითი ნაგებობების ადგილმდებარეობა და ფიზიკური გეოგრაფიის როლიც კი 541-562 წლებში წარმოებულ ომში.

ლაზიკა თავისი ადგილმდებარეობით ორი იმპერიისთვის ცალსახად მნიშ-ვნელოვანი იყო. კონსტანტინოპოლისთვის ის იყო ფორპოსტი სამხრეთ კავკა-სიაში, კერძოდ კი იბერიაში, ბიზანტიური გავლენის გასავრცელებლად. მაგა-

<sup>37</sup> Procopius. BP. I. 11; A. A. Vasiliev. Justin the First. An Introduction to the Epoch of Justinian the Great. Harvard. 1950, pp. 267-268.

ლითად, როდესაც სპარსელები კავალის მმართველობაში ცდილობდნენ იბერიელებში ზოროასტრიზმის ძალით გავრცელებას და იბერიის მეფე გურგენი იმულებული იყო დახმარებით მიემართა კონსტანტინოპოლისთვის, იუსტინემ მიღლო გადაწყვეტილება იბერიის დასახმარებლად ლაზიკიდან სამხედრო ძალა გაეგზავნა.<sup>38</sup>

წმინდა სამხედრო კუთხით რეგიონი მნიშვნელოვანი იყო კავკასიონის გადასასვლელების გაკონტროლებისთვის, ისევე როგორც თანამედროვე აფხაზეთის სანაპიროდან რუსეთის ტერიტორიაზე გასასვლელი დერეფნის დამორჩილებისთვის. ლაზიკის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მცირე აზიის ზღვის სანაპიროზე არსებულ ბიზანტიურ პორტებამდე სამხედრო გემების გაზავნის საშუალებას იძლეოდა. მეტიც, ლაზიკიდან ზღვით პოტენციურად შესაძლებელი იყო იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლიამდე მიღწევა. ლაზიკის გაკონტროლებით ასევე მარტივდებოდა სამხედრო მოქმედებებისას უშუალოდ მცირე აზიაში, ბიზანტიის საზღვრებში შეჭრა. გეოგრაფიული ბარიერების კუთხით, ლაზიკა შედარებით მეტად იყო დაკავშირებული მცირე აზიასთან, ვიდრე ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით არსებულ ტერიტორიებთან. მთანი ლანდშაფტი და ზღვა ლაზიკის ერთგვარ გეოგრაფიულ იზოლაციას განაპირობებდა.

ლაზიკასთან ერთად, სვანეთის საკოთხიც ხშირად განიხილებოდა ორი იმპერიის VI საუკუნის მეორე ნახევრის დიპლომატიურ ურთიერთობებში. სვანეთი კავკასიონის გადასასვლელების გამო იყო მნიშვნელოვანი, რაც კარგად არის ნაჩვენები მენანდრე პროტიქტორის ნაშრომში. მენანდრესთან ისიც ჩანს, თუ როგორ ცდილობდნენ სასანიანები დიპლომატიურ მოლაპარაკებებში მიეჩქმალათ სვანეთის მნიშვნელობა.<sup>39</sup> ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ VI საუკუნის სვანეთი, როგორც ეს წყაროებიდან ჩანს, უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავდა ვიდრე ეს დღეს არის. მაგალითად, სტრაბონის მიხედვით, სვანებს წარმოუდგენლად დიდი ლაშქრის, 200 ათასი მეომრის გამოყვანა შეეღლოთ.<sup>40</sup> მენანდრე პროტიქტორის მიხედვით, სვანებს განაგებდა მთავარი, რომელიც ლაზებს ემორჩილებოდა.<sup>41</sup> კავკასიონის გადასასვლელების გარდა, ორი

<sup>38</sup> Procopius. BP. I. 12.

<sup>39</sup> Menander Protector. The History of Menander the Guardsman. ed. and trans. R. C. Blockley. Liverpool. 1985. Fragment 6,1, p. 81.

<sup>40</sup> სტრაბონი. გეოგრაფია. თბილისი. 1957. XI. 2. 19.

<sup>41</sup> Menander Protector. The History of Menander the Guardsman. ed. and trans. R. C. Blockley. Liverpool. 1985. Fragment 6,1, p. 79.

იმპერიის სვანეთით ასეთი დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იქ ოქროს<sup>42</sup> საბადოების არსებობა ყოფილიყო<sup>43</sup>.

პროკოპი კესარიელთან აღწერილი ლაზების ელჩობის სიტყვა ბევრ დეტალს გვამცნობს იმის შესახებ, თუ როგორ ესმოდათ ლაზებს (დიდი ალ-ბათობით, ასევე სპარსელებს და ბიზანტიელებს) დასავლეთ საქართველოს და მეზობლად არსებული სვანეთის მნიშვნელობა, როდესაც მათ ხოსრო ანუშირვანისთვის მიუმართავთ:

„სპარსეთის ძალას თქვენ შექმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატის მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწაწყალი. თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდევ საფარის წარმოადგენდა. მაშ, როდესაც სამართლიანობა გიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული“<sup>44</sup>

ისტორიკოსები წყაროს ამ ამონარიდს ხშირად იყენებენ ლაზიკის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ახსნისთვის. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს მოსაზრებები არ არის მოკლებული სიმართლეს. ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ლაზიკისა და სვანეთის ზემოთ აღწერილი სტრატეგიული მნიშვნელობა VI საუკუნეში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სპარსელების და ბიზანტიელების გრძელვადიან სამხედრო და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ლაზიკის და სვანეთის „პროკოპისული“ სტრატეგიული მნიშვნელობა უდავოდ იყო გათვალისწინებული.

თუმცა აკადემიურ ლიტერატურაში ლაზიკის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიმდინარე დისკურსი, ძირითადად, შემოიფარგლება კავკასიონის გადასასვლელების გაკონტროლების მნიშვნელობით და რომ საქართველოს დასავლეთ ნაწილიდან მარტივი იყო კონსტანტინოპოლამდე ზღვით მისვლა.

<sup>42</sup> G. Gozalishvili. Lazikis sagareo urtietoba meekvse saukuneshi. Tbilisi. 1973, p. 11 (გ. გოზალიშვილი. ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მექქეს საუკუნეში. თბილისი. 1973, გვ. 11).

<sup>43</sup> G. Gasviani. bizantia-iranis brdzola egris-svanetis gamo. Kartuli diplomatiia. T. 2. Tbilisi. 1995, pp. 143-144 (გ. გასვიანი. ბიზანტია-ირანის ბრძოლა ეგრის-სვანეთის გამო. ქართული დისკუსია. ტ. 2. თბილისი. 1995, გვ. 143-144).

<sup>44</sup> Georgika. t. II. Tbilisi. 1965, pp. 80-81 (გეორგიკა. ტ. II. თბილისი. 1965, გვ. 80-81).

ჩვენი აზრით, ღაზიკასა და სვანეთისთვის წარმოებული ომები, სამხედრო საკითხების გარდა, ასევე იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში ორ სახელმწიფოს შორის გამართული ეკონომიკური პაქტების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ზემოთ ითქვა, ეს ბრძოლა გლობალურ, ტრანსკონტინენტურ სავაჭრო გზებზე იმპერიებისთვის საჭირო (ხშირად ძვირადლირებული) პროდუქციის მოსაპოვებლად მიმდინარეობდა.<sup>45</sup> როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, არის საკმაოდ ბევრი მინიშნება იმაზე, რომ ბიზანტიაში VI საუკუნეში იყო მცდელობები ღაზიკით მომხდარიყო ცენტრალურ აზიასთან დაკავშირება, რათა იქიდან მომხდარიყო სასანიანების მიერ სხვა მიმართულებებზე დაბლოკილი აბრეშუმის შემოტანა.

ამას მივყავართ საკითხამდე, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ღაზიკის როლი, როგორც ევრაზიის სტეპურ ზონასთან დამაკავშირებელი ტერიტორია, ნაკლებად განიხილება. კავკასიონის ქედი ნამდვილად იყო მნიშვნელოვანი ბარიერი, მაგრამ ხალხთა დიდმა გადასახლებამ აღმოსავლეთ ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ წრებში გააჩინა საჭიროება მეტი ინფორმაცია მოეძიებინათ სტეპებში ახალი მომთაბარე ხალხების შესახებ, რათა ახალი პოლიტიკური ალიანსები შეექმნათ თავიანთ საზღვრებოან, კერძოდ დუნაისპირეთში, მოსული მტრების განადგურებისთვის. ამ მხრივ ღაზიკა მნიშვნელოვანი იყო ჩრდილოეთში ბიზანტიური ელჩობების გასაგზავნად, მომთაბარე მეთაურების და სავაჭრო მოლაპარაკებებისთვის მოსული ელჩობების გასატარებლად, ინფორმაციის მოძიებისთვის და ა.შ.

საინტერესოა სასანური ირანის პოზიციაც VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოსთან მიმართებით. აქ საინტერესო ტენდენცია იკვეთება დასავლურ და ქართულ ისტორიოგრაფიაში: სპარსეთის ონტერესები ბიზანტიური პოლიტიკის პრიზმაშია გატარებული. მიზეზი თითქოს ნათელია: ჩვენ არ გაგვაჩნია სასანიანების მიერ შექმნილი წერილობითი წყაროები შავი ზღვისპირეთში მათი პოლიტიკური ხედვის გასაგებად. ამიზომაც, ჩვენი აზრით, ღაზიკის და სვანეთის გარშემო სასანიანების ქმედებები მაინც იმ საერთო გეოპოლიტიკურ სურათში უნდა განიხილებოდეს, რომელიც მთელი VI საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა.<sup>46</sup> ჩვენ მცირე ინფორმაცია მოგვეპოვება სასანუ-

<sup>45</sup> G. Gozalishvili. Lazikis sagareo urtiertoba meekvse saukuneshi, p. 10 (გ. გოზალიშვილი. ლაზიკის საგრეჯო ურთიერთობა მეექვე საუკუნეში, გვ. 10); Š. Dil'. Ustинian i vizantijjskajā cilivizaciā v VI veke. Sankt-Peterburg. 1908, p. 544 (Ш. Диль. Юстиниан и византийская цивилизация в VI веке. Санкт-Петербург. 1908, стр. 544).

<sup>46</sup> Procopius. BP. II. 28.

რი ირანის ეკონომიკის და, მთო უფრო, ეკონომიკური პოლიტიკის გასაანალიზებლად. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ თითოეული მცირე ცნობა, რომელიც ბიზანტიასა და სასანურ ირანს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხება უნდა წამოიწიოს წინ, რათა უკეთ გავერკვეთ სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში სპარსეთის ეკონომიკურ ინტერესებში.

საქართველოს შავიზღვისპირეთი ოდიოგანვე იყო ჩართული სხვადასხვა მცირე და, სავარაუდოდ, საშუალო ზომის სავაჭრო ქსელში, რომელიც ძვ. წ. II საუკუნეში აძრეშუმის დიდი გზის შექმნას მოჰყვა. მაგალითად, ახ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიოს რუკა, ცნობილი როგორც *Tabula Peutingeriana*, მიუთითებს ბევრ გზაზე, რომელიც არსებობდა იმ პერიოდში და მოძინარეობდა ირანიდან და არმენიდან თანამედროვე თბილისის ტერიტორიისკენ, ხოლო დასავლეთით კი – დიოსკურია-ფაზისამდე.<sup>47</sup> შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუკაზე ასახული გზების ნაწილი მხოლოდ სამხედრო მიმართულებებს არ ასახავდა, არამედ სავაჭრო გზებსაც.

მდინარეები მტკვარი და რიონი აღმოსავლეთ საქართველოდან შავიზღვისპირეთში სავაჭრო ნაწარმის გადატანაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.<sup>48</sup> სტრაბონი ფაზის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად მოიხსენიებდა.<sup>49</sup>

ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ახ. წ. პირველ საუკუნეებში არსებოდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც ცენტრალური აზიადან გამოდიოდა, კვეთდა კასპიის ზღვას და საქართველოს ტერიტორიით შავ ზღვას აღწევდა. აღნიშნული გზის არჩევა იმ პოლიტიკური ვითარებით იყო<sup>50</sup>

<sup>47</sup> S. T. Eremân. «Torgovye puti Zakavkazâ v èpohu Sasanidov po Tabula Peutingeriana». *Vestnik Drevnej Istorii*. I (6). M. 1939, pp. 79-97 (С. Т. Еремян. «Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов по Tabula Peutingeriana». Вестник Древней Истории. I (6). М. 1939, стр. 79-97).

<sup>48</sup> S. Perevalov. «Bez posrednichestva persov». *Kaspjisko-Pontijskij učastok Velikogo Šelkovogo puti v drevnosti*. Drevnejšie gosudarstva Vostočnoj Evropy-2009: Transkontinental'nye i lokal'nye puti kak sociokul'turnyj fenomen. M. 2010, pp. 118–136 (С. Перевалов. «Без посредничества персов». Каспийско-Понтийский участок Великого Шелкового пути в древности. Древнейшие государства Восточной Европы-2009: Трансконтинентальные и локальные пути как социокультурный феномен. М. 2010, стр. 118–136).

<sup>49</sup> G. Gozalishvili. Lazikis sagareo urtiertoba meekvse saukuneshi, p. 10 (გ. გოზალიშვილი. ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში, გვ. 10).

<sup>50</sup> D. Muskhelishvili. peodaluri khanis sakartvelos da amierkavkasiis mnishvneloba saertashoriso vachrobashi IV-XIII s.s.). Tsiskari. N11. 1970, pp. 127-137 (დ. მუსხელიშვილი. ფეოდალური ხანის საქართველოს და ამერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში IV-XIII ს.ს.). ცისკარი. 11. 1970, გვ. 127-137); M. Tezdzan. «Torgovlâ s vostokom v èllinisticheskij i rimskej periody i bor'ba za vostočno-zapadnû torgovlû na Kavkaze». «Kavkaz i globalizaciâ». t. №6. 2012, pp. 146-147 (М. Тезджан. «Торговля с востоком в эллинистический и римский периоды и борьба за восточно-западную торговлю на Кавказе». «Кавказ и глобализация»). t. №6. 2012, стр. 146-147).

გამოწვეული, რომელიც იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში იყო შექმნილი: საგარაუდოდ, პართელი ვაჭრების მცდელობები რომის-ჩინეთის სავაჭრო მონოპოლია ჩაეგდოთ ხელში. ბევრი მგელეგარი მიიჩნევს, რომ ინფორმაცია, რომელიც მოგვეპოვება ჯერ სტრაბონთან<sup>51</sup> და შემდეგ პლინიუს უფროსთან<sup>52</sup> უფრო იმ გზებს აღწერს, რომლებიც პოტენციურად შეიძლებოდა ამუშავებულიყო და არა უკვე არსებულ სავაჭრო მარშრუტებს. გეოგრაფიული დისტანცია კასპიის აღმოსავლეთ სანაპიროდან (ზღვის პირდაპირი გადაკვეთით) მდ. მტკვარამდე, დაახლოებით, 350 კილომეტრს შეადგენს. ეს თავისთავად არ წარმოადგენდა დიდ მანძილს, თუმცა კასპიის ზღვის გავლით სავაჭრო გზის არსებობას ბევრი ეჭვით უყურებს. ტრანსკასპიური ვაჭრობა ნიშნავს იმას, რომ კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე საქამაოდ დიდი სავაჭრო ცენტრები უნდა არსებულიყო და ყველა საშუალება დიდი კომერციული ფლოტის შესაქმნელად. აქ ჩვენ არ დავიწყებთ სხვადასხვა მოსაზრების დეტალურ განხილვას,<sup>53</sup> თუმცა ერთი რამ აღსანიშნავია, ვაჭრობა კასპიის ზღვაში არაბულ ეპოქაში საკმაოდ ფართო მასშტაბებს მოიცავდა. საკსებით შესაძლებელია, რომ მსგავსი ვითარება რომაულ-ბიზანტიურ ხანაშიც ყოფილიყო.

სავარაუდოა, რომ სავაჭრო პორტები ფაზისი და სებასტოპოლისი მდინარეებით სამხრეთით არსებულ დიდ ქალაქებთან იყო ეკონომიკურად დაკავშირებული. მათ შორის აღსანიშნავია არტაშატი, საიდანაც სავაჭრო გზა ირანის ზეგანის ცენტრს, ეკბატანს აღწევდა. IV საუკუნეში არტაშატი სასანიანებმა დაიპყრეს. მომდევნო საუკუნეში კი ბიზანტიის მიერ კონტროლირებად არმენიაში ქალაქი დვინი დაწინაურდა, როგორც ჩრდილოეთის (საქართველოს) მიმართულებით გამავალი სავაჭრო გზის საკვანძო წერტილი. მართლაც, მოგვიანებით უკვე VI საუკუნეში პროკოპი წერს, რომ იბერიის სამხრეთით, არმენიაში, კერძოდ კი დვინში, დიდი სავაჭრო საქმიანობა იყო გაჩა-

<sup>51</sup> Straboni. Geographia. XI. 7. 3, II. 1. 15 (სტრაბონი. გეოგრაფია. XI. 7. 3, II. 1. 15).

<sup>52</sup> Gaj Plinij Sekund Staršyj. Per. G. A. Taroâna. M. 2007, VI. 52 (Гай Плиний Секунд Старший. Пер. Г. А. Тарояна. М. 2007, VI. 52).

<sup>53</sup> T. Dundua. transkavkasiuri gzs shesakheb. Sakartvelos udzvelesi da dzveli istoriis narkvevebi. Damateba. Tbilisi. 2019, pp. 28-38 (თ. დამათება. ტრანსკავკასიური გზის შესახებ. საქართველოს უველებელი და დველი ისტორიის ნარკვევები. დამატება. ობიექტი. 2019, გვ. 28-38); Z. I. Ampol'skij. «K izucheniju drevnego puti iz Kaspinskogo morâ po reke Kure čerez Gruziû k Černomu morû». Istorii institutis shromebi. T. II. Tbilisi. 1956, pp. 161-180 (З. И. Ямпольский. «К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю». Истории института шромеби. Т. II. Тбилиси. 1956, გვ. 161-180); Istorii institutis shromebi. T. II. Tbilisi. 1956, pp. 152-160 (G. K. Gozališvili. «O drevnem torgovom puti v Zakavkaze». Г. К. Гозалишвили. «О древнем торговом пути в Закавказье». Истории института шромеби. 1956, გვ. 152-160).

დებული. ამის მიზეზი იყო ქალაქის და რეგიონის აქტიური ვაჭრობა ინდო-ეთოან და იბერიასთან.<sup>54</sup> შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იბერია დაკავშირებული იყო სამხრეთ აზიის სავაჭრო მაგისტრალებთან.

აქ ისიც უნდა ვთქვაოთ, რომ სამხრეთ კავკასიაში სავაჭრო გზების არ-სებობასთან დაკავშირებით მკვლევრები ორ უკიდურეს აზრამდე მიდიან. ერთნი ამტკიცებენ სამხრეთ კავკასიაში მსხვილი სავაჭრო გზების არსებობას, ხოლო მეორენი კი საპირისპიროს. მაგალითად, ბრიტანელი მკვლევარი დ. ბრაუნდი მიიჩნევს, რომ ცენტრალური სავაჭრო გზების გავლა სამხრეთ კავკასიაზე როული იქნებოდა გეოგრაფიული ბარიერების გამო<sup>55</sup>.

თავიდანვე უნდა ვთქვაოთ, რომ იქნება ეს აბრეშუმის დიდი გზა თუ შე-დარებით მცირე მასშტაბების მქონე სავაჭრო მარშრუტები, ისინი არ წარმო-ადგენდნენ სტატიკურ (პერმანენტულ) სავაჭრო გზებს. რა თქმა უნდა, ძირი-თადი სავაჭრო დერეფნები არსებობდა, თუმცა მახლობელ ადმოსავლეთში არ-სებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, დროისთვის შესაძლებელი იყო ტრადიციული მიმართულებების შეცვლა. მაგალითად, ჩვენ იმის მომსწრენიც გავხდით, როდესაც პართელების დროს და მოგვიანებით VI საუკუნეში, სახ-მელეთო ან ხმელთაშუა ზღვის და ინდოეთის ოკეანის სავაჭრო მარშრუტები გადასინჯვას ექვემდებარებოდა.

შესაბამისად, გადაჭრით იმის თქმა, რომ მნიშვნელოვანი სავაჭრო გზე-ბი გადიოდა ან არ გადიოდა სამხრეთ კავკასიაზე, ვფიქრობთ არ იქნება მარ-თებული. უფრო უნდა ვივარაუდოთ ის, რომ საქონლის მოძრაობის ინტენსი-ვობა ცვალებადი იყო. ის, დიდი ალბათობით, მატულობდა მაშინ, როდესაც დიდ გეოპოლიტიკურ კატაკლიზმებს ჰქონდა ადგილი: ბიზანტიურ-სპარსულ ომებს, რომელსაც ხშირად მოყვითალი საზღვრების და ტრადიციული სავაჭ-რო გზების გადაკეტვა და ემბარგო პროდუქციაზე.

ამავდროულად, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მშვიდ პერიოდში (მაგალი-თად, V საუკუნეში), როდესაც ორ იმპერიას შორის ხანგრძლივი ომები არ მიმდინარეობდა, სამხრეთიდან ლაზიკამდე არსებული გზები არ უუნიკიონი-რებდა. არქეოლოგია ბევრ შემთხვევაში ვერ გვეხმარება, რადგან საქონლის უმეტესობა, რომელსაც ატარებდნენ ლაზიკამდე ან ლაზიკიდან შემდეგ ბიზან-ტიის მცირე აზიის პორტებამდე, არ იყო მდგრადი და მისი მიწაში გრძელვა-დიანი შენახვის შანსი საკმაოდ მცირე იყო.

<sup>54</sup> Procopius. BP. II. 25.

<sup>55</sup> D. Braund. Georgia in Antiquity: A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 BC – AD 562. Oxford. 1994, pp. 40-41.

სასანური ირანის დაინტერესება ლაზიკით,<sup>56</sup> წმინდა სამხედრო ონტერესების გარდა, ასევე დაფუძნებული უნდა ყოფილიყო იმპერიის ეკონომიკურ ექსპანსიაზე, სურვილზე დაუფლებოდა სავაჭრო გზებს, რომელიც მისი ღარიბი შუაგულის – ირანის ზეგანის – გარშემო ტერიტორიებზე გადიოდა. სასანიანი მმართველები ხედავდნენ, რომ ლაზიკის ტერიტორიიდან ისინი გადიოდნენ შავი ზღვის აუზის სავაჭრო ბაზარზე, რომელიც ყირიმის ნახევარკუნძულს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილს მოიცავდა. ლაზებზე საუბრისას პროკოპი კესარიელი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ისინი პონტოში მცხოვრებ რომაელებთან ვაჭრობდნენ და რომ მათ ტყავ-საფარები, ტყავები და მონები გააჩნდათ.<sup>57</sup>

აქ კიდევ ერთი საინტერესო საკითხი იჩენს თავს. მკვლევრების მცდელობები, რომ სასანიანთა ონტერესები ლაზიკაში მხოლოდ სამხედრო კუთხით დაინახონ, პროკოპის ცნობას გემების აგების შესახებ პირდაპირ სიმართლედ წარმოაჩენს. ხოლო კოთვა, თუ რამდენად შესაძლებელი იყო სპარსელებს სამხედრო ფლოტი<sup>58</sup> შეექმნათ შავ ზღვაში, ამის გაანალიზება ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად ხდება.

ტრადიციული დისკურსი შემდეგი სახისაა: პროკოპისთან, მის მიერ შემოთავაზებულ ლაზთა სიტყვაში, რომელიც ჩვენ მიერ ზემოოთ იყო მოყვანილი, ნათელი ხდება (და ეს ისტორიოგრაფიაშიც მიღებულია), რომ სპარსელებს ლაზიკა სამხედრო ფლოტის შექმნისთვის სჭირდებოდათ. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ VI საუკუნის 40-იანი წლებისთვის სასანიანებს ზღვაში სამხედრო ხომალდების გამოყენების საკმაოდ მწირი გამოცდილება ჰქონდათ. მეტიც, ჩვენ არ გაგვაჩნია რაიმე პირდაპირი ცნობა სპარსელების მიერ სპეციალური სამხედრო ფლოტის შექმნის თაობაზე. წყაროებში არის ცნობები, რომ სასანიანებმა გამოიყენეს ფლოტი წინასილამური ხანის არაბების წინა-აღმდევ სპარსეთის ყურეში III და IV საუკუნეებში. მოგვიანებით ხოსრო ანუშირვანმა იემნის დასაპყრობად 8 გემი გაგზავნა, ჯამში 800 კაცით. თუმცა მსგავსი სამხედრო ოპერაციების ჩატარებაც პირდაპირ არ უნდა მეტყველებდეს სპარსეთში სამხედრო ფლოტის არსებობაზე, რადგან ადამიანების ტრანსპორტირებისათვის მარტივად შეიძლებოდა სავაჭრო გემების გამოყენება. მართლაც, როდესაც საქმე ბიზანტიის იმპერიასთან პირდაპირ საზღვაო შეტაკებამდე მიდიოდა, სასანიანები ბოსფორის სრუტის გადალახვასაც ვერ ახერხებდნენ, რო-

<sup>56</sup> Procopius. BP. II. 15, II. 28.

<sup>57</sup> Procopius. BP. II. 28.

<sup>58</sup> Procopius. BP. II. 29.

გორც ეს VII საუკუნეში ხოსრო II-ის დროს მოხდა.

თავისთავად, ეს არ უნდა გამორიცხავდეს იმას, რომ სასანიანებს მართლაც ჰქონდათ განზრასული რაიმე სახის სამხედრო ფლოტი აეგოთ პეტრას ციხე-სიმაგრეში გამაგრების შემდეგ. თუმცა არანაკლებ შესაძლებელია, რომ იუსტინიანე<sup>59</sup> უფრო შეშინებული იყო სპარსელების მცდელობებით შავ ზღვაში კონკურენტუნარიანი სავაჭრო ფლოტი გამოყვანათ.

ბიზანტიულებს ერთგვარი ეკონომიკური მონოპოლია ჰქონდათ დაწესებული აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში. ბიზანტიულები სპეციფიკურ კომერციულ პოლიტიკის ატარებდნენ ლაზიკის მიმართ, რაც ლაზების უგმაყოფილებას იწვევდა. ეს წუხილი კარგად არის ასახული ხოსროსთან მისული ლაზი ულჩობის სიტყვაში, როდესაც ბიზანტიულების მიერ ლაზი მეფის დაკნინების ამბის მოყოლის შემდეგ ლაზები შაპინშაპს ატყობინებდნენ:

„მ აზრით, რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი, მეფევ, რანაირ დასკრამდე მიგიდნენ: რაც კი საჭირო საგნებიდან მათვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ; ხოლო, რაც მათვის საჭირო საგნებიდან ლაზიკას შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობდნენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან შხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თითოეულ შემთხვევაში წესდება მმართველობა აზრისდა მიხედვით. ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვარომევენ მთელ ოქროსაც, და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს, საქმით კი ისინი გვმძლავრობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრილმანე, რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის“.<sup>60</sup>

ბიზანტიის ეს პოლიტიკა, როგორც ამას ს. ყაუხჩიშვილი მართებულად აღნიშნავს, არ შეიძლება მხოლოდ კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილ არა-სანდო სტრატეგოსებს დაბრალდეს.<sup>61</sup> ჩვენ აქ საქმე უფრო ფართომასშტაბიან ფენომენთან გვაქვს, რომელიც გავრცელებული იყო იუსტინიანეს დროინდელ ბიზანტიაში. მონოპოლიის დაწესება, როგორც წესი, ხორციელდებოდა იმპერიისთვის მნიშვნელოვან პორტუციაზე და იმპერიის სტრატეგიულად მნიშვნელოვან პორტებში. ლაზიკის სანაპირო სწორედ ასეთ რეგიონს წარმოადგენდა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მონოპოლია გადაეცემოდა სპეციალურ სავაჭრო კორპორაციებს, რომელნიც მოგების მომატების მიზნით საგრინობლად უმატებდნენ ფასებს. შესაძლებელია, რომ მსგავს ორგანიზაციას გადაეცა სა-

<sup>59</sup> Agathias. The Histories. Trans. J. D. Frendo. Berlin-New York. 1975. II. 18. 7-8, pp. 52.

<sup>60</sup> Procopius. BP. II. 15.

<sup>61</sup> Georgika. T. II. Tbilisi. 1965, p. 78-80 (გეორგიკა. ტ. II. ობილის. 1965, გვ. 78-80).

გაჭრო მონოპოლია ლაზიკაში<sup>62</sup>.

იუსტინიანეს მთელი მმართველობა დახასიათებული იყო უმკაცრესი პოლიტიკით, რომელიც მიმართული იყო იმპერიის საზღვრებს გასწვრივ გადასახადების მაქსიმალური აკრეფით<sup>63</sup>, ბრძოლით ადმინისტრაციის ეფექტურობის ასამაღლებლად და ა.შ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაზიკაში სასანური ირანისთვის გაწეული მრავალათწლიანი წინააღმდეგობის ერთ-ერთი მიზეზი ბიზანტიისთვის ეკონომიკური სარგებლიანობის შენარჩუნების სურვილი იყო.

### ლაზიკა და უვრაზის სტეპები VI საუკუნეში

საბაბი ლაზიკაში კონფლიქტის წამოსაწყებად 520-იან წლებში, კავადის მმართველობაში შეიძლება მეცე წათეს კონსტანტინოპოლში გამგზავრება და გაქრისტიანება ყოფილიყო.<sup>64</sup> თუმცა მომდევნო ათწლეულებში ლაზიკისთვის ბრძოლა სამხრეთ კავკასიისთვის უჩვეულოდ დიდ სამხედრო მასშტაბებს იძებს. წინა თავში ჩვენ აღვწერეთ, რომ ტრადიციულ სამხედრო-სტრატეგიულ მიზეზებთან ერთად, სასანური ირანი და ბიზანტია ლაზიკის ეკონომიკური პოტენციალით და მის ტერიტორიაზე გამავალი სახმელეოო და საგაჭრო გზების დასაუფლებლად იძრძოდნენ. წყაროებიდან ჩანს, რომ ლაზიკისა და სვანეთის სტრატეგიული მნიშვნელობა VI საუკუნის მეორე ნახევარში მატულობს, რადგან რეგიონი მცირე წნით ბიზანტიასა და თურქებს/სოგდიელებს შორის, ანუ პოტენციური ტრანსკონტინენტური საგაჭრო დერეფნის დამაკავშირებელ პუნქტად იქცა.

იუსტინიანეს მიერ ინდოეთამდე საზღვაო გზის აღდგენის წარუმატებლობამ და სპარსეთზე სახმელეოო საგაჭრო გზის არასტაბილურობამ კონსტანტინოპოლის დიპლომატიაში დღის წესრიგში ცენტრალურ აზიასა და ჩინეთამდე მიმავალი ახალი დროებითი (ალტერნატიული) საგაჭრო გზების მოძიების საკითხი დააყენა.

ჩინეთიდან შემოსული პროდუქტებიდან ყველაზე ღირებული აბრეშუმი იყო, რომელსაც ფართოდ მოიხმარდნენ ბიზანტიის სამპერატორო კარზე და, ზოგადად, მოსახლეობის შეძლებულ ფენაში.

<sup>62</sup> T. N. Beradze. Moreplavanie i morskaya torgovlya v srednevekovoy Gruzii. Tbilisi. 1989, p. 68 (T. H. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тбилиси. 1989, გვ. 68).

<sup>63</sup> P. Sarris. Economy and Society in the Age of Justinian. Cambridge. 2006, pp. 3-7.

<sup>64</sup> A. A. Vasiliev. Justin the First. An Introduction to the Epoch of Justinian the Great. Harvard. 1950, pp. 260-261.

აზიაში აბრეშუმით ვაჭრობაში მოწინავე პოზიციებს სოგდიელები იკავებდნენ. ეს ის ხალხია, რომელიც სოგდიანაში (თანამედროვე უზბეკეთ-ტაჯი-კეთის ტერიტორია) ცხოვრობდა<sup>65</sup> და თავისი ისტორიის განმავლობაში არ გამოიჩინდა სამხედრო ძალის ყოლით. მეტიც, ჩინური ოუ ბერძნული წყაროებიდან ჩანს, რომ სოგდიური საზოგადოება VI საუკუნეში შედგებოდა მძლავრი ვაჭართა და დიდებულთა ფენებისგან. სოგდიელების მეფე ნომინალური ფიგურა იყო: ქვეყანაში არ არსებობდა მამიდან შვილზე ტახტის გადაცემის პრაქტიკა და, დიდი ალბათობით, მეფე არჩევითი ფიგურა იყო. სოგდიელები ბევრ ქალაქში ცხოვრობდნენ და, ძირითადად, სავაჭრო აქტივობით იყვნენ დაკავებულები. ამის საშუალებას მათ გეოგრაფიული ადგილმდებარება აძლევდა, როგორც დამაკავშირებელი ხიდი დასავლეთ ჩინეთს, სასანურ ირანსა და ინდოეთს შორის. შესაბამისად, როგორც ეს ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სოგდიელი ვაჭრები რეალურ კონკურენციას უწევდნენ სპარსელ ვაჭრებს, რომელთაც ასევე სურდათ აბრეშუმზე ვაჭრობის მონოპოლიის ხელში ჩაგდება.

ერთდროულად სამხედრო ძალის არქონის და ეკონომიკური სიძლიერის გამო, ევრაზიის სტეპებში აღმოცენებული მომთაბარე იმპერიები ყოველთვის ცდილობდნენ სოგდიელების დამორჩილებას და, როგორც ეს წყაროებიდან ჩანს, მათი თავის მმართველ კლასში შერწყმას ტრანსკონტინენტური ვაჭრობიდან ფინანსური მოგების მისაღებად. მაგალითად, 350 წლისთვის სოგდიანა ხიონიტებმა (დიდი ალბათობით ჰუნებმა) დაიპყრეს, შემდეგ კიდარიტებმა, ხოლო 509 წელს კი ჰეფტალიტებმა. ამ უკანასკნელების მმართველობა სოგდიანაზე 560 წლამდე გაგრძელდა, როდესაც ისინი ახალმა ძალამ, თურქებმა, სასანიანებთან ერთობლივი სამხედრო მოქმედებების შედეგად, დამარცხეს.<sup>66</sup>

სოგდიელების კომერციული ნიჭი მათ ყველა ამ მომთაბარე იმპერიის მმართველი კლასის ინტეგრირებულ ნაწილად ხდიდა. აქედან გამორჩეულია სოგდიელების როლი ოურქების იმპერიაში, რომელიც, დიდი ალბათობით, VI საუკუნის შუა ხანებში გადაჭიმული იყო სოგდიანადან ჩრდილოეთ კავკასიამდე. სოგდიელი ვაჭრები ხშირად დაბლომატების როლსაც ასრულებდნენ იქნებოდა ეს ჩინეთში ოუ ბიზანტიაში წარგზავნილ ელჩობებში. წყაროებიდან ჩანს ისიც, რომ სოგდიელების სავაჭრო ფენას მნიშვნელოვანი გავლენა უნდა ჰქონოდა ოურქების საგარეო პოლიტიკურ სვლებზე სასანურ ირანთან და ბიზანტიასთან.

<sup>65</sup> V. Goiladze. Abreshumis savachro gza da sakartvelo. Tbilisi. 1997, pp. 28-36 (ვ. გოილაძე. აბრეშუმის სავაჭრო გზა და საქართველო. თბილისი. 1997, გვ. 28-36).

<sup>66</sup> É. de la Vaissière. Sogdian Traders. A History. Leiden. 2005, pp. 197-209.

ეს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენები (სოგდიელების აღზევება, შემდეგ კი ოურქების გამოჩენა) კონსტანტინოპოლიდან და ლაზიკიდან საკმაოდ შორს ხდებოდა, თუმცა VI საუკუნეში პირდაპირი გავლენა იქონია ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაზე როგორც სტეპებში მცხოვრებ ნომადებთან, ასევე სამხრეთ კავკასიაში წარმოებულ სამხედრო-ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

სტეპურ ზონაში მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა ტრადიციულად ბიზანტიის და სასანური ირანის ონტერესების წინააღმდეგ მიღიოდა. მაგრამ ეპოქაში, როდესაც სასანური ირანი აკონტროლებდა სახმელეთო საგაჭრო გზებს ბიზანტიიდან ცენტრალურ აზიამდე/ჩინეთამდე/ინდოეთამდე, კონსტანტინოპოლიში გამოსავლად ესახებოდათ ახლად შექმნილ თურქების იმპერიასთან კონტაქტის დამყარება. საფიქრებელია, რომ ბიზანტიელებისგან მსგავსი დიპლომატიური მცდელობები მანამდე უნდა განხორციელებულიყო, სანამ სოგდიელი ვაჭრები და მათი თურქი უფროსები ამას გადაწყვეტდნენ.

სოგდიელ ვაჭრებს თურქებთან ჩინეთისგან ხარკის სახით შეგროვებული აბრეშუმის გაყიდვა სურდათ. ბუნებრივია, რომ პირველი მცდელობა იყო აბრეშუმი მეზობელ სპარსეთში გაეყიდათ (ამისთვის ორი დიპლომატიური მისია გაიგზავნა), თუმცა ხოსროს პროტექციონისტულმა მიდგომამ, კერძოდ ირანში მაღალ ხარისხიანი ჩინური აბრეშუმის არშეშვებამ, თურქებს ამ წამოწყებაზე ხელი ააღებინა.

დღის წესრიგში დადგა აბრეშუმის ბიზანტიაში გაგზავნა. თუ გავითვალისწინებთ როგორი რეაქცია ჰქონდა ხოსროს ქვეყანაში სოგდიელი ვაჭრების შემოშვებაზე, მარტივი სავარაუდებელია, რომ ბიზანტიასთან პირდაპირი მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება ირანის გვერდის ავლით, ჩრდილოეთის გზით, სტეპებზე უნდა მომხდარიყო. მართლაც მენანდრე პროტეტორი, ამ პერიოდისთვის ჩვენი ძირითადი წყარო, ახსენებს რამდენიმე ელჩობას თურქებსა და ბიზანტიელებს შორის, რომელიც ლაზიკის ტერიტორიის გავლით განხორციელდა.<sup>67</sup> საფიქრებელია, რომ ეს ელჩობები, რომელთაც ეთნიკურად სოგდიელები ხელმძღვანელობდნენ, ზერავდნენ იმ პოტენციურ სავაჭრო გზას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა, თუ ბიზანტიელები დათანხმდებოდნენ თურქ-სოგდიელთა ეკონომიკურ შემოთავაზებებს. სავაჭრო ურთიერთობებზე საუბარი შეფუთული იყო სამხედრო ალიანსის შეკვრის თაობაზე გამართული საუბრებით.

<sup>67</sup> Menander Protector. The History of Menander the Guardsman. ed. and trans. R. C. Blockley. Liverpool. 1985. Fragment 10,1, 10,5-11, pp. 111-113, 127.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასანიანებს ბიზანტიურ-თურქული/სოგ-დიური მჭიდრო ურთიერთობების დამყარების ეშინოდათ, რომ ამ პოლიტიკური ალიანსის გამო ირანს ერთდროულად ორ ფრონტზე მოუწევდა ომი. თუმცა ამ ალიანსის წმინდა სამხედრო-პოლიტიკური ასპექტის გარდა, სპარსელები ასევე უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულები იმაში, რომ ბიზანტიელები ისევ ყოფილიყვნენ მათზე დამოკიდებულები<sup>68</sup> ძვირფასი აბრეშუმისა და სხვა საქონლის მიღებაში.

სვანეთის მნიშვნელობა<sup>69</sup> ზუსტად ამით უნდა განისაზღვროს. ამ რეგიონზე გადიოდა ცენტრალურ აზიამდე დროებითი (ალტერნატიული) სავაჭრო გზა. მკვლევრები სკეპტიკურად უყურებენ კავკასიონის გასწვრივ ვაჭრობის შესაძლებლობას დიდი გეოგრაფიული ბარიერების არსებობის გამო. მეორე არგუმენტია მკაცრი კლიმატი, რომელიც თავისუფლად მოგზაურობის საშუალებას არ იძლეოდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ხშირად კავკასიონის ჩრდილოეთით მომთაბარე ტომების გამო არ იყო სტაბილური პოლიტიკური ვითარება, რომელიც სავაჭრო გზების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

ეს არგუმენტები არ არის მოკლებული დამაჯერებლობას, თუმცა ამ შემოხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ არა პერმანენტული სავაჭრო გზის არსებობაზე, არამედ სპარსელების სავაჭრო პროტექციონიზმის გამო ბიზანტიელების და თურქ-სოგდიელების მიერ კავკასიონზე დროებითი მარშრუტის ამუშავებაზე.

ამასთან ერთად, პოლიტიკური ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში VI საუკუნის მეორე ნახევარში ბევრად უფრო გამოსადეგარი იყო დროებითი ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების არსებობისთვის. თურქებმა ევრაზიის სტეპებში შეძლეს შეექმნათ იმპერია, რომელიც გადაჭიმული იყო ცენტრალური აზიადან ჩრდილოეთი კავკასიამდე. შესაბამისად, თურქებთან ურთიერთობის მოგვარებით, კონსტანტინოპოლის ეხსნებოდა სავაჭრო დერეფანი ცენტრალური აზიადან აბრეშუმის და სხვა საჭირო საქონლის მისაღებად. ერთადერთი რეალური წინააღმდეგობა კავკასიონის ქედი იყო, თუმცა ესეც არ წარმოადგენდა გადაულაპავ დაბრკოლებას. სოგდილი ვაჭრებისთვის მთაანი რეგიონების გავლა უცხო არ იყო. ცენტრალური აზიის ქალაქებიდან ირანში და ინდოეთის ჩრდილოეთში მოსახვედრად, სოგდილებს უწევდათ დიდი მთაანი რეგიონების გავლა, რაც მათ მოქმედებებს ხელს არ უშლიდა.

<sup>68</sup> Georgika. T. III. Tbilisi. 1936, p. 206 (გეორგია. ტ. III. ობილისი. 1936, გვ. 206).

<sup>69</sup> Georgika. T. IV. n. I. Tbilisi. 1961, pp. 21-23, 88-89 (გეორგია. ტ. IV. ნ. I. ობილისი. 1961, გვ. 21-23, 88-89).

გადაჭრით იმის თქმა, რომ კავკასიონზე არ შეიძლება გასულიყო რამე სახის საგაჭრო (მითუმეტეს ჩვენს შემთხვევაში დროებით) გზა, გადაჭარბებულად მიგგაჩნია. მეტიც, არქეოლოგიურად, რუსეთ-საქართველოს სახლვარზე აღმოჩენილი აბრეშუმისა და ბევრი სხვა ნივთის არქეფაქტები,<sup>70</sup> აძლიერებს მოსაზრებას, რომ ლაზიკა/სვანეთი და, ზოგადად, დასავლეთ საქართველო VI საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურად გამოიყენებოდა ტრანზიტულ ტერიტორიად სოგდიანასთან დასაკავშირებლად.

ის, რომ კავკასიონზე გამავალი გზა ბიზანტიულების მიერ აქტიურად უნდა გამოყენებულიყო საგაჭრო კონტაქტების ამუშავებისთვის და რომ სასანიანები არ იშურებდნენ სამხედრო და ფინანსურ რესურსებს ამ გზის ჩასაგეტად, კარგად აისახება ბიზანტიული ელჩის ზემარქეს მიერ თურქთა სახელმწიფოდან ბიზანტიაში მოგზაურობისას. მენანდრესთან ვკითხულობთ, რომ ბევრი ტბისა, ტყისა და ჭაობიანი რეგიონის გავლის შემდეგ ზემარქე დანარჩენ ბიზანტიულებთან ერთად:

„...დიდის შიშით მოვიდნენ ალანიაში: განსკუთრებით ეშინოდათ მათ ორომუსხთა ტომისა.

ალანიაში რომ მოვიდნენ, მათ (რომაელებს – ზემარქეს და მთელ ელჩბას) უნდოდათ, მათთან მყოფ თურქებთან ერთად, ალანიის წინამდლოლ საროდისთან მისვლა; საროდიმ ზემარქე და მისი მხლებლები კეოილგანწყობილად მიიღო, ხოლო თურქთა ელჩების შესახებ თქვა, რომ მათ არ შეუშებდა თვისთან, თუ ისინი იარაღს არ აიყრიდნენ, ასე რომ მათ დავა პქონდათ ამის შესახებ სამი დღის განმავლობაში, და ზემარქე შუაკაცად იყო მოდავეთა შორის. ბოლოს, თურქებმა აიყარეს იარაღი, როგორც ეს საროდის უნდოდა, და წარსდგნენ მათთან. საროდიმ ურჩია ზემარქესა და მის კაცებს არ წაულიყნენ მისიმიანთა ქვეყანაზე მიმავალი გზით, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩასაფრებულებით. შინ დაბრუნება უმჯობესია ეგრეთწოდებული დარინის გზითო. ეს რომ გაიგო ზემარქემ, მისიმიანთა ქვეყანაზე გაგზავნა ათი მებარეგე, აბრეშუმით დატვირთული, რომელთაც შეცდომაში უნდა შეეყვანათ სპარსელები, თითქოს აბრეშუმი წინასწარ იყო გამოგზავნილი, და ისინი დაწინაურდნენ; აქიდან სპარსელებს უნდა ეფიქრათ, რომ მეორე დღეს

<sup>70</sup> I. I. Elkina. A. S. Pahunov. U. Ū. Kočkarov. A. E. Grin'ko. E. G. Dèvlet. «Şerstânye izdeliâ iz mogil'nikov moševiâ i podorvannââ balki (VIII–X vv.): kaçestvo syr'â i tehnologîâ izgotovleniâ». Problemy istorii, filologii, kul'tury. 4. M. 2017, pp. 223–232 (И. И. Елкина. А. С. Пахунов. У. Ю. Кочкаров. А. Е. Гринько. Е. Г. Дэвлет. «Шерстяные изделия из могильников мошевая и подорванная балки (VIII–X вв.): качество сырья и технология изготовления». Проблемы истории, филологии, культуры. 4. М. 2017, стр. 223–232).

ზემარქეც მოვიდოდა. მეპარგენი წავიდნენ, ხოლო ზემარქე დარინის გზით მივიდა აფსილიაში: მისიმიანთა გზა მან უარჲყო, დასტოვა ის მარცხნივ: ამ გზით საფიქრობელი იყო, რომ თავს დასხმოდენ სპარსელები...<sup>71</sup>

ამ ამონარიდიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ ელჩები გარდა მოლაპარაკებების ჩატარებისა, ასევე ზერავენ მიმოსვლის მარშრუტს. საფიქრობელია, რომ ორივე იმპერია დიპლომატიურ ნაბიჯებს დგამდა ჩრდილოეთ კავკასიაში უპირატესობის მისაღწევად. მანენადრე წერს, რომ ალანებმა იცოდნენ სპარსელების შესახებ. შეგვიძლია ისიც ვივარაუდოთ, რომ სპარსელები მინიმუმ დიპლომატიურად აქტიურად იყვნენ ჩართულები კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით სოგდიელი ელჩებისთვის ხელის შეშლაში. ალანების მეთაურის მიერ სპარსელების ხსნება ამაზე უნდა მუტყველებდეს. სპარსელების ჩასაფრება ასევე მიუთითებდა ბიზანტიელებსა და თურქ-სოგდიელებს შორის არსებული კონტაქტების მნიშვნელობაზე და იმაზე თუ რამდენად საზიანო იქნებოდა ეს სპარსელებისთვის ეკონომიკურ-პოლიტიკური კუთხით.

როგორც ზემოთ ითქვა, გვიან ანტიკურ ხანაში სავაჭრო გზების ფუნქციონირება დიდწილად დამოკიდებული იყო რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე. ჩვენ ისიც ვოჭვით, რომ ბიზანტია-თურქ/სოგდიელთა შორის კავკასიის გზით პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისთვის გადადგმული ნაბიჯები მიზანმიმართული მცდელობა იყო აღტერნატიული/სათადარიგო გზის ასამუშავებლად.

ურთიერთობები თურქებსა და ბიზანტიელებს შორის გაუარესდა მას შემდეგ რაც, თურქების თქმით, ბიზანტიელები ორმხრივი ზელშეკრულების მიხედვით, მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს არ ასრულებდნენ. ეს ვალდებულება იყო წმინდა სამხედრო მიმართულების: საერთო საომარი მოქმედებების გამართვა სასანური ირანის წინააღმდეგ.

როდესაც ბიზანტიის იმპერატორ ტიბერიუს II-ის (578-582 წწ.) მმართველობის უამს თურქებთან ელჩი ვალენტინე მივიდა, მას, მენანდრე პროტიქტორის მიხედვით, თურქთა მეთაურმა ტურქსანთესმა მიმართა:

„რატომ მიგყავთ თქვენ, რომაელნო, ჩემი ელჩები ბიზანტიონისაკენ მიმავალნი, კავკასიაზე და მეუბნებით, რომ არ არსებობს სხვა გზა, რომლითაც მათ მგზავრობა შეეძლოთ – ამას თქვენ იმიტომ სჩადიხართ, რომ მე, მნელ გასავლების გამო, თავს არ დავესხა რომაელთა მიწაწყალს, მე კი ზედმიწევნით ვიცი, თუ სად არის მდინარე დანაპრი, სად ერთვის მას ისტრი და სად

<sup>71</sup> Georgika. T. III. Tbilisi. 1936, pp. 236-237 (გეორგია. ტ. III. თბილისი. 1936, გვ. 236-237).

არის ჰებრი, და თუ საიდან შეესიგნენ რომაელთა მიწაწყალს ვარხონიტები, ჩვენი მონები“<sup>72</sup>

როგორც ჩანს, თურქ/სოგდიურ-ბიზანტიური ურთიერთობებმა მეტი განვითარება ვერ ჰქოვა. ამას უნდა დაემატოს თურქული იმპერიის დაშლაც, რაც ხელს შეუშლიდა სტეპურ ზონაში აქტიურ სავაჭრო მიმოსვლას შავიზღვის-პირეთსა და ცენტრალურ აზიას შორის. თუმცა აქ დასაზუსტებელია ერთი რამ: ცენტრალური აზიადან კავკასიონამდე ეკონომიკური კონტაქტების შეჩერება ხანმოკლე აღმოჩნდა, რაც დასტურდება VII-VIII საუკუნეებში აღმოჩენილი უამრავი არქეოლოგიური მასალით. მეტიც, როგორც ამ ნაშრომის მოდევნო თავებში იქნება ნაჩვენები, აღნიშნულ პერიოდში სავაჭრო ურთიერთობები შავი ზღვისპირეთსა და ცენტრალურ აზიას შორის უფრო მასშტაბურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ეს VI საუკუნეში იყო.

### **ძირითადი დასკვნები**

სასანური ირანის გეოგრაფია, ეკონომიკურად დარიბი ირანის ზეგანი გარშემორტყმული მდიდარი ტერიტორიული სარტყელით და ამ ტერიტორიებზე გავლენის შენარჩუნების პერმანენტული საჭიროებით, იმულებულს ხდიდა იმპერიას დიდი და ძლიერი სამხედრო პოტენციალი პქონოდა. მიუხედავად გეოგრაფიის მიერ შექმნილი ბევრი ნაკლისა, ამ ნაშრომში ასევე ნაჩვენები იყო (დასავლეთში მრავალი მკვლევრის მოსაზრების საწინააღმდეგოთ) როგორ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოზიციას იკავებდა სასანური ირანი გვიან ანტიკურ ხანაში: როგორ აკავშირებდა ის მსოფლიოს მთავარ სავაჭრო ცენტრებს – ინდოეთს, ცენტრალურ აზიას და აღმოსავლეთ ჩინეთს – ბიზანტიასთან. სპარსეთის მდიდარ ტერიტორიულ სარტყელზე გამავალი სავაჭრო გზების გაკონტროლება სასანიანი შაპების საგარეო პოლიტიკურ მიზნად გადაიქცა. სასანიანები ამას დიპლომატიური თუ სამხედრო ხერხებით აღწევდნენ.

სასანიანები ომებს აწარმოებდნენ სამხრეთი ზღვების სანაპიროების ხელში ჩასაგდებად და, როგორც დავინახეთ, მათ ეს წარმატებით განახორციელეს VI საუკუნის მეორე ნახევარში. პარალელურად ბრძოლა მიმდინარეობდა შავი ზღვის სანაპიროებზე გასასვლელად. იყო თუ არა ეს ხოსრო ანუშირვანის ე.წ. „დიდი სტრატეგიის“ ნაწილი, ამაზე ჩვენ წერილობით წყაროებში სათანადო რაოდენობის ინფორმაცია არ გაგვიჩნია. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოსთვის ბრძოლა გამოწვეული

<sup>72</sup> Georgika. T. III. Tbilisi. 1936, p. 242 (გეორგიკა. ტ. III. ობილისი. 1936, გვ. 242).

იყო იმპერიის გეოგრაფიით, ეკონომიკური დერეფნების დაკავების საჭიროებით და ბიზანტიისთვის თურქ-სოველებთან პოლიტიკურ-სავაჭრო ურთიერთობების დამყარების ხელის შეშლით.

ნაშრომის ერთ-ერთი დასკვნა ასევე იყო ის, რომ გვიან ანტიკურ პერიოდში სამხრეთ კავკასიაზე სავაჭრო მცირე და სამუალო მასშტაბის გზების მოელი ქსელი გადიოდა, რომელიც რეგიონს ბიზანტიასთან და ორანთან აკავშირებდა. გადიოდა თუ არა დიდი სავაჭრო გზები საქართველოზე გვიან ანტიკურ ხანაში? ვფიქრობთ, ასე კითხვის დასმა არ ასახავს იმ რეალობას, რომელიც იყო იმ დროს მახლობელ აღმოსავლეთში. როგორც დავინახეთ, ირანზე და ბიზანტიაზე გამავალი დიდი სავაჭრო გზების მარშრუტები ცვალებადი იყო. საქმე იმაშია, რომ სავაჭრო გზების გამოყენების ინტენსივობა, დიდწილად, დამოკიდებული იყო როგორი პოლიტიკური ვითარება სუფევდა იმ დროს მახლობელ აღმოსავლეთში: ბიზანტიურ-საბარსული ომები; მშვიდობა (მაგალითად, როგორც ეს V საუკუნეში იყო), ეკონომიკური კრიზისი და ა.შ.

შესაბამისად, ცალსახად იმის უარყოფა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები არ გადიოდა, არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს. ა.წ. წ. პირველ საუკუნეებში წერილობით წყაროებში შემონახული ცნობების გარდა, ამ ნაშრომში განხილული ლაზიკის ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდი – VI საუკუნე – კარგ მაგალითს გვაძლევს იმისა, თუ როგორი ცვალებადი იყო სავაჭრო გზები გვიან ანტიკურ ხანაში. ჩვენ წყაროებიდან ვხედავთ პირდაპირ მცდელობებს თურქ-სოველების და ბიზანტიელების მიერ ევრაზის სტეპების და კავკასიონის გავლით ალტერნატიული/სათადარიგო სავაჭრო დერეფნა აემუშავებინათ.

ამრიგად, აქაც კავკასიონის როგორც გადაულახავი ბარიერის წარმოდგენა ზშირ შემთხვევაში გადაჭარბებულია. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ მიმოსვლა მოების გასწვრივ ხდებოდა, რაც მეტყველებს ერთ რამეზე: აღნიშნული გზა ალტერნატიულ (დამატებით) მარშრუტს წარმოადგენდა, რომლის გამოყენების ინტენსივობა მახლობელ აღმოსავლეთში გაუარესებულ ეკონომიკურ/პოლიტიკურ ვითარებაზე იყო დამოკიდებული.

ქართული და უცხოური ისტორიოგრაფია ლაზიკისა და სვანეთის გარშემო არსებული კონფლიქტის აღწერისას ყურადღებას თითქმის არ უთმობს სასანური ირანის ეკონომიკურ და სამხედრო ინტერესებს. ზევით ნაჩვენები იყო, რომ ორივე იმპერიის ეკონომიკური ინტერესები მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი პოლიტიკის დაგეგმვასა და წარმოებაში. სამხრეთ კავკასიაში სასანიანების ქმედებები თითქმის შეესაბამება სპარ-

სელების მიერ სხვა ზღვებზე და სავაჭრო დერეფნებზე კონტროლის დასამყარებლად გადადგმული ნაბიჯების სერიას.

ის ფაქტი, რომ გაჭრობის მნიშვნელობა იშვიათად ფიგურირებს გვიან ანტიკურ წყაროებში, არ ნიშნავს, რომ ორ იმპერიას შორის არსებულ ურთიერთობებში ეს პარამეტრი მნიშვნელოვანი არ იყო. ისტორიკოსები სულ უფრო მეტად თანხმდებან იმაში, რომ ამ ეპოქის ბერძნ-რომაელი ისტორიკოსები უბრალოდ ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულები სავაჭრო საკითხებით.

მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის გამოვიყვლით სასანური ირანისა და ბიზანტიის კომერციული ინტერესები მახლობელ აღმოსავლეთში. აქაც, ამ ნაშრომში შევეცადეთ სასანური ირანი დაგვეხატა, როგორც გამაერთიანებული ხიდი რამდენიმე დიდი ეკონომიკურ ბაზარს შორის: ბიზანტია, ინდოეთი, ცენტრალური აზია-ჩინეთის დასავლეთი. ევროცენტრისტული კონცეფციების-გან თავის დაღწევით ნათელი ხდება, რომ სასანური ირანი იყო ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე გადიოდა მსხვილი ტრანსკონტინენტური ვაჭრობა. ამ ეკონომიკური პეგემონობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად, სასანიანი შა-ჰინშაჰების ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თითქმის უწყვეტ კონფრონტაციაში უნდა ყოფილიყვნენ როგორც ევრაზიის სტეპებში მცხოვრებ მომთაბარეებთან, ასევე რომაელებთან/ბიზანტიელებთან.

შესაბამისად, მიგვაჩინა, რომ გვიან ანტიკური პერიოდის კვლევაში სავაჭრო საკითხების წინ წამოწევა უფრო თამამად უნდა ხდებოდეს. ეს, თავისთვად, აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლას შეუწყობს ხელს. ტრადიციული სამხედრო, პოლიტიკური და რელიგიური ინტერესების გარდა, რომელშიც ხშირად ბიზანტიურ-სასანური ურთიერთობები განიხილება, უნდა დაემატოს რეგიონში იმპერიების ეკონომიკური ინტერესები. ამას შეუძლია მიგვიყანოს ახალ, საინტერესო დასკვნებამდე, თუ რა ადგილს იყავებდა სამხრეთ კავკასია სპარსელებისა და ბიზანტიელების გეოპოლიტიკურ გაგებაში.

ასევე საინტერესო დასკვნების გამოტანა იქნება შესაძლებელი სამხრეთ კავკასიის როლზე ტრანსკონტინენტურ ვაჭრობაში, არა მხოლოდ გვიან ანტიკურ ხანაში, არამედ მოგვიანო პერიოდებშიც. როგორც დავინახეთ ამის არცოუისე წარუმატებელი მცდელობები განხორციელდა კიდევაც, ხოლო მცირე და საშუალო დონის მარშრუტებს ვაჭრები ისედაც მიყავდა იბერია-ლაზიკამდე და შემდეგ მცირე აზიის საპორტო ქალაქებამდე.

*Emil Avdaliani*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## TRADE AND SASANIAN INTERESTS IN LAZICA (6<sup>TH</sup> C.)

### Summary

Regional or international trade has always played an important role in the history of Georgia. Trade routes made it possible to establish close political, cultural and economic relations with neighboring as well as distant countries.

Nevertheless, the study of trade and economic questions of 6<sup>th</sup> century Georgia so far have got less attention in the Georgian historiography than, for example, various military-political topics/questions of the same period.

Throughout its history, Georgia has always had empires as neighboring states. Wars or peace agreements between those empires always influence the development of the country. Indeed all the empires (Byzantium, Sasanian Iran, the Arab state) discussed in this book had economic interests in Georgia or in trade-economic routes which run near the Georgian territory.

The present paper deals with Sasanian Iran's trade interests in Lazica in the 6<sup>th</sup> century. Particular focus is made on the role of geography in Sasanian empire's foreign policy. The empire's relative poverty (in comparison with the Roman/Early Byzantine empire), conditioned by geographic factors, caused the empire's projection of power to nearby rich lands which surrounded the populous, but poor Iranian Plateau. This was one of major reasons of century-long wars with Byzantium in late antiquity. Projection of power to Syria, Arabian Peninsula, South Caucasus and Asia Minor also led to attempts by Sasanian rulers to reach the Mediterranean and the Black Seas. Thus, it should come as no surprise that at the time of Khosrow I Anushirvan, the Sasanian empire was simultaneously trying to reach the seashores of both the Black and Red Seas. Along with military reasons, Iran clearly wanted to control regional trade routes and reach transcontinental highways linking the Mediterranean in the south with India and to the north via Eurasian steppes with the Central Asia.

**როლანდ თოფჩიშვილი**  
გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ქართლი – საქართველოს ცენტრი, ქართველი ერის შემკრები და  
გამაერთიანებელი**

საქართველო სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისაგან (ლო-  
კალური/ტერიტორიული ერთეულისაგან) შემდგარი ქვეყანა იყო. ასეა დღე-  
საც. ქართველთა განსახლების არეალი სწორედ ამ მხარეებს მოიცავდა და  
მოიცავს. წარსულსა და აწყობზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ  
დროის კვალობაზე საქმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა – ქვეყანას  
არაერთი ტერიტორიული ერთეული ჩამოსცილდა (ჩამოაცილეს), შესაბამისად  
გაქრა არაერთი ეთნოგრაფიული ჯგუფიც, ქვეყნის საზღვრებიც მნიშვნელოვ-  
ნად დაგიწროვდა. ჩვენს დროში კი საფრთხე შეექმნა საქართველოს ცენტრის  
– ქართლს – შიდა ქართლი ოკუპირებულია და ძირდებული ქართული მოსახ-  
ლეობაც გამოდევნილი.

ქართლი იყო და არის საქართველოს ცენტრი, აქედან მომდინარეობს  
ქართველთა აღმნიშვნელი ენდოეთნონიმი „ქართველი“ და ყველა ქართველის  
მიერ შექმნილი პოლიტიკური ერთეულის, სახელმწიფოს სახელწოდება „სა-  
ქართველო“. რა თქმა უნდა, საერთო ეთნონიმისა და ქვეყნის საერთო სახელ-  
წოდების წარმოქმნამდე ქართული ეთნოსიც არსებობდა და – ქართველთა გან-  
სახლების არეალიც. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ არა მხოლოდ ქართველე-  
ბისათვის, არამედ სხვა ეთნოსებისთვისაც, საერთო სახელწოდების წარმოქმნა  
ჩვეულებრივი გვიანდელი მოვლენაა. ოუმცა ტერმინ „საქართველოს“ წარმოქ-  
მნამდე, ქართველებს კარგა წნით ადრე ასეთი გამაერთიანებელი სახელწოდება  
ჰქონდათ; ეს იყო ორი სიტყვისაგან შემდგარი – „ყოველი ქართლი“. მაგალი-  
თად, მემატიანე ჯუანშერისათვის ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეე-  
ბი, როგორიც იყო კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი ქართლში შემავალია. უფრო  
მეტი, წყაროში ეს მხარეები არა ჩვეულებრივ ტრადიციული ტერმინით –

როლანდ თოფიშვილი. ქართლი – საქართველოს ცენტრი,  
ქართველი ერის შემკრები და გამაერთიანებელი

---

„ქვეყნა“ არიან მოხსენიებული, არამედ „ხევით“: გახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ, დაჩი მეუემ „იწყო შენებად ქართლისა, რამეოუ მოოპრებულ იყვნეს ყოველნი გვერდი ქართლისანი, თუნიერ კახეთისა და კლარჯეთისა და ევრისისა“.<sup>1</sup> ბუნებრივია, დასახელებული ერთეულები – კლარჯეთი, კახეთი და ეგრისი – ქართლად მას შემდეგ იქნა გააზრებული, რაც ისინი საერთო სახელმწიფოს – ქართლის შემადგენლობაში შევიდნენ, ე. ი. მომავალი საქართველოს მხარეები ჯერ კიდევ საქმაოდ ადრე კონცენტრირებული იყვნენ ცენტრალური პროვინციის ქართლის გარშემო. აქ აღარ შევუდგებით „ქართლის“ სახელწოდების წარმოქმნის სხვადასხვა თეორიების ჩამოთვლას – ეს ამ ნაშრომის მიზანს არ შეადგენს. ჩვენი მიზანია მხოლოდ იმ მიზეზებზე კურადღების გაძახვილება, რამაც განაპირობა ქართლის ერთიანი საქართველოს ცენტრად, ქართველთა შემკრებად და გამაერთიანებლად გადაქცევა.

ასე რომ, თავდაპირველად თავისი განსახლების არეალში ქართული ეთნიკური ერთეული სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულისაგან შედგებოდა და ამ ლოკალურ ერთეულებს თავთავისი სახელწოდება გააჩნდა. რა განაპირობებდა ამას? – პასუხი მარტივია – გეოგრაფიული ფაქტორი. მაგრამ თანდათან იმავე გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა ეთნიკურ ქართველთა შეკავშირება, რაც, თავის მხრივ, აპირობებდა ერთიანი სახელმწიფო ორგანიზაციისაკენ სწრაფვას. ამ სწრაფვის დასასრულს ემთხვევა ერთიანი, საერთო სახელწოდების – „ქართველისა“ და შემდეგ „საქართველოს“ წარმოქმნა.

კითხვა ჩნდება – რადა ქართლი აღმოჩნდა შემაკავშირებელი, რადა ქართლის გარეშე მოხდა საერთო ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის წარმოქმნა? ქართულ სალიტერატურო ენას რატომ მაინც ქართლური დიალექტი დაედო საფუძვლად და არა სხვა რომელიმე?

ქართლი საქართველოს შუაგულში მდებარეობდა და მდებარეობს. მაგრამ ეს კიდევ არაფერს არ ნიშნავდა. ამ ფაქტორთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ლანდშაფტსაც, ბუნებრივ-გეოგრაფიულ ფაქტორსაც ჰქონდა. მანამ, სანამ ამ მოვლენაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველო და ქართველთა განსახლების არეალი მოიცავდა სამხრეთ კავკასიის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილს, სადაც ქართველთა სხავადასხვა თემები, ტერიტორიული ერთეულები მდებარეობდა. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ესენი იყო ქართლი და კახეთი (ჰერეთ-კახეთი), მთაში –

<sup>1</sup> K'arthlis tskhovreba. tomi I. Tbilisi. 1955. p. 205 (ქართლის ცხოვრება. ტომი I. თბ. 1955, გვ. 205).

ფხოვი, თუშეთი, დვალეთი, წანარეთი, ხადა და ცხავატი... დასავლეთ საქართველოში – ეგრისი, არგვეთი (იმერეთი), თაკვერი (რაჭა, ლეჩებუმი), აფხაზეთი, გურია, მთაში – სვანეთი... სამხრეთ საქართველოში – არტაანი, კოლა, ერუშეთი, სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ლაზეთი... ყველა დასახელებული ტერიტორიული ერთეული/თემი სამი მდინარის – მტკვრის, რიონისა და ჭოროხის აუზში მდებარეობდა. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, აქ მოხდა ქართველთა ეთნოგენეზიც.<sup>2</sup>

დავუბრუნდეთ ისევ ქართველთა განსახლების არეალს. თუ შევადარებო ამ ტერიტორიულ ერთეულებს, აღმოვაჩენთ, რომ თითქმის ყველა დასახელებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ფიზიკური გეოგრაფია ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან ზღვის დონიდან სიმაღლით, ღრმა და შედარებით არალრმა ხეობებით, მთების დახრილობით, ტყის საფარით, სახვნელი მიწის რაოდენობით, დაცულობის თვალსაზრისით, მზის რადიაციით. ასე რომ, ყველა ლოკალური ერთეულის ლანდშაფტი, ფაქტობრივად, განსხვავებული იყო. დავიწყოთ აღმოსავლეთიდან. კახეთისა და ქართლის ლანდშაფტი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო ყველაზე ნაკლებ თავდაცვის საშუალებებს ჰქმნიდა. ქართლსა და კახეთს თუ შევადარებო ერთმანეთს, უფრო მეტად დაუცველი მეორე იყო (1753 წლის ერეკლე II-ის განჩინებაში კახეთის შესახებ ვკითხულობთ: „ჟამის შლილობისაგან და სოფლის მიმოკვეთებისაგან ურჯულოთა და წარმართოაგან ჩვენი ქვეყანა ბევრჯელ უშენ და ოხერ ყოფილიყო მეფის აღექსანდრეს აქთ მეფე იმამყულისანამდე“<sup>3</sup>). კახელები ხშირად შიდა ქართლს აფარებდნენ თავს. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის ნიკოლოზ ალავერდელის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ოდეს ჟამთა ვითარებისაგან კახეთი ლეკო დაიპყრეს, ჩვენ ქსნის ჭევზედ ქსნის ერისთავის მამულში დავიხიზნეთ და შენ, სალონუცესი ზარაპი თან გარდომყევ... და სხვა ძმები წმინდის გიორგის ტაძარს არ მოშორდით ... და უშჯულოთაგან მრავალი განსაცდელი მოითმინეთ“.<sup>4</sup> ქართლი,

<sup>2</sup> M. K'urdiani. K'artvelta pirvelsatskhovrasi enobrivi monatsemebis mikhedvit da saerto-k'art've-luri et'nosis tomobrivi shemadgenloba. K'artveli khalkhis et'nogenezi. Tbilisi. 2002, pp. 57-86 (პ. ქურდიანი. ქართველთა პირველსაცხოვრისი ენობრივი მონაცემების მიხედვით და საერთო-ქართველური ეთნოსის ტომობრივი შემადგენლობა. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი. თბ. 2002, გვ. 57-86).

<sup>3</sup> K'art'uli samart'lis dzeglebi. tom I. Tbilisi. 1970, p. 421 (ქართული სამართლის ძეგლები. ტომი I. თბ. 1970, გვ. 421).

<sup>4</sup> K'art'uli samart'lis dzeglebi. t'omi III, p. 793 (ქართული სამართლის ძეგლები. ტომი III. თბ. 1970, გვ. 793).

თავის მხრივ, ასევე განსხვავებული იყო – შიდა ქართლში უფრო მეტად იყო ტყიან ხეობებში თავშეფარების საშუალება, ვიდრე ქვემო ქართლში. ასევე განსხვავებული სურათი გვქონდა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – სანაპირო „ქვეწებში“ ტაოსა და კოლა-არტანში შემოსულ მტერს (აგრეთვე მიგრანტებს) გაბატონების უფრო მეტი საშუალება ჰქონდა; შავშეთის, კლარჯეთ-ლიგანის, აჭარის ვიწრო და ღრმა ხეობები ადგილობრივ მკვიდრო თავდაცვის მეტ საშუალებას აძლევდა (ოძრხოს მცხოვრის ძის წილი ტერიტორია – „ტაისისკარითან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქვეუანა კლოოვანი“ – იყო). რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ფაქტობრივად, ის ყველა მხრიდან ყველაზე მეტად მიუდგომელი იყო. ზემო იმერეთის ლან-დშაფი (უსწორ-მასწორო რელიეფი და ტყე), ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდა ქართლიდან და სამცხიდან მტრის შესვლას. ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, რომ იმერეთის მოსახლეობის მდგომარეობა სახარბიელო იყო და რომ ტყით დაბურვილობა ქართველებს მტერთან ბრძოლას უადვილებდა.<sup>5</sup> იმერეთის ეს მდგომარეობა კარგად აქვს შენიშნული 1818-1819 წლებში ფრანგ მოგზაურს პოლ გიბალსაც: «...густые леса и разрозненность населения создавали условия к тому, что имеретинцы могли избежать чужеземного гнета».<sup>6</sup> ქართლი და კახეთი კი, ამ მხრივ, შემოსული მტრისათვის ხელმისაწვდომი იყო, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ამოწყვეტას ან სხვაგან გადასვლას იწვევდა. დემოგრაფიულად გაპარტახებულ ქართლსა და კახეთს, დასავლეთ საქართველოს ნამატი მოსახლეობა ავსებდა. ასეთი მიგრაციული მიმართულება ერთჯერადი აქტი არ ყოფილა – ის საქართველოს მთელი ისტორიისათვის იყო დამახასიათებელი. ხანდახან იმერეთიდან ქართლში გადასახლება მასობრივ ხასიათსაც კი იღებდა. მაგალითად, 1722-1738 წლებით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში აზნაური წერს: „ასე და ამა პირსა ზედან, რომე საქმე გამიჭირდა, რაც გლეხი მყვანდა, ყველა ქართლს წამივიდა“.<sup>7</sup> ზემოთ დასახლებულმა ფრანგმა მოგზაურმა ეს პროცესიც კარგად შეამჩნია: «Из Имеретии ежегодно выезжает много сельских жителей, чтобы обустроится в Картли и Кахети, и они там процветают. Те, кто успешно

<sup>5</sup> Iv. Javakhishvili. K'art'veli eris istoria. III. T'bilisi. 1941, pp. 197-198 (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. III. თბ. 1941, გვ. 197-198).

<sup>6</sup> Obozrenie Kryma, Novorossii i Kavkaza v dnevnikutechestviâ iz Odessy v Tiflis Polâ Gibalâ. 1818-1819. Moskva. 2017, p. 343 (Обозрение Крыма. Новороссии и Кавказа в дневнике путешествия из Одессы в Тифлис Поля Гибала. 1818-1819. Москва. 2017, стр. 343).

<sup>7</sup> Dokumentebi sak'art'velos sotsialuri istoriidan. I. Tbilisi. 1940, p. 455 (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I. თბ. 1940, გვ. 455).

устраивается подобным образом, никогда обратно не возвращаются».<sup>8</sup>

საქართველოს ლანდშაფტი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, ფაქტობრივად, განსაკუთრებულ და განსხვავებულ სამეცნიერო ფორმებს ქმნიდა. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ არცერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო – ისინი ამ მხრივ ერთმანეთს ავსებდნენ; რაც ჰქონდა ერთს, არ ჰქონდა მეორეს. ერთ მხარეს თუ საკარისი რაოდენობით ჰქონდა სახნავ-სათესი მიწები, მეორეს ამის დეფიციტიც გააჩნდა, სხვაგან საკმარისზე მეტი რაოდენობით იყო საძოვრები და სათიბები. ურთიერთშემავსებლობა საქართველოსი და ქართველი ერის ისტორიის თანმდევი მოვლენა იყო. საამისოდ შეიძლება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გავიხსენოთ, რომელიც წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლასთანაა დაკავშირებული – IV საუკუნის დასაწყისში, ჯავახეთში საზაფხულო სამოვრებზე დიდი რაოდენობით იყვნენ ქართლელი, მცხოვრის ირგვლივ არსებული სოფლების მგვიდრი მწყემსები.

ასე რომ, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებად დაყოფა და ამ მხარეების სამეცნიერო-ეკონომიკური კავშირები ქართველი ხალხის კონსოლიდაციისათვის მტკიცე საუფეხელს წარმოადგენდა.

რომელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ირგვლივ ხდებოდა სხვადასხვა ქართული მხარის კონსოლიდაცია? ამ კითხვაზე პასუხი როული არა; ეს იყო ქართლი. რატომ მაინცდამაინც ქართლი? რატომ მოისწრაფოდა მისკენ სხვადასხვა მეზობელი თუ არამეზობელი მხარის მოსახლეობა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართლის პრიმატს, მის გარშემო კონსოლიდაციას ქართველი ხალხის ენდოეთნონიმი – „ქართველი“ და ქართველთა განსახლების ტერიტორიისათვის, ქართველთა სახელმწიფოსათვის საერთო სახელწოდება – „საქართველოც“ ადასტურებს. ქართლის პრიორიტეტულობას დანარჩენ მხარეებთან შედარებით ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებდა. ეს იყო მისი ცენტრალური მდებარეობა, ლანდშაფტი და ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო. ქართლი აკავშირებდა ერთმანეთთან აღმოსავლეთ (კახეთისა და მთის რეგიონები) და დასავლეთ საქართველოს – ქართლზე გადიოდა უმოკლესი გზები, რომელებიც სამხრეთ საქართველოსაკენ მიემართებოდა [ქართლზე და მის დედაქალაქ მცხეთაზე გადიოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი გზაც. ცხვრის გზა თრიალეთ-ჯავახეთისა-

<sup>8</sup> Obozrenie Kryma, Novorossii i Kavkaza v dnevnikutechestviâ iz Odessy v Tiflis Polâ Gibalâ, p. 360 (Обозрение Крыма, Новороссии и Кавказа в дневнике путешествия из Одессы в Тифлис Поля Гибала, стр. 360).

კენ დიღმის მინდვრიდან იწყებოდა და გაივლიდა მუხაოგვერდის ტბას, ჭილიტბის სერს, ზემო დიდორზე, მანგლისის ყელზე (შებათსა და ბოტის შორის), კლდეკარს თრიალეთზე და აქედან ჯავახეთში. დიღმიდან მანგლისის დიდგორამდე ეს გზა სულ 13-15 კილომეტრის მომცველი იყო. ამის შესახებ ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ჯავახეთ-თრიალეთიდან ჭილიტბის სერით, კარსნის მთაზე მოდიოდა. ეს იყო ... ყველაზე მარჯვე და უმოკლესი გზა ისერის დედაქალაქსა და მესხეთს შორის. ამავე მიმართულებას ჰგულისხმობს მირიან მეფის და ნინოს მიერ საბერძნეოიდან მოწვეული საეკლესიო მისიონის მარშრუტი: ერუშეთი, მანგლისი, მცხეთა“<sup>9</sup>. რა თქმა უნდა, ეს გზა პქონდათ გავლილი მცხეთის მიდამოების სოფლების მკვიდრ მესაქონლეებს, რომლებიც წმიდა ნინოს ჯავახეთში შეხვდნენ.]. ქართლით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები – კახეთიდან და აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებიდან სამხრეთ საქართველოში სამეურნეო-ეკონომიკური მიზეზით მიმავალთ აუცილებლად ქართლი უნდა გაევლოთ. გარე სამუშაოზე კახეთსა და სამცხეში მიმავალ სვანებსაც ქართლი უნდა გაევლოთ (ენგურის სათავიდან ჯერ გადადიოდნენ ცხენისწყლის ხეობის სათავეში, აქედან რიონის ხეობის სათავეში (დევანდელი მთის რაჭა), შემდეგ ლიახვის ხეობით შიდა ქართლში აღმოჩნდებოდნენ, ბოლოს – ქვემო ქართლში, თრიალეთსა და ჯავახეთში). სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელი რიგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (შავშეთი, კლარჯეთი, ერუშეთი, აჭარა) სახვნელ-საოესი მიწის დეფიციტს განიცდიდა. მაგალითად შეიძლება მოვიყანოთ 1818 წლის მონაცემები, ქართლში ერთ კომლს საშუალოდ 40 დღიური სახვნელი მიწა პქონდა (გლეხი მხოლოდ მის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მიწის ნახევარს ამუშავებდა, რადგან მეორე ნახევარს ასვენებდა). იმავე დროს ზემო იმერეთში მცირემიწანობა იყო. სოფელ ბურევში ცხოვრობდა 19 კომლი, რომელთაგან მხოლოდ ერთ ოჯახს გააჩნდა სამი დღიური სახნავ-საოესი, ორ-ორი დღიური სამ ოჯახს პქონდა, დღიურნახევარი – ორ ოჯახს, თითო დღიური – სამ ოჯახს, ნახევარი დღიური – ხუთ ოჯახს, მეოთხედი დღიური – სამ ოჯახს. სოფელ ზუნევში 19 კომლი მკვიდრობდა, რომელთაგან მაქსიმუმის 2 დღიურის მფლობელი მხოლოდ 10 კომლი იყო.<sup>10</sup> ეს კი იწვევდა იმერელთა მუდმივ

<sup>9</sup> N. Berdzenishvili. Sak'art'velos istorisi sakit'khebi. Tbilisi. 1990, p. 212 (6. ბერძენიშვილი).

საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 212).

<sup>10</sup> Sak'art'velos tsentraluri sakhelmts'ip'o saistorio ark'ivi. pondi 254. anats'eri1. sak'me №544, pp.

მიგრაციას ქართლისაკენ (და კახეთისკენაც). იმერლები ქართლში დროებითაც მიგრირდებოდნენ.

ქართლის სამეურნეო უპირატესობა სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან (დასავლეთ და სამხრეთ საქართველოსთან) კარგად აქვს შენიშნული ნიკო ბერძენიშვილს: „რას ნიშნავს, რომ პურეულის უძველესი ჯიშები დას. საქართველოში არის შერჩენილი, ხოლო მისი შემდგომი განვითარება იქ აღარ ჩანს და პურეულით მდიდარია საშუალო საუკუნეებში არა დასავლეთ საქართველო, არამედ აღმოსავლეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ პურეულის განვითარება იქ ზღვარდაბეულია ბუნებრივი პირობებით, ექსტენსიურია, ხოლო ადამიანის შრომა საშუალო საუკუნეების ტექნიკის განვითარების პირობებში უძლურია რამე ეფექტი მოგვცეს ამ მიმართულებით, მაშინ როცა აღმ. საქართველოში ესევე შრომა შეუდარებლად უფრო დიდ ეფექტს იძლევა. პური დას. საქართველოში მხოლოდ ზეგნებშია და ისიც შეზღუდული ოდნობით, ჭალები მისთვის სრულიად გამოუსადეგარია; ამავე დროს აღმოს. საქართველო უხვად აჯილდოვებდა მშრომელს იმავე საშუალო საუკუნეთა საწარმოო ტექნიკით შეიარაღებულს. რაც უფრო ექსტენსიური იყო სოფლის მეურნეობა, დას. საქართველოს მეურნეობითი შესაძლებლობანი, მისი ბუნების სიუხვე შეუდარებლად დიდი იყო, ხოლო რაც უფრო ინტენსიური ხდებოდა მეურნეობა, სულ უფრო აშკარა ხდებოდა აღმოსავლეთის უპირატესობა, სადაც ადამიანის შრომა გაუდიოდა. დას. საქართველოს ბუნება კი შეუდარებლად მეტ წინააღმდეგობას და ხშირად გადაულახავ წინააღმდეგობას უწევდა საშუალო საუკუნეების ადამიანს და ზღვარს უდებდა შემდგომ განვითარებას. (შესანიშნავი მოწმობა ხანძთელიდა: ეს კეყვანა გაუსაძლისია, მის წინააღმდეგ ბრძოლა არც ივარაუდება, კლარჯეთი მთიანია და მწირი, მაგრამ დიდი შრომით იქ უდაბინ სამოთხედ იქცევა...).<sup>11</sup> შიდა ქართლს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუნისი ახასიათებდა – ორგანიზაციული მაგალითად, მეჯუდასა და ლეხურას ხეობის მთიან ნაწილში მცხოვრებთ სახლი, ყანა, ბოსტანი, ბაღი და ვენახი ბარში, მეჯვრისხევშიც პქონდათ (ნიშანდობლივა, რომ 1781 წლის აღწერაში მეჯვრისხევში მკვიდრ ყველა ოჯახის უფროს მიწერილი აქვს: ბიყრელი, ქოლოთელი, ჭალისუბნელი, წოლდელი, ჭურთელი, ისროლისხეველი, ბენდერელი, ივრეთელი, შველიეთელი, გავაზელი, საძეგურელი,

19, 87-88 (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 254. ანაწერი 1. საქმე №544, გვ. 19, 87-88).

<sup>11</sup> N. Berdzenishvili. Sak'art'velos istoriis sak'itkhebi. Tbilisi. 1990, pp. 249-250 (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 249-250).

წოლდელი...<sup>12</sup>). ე. ი. ოჯახს ჰქონდა ორი სახლი თავისი სამეურნეო კომპლექსებით: მთაში მესაქონლეობასა და მთურ მიწათმოქმედებას ეწეოდნენ და ბარში, სადაც ბარული მეურნეობის ყველა ფორმა არსებობდა. ბუნებრივია, მეურნეობის ასეთი ფორმა გაუყრელ, დიდ ოჯახად ცხოვრებას ითვალისწინებდა. შუა საუკუნეებში ორგანბინადრობა ძირითადად ერთი საფეხდალოს ფარგლებში ხდებოდა (მაგალითად, ზემოთ ჩამოთვლილი მთისა და მთისწინეთის სოფლები და ბარში მდგბარე მეჯვრისხევი ქსნის საერისავოში შედიოდა). მეურნეობის ეს ფორმა, ცხოვრების ეს წესი მათ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც შეინარჩუნეს, მთაში მცხოვრებმა გლეხებმა უკვე თავად დაიწყეს მიწების შეძენა.<sup>13</sup> ორგანბინადრობის ტრადიცია XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე გააჩნდა იმერეთის ხანის წყლის ხეობის მოსახლეობასაც სამცხეში, აგრეთვე ერწო-თიანელებს ახმეტასა და მის მიდამოებში.<sup>14</sup> როდის უნდა წარმოქმნილიყო ორგანბინადრობა საქართველოში? – ჩვენი აზრით, ცხოვრების ეს წესი ქვეყნის დემოგრაფიული კრიზისის პარალელურად უნდა გაჩენილიყო; ეს დრო კი გვიანი შუა საუკუნეებია.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მიგრაციას ორი მხარე აქვს. იყო კი იმისათვის მზად ქართლი, რომ იმერეთის (და სხვა მხარეების) მოსახლეობა მიეღო? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი არსებობს, რის მიზეზებზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ. მიგრაცია დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთის მიმართულებით საქართველოს ხანგრძლივი ისტორიისათვის თანმდევი მოვლენა იყო. მაგრამ ის მხოლოდ მუდმივი გადასახლების სახით არ ხდებოდა. საქართველოს ისტორიისათვის დამახასიათებელი იყო დროებითი მიგრაციებიც, მზედველობაში გვაქვს გარესამუშაოზე სიარული. ქართლისა და კახეთისაკენ დროებით სამუშაოზე მოისწრაფოდა არა მხოლოდ იმერეთის, არამედ სხვა მხარეების მოსახლეობაც. განსაკუთრებით ამ თვალსაზრისით გამოირჩეოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობა. სვანები საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში ჩამოდიოდნენ გარე სამუშაოზე, არამედ აღმოსავლეთსა (ქართლი, კახეთი) და

<sup>12</sup> Iv. Javakhishvili. Sak'art'velos ekonomikuri istoriis dzeglebi. I. Tbilisi. 1967, pp. 224-226 (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. I. თბ. 1967, გვ. 224-226).

<sup>13</sup> R. Topchishvili. Sak'art'velos istoriul-et'nograp'iuli mkhareebi. Tbilisi. 2017, pp. 27-28 (რ. თოფშიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბ. 2017, გვ. 27-28).

<sup>14</sup> R. Topchishvili. Sak'art'velos istoriul-et'nograp'iuli mkhareebi, p. 182 (რ. თოფშიშვილი. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გვ. 182).

სამხრეთ საქართველოშიც. იმერეთში ტერმინიც კი არსებობდა „ნაქართლი“, რომელიც ისეთ კაცს ეწოდებოდა, რომელიც ქართლში სამუშაოდ დაიარებოდა. იმერეთში, რაჭასთან ერთად, სავარცხლებსაც ამზადებდნენ, რასაც ქართლსა და თბილისში ჰყიდვნენ – ამას ეთნოლოგ ჯუანშერ სონდულაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ლექსიც მოწმობს: „გეტყობა იმერელი ხარ, // ზურგზე გყიდია გიდელი, // შიგ სავარცხლები გიწყვია, // ქალაქში გასაყიდელი“. ქართლსა და კახეთში იმერეთიდან სამუშაოდ მეჭურებიც დადიოდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში „თავ მამკალს“, მკაში მოთავეს, საუკეთესო მომკელს „თაბაგარი“ რქმევია – თაბაგარი ხომ ზემო იმერეთის მკვიდრი გვარია. ეს ფაქტორი კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ქართული ეთნიკური ერთობის კონსოლიდაციას და ქართველი ერის ჩამოყალიბებას. უფრო მეტი – სვანურ ენაზე მეტყველთათვის ქართული ენაც მუდმივად სასაუბრო ენა იყო.

ასე რომ, ქართველთა განსახლების არეალის არცერთი ტერიტორიული ერთეული კარჩაკეტილი არ ყოფილა, მათ შორის, მთიანეთიც. გეოგრაფიულ-ბუნებრივი გარემო და ლანდშაფტი ამ მხარეებს ამის საშუალებას არ აძლევდა. ამაზე ურადღება ნიკო ბერძნიშვილმა გაამახვილა: „კარჩაკეტილი“ სვანეთი გაუგებრობაა. რა პქონდა სვანებს კარჩასაკეტი. ისინი ხომ ყოველთვის ბარზე იყვნენ დამოკიდებული. მათი მურნეობა (მესაქონლეობა) სწორედ ამ ურთიერთობის ინტენსიურობას მოითხოვდა. არა მარტო მოსახლეობის ნამატი იძულებული იყო ბარად ჩასულიყო და იქ დაჯდომა ეცადა, მთაში დარჩენილიც კი იძულებული იყო ბართან კავშირი არ შეეწყვიტა და ბარით თავი ერჩინა. ამის შედეგია, რომ ბარელები სვანში მიწის მუშას, არხების ოსტატებს პგულისხმობენ... მთა მართალია, ბარელისათვის მიუდგომელი და „ჩაკეტილი“ იყო, მაგრამ მთისათვის ბარი არასოდეს ჩაკეტილი არ ყოფილა...<sup>15</sup> აღნიშნულს მხოლოდ ერთს დავსძენთ – მისი ნათქვამი საქართველოს მთიანეთის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეზე ვრცელდება. მთიელებისთვისაც ბარი, და, პირველ რიგში, ქართლი გამაერთიანებელი იყო. მთიელთა ასეთი სამურნეო-ეკონომიკური კავშირები გარკვეული წინაპირობა იყო ბარში ჩამოსახლებისა.

საქართველოს სხვადასხვა მხარეთა მოსახლეობის ქართლისაკენ მიგრაცია რომ ისტორიის სიღრმეში წარმოქმნილი და მუდმივი მოვლენა იყო, ამას

<sup>15</sup> N. Berdzenishvili. Sak'art'velos istoriis sakiit'khebi. Tbilisi. 1990, p. 427 (ნ. ბერძნიშვილი). საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990, გვ. 427).

**როლანდ თოფტიშვილი. ქართლი – საქართველოს ცენტრი,  
ქართველი ერის შემკრები და გამაერთიანებელი**

---

ქართული საისტორიო წყაროებიც ადასტურებს. აზო მცხეთაში მოდის (თუ მოპყავთ) მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან ერთად „არიან-ქართლიდან“, ანუ უფრო რომ დაგაკონკრეტო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, კლარჯეთიდან. ვისაც შავშეთ-კლარჯეთის ლანდშაფტი უნახავს, მისთვის ეს ცხადი იქნება, რადგან იქ მიწათმოქმედებისათვის ვარგისი სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა უაღერესად შეზღუდულია. უფრო აღრეც, აზომდეც ხდებოდა ეს მიგრაციები სამხრეთ საქართველოდან. ამის დამადასტურებელი კი ტოპონიმი მცხეთა, რომელსაც საფუძველი მიგრირებულმა სამცხელებმა ჩაუყარეს (სხვათა შორის, ტოპონიმი ძეგეთა დასავლეთ საქართველოშიცაა, კერძოდ, ლეჩხუმში). ახლა ისიც გავიხსენოთ, ვინ იბრძოდა და იღწვოდა საქართველოს გასაერთიანებლად, ქართლი თუ განაპირო ტერიტორიული ერთეულები? რატომ შემოდის ეგრისის მმართველი ჭუჯი ფარნავაზთან კავშირში „ყოველი ქართლის“ სამეფოს შემადგენლობაში? (ჭუჯი ფარნავაზს მიმართავს: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი“, რატომ იბრძვიან ქართველთა ერთ სახელმწიფოში გასაერთიანებლად ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო და აფხაზეთის დასავლეთ ქართული სამეფო? რატომაა ამ დროს განხე გამდგარი კახეთის სამეფო და რატომ არა აქვთ ინტერესი ქართლის მმართველო ქართული მხარეების გასაერთიანებლად და ერთ სახელმწიფოში ცხოვრებისაკენ? პასუხი მარტივია – დასავლეთ საქართველოსა და სამხრეთ საქართველოს მმართველ ფეოდალებს ქართლის ნაყოფიერი მიწების ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებთ; მათ სამიწათმოქმედო მეურნეობის ფართოდ განვითარების საშუალებას ლანდშაფტი და კლიმატი არ აძლევდა (საამისოდ ბაღგაშ-ორბელთა, თმოგველთა, თორელ-ჯავახიშვილთა, ქაშიბაძე-ბარათაშვილების, ფანასკერტელ-ციციშვილათა, შალიგაშვილთა ისტორიის გახსენებაც საკმარისი იქნება). კახეთს/პერეთ-კახეთს კი მარცვლეული კულტურებისათვის საჭირო სახნავ-სათესი მიწები საკმარისზე მეტი რაოდენობით ჰქონდა და ამიტომაც საქართველოს გაერთიანებისათვის მისი მესვეურნი თავს არ იწუხებდნენ.

ქართველთა კონსოლიდაციდან მთის გამოთიშვაც შეუძლებელია. ზემოთ სვანების შესახებ უკვე აღვნიშნეთ. ანალოგიურად გარე სამუშაოზე გასვლა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მიმართულებით რაჭებლებისა და ლეჩხუმელებისათვისაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომელშიც ჩართული იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებიც. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ. ესაა 1660 წლის ბახტრიონის აჯანყება.

მტერთა ქმედებებით კახეთის მოსახლეობა ამ დროს უკვე დემოგრაფიული ოვალისაზრისით დიდ კრიზისს განიცდიდა (მოსახლეობის ბრძოლაში გაწყვეტა, მწარმოებელი მოსახლეობის დიდი რაოდენობით აყრა და სპარსეთში გადასახლება). თოთქოს დანარჩენ კახეთსაც აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ბედი უნდა გაეზიარებინა, მაგრამ მხსნელად კახეთს მთის მოსახლეობა მოევლინა. რამ აიძულა მთიელები ბახტონინის აჯანყების მონაწილენი გამხდარიყვნენ და ფაქტობრივად კახეთისათვის ქართული ეთნიკურობა შეენარჩუნებინათ? – იმ სამეურნეო-ეკონომიკურმა კავშირებმა, რომელიც მთასა და ბარს შორის არსებობდა, რაშიც სახელმწიფოს ჩართულობა საკმაოდ დიდი იყო. მთიელები კარგავდნენ საარსებო საშუალებას – ბარის საზამთრო საძოვრებს. საზამთრო საძოვრების გარეშე კი ადგილობრივი მთური სამეურნეო საშუალებებით არსებობა შეუძლებელი იყო. ამას ემატება ის ვენახები, რომლებიც მთიელებს და მათ ჯვარ-ხატ-სალოცავებს სახელმწიფოს მიერ ჰქონდათ ბოძებული. თუ გადავხდავთ, კახეთის მოსახლეობას, აღმოვაჩენთ, რომ აქ ადგილობრივი ძველი კახური მოსახლეობის შთამომავლნი მცირე რაოდენობით არიან. კახეთში თავმოყრილია საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობა, განსაკუთრებით, მთიელები და დასავლეთ საქართველოდან მიგრირებულები. XVIII საუკუნის საისტორიო საბუთები კახეთში ქართლიდან მოსახლეობის მიგრაციაზე თვალყურის გადევნების საშუალებასაც იძლევა (მაგალითად, 1771 წლის არზით ირკვევა, რომ მეჯუდას ხეობის მოსახლეობა მეჯვრისხევს ზემოთ თითქმის მთლიანად აყრილა).<sup>16</sup> იმ დროს ქართლს ხომ თავად ჰქონდა დემოგრაფიული პრობლემა, რაღაზე მიგრირდებოდნენ ისინი კახეთში? მიზეზი მრავალია; ეს იყო ყიზილბაშობა და ოსმალობა, აგრეთვე ლეკიანობას პლიუს ოსიანობა (ფრონების ხეობის ქართველთაგან დაცლის მიზეზი სწორედ რომ ოსიანობა იყო). მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ისიც, რომ მცენარის ვეგეტაცია კახეთში საკმაოდ ადრე იწყება, ვიდრე შიდა ქართლში. მაგრამ კვლავ კითხვა ისმის – ანალოგიური დემოგრაფიული ფაქტი მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში მოხდა? – ეს პროცესი მოსახლეობის მიგრაციისა მუდმივად მიმდინარეობდა. კითხვა გაჩნდება – როგორ ურიგდებოდა ქართლის ფეოდალური საზოგადოება ყმა-გლეხების სხვა მხარეში გადასახლებას? აღნიშნული საბუთების სიმრავლე სწორედ იმ

<sup>16</sup> K'art'uli samart'lis dzeglebi. tomi VII. T'bilisi. 1981, pp. 18, 27, 42, 43, 49, 59, 61, 103, 123, 191, 225, 339, 486, 614, 644, 726, 781, 806 (ქართული სამართლის ძეგლები. ტომი VII. თბ. 1981, გვ. 18, 27, 42, 43, 49, 59, 61, 103, 123, 191, 225, 339, 486, 614, 644, 726, 781, 806).

ფაქტით არის განპირობებული, რომ თავად-აზნაურობა კახეთში გადასახლებულებს ეძებდა. როგორც ირკვევა, კახეთის მოსახლეობა ქართლიდან გადასახლებულ-გადახვეწილებს იცავდა. ამის დამადასტურებელი ფრიად საყურადღებო ფაქტია აღწერილი 1788 წლის არზაში: „... საქართველოს პატრიარქის ჭირი მოსცეს მათს მონას ციციშვილს ზაზას. ამას მოვახსენებთ, რომ ერთი კომბლი კაცი მყვანდა, წაგვისიდან ამჟარა, ხაშმზედა ჩავიდა. აგერ ერთი კვირეა ჩავედი მე, ხაშმელებმა ხიზანი საყდარში შეიყვანეს და კაცები იარაღით წვერზედ აგზავნეს, იქაური ღვდლები ქომაგად ყავსთ იმ ჩემს კაცებს“.<sup>17</sup> 1762 წელს შიდა ქართლელი თავადი ზაალ დავითიშვილი მეფე ერეკლე მეორეს მიმართავდა: „ლმერთმან ასე თქვენს მტერს გაუჭიროს, როგორც მე საქმე მიჭირდეს. ხომ მოგეხსენება, ჩვენს მამულში ცეცხლი აღარ ანთა. აღარც ყმა დაგვრჩომია, რაც ლეგს მოურჩა, დაიფანტნენ. ერთი კაცი მყვანდა სურამს, ისიც ხომ დამეკარგა, აღარავინ მყამს“.<sup>18</sup> მოყვანილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ ქართლის თავადაზნარობა გვიან შეა საუკუნეებში მწარმოებლის, ყმა-გლეხის კრიზისს განიცდიდა – ქართლში სერიოზული დემოგრაფიული პრობლემა იყო, მიუხედავად იმისა, რომ აქ დასავლეთ საქართველოდან ინტენსიური მიგრაციული პროცესი მიმდინარეობდა.

კახეთის მსგავსი ანალოგიური ვითარება იყო ქართლშიც. ამ პროცესს შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში სხვადასხვაგვარად უნდა შევხედოთ. ქვემო ქართლის სამხრეთ საზღვართან არსებობამ და განსხვავებულმა ლანდშაფტმა ფაქტობრივად განსაზღვრა მისი ბედი. ძველი ქართული მოსახლეობა აქ შედარებით მცირე რაოდენობით შემორჩა, ბევრი კი სომხურ-გრიგორიონული კონფესიის მიმდევარი გახდა. სასაზღვრო ზოლთან სიახლოებები და ლანდშაფტი აქ ქართული მოსახლეობის ბუნებრივ აღწარმოებას ფაქტობრივად ხელს უშლიდა. ადგილობრივ მოსახლეობას ქვემო ქართლში ღრმა და ტყიანი ხეობების არარსებობის გამო თავის შეფარების ისეთი საშუალება არ ჰქონდა როგორც შიდა ქართლში. აგრეთვე ქვემო ქართლის ლანდშაფტი ნახევრადმომთაბარე თურქულენოვან მოსახლეობას უფრო იზიდავდა, ვიდრე შიდა ქართლი. რაც შეეხება შიდა ქართლს, აქ ძველი ისტორიიდან დაწყებული მიგრაციული პროცესები არ შეწყვეტილა. შეიძლება დაბევზოთებით ითქვას, რომ აქაც ადგილობრივი ძველი ქართლელები უმიშვნელო რაოდენობით არიან შე-

<sup>17</sup> Dokumentebi sak'art'velos sotsialuri istoriidian. II. Tbilisi. 1953, p. 143 (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. II. თბ. 1953, გვ. 143).

<sup>18</sup> Iv. Javakhishvili. Sak'art'velos ekonomik'uri istoriis dzeglebi. II. Tbilisi. 1974, p. 102 (ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები. II. თბ. 1974, გვ. 102).

მორჩენილი. ისევე როგორც კახეთი, შიდა ქართლიც შიდა მიგრაციულმა პროცესებმა იხსნა. შიდა ქართლში ეს მიგრაციული ტალღები სხვადასხვა მიმართულებისა იყო. აქ მიგრირდებოდნენ არა მხოლოდ მთიელები და დასავლეთ საქართველოს ძოსახლეობა, არამედ მტერს გამორიდებული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაც. ამ თვალსაზრისით საქართველოს ეს ცენტრალური ტერიტორიული ერთეული შეიძლება პირობითად ორ ნაწილად დავყოთ – გორიდან აღმოსავლეთით ძირითადად საქართველოს მთიდან ჩამოსახლებულთა შთამომავლები სჭარბობენ, გორიდან დასავლეთით კი – დასავლეთ საქართველოდან გადმოსახლებულთა შთამომავლები. თუმცა ქართლში დიდი რაოდენობითაა ჯავახეთიდან მიგრირებულთა შთამომავლებიც (ჯავახეთი როგორც ქვემო ქართლთან, ისე შიდა ქართლთან მოკლე გზებით იყო დაკავშირებული). დასავლეთ საქართველოდან ქართლში მოსახლეობის უწყვეტი მიგრაციის დასადასტურებლად შეიძლება დავიმოწმოთ 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარი. დავთარში შეტანილია ძირითადად დღევანდელი ხაშურისა და ქარელის რაიონების სოფლები, აგრეთვე ფრონების ხეობა, რომელიც საბჭოთა პერიოდის ზნაურის რაიონს მოიცავდა. ორგვევა, რომ შიდა ქართლის რუისის სამწყსოში შემავალი მოსახლეობა XVIII საუკუნის დასაწყისში ძირითადად დასავლეთ საქართველოდან იყო მიგრირებული. მაგრამ სულ რაღაც ერთი საუკუნის შემდეგ, XVIII საუკუნის დასაწყისში დავთარში მოხსენიებული გვარები აღნიშნულ სოფლებში უკვე აღარ მოსახლეობდნენ (მხოლოდ თითო-ოროლა გვარიდა იყო შემორჩენილი, ისიც უმნიშვნელო რაოდენობით). სოფლეთა ნაწილი ნასოფლარად იქცა, ნაწილში კი უკვე ახალი მიგრანტები მოსახლეობდნენ, რომლებიც ასევე დასავლეთ საქართველოდან იყვნენ მიგრირებული. დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, ქართლში (და კახეთშიც) მოსახლეობა რომ ხშირად იცვლებოდა ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ყველაზე დიდი 40 ქართული გვარი დასავლურქართულია.<sup>19</sup> რამ გამოიწვია მოსახლეობის ცვლა? – საგარეო ფაქტორმა (ოსმალობამ, ყიზილბაშობამ და განსაკუთრებით ლეკიანობამ) საგარეო ფაქტორი (ოსმალეთის იმპერიასთან საზღვარი) ხელს უშლიდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციას თორის მხარეში. რუსეთის მიერ ახალციხის შემოერთებამ თორის პრომლემაც გადაწყვიტა. იმერეთისა და სხვა მხარეების მოსახლეობამ ინტენსიური დასახლებარება დაიწყო ბორჯომის ხეობაში.<sup>20</sup> ასე რომ,

<sup>19</sup> R. Topchishvili. sakhelebis et'nologia da istoria. Tbilisi. 2010, p. 244 (რ. თოფჩიშვილი. სახელების ეთნოლოგია და ისტორია. თბ. 2010, გვ. 244).

<sup>20</sup> R. Topchishvili. Dasavlet' sak'art'velos mosakhleobis migratsii shesakheb istoriuli t'oris

**როლანდ თოფხიშვილი. ქართლი – საქართველოს ცენტრი,  
ქართველი ერის შემკრები და გამაერთიანებელი**

---

დასავლეთ საქართველო და საქართველოს მთიანეთი მუდმივად ამარაგებდა ქართლს მოსახლეობით. საქართველოს მხარეები ერთმანეთს ავსებდნენ. თაგ-დაპირველად ქართლისაკენ სწრაფვას ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა, შემდეგ მიგრაციას ქართლში ხელს უწყობდა საგარეო ფაქტორი, კატასტროფიული დემოგრაფიული ვითარება. შეიძლება ითქვას, რომ ქართლი (და, საერთოდ, საქართველო) გადაარჩინეს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარეებმა, ამ მხარეების ნამატება მოსახლეობამ, იმ მხარეებმა, სადაც მტერი ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორების გამო საერთოდ ვერ შედიოდა.

კითხვა ისმის: შიდა ქართლისა და კახეთის მიმართულებით მთიელოთა და დასავლეთქართველოთა გადმოსახლებანი მხოლოდ ერთჯერადად მოხდა, თუ ის მუდმივი პროცესი იყო? – ასეთი მიგრაციული პროცესები არ შეწყვეტილა საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში – ქართლი, კახეთთან ერთად, გადაარჩინა იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობამ, რომლებიც საუკუნეებით განმავლობაში კონცენტრირდებოდნენ ცენტრალური პროვინციის გარშემო, რომლის ლანდშაფტი და სახვნელ-სათესი მიწის დიდი ფართობები იზიდავდა თითქმის ყველა ქართველს და შეიძლება ითქვას ყველა კლასის წარმომადგენელს (როგორც გლეხს, ისე ფეოდალს). ქართლის ამ როლს განსაზღვრავდა შემდეგი მიზეზები: ცენტრალური მდებარეობა, სავარგული მიწები, მოკლე დამაკავშირებელი გზები, რომლებიც მიემართებოდა კახეთისაკენ, დასავლეთ საქართველოსაკენ და სამხრეთ საქართველოსაკენ. ქართლის ბარზე და მთიანეთზე გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზაც.

კიდევ ერთი კითხვა გაჩნდება: რატომ ვერ უზრუნველყო ზემოთ დასახელებულმა მოსახლეობამ ქვემო ქართლის, კახეთის აღმოსავლეთ ნაწილის დასახლება-ათვისება, ანდა რატომ შემოვიდა დაცარიელებულ ადგილებზე უცხო ეთნიკური ერთობა, მაგალითად, როგორებიც ოსები არიან? სანაპირო „ქვეწები“ ამ მხრივ ნაკლებად მიმზიდველი იყო – მტერი პირველად აქ შემოღილა და მწარმოებელს თავის შეფარების ნაკლები საშუალება ჰქონდა. რატომ ვეღარ მოევლინა მშველელად დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა? დადგა დრო და დასავლეთ საქართველომ, უფრო სწორედ, იმერეთმა და რაჭამ ეს მისია ვეღარ შეასრულა და „მშვე-

---

mkhareshi (borjomi raioni). Gelat's metsnierebat'a akademiis shromebi. V. Tbilisi. 2019, pp. 303-348 (რ. თოფხიშვილი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის შესახებ ისტორიული თორის მხარეში (ბორჯომის რაიონი). გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. V. თბ. 2019, გვ. 303-348).

ლელის“ როლში სხვა, უცხო ეთნოსი მოგვევლინა. ესენი ოსები იყვნენ, რომ-ლებმაც ჯერ დვალეთი და შიდა ქართლის მთიანეთი დაიკავეს, მოგვიანებით კი აქედან ბარის სოფლებშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით დასახლდნენ. რატომ მიეცათ ოსებს თავისუფლად დასახლების შესაძლებლობა? თუ ვახუშტი ბაგრატიონს გავიხსენებთ, ის თსთა მიერ შიდა ქართლის მთიანეთის დაკავებას იმას მიაწერს, რომ ეს უკანასკნელი გეოგრაფიული ერთეული ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიერ ერთჯერადად მიტოვებული იქნა და ოსებს აქნასოფლარებზე დასახლება უხდებოდათ: „ხოლო რაოდენი ოსნი დაგსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათოგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინათვან მტერთავან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“<sup>21</sup>

აშკარაა, რომ შიდა ქართლის ბარში დემოგრაფიული თვალსაზრისით იმდენად კრიტიკული ვითარება შეიქმნა, რომ ქართველი ფეოდალები იძულებული იყვნენ შიდა ქართლის მთასა და დვალეთში მცხოვრები თავიანთი ყმები ჯგუფურად და ერთდროულად ბარში ჩამოესახლებინათ. კიოთხვა ჩნდება: რატომ აყარეს შიდა ქართლის მთიელები სახელმწიფომ და თავად-აზნაურობამ? რატომ აღარ იქნა გამოყენებული მეორე რეზერვი, რომელიც დასავლეთ საქართველოდან მოემართებოდა, საიდანაც მუდმივად ხდებოდა ბუნებრივი ნამატის აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რევიონებში გადასახლება? რატომ ვეღარ მიეშველა დასავლეთ საქართველო (განსაკუთრებით იმერეთი, რაჭა) მთას?

მიზეზი საგარეო ფაქტორი იყო. ცნობილია, რომ ქართველ ერს აუნაზღაურებელი დანაკლისი მიაყენა ომურ-ლენგის შემოსევებმა (1386-1403 წწ.). მერვე ლაშქრობის დროს (1403 წ.) ომურ-ლენგმა იმერეთსა და რაჭა-შიც მთახერხა შესვლა და სპარსელი მემატიანეს აღნიშვნით, დაახლოებით შვიდასი დაბა, ყანა და მონასტერი იქნა დარბეული და გაძარცული“. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, იმერეთმა და რაჭამ მოსახლეობის დიდი დანაკლისი განიცადა. ასე რომ, კარგა ხნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს აღნიშნულმა მხარებმა აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობით მომარაგება ვეღარ შეძლო, რამაც გამოიწვია დვალეთიდან და შიდა ქართლის მთიანეთიდან ბარში მოსახლეობის ერთდროული ჯგუფური გადასახლება. ამ ფაქტმა კი, თავის მხრივ, ხელფეხი გაუხსნა ჩრდილოეთიდან შემოსულ ოსურ ეთნიკურ ერთობას, რომელსაც მიგრაციისას ფაქტობრივად წინააღმდეგო-

<sup>21</sup> Kartlis tskhovreba. tomi IV. t'bilisi. 1973, pp. 363-364 (ქართლის ცხოვრება. ტომი IV. თბ. 1973, გვ. 363-364).

**როლანდ თოფზიშვილი. ქართლი – საქართველოს ცენტრი,  
ქართველი ერის შემკრები და გამაერთიანებელი**

---

ბა აღარ ხვდებოდა. აღნიშნული დემოგრაფიული ვითარების შექმნაში დიდი როლი 1348 წლის ეპიდემიამაც ითამაშა, რომელიც „დიდი სიკვდილობაი“-ს სახელითაა ცნობილი.

ცნობილია, რომ ყველა ეთნოსის მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური სტრუქტურა გააჩნია. ორიგინალური ეთნიკური სტრუქტურის მატარებელი იყო ქართული ეთნოსიც – საკუთრივ ქართულ სალიტერატურო ენაზე მოლაპარაკე ტერიტორიულ ერთეულებს გარდა, მასში მეგრულად და სვანურად მეტყველი ტერიტორიულ-ლოკალური ერთეულებიც შედიოდნენ და შედიან. ქართული ეთნოსის ამ სტრუქტურის შექმნაც გეოგრაფიულმა ფაქტორმა განაპირობა. სამეგრელოსა და სვანეთის მოსახლეობას ადგილობრივი ლანდშაფტი აძლევებდა მშიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირურითიერთობა ჰქონდა საქართველოს დანარჩენ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან. ამ განაპირა მხარეების მოსახლეობა მუდმივად მიისწრაფოდა საქართველოს ცენტრალური მხარისაკენ – ქართლისაკენ. აქ სახვნელ-სათესი მიწისა და საძოვარ-სათიბების დიდი რაოდენობა იყო. ქართლის ცენტრალურმა მდებარეობამ და ლანდშაფტმა განაპირობა ქართლური დიალექტის ყველა ქართველის სალიტერატურო ენად გადაქცევა. ქართლის ტერიტორია მეგრულად და სვანურად მეტყველთა განსახლების არეალი რომ ყოფილიყო, ქართული ეთნოსის სალიტერატურო, სახელმწიფო და საღვთისმეტყველო ენა ან მეგრული იქნიდა, ან სვანური. ასე რომ, ქართველთა ეთნიკური სტრუქტურა გეოგრაფიული გარემოს შექმნილია – მის სტრუქტურულ ერთეულებს ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეეძლოთ, გეოგრაფია მათ ეკონომიკურ მიზიდულობას განაპირობებდა. ეს კი ეთნიკური კონსოლიდაციის საფუძველი იყო<sup>22</sup>.

ამრიგად, ქართლი იყო ქართველთა შემკრები და გამაერთიანებელი, რასაც განსაზღვრავდა ბუნებრივ-გეოგრაფიული, ლანდშაფტური ფაქტორები, რაზედაც თავის მხრივ, დამოკიდებული იყო თითოეული მხარის და საერთოდ ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარება. ამავე ფაქტორმა განაპირობა ქართული ეთნიკური ერთეულის ერად (ნაციად) ჩამოყალიბება, ქართული სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენის ფორმირება, დედაქალაქის ქართლში არსებობა. ქართლის (აგრეთვე კახეთის) ეთნიკური გადარჩენაც მის ირგვლივ (ახლოს და შედარებით დაშორებულმა) მდებარე მხარეებმა მოახდინეს.

<sup>22</sup> R. Topchishvili. Geografiuli garemo da kavkasieli t'a et'nikuri kultura. Tbilisi. 2018, p. 100 (რ. თოფზიშვილი. გეოგრაფიული გარემო და კავკასიელთა ეთნიკური კულტურა. თბ. 2018, გვ. 100).

**Roland Topchishvili**  
Academician,  
Gelati Academy of the Sciences, Georgia

## KARTLI – THE CENTER OF GEORGIA AND GEORGIANS

### Summary

The Georgian ethnic unit consisted of various territorial units. These local units had their original names. The abundance of territorial units was caused by the geographical factors. Over time, the same geographical factor led to the unification of Georgians, which also led to their aspiration for a united state organization. As a result of this aspiration, a common name “Kartveli”-Georgian was produced and then we got the name of the country “Sakartvelo” - Georgia from this ethnonym. This occurred due to the fact that one of the territorial units of Georgia, called Kartli, was located in the midst of Georgia. Along with this factor, the landscape and natural-geographical environment had determinant importance. The physical geography of almost every historical-ethnographic parts of Georgia was diverse. They differed from each other in: elevation, deep and relatively shallow valleys, sloping mountains, forest cover, the amount of arable lands, protection and terms of sun light. The landscape and natural-geographic environment of Georgia in fact created unique and different economic forms. None of the territorial units could exist independently- they complemented each other in this respect; what one had didn't have the other. Mutual compatibility was the consequence of the history of Georgia and the Georgian nation. The historical and ethnographic parts of Georgia were in close economic union with each other which was a solid basis for the consolidation of the Georgian people. Consolidation was taking place around Kartli. Kartli was the shortest route to the Southern Georgia. Different historical and ethnographic parts of Georgia were linked to each other with Kartli.

The population of Kartli, due to an exogenous factor, often used to reach a critical threshold. In this case, the rescuers of Kartli were those territorial units where the enemy could not be included. As a result of the migration of the increasing population of the highlands and the western Georgia – the population in Kartli was reproduced. Thus, Kartli was not only a region in the center of Georgia, but also the region gathering and uniting of Georgians. The natural-

**როლანდ თოფხიშვილი. ქართლი – საქართველოს ცენტრი,  
ქართველი ერის შემკრები და გამაერთიანებელი**

---

geographic and landscape factors, in turn, have led to the formation of Georgian ethnic unit as a nation, the formation of the Georgian literary and theological language, the existence of the capital in Kartli.

**ნესტან სულავა**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**თარგუმების მნიშვნელობა  
„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით**

შესავალი. წმ. ევსტათი მცხეთელის მხატვრული სახის წარმოდგენისას მასში მკითხველი ადრეულ საუკუნეებში ასახულ მოაზროვნე წმინდას, ანუ იმგვარ პიროვნებას ხედავს, რომლის სარწმუნოებრივი აღმსარებლობა როულმა ფისქოლოგიურმა და ინტელექტუალურმა ძიებამ განაპირობა, რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება ადრეც გამახვილდა. ტექსტში პაგი-ოგრაფიული გმირის სულიერი განვითარების საჩვენებლად დიდი როლი აკის-რია თარგუმების სახით ჩანართ ბიბლიურ ნაწილებს, რომლებსაც თავიდან ბოლომდე ღვთაებრივი სიკეთე, ნათელი და ადამიანის თვითშემეცნებისაკენ სწრაფვა წარმართავს.

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ ჩართული თარგუმების განხილვამდე საჭიროა ამ ტერმინის რაობის ახსნა-განმარტება და თარგუმთა შექმნის ისტორიის გადმოცემა.

თუ რამ გამოიწვია თარგუმების შექმნა ძველი აღთქმის ეპოქაში და რა მიზნით დაიწერა თარგუმები, საკმაოდ შესწავლილია სამეცნიერო ლიტერატურაში, აგრეთვე განსაზღვრულია თარგუმის რაობა და არსი. ტერმინოლოგიურად იგი ბიბლიურ, ძირითადად ძველი აღთქმის პერიოდში შემუშავებული ტერმინია და თანამედროვე ენაზე განმარტებას ნიშნავს, ხოლო ეტიმოლოგიურად ებრაული სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმაა – targumim (აქედან ძომდინარეობს სიტყვა „თარგმანი“). ბიბლიური (ძველი აღთქმის) ტექსტებისა და თარგუმების საფუძველზე, აგრეთვე, მათ შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით შეიძლება თარგუმთა შექმნის რამდენიმე ეტაპი გამოიყოს: 1. პირველი ეტაპი, უძველესი პერიოდი იმ ეპოქას განეკუთვნება, როდესაც ჯერ კიდევ ებრაულ ტექსტს სჭირდებოდა განმარტება, რადგან ბიბლიის ტექსტებში ყველაფერი ზუსტად მითითებული არ იყო და მსმე-

**ნესტან სულავა. თარგუმების მნიშვნელობა  
„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით შესახებ**

---

ნელს/მკითხველს კითხვები ებადებოდა, რაც მათი კომენტირების აუცილებლობას ბადებდა; ამის ნიმუშად პ. შულიქს მოაქვს ბიბლიაში აღწერილი კაენისა და აბელის ურთიერთობა, კაენის მიერ აბელის მოკვლა, რაც ბიბლიაში არასრულყოფილადაა ასახული და რის გამოც შეიქმნა თარგუმები, ყოველივე ამის შეფასება არამეულ თარგუმებში,<sup>1</sup> რაც ძველი აღთქმის წიგნებს პერიფრაზის, განმარტებების, დამატებების სახით დაერთვოდა; 2. შეორე სავეზური სეპტუაგინტას, ბერძნულ ენაზე ბიბლიის თარგმნას უკავშირდება, როდესაც მთარგმნელის წინაშე უმნიშვნელოვანესი ამოცანა იდგა: ივრითის არმცოდნეთათვის წმინდა წერილის აღქმა, უწინარეს ყოვლისა, ებრაულთათვის არამეული თარგუმების საშუალებით ოუდიაზმის მრწამსის, საფუძვლების სწავლება;<sup>2</sup> 3. ქრისტიანული სამყაროსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე ეტაპი, რადგან ბერძნული სეპტუაგინტა და ლათინური ვულგატა ძველი აღთქმის წიგნებს ქრისტიანულად ინტერპრეტირებულს და ქრისტიანული დოგმებით გაჯერტყელს აწვდიან მორწმუნებებს. აგრეთვე, თარგუმები დაურთოს ახალი აღთქმის წიგნებს, რათა მრევლს წმინდა წერილის, საღმრთო სწავლების უკეთ აღქმაში დახმარებოდა. ქრისტიანულ ლიტერატურაში თარგუმის სახით შეაქვთ სხვა საღვთისმეტყველო თხზულებებიც (მაგ., „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ შეტანილია „მრწამსის“ ტექსტი).

სამეცნიერო ლიტერატურაში ღვთის არსის განმარტების საფუძველზე შეხედულებები თარგუმთა ჩამოყალიბების შესახებ ღვთის არსის ადამიანის მიერ შეცნობას, ღვთის გამოცხადებასა და საღმრთო სიტყვის ბიბლიურ კონცეფციას დაუკავშირებს.<sup>3</sup> მკვლევართა აზრით, პირველი თარგუმები მაშინ გამოჩნდა, როდესაც ძვ. წ. III-I საუკუნეებში სეპტუაგინტა ბერძნულ ენაზე ითარგმნებოდა. ამის მოწმობად მოიხმობენ ყუძრანის არამეული თარგმანების უძველეს ფრაგმენტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიის არამეული თარ-

<sup>1</sup> P. L. Šulyk. Targum kak interpretaciâ biblejskih tekstov. Naukovî praci Kam'âneç'-Podil's'kogo nacionâlnogo universitetu imeni Ivana Ogienna. Filologični nauki. Vip. 27. 2011, pp. 365-368. [http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu\\_fil\\_2011\\_27\\_83](http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu_fil_2011_27_83) (П. Л. Шулык. Таргум как интерпретация библейских текстов. Наукові праці Кам'янець-Подільського національного університету імені Івана Огієнка. Філологічні науки. Вип. 27. 2011, с. 365-368. [http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu\\_fil\\_2011\\_27\\_83](http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu_fil_2011_27_83)).

<sup>2</sup> P. L. Šulyk. Targum kak interpretaciâ biblejskih tekstov, pp. 365-368. [http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu\\_fil\\_2011\\_27\\_83](http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu_fil_2011_27_83) (П. Л. Шулык. Таргум как интерпретация библейских текстов, с. 365-368. [http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu\\_fil\\_2011\\_27\\_83](http://nbuv.gov.ua/UJRN/Npkpnu_fil_2011_27_83))

<sup>3</sup> D. Colin. Teofaniâ i ee interpretaciâ v targumah Koncepcia Božestvennogo Slova (אֶתְפָּנִיָּה). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah> (Д. Цолин. Теофания и ее интерпретация в таргумах Концепция Божественного Слова (אֶתְפָּנִיָּה)). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah>.

გმანების შესრულებას ებრაული ტრადიცია ეზრას ეპოქას, ე. ი. ძვ. წ. V საუკუნეს, უკავშირებს. უძველეს პერიოდში ბიბლიის არამეულ ენაზე თარგმნა ახსნილია ამ ენის პოპულარობით, უფრო ზუსტად, არამეულის საერთაშორისო ენად გამოცხადებით, რაც ბაბილონის ტყვეობამდე უნდა მომხდარიყო. ეს ფაქტი დადასტურებულია თვით ბიბლიურ ტექსტებშიც, კერძოდ, ესაა წინასწარმეტყველის ოხზულებაში (ქ. 36, 11). ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთიოებენ, რომ თარგუმი იმ პერიოდში შეიქმნა, როდესაც ებრაული ენა ოუდეველებისათვის ჩვეულებრივი სამეტყველო ენა უკვე აღარ იყო და გაჩნდა ბიბლიური ტექსტების არამეულ ხე თარგმნისა და განმარტებების აუცილებლობა/საჭიროება. თავის მხრივ, არამეულის გავრცელებას ხელი შეუწყო სირიაში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა და საომარმა მოქმედებებმა; ისრაელის სამეფოში გადასახლებული ხალხები ერთმანეთთან არამეულად საუბრობდნენ, ხოლო გადასახლებულთა შთამომავლებმა, კერძოდ სამარიტელებმა, ახალი ეთნიკური ერთობაც შექმნეს და მათი საუროიერთობო ენა არამეულის ერთ-ერთი სახეობა – სამარიტული გახდა. ბაბილონის ტყვეობის პერიოდში სხვა ქვეყნაში გადასახლებული ებრაელების მიერ არამეულ ენაზე საუბრის დაწყების საფუძვლად იმას მიიჩნევენ, რომ არამეული და ძველებრაული ენები, როგორც ჩრდილო-დასავლურ სემიტურ ენათა ჯგუფის ენები, ერთმანეთს ჰგავდა და ამიტომ სხვადასხვა კუთხეში გაფანტულმა ებრაელებმა არამეული ადვილად შეითვისეს. მათთვის წმინდა წერილის ენა, ძველებრაული, გაუცხოვდა, ოუდეველთა დიდ ნაწილს იგი უკვე აღარ ესმოდა. შესაბამისად, ბიბლიის (ძველი აღთქმის) ენა საკრალური გახდა, იგი მხოლოდ ღვთისმსახურებისას და ბიბლიის სწავლებისას გამოიყენებოდა, ხოლო რაკი სიტყვების მნიშვნელობა არ ესმოდათ, მათ განმარტება აუცილებელი გახდა. სწორედ ეს იყო ძველი აღთქმის წიგნების ცოცხალ სასაუბრო ენაზე თარგმნის მიზეზები, ასეთი ენა კი არამეული იყო. სინაგოგაში ღვთისმსახურებისას ბიბლიის ტექსტის კითხვის პარალელურად განმარტებებს (თარგუმებს) ხმაბალლა კითხულობდნენ: ებრაულად წაკითხული ყოველი სამი მუხლის შემდეგ საჭირო იყო მათი განმარტება (ნემ. 8, 8). ასე დაიწყო თარგუმების ჩამოყალიბება და გაჩნდა მკითხველ-მეთურგემანიც (თარგუმებსაც სიმღერით ასრულებდნენ. ქართულად წაროქმით შესრულებაა). ჩვენამდე მოღწეულია პალესტინაში შექმნილი საკმაოდ ადრეული პერიოდის თარგუმები, რომელთაც პროტოთარგუმებსაც უწოდებენ და მისი ხელნაწერი ბაბილონში მოხვედრილა. ასე ჩამოყალიბდა ონგელოსის ებრაელთა თემის მიერ აღიარებული, ოფიციალური თარგუმები თორას ხუთწიგნეულისათვის, ხოლო იონათ-

ნესტან სულავა. თარგუმების მნიშვნელობა  
„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით შესახებ

---

ანისა – წინასწარმეტყველთა წიგნებისათვის. თარგუმები ორიგინალს, ძველი აღთქმის ტექსტებს საკმაოდ უახლოვდებოდა, თუმცა შიგადაშიგ პერიფრაზები და ტექსტში ჩართული გლოსებიც საკმაოდა.<sup>4</sup>

პალესტინაში დარჩენილი პროტოთარგუმების ხელნაწერთა საფუძველზე თარგუმთა შექმნის მეორე ეტაპი დაიწყო და ჩამოყალიბდა მეორე რედაქციაც, რომელსაც პალესტინური თარგუმები უწოდეს. მკვლევარები მეორე ეტაპზე თარგუმთა შექმნას უკავშირებენ იუდაიზმის პოლემიკას ქრისტიანობასთან, გნოსტიციზმთან და სამარიტელთა იუდაიზმთან. ბიბლიურ ტექსტებს საკმაოდ ბევრი განმარტება და ქადაგებათა ფრაგმენტებიც დაემატა. ასე, რომ თარგუმთა შედგენისა და ბიბლიურ ტექსტებზე (იგულისხმება ორივე წიგნი: ძველი და ახალი აღთქმა) დართვის აუცილებლობა განაპირობა ტექსტების უკეთ გაგებამ, გააზრებამ. ასე გადაიქცა თარგუმები ბიბლიის პარაფრაზებად, გარდათქმებად და არა უშუალო თარგმანებად. იმასაც უთითებენ, რომ ზოგიერთი შეხედულება ღვთისჩენის, მესიის, ძველი აღთქმის ცალკეული მოვლენის შესახებ, აგრეთვე, ცნობები სამართლებრივი ხასიათის ცალკეული საკითხის შესახებ მხოლოდ თარგუმებში გვხვდება. თარგუმები, ერთი მხრივ, იუდეური თხზულებებია და მათში შემორჩენილია ანტიქრისტიანული პოლემიკის კვალი, რაც ა. წ. II-IV საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო, მეორე მხრივ, თარგუმების კონცეფცია ქრისტიანულს ეთანხმება ან უახლოვდება მანც.<sup>5</sup>

ბიბლიური ტექსტების განმარტებებს ან პერიფრაზულ თარგმანს არამეულში „თარგუმად“ იხსენიებენ. ეს ტერმინი სინაგოგური ლიტურგიის კონტექსტში აღმოცენებული ბიბლიური ტექსტის ძველი არამეული თარგმანების-თვის გამოიყენებოდა, რაც, როგორც აღინიშნა, მორწმუნეთა უმრავლესობის მიერ ძველებრაული ენის უცოდინრობამ განაპირობა. თავდაპირველად თარგუ-

<sup>4</sup> D. Colin Teofaniâ i ee interpretaciâ v targumah Konsepcijâ Božestvennogo Slova (אֶרְאָמִינַ). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah> (Дмитрий Цолин, Теофания и ее интерпретация в таргумах Концепция Божественного Слова (אֶרְאָמִינַ)). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah>.

<sup>5</sup> B. Grossfeld. The Targum Onqelos to Genesis (The Aramaic Bible. 6). Edinburgh: Clark. 1988. Targum Onkelosa na Knigu Bytiâ (per. s aram. A. K. Lâvdanskogo). Klassičeskie biblejskie komentarii: Kniga Bytiâ. Sbornik perevodov s drevneevrejskogo, aramejskogo i srednevekovogo ižriva. Moskva. 2010 (Таргум Онкелоса на Книгу Бытия (пер. с арам. А. К. Ляданского). Классические библейские комментарии: Книга Бытия. Сборник переводов с древнееврейского, арамейского и средневекового иврита. Москва. 2010); P. A. Úngerov. Vvedenie v Vethij Zavet. <http://www.sbible.ru/books/jung.htm> (П. А. Юнгеров. Введение в Ветхий Завет. <http://www.sbible.ru/books/jung.htm>); D. Colin. Teofaniâ i ee interpretaciâ v targumah Konsepcijâ Božestvennogo Slova (אֶרְאָמִינַ). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah> (Д. Цолин. Теофания и ее интерпретация в таргумах Концепция Божественного Слова (אֶרְאָמִינַ)). <http://esxatos.com/colin-teofaniya-i-ee-interpretaciya-v-targumah>).

მის ზეპირად წარმოოქმა, დაწერის შემდეგ კი წაკითხვა, შაბათ დღეს და დღესასწაულებზე ორასა და წინასწარმეტყველთა ნაწერების კითხვას სდევდა; იგი აუცილებლად ზეპირად უნდა წარმოოქმულიყო. კერძოდ, მთარგმნელი/ მკითხველი (ძეთურგებარი) ორას ყოველი მუხლისა და წინასწარმეტყველთა ტექსტის ყოველი სამი მუხლის შემდეგ თარგუმს წარმოოქვამდა. თარგუმის ზეპირად წარმოოქმის ტრადიცია პალესტინაში II საუკუნეში შეწყდა.

თარგუმი ბიბლიური ტექსტის სულიერი ხასიათის განმარტებას შეიცავდა. ამიტომაც თარგუმი წარმოაჩნდა ბიბლიის იმდროინდელი (ქრისტემდე ბოლო და ქრისტეს მოსვლის შემდეგი პირველი საუკუნეები) განმარტების მრავალ ასპექტს. მისი ძირითადი წერილობითი ნიმუშები ძვ. წ. III-I საუკუნეებითაა დათარიღებული და მთლიანად ხუთწიგნეულს, წინასწარმეტყველებს (ზოგიერთის გამოკლებით) და მოგვიანებით სხვადასხვა ეპოქის პაგიოგრაფიასაც კი მოიცავდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ძვ. წ. III საუკუნეში ბაბილონში შექმნილი ხუთწიგნეულის თარგუმი, რომელიც თითქმის კანონიკურად იქცა; როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, თარგუმს საკუთარი მასორაც კი პქონდა და ხუთწიგნეულის რაბინულ გამოცემებში ებრაულ ტექსტს ერთვოდა. თარგუმი ოფიციალურად მიღებული იყო ბაბილონში, მოგვიანებით პალესტინაშიც გავრცელდა. ყველაზე ცნობილი იყო მოსეს ხუთწიგნეულს დართული ონკელოსის თარგუმი და წინასწარმეტყველთა წიგნებზე დართული ონნათანის თარგუმი. ორივე კრებულს ძვ. წ. III საუკუნეში უკვე იყენებდნენ. ძველი აღთქმის ყველა წიგნი, ეზრას, ნეემიას და დანიელის წიგნების გარდა, ამ პრინციპით იყო გადამუშავებული.<sup>6</sup>

ძველ ქართულში ტერმინი „თარგმანება“ თავდაპირველად ძირითადად ბიბლიური წიგნების ცალკეული ადგილების კომენტარების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. „თარგმანის“, ანუ კომენტატორის, მიზანი ტექსტის ღვთისმეტყველებითი შინაარსის ჩვეულებრივი მორწმუნე მკითხველისათვის გასაგებად გადმოცემა იყო. ქართულ ენაზე მის შემსრულებელსაც „თარგმანის“ უწოდებდნენ და იგი ის პირი იყო, რომელიც განმარტებებს, კომენტარებს აკეთებდა, ე.ი. ინტერპრეტატორი; ამავე დროს, ამ ტერმინით აღინიშნებოდა ყოველგვარი თხზულების ან საერთოდ ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე მთარგმნელი.

<sup>6</sup> B. Grossfeld. The Targum Onqelos to Genesis (The Aramaic Bible. 6). Targum Onkelosa na Knigu Bytiâ (Таргум Онкелоса на Книгу Бытия); P. A. Üngerov. Vvedenie v Vethij Zavet. <http://www.sbible.ru/books/jung.htm> (Юнгеров П. А. Введение в Ветхий Завет. <http://www.sbible.ru/books/jung.htm>); D. Colin. Teofaniâ i ee interpretaciâ v targumah Koncepcijâ Božestvennogo Slova (אֱלֹהִים) (Д. Колин. Теофания и ее интерпретация в таргумах Концепция Божественного Слова (אֱלֹהִים)).

ნესტან სულავა. თარგუმების მნიშვნელობა  
„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით შესახებ

---

მსჯელობა. ქართულ ჰაგიოგრაფიაში თარგუმები პირველად გამოყენებულია „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“, რომელშიც გადმოცემულია კანონიკური ტექსტისაგან განსხვავებული საღვთო წერილის შინაარსი, პ. კეკელიძის აზრით, იგი ან „თარგუმის“ ადრეულ ქართულ თარგმანს უფრონება, რომელიც დღეს აღარ ჩანს, ან ავტორისეული ვერსიაა, ე. ი. საკუთრივ ქართული „თარგუმია“.<sup>7</sup> აქვე უნდა აღინიშვნოს, რომ თარგუმები გამოყენებულია თხზულებაში „სიბრძნე ბალაპვარისა“, რომელშიც საგმაოდ დიდი ადგილი ეთმობა და, ცხადია, საგანგებო მიზანდასახულობით არის მოხმობილი. თხზულებაში ბიბლიურ ეპიზოდებს თარგუმების სახით ბალაპვარი ყვება, რომელმაც იოდასაფის სულიერი წვრთნა ბიბლიური წიგნებით დაიწყო.

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტში თარგუმების სახით ჩართულ ბიბლიურ-ევანგელიურ მონათხრობებს, საღვთისმეტყველოსთან ერთად, გამომსახველობითი ფუნქციაც აკისრიათ. უცნობი ავტორის „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ მათი არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგადად არის აღნიშვნული, მაგრამ მათი საღვთისმეტყველო და სახისმეტყველებითი ფუნქცია არ არის განსაზღვრული.

ამიტომ საინტერესო ისაა, რომელი მონაკვეთები და ეპიზოდებია შერჩეული, რა მიზანდასახულობით და როგორია ოვით მონათხრობის სტრუქტურა, კომპოზიციურად როგორ თავსდება იგი თხზულების ძირითად ნაწილში, ეკისრება თუ არა მას მხატვრულ-ესოეტიკური ფუნქცია. ამ საკითხების გასარკვევად თითოეულ ეპიზოდზე დაკვირვება და მათი ფუნქციის, სახისმეტყველებითი ღირებულების განსაზღვრა-დაზუსტებაა საჭირო. უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბიბლიურ-ევანგელიურ სიუჟეტებს თხზულებაში ძირითადად პერსონაჟის, წმ. ევსტათის მონაყოლით ვეცნობით, რომელმაც თარგუმებად ჩამოყალიბებული ეს ბიბლიურ-ევანგელიური სიუჟეტები თავად სამოელ არქიდიაკონისაგან მოისმინა; მათგან წმ. ევსტათისათვის განსაკუთრებით საყურადღებო ევანგელიური მონათხრობია, კერძოდ მაცხოვრის ამცვენიური ცხოვრება, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება აღმოჩნდა, რამაც იგი ღვთის რწმენამდე, ქრისტიანობის აღიარებამდე მიიყვანა.

წმ. ევსტათი სპარსელი მარზანის წინაშე სხვა რელიგიათა ფონზე ქრისტიანობის უპირატესობის ჩვენებას, მის აპოლოგიას, მარზანის სულიერ დამოძღვრას, წარმართობიდან გადარწმუნებას სწორედ ბიბლიური წიგნების

<sup>7</sup> K. Kekeljje. k'art'uli literaturis istoria. 1. tbilisi. 1960, p. 514 (პ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბ. 1960, გვ. 514).

სიბრძნით ცდილობს, იმ სიბრძნით, რომელსაც თავდაპირველად, როგორც ზემოთაც აღინიშნა, თავად სამოელ არქედიაკონის მონათხრობით გაეცნო და შეისმინა.

თარგუმებთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად საჭიროა თითოეული ეპიზოდის განალიზება, რათა დაზუსტდეს ბიბლიურ ტექსტებთან მიმართება, მათი დატვირთვა რელიგიური თვალსაზრისით და განისაზღვროს სახისმეტყველებითი არსი. თარგუმების შინაარსი თხზულებაში ბიბლიურ ტექსტებს ზოგჯერ სცილდება, არ ემთხვევა, რის თაობაზეც სამცნიერო ლიტერატურაში განსაზღვრული მოსაზრებები გამოთქვეს ა. ჰარნაკმა, ნ. მარმა, კ. კეკელიძემ, ე. ჭელიძემ. ა. ჰარნაკის აზრით, ძველი აღთქმის ტექსტების დასამოწმებლად ავტორს დეკალოგის, ანუ ათი მცნების გადმოცემისას, გამოყენებული აქვს ცნობილი „დიდაქე“, ხოლო სახარების ტექსტოან დაკავშირებით იგი უნდა ემყარებოდეს II საუკუნის მოღვაწის ტატიანე ასურის „დიატესარონს“ (დამოწმებულია კ. კეკელიძის წიგნიდან: კეკელიძე, 1960: 514). კ. კეკელიძემ თხზულებაში დამოწმებული ბიბლიურ-ევანგელიური სიუკურების ახსნა ა. ჰარნაკის მიერ მითითებული ტექსტებით შეუძლებლად მიიჩნია, რადგან „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ზემოხსენებულ თხზულებებთან მხოლოდ რამდენიმე დეტალის დამთხვევით ამ დასკვნის გაზიარება გაჭირდება. მისი აზრით, რომელიც ნ. მარის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას ემყარება,<sup>8</sup> ეს სიუკურები სირიული ან სპარსული თარგუმები უნდა იყოს. აგრეთვე, შესაძლებელია ქართული თარგუმების არსებობაც, რაც ნ. მარს პქონდა ნაგარაუდევი. კ. კეკელიძის განმარტებით, „თარგუმი“ უფრო „პარაფრაზია“, ვიდრე ზუსტი გადმოცემა ტექსტისა: თარგუმისტი ჩვეულებრივ დიდ თავისებურებას იჩენს, ის ბიბლიის ტექსტს ხან უმატებს, ხან აკლებს, ხან ცვლის კიდეც“.<sup>9</sup> ე. ჭელიძემ თარგუმში მოხმობილი ეპიზოდები შეადარა ბიბლიურ ტექსტებს, პატრისტიკული ლიტერატურიდანაც მდიდარი მასალა დაიმოწმა და „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ თავის გამოცემულ ტექსტს კომენტარების სახით დაურთო. მან თხზულებაში ჩართული თარგუმების ზოგიერთი ადგილი ბიბლიურ-ევანგელიური ტექსტების კვალობაზე გამართა და

<sup>8</sup> N. Marr. O kavkazskoj versii biblii v gruzinskikh palimfsestnyh fragmentah, Teksty i razyskaniâ po kavkazskoj filologii. I. Leningrad. 1925, pp. 63-64. (Н. Марр. О кавказской версии библии в грузинских палимфесстных фрагментах, Тексты и разыскания по кавказской филологии. I. Ленинград. 1925, с.63-64).

<sup>9</sup> K. Kekelije. k'art'uli literaturis istoria. 1, pp. 514-515 (კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I. თბ. 1960, გვ. 514-515).

ნესტან სულავა. თარგუმების მნიშვნელობა  
„წმ. ევსტათი მცხოვრების წამების“ მიხედვით შესახებ

---

„წმ. ევსტათი მცხოვრების წამების“ მეცნიერულად დადგნილი ტექსტის ახალი, „ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურის“ I ტომში დაბეჭდილი რედაქციისაგან განსხვავებული ვარიანტი შემოგვთავაზა.<sup>10</sup>

„წმ. ევსტათი მცხოვრების წამებაში“ ძველი აღთქმის წიგნებისათვის შექმნილი თარგუმების ღირებულებას ქრისტიანული მრწამსი და მსოფლმხედველობა განსაზღვრავს. ტექსტში თარგუმებად ჩართულ ბიბლიურ ნაწილს თავიდან ბოლომდე გასდევს დვოაბრივი სიკეთე და ნათელი, რომელიც სრულიად მთელ სამყაროს – ზესოასოფელსა და სოფელს, ადამიანებს ეფინება. სამოელ არქიდიაკონმა წმ. ევსტათის, ჯერ კიდევ მაზდეან გვირობანდაკს, ქრისტიანობისა და ებრაელთა სჯულის გასაცნობად ძველი და ახალი აღთქმის ისტორიის ცალკეული ეპიზოდი უამბო, რასაც საღვთისმეტყველო და შემეცნებითი მნიშვნელობა ეკისრება, რადგან გვირობანდაკს ამ ეპიზოდებით ჭეშმარიტების შეცნობის საშუალება მიეცა, მის პიროვნებაში ქრისტიანული ცნობიერების ჩასახვისა და განვითარებისათვის მყარი საფუძველი მომზადა.

თარგუმის არსის უკეთ გასააზრებლად საჭიროა ბიბლიურ თხზულებათა მუხლებისა და „წმ. ევსტათი მცხოვრების წამების“ ტექსტების პარალელურად დამოწმება. საილუსტრაციოდ ათი მცნების ტექსტებს დავიმოწმებ:

ბიბლიიდან:

„1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთი უცხონი, ჩემსა გარეშე.

2. არა ჰქმებ თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქუეყანასა შინა ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანისა: არა თაფუანისცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

3. არა მოიღო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამაოსა ზედა.

4. მოიხსენე დღც იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი: ექვს დღე იქმოდე, და ჰქმებ მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღც იგი მეშვიდე შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა.

5. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათოა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვნე ქვეყანასა ზედა.

6. არა კაც-ჰქლა.

7. არა იმრუშო.

8. არა იპარო.

---

<sup>10</sup> E. Čelize. jveli k'art'uli saeklesio literatura. 1. t'bilisi. 2005, pp. 367-454 (ე. ჭელიძე. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. I. ობ. 2005, გვ. 367-454).

9. არა ცოლი-სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუითა.

10. არა გული გითქუმიდეს ცოლისათკს მოყუსისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათკს მოყუსისა შენისა, არცა ყნისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთკს, რაღცა იყვეს მოყუსისა შენისა“.<sup>11</sup>

„წმ. ევსტათი მცხეოლის წამებიდან“ (ტექსტში რიგი არაა მთოთებული):

„შეიფუაროთ უფალი ღმერთი თქუენი ყოვლითა გულითა თქუენითა და ყოვლითა სულითა თქუენითა და ყოვლითა გონებითა თქუენითა;

ნუ კაც-ჰკლავ,

ნუ იპარავ,

ნუ ისიძავ,

ნუ გული გითქუაშს ცოლსა მოყუსისა შენისასა,

ნუ ცილსა ჰყუცავ,

ნუ ცილსა სწამებ,

ნუ ორსა სიტყუასა იტყპ,

თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა,

შეიფუარე მოყუსი შენი ვითარცა თავი თკსი,

შაბაონი ჩემნი დაიმარხნეთ, დღესასწაული და შესაწირავნი და უქმნელებანი აღასრულნეთ“.<sup>12</sup>

ბიბლიური და „წმ. ევსტათი მცხეოლის წამების“ ტექსტები ერომანეთისაგან განსხვავდება. შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ „წმ. ევსტათი მცხეოლის წამების“ ტექსტში ათი მცნება ზეპირადაა თარგუმის სახით ჩართული, რაც ანონიმი ავტორის ბიბლიურ წიგნებში, ქრისტიანულ საღვთისმეტყველო მოძღვრებაში, ლიტერატურაში განსწავლულობას მოწმობს. თუმცა, იგი ბიბლიური წიგნების მონაცემებით არ სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს,

<sup>11</sup> biblia. or tomad, korneli kekelijis saxelobis xelnacert'a erovnuli c'entrism gamoc'. t'bilisi. 2017 (ბიბლია. ორ ტომაზ. კორნელი კამალიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოც. თბ., 2017).

<sup>12</sup> jveli k'art'uli agiograp'iuli literaturis jeglebi. I. dasabečdad moamzades il. abulajem, I. at'anelišvilma, n. goguajem, l. k'ajaiam, c'. k'urc'ikijem da c'. jğamaiam. ilia abulajis xelmjğvanelobit'a da redak'c'iit'. t'bilisi, 1963/1964, p. 37 (ზევლი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასბეჭდდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანდიშვილმა, ნ. გოგუაშემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯდამაიამ. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1963/1964, გვ. 37).

ნესტან სულავა. თარგუმების მნიშვნელობა  
„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით შესახებ

---

რომ ან უკვე არსებულ თარგუმებს იყენებს, ან თვით ავტორი ზეპირად და-  
მახსოვრებულ ტექსტს წერს.

თარგუმებში მოთხრობილია, თუ როგორ ეჩვენა ღმერთი „ჩუენებასა  
დამისასა“ აბრაკამს და აღორძინება-გამრავლებას შეპირდა, რაც ბიბლიურ  
მონათხრობს ემთხვევა. იგი, როგორც მამამთავარი, სათნოდ და „უბიწოდაა“  
წარმოჩენილი. უფალმა აბრაკამში ჰპოვა საყრდენი, რათა ღვთის უზენაესი  
ნებით ადამიანსა და ღმერთს შორის კაგშირი დაემყარებინა, კავშირის საფუძ-  
ველი სათხოება და სიყვარული უნდა ყოფილიყო, რაც მანამდელ ადამიანებს  
აკლდათ და რის გამოც ღმერთმა ისინი რამდენჯერმე დასაჯა. აბრაკამში  
ღვთაებრივი და ადამიანური სიკეთე შეერთდა და ამქვეყნიური ჰპარ-  
მოშება. „აბრაკამისიც“ ისევე შეიყვარა უფალმა, „ვითარცა უფუარან მამასა  
საყუარელი შვილი“. ღმერთმა ებრაელთა ქვეყანას ისრაელი უწოდა, რაც ებ-  
რაულად ღვთის ერს, რჩეულ ერს ნიშავს. „წმ. ევსტათი მცხეთელის წამე-  
ბის“ ავტორი ბიბლიური მონათხრობიდან ყველაფერს არ იღებს. ეს მის მიერ  
შერჩეული თხზულებაში დამოწმებული ეპიზოდებისადმი მისივე დამოკიდებუ-  
ლებიდან ჩანს, კერძოდ, იგი იძულებულია ისაუბროს სოლომონის უკუღმართ  
ხანაზე, ქრისტეს შემხვედრ უმწეო ეშმაკზე, ან გაბრაზებულ ბრბოზე, რო-  
მელმაც არ ირწმუნა მაცხოვრის ყოვლისშემძლეობა. მაგრამ ისინი არ არიან  
იმ ძალის მქონენ, რომელთაც შეუძლიათ სიკეთისა და სანათლის სვლის  
შენელება და კაცობრიობის დაბრუნება პირველქმნილ უწესრიგობასთან, ქაოს-  
თან. აქ ბოროტების ყოველი გამოვლენა სიკეთის უკმარობას ასახავს, რაც  
არეოპაგიტული მოძღვრების ანრეკლი უნდა იყოს ბოროტის უარსობის შე-  
სახებ, როდესაც ბოროტება გააზრებულია, როგორც სიკეთის ნაკლებობა.<sup>13</sup>  
ძველ აღთქმაში ადამიანთა უგუნურებას, ბოროტი მეფის „სათავენებელი“ სა-  
ხის წარმოჩენას, ურწმუნობას, თუნდაც რწმენის სინაკლებეს, დიდი ადგილი  
უჭირავს, რაც ძველი აღთქმის ეპოქის ხალხს, უფლის რჩეულიც რომ იყოს  
იგი, სიკეთეს არ უქადის. ღმერთზე გაბრაზებული ხალხი მისი გულის მოგე-  
ბას არ ცდილობს, პირიქით, ცდილობს მისწვდეს ღმერთის ფიზიკურ სამყო-  
ფელს, რაც ღვთის შემეცნების სურვილით არ არის აღმრული, ზოგჯერ კი

<sup>13</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში არეოპაგიტული მოძღვრების კვალის შესახებ „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული (see – S. Nuc'ubije. k'art'uli p'ilosop'iis istoria. 1. t'bilisi. 1956, p. 278 (შ. ნუცუბიშვილი, ქართველი ფილოსოფიის ისტორია, I, თბილისი, 1956. გვ. 278); B. Kilanava, k'art'uli damcerlobisa da mcerlobis sat'aveebt'an. t'bilisi. 1990, pp. 212-229 (ბ. ქილანავა. ქართული დამწერლობისა და მწერლობის სათავეებთან. თბ. 1990, გვ. 212-229).

შეეწინააღმდეგოს კიდეც მას. „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტი ბიბლიური მონათხრობისაგან ოდნავ განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს, კერძოდ, გასათვალისწინებელია, რომ აბრამის სიცოცხლეში ისააკი დაქორწინებული იყო, მაგრამ ესაკი და იაკობი დაბადებული არ იყვნენ. ამიტომ თხზულების ტექსტში ნაოქვამი, ღმერთმა აბრამს უბრძანა, რომ თავისი შთამომავლებისათვის წინა დაეცვითა, ხოლო ისააკის შვილებიც სახელებით მოიაზრა, ბიბლიური ტექსტიდან ოდნავ გადახვევაა; ხსენებით მხოლოდ ისაკი შეიძლებოდა ნახსენები ყოფილიყო, სახელდებით იაკობი არ უნდა ხსენებულიყო. დავიმოწმებ „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ შესაბამის ეპიზოდს: „და ესუა აბრამამს ისაკი და ისაკს იაკობი. და იაკობს ესხნეს ათორმეტნი ძენი და უბრძანა ღმერთმან აბრამამს და ჰრეუა: წინა-დასცუკოთ ისაკს და იაკობს და ყოველთა ძეთა იაკობისთა, და იყავნ იგი ოქუენდა ოჩულად საუკუნოდ“.<sup>14</sup> პარალელურად დავიმოწმოთ ბიბლიის ტექსტი: „და ესე არს აღოქუმავ, რომელი დაიმარხოთ შორის ჩემსა და ოქუენსა და შორის ნაოესავისა შენისა შემდგომად შენსა ვიდრე ნაოესავადმდე მათა: წინადასცუკოთ თქუენ ყოველსა წულსა ნაოესავსა შორის თქუენსა. და წინადაიცუკოთ ჭორცი წინადაცუეთილებისა თქუენისად და იყოს სასწაულად აღოქუმისა შორის ჩემსა და შორის თქუენსა“ (დაბად. 17, 10-11). როგორც ვხედავთ, ბიბლიის ამ ეპიზოდში არც ისააკი და არც იაკობი არაა ნახსენები; მეტიც, ღმერთის მიერ აბრამის კურთხევის დროს არც ისააკი იყო დაბადებული და ასაკოვან აბრამის ეცინება ღმერთის მიერ მისი შთამომავლების ხსენებაზე; ბიბლიურ ტექსტში ზოგადად აბრამის შთამომავლებია მითითებული და არა კონკრეტულად აბრამის შვილი და შვილიშვილები სახელდებით. „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ დამოწმებული ძველი აღოქმის ტექსტებზე დამყარებული თარგუმები და თვით ბიბლიური ტექსტებით ითიქმის ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ განსხვავებიც არის. კერძოდ, თხზულებაში აბრამის ქანაანში დამკვიდრება ძველი აღოქმისეულისაგან მცირედით განსხვავდება.

საინტერესოა ავტორის დამოკიდებულება ბიბლიური მეფეებისადმი: ის-რაელელთა პირველი მეფის საულისადმი, მეფის იდეალად მიჩნეული დავით წინასწარმეტყველისადმი, სოლომონისადმი. თხზულებაში ბიბლიის კვალობაზე აღნიშნულია მეფის ინსტიტუტის დაარსება ისრაელელთა მოთხოვნით; აქ გურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ პირველი მეფე, რომლის სახელს ავ-

<sup>14</sup> jveli k'art'uli agioprap'iuli literaturis jeglebi. I, p. 37 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 37).

ნესტან სულავა. თარგუმების მნიშვნელობა  
„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით შესახებ

---

ტორი თარგუმში არ ახსენებს, საკუთარ ძალას მიენდო და არა ღმერთის, რის გამოც მოკლულ იქნა კიდეც იგი. შემდევ კი მევე გახდა დაგითი, ღმერთის საყვარელი და რჩეული პიროვნება, რომელიც ბიბლიაში მეფობის ნიმუშად იქცა არა მხოლოდ ეპრაელთათვის, არამედ კველა ქვეყნის სამეფო დინასტიებისათვის. რაც შეეხება სოლომონს, დავით წინასწარმეტყველის ძეს, „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტში დამოწმებულ თარგუმებში იგი ღვთივმიადლებულ მეფედ არაა წარმოჩენილი.

საგანგებო დაგვირვებას მოითხოვს ის ფაქტი, სამოელ არქიდიაკონის მონათხრობიდან რომელ ევანგელურ ეპიზოდს ირჩევს და უამბობს წმ. ევსტათი მცხეთელი მარზპანს. ახალი აღთქმის კანონიკური ტექსტებისაგან საკმაოდ განსხვავებული ვერსიები შეინიშნება, მეტი ცვლილებითაც შეტანილი, ვიდრე ძველი აღთქმის ტექსტებში, რომლებიც თარგუმების სახითაა შესული. კერძოდ, მაცხოვრის მოვლინებისა და მისი ამქვეყნიური ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი სახარებისეულისაგან განსხვავდება. უწინარეს ყოვლისა, თხზულების ტექსტი თარგუმის ერთ-ერთ მონაკვეთში კონსტანტინოპოლის 381 წლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული „მრწამსის“ ტექსტის ნაწილობრივი ანარეკლია: „შევიდა მუცელსა წმიდისა ქალწულისასა და კორცი შეისხნა და განკაცნა წმიდისა მარიამისაგან“.<sup>15</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ოხზულებაში საღვთისმეტყველო სწავლებას ყველაზე მეტად თარგუმის ეს ნაწილი ასახავს, რადგან აქ გადმოცემულია მაცხოვრის განკაცების სოტერიოლოგიური დანიშნულება და ამ ფაქტის ზოგადსაკაცობრიო ღირებულება. „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ დამოწმებული წინადადება შეიძლება შევადაროო „მრწამსის“ კანონიკურ ტექსტს, იგი „მრწამსის“ ტექსტთან ახლოს დგას.

დავიძოწმოთ „მრწამსის“ სრული ტექსტი:

„მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ჭუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისა-გან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მა-მისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა;

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდა-მოხდა ზეცით, და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან

<sup>15</sup> jveli k'art'uли agioprap'iuli literaturis jeglebi. I, p. 38 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 38).

ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუქონთვის პონტოელისა პილატეს ზე და ივნო, და და-  
ფლა.

და აღსდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა,

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა,  
რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან  
გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იცემების და იდიდების, რო-  
მელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა  
ნათლისლებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით

და ცხოვრებასა მერმისესა მის საუკუნესასა, ამინ“<sup>16</sup>.

შედარება გვაჩვენებს, რომ „წმ. ევსტათი მცხეოლის წამების“ ტექს-  
ტში „მრწამსი“ სრულად არ არის შეტანილი, მაგრამ ჰაგიოგრაფიულ თხზუ-  
ლებაში დამოწმებული წინადადება სწორედ „მრწამსის“ ტექსტს ემყარება.

„წმ. ევსტათი მცხეოლის წამებაში“ ჩართული შობის, ნათლისლებისა  
და სასწაულების ამსახველი ეპიზოდების ნაწილის გადმოცემა ზეპირ მეხსი-  
ერებას ემყარება. კერძოდ, ხუთი პურისა და ორი თევზის ეპიზოდი განსხვა-  
ვებულადაა გადმოცემული. თხზულებაში თარგუმის სახით მოთხოვნილია  
მაცხოვრის პირველი სასწაულის შესახებ, რომელიც „კანად გალილეაისა“  
ჩაიდინა და წყალი ღვინოდ გადააქცია (ითანე, 4, 26). თხზულების ზოგიერ-  
თი ეპიზოდი სახარების ტექსტის სხვადასხვა რედაქციასთან ამჟღავნებს სი-  
ახლოვეს, მაგ., ჰადიშურთან, ნიკოლოზის სახარებასთან. ზოგიერთ შემთხვე-  
ვაში ბიბლიურ-ევანგელიური თხრობის თანმიმდევრობაც დარღვეულია. კერ-  
ძოდ, თხზულებაში სამყაროს შექმნის კონცეფცია მაცხოვრის ჯვარცმის შემ-  
დეგაა აღწერილი. უაღრესად მნიშვნელოვანია ლაზარეს აღდგინების, ტაძრის  
დანგრევისა და სამ დღეში აღშენების, მაცხოვრის დასმენისა და გაცემის ეპ-  
იზოდები, რომელთაც სიმბოლური სახისმეტყველება წარმართავს. საგულის-  
ხმოა მაცხოვრის ჯვარცმის, სამარედ დაფლვის, მესამე დღეს აღდგომის შე-  
სახებ მონათხობი, რომელშიც ანონიმი ავტორი სახელდებით მხოლოდ წმ.

<sup>16</sup> Lotsvani. Dabech'dilia ruis-urbanesis mtavarepiskoposis Iobis (Akiashvili) lotsva-kurtkhevit. Tb. 2002 (ლოცვანი. დაბეჭდილია რუის-ურბნისის მთავარებისკობოსის იობის (აქაშვილი) ლოცვა-  
კუროზევით. თბ. 2002).

**ნესტან სულავა. თარგუმების მნიშვნელობა  
„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით შესახებ**

---

მარიამ მაგდალინელს ახსენებს. მაცხოვრის მოწაფეთა ქადაგებების შესახებ მონათხრობი და ქრისტეს მოძღვრებები მიჰყვება ახალი აღთქმისეულ ტექსტს, მხოლოდ მციროდ ცვლილებები შეინიშნება, რაც ტექსტის გარდათქმისას მოსალოდნელიცაა.

თარგუმებში გადმოცემული სიბრძნე ბიბლიურ-ევანგელური და პატრისტიკულია, რაც სხვა რელიგიებთან შედარებით ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის საჩვენებლად არის მოხმობილი. წმ. ევსტათიმ სპარსთა წინაშე სწორედ სამყაროს შექმნის ბიბლიურ-ევანგელური კონცეფციის გაცნობით შეძლო თავისი სულიერი სიძლიერის დამტკიცება, ქრისტიანობისადმი სიყვარულისა და თაყვანისცემის გამოხატვა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თარგუმები ჰაგიოგრაფიული გმირის სულიერი აღმასვლის, ზეციური მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობის მაუწყებლია.

მართალია, „წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“ ბოროტ ძალებს ანგარიშგასაწევად არ მიიჩნევს, რადგანაც მათ მოქმედებას არ აქვს პერსპექტივა, – ვალდებულების შეგნების შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე გააზრებული ბრძოლის კვალს, – მაგრამ მთავარი ისაა, რომ ბოროტ ძალას სულიერი სიძლიერე აკლია, იგი ფიზიკური ძალით ორგუავს წმ. ევსტათის, ხოლო სულიერად მისი დაჯაბნა არ შეუძლია, რადგან მისი ნება მხოლოდ ამჭვენიურობას სწოდება და მარადიულობამდე ხელი არ მიუწვდება.

მთელი თხზულება მომავალი სულიერი გამარჯვების მედითაა გამსჭვალული. ამიტომაც წმ. ევსტათის თავზე დამტყდარი ყოველი განსაცდელი და მისი მოწინააღმდეგე ყოველი პიროვნება, უარყოფითი თვისებებით აღჭურვილი, გააზრებულია, როგორც წარმავალ დირებულებებს ადევნებული, რომელსაც არ შეუძლია წინ აღუდგეს ნათელ მოძღვრებას. ე. წ. უარყოფით პერსონაჟთა ხასიათებში წარმოჩენილია ის თვისებები, რომლის სიკეთედ მოქცევა პოტენციურად შესაძლოა, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ მომენტში, ე. ი. წმ. ევსტათის წამების გადაწყვეტილების მიღებისას, ეს შეუძლებელია. მაგ., ვეჟან ბუზმირი და წმ. ევსტათი ორივენი სპარსელები არიან: პირველი სჯის მეორეს ქრისტიანობის მიღების გამო, წმინდანმა რწმენა ტრადიციაზე მაღლა დააყენა, სამ რელიგიათაგან ერთზე გააკეთა საკუთარი არჩევანი და ბოლოს მარზპანის მოქცევასაც შეეცადა, ე. ი. პროზელიტიზმის გზას დაადგა. მათი მოქმედების არსი და მიზანი განსხვავებულია. მართალია, როგორც ღვთისგან ქმნილი ადამიანები, ერთნაირი თვისებებით იშვინ, მაგრამ განსხვავებულმა სულიერმა ინტერესებმა და ინტელექტუალურმა გარემომ შექმნილ სიტუაცია-

ში ისინი განსხვავებული თვისებების მქონედ წარმოაჩნა; ეს თვისებები მათი ეთიკური აღზრდის, ქცევის, სულიერი სამყაროს, ინტერესების განსხვავებულობის შედეგაა. ამიტომ წმ. ევსტათი მცხოვრელი თავის თანატომელებს, სპარსელებს რწმენით, აღმსარებლობით, შინაგანი მრწამსით, მსოფლმხედვებლობით გამოყოფილ და ქრისტიანულ მსოფლხედვას, რწმენას შეუერთდა.

წმ. ევსტათი ახალი სამყაროს, სულიერობისა და ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანია, რაც მისი მხრიდან არსებულის უკმარისობის განცდით ოწყება, შედეგ იგი ძიებაში გადადის და საბოლოოდ პროზელიტიზმის შედეგად ქრისტეს რჯულზე მოქცეული სულიერად აღორძინებული გვევლინება. მართალია, წმ. ევსტათი ეწამა, იგი სიცოცხლეს წამებით გამოეთხოვა, მაგრამ მისი იდეა – ქრისტიანობის უპირატესობა სხვა რელიგიებზე გამარჯვებული დარჩა. ის ამ იდეის ერთ-ერთ მსახურად და დამცველად მოგვევლინა. იგი ამითაც განშორდა, გამოეყო თავის გენეტიკურ ტომელებს. ფიზიკურად გარდაიცვალა, მაგრამ წამებით განწმენდილი მისი ნათელი სული მომავლის ქრისტიან ადამიანებს ამხნევებს, მისი უკვდავი სული ყოველ ამქვეყნიურ წარმავალზე მაღლდება, როგორც წარუვალი და მარადიული. ამითაც არის განპირობებული ამაღლებული და ქრისტიანული სიკეთის მომავალი გამარჯვების გამომხატველი ის სიტყვები, რომლითაც თხზულება მთავრდება: „ხოლო მან ფრიად განიხარა და დაპარხა იგი დიდითა დიდებითა და პატივითა წმიდასა ეკლესიასა მცხეთისასა და ვიდრე აქამომდის იქმნებიან კურნებანი სწულთანი მადლითა უფლისა ჩუქნისა იესუ ქრისტესითა, რომლისად არს სუფევად და ძლიერება, პატივი და სიმტკიცე და დიდებაი მოუკლებელი სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე: ამენ“<sup>17</sup>. ზესთასოფელში გადანაცვლებულ წმინდანს პაგიოგრაფიაში ღვთისაგან სასწაულებრივი კურნების უნარი აქვს მინიჭებული, რითაც იგი მაცხოვრის მიერ ამქვეყნად გავლილ გზას ამოწმებს. ასევეა წმ. ევსტათის სულიც, რომელმაც მაცხოვრის ჯვარცმა საკუთარი წამებით დამოწმა, რის შემდეგაც მეოზად და მკურნალად მოევლინა ქრისტიან მრევლს, მათ შორის – ქართველ ერს. შევნიშნავ, რომ სასწაულებრივი კურნება მხოლოდ ფიზიკურ კურნებას არ ნიშნავს, იგი ერის, საზოგადოების ქრისტეს სჯულზე მოქცევის, ქრისტიანობის დაცვისა და მისთვის თავდადების მოწმობაა. ყოველივე ამას წმ. ევსტათის მიერ თარგუმების სახით მოწოდებული ბიბლიური ეპიზოდების შესაფერისად გამოყენება

<sup>17</sup> jveli k'art'uli agioprap'iuli literaturis jeglebi. I, p. 45 (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, გვ. 45).

**ნესტან სულავა. თარგუმების მნიშვნელობა  
„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ მიხედვით შესახებ**

---

და მოხმობა მოწმობს. თარგუმების სახით გამოვლენილი ბიბლიის ცოდნა და მისი გადმოცემა წმინდანის ქრისტიანულ ცნობიერებას დაედო საფუძვლად.

**შედეგები და დასკვნები.**

„წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ თარგუმებში გაღმოცემული სიბრძნე ბიბლიურ-ევანგელიური და პატრისტიკულია, რაც სხვა რელიგიებთან შედარებით ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის საჩვენებლად არის მოხმობილი. წმ. ევსტათიმ სპარსთა წინაშე სწორედ სამყაროს შექმნის ბიბლიურ-ევანგელიური კონცეფციის გაცნობით შეძლო თავისი სულიერი სიძლიერის დამტკიცება, ქრისტიანული სარწმუნოებისადმი სიყვარულისა და თაყვანისცემის გამოხატვა. საზოგადოდ, შეიძლება აღინიშნოს, რომ თარგუმებს ჰავიოგ-რაფიულ თხზულებაში პერსონაჟი სხვგბზე გავლენის მოხდენის აუცილებლობის მიზნით იყენებს, ამავე დროს, თარგუმი სულიერი სწავლებაა და ჰავიოგ-რაფიული გმირის სულიერი აღმასვლის, ზეციური მოქალაქობის მოპოვების შესაძლებლობის მაუწყებელია.

თარგუმებზე დაკვირვება ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა: „წმ. ევსტათი მცხეთელის წამების“ ტექსტში ჩართული ბიბლიური ეპიზოდები კანონიკური ტექსტისაგან მეტნაკლებად განსხვავდება, რაც მიუთითებს მათ წარმომავლობას თარგუმებისაგან; იქ, სადაც „წმ. ევსტათი მცხეთელის წამებაში“ განსხვავებული ვარიანტია წარმოდგენილი, ჩანს, რომ იგი ბიბლიიდან არაა დამოწმებული, არამედ თარგუმების სახით არსებული ტექსტიდან, რომელიც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში (კ. კეკელიძე) აღინიშნა, შეიძლება ქართულადაც არსებულიყო, ან შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სხვა ენებზე, კერძოდ არამეულად შექმნილი თარგუმის ტექსტიც.

*Nestan Sulava*

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## THE IMPORTANCE OF INTERPRETATIONS ACCORDING TO THE “MARTYRDOM OF ST. EVSTATI MTSKHETELI”

### Summary

“Martyrdom of St. Evstati Mtskheteli” is a very important hagiographical work that concerns and reflects a difficult epoch of Georgia’s political and cultural life; it covers numerous topical issues of the epoch, but, most of all, the author’s demonstration of the spiritual sublimity and the stages of spiritual development of the character – a hagiographic protagonist. In the early years of the development of philological science, “Martyrdom of St. Evstati Mtskheteli” was not considered of particularly literary importance. However, further studies have clearly demonstrated its philosophical and theological virtues. It turned out that it does not lack aesthetic phenomenon.

The wisdom presented in the interpretations (the Targum) of “Martyrdom of St. Evstati Mtskheteli” is biblical-evangelical and patristic, which is used to show the superiority of Christian religion in comparison to other religions, Judaism and paganism (fire-worship, Zoroastrianism). St. Evstati Mtskheteli was able to express the love and worship towards the Christian faith and to prove his spiritual strength by revealing the biblical-evangelical concept of creating the world to the Persians. It should be noted that interpretations in hagiographic works use the main character to influence the spiritual world of other characters; his position is to defend his beliefs and based on this, to convert pagans to Christianity. At the same time, interpretations are spiritual teaching that provides the hagiographic protagonist with an opportunity to gain spiritual ascension and heavenly citizenship.

After analyzing different views expressed about the term “targumi” in scholarly literature, the article studies its place in “Martyrdom of St. Evstati Mtskheteli”. It is through targumi that the protagonist’s knowledge of the Bible is revealed and they underlay the Christian consciousness of the saint.

ლერი თავაძე  
ასისტენტ პროფესორი, თსუ

## მიჰრანიანთა დინასტიის განშტოება – ვარაზმანიანთა სახლი და საქართველო

აღნიშნული სტატია არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ დიდი სამუშაო-სი, რაც VIII საუკუნის საქართველოს ისტორიის კომპლექსურ დამუშავებას გულისხმობს. მერვე ასწლეულის საქართველოს ისტორია არაერთ საინტერესო დეტალს მოიცავს. მათი დაწვრილებითი ანალიზი ეროვნული ისტორიის მრავალი ფაქტის ახლებური გააზრების და უცნობი ისტორიული მოვლენების მთელი ჯაჭვის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ვარაზმანიანთა სახლის ისტორია ამ პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

ვარაზმანიანთა სახლის ისტორიის კლევა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არათუ საქართველოს წარსულთან მიმართებაში, არამედ, ზოგადად, ამ დინასტიის შესწავლა, თოთქმის, არ მომხდარა.<sup>1</sup> აღნიშნული, ბუნებრივია, ბევრ ცარიელ ფურცელს ტოვებს საქართველოს, ალვანეთის, სომხეთის და, საერთოდ, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. ჩვენთვის, ამ ეტაპზე, უფრო საინტერესოა ვარაზმანიანთა სახლი და საქართველო, მათი კავშირი და ურთიერთმმართება, რასაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საქმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში ვარაზმანიანთა გაჩენა ჯუანშერ ჯუაშერიანის ცნობილ პასაუს უკავშირდება, რომლის მიხედვით ვარაზმანი გახ-

<sup>1</sup> თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, როგორც წესი, ფიქსირდება მხოლოდ ზოგადი მოხსენიება ისტორიული წეაროებით ცნობილი ვარაზმანიანთა სახლის ცალკეული წევრების. სხვასთან შედარებით უფრო კომპლექსური მიდგომა გამოავლინა კირილ თუმანვამა ქრისტიანული კავკასიის შესახებ შექმნილ თავის ცნობილ ნაშრომში, რომელშიც კავკასიაში დამკვიდრებული მიჰრანიანთა დინასტიის ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი დეტალია განხილული, იხ.: C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History. Georgetown University Press. 1963, pp. 401-408, 478-485.

და არჩილ მეფის ერთ-ერთი ძმიშვილის მეუღლე.<sup>2</sup> თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯუანშერის ცნობები ან უარყოფილია,<sup>3</sup> ანდა მართებულად არაა განმარტებული თუ ვინ იყო ზემოხსენებული ვარაზმანი.<sup>4</sup> ჩვენი მიზანია ვარაზმანიანთა სახლის ჩამოყალიბების, გაძლიერების, ისტორიულ-გეოგრაფიული დეტალებისა და საქართველოს მმართველ ელიტასთან მათი ურთიერობის საკითხების შესწავლა.

### გნეზისი

ვარაზმანიანთა სახლი ირანული წარმოშობის მიპრანიანთა დინასტიის განშტოებაა, ხოლო მიპრანიანები კავკასიაში უკვე V საუკუნეში ჩანან.<sup>5</sup> მიპრანიანთა დინასტიაში აღვანეთის მმართველობა უკვე VII საუკუნის პირველ

<sup>2</sup> Juanšeri. K'art'lis c'xovreba. I. gamome'. S. Qauxč'išvili. Tbilisi. 1955, p. 241 (ჯუანშერი. ქართლის ცხოვრება. I. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1955, გვ. 241-242); Juanšeri. Gamome'. Z. Sarjvelaje da S. Sarjvelaje. K'art'lis c'xovreba. Tbilisi. 2008, p. 241 (ჯუანშერი. გამომც. ზ. სარჯველაძე და ს. სარჯველაძე. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 241).

<sup>3</sup> S. Janašia. Šromebi. t. II. Tbilisi. 1952, p. 286 (ს. ჯანაშა. შრომები. ტ. II. თბ. 1952, გვ. 286); N. Berjenišvili. Sak'art'velos istoriis sakit'xebi. T. VIII. Tbilisi. 1975, p. 253 (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკონხები. ტ. VIII. თბ. 1975, გვ. 253); D. Musxelišvili. C'ixe-k'alak'i ujarma. Tbilisi. 1966, pp. 90-99 (დ. მუხელიშვილი. ციხე-ქალაქი უჯარძა. თბ. 1966, გვ. 90-99); D. Musxelišvili. sak'art'velo IV-VIII saukuneebshi. Tbilisi. 2003, p. 386 (დ. მუხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ. 2003, გვ. 386); A. Bogveraje. Adrep'eodaluri k'art'uli saxelmcip'oebi VI-VIII saukuneebshi. Sak'art'velos istoriis narkveebi. T. II. Tbilisi. 1973, pp. 295-296 (ა. ბოგვერაძე. ადრევალური ქართული სახელმწიფოებში VI-VIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვეები. ტ. II. თბ. 1973, გვ. 295-296); G. Mamulia. Patronqmobba. Tbilisi. 1987, pp. 111-141 (გ. მამულია. პატრონებობა. თბ. 1987, გვ. 111-141); V. Goilaje. vaxtang gorgasali da misi istorikosi. Tbilisi. 1991, p. 52 (ვ. გოილაძე. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბ. 1991, გვ. 52); M. Sanaje. K'art'lis samep'o VII-VIII saukuneebis mijnaze. Mesxet'i: istoria da t'anamedroveoba. Axalc'ihe. 2000, p. 22) (მ. სანაძე. ქართლის სამეფო VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე. მესხეთი: ისტორია და თანამედროვეობა. ახალციხე. 2000, გვ. 22); M. Sanaje. K'art'lis c'xovreba da sak'art'velos istoriis ujvelesi periodi. Tbilisi. 2001, pp. 159-165 (მ. სანაძე. ქართლის ცხოვრება და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი. თბ. 2001, გვ. 159-165); M. Baxtaje. Erist'avobis instituti sak'art'veloši. Tbilisi. 2003, pp. 103-125 (მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003, გვ. 103-125).

<sup>4</sup> მ. სანაძის დაკვირვებით, ჯუანშერის ცნობაში მოხსენიებული ვარაზმანი არის VII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე. (M. Sanaje. K'art'lis samep'o VII-VIII saukuneebis mijnaze, p 22 (მ. სანაძე. ქართლის სამეფო VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 22), რაც, როგორც ქვემოთ ვთხილავთ, არასწორია.

<sup>5</sup> აღნაშნული დასტურდება ჯუანშერ ჯუანშერიანისა და მოცეს კალანკატუაციის ცნობებით, რომელიც სათანადოდ აქვს განხილული კრიტიკული, იხ.: C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History, pp. 478-480. ოუმანოვის აზრით, მიპრანიანთა დინასტია კიდევ უფრო ადრე გვიდრდება კავკასიაში. როგორც არ უნდა იყოს, მეხუთე საუკუნეში ჩვენთვის საინტერესო მიპრანიანები უკვე კავკასიაში არიან, ხოლო შედარებით მცენა ამბები სადისკუსიოა.

ლერი თავაძე. მიპრანიანთა დინასტიის განშტოება –  
გარაზმანიანთა სახლი და საქართველო

---

მესამედში მოიპოვა, ხოლო პირველი მთავარი ვარაზ-გრიგოლი გახდა.<sup>6</sup> მოკ-სეს კალანკატუაცის ცნობით, რომელიც ჩვენი მთავარი ისტორიული წყაროა, ვარაზ-გრიგოლს ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი: ვარაზ-ფეროვანი, ჯუანშერი, იეზუტ-ხოსროვი და ვარაზმანი. ვარაზ-გრიგოლის ძმას, ასევე, ვარაზმანი ერქვა, ხოლო დას – შუშანი (Mov. Kal. II, 17).<sup>7</sup> ამათგან ვარაზმანიანთა სახლის ფუძემდებელი, ჩვენი აზრით, გახდა ვარაზ-გრიგოლის უმცროსი ვაჟი, ვარაზმანი, რომელიც იყო საგვარუელო მამულის ერთ-ერთი მემკვიდრე და მფლობელი.

მიპრანიანთა სახლი მემკვიდრეობით მფლობელობაში გარდმანის ტერიტორიას აკონტროლებდა, ხოლო პირველი მიპრანიანი, რომელიც ალვანეთის მთავრის ტიტულს დაეუფლა ვარაზ-გრიგოლი (628-637) გახლდათ. მოვსეს კალანკატუაცი მას ალვანეთის პირველ იშხანს უწოდებს (Mov. Kal. III, 23), რითიც ხაზი აქვს გასმული ვარაზ-გრიგოლის პოლიტიკურ სტატუსს – ის ქვეყნის უზენაესი მმართველი და მიპრანიანთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი იყო, რომელიც ალვანეთს მართავდა.

ვარაზ-გრიგოლი მოხსენიებულია სუმბატ დავითის ძის „ცხორება და უწყება ბაგრატონიანთაში“. სუმბატის მიხედვით, იმპერატორი პერაკლე გარდაბნის მხარეში ჩავიდა, ადგილობრივი მოსახლეობა დაიმორჩილა, ხოლო ვარაზ-გრიგოლი და მისი ხალხი სარწმუნოებაზე მოაქცია და ხუზაშენის ეკლესიას ჩაუყარა საფუძველი.<sup>8</sup> აღნიშნული ამბების მხოლოდ დასაწყისი არის

<sup>6</sup> თარიღი მოცემულია ოუმანოვის შრომაში, იხ.: C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History, pp. 478-479.

<sup>7</sup> ვიყენები მოვსეს კალანკატუაცის სომხური ტექსტის ჩვენს ხელთ არსებულ ოთხივე თარგმანს, მაგრამ დამოწმებისას ფრჩხილებში უკითხებოთ მხოლოდ სახელის ინიციალებს, თავის (ლათონურით) და პარაგრაფის (არაბულით) ნომრებს ბოლო თრი გამოცემის მხედვით (დავლიანიძეტატიშვილი; სმბატიანი), მაგრამ გათვალისწინებული გვაქვს ყველა თარგმანი. კონკრეტულ თარგმანს დავიმოწმებოთ მხოლოდ იქ, სადაც გამომცემის კომენტარი დაგვჭირდება, ხოლო უშუალოდ წყაროს გამოყენებისას, რახან ის ყველა თარგმანის გათვალისწინებით მოგვაქვს, სრულ გამოცემას დავსახლებოთ მხოლოდ დასწოლიში, რათა თავი ავარიდოთ ხშირ გამორჩებს. ეს ოთხი თარგმანია: *Istoriâ Aguan'* Moïseâ Kagankatvaci pisatelâ X v'ka. Per. K. Patkanâ. Sankt-Peterburg. 1861 (История Агуанъ Мойсея Каганкатваци писателя Х въка. пер. К. Патканъян. Санкт-Петербург. 1861); *The History of the Caucasian Albanians* by Movses Dasxuranci. Transl. by C. J. F. Dowsett. Oxford University Press. 1961; Movses Kalankatuaci. *Istoriâ strany Aluank.* Per. Š.V. Smbatâ. Erevan. 1984 (Мовсес Каланкатуаци. История страны Алуанк. Пер. Ш.В. Смбатян. Ереван. 1984); Movses Kalankatuac'i. Alvant'a k'veqnis istoria. Gamomc'. L. Davlianije-Tatišvili. Tbilisi. 1985 (მოვსეს კალანკატუაცი. ალვანტა ქვეყნის ისტორია. გამომც. ლ. დავლიანიძეტატიშვილი. თბ. 1985).

<sup>8</sup> Sumbat Davit'is-je. C'xorebay da ucqebay bagratoniant'a. gamomc'. G. Araxamia. Tbilisi. 1990. p. 42 (სუმბატ დავითის-ძე. ცხორებაი და უწყება ბაგრატონიანთა. გამომც. გ. არახამია. თბ. 1990. გვ. 42). სუმბატის ოხულების სხვა აკდემიურ გამოცემებში უპირატესობა მინიჭებული აქვს იმ ხელნაწერებს, რომელშიც დასახებულია ვარაზ-გაგელი, რაც, ბუნებრივია, ვა-

აღწერილი „მოქცევად ქართლისად“ ქრონიკაში.<sup>9</sup> ყველა შემთხვევაში დასახელებულია გარდაბანი. ფიქსირდება მისი ოდნავ განსხვავებული ფორმა: „მოქცევად ქართლისადში“ – გარდანი; სუმბატ დავითის ძის ობზულებაში – გარდაბანი. კიდევ უფრო ძველ წარწერებშიც შესაძლოა გვხვდებოდეს ფორმა – გარდანი.<sup>10</sup>

ქართული და სომხური წყაროების შეჯერებით ირკვევა, რომ ვარაზ-გრიგოლი გარდაბნის იგივე გარდამანის მემკვიდრეობითი მმართველი იყო, ხოლო მოგვიანებით უკვე დიდი მთავარი გახდა და მთელ ქვეყნას ჩაუდგა სათავეში. ვარაზ-გრიგოლის ალვანეთის მთავრის პოზიციაზე ბიზანტიელთა დახმარებით დამკვიდრდა. მანამდე ის სასანიანთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და, შესაძლოა, მაზდენური სარწმუნოების მიმდევარი იყო.<sup>11</sup>

პოლიტიკური ვითარება კარდინალურად შეიცვალა ჰერაკლე იმპერატორის გამოჩენის შემდეგ. ჰერაკლეს მიზანი მხოლოდ ირანის დამარცხება არ ყოფილა. მას უფრო შორს მიძაგალი მიზნებიც ჰერინდა, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მაზდენობისა და მონოფიზიტობის აღმოფხვრას გულისხმობდა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ვარაზ-გრიგოლის მოქცევა, რომელიც ჰერაკლეს აქტიური ძალისხმევით დიოფიზიტურ მრწამსზე მოექცა მთელი თავისი ოჯახით. აღნიშნული მოვლენა უკვე 627 წელს უნდა მომხდარიყო, როდესაც ჰერაკლე სამხრეთ კავკასიაში, საქართველოს და ალვანეთის ტერიტორიებზე ლაშქრობდა.<sup>12</sup> მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ვარაზ-გრიგოლის

რაზ-გრიგოლის სახელის დამახანჯებული გადმოცემა. ასევე იხ.: D. Musxelišvili. *Sak'art'velos istoriuli geograp'iis jirit'adi sakit'xebi.* II. Tbilisi. 1980, p. 43 (დ. მუსხელიშვილი). საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკთხები. II. თბ. 1980, გვ. 43).

<sup>9</sup> Mok'c'evay k'art'lisay. Gamomc'. I. Abulajze. Jveli k'art'uli agiograp'iuli literaturis jeglebi. Red. I. Abulajze. Tbilisi. 1963, p. 96 (მოქცევა ქრისტიანული გამოცემ. ი. აბულაჟე. ძველი ქრისტიანული დიოტერატურის ძეგლები. რედ. ი. აბულაჟე. თბ. 1963, გვ. 96); Mok'c'evay k'art'lisay: axladaşgmoč'enili sinuri redak't'c'iebi. Gamomc'. Z. Alek'sije. Tbilisi. 2007, p. 20 (მოქცევაი ქართლისა: ახლადაღმოჩენილი სინურა რედაქციები. გამოც. ზ. ალექსიე. თბ. 2007, გვ. 20).

<sup>10</sup> K'art'uli carcerebis korpusi, I, lapidaruli carcerebi. Gamomc'. N. Sošiašvili. Tbilisi. 1980, p. 169 (ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები. გამოც. ნ. შოშიაშვილი. თბ. 1980, გვ. 169).

<sup>11</sup> C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History, p. 476, n. 171. არტამნოვი ფიქრობდა, რომ ის მინოფიზიტი იყო, ხოლო ჰერაკლემ დიოფიზიტობაზე მიაქცა (M. I. Artamonov. Očerki drevnejšej istorii hazar. Leningrad. 1936, pp. 59-60 (М. И. Артамонов. Очерки древнейшей истории хазар. Ленинград. 1936, გვ. 59-60).

<sup>12</sup> ჰერაკლე იმპერატორის ლაშქრობის ქრონოლოგიის შესახებ იხ.: A. Bogveraje. Adrep'eodulari k'art'uli saxelmcip'oebi VI-VIII saukneebi. Sak'art'velos istoriis narkveebi. T. II. Tbilisi. 1973, pp. 379-282 (ა. ბოგვერაჟე. აღრევეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნაკვევნი. ტ. II. თბ. 1973, გვ. 379-282); W.E. Kaegi. Heraclius Emperor of Byzantium. Cambridge University Press, 2003, pp. 142-186.

ლერი თავაძე. მიშრანიანთა დინასტიის განშტოება –  
გარაზმანიანთა სახლი და საქართველო

---

ნათლობა აღვანეთის კათალოკოს ვიროს მონაწილეობით აღსრულდა (Mov. Kal. II, 17), მაგრამ კათალიკოსი ვირო, როგორც ცნობილია, ირანის საპატიმროდან მხოლოდ 628 წელს გაათავისუფლეს,<sup>13</sup> შესაბამისად, 627 წლის ნათლობაში მისი მონაწილეობა არ არის სავარაუდო.<sup>14</sup> დიდი ალბათობით, 628 წელს ვარაზ-გრიგოლი აღვანეთის მთავარი გახდა, რაშიც თავისი წვლილი უნდა შეეტანა კათალიკოს ვიროს.

ვარაზ-გრიგოლი აღვანეთის სამთავროს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ მისი მმართველობის დასაწყისი, ბიზანტიიდან სამხედრო წარმატების მიუხედავად, არ აღმოჩნდა სახარბიელო. აღვანეთზე პრეტენზიას თურქთა ხაკანი აცხადებდა, რომლის შვილი, ან მმიშვილი, აღვანთა ქვეყნის მმართველად იყო დადგნილი (Mov. Kal. II, 12-16). თურქთა ბატონობა აღვანეთში, როგორც ჩანს, შეთანხმებული იყო ჰერეკლე იმპერატორთან, რითიც ხაკანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თავის მდგომარეობას განიმტკიცებდა.

თურქთა ბატონობით სასტიკად უკმაყოფილო იყო აღვანეთის მოსახლეობა. მათი მძლავრობა ქვეყნის მოსახლეობას შიშა და ძრწოლას ჰგვრიდა (Mov. Kal. II, 16). მაგრამ თურქთა ხაკანს მაღვევე მოუწია პოზიციების დაომობა, რის შემდეგაც აღვანეთი კვლავ სასანური ირანის დაქვემდებარების ქვეშ მოექცა. მოგვიანებით, ქვეყნის სათავეში მოვიდა ირანის ბრძოლებში სახელგანთქმული ჯუანშერი (637-681), რომელიც, რანელთა თანხმობით, აღვანეთის დიდი მთავარი უკვე მამის სიცოცხლეში გახდა (Mov. Kal. II, 17-19). ირანის შაპის მიერ დაწინაურებული ჯუანშერი არ აღმოჩნდა ბოლომდე სახდო მოკავშირე. სამშობლოში დაბრუნებული აღვანეთის მთავარი სასანიანთა ინტერესების წინააღმდეგ იწყებს მოქმედებას და ცდილობს მათ მმართველობას თავი დააღწიოს. ამ ჯუთხით ჯუანშერს სამხედრო-პოლიტიკური აღი-

<sup>13</sup> The History of the Caucasian Albanians by Movsēs Dasxuranci. Transl. by C. J. F. Dowsett, p. 109, n. 2.

<sup>14</sup> ვარაზ დიოფიზიტი იყო (The Armenian History Attributed to Sebeos. Transl. by R. W. Thomson, comm. by J. Howard-Johnston. Liverpool University Press. 1999, p. 117), შეაბამისად, მოვსეს კალანგატუაციის ტექსტის ინტერპრეტაცია, თოთქის, საქე გვენდეს ვიროს მონოფიზიტობასთან და ჰერაკლეს წინააღმდეგ ქმედებასთან, როგორც ამას არტამანვი და, მასზე დაყრდნობით, კამილა ტრვერი ფიქრობენ (M. I. Artamonov. Očerki drevnejšej istorii hazar, pp. 59-60 (М. И. Артамонов. Очерки древнейшей истории хазар, gv. 59-60); K.V. Trever. Očerki po istorii i kul'ture Kavkazskoj Albanii IV v. do n. è. - III v. Moskva-Leningrad. 1959, p. 117 (К. В. Тревер. Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э. – III в. Москва-Ленинград. 1959, гვ. 117)), მცდარია. ვიროს მონაწილეობით, თუ დიდი აღვანული ვარაზ-გრიგოლის ნათლობა, ეს უნდა მომზადარიყო იქამდე სანამ ის ირანში იქცებოდა გაწვეული და დაპატიმრებული, ან ფორმალურად ჰერაკლე იმპერატორის 627 წლის ლაშქრობის შეძღვებ, როდესაც ჰერაკლე მეორედ შემოვიდა ამიერკავკასიაში 628 წელს.

ანსი ჰქონდა ქართლის ერისმთავარ ადარნასე I-თან, რომელიც მას საქმაოდ აქტიურად ეხმარებოდა და სამხედრო ძალებსაც უგზავნიდა (Mov. Kal. II, 19). ქართველთა დახმარებით ჯუანშერმა სპარსელთა წინააღმდეგ რამდენიმე წარმატებასაც მიაღწია.

ჯუანშერის მთავრობის პერიოდში მიპრანიანთა დინასტიის აღიანსი ქართლის და სომხეთის მმართველ წრეებთან, როგორც ვხედავთ, საქმაოდ აქტიური გახდა. მთელი ეს აღიანსი მიზნად ისახავდა ირანის მმართველობის მოშორებას, რასაც შედეგად რეგიონში ბიზანტიის იმპერიის გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. ბიზანტიის იმპერიის პოზიციებს კავკასიაში ქრისტიანული მრწამსი აძლიერებდა, ხოლო უფრო მეტად კი მისი დიოფიზიტური მიმდინარეობდა. ქალკედონიტები კი კავკასიის მონფიზიტების სიმბლავრის მიუხედავად ბევრი იყვნენ. ქართლი ამ დროს დიოფიზიტური იყო.

აღვანეთის მთავარი ჯუანშერი სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლებში მარტო არ ყოფილა. მას გვერდში ეგძნენ თავისი მამა და ძმები. ჯუანშერის მოწყობილი აჯანყება, რომელიც მიზნად ისახავდა არაბთა წინააღმდეგ დამარცხებული სასანური ირანის გავლენის შესუსტებას, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. დაპირისპირების ერთ-ერთ ეტაპზე ირანელთა არმიამ პეროზაპატი ანუ ბარდავი დაიკავა, ხოლო ჯუანშერის მამა და ძმები ტყვეებად აიყვანა (Mov. Kal. II, 19).

სპარსეთის წინააღმდეგ გამართულ ოშმი ჯუანშერმა ჩართო ადარნასე ერისმთავარი და ქართული პოლიტიკური ელიტა. ორივე მხარეს საერთო ონტრექსბი ამომრავებდათ, რაც სპარსეთის გავლენის მოსპობას ისახავდა მიზნად. ჯუანშერი და ადარნასე ერთმანეთს მტკიცე პოლიტიკური აღიანისით დაუკავშირდნენ. აღვანეთის მთავარს თანაუგრძნობდა სომხეთის ნახარართა დიდი ნაწილიც. სომეხთა და ქართველთა შორის ბევრი ყოფილა, ვისაც მისი სიძედ ხილვა სურდათ, თუმცა მან ცოლად შეირთო სივნიელი იშხნის ასული არუოჭანთა გვარიდან, რათა ადგილობრივ ელიტას უფრო დაახლოებოდა. ჯუანშერი მამის და ძმების გასათავისუფლებლად იბრძოდა. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, ჯუანშერმა სპარსეთის ხელისუფალთა გამოგზავნილი ატროპატაკანის ჯარი შაკაშენის მხარეში თრჯერ დაამარცხა (Mov. Kal. II, 19). ამის შემდეგ მან ოჯახის წევრთა გათავისუფლებას მხოლოდ მოლაპარაკებით მიაღწია.

მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, საზავო მოლაპარაკება სპარსელთა ინიციატივით გაიმართა, რომელშიც მედიატორის როლს სივნიეთის დიდი მთავარი ასრულებდა. სასანური ირანი ამ დროს სერიოზულ კრიზისში იმყო-

ფეხოდა, რის გამოც ირანის მესვეურებმა აღვანეთზე სრული კონტროლის მოპოვება ვერ მოახერხეს. საბოლოოდ ზავი დაიდო, ხოლო კონფლიქტი შეწყდა (Mov. Kal. II, 19). მართალია ზავის დეტალები არ ჩანს, მაგრამ, საფიქრებელია, სპარსელებმა გაათავისუფლეს ჯუანშერის ოჯახის წევრები, ხოლო აღვანეთი კვლავ სასანური ირანის მოხარკე ქვეყანა გახდა. ხალიფატის ექსპანსია სპარსეთში გაძლიერდა, ხოლო სასანური ირანი კიდევ უფრო მეტად დასუსტდა, რამაც ჯუანშერის საშუალება მისცა დამოუკიდებლად ემოქმდება. მან არ იკადრა სპარსეთის მოხელეთა მორჩილება იმ პერიოდში, როდესაც ირანის შაპი იუზდიგერდ III დევნილობაში იმყოფებოდა.

სპარსეთის ზორავარი, რომელიც მოხსენიებულია „აღვანთა ქვეყნის ისტორიაში“,<sup>15</sup> სპაპბედი ფარუქზად ისპაპბუდჰანი (ისპანდიარის/სპანდიატის/სპანდიას სახლი) ნელ-ნელა კარგავს ძალაუფლებას ადარბადაგანში, შესაბამისად, ირანელთა გავლენა აღვანეთზე შესუსტდა. ზავის მიუხედავად ჯუანშერი აღარ ემორჩილებოდა სპარსეთის ხელისუფლებას და იმპერიის ფაქტობრივ მმართველს სპაპბედ ფარუქზადს. აღნიშნულის გამო აღვანეთის და ირანის მესვეურთა ზავი დიდი ხანი არ გაგრძელებულა. ფარუქზადმა, მოლაპარაკების მიზნით, თავისთან იხმო ვარაზ-გრიგოლი, მაგრამ სამშობლოში აღარ დააბრუნა. აღვანთა აზრით, ის მუხანათურად დააპატიმრეს, რამაც აღვანელებსა და ირანელებს შორის კონფლიქტი განაახლა. მოვსესის ცნობით, ჯუანშერი და თავისი უფროსი მმა, ვარაზ-ფეროვი, სპარსელი მოხელეთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ, პერიუკავატი იგივე ბარდავი აღყაში მოაქციეს, ფარუქზადის მომხრეები დახოცეს და ქალაქი შტურმით აიღეს, ხოლო თავიანთი მამა ტყვეობიდან გაათავისუფლეს (Mov. Kal. II, 19).

აღვანელთა სამხედრო უპირატესობას ძირითადად სასანური ირანის ხალიფატის არმიასთან მარცხი განაპირობებდა. VII საუკუნის 30-40-იან

<sup>15</sup> აღვანეთის მთავარის ჯუანშერის ამბებთან დაკავშირებით მოხსენიებული პირველი ზორავარი იყო როსტომი, იგივე როსტმა ფარუქ-პორმაზის ძე, რომლის სახელსაც უკავშირდება ჯუანშერის დაწინაურება (Mov. Kal. II, 18). როსტომი, როგორც ცნობილია, აღ-კადისიას ბრძოლაში დაიღუაა 636 წელს, ხოლო ადარბადაგანის და ჩრდილოეთის მხარეთა სპაპბედის (ზორავარი) თანამდებობაზე ის თავისს მმა, ფარუქზადმა, შეცვლა. ჯუანშერის სამშობლოში დაბრუნების შეძლება, მოვსესის ტექსტში მოხსენიებული ზორავარი ანუ სპაპბედი, ბუნებრივია, როსტომის მმა, ფარუქზადი უნდა იყოს, რომელიც ირანის ფაქტობრივი მმართველის პოზიციაზე თავის მმას შეცვლის. ზოგადად, სასანური ირანის ისტორიის ამ პერიოდის შესახებ იხ.: A. I. Kolesnikov. Zavoevanie Irana arabami. Moskva. 1982 (А. И. Колесников. Завоевание Ирана арабами. Москва. 1982); P. Pourshariati. Decline and Fall of the Sasanian Empire: The Sasanian-Parthian Confederacy and the Arab Conquest of Iran. I.B. Taurus: London & New York. 2008; T. Daryae. Sasanian Persia: The Rise and Fall of an Empire. I.B. Taurus: London & New York. 2009.

წლებში მიმდინარე აღვანურ-ირანული კონფლიქტის პირობებში აღვანეთის მიპრანიანი მოავრები გამარჯვებულები გამოვიდნენ. ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი აღვანეთის მთავარი ჯუანშერი იყო, რომელსაც გვერდში ედგა თავისი მამა, ვარაზ-გრიგოლი და ძმები, ვარაზ-ფეროვარი, იეზუტ-ხოსროვი და ვარაზმანი.

მოვსეს კალანკატუაცის ობზელების მიხედვით, მამის და უფროსი ძმის აქტიურობის მიუხედავად ქვეყნის მმართველი მეორე ძმა, ჯუანშერი, იყო. მისი გამთავრება დაკავშირებული იყო შაპი იეზიდიგერდის და სპაპელ როსტომის გადაწყვეტილებასთან, მათ ის აღვანეთის სპარაპეტის თანამდებობაზე დამტკიცეს (Mov. Kal. II, 18). ჯუანშერი, როგორც ჩანს, თავისი მოვალეობის შესრულებას აღვანეთში ჩასვლის შემდეგ 637 წელს შეუდგა, ხოლო ქვეყანას 681 წლის ზაგტულამდე მართავდა.<sup>16</sup>

ჯუანშერი თავისი მმართველობის დასაწყისში ძალაუფლებას მამას და მმებს უყოფდა, თუმცა ქვეენის უზენაეს მმართველად ის ითვლებოდა. მოვსე-სის მიხედვით, სასანიანთა მმართველობის აღსასრული ჯუანშერის მმართვე-ლობის მეთხუომეტე წელზე მოდიოდა (Mov. Kal. II, 19). აღნიშნული ცნობა კარგად ადასტურებს ჯუანშერის მთავრობას ალვანეოთს ქვეანაზე 637 წლი-დან მოყოლებული, ვიდრე 651 წლის ჩათვლით, რაც, როგორც ზემოთ მივუ-თითვეთ, 681 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით გაგრძელდა.

მიპრანიანთა სახლის წევრები იყვნენ გარდმანის მემკვიდრეობითი პატ-რონები, ხოლო აღვანთა ქვეყნის მასშტაბით მთავრისა და სპარაპეტის წოდებებს ატარებდნენ. უმეტეს შემთხვევაში მთავრის და სპარაპეტის წოდებები ერთი პიროვნების ხელში იყო მოქცეული, ხოლო იშვიათ შემთხვევაში მათ სხვადასხვა პირი ფლობდა. ჯუანშერის მმართველობის დროს ორივე წოდება მის ხელში იყო მოქცეული, მაგრამ, ასევე, მთავრის ტიტული უნდა ჰქონოდა ვარაზ-გრიგოლს, ჯუანშერის მამას. არსად ჩანს, რომ ვარაზ-გრიგოლმა მთავრობა დაკარგა. ის აღვანეთის პირველი მთავარი იყო მიპრანიანთა დინასტიის წევრთა შორის და ქვეყნის უზენაესი მმართველი თავისი მეორე შვილის აღზევებამდე გახლდათ. ვარაზ-გრიგოლი ცოცხალი იყო მაშინაც, როდესაც არაბები ქვეყნაში შემოიჭრნენ და აღვანეთს დიდი ზარი მიაყრენ. ხალიფაზის

<sup>16</sup> Հյուսներին Եղոծն է յրանոլոցը և Շագինան ըշտունքն է վեցա տարօնաց քախելցնելուն 636/7 წლերի, եռու զարդարացների տարօնաց - 681 წლուն Հայոցնելուն. օ.պ.: A. K. Saginian. Armeniâ i strany Úznoego Kavkaza uslovâh vizantijsko-iranskoi i arabskoj vlasti. Sankt-Peterburg. 2011, pp. 136, 141 (A. K. Шагинян. Армения и страны Южного Кавказа в условиях византийско-иранской и арабской власти. Санкт-Петербург. 2011, 23, 136, 141).

წინააღმდეგ წარმატებული ომის გაჩაღება აღვანეთის ხელისუფლებამ ვერ შეეძლო. ისინი იძულებული გახდნენ მათოან მორიგებაზე წასულიყვნენ. არაბთა წინაშე გარაზ-გრიგოლი გამოცხადდა და პირველი საზავო მოლაპარაკებაც მანვე გამართა (Mov. Kal. II, 19). აღნიშული იმისი მაჩვენებელია, რომ VII საუკუნის 40-50-იან წლებში ვარაზ-გრიგოლი პვლავ ცოცხალია და საკმაოდ აქტიურად გამოდის ქვეყნის დიპლომატიურ და პოლიტიკურ სარბიელზე.

VII საუკუნის 50-იან წლებში ბიზანტიის იმპერიის მესვეურებთან მოლაპარაკებას უკვე თავად ჯუანშერი აწარმოებს, რაც იმას ნიშნავს რომ აღვანეთში პოლიტიკური ძალაუფლება მთლიანად მის ხელშია კონცენტრირებული. სავარაუდოდ, ამავე ასწლეულის შუა ხანებში გარდმანის სამფლობელოები ვარაზ-გრიგოლმა შვილების გაუნაწილა. ისინი გარდმანის მემკვიდრე-მფლობელები ხდებიან, ხოლო ჯუანშერი, გარდმანის მფლობელის გარდა, იწოდება როგორც აღვანთა მთავარი და სპარაპეტი.

აღვანეთის მიპრანიანთა დინასტიის საკუთრებაში არსებული მიწების ზუსტი განაწილების შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია. გამოკვეთილად ჩანს მხოლოდ VII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე არსებული სამი შტო, რომელებიც ვარაზ-გრიგოლის სამი შვილის მემკვიდრები არიან. აქედან ვარკვევთ, რომ მიპრანიანთა სამფლობელოები ჯერ კიდევ ვარაზ-გრიგოლის სიცოცხლეში იქნა განაწილებული მისივე შვილებს შორის. მათ შორის ჩვენ გვაინტერესებს ვარაზმანის მემკვიდრეობა.

### ვარაზმან პირველი

ვარაზმანის სამკვიდრო წილის შესახებ გარკვეული ცნობები დაცულია სომხურ გეოგრაფიაში, რომელიც „„შხარაცოიცის““ სახელწოდებით არის ცნობილი. მისი ცნობით, მდინარე მტკვრის სამხრეთით მდებარეობს ახალი ციხე-სიმაგრე – ვარაზმანავარი.<sup>17</sup> ამავე ციხის გვერდით იხსენიება ქალაქი კუდრათი, რომელსაც თანამედროვე სომეხი მკვლევრები კაჭრეთს უკავშირებენ, ხოლო ვარაზმანავარი მანავი ჰგონიათ.<sup>18</sup> ორივე იდენტიფიკაცია მცდარია. სომეხი გეოგრაფის ტექსტში აღვანეთი მტკვარსა და კავკასიონს შორის არის მოთავსებული, ხოლო ვარაზმანავარის და კუდრათის შესახებ ის აღნიშნავს, რომ ისინი სამხრეთით მდებარეობს. თითქოს, სავარაუდებელია, უნდა იგულისხმებოდეს აღაზნის სამხრეთი, რომელსაც ავტორი აღუანის სახელით

<sup>17</sup> The Geography of Ananias of Širak (Ašxarhac'oyc'): The Long and the Short Recensions. Trans. by R.H. Hewsen. Wiesbaden. 1992, p. 59.

<sup>18</sup> The Geography of Ananias of Širak. Trans. by R.H. Hewsen, p. 59, 144.

იცნობს, მაგრამ ეს ასეც რომ იყოს ის არ გამორიცხავს ამ ორი პუქტის ლოკალიზაციას მტკვრის სამხრეთით, ვინაიდან ალაზნის სამხრეთი სწორედ მტკვრის სამხრეთია. „აშხარაცოიცის“ ვრცელ რედაქციაში ვკითხულობს:

„აღვანეთის თავდაპირველი მიწები ძღებარეობს დიდ ძღინარე მტკვარსა და კვეკასონს შორის. პირველი, ქართლის მეზობლად, არის ენნის მხარე ძღინარე ალუანის (ალაზნი – ღ.თ.) გასწვრივ და კამბეჩანი ძღინარე მტკვრის გაყოლებაზე. სამხრეთით არის ახალი ციხე-სიმაგრე ვარაზმანავარი ქალაქი კუდრათით და უდაბნო მხარე, ვიდრე ძღინარე მტკვრამდე“.<sup>19</sup>

ამგვარად, ტექსტი ორნაირად შეიძლება გავიგოთ: 1) ვარაზმანავარი და კუდრათი ალაზნის სამხრეთით მდებარეობს, ვიდრე ძღინარე მტკვრამდე, როგორც ეს ესმით წყაროს გამომცემლებს; 2) ვარაზმანავარი და კუდრათი მდებარეობს ძღინარე მტკვრის სამხრეთით. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული „აშხარაცოიცის“ ავტორი მართლაც ცდილობდეს ამ ორი პუქტის ლოკალიზაციას ალაზნის სამხრეთით ვიდრე მტკვრამდე, მაგრამ მონაცემი აქვს ზოგადი, ხოლო ეს ცნობა მათ ადგილმდებარეობას განსახლვრავს ზემოდასახელებული პუქტების სამხრეთით. კამბეჩანის სამხრეთი კი მხოლოდ მტკვრის სამხრეთი შეიძლებოდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, თავად კამბეჩანი მცირედით მტკვრის სამხრეთითაც ვრცელდებოდა.

ქალაქი კუდრათი, რომელიც დასახელებულია „აშხარაცოიცის“ ვრცელ რედაქციაში, ბუნებრივია, შერყვნილი სახელწოდება უნდა იყოს, რაღაც ავთენტური ტოპონიმისა, რომელი მტკვრის სამხრეთით მდებარეობდა. სავარაუდო, ის უნდა უკავშირდებოდეს ქურდის ჭევს, რომელიც, ასევე, მტკვრის სამხრეთით მდებარეობდა. ჯუანშერის მიხედვით, ტერიტორია კოტმანიდან ქურდის ჭევმდე ვარაზმანის სამფლობელო იყო. ჩვენი აზრით, სომხური წყაროს ტოპონიმი „კუდრათ“ ქართული წყაროს „ქურდის“ შერყვნილი ფორმაა. ტოპონიმის სუფიქსი გვაფიქრებინებს, რომ სომხებმა ის ქართველებისგან აიღეს. სიტყვა „ქურდის ჭევი“ შეიძლება გამოთქმულიყო როგორც „ქურდეთი“, ან „ქურდათი“, რომელიც ოდნავ შეცვლილი ფორმით „აშხარაცოიცის“ ვრცელ რედაქციაში დაფიქსირდა. საფიქრებელია შეცდომა გადამწერს დაეშვა, ვინაიდან „აშხარაცოიცის“ ვრცელი რედაქცია მხოლოდ 1605 წლით დათარიღებული ერთადერთი ხელნაწერით არის მოღწეული,<sup>20</sup> რომელიც, ბუნებრი-

<sup>19</sup> The Geography of Ananias of Širak. Trans. by R.H. Hewsen, p. 59.

<sup>20</sup> „აშხარაცოიცის“ ტექსტისა და ხელნაწერთა შესახებ იხ.: The Geography of Ananias of Širak. Trans. by R.H. Hewsen, p. 4-5.

ვია, მრავალჯერ იქნებოდა გადაწერილი, ხოლო ავტორისეული ორიგინალი ბევრჯერ შერყენილი.

ქურდის პევი, მოგვიანებით, ცნობილია როგორც ქურდვაჭრის ხევი, რაც მდინარე დებდას ხეობას ეწოდებოდა.<sup>21</sup> ქალაქი ქურდათი/კუდრათი, ბუნებრივია, ამავე მხარეშია უნდა იქნას ლოკალიზებული. ის, აღბათ, ამავე მხარის ცენტრს წარმოადგენდა. ჯუანშერის ცნობა ქურდის პევის შესახებ გვაფიქრებინებს, რომ ის ერთი პერიოდი ცალკე პევი ანუ ადმინისტრაციული ეროველი იყო. ქურდის პევის ცენტრი, შედარებით გვიანდელი წყაროების მიხედვით, გახლდათ გაგი.<sup>22</sup>

გაგის ციხის აგება უკავშირდება სომხეთის მეფე გაგიკ I-ს (990-1020). ვარდან არეველცის ცნობით, ციხე-სიმაგრე გაგიკის ბრძანებით აშენეს, ხოლო სახელწოდება კტიტორის სახელის მიხედვით დაერქვა.<sup>23</sup> თუმცა, როგორც ფიქრობენ, გაგის ციხის ნანგრევების ნაშთები უფრო ძველია,<sup>24</sup> რაც, თითქოს, იმაზე მეტყველებს რომ გაგის ციხე გაგიკ მეფემ მხოლოდ განაახლა, თავისი სახელი დაუტოვა და ხელახალი სიცოცხლე შესძინა. ქურდის პევის ადრეული ცენტრი თუ მართლაც გაგის ციხე გახლდათ ქურდათი/კუდრათის ლოკალიზაციაც ამავე ციხის ადგილზე იქნება შესაძლებელი.

ვარაზმანავარის ციხე, როგორც ეს „სომხურ გეოგრაფიაშია“ მითითებული, ქალაქ ქურდათი/კუდრათის სიახლოეს აგბული ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო. სახელის მიხედვით, ის ვარაზმანის სახელს უკავშირდება. ჩვენი აზრით, ტოპონიმი ორი სიტყვის შერწყმის შედეგადაა მიღებული, ესენია: „ვარაზმან“ და „ვარ“. პირველი საკუთარი სახელია, ხოლო მეორე – ირანული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს აღაფს, ნადავლს, ნაძარცეს. ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით დამკვიდრებულია ქართულსა და სომხურში.

<sup>21</sup> D. Musxelišvili. Sak'art'velos istoriuli geograp'iis jirit'adi sakit'xebi. II, pp. 64-65 (დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის მიზანდადი საკონტენტო. II, 64-65).

<sup>22</sup> Istoriani da azmani šaravandedt'ani. Gamome'. S. Qauxč'išvili. K'art'lis c'xovreba. II. T'bilisi. 1959, p. 54 (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამომც. ს. კარტუშიშვილი. ქართლის ცხოვრება. II. თბ. 1959, გვ. 54); Istoriani da azmani šaravandedt'ani. Gamome'. G. Kartozia, C'. Kikivije. K'art'lis c'xovreba. T'bilisi. 2008, gv. 426 (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გამომც. გ. კარტოვრება, ც. კოკოძე. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 426).

<sup>23</sup> Vardan Arevelc'i. Msop'l'io istoria. Gamome'. N. Šošiašvili, E. Kvačantiraje. T'bilisi. 2002, p. 162 (ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. გამომც. 6. შოშიაშვილი, ე. კვაჭანტირაძე. თბ. 2002, გვ. 162); D. Musxelišvili. Aęjaqala-gagis c'ixe. Sak'art'velos istoriuli geograp'iis krebuli. T. I. T'bilisi. 1960, pp. 124-125 (დ. მუსხელიშვილი. აჯაყალა-გაგის ციხე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. I. თბ. 1960, გვ. 124-125).

<sup>24</sup> D. Musxelišvili. Aęjaqala-gagis c'ixe, პ. 139 (დ. მუსხელიშვილი. აჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 139).

„აშხარაცოცის“ მიხედვით, ვარაზმანავარი ახალი ციხე-სიმაგრე იყო. მას სახელიც, ბუნებრივია, ახალი შერქმული უნდა ჰქონოდა. ჩვენი აზრით, „აშხარაცოცი“ დაახლოებით VII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს დაწერილი,<sup>25</sup> შესაბამისად, ციხე ამ დროისთვის ახალი აშენებული იყო. თუ ვარაზმანავარის ციხის აგების ქრონლოგიას, პირობითად, VII საუკუნის მეორე ნახევრით განვსაზღვრავთ, თავად ციხე-სიმაგრის სახელის მიხედვით, ადვილი გამოსავლენი იქნება მისი პატრონისა და დამკვეთის ვინაობა. ჯუანშერის მიხედვით, ქურდის ჭევიდან კოტმანამდე ვარაზმანის კუთვნილი მიწაა, რომელიც მას არჩილ მეფემ უბოძა საერისთავოდ, რასაც ადგილი 740 წელს ჰქონდა.<sup>26</sup>

არჩილ მეფის „წყალობა“ რეალურად არსებული ვითარების დამტკიცება იყო, მან თავის ქვეშევრდომ ერისთავებს უბოძა ის, რაც მათ უკვე ჰქონდათ, შესაბამისად, მოხდა მხოლოდ არსებულის ლეგიტიმიზაცია, მაგრამ არა ახალი მიწების გადაცემა. ჯუანშერი არ გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რომელი ერისთავი როდის დაუუფლა თავის სამკვიდროს. ვარაზმანი, რომელსაც ჯუანშერი იხსენიებს არის ვარაზმან მეორე, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ, ხოლო ვარაზმანავარის ამგები უნდა იყოს ვარაზმან პირველი, ვარაზ-გრიგოლის ძე, რომელიც, ჩვენი აზრით, მიპრანიანთა დინასტიის ვარაზმანიანთა სახლის ფუძემდებელია.

ტოპონიმ „ვარაზმანავარის“ გაჩენა, გარკვეულწილად, ამ ტერიტორიის მიტაცებით ფლობაზე უნდა მიანიშნებდეს, რომელიც მიპრანიანთა სახლს უკვე VII საუკუნის შუა წლებში ან მეორე ნახევარში უნდა დაეკავებინა. ჯუანშერ აღვანთა მთავარისა და ადარნასე ერისმთავარის აქტიური კავშირი იმისი მანიშნებელია, რომ ქართლის მმართველი ელიტა არ ყოფილი ამგვარი მიტაცების წინააღმდეგი. ამისი ახსნა იმითიც შეიძლება, რომ VII საუკუნეში,

<sup>25</sup> ავტორისთვის ახალი მოვლენაა ასპარუხის დამკიდრება დუნაის კუნძულზე (The Geography of Ananias of Shirak. Trans. by R.H. Hewsen, pp. 48, 94, 110), როთიც ჩანს რომ ასპარუხი ჯერ ბულგარეთის მმართველი და დუნაის სამხრეთის მფლობელი არაა. აღნიშნული მოვლენა VII საუკუნის 70-იან წლებში ხდება. სხვადასხვა ავტორები ამ ნაწარმოებს ანანია შირაკაცს აკუთვნებენ და ოთარიდებენ VI-VII საუკუნეების მიჯნით, რაც მოედი რიგი ფაქტების გათვალისწინებით არაა მართლენი. ასპარუხის გამოჩენაც მათი აზრით, თითქოს, გვიანდელი ჩანართა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სწორი, ხოლო ასპარუხის მოხსენიება დუნაის დელტაზე საკმაოდ მყარი საყრდენია თხზულების დათარიღების მიზნით, რაც მას VII საუკუნის ბოლო მესამედის ახლო ხნებით განსაზღვრავს.

<sup>26</sup> თარიღზე დეტალური მსჯელობა მერვე საუკუნის საქართველოს ისტორიაზე არსებულ მონოგრაფიაში გვენება. არაბთა დამარცხების თარიღი მიღებულია სტეფანოზ მამფლის ეპიგრაფიული ძეგლის, ჯუანშერის ცნობისა და არაბული წყაროების შეჯერებით.

**ლერი თავაძე. მიპრანიანთა დინასტიის განშტოება –  
გარაზმანიანთა სახლი და საქართველო**

---

როდესაც საქართველოში ბრძოლა მიღიოდა პრობიზანტიურ დიოფიზიტურ და პროირანულ (შემდეგ პროარაბულ) მონოფიზიტურ ბანაკებს შორის პირველმა მეორე გაანადგურა, ხოლო მათი სამფლიბელოები მიიტაცა. საფიქრებელია, მიპრანიანთა დინასტია ყოფილ ხუნანის საერისთავოს სწორედ ამ დროს დაუუფლა, რაც, მოგვიანებით, არჩილ მეფემ დაამტკიცა.

ამგვარად, ვარაზმან ვარაზ-გრიგოლის ძე იყო პირველი მიპრანიანთა დინასტიის წევრთა შორის, რომელიც ქურდის ჭევსა და კოტმანს შორის არსებულ ტერიტორიას დაუუფლა. აღნიშნული მოვლენა ვარაზმანის მამის ან ძმის მმართველობის დროს უნდა მომხდარიყო, მეშვიდე საუკუნეში. ვარაზმანავარის მშენებლობა, როგორც ჩანს, ან თავად მან წამოიწყო, რასაც აღნიშნული სახელი მოგვიანებით ეწოდა, ანდა მშენებლობა უკვე მისი შვილის დროს უნდა დაწყებულიყო.

ვარაზმანის მოღვაწეობა თავისი მამის ვარაზ-გრიგოლის მთავრობის პერიოდს ემთხვევა. ის მამის მმართველობის პერიოდში გამოდის აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ სარბილზე. თავდაპირველად ის თავისი მამის მსგავსად ჰერაკლე იმპერატორის მორჩილებაში უნდა შესულიყო, თუმცა, მოგვიანებით, იძულებული გახდა სასანური ირანის შაპის ძალაუფლებას დამორჩილებოდა.

ვარაზმანი თავისი მეორე ძმის, ჯუანშერის, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, რასაც მოჰყვა ირანის არმიის რამდენიმე მარცხი ხალიფატის არმიასთან ბრძოლებში, სპარსელთა ბატონობის წინაღმდეგ გამოდის. ვარაზმანი, მამამისი და ორი უფროსი ძმა სპარსელთა ტყვეობაში ჩავარდა. ჯუანშერის წყალობით მათ გაათავისუფლებენ, ხოლო ირანის მოხელეებთან ზავის დადების შემდეგ მალევე ალვანეთი-ირანის ბრძოლა განახლდება, რასაც მოჰყვა ალვანეთის პოლიტიკური თავისუფლება სასანიანთა ჰეგემონიისგან, ხოლო არაბთა მიერ ირანის იმპერიის განადგურება.

ირანის სამხედრო-პოლიტიკურ განადგურებას ხალიფატის ექსპანსიის დაწყება მოჰყვა, რამაც, ამჯერად, ალვანეთი ხალიფას დაუმორჩილდა. მაგრამ არც ეს გაგრძელდა დიდი ხნის განმავლობაში. ალვანეთის მთავარი ჯუანშერი ყველანაირად ცდილობდა ქვეყანა არაბთა მორჩილებას მოერიდებინა და ბიზანტიის მოკავშირეობისკენ მისიწრაფვოდა. ალვანთა პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი პრობიზანტიური რჩებოდა მაშინაც კი, როდესაც ქვეყანაში ხალიფატის ძლიერი გავლენა იყო. ვარაზმანი თავისი ძმის, ჯუანშერის, ერთგულ გახლდათ. არ ჩანს მისი რამე სახის დაპირისპირება მთავრის ხელი-სუფლებასთან. ჯუანშერის ზეობის დროს ვარაზმანი უნდა ყოფილიყო ყოფი-

ლი ხუნანის საერისთავოს მფლობელი, რაშიც შეცილება ქართველებმა ვერ შეძლეს.

ვარაზმანის გარდაცვალების შესახებ ცნობები შემონახული არაა. ვი-ცით მხოლოდ ჯუანშერის დაღუპვის დეტალები, რომელიც შინაპოლიტიკურ ინტრიგებს ემსხვერპლა. ჯუანშერის შემდეგ აღვანეთის მთავარი და სპარაპეტი ხდება მათი ძმიშვილი, ვარაზ-თრდატი, ვარაზ-ფეროჟის ძე (Mov. Kal. II, 34-36).

ვარაზ-თრდატის ხელისუფლებაში მოსვლა ერთის მხრივ იმით იყო განპირობებული, რომ ის უფროსი ძმის მემკვიდრე იყო. ამასთან, ჯუანშერის დაღუპვის შემდეგ მის შვილებს არ ჰქონდათ იმდენი ძალაუფლება თავისი ნებით ან მათის ანდერძით ქვეყნის სათავეში მოსულიყვნებ, შესაბამისად, ახალი მთავარი ქვეყნის უმაღლეს პირთა კრებამ აირჩია (Mov. Kal. II, 36). ვარაზ-თრდატის არჩევის დროს, როგორც ჩანს, ძირითადად, მისი პოლიტიკური გავლენა, წარმომავლობა და ასაკი იყო გათვალისწინებული. ვარაზ-ფეროჟი უკვე გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მისი კანდიდატურა არც განხილულა. გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო მისი დანარჩენი ორი ძმაც, იეზ-უტ-ხოსროვი და ვარაზმანი, წინააღმდეგ შემოხვევაში ისინი ჯუანშერის დაღუპვის დროს ნახსენები მაინც იქნებოდნენ და, შესაძლოა, ტახტზე პრეტეზიაც გამოეცხადებინათ. მაგრამ ასეთი რამ არ მომჩდარა, რაც მათი ადრეული სიკვდილის ირიბი მტკიცებულებაა. ჯუანშერი დაღუპვის უამს ჭარმაგი ასაკის მამაკაცი უნდა ყოფილიყო. მან, როგორც ჩანს, თავის ყველა ძმაზე მეტი იცოცხლა და უკვე ასაკში შესული მოღალატე ქვეშვერდომის ხელით აღესულა. ჯუანშერი 681 წლის ზაფხულში აღესრულა,<sup>27</sup> რაც ვარაზმან პირველის გარდაცვალებას ამაზე ცოტა ადრეული პერიოდით ათარიღებს.

ვარაზმანი გახდა პირველი მიპრანიანი, რომელიც ხუნანის საერისთავოს ტერიტორიას მემკვიდრეობით დაუუფლა, რამაც უკვე მის მემკვიდრეებს საშუალება მისცა აღნიშნული მიწა მემკვიდრეობით გადაეცათ თავიანთი შვილებისთვის. ისტორიული წყაროებით ცნობილია ვარაზმანის შვილი და მემკვიდრე, რომელიც, მოვსეს კალანკატუაცის თხზულებაში, იწოდება როგორც ვახტანგ ვარაზმანიანი, ანუ ვახტანგ ვარაზმანის ძე.

<sup>27</sup> ჯუანშერს დაღუპვის თარიღზე იხ.: A. K. Šaginân. Armeniâ i strany Úžnogo Kavkaza v uslovâx vizantijsko-iranskoj i arabskoj vlasti, p. 141 (А. К. Шагинян. Армения и страны Южного Кавказа в условиях византийско-иранской и арабской власти, гл. 141).

### ვახტანგ ვარაზმანიანი

მოვსეს კალანკატუაცის მიხედვით, ვახტანგ ვარაზმანიანის გენეალოგია ამგარი სახისაა: ვარაზმანი > ვახტანგი > ვარაზო. ვარაზოს ცოლი გახდა ვარდანუპი, თავისი ბიძაშვილი, ვახტანგის ძმიშვილი. მოვსესი მოგვიოხრობს:

„სიმეონის შეძლევ აღვანეთის კათალიკოსის ტახტზე ავიდა ღირსი მი-  
ქაული, რომელიც 35 წელი მმართველობდა. მის პერიოდში დაქორწინდა აღ-  
ვანეთის მთავარი ვარაზო, ვახტანგის ძე და ვარაზმანის შვილიშვილი. მან ჩა-  
იდინა სისხლისაღრუვა, შეირთო ცოლად ვარდანუპი, ამავე ვარაზმანის შვი-  
ლიშვილი“ (Mov. Kal. III, 13).<sup>28</sup>

ამგვარად, მოვსესის ცნობის მიხედვით, ვარაზმანი ორი ვაჟიშვილის მა-  
მა ყოფილა, ესენია: 1) ვახტანგი; 2) ვახტანგის უცნობი ძმა, ვარდანუპის მა-  
მა. ვარაზო, ვახტანგის შვილი, აღვანეთის კათალიკოსის მიქაელის მამამთავ-  
რობის დროს, დაქორწინდა თავის ბიძაშვილზე, ვარდანუპზე, რაც დიდი გან-  
ხეოქილების მიზეზი გახდა. მათი ქორწილი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ვა-  
რაზმანიანთა სახლის წევრები ყველანაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ  
თავისი სახლის ერთიანობა, რათა სამფლობელო არ გაყოფილიყო, ხოლო მა-  
თი გავლენა არ შემცირებულიყო.

ვახტანგ ვარაზმანიანი მართალია მამის სამფლობელოს როგორც უფ-  
როსი ძმა ისე მართავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იძულებული იყო გარკვეუ-  
ლი წილი თავისი ძმისთვის დაეთმო, ხოლო იძმისთვის რომ ეს წილი სხვა  
მთავართა ხელში არ გადასულიყო მისი შვილი, ვარაზო, ბიძაშვილზე ქორ-  
წინდება. ვახტანგ ვარაზმანიანის შესახებ მოვსეს კალანკატუაცის ობზულება-  
ში სხვა ცნობებიც არის დაცული, ისინი ძირითადად სხვადასხვა წყაროებიდ-  
ან მომდინარეობენ. მათ შორის ავტორს გამოყენებული აქვს დოკუმენტური  
მასალა, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ვახტანგის უზენაესობას ვა-  
რაზმანიანთა ოჯახში.

ვახტანგ ვარაზმანიანის წარმომავლობა და სტატუსი გამოკვეთილია ორ  
დოკუმენტში. ორივე დაცულია მოვსეს კალანკატუაცის ობზულებაში. პირვე-  
ლია აღვანეთის კრების მიერ გაგზავნილი თანხმობის და მტკიცე კავშირის ს-  
ხლწერილი, რომელიც სომხეთის კათალიკოსს გაუგზავნეს, ხოლო მეორე –  
ხალიფა აბდ ალ-მალიქის დივანში დაცული წერილი. ორივე დოკუმენტის მი-  
ხედვით, აღვანეთის მთავრები გმობენ დოოფიზიტობას და საკუთარ ერთგუ-

<sup>28</sup> აღნიშნული მონაკვეთი უფრო გამათული ჩანს შ. სმბატიანის გამოცემაში, შესაბამისად,  
ჩვენი თარგმანიც, ძირითადად, მას მოუყვება.

ლებას ადასტურებენ მონოფიზიტური მიმდინარეობის მიმართ. პირველი მათგანი 704 წლით თარიღდება, ხოლო მეორე – 705 წლით. დოკუმენტები შეიძლება ტენდენციური იყოს, მაგრამ მათში მოხსენიებული აღვანეთის დიდებულები ისტორიული პირებია და ისინი მაშინდელი აღვანეთის მმართველ ელიტას ჰქმნიდნენ.

ვახტანგ ვარაზმანიანი ორივე დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც  
მიპრანიანთა გვარის წარმომადგენელი. ამავე გვარის წევრთა შორის მასშე  
წინ დასახელებულია მხოლოდ აღვანეთის დიდი მთავრის ვარაზ-თორდატის  
შვილები, ვარდანი და გაგიკი (Mov. Kal. III, 8, 10). ვარაზ-თორდატი გახლ-  
დათ ჯუანშერის უფროსი ძმიშვილი და მემკვიდრე. მან, როგორც ცნობილია,  
მთავრობა დაკარგა, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხა რომ შვილებს თავისი მი-  
წები მემკვიდრეობით გადასცა. ზუსტად რა ტერიტორიებს ფლობდნენ ისინი  
არ ჩანს, თუმცა ქვეყნის მეთაურობა მათ ხელში არ ყოფილა.

ამგვარად, გარდამანის მთავართა შორის ალვანეთის დიდებულთა ჩამონათვალში დასახელებულია სამი გავლენიანი პირი. ეჭვი არაა, რომ გარდანის სამთავროს, უპირატესად, სწორედ ისინი იყოფენ, მაგრამ კონკრეტულად ვის რა ტერიტორია აქვს ამაზე მონაცემები არ გვაქვს. ერთადერთი რისი თქმა შეიძლება არის ის, რომ VII საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ ვარაზმანიანი უკვე თავისი საგვარეულო დომენის ჩამოყალიბებით არის დაკავებული, რაც, როგორც ჩანს, წარმატებით დააგვირგვინა.

დოკუმენტების მიხედვით, ვახტანგ ვარაზმანიანი მონოფიზიტობის ერთგულების პირობას იძლევა. მონოფიზიტობას აღვანეთის მთავრებს სომხები და არაბები ამაღლებდნენ. 704 წელს არაბთა ხალიფატის ლაშქრობის პარალულურად მათ გვერდით მოდის სომხეთის სამხედრო ძალაც.<sup>29</sup> აღვანეთის დედაქალაქის ბარდავის აღების შემდეგ, რაც ხალიფატის არმიამ განახორციელა, სომები უმაღლესი სასულიერო პირები ქალაქში შემოდიან, რათა მონოფიზიტური მრწამსი განამტკიცონ. ამ მიზნით სომხეთის კათალიკოსი არაბთა ხელისუფლებას მოურიგდა, მხარდაჭერის სანაცვლოდ სომხებმა მიიღეს გარანტია, რომ აღვანეთის ქრისტიანი მოსახლეობა მონოფიზიტობას აღიარებდა, ხოლო წინააღმდეგობის გამწევი დიდებული სიკვდილით დაისჯებოდა. ბარდაჭმი გაიმართა საყვლესიო ქრიბა, რომელიც ბარდავის ქრიბის სახელ-

<sup>29</sup> տարօնքի և մոմեա ազգային ժոհածողութիւնածի Բարձրաւոց օ.թ.: A. K. Šaginân. Armeniâ i strany Úžnogo Kavkaza v uslovâh vizantijsko-iranskoy i arabskoj vlasti, p. 378-380 (А. К. Шагинян. Армения и страны Южного Кавказа в условиях византийско-иранской и арабской власти, гл. 378-380).

წოდებითაა ცნობილი. კრება აღვანეთის მოქმედი კათალიკოსის დიოციზიტი ნერსეს და დედოფალი სპრამის დაღუპვის მთავარი მიზეზი გახდა (მოვს კალ. III, 5-7). სომხებს არაბთა შიშით მიემხრო აღვანეთის მაშინდელი მთავარი შერო, რომელმაც შეაპყრობინა კათალიკოსი ნერსე, ხოლო დედოფალი სპრამი მოაკვლევინა. ამ უკანასკნელთან, მოვსესის ცნობით, შეროს ისედაც განხეთქილება ჰქონდა. ისინი ქვეყანაში უმაღლესი ხელისუფლების გამო იბრძოდნენ. სპრამი ვარაზ-თრდატის მეუღლე იყო და ვერ ეგუებოდა შეროს ხელისუფლებას, რომელიც აღვანეთის სათავეში ვარაზ-თრდატი დაპატიმრების შემდეგ მოვიდა.

ვახტანგი ვარაზმანიანი, რომელიც მიპრანიანთა განშტოების მეთაურია იძულებული ხდება ხელი მოაწეროს ბარდავის კრების გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, ისინი ხელს იღებდნენ, სომხი კათალიკოსის მიხედვით, ბოროტი ზრახვებისგან, უარს ამბობდნენ ქალკედონის კრების აღიარებაზე, დიოციზიობაზე, ჰგმობდნენ კათალიკოს ნერსეს და სხვ. გადაწყვეტილების მომხრეთა შორის დასახელებულია ვახტანგ ვარაზმანიანი (მოვს კალ. III, 8). აღნიშნული დოკუმენტი დათარიღებულია ჰიჯრით 85 წლითა და სომხური კალენდრის ჰროტის ოვით, რაც 704 წლის მაისია (მოვს კალ. III, 8).<sup>30</sup>

მეორე დოკუმენტის მიხედვით, რომელიც, მოვსეს კალანკატუაცის თქმით, ხალიფა აბდ აღ-მალიქის (685-705) დივანში ყოფილა დაცული, ვახტანგ ვარაზმანიანი თავის ბიძაშვილებთან (ვარდანი და გაგიკი) ერთად დასახელებულია მიპრანიანი ვარდან მამაცის შორისმავლად (მოვს კალ. III, 10). ისინი, აღვანეთის სხვა მთავრებთან ერთად, აცხადებდნენ, თუ რომელიმე მათგანი აღიარებდა ქრისტეს ორბუნებიანობას მზად იყვნენ სიკვდილით დასჯის სასჯელი მიეღოთ. აღნიშნული წერილიც პირველი დოკუმენტის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი. მალე არაბმა მოხელეებმა დააპატიმრეს აღვანეთის დიდი მთავარი შერო და აღვანეთის დიდებულები. ისინი ასურეთში, ხალიფატის ცნობილი წაიყვანეს. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, მათი დაკავება სომხური კალენდრის 153 წელს (Mov. Kal. III, 16) მოხდა, რაც 704 წლის 3 ივნისი - 705 წლის 2 ივნისი შეაღედით განისაზღვრება. შეროს გარდა სხვა დიდებულთა სახელები დასახელებული არაა, მაგრამ ზემოხსენებული სიის მიხედვით, რაც აბდ აღ-მალიქის დივანში დაცულ წერილშია ასახული, მათ შორის უნდა ყოფილიყო ვახტანგ ვარაზმანიანი.

---

<sup>30</sup> The History of the Caucasian Albanians by Movsēs Dasxuranci. Transl. by C. J. F. Dowsett, p.196, n. 2.

შეროს და ალვანეთის დიდებულებს არ ენდობოდნენ, ბიზანტიის იმპერიასთან ალიანსში სდგბდნენ ბრალს და ხალიფატის დაუმორჩილებლობას ედავებოდნენ. ეს იყო ის მიზეზი, რისოვისაც დაისაჯა ალვანეთის ყოფილი კათალიკოსი და დედოფალი სპრამი, იგივე მიზეზი მოქმდებდა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც. მაგალითად, შერო, ისევე როგორც ალვანთა სხვა დიდებულები, ბიზანტიურ ტიტულს ატარებდა, რაც მისი და იმპერატორის სერიოზული პოლიტიკური სიახლოვის მანიშნებელია. ვახტანგ ვარაზმანიანიც, სავარაუდოდ, ამავე სახის პოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი გახდა. 705 წლის ახლო ხანებში ასურეთში დაპატიმრებული ვახტანგი, დიდი აღბაობით, უკან ვეღარც დაბრუნდებოდა. ალვანეთის კათალიკოს მიქაელ შაქელის (706-742) დროს გარდმანის მთავარი ვარაზო, ვახტანგ ვარაზმანიანის შვილი, გახდა.

ზემოხსენებული დოკუმენტების შედგენიდან ცოტა ხნის შემდეგ, ვახტანგის შვილი, ვარაზო, კარდინალურად შეცვლის რელიგიურ პოლიტიკას. მან მონოფიზიტური მრწამისის ნაცვლად თავის სამფლობელოში დიოციზიტობა დამკვიდრა, რაც ქართველთა უშუალო მონაწილეობით განხორციელდა.

### ვარაზო

ვარაზოს მმართველობა VIII საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის, როდესაც ალვანეთის კათალიკოსი მიქაელ შაქელი (706-742) გახლდათ. მიქაელის მამამთავრობის დროს ქვეყანაში სიტუაცია მნიშვნელოვნად აირია. ვახტანგ ვარაზმანიანი ტყვედ იყო წაყვანილი სახალიფოში, ხოლო გარდმანის მთავარი მისი შვილი, ვარაზო, გახდა. ვარაზმანიანთა სახლის ერთობის შენარჩუნების მიზნით ვარაზომ ცოლად მოიყვანა თავისი ბიძაშვილი, ვარდანუპი. ვარაზმანიათა სახლი არ გაყოფილა, ხოლო ძლიერი მოკავშირისა და ქორწინების ლეგიტიმაციის მიზნით ვარაზომ ქართველებს მიმართა. მოვსეს კალანკატუაცი მათი ქორწილის დაკანონებაში ბრალს სდებს ქართლის კათალიკოს თალილებს (Mov. Kal. III, 13), ხოლო „მოქცევად ქართლისავ“ მიზედვით, გარდაბნელთა განმანათლებელი გახდა ქართლის ერისთავი ვარაზ-ბაკური.<sup>31</sup>

ვარაზ-ბაკური ბიზანტიის იმპერატორის ოუსტინიანე II რინოტმეტოსის უმაღლესი რანგის მოხელე იყო. ვარაზ-ბაკური მართლაც იმყოფებოდა ქართლ-

<sup>31</sup> Mok'c'evay k'art'lisay. Gamomc'. I. Abulaje, p. 97 (მოქცევაი ქართლისათვის. გამომც. ოლ. აბულაჟე, გვ. 97); Mok'c'evay k'art'lisay: axladağmočenili sinuri redak'c'iebi. Gamomc'. Z. Alek'sije, p. 20 (მოქცევაი ქართლისათვის. ახალადმოწილი სინური რედაქციები. გამომც. ზ. ალექსიე, გვ. 20).

ლერი თავაძე. მიშრანიანთა დინასტიის განშტოება –  
გარაზმანიანთა სახლი და საქართველო

---

ში თავისი მოხელეობის პერიოდში. ის ხრისობოლის, ოპსიკიონის ადმინისტრაციული ცენტრის, მფლობელადაა დასახელებული, როდესაც ქართლს სტუმრობს და იხსენიება როგორც „გარდაჯებული ნაუგსავთა ყოველთა ჩემთა“<sup>32</sup> ანუ ყველაზე დაწინაურებული ქართველთა შორის. ვარაზ-ბაგურის ქართლში ჩამოსვლა 705-706 წლებში ხდება.<sup>33</sup> ამ თარიღთა გათვალისწინებით, საფიქრებელია, გარდაბნელთა მოქცევა 706 წელს მომხდარიყო. ამავე წლის ახლო ხანებში მოხდა ქორწილიც, რომელიც თალიღებ აკურთხა, ხოლო გარდაბნელთა სახლი ქართული ეკლესიის წიაღში მიიღეს. იმის გათვალისწინებით, რომ ვარაზმანიანები ქართულ მიწებს ფლობდნენ ხუნანის საერისთავის სახით, მათი ინტეგრაცია ქართლის მმართველ ელიტაში სწრაფად მოხდა.

ვარაზ-ბაგურის მონაწილეობით გარდაბნელთა მოქცევა, რომელიც, ბუნებრივია, ვარაზოს დიოფიზიტობაზე გადმოყვანას გულისხმობს (სხვა ალტერნატივა, ჩვენი აზრით, ამ ცნობის ინტერპრეტაციას არ გააჩნია), არ ყოფილა მხოლოდ რელიგიური შინაარსის მოვლენა, მას პოლიტიკური შედეგიც მოჰყევა. პოლიტიკური რეზულტატი იყო ვარაზმანიანთა სახლის ქართლის საერისმოავროში გაერთიანება. მართლაც, აღარც ვარაზო და არც მისი შვილი, ვარაზმანი, მოვსეს კალანკატუაცის „აღვანთა ქვეყნის ისტორიაში“ არ იხსენიებიან როგორც აღვანთა მთავრები.

ვარაზმანიანთა სახლი მონოფიზიტთა და მუსლიმთა აქტიური შევიწროების ობიექტი გახდა, რის გამოც ვარაზო ქართული ეკლესიის წიაღში შევიდა და ქართლის ერისმოავართა არშუშას და ვარაზ-ბაგურის გავლენის ქვეშ მოექცა. ვარაზ-ბაგურის მეოხებით მიიღო დიოფიზიტობა და ბიზანტიის იმპერატორის უზენაესობა აღიარა. ყველაფერი ამის გამო აღვანელი და სომეხი მონოფიზიტები და მუსლიმი არაბები მას ხშირად დევნიდნენ. ვარაზო ამავე კათალიკოსის მამამოავრობის პერიოდში აღესრულა. ვარაზოს ორი შვილი, ასევე, ტრაგიკულად აღესრულნენ, ამათგან ერთი არაბებმა მოკლეს, ხოლო მეორე ცხენზე ჯირითის დროს დაიღუპა (Mov. Kal. III, 13, 24).

ვარაზოს აქტიური მოღვაწეობა 705-730-იანი წლებით უნდა დავათარი-

<sup>32</sup> L. Tavaje. Bizantiuri saimperio titulatura sak'art'veloši. Istorii dok'toris akademiuri xarisxis mosapoveblad carmodgenili disertac'ia. Tbilisi. 2012, pp. 66-74 (ლ. თავაძე. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა საქართველოში. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 2012, გვ. 66-74).

<sup>33</sup> თარიღის შესახებ დაწინალებით მსჯელობა გვენერა მერვე საუგუნის ისტორიის შესახებ არსებულ მონოგრაფიაში. აღნიშნული თარიღი მიღებულია ქართული ეპიგრაფიკული მასალის, „მოქცევად ქართლისას“, სუმბატ დავითის ძის, ღვვონდის, მოვსეს კალანკატუაცისა და ბიზანტიური წყაროების ცნობათა შეჯერებით.

ღოთ. მისი ორი შვილის დაღუპვა, როგორც მოვსესის თხზულებაში ჩანს, მათი ზდასრულობის პერიოდში ხდება. ერთ-ერთი ცხენით ჯირითის დროს ჩამოვარდა და ტრაგიკულად აღესრულა. მისი გარდაცვალების ასაკი არ არის დაზუსტებული, მაგრამ, დიდი აღბათობით, შემთხვევა უფლისწულის ახალგაზრდობის პერიოდში უნდა მომხდარიყო. მას ცხენის მართვა უკვე ნასწავლი უნდა ჰქონდა, მაგრამ იმდენად გამოცდილიც არ ყოფილა კრიტიკულ მომენტში ის დაემორჩილებინა. ვარაზოს მეორე შვილის დაღუპვის შესახებ ისტორიკოსი ხატოვნად აღნიშნავს, რომ იგი ტაჭიკებმა პირდაპირ დედის მკლავებში მოკლესო. აღნიშნული ეპიზოდი არაბთა ლაშქრობას უკავშირდება, თუმცა დაზუსტებული არ არის თუ როდის მოხდა თავდასხმა. ჩვენი აზრით, არაბთა სამხედრო კამპანიას ვარაზმანიანთა სამფლობელოში ადგილი უნდა ჰქონდა 737 წელს, როდესაც, მათ ვარაზმანიანთა სამფლობელო გაიარეს და გზაზე ქალაქი ქასალი ააგეს.<sup>34</sup> ბუნებრივია, ახალშენში დასახლებული მოსახლეობა არაბული იყო, ხოლო მათი დოვლათით, მიწითა და რესურსებით უზრუნველყოფა ადგილობრივთა ხარჯზე ხდებოდა. ვარაზმანიანთა სახლის წინააღმდეგობას შედეგად მოჰყვა ვარაზოს შვილის მკვლელობა, რაც, ღოგიკური იქნება ამავე პერიოდით დათარიღდეს.

737 წლის მოვლენების შემდეგ დიდი ხანი აღარც ვარაზოს უნდა ეცოცხლა. მოვსეს კალანკატუაცის თვალსაზრისით, სისხლის აღრევის გამო ვარაზოს სახლი ღვთის განგებით დაიღუპა (Mov. Kal. III, 34). ვარაზო უკვე ცოცხალი არ იყო მიპრის და არჩილის დასავლეთ საქართველოში გაქცევის დროს, რომელიც 739 წელს ხდება სტეფანოზ მესამის გარდაცვალების ახლო ხანებში. ამ პერიოდში ვარაზმანიანთა სახლის მეთაური ვარაზმან მეორე გახლდათ. ის მალე მიპრის ასულზე დაქორწინდება. ჯუანშერ ჯუანშერიანი მას ერისთავის სახელოთი მოიხსენიებს. აშკარაა, რომ სახლის მეთაური უკვე ვარაზმან მეორეა. ამგვარად, ვარაზოს სიკვდილი შვილის მკვლელობის ახლო ხანებით უნდა განისაზღვროს, შესაძლოა, იმავე წლითაც. არაა გამორიცხული ორივე მათგანი არაბთა ხელით აღსრულებულიყო.

<sup>34</sup> Istorî halifov vardapeta Gevonda, pisatelâ VIII veka. Per. K. Patkan'ân. Sankt-Peterburg. 1862, pp. 80-81 (История халифов вардапета Гевонда, писателя VIII века. Пер. К. Патканян. Санкт-Петербург. 1862, гл. 80-81); Baladzori. Kniga zavoevaniâ stran. Per. P.K. Žuze. Baku. 1927, p. 18 (Баладзори. Книга завоевания стран. Пер. П.К. Жузе. Баку. 1927, гл. 18); V. Minorsky. Transcaucasica. Journal Asiatique. T. CCXVII. Paris. Juil.-Sept. 1930, pp. 73-74; D. Musxelišvili. Sak'art'velos istoriuli geograp'ii jirit'adi sakit'xebi. II, pp. 28-29 (დ. მუხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II, гл. 28-29).

ვარაზოს დაღუპვის შემდეგ მისი ქვრივი ვარდანუკი ქრისტიანობის განმტკიცებისთვის ბევრს ზრუნავდა. დედოფალი აგებდა ეკლესიებს, ეხმარებოდა გაჭირვებულებს, იფარებდა ქრივებს და დავდრომილებს. ვარდანუკის ღვთისმოსაობა შეუმჩნეველი არც ალვანეთის და სომხეთის მონფიზიტურ ეკლესიაში დარჩენილა. ალვანთა კათალიკოსი სოლომონის დროს სომხეთის პატრიარქი ესაია I ელიპატრუშეცი (775-788) თავის ეპისკოპოსებთან ერთად ალვანეთს ეწვია. მოვსესის ცნობით, ვარდანუკი მას მიეახლა, დალოცვა და წყევლის მოხსნა სოხოვა, რაც მას და თავის ოჯახს მიქაელ შაქელის და ალვანთა მონოფიზიტური ეკლესიის ნებით დაედო. აღნიშნულ საკითხზე სომხეთის პატრიარქი ალვანთა კათალიკოსს სოლომონს მოეთათბირა, მათი ერთობლივი გადაწყვეტილებით, ვარდანუკს და ვარაზმანიანთა ოჯახს ანათება და წყევლა მოხსნეს (Mov. Kal. III, 20).

სოლომონის სახელს ალვანთა ორი კათალიკოსი ატარებდა, სოლომონ I (781) და სოლომონ II (785-796), ორივე სომხეთის კათალიკოსის/პატრიარქის ესაია ელიპატრუშეცის დროს მოღვაწეობდნენ, ანუ მერვე საუკუნის ოთხმოციან წლებში. მაგრამ შეიძლება ამ თარიღის კიდევ უფრო მეტად დაზუსტება. მოვსეს კალანკატუაცის მიხედვით, სომხეთის კათალიკოსი ესაია ელიპატრუშეცი სომხეთის ეპისკოპოსთა თანმხლებით ბარდავში ჩავიდა, რათა ქალაქში მისული მუსლიმი მმართველის რისხვისგან ქვეყანა გადაერჩინა (Mov. Kal. III, 20). მისი ცნობების მიხედვით ვარკვევთ, რომ უცნობი მუსლიმი მოხელე ბარდავში იყო მისული, თავის რეზიდენციაში, ხოლო ქალაქში მისვლამდე სასტიკად ავიწროვებდა სომხეთის მოსახლეობას. ისტორიკოსი ესაია კათალიკოსს ქვეყნის გადარჩენის მისიას აკისრებს. ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება ზუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმის შემოსვლა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც თავდაპირველად დვინში მივიდა და სომები ნახარარები დაატყვევა,<sup>35</sup> შემდეგ ბარდავში, ხოლო აქედან თბილისში მოვიდა 785 წლის დეკემბერის თვეში. ზუზაიმა სამხრეთ კავკასიის ანუ არმენიის ამირას თანამდებობაზე ამავე წლის სექტემბერს დაინიშნა, რაც სომები კათალიკოსის ვიზიტს ბარდავსა და, ზოგადად, ალვანეთში ამავე წლის შემოდგომის სეზონით ათარიღებს.<sup>36</sup> საინტერესოა ისიც, რომ ამავე წელს ალვანეთის კათალიკოსი გახ-

<sup>35</sup> Istorîâ halifov vardapeta Gevonda, pisatelâ VIII veka. Per. K. Patkan'ân, pp. 112-113 (История халифов вардапета Гевонда, писателя VIII века. Пер. К. Патканьян, гл. 112-113).

<sup>36</sup> ზუზაიმის მოღვაწეობის ქრისტიანობის დეტალებში გვაქს განხილული ჩვენს მონოგრაფიაში, რომელიც მერვე საუკუნის საქართველოს ისტორიას ეხება, თუმცა ჯერ დასრულებული არ არის. ზუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმის 786 წელს საქართველოში ყოფნა, თავის დროზე, მარ-

და სოლომონ II (785-796), რომელმაც, როგორც ჩანს, სომხეთის კათალიკოსის ხელდასმა ამავე პერიოდში მიიღო, ხოლო ერთმანეთთან შეთანხმებით, ესაიას და სოლომონ მეორის ლოცვა-კურთხვით დედოფალ ვარდანუპს წყველა ახსნეს, ცოდვები მიუტევეს და მისი სული მწუხარებისგან იხსნეს. სოლომონ მეორემ ამ საკითხის განსახილველად აღვანთა ეპისკოპოსები მოიწვია, სადაც ძველი კრების გადაწყვეტილება გააუქმა, ხოლო ანაოემა და წყველა მოხსნა (Mov. Kal. III, 20).

სოლომონ მეორის მოწვეულ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც სომხეთის კათალიკოსმაც მიიღო და მოიწონა, ადასტურებს იმას, რომ გარდმანის დედოფალი კვლავ დაუბრუნდა მონოფიზიტური ეკლესიის წიაღს. დედოფლის მიერ სომხეთის კათალიკოსის მოპატიუქბა, კათალიკოსის სასახლეში სტუმრობა, დედოფლის სახელზე აღვლენილი ლოცვა და ესიას შუამავლობით სოლომონ მეორის კრების გადაწყვეტილება ნათლად ადასურებს, რომ ვარდანუპი, რომელიც თავის ბიძაშვილზე გათხოვდა, კვლავ დააბრუნეს აღვანეთის მონოფიზიტური ეკლესიის წევრად.

785 წლის მიწურულს, როდესაც კრება შედგა, გარდმანის სამთავროს ვარდანუპის შვილიშვილი, ვარაზ-თრდატი, მართავდა. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, როდესაც ვარდანუპს წყევლა ახსნეს იმ პერიოდში გარდმანის მთავარი ვარაზ-თრდატ ვარაზმანის ძე გახლდათ, რომელსაც, მემატიანეს ოქმით, ღმერთმა სიცოცხლე უბობა, ანუ ხანგძლივი ცხოვრებით დაასაჩუქრა (Mov. Kal. III, 20). როგორც ჩანს, ამ დროისთვის ვარაზ-თრდატის მამა, ვარაზმანი უკვე ვარდაცვლილი იყო, ხოლო ვარდმანის სამთავროს ვარაზოს და ვარდანუპის შვილიშვილი იგივე ვარაზ-თრდატი მართავდა. ვარდანუპი ამის შემდეგ, სავარაუდოდ, მალევე ვარდაიცვალა, ვინაიდან 785 წელს ის უკვე საკმაოდ მოხუცი უნდა ყოფილიყო. რამდენად დიდი გავლენა მოახდინა ვარდანუპის დაბრუნებამ მონოფიზიტური ეკლესიის წიაღში გარდმანის სამთავროს პილიტიკაზე ჩვენ ზუსტად არ ვიცით. ვარდაბნის წანართა ვაერთიანებაში შესვლა, ძველი წყევლის ახსნა, ვარაზმანის მემკვიდრეთა დაახლოება აღვანეთის და სომხეთის საეკლესიო წრეებთან, თითქოს, იმისი მანიშნებელია, რომ ისინი კვლავ მონოფიზიტური ეკლესიის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ.

ამგვარად, ჩვენი აზრით, ვარაზმანიანთა სახლი 706-785 წლებში დო-

თემულად შენიშნა მარი ბროსემ. იხ.: M. Brose. sak'art'velos istoria. I. T'arg. S. გიგიბერიემ, gamosc'a N. გიგიბერიემ. Tbilisi. 1895, p. 117 (ბ. ბროსე. საქართველოს ისტორია. I. თარგ. ს. ღოღობერიძემ, გამოსცა ნ. ღოღობერიძემ. ტფილისი. 1895, გვ. 117).

ფიზიტური აღმსარებლობის იყო, ხოლო მონოფიზიტობას მხოლოდ VIII საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში უბრუნდება. საინტერესოა რა ხდებოდა ამ პერიოდში, როდესაც ვარაზმანიანთა სახლი დიოფიზიტური იყო და, ამავე დროს, ქართლის ეკლესიისა და სახელმწიფოს წიაღში მოიაზრებოდა.

### ვარაზმან მეორე

ვარაზოს ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ ვარაზმანიანთა სახლის მმართველი, სავარაუდოდ, მისი კიდევ ერთი შვილი ვარაზმან ვარაზმანიანი გახდა. ვარაზმანს პატრონიმის გარეშე იხსენიებს მოგვეს კალანკატუაცი. მოვსესის ცნობით, გარდმანის მთავარი ვარაზ-თრდატ ვარაზმანის ძე, ღმერთმა ხანგძლივი ცხოვრებით დააჯილდოვა (Mov. Kal. III, 20). ისტორიკოსი არაფერს წერს ვარაზ-თრდატის მამის, ვარაზმანის, ვინაობის შესახებ და არც მის მოღვაწეობაზე ამახვილებს ყურადღებას.

ვარაზმანი, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ვარაზოს მომდევნო თაობის წარმომადგენელია. დიდი ალბათობით, ვარაზმანი ვარაზოს ერთ-ერთი შვილი და მემკვიდრე გახლდათ. მისი მოხსენიება ვარდანუპის ისტორიის აღწერის შემდეგ ხდება. ვარაზოს და ვარდანუპის ქორწილი იყო საბაბი, რის გამოც ალვანეოს კათალიკოსმა ვარაზმანიანთა სახლი ანათემას გადასცა და შეაჩვენა. ეკლესიიდან განკვეთის კიდევ უფრო საფუძვლიანი მიზეზი ვარაზოს ოჯახის დიოფიზიტობა იყო. ვარაზმანი ბიძაშვილთა ფიზიტური კავშირის ნაყოფი უნდა ყოფილიყო. მონოფიზიტთა აზრით, ვარაზოს და ვარდანუპის ქორწინება უკანონო იყო. ალვანთა კათალიკოსის ბრძანებით, რომელიც საეკლესიო კრებაზე გამოიცა, შეუღლება არაკანონიერად გამოცხადდა, ხოლო მეუღლები შეაჩვენეს. ბუნებრივია, ვარაზოს და ვარდანუპის შვილები, ასევე, უკანონო შერაცხეს. ვარაზმანის მოღვაწეობის იგნორირება ამითაც შეიძლება აიხსნას. ალვანთის ეკლესია მის მემკვიდრეობას ეჭვის ქვეშ აყენებდა, რასაც იზიარებდა სომხეთის ეკლესია და ალვანეთის მმართველი ელიტა.

ალვანეთის ზედაფენის დიდი ნაწილი მონოფიზიტი სომხების და მუსლიმი არაბების გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული, შესაბამისად, ვარაზმანის იგნორირება გასაკვირი არ უნდა იყოს. ვარაზმანი აგრძელებდა მამის პოლიტიკას, რაც ქართველთა ერისმთავრის სახლთან კავშირში გამოიხატებოდა. ის ქართლის ერისთავთა მსგავსად არჩილის უზენაესობას აღიარებს და ყოფილი ხუნანის ერისთავის თანამდებობას მიიღებს, ასევე, ზემოხსენებულ ტერიტორიაზე მდებარე მამულებს სამემკვიდრეოდ დაიმტკიცებს. ჯუანშერის მიხედვით, ვარაზმანის სამფლობელო მდინარე კოტმანსა და ქურდის ქვეს შო-

რის მდებარეობდა, რომელიც მას არჩილ მეფემ დაუმტკიცა. აღნიშნული ტერიტორია ყოფილი ხუნანის საერისთავო გახლდათ, რომელიც ქართლის მეფის ოურისდიქცია იყო. ქართლის მეფის შთამომავლები, ბუნებრივია, პრეტეზიას აცხადებდნენ ყველა იმ ტერიტორიულ ერთეულზე, რაც მათ წინაპრებს ეკუთვნოდათ. მათ შორის აუცილებლად იქნებოდა ხუნანის საერისთავო.

ხუნანის საერისთავოს ცენტრი მტკერისციხე გახლდათ, რომელსაც, მოგვიანებით, სახელი შეეცვალა და ხუნანი ეწოდა. აღნიშნული საერისთავო გარდაბნოსის სამკვიდრო ტერიტორიად ითვლებოდა,<sup>37</sup> რაც ამ მიწაზე გარდაბნელთა ანუ გარდმანელთა ტრადიციული უფლების აღიარებაა.

ჯუანშერის ცნობით, არჩილი გადასცემს იმ მიწას, რაც ტრადიციით ქართლის მეფის სამფლობელო იყო გარდაბნელთა სამკვიდროში, ხოლო რეალურად ხდება არსებულის დამტკიცება – ვარაზმანი მემკვიდრეობით ფლობდა თავის სამფლობელოს, კოტმანსა და ქურდის ჭევს შორის არსებულ მიწებს და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტსაც, რაც არჩილის ბრძანებით მას დაუმტკიცეს. ვარაზმანი, ქართლის საერო და სასულიერო ხელისუფალთა აზრით, ვარაზოს და ვარდანუჟის კანონიერი შვილი იყო.

ქართლის კათალიკოსი თალილე გახლდათ ის საეკლესიო მოღვაწე, რომელმაც მათი ქორწილი აკურთხა, ხოლო ვარაზმანი, ქართველთა აზრით, კანონიერი ვაჟიშვილი იყო. ის ქართული ეკლესიის წიაღში მოიაზრებოდა. საქართველოში, ქართული ეკლესიის წიაღში, ახლო ნათესავთა ქორწილი, დადასტურებულია ჯუანშერის თხზულებაშიც. ისტორიკოსის ცნობით, მიპრის ერთ-ერთი ასული ცოლად შეირთო გუარაბ კურაპალატის ძემ, რომელიც მიპრისა და არჩილის მამისძმისწული ანუ ბიძაშვილი იყო.<sup>38</sup> ამგვარად, მოვსეს კალანკატუაცი მონაცემი ქართლის უმაღლეს არისტოკრატიაში გავრცელებული სისხლის აღრევის შესახებ, რასაც ადგილობრივი ეკლესიის კურთხევა პქონდა, დადასტურებას პპოვებს ჯუანშერის თხზულებაშიც.

<sup>37</sup> Leonti Mroveli. Gamomc'. S. Qauxč'išvili. K'art'lis c'xovreba. I. Tbilisi. 1955, gv. 8 (ლეონტი მროველი. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955, გვ. 8); Leonti Mroveli. Tek'sti gamomc'. Z. Sarjvelajem, M. K'avt'ariam da El. C'agarecišvima. K'art'lis c'xovreba. Mt'. Red. R. Metreveli. T'bilisi. 2008, p. 29 (ლეონტი მროველი. ტექსტი გამომც. ზ. სარჯველაძემ. მ. ქავთარიამ და ელ. ცაგარეიშვილმა. ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 29).

<sup>38</sup> Juanšeri. gamomc'. S. Qauxč'išvili, pp. 241-242 (ჯუანშერი. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 241-242); Juanšeri. Gamomc'. Z. Sarjvelaje da S. Sarjvelaje, pp. 241-242 (ჯუანშერი. გამომც. ზ. სარჯველაძე და ს. სარჯველაძე, გვ. 241-242). ამავე თხზულებაში მემატიანე წერს ვარაზმანის ვინობის, სამფლობელოსა და ქორწილის შესახებ, ასევე, მიპრის სხვა ქალიშვილთა გათხოვების შესახებ ქართლის ერითავთა წევრებზე.

თაღილე მონოფიზიტური აღვანეთის საეკლესიო კრებამ აღნიშნული ქორწილის კურთხევის გამო შეაჩვნა (Mov. Kal. III, 13, 24). სხვა მიზეზი, რისოვისაც თაღილე აღვანთა საკრებულომ ანათემს გადასცა, გარაზმანიანთა სახლის ქართული ეკლესის წიაღში მიღება უნდა ყოფილიყო, რასაც ისინი მათი საეკლესიო საზღვრების შეღაწვად აფასებდნენ. ქართული ეკლესია, ბუნებრივია, განსხვავებულ პოზიციაზე იდგა, ისინი აღვანეთის მონოფიზიტური ეკლესის გადაწყვეტილებებს არ აღიარებდნენ და თავისი წესების თანახმად მოქმედებდნენ, რაშიც მათ გვერდში ედგა ქართლის უმაღლესი საერო ხელი-სუფლება.

გარდმანის ანუ გარდაბნის ქართული ეკლესის წიაღში შემოსვლით, მათი მთავრების მიერ ერისთავობის მიღებითა და ქართლის მეფე-მთავართა უზენაესობის აღიარებით, არამხოლოდ ხუნანის საეროსთავო, არამედ მთელი გარაზმანიანთა სამფლობელო ქართულ ტერიტორიად აღიქმებოდა, ხოლო მათი მმართველი ოჯახი ქართლის არისტოკრატიის სრულფასოვან წევრი ხდებოდა.

გარაზმანი ცოლად შეირთავს არჩილის ძმისწულს, რითიც მისი კავშირი საქართველოს მმართველ ფარნავაზიანთა დინასტიის წევრებთან განმტკიცდება. ჩვენი აზით, ვარაზმანის და მიპრის ქალიშვილის ქორწილის შედეგად დაიბადა ვარაზ-თრდატი, რომელსაც, მოვსეს კალანკატუაცის სიტყვებით, „ღმერთმა სიცოცხლე უბოძა“ (Mov. Kal. III, 20). ჯუანშერის ცნობას თუ ვენდობით, აღნიშული ქორწილი შედგა 740 წელს არაბთა ანაკოფიის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ. ამის გათვალისწინებით, ვარაზმანის და მიპრის ასულის ვაჟიშვილი, ვარაზ-თრდატი, 741 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაბადებული. ჯუანშერის მიხედვით, ვარაზმანი და ქართლის დანარჩენი ერისთავები უბრუნდებიან თავიათ სამფლობელოებს და ხალიფას ხარკის გადახდის პირობით ემორჩილებიან.<sup>39</sup> ამგვარად, ვარაზმანი ფორმალურად არჩილის მეფობას აღიარებს, თუმცა რეალურად იძულებულია ხალიფას დაემორჩილოს და ხარკი გადაუხადოს.

ვარაზმან მეორის მოღვაწეობის სხვა დეტალები შემორჩენილი არ არის. მისი დაბადება უნდა განისაზღვროს 710-იან წლებში ან მის ახლო ხანებში, ხოლო გარდაცვალება, როგორც ზემოთ ვიხილეთ, 785 წელზე ადრეული პერიოდით. ვარაზმანის მოღვაწეობის ქრონოლოგიის მეტი დაზუსტება არ ხერხდება. მისი მმართველობის პერიოდში დიდი გავლენა უნდა პქონოდა

<sup>39</sup> Juanšeri. gamomc'. S. Qauxč'išvili, pp. 242, 244 (ჯუანშერი. გამომც. ს. ყაუხჩიშვილი, გვ. 242, 244); juanšeri. Gamomc'. Z. Sarjvelaje da S. Sarjvelaje, pp. 242, 244 (ჯუანშერი. გამომც. ზ. სარჯველაძე და ს. სარჯველაძე, გვ. 242, 244).

თავის დედას, ვარდანუპს, რომელიც ვარაზმანიანთა სახლის სრულუფლებიანი წევრი იყო, ეკლესია-მონასტრებს აშენებდა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ვარაზმანის პერიოდში გარდაბან-გარდმანის სამთავრო ქართულ წიაღში მოიაზრებოდა, მაგრამ ამავე პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა არაბთა ექსპანსია და დაიწყო დიდი დაპირისპირება ქართველ მთავართა შორის, რაშიც აქტიურად ჩაერთო ვარაზმანიანთა სახლიც.

### ვარაზ-თრდატი

გარდაბან-გარდმანის სამთავროს რიგით მომდევნო მმართველია ვარაზ-თრდატი. მოვსეს კალანგატუაცის თხზულებაში, ვარაზ-თრდატ ვარაზმანის ძე შედარებულია საკუთარ შვილ სტეფანოზს, რომელიც, მემატიანეს სიტყვებით, თავისი ცხოვრების შუადღეს გარდაიცვალა (Mov. Kal. III, 20), რაც შუაზნის ასაკში სიკვდილს გულისხმობს.<sup>40</sup> ისტორიკოსი ამით ხაზს უსვამს, რომ თავისი მამისებრ განსხვავებით, სტეფანზი შუაზნის ასაკში მოკვდა.

აღნიშნული ცნობის მიხედვით, ცხადია, ვარაზ-თრდატი მოხუცებულ ასაკში გარდაცვლილა. ის სიკვდილის ჟამს სამოცი წლის ან მეტის უნდა ყოფილიყო, რაც, სიცოცხლის ხანგძლივობის უარყოფითი ტენდენციის გათვალისწინებით, ვარაზმანიანთა ოჯახის წევრთა შორის არცთუ ისე ხშირი მოვლენა იყო. მამაკაცები ადრეულ ასაკში ხშირად იღუპებოდნენ, რასაც ბევრი ალვანთა კათალიკოსის და საეკლესიო კრების წყევლას მიაწერდა. ვარაზმანიანთა სახლის უბედობა იმაში მდგომარეობდა, რომ მათი სამფლობელო სტრატეგიული თვალსაზრისით არახელსაყრელ ადგილზე მდებარეობდა, რის გამოც ის ხშირი თავდასხმისა და შევიწროების ობიექტი იყო. ვარაზ-თრდატი გამონაკლისი გახდა. მან მტრის საფრთხეც აირიდა და თავისი სიცოცხლე დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნა.

ვარაზ-თრდატი VIII საუკუნის მეორე და უკანასკნელი მესამედის მოღვაწე ჩანს. მისი დაბადება 740 წლის შემდეგ არის სავარაუდებელი. ვარაზმანის და მიკრის ქალიშვილის ქორწილი, თუ ის მარვან იბნ მუჰამადის დამარცხების მერე შედგა, ამავე წლით უნდა განისაზღვროს, ხოლო ვარაზ-თრდატის დაბადების თარიღი 741 წელი, ან VIII საუკუნის ორმოციანი წლების

<sup>40</sup> „შუადღის პერიოდში გარდაცვალება“ უფრო ახალგაზრდა დაახლ. 30 წლის ასაკს უნდა გულისხმობდეს, შესაძლოა ზუსტად 35 წელსაც, რომელიც, იმ პერიოდში პოპულარული სამედიცინო სახელმძღვანელოთა მიხევვოთ, შეს ხნის ასაკობრივი ზღვარი იყო. ამსთან, სტეფანზის გარდაცვალება მამის გარდაცვალების ცნობას მოსდევს, ანუ ჯერ ვარაზ-თრდატი მიიცვალა, ჩვენი აზრით, IX საუკუნის დასაწყისში, ხოლო შემდეგ, მამის გარდაცვალების ახლო ხანებში, სტეფანზი.

დასაწყისი გამოდის. მოვსეს კალანკატუაცის ქრონლოგის გათვალისწინებით, ვარაზ-თრდატი IX საუკუნის დასაწყისში უნდა გარდაცვლილიყო, ხოლო მთავრის ტახტი VIII საუკუნის ბოლო მესამედში და IX საუკუნის დასაწყისში ეკავა. მისი მმართველობის დროს ვარაზმანიანთა სახლი წელ-წელა მონოფიზიტობას უბრუნდება, გარდაპნის მხარეს კარგავს და კახეთის საქორეპისკოპოსოს უპირისპირდება. ამ უკანასკნელზე შედარებით უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

### სტეფანოზი

სტეფანოზ ვარაზმანიანი, მამის სიკვდილის შემდეგ, მომდევნო მთავარი ხდება. ისტორიკოსი სტეფანოზის შესახებ ვარაზ-თრდატის გარდაცვალების აღნიშვნის შემდეგ მოგვითხრობს, რაც მისი მოღვაწეობის დასასრულის შესახებ გარკვეულ მინიშნებას გვაძლევს. სტეფანოზი მოკვდა მამის გარდაცვალების შემდეგ, სავარაუდოდ, მცირე დროში. ამასთან შეუ ხნის ასაკში. ზემოთ ქმულის გათვალისწინებით, სტეფანოზის დაბადება მიახლოებით მერვე საუკუნის სამოცდაათიანი წლებით უნდა დათარიღდეს, ხოლო გარდაცვალება მომდევნო საუკუნის დასაწყისით. ამგვარად, სტეფანოზ ვარაზმანიანის ზეობა მხოლოდ მცირე ხანი უნდა გაგრძელებულიყო. სტეფანოზის შემდეგ მთავრობა ჩაიბარა შეუთანა ძმამ, ვარაზმან III ვარაზ-თრდატის ძემ.

### ვარაზმან მესამე

ვარაზმან მესამე თავისი უფროსი ძმის მსგავსად დაახლოებით VIII საუკუნის 70-იან წლებში უნდა დაბადებულიყო. მან, როგორც ეს მოვსეს კალანკატუაცის ცნობებით ჩანს, უფრო დიდი ხანი იცოცხლა, ვიდრე მისმა უფროსმა ძმამ. ვარაზმან მესამის გარდაცვალების ზუსტი თარიღი ცნობილი არაა, მაგრამ, დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მოხდა 821-822 წლებამდე. ვარაზმანი დაღუპვის დეტალების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას მოვსეს კალანკატუაცი გვაძლევს. ისტორიკოსის ცნობით, გარდმანის მთავარი მდინარე მტკვარში დაიხრჩო. მდინარეზე გადასვლის დროს ის დაცურდა, მტკვარში ჩავარდა და თავისი განსასვენებელი სამხრეთ კავკასიის მთავარ მდინარეში ჰპოვა. გარდაცვალების თარიღი ძალიან პირობითია, სავარაუდოდ, IX საუკუნის ათიანი წლები, ხოლო უფრო ზუსტად ამავე საუკუნის პირველი მეოთხედი. ვარაზმანის მემკვიდრეობა მისმა ძმამ, ჯუანშერიკმა მიიღო, რომელიც, მოვსესის განცხადებით, სომხური წელთაღრიცხვის 270 წლის ახლო ხანებში (5/V/821-4/V/822) მების მემკვიდრეობის მფლობელია.

### ჯუანშერიკი

ჯუანშერიკი ვარაზ-თრდატის უმცროსი ძე გახლდათ. მან თავისი მამის მემკვიდრეობა ორივე ძმის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. ზუსტად ცნობილი არაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯუანშერიკი მამისეულ მიწებს თავისი ძმების, სტეფანზის და ვარაზმანის, მემკვიდრეოთა მცირეწლოვნობის ან მათი არ-სებობის გამო დაუუფლა. სტეფანზი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, ხოლო ვარაზმან მესამეს, სავარაუდოდ, სრულწლოვანი ვაჟიშვილი არ ჰყოლია. ჯუანშერიკი მერვე საუკუნის ბოლო მესამედსა და მეცხრე საუკუნის პირველი ნახევარში ცხოვრობდა. მეტი გარემოებების გარკვევა არ ხერხდება.

### ნერსეჲ კრტიჩი

ჯუანშერიკის შემდეგ გარდმანის მთავარი ნერსეჲი ჩანს. თომა არწრუნის ცნობით, ნერსეჲი გარითამანის იშხანი იყო. „გარითამანი“, როგორც მკვლევარები თვლიან, გარდმანის შერყვნილი ფორმა.<sup>41</sup> ნერსეჲის წარმომაზლობაზე არაფერია ცნობილი, ვიცით მხოლოდ მისი გარდმანში იშხნობის/მთავრობის შესახებ ბუღა თურქის ლაშქრობის პერიოდში. აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით სომქთა კათალიკოსი იოანე დრასხანაკერტცი ახსენებს გარდმანის იშხანს, რომელსაც კრტიჩს, ანუ მამაცს, უწოდებდნენ.<sup>42</sup> ორივე ავტორის ცნობით, გარდმანის მთავარი 854 წელს ბუღა თურქის ტყვე აღმოჩნდა. ამდენად, საფუძვლიანია ვარაუდი, რომ „კრტიჩი“ ნერსეჲის ზედმეტსახელია. ბუღა თურქის ბრძანებით, ნერსეჲი აღვანეთის სხვა მთავრების გვერდით მესოპოტამიაში გაგზავნეს დატყვევებული, ხოლო მათი სამფლობელოები ხალიფატს დაუმორჩილა. რა ბედი ეწია ნერსეჲს არ ვიცით.

ნერსეჲის წარმომავლობაზე მხოლოდ მისი საკუთარი სახელის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მიპრანიანთა დინასტიის წევრთა შორის სახელი „ნერსეჲი“ VIII-IX საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებულია (Mov. Kal. III, 20, 23), რაც იმაზე მოუთითებს, რომ ნერსეჲ კრტიჩი ვარაზმანიანთა ერთერთი უკანასკნელი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რომელიც გარდმანის

<sup>41</sup> El. C'agareišvili. Sak'art'velo VII-X saukuneebis somxur saistorio cqaroebši. Tbilisi. 2012, p. 160 (ელ. ცაგარეშვილი. საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ სასტორიო წყაროებში. თბ. 2012, გვ. 160); Tovma Arçruni. Istorîa doma Arçruni. Per. s drevnearm., vstup. stat'â i kommentarij M. O. Darbinân-Melikân. Erevan. 2001, pp. 223, 432 (Товма Арцруни. История дома Арцруни. Пер. с древнеарм., вступ. статья и комментарий М. О. Дарбинян-Меликян. Ереван. 2001, გვ. 223, 432).

<sup>42</sup> Ovanes Drashanakertci. Istorîa Armenii. Per. s drevnearmânskogo M. O. Darbinân-Melikân. Erevan. 1984, pp. 111-112 (Ованес Драсханакертци. История Армении. Пер. с древнеармянского М. О. Дарбинян-Меликян. Ереван. 1984, გვ. 111-112).

ლერი თავაძე. მიპრანიანთა დინასტიის განშტოება –  
გარაზმანიანთა სახლი და საქართველო

---

სამთავროს მართავდა.

ვარაზმანიანთა განშტოება, მიპრანიანთა მთავარი ხაზი მსგავსად, ალვა-ნეფში ხელისუფლებას დაკარგავს. მიპრანიანი მთავრები 822 წელს ქვეყნის მმართველობას ძალადობრივი გზით ჩამოაშორეს. ისინი შინაპოლიტიკურ და-პირისაპირებას შეეწირნენ (Mov. Kal. III, 23).<sup>43</sup> ვარაზმანიანებს, ძირითადი შტოსგან განსხვავებით, ცოტა მეტი წნით უნდა შეენარჩუნებინათ თავიანთი პოზიციები. ვარაზმანიანთა სახლმა IX-X საუკუნეება მიჯნაზე სამთავრო და-ნამდვილებით დაკარგა, ვინაიდან ამ პერიოდში მას უკვე საჰაკ სევადა მარ-თავს, რომელიც ალვანეთის ახალი მმართველი დინასტიის – არანშაპიკთა წარმომადგენელი გახლდათ (Mov. Kal. III, 23).

\* \* \*

ვარაზ-თრდატის და მისი შვილების მოღვაწეობის პერიოდში გარდაბა-ნი, იგივე ქველი ხუნანის საერისთავო, ვარაზმანიანთა სახლმა დაკარგა. მათ კონტროლი მხოლოდ გარდმანზე შეინარჩუნეს, რაც გარდანის ალვანური ნა-წილი გახლდათ. ამის შემდეგ ქართული ნაწილი, როგორც წესი, იწოდება როგორც გარდაბანი, ხოლო ალვანური – გარდმანი. მათი ერთობის პერიოდ-ში სხვა ტოპონიმებზე უფრო ავთენტური ფორმა, „გარბანი“, უნდა ყოფილი-ყო გამოყენებაში.

თავდაპირველად, VII საუკუნეში მათი მფლობელობა ხუნანის საერის-თავოში ქართველთა წარმოდგენით არალეგიტიმური და მიმტაცებლური ხასი-ათის იყო, მაგრამ არჩილის დროს და, შესაძლოა, უკვე არშუშას და ვარაზ-ბაგურის პერიოდშიც, VIII საუკუნის დასაწყისში, ისინი ამ ლეგიტიმაციას მოიპოვებენ. ხუნანში ისინი მოხელე ერისთავის ფუნქციის მქონენი იყვნენ, რაც, ამავე დროს, მემკვიდრეობითი გახლდათ.

ქართლის მეფე-მთავრებს აწყობდათ ძლიერი ვასალები, რომლებიც სამ-ხრეთით ქვეყნის საზღვრებს გაამაგრებდნენ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათ ინტერესებს დაიცავდნენ. ბუნებრივია, მიპრანიანთა დინასტიის ვარაზმანი-ათა განშტოება ქართლის მეფე-მთავართა პოლიტიკაში სწორედ ასეთ როლს თამაშობდა. ამგვარი ვითარება იყო არშუშას, ვარაზ-ბაგურის, სტეფანოზ მე-სამის და მიპრის ერისმთავრობის ხანაში. არჩილის მეფობის დროს საქარ-თველოში სიტუაცია შეიცვალა.

<sup>43</sup> მოვსეს კალანკატუაცის მიხედით, მიპრანიან მთავართა მეცნიელობა სომხური წელთაღრიც-ხვის 270 წელს (5/5/821-4/5/822) ხდება. იხ.: The History of the Caucasian Albanians by Movses Dasxuranci. Transl. by C. J. F. Dowsett, pp. 213-214; V. Minorsky. Caucasica IV. Bulletin of the School of Oriental and African Studies. XV. 3. 1953, pp. 508-509.

არჩილი ვარაზმანიანთა სახლს დაუმოყვარდა, საერისთავო მემკვიდრობით დაუმტკიცა, ხალიფატისთვის ხარკის გადახდის წება დართო და სამეფო ოჯახში მათი აქტიური ინტეგრაცია გადაწყვიტა. მეფის მხიდან ეს გარემოული დაომობა იყო, მაგრამ სხვაგვარი მოქმედების საშუალება მას არ ჰქონდა. კომპრომისი ერისთავთა წინაშე აუცილებელი იყო. ის იმითაც იყო განპირობებული, რომ ერისთავთა დიდი ნაწილი არჩილის კურთხევამდე უკვე დაბაკვიდრებული იყნენ თავიანთ სამფლობელოებში.

არჩილი ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა, მისი პოლიტიკა მარცხით დასრულდა, ხოლო საქართველოს ეფემერული ერთობა დაიშალა. იოვანე და ჯუაშერი არჩილის მსგავსი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. ჯუაშერის ხაზარეთში ტყველიამ, ქვეყნაში სიტუაცია უკიდურესად დაძაბა. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, საქართველოში სტეფანიშის სახლის გავლენა შეცირდა, ხალიფატის ექსპანსია გაძლიერდა, ხოლო მთავართა რაოდენობის გაზრდამ ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში შინაომები წარმოშვა, რამაც საქართველოში შინაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად გაამწვავა.<sup>44</sup> გამწვავებული პოლიტიკური ვითარება VIII საუკუნის მეორე ნახევარში გამოკვეთილი იყო. ანარქია თითქმის მთელი სამხრეთ კავკასიის მასშტაბით სახეზეა.

გარდაბანში, როგორც ჩანს, ძლიერი ძალა იყო საჭირო, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მუსლიმთა მომძლავრებისგან დაიცავდა. ასეთი ძალა VIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში წანარები აღმოჩნდნენ. ამავე საუკუნის მიწურულს ვარაზმან მეორის მემკვიდრის, ვარაზ-ორდატის, დროს გარდაბანი გარდაბანის სამთავროს ჩამოშორდა და კახეთის საქორეპისკოპოსოში გაერთიანდა. ვარაზმანიანთა მიერ გარდაბნის, ანუ ყოფილი ხუნანის საერისთავოს, დაკარგვაში მთავარი როლი, წანარებმა შეასრულეს. გრიგოლის მეთაურობით ჯუაშერის გარდაცვალების (787 წ.) შემდეგ მათ საქორეპისკოპოსო ჩამოაყალიბეს, რომელშიც წანარეთის და კახეთის გარდა გარდაბანიც გაერთიანდა.<sup>45</sup>

<sup>44</sup> Matiane k'art'lisa. Gamomc'. S. Qauxč'išvili. K'art'lis c'xovreba. I. Tbilisi. 1955, p. 250 (მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ფაუქჩიშვილი. ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955, გვ. 250); Matiane k'art'lisay. Gamomc'. M. Lort'k'ip'anije. K'art'lis c'xovreba. Tbilisi. 2008, p. 254 (მატიანე ქართლისა. გამომც. მ. ლორთქიფანიე. ქართლის ცხოვრება. თბ. 2008, გვ. 254); Batonišvili Vaxušti. Aćcera samep'osa sak'art'velosa. Gamomc'. S. Qauxč'išvili. Tbilisi. 1973, pp. 127, 556-557 (ბათონიშვილი გახუშტი. აღწერა სამფლონო საქართველოსა. გამომც. ს. ფაუქჩიშვილი. თბ. 1973, გვ. 127, 556-557).

<sup>45</sup> Batonišvili Vaxušti. Aćcera samep'osa sak'art'velosa. Gamomc'. S. Qauxč'išvili, pp. 557 (ბათონიშვილი გახუშტი. აღწერა სამფლონო საქართველოსა. გამომც. ს. ფაუქჩიშვილი, გვ. 557).

ბუნებრივია, გარდაპის შესვლა კახეთის საქორეპისკოპოსოს შემადგენლობაში უმტკიფნეულოდ არ მოხდებოდა. აღნიშნულმა პროცესმა გრიგოლ ქორეპისკოპოსის (787-827 წწ.) დროს დასრულებული სახე მიიღო. გრიგოლი ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და წარმატებული პოლიტიკური მოღვაწე იყო. მან, როგორც ცნობილია, კახეთის ძლიერ სამთავროს ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც ქორეპისკოპოსი მართავდა. პირველი ქორეპისკოპოსი სწორედ გრიგოლი გახლდათ.<sup>46</sup> გარდაპის კახეთის საქორეპისკოპოსოში ინტეგრაციას გარდაპის დიდებულები ხელს უწყობდნენ.

827 წელს გარდაპის დიდებულებმა ქორეპისკოპოსის პოზიციაზე თავისი წევრი აარჩევინეს. ამის შემდეგ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გარდაბანი სტაბილურად კახეთის საქორეპისკოპოსოში შედის, რომელსაც გარდაბნელთა კლანი მართავდა.<sup>47</sup> ძველი ხუნანის საერისთავო კახეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა გაერთიანებული, ხოლო ვარაზმანიანთა დინასტიაში ის დაკარგა.

ვარდანუპის შერიგება აღვანეთის და სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიების მამამთავრებთან არ უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული პროცესის უბრალო დამთხვევა. გარდამანის მთავრები არჩილის და მისი ოჯახის ვასალები არ არიან, ამისი მიზეზი ფარნავაზიანთა მიერ ხელისუფლების დაკარგვა იყო.<sup>48</sup>

აღვანთა კათალიკოსისა და სომქთა კათალიკოსის შუამავლობით ვარდანუპის და ვარაზმანიანთა ოჯახი ძველი ანათემისა და წყევლისგან გაათავისუფლეს. მათ გენეალოგიასა და მოღვაწეობას მოვსეს კალანკატუაცი დეტალებში ახსენებს (Mov. Kal. III, 20), რაც იმისი დასტურია, რომ ვარაზმანიანთა ოჯახი კვლავ აღვანთა ეკლესის სამწყსოში მოექცა. აღნიშნული შესაძლოა იმითაც იყო განპირობებული, რომ ვარაზმანიანთა სახლმა დაკარგა ქართული სამფლობელოები და მხოლოდ აღვანური მიწები შეინარჩუნა, სა-

<sup>46</sup> T'. Papuašvili. Rant'a da kaxt'a samep'o (VIII-XI ss.). Tbilisi. 1982, pp. 163-175 (თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.). თბ. 1982, გვ. 163-175).

<sup>47</sup> M. Lort'k'i'anije. P'eodaluri sak'art'velos politikuri gaert'ianeba. Tbilisi. 1963, pp. 152-161 (მ. ლორთქიფანიძე. უცოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ. 1963, გვ. 152-161); T'. Papuašvili. Rant'a da kaxt'a samep'o, pp. 175-191 (თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო, გვ. 175-191).

<sup>48</sup> „მატიანე ქართლისას“ ავტორი პირდაპირ წერს, „ხოლო ამიერითგან იწყო შეძლებულებად მუჭობამნ დაღთა შეფერო ხუსტონათამბე“. იხ.: Matiane k'art'lisa. Gamome'. S. Qauxč'išvili, p. 250 (მატიანე ქართლისას, გამომც. ს. ყაუხაშვილი, გვ. 250); Matiane k'art'lisay. Gamome'. M. Lort'k'i'anije, p. 254 (მატიანე ქართლისას. გამომც. მ. ლორთქიფანიძე, გვ. 254); Batonišvili Vaxušti. Aćcera samep'osa sak'art'velosa. Gamome'. S. Qauxč'išvili, pp. 127, 556-557 (ბატონიშვილი ვაზუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გამომც. ს. ყაუხაშვილი, გვ. 127, 556-557).

დაც მონოფიზიტური ეკლესიის გავლენა უფრო ძლიერი იყო. ამ დროს გარდაცვლილი იყო არჩილ მეფე და ვარაზმან ერისთავი, ხოლო გარდმანის მთავარი ვარაზ-თორდატი გახლდათ, რომლის მიმართ სომხური წყაროები დადგებოთად არიან განწყობილნი. როგორც ჩანს, მცდელობა კვლავ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები გარდაბანში მრავლად იყო. ამისთვის ვარაზმანიანთა სახლს ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა ესაჭიროებოდა. ასეთი აღმოჩნდა ქართველთა ერისმთავარი აშოტ I, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის ქორეპისკოპოს გრიგოლის ძირითადი მოწინაღმდეგე იყო.

გარდმანის მთავრები გარკვეული დროის განმავლობაში აშოტ I-ის დაქვემდებარებაში მოექცნენ. სუმბატ დავითის ძის ცნობა, აშოტის მიერ თბილისის და ბარდავის ფლობაზე, აღნიშნულის კარგი დადასტურება.<sup>49</sup> აშოტ პირველი ბარდავის მხარეს იმდენად აკონტროლებდა რამდენადაც მას ადგილობრივი ელიტა, ვარაზმანიანთა სახლის სახით, ერთგულობდა. ამას განაპირობებდა გარდაბნის ირგვლივ მიმდინარე დაპირისპირება, რომელშიც ვარაზმანიანთა სახლი და ქორეპისკოპოსი იყვნენ ჩართულნი. „მატიანე ქართლი-სას“ ავტორის ცნობით, VIII საუკუნის ბოლოს ქართლში მთავართა რაოდენობა გაიზარდა, ხოლო მათ შორის მტრობა და ომი გაჩაღდა.<sup>50</sup> ქართული გარდაბნის ირგვლივ სწორედ ეს ორი ძალა ჩანს დაპირისპირებული.

აშოტ კურაპალატის ხანაში ქართველთა გავლენა ვარაზმანიანთა სახლზე უნდა დასრულებულიყო. აპასიანთა ხალიფატის წინააღმდეგ მებრძოლი აშოტი იძულებული გახდა კლარჯეთში გაქცეულიყო. თბილისის და ბარდავის დაკარგვა ქართლის (შიდა ქართლის) და რანის სამხრეთის (მტკვრის მარჯვენა სანაპირო) დათმობას ნიშნავდა. აშოტი მოახერხებს ქართლის დაბრუნებას, მაგრამ რანის სრული კონტროლი ვეღარ შეძლო.<sup>51</sup> აშოტი გარდა-

<sup>49</sup> Sumbat Davit'is-je. C'xovreba da ucqeba bagratoniant'a. Gamomc'. S. Qauxč'išvili. K'art'lis c'xovreba. I. T'bilisi. 1955, p. 376 (სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. გამომც. ს. ფარაზმანიშვილი. ქართლის ცხოვრება. I. თბ. 1955, გვ. 376); Sumbat Davit'is-je. C'xorebay da ucqebay bagratoniant'a. gamomc'. G. Araxamia, p. 44 (სუმბატ დავითის ძე. ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა. გამომც. გ. არაბაშვილი, გვ. 44); Sumbat Davit'is-je. C'xorebay da ucqebay bagratoniant'a. Gamomc'. M. lort'k'ip'anije. K'art'lis c'xovreba. Red. R. Metreveli. T'bilisi. 2008, p. 363 (სუმბატ დავითის-ძე. ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა. გამომც. მ. ლორთქოვანიძე, ქართლის ცხოვრება. რედ. რ. მეტრეველი. თბ. 2008, გვ. 363).

<sup>50</sup> Matiane k'art'lisa. Gamomc'. S. Qauxč'išvili, p. 250 (მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ფარაზმანიშვილი, გვ. 250); Matiane k'art'lisay. Gamomc'. M. Lort'k'ip'anije, p. 254 (მატიანე ქართლისა. გამომც. მ. ლორთქოვანიძე, გვ. 254).

<sup>51</sup> Matiane k'art'lisa. Gamomc'. S. Qauxč'išvili, p. 252-253 (მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ფარაზმანიშვილი, გვ. 252-253); Matiane k'art'lisay. Gamomc'. M. Lort'k'ip'anije, p. 255 (მატიანე ქართლისა. გამომც. მ. ლორთქოვანიძე, გვ. 255).

ლერი თავაძე. მიშრანიანთა დინასტიის განშტოება –  
გარაზმანიანთა სახლი და საქართველო

---

ბანში ხალიფატის ჯართან მარცხის შემდეგ ნიგაღის ხევში გაიქცა, სადაც შეოქმულების მსხვერპლი გახდა.<sup>52</sup> უკანასკნელ წლებში რამდენად უჭერდა მას მსარს გარაზმანიანთა ოჯახი არ ჩანს. აშოთ კურაპალატის მეტკვიდრეები აგრძელებდნენ რანში გავლენის მოპოვებისთვის ბრძოლას. აშოთის შექმნილი ქართველთა სამეფოს წევრთა შორის ამ კუთხით ყველაზე წარმატებულები გუარამ მამუალი, გურგენ ერისთავთ-ერისთავი და დავით III კურაპალატი იყვნენ. გარდმანის შემოერთება ქართველმა მეფებმა მხოლოდ საქართველოს სამეფოს არსებობის პერიოდში მოახერხეს, თუმცა ამ დროს გარაზმანიანთა სახლი უკვე დიდი ხანია, რაც აღნიშნულ მხარეს აღარ მართავდა.

ვარაზმანიანთა სახლის ისტორია მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. მათი გენეალოგია და ისტორია კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ჯუანშერის მატიანის მართებულობას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მერვე საუკუნის საქართველოს ისტორიის კვლევაში. ვარაზმანიანთა როლი ქართლის, ალვანეთის, სომხეთის და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკაში გამორჩეული იყო. VII-IX საუკუნეებში ისინი სამი ქვეყნის საზღვარზე აღმოცენებული ძლიერი სამთავროს ხელისუფლები არიან და ყველა ამ ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში მნიშვნელოვან აღგილს იკავებენ.

დამოუკიდებელი კვლევის საგანია ვარაზმანიანთა კავშირი ბიზანტიის იმპერიის, არაბთა ხალიფატისა და ხაზარეთის მესვეურებთან. ამ კუთხით მათი პოლიტიკა ცვალებადი იყო. ძლიერი არაბული ექსპანსიის პირობებში მათ უწევდათ ხალიფას უზენაესობის აღიარება, თუმცა რიგ შემთხვევებში მათ წინააღმდეგაც გამოდიან, რისი ერთ-ერთი შედეგი იყო ვარაზმანიანთა კავშირი სტეფანოზის სახლთან და სხვა ანტიარაბულად განწყობილ ქართულ პოლიტიკურ ძალებთან. ვარაზმანიანთა სახლის ანტიმუსლიმური ქმედებები განპირობებული იყო რელიგიური განსხვავებითა და ხალიფატის ექსპანსიით, რომელიც ვარაზმანიანთა მიწაზე არაბული ტომების ჩასახლებას გულისხმობ-

<sup>52</sup> Matiane k'art'lisa. Gamomc'. S. Qauxč'išvili, p. 253 (მატიანე ქართლისა. გამომც. ს. ყაუხბიშვილი, გვ. 253); Matiane k'art'lisay. Gamomc'. M. Lort'k'ip'anije, p. 255 (მატიანე ქართლისა. გამომც. მ. ლორთქივანიძე, გვ. 255); Sumbat Davit'is-je. C'xovreba da ucqeba bagratoniant'a. Gamomc'. S. Qauxč'išvili, p. 377 (სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. გამომც. ს. ყაუხბიშვილი. გვ. 377); Sumbat Davit'is-je. C'xorebay da ucqebay bagratoniant'a. gamomc'. G. Araxamia, p. 45-46 (სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. გამომც. გ. არახამია, გვ. 45-46); Sumbat Davit'is-je. C'xorebay da ucqebay bagratoniant'a. Gamomc'. M. lort'k'ip'anije, p. 364-365 (სუმბატ დავითის-ძე ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. გამომც. მ. ლორთქივანიძე. გვ. 364-365).

და. ვარაზმანიანთა სამფლობელო არაბული მომთაბარე ხალხის განსახლების-თვის კარგ გარემო პირობებს ჰქმნიდა. სწორედ არაბთა მომძლავრება განაპირობებდა ვარაზმანიანთა სახლის ქართლის ხელისუფალთა დროშის ქვეშ გამოსვლას და მათი ერთობლივი ბრძოლის ფაქტებს. შესაბამისად, ვარაზმანიანთა ინტეგრაცია ქართლის მმართველ ელიტაში არ უნდა გაგვიკვირდეს.

გარდმანის ქართულ რეალობაში სრული ინტეგრაცია არ განხორციელდა. ამ პროცესს ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი ჰქონდა. ვარაზმანიანთა სახლი ორგანულად იყო დაკავშირებული ალვანეთის მმართველ ელიტასთან, ამასთან, მათი ტერიტორია სომეხთა, მუსლიმთა და ხახართა ინტერესის სფეროში შემძლიოდა, რაც კიდევ უფრო აფერხებდა ამ მხარის ქართულ სივრცეში ყოფნას. სომხებს, ძველი ვითარების გათვალისწინებით, ყველაზე ძლიერი პოზიციები ჰქონდათ. სომეხთა პრეტენზიებს, გარკვეული ისტორიული რეალობის გარდა, რელიგია ამყარებდა. ისინი ამ მხარეს თავის ისტორიულ კუთვნილებად აცხადებდნენ და ყველანაირად აძლიერებდნენ მონოვიზიტურ მიმდინარეობას. გრძელვადიან პერსპექტივაში სომხებს გარდმანის სამთავროს აქტიური ინტეგრაციის რეალური საშუალება ჰქონდათ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს.

კავკასიაში ყველაზე მეტი რესურსი მაინც ხალიფატს გააჩნდა. მათ შეძლეს მძლავრი არაბული დასახლებების შექმნა და აღვილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილის მუსლიმურ მრწამსზე მოქცევა. არაბთა გავლენა დიდი წინაღობა აღმოჩნდა ქართველთა გავლენის განმტკიცების საქმეში, რამაც, საბოლოოდ, განაპირობა აღვანეთის უმეტესი ნაწილის ისლამიზაცია, ახალი ეთნიკური ჯგუფების ჩასახლება და აღვანური ეთნოსის შემცირება. ხახართა გავლენა სპორადული ხასიათის იყო და რეგიონში ხაკანის მოკლევადიანი ბატონობის დამყარებას უზრუნველყოფდა. ყველაზე მეტად ქართულ ინტერესებს ბიზანტიის პოლიტიკა პასუხობდა, რომელიც აღვანეთში დიოფიზიტობის განმტკიცებას ცდილობდა.

ვარაზმანიანთა სახლი თავისი, ნაწილობრივ, ქართული ორიენტაციის გათვალისწინებით მაინც ვერ გახდა ქართული სამყაროს ორგანული ნაწილი. მწვავე საგარეო პოლიტიკურმა ვითარებამ ვარაზმანიანები არამხოლოდ ქართულ მმართველ ელიტას დააშორა, არამედ დააკარგვინა სამფლობელოები და სამი ქვეყნის საზღვარზე მდებარე მათი მიწები საუკუნეთა მანძილზე ადგილობრივი და გარეშე პოლიტიკური ძალების ცილობის საგანი გახადა.

*Leri Tavadze*

Assistant Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## CADET BRANCH OF MIHRANID DYNASTY – HOUSE OF VARAZMAN AND GEORGIA

### Summary

House of Varazman emerged as a cadet branch Mihranid dynasty of Caucasian Albania. Initially Mihranids were of Persian origin, but later some of their members went to South Caucasia and served there as military governors of Iranian shah in Arran (Caucasian Albania). Mihranids of Arran slowly integrated themselves with local elite. In 7th century they have established themselves as hereditary rulers of Arran.

Varaz-Gregory Mihranid was the first ruler of country who received power from Byzantine Emperor Heraclius in 628 and converted to Christianity. He had four sons, those were: Varaz-Peroz, Juansher, Yezut-Khosrow and Varazman. Varaz-Gregory's fief was located in Gardman. Initially he was lord of Gardman, but also grand prince or the first *ishkhan* of the country according to Movses Kalankatuaci. He divided his fief among his sons while his second son Juansher, who later became ruler, went to Persia in service of local shah Yazdegerd III and *spahbed* Rostam Farrokhzād. Here in Persia he received title of *sparapet* of Arran returned at home after seven years of service in 637 to rule the country on the behalf of Persian shah. As far as Sasanian Empire was defeated by the forces of Caliphate in many battles prince Juansher gained independence from Sasanians.

Juansher was an ally of Kartli and maintained good relation with local ruler. Despite this Mihranids gained control over the lands of former Khunani eristavdom in Kartli that borders Principality of Gardman. It is unknown exactly when Mihranids gained control over this land, but presumably that could be dated to the second half of 7th century. Varazman appears to be the one who held this land. According to “Armenian Geography” (Ašxarhac’oyc’) Varazmanavar was new fortress located in that area. Our conjecture is that Varazman-

var was built by Varazman and later was named after him. Varazman died before the assassination of his brother, grand prince Juansher (r. 637-681), hence prior to 681. Varazman's eldest son and successor was Vakhtang. He became next ruler of principality of Gardman while ruler of Caucasian Albania was his cousin. He was forced to accept Monophysite position of Armenian Church in May, 704 as a result of pressure of the Armenians and the Arabs. But this did not save him from oppression and Arabs seized Vakhtang in 705 alongside with other princes of Albania.

Prisoners were sent to Syria and, most probably, Vakhtang never returned back to homeland.

Next ruler was Varazo son of Vakhtang from the house of Varazman. Varazo became ruler in 705. He alienated himself from the Armenian position and Albanian Church and accepted Orthodox Christianity of the Byzantine the Georgian Churches. Prince Varaz-Bakur of Kartli and comes of imperial Opsikion was behind this decision. He converted Gardaban (Gardman) to Orthodox Christianity according to Georgian sources which mean that Varazo was strongly influenced by Varaz-Bakur. Movses Kalankatuaci names Catholicos Talile of Kartli who accepted marriage between Varazo and Vardanuh, who were cousins, hence their marriage was disapproved by Albanian Church and Gardman became part of the Georgian Church, as well as part of Kartli from political perspective. Local Georgian elite received members of house of Varazman as their integral part. Varazman, presumably, son of Varazo, was *eristavi* of Kartli according to Juansher Juansheriani and he got married with daughter of Mihr, ruler of Georgia.

This marriage made house of Varazman part of the Georgian royal family and strengthened their rule over the land of former Khunani eristavdom. Varazman is called *eristavi*, hence his position was quite secured in Georgia. Despite the fact that Varazman was affirmed in his position by Archil II (r. 740-761) king of Kartli and Egrisi, he and all other *eristavs* of eastern Georgia were forced to accept suzerainty of Caliphate.

Varazman had a son – Varaz-Trdat who became next ruler of Gardman on the edge of 8<sup>th</sup> and 9<sup>th</sup> centuries. Account of Juansher Juansheriani makes us to believe that he was a son of Varazman and daughter of Mihr. Notwithstanding the fact that house of Varazman was integrated in the Georgian elite later they reconciled with Albanian Church. Movses Kalankatuaci relates story about aged queen Vardanuh. She hosted Armenian Catholicos in Gardman and asked him to remit her sins. Armenian Catholicos asked to Albanian Catholicos So-

lomon to relieve her from excommunication which was imposed on her family in 706 by Catholicos Michael of Shakki. Both ecclesiastic leaders decided in favor of queen Vardanuh and Albanian Church pardoned previous sins to her. Vardanuh was rehabilitated and, most probably, entire house of Varazman as well. This happened according to our research in 785. In the same period political destabilization obstructs peace and order in Georgia. Abbasids were controlling capital city – Tbilisi and the Georgian royal power was in decline. Various lords started to struggle with each other for power.

House of Varazman lost their Georgian land of former Khunani eristavdom known as Gardabani from the end of 8<sup>th</sup> century. Sanarians were responsible for this event. They established Kakheti Korepiscopate and included Gardabani as its initial part. House Varazman was reintegrated in Albania. Movses Kalankatuaci lists Varaz-Trdat and his successors as Albanian princes which indicate their Albanian affiliation. Varaz-Trdat was followed by his three sons, those were: Stephanos, Varazman and Juansherik. They ruled Principality of Gardman in succession. Ashot I of Karli was probably the last Georgian ruler who dominated Gardman from 8<sup>th</sup> and 9<sup>th</sup> cc. rulers of Georgia. House of Varazman appears to be an ally and vassal of Ashot. Both parties had the mutual interests to eliminate Kakhetian threat. Korepiskopate challenged Ashot in Kartli and House of Varazman in Gardabani, hence they had mutual benefits from this union. The Georgian historian Sumbat son of Davit (11<sup>th</sup> c.) has an account on Ashot ruling over Tbilisi and Barda. This must be understood as the union of Bagrationi and Varazmaniani under Ashot's suzerainty. Finally, Ashot lost his control on Gardabani and Gardman due to the conflict with Caliphate and was assassinated in January, 826. House of Varazman continued to pay tribute to Caliphate, but maintained independence within Caucasian states.

Nerseh Krtich was next ruler of Gardman. His nickname indicates strong Armenian cultural influence in the midst of 9<sup>th</sup> century. Nerseh was captured and sent to Iraq by Bugha al-Kabir general of Abassid army in 855. Nerseh was probably the member of House of Varazman as far as his first name was common in Mihranid dynasty of Albania, but there no direct evidence for this assumption. Mihranids lost control in Albania in the 9<sup>th</sup> century, later their cadet branch – House of Varazman did the same. Varazmanians played important role in history of Caucasus from the 7 to 9 centuries, hence study of history this family is vital to understand some key events of Caucasian history of that period.

In our article we have also established basic chronology and genealogy of House of Varazman.

## მამუკა წურწუმია

საქართველოს პარლამენტით არსებული  
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ჰერალდიკის საკითხების  
განმნილველი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

### ომის იდეოლოგია ბიზანტიაში\*

ბიზანტიულთა დამოკიდებულება წმინდა ომისადმი კარგა ხანია კამათის საგნად არის ქცეული ისტორიოგრაფიაში. მკვლევართა უმრავლესობა თვლის, რომ ბიზანტია არ აწარმოებდა წმინდა ომებს და რომ აღმოსავლური მართლმადიდებლობისათვის თავად წმინდა ომის იდეა რელიგიურად მიუღებელი იყო. ნაწილი ამტკიცებს, რომ ბიზანტია მაინც იბრძოდა ასეთ ომებში, რომლებიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოიჩინდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გუსტავ შლუმბერჟემ თავის შრომებში პროტო-ჯვაროსნებად წარმოადგინა ბიზანტიის იმპერატორები ნიკიფორე II ფოკა (963-69)<sup>1</sup> და იოანე I ციმისხი (969-76).<sup>2</sup> შლუმბერჟეს აზრით, ორივე მათგანი მიიჩნევდა, რომ მუსლიმთა წინააღმდეგ წარმოებული ომები ღმერთის მიერ იყო მოწოდებული და მოწონებული. ამ დასკვნამდე მკვლევარი საბრძოლო კამპანიებში ბიზანტიელთა მიერ ჩატარებული რელიგიური რიტუალების ანალიზის შედეგად მივიდა.<sup>3</sup>

ამ მოსაზრებას იზიარებდნენ რენე გრუსე და გეორგ ოსტროგორსკი.<sup>4</sup> რ. გრუსე პირდაპირ წერდა, რომ ჯვაროსნობა, სანამ მას დასავლეთევროპე-

\* ქვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი FR17-138).

<sup>1</sup> Gustave Schlumberger. Un empereur byzantin au dixième siècle, Nicéphore Phocas. Paris. 1890, pp. I-IV, 1-781.

<sup>2</sup> Gustave Schlumberger. L'épopée byzantine à la fin du dixième siècle. T. I. Paris. 1896, pp. I-VI, 1-326.

<sup>3</sup> Gustave Schlumberger. L'épopée byzantine à la fin du dixième siècle, pp. 82-87.

<sup>4</sup> René Grousset. Histoire des Croisades. T. 1. Paris. 1934, p. 15; George Ostrogorsky. History of the Byzantine State. Translated from the German by Joan Hussey, with a foreword by Peter Charanis. Rev. ed. New Brunswick. 1969, pp. 288-90.

ლები თავიდან მოიგონებდნენ, საუკუნეების განმავლობაში იყო ბიზანტიელთა ცხოვრების წესი.<sup>5</sup> გ. ოსტროგორსკი ჰეშმარიტ ჯვაროსნულ სულისკვეთებას ხედავს 974 და 975 წელს მესოპოტამიასა და სირაში ოანე ციმისხის მიერ წარმოებულ კამპანიებში, რომელიც, ავტორის თქმით, ნიკიფორე ფოკას მიერ დაწყებულ საქმეს აგრძელებდა.<sup>6</sup>

შემდგომი ხანის ისტორიკოსები უარყოფენ ბიზანტიური წმინდა ომის იდეას. ვ. ლორენს მიაჩნდა, რომ ბიზანტიელები შორს იყვნენ წმინდა ომის იდეისაგან, თუმცა უსამართლოდ მიაწერდა ამას მათ ხასიათსა (სიმხდალე, პედანტიზმი, ფატალიზმი) და „დუნე მორალს“. ლორენი მიუთითებდა, რომ ისლამთან კონფრონტაციისას შუა საუკუნეების ქრისტიანობამ ორი გზა აირჩია: პირველი იყო ბიზანტიელთა „ნეგატიური“ რეაქცია, რომელთაც უარი თქვეს ებრძოლათ რწმენის ათვის, და დასავლეთის „დინამიური“ პასუხი, რომელიც ჯვაროსნობაში გამოიხატა.<sup>7</sup> პ. ლემერლე თვლიდა, რომ ბერძნებს არ გააჩნდათ წმინდა ომის იდეა და შეცდომადაც კი თვლიდა „ჯვაროსნობის“ ცნების, თუნდაც მეტაფორულად, გამოყენებას მათთან მიმართებაში.<sup>8</sup> მისი აზრით, არა ხასიათი და „დუნე მორალი“, არამედ მართლმადიდებლური რწმენის თავისებურებები განაპირობებდა იმას, რომ ბიზანტიაში არ არსებობდა ჯვაროსნული იდეა.<sup>9</sup>

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში ბერძენმა მეცნიერებმა ხელახლა დააყენეს საკითხი ბიზანტიური წმინდა ომის შესახებ. ა. კოლია-დერმიცაკმა გააკრიტიკა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული წმინდა ომის ერთადერთი ფორმა ჯვაროსნული ლაშქრობა შეიძლება ყოფილიყო. მისი სამართლიანი მსჯელობით, სხვადასხვა ტიპის საზოგადოებები წმინდა ომის განსხვავებულ ფორმებს შეიძუშავებდნენ. ბიზანტიური წმინდა ომი ისევე განსხვავდებოდა ჯიპადისა და ჯვაროსნობისაგან, როგორც ეს ორი ერთმანეთისაგან, რადგანაც განსხვავებული ისტორიის მქონე განსხვავებული საზოგადოების პროდუქტია. დერმიცაკი ცდილობს დაამტკიცოს, რომ წმინდა ომის იდეა ბიზანტიაში ჯვაროსნობამდე, IV საუკუნიდან მაინც არსებობდა. მისი განსაზღვრებით, ბიზანტიელები წმინდა ომს აწარმოებდნენ იმ შემთხვევებში, როდე-

<sup>5</sup> René Grousset. *Histoire des Croisades*, p. 15.

<sup>6</sup> George Ostrogorsky. *History of the Byzantine State*, p. 297.

<sup>7</sup> Vitalien Laurent. *L'idée de guerre sainte et la tradition byzantine. Revue historique du sud-est européen*. 23. 1946, pp. 72, 86, 92.

<sup>8</sup> Paul Lemerle. *Byzance et la croisade. Relazioni del X congresso internazionale di scienze storiche*, Roma 1955. Vol. 3. *Storia del medioevo*. Florence. 1955, pp. 614, 617.

<sup>9</sup> Paul Lemerle. *Byzance et la croisade*, p. 618.

საც მტერი არ იყო ქრისტიანი ან როდესაც მოწინააღმდეგე ქრისტიანებს აკიტროებდა ან ტერიტორიები, რომლისთვისაც მიმდინარეობდა ომი, წარსულში რომის იმპერიას ეკუთვნოდა. მას მიაჩნია, რომ წმინდა ომს შემტევი ხსიათი უნდა ჰქონდეს. ავტორის აზრით, ამ ნიშნებით თუ კიმსჯელებთ, ბიზანტიაც აწარმოებდა წმინდა ომებს.<sup>10</sup>

კოლია-დერმიცაკი თვლის, რომ ბიზანტიური იდეოლოგია ხაზს უსვამდა ომის რელიგიურ ხსიათს, წარმოადგენდა რა ღმერთს არმიის წინამძღვდლად, ბიზანტიელებს ღვთის რჩეულ ხალხად, იმპერატორებსა და სარდლებს კი მოსესა და იეჟეს ჩამომავლებად. ლოცვები და რელიგიური რიტუალები ჯარისკაცებს უწერგავდა რწმენას, რომ ისინი ღვთისათვის იბრძოდნენ. ყოველივე ეს დაფუძნებული იყო ბიზანტიური პოლიტიკური იდეოლოგიის ფუნდამენტურ ფორმულაზე, რომლის მიხედვითაც იმპერატორი ღმერთის ნაცვალი და ქრისტიანთა მცველი იყო დედამიწაზე.<sup>11</sup>

ბერძენი მკვლევარი თ. კოლაბაც ამტკიცებს, რომ ბიზანტიელებს ეს-მოდათ წმინდა ომის იდეა.<sup>12</sup> ბიზანტიის იმპერატორი, როგორც ქრისტეს ნაცვალი დედამიწაზე, ქრისტიანთა დამცველი იყო და ამაში იარაღით დაცვაც იგულისხმებოდა. ლათინთა მსგავსად, ბიზანტიელთა მწერლებიც სარგებლობდნენ იუდეურ-ქრისტიანული მემკვიდრეობით, ძველი აღთქმის იდეებით, თავიანთ თავს თვლიდნენ რჩეულ ერად, ადარებდნენ თავიანთ ომებს ისრაელის ომებს, თავის მმართველებს კი ისრაელის მეფეებს.<sup>13</sup> თ. კოლაბა ბიზანტიელთა ომებს წმინდად მიიჩნევს მათივე იდეოლოგიდან გამომდინარე: „ქრისტიანული რომაული იმპერია ღმერთის ნაცვლით სათავეში დედამიწაზე უფლის

<sup>10</sup> Athina Kolia-Dermitzaki. The Byzantine “Holy War”. The Idea and Propagation of Religious War in Byzantium. Athens. 1991, pp. 33, 91-92, 97-98, 121, 150, 177-82, 292-98, 345-55 (in Greek, with an English summary). იღსანიშნავია, რომ მკვლევარი იმპერიის ჩრდილოეთის საზღვრებზე ასეთ ომს ვერ ხედავს და ფიქრობს, რომ ბიზანტიელთა წმინდა ომი მხოლოდ მუსლიმთა წინააღმდეგ იყო მიმართული. Athina Kolia-Dermitzaki. The Byzantine “Holy War”, გვ. 367.

<sup>11</sup> Athina Kolia-Dermitzaki. The Byzantine “Holy War”, pp. 401-2. ასე თუ მიგუდგებით, ისე-თივე დასკვნამდე მივაღით როგორც ჯ. დენისი. მკვლევარი შეიიშნავს, რომ გარევეული გაგებით, ბიზანტიელთა ყველა ომი წმინდა იყო, რადგან თავად მათი იმპერატორი იყო წმინდა და ყველი ომის მიერ წარმოებდა. George T. Dennis. Defenders of the Christian People: Holy War in Byzantium. The Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World. Eds. Angeliki E. Laiou and Roy Parviz Mottahedeh. Washington. 2001, p. 34. რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ ნიშნავს, რომ ბიზანტიელთა ომები აკმაყიფილებს „ჰესიარიტი“ წმინდა ომისათვის აუცილებელ ყველა მოცემულობას.

<sup>12</sup> Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire. Byzantion. 68. 1998, p. 202.

<sup>13</sup> Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire, p. 203.

საქმეს იქმოდა. მისი ჯარისკაცები უფლისათვის იბრძოდნენ, როდესაც იბრძონენ იმპერიის დასაცავად ან გასავრცობად“.<sup>14</sup>

იგივე მოცემულობა კ. ჰალდონმა სხვა კუთხით დაინახა. მისი აზრით, გარკვეული თვალისაზრისით, ბიზანტიის ომები ყოველთვის ატარებდა რელიგიურსა და საღვთო ხასიათს, რადგანაც ისინი იბრძოდნენ ჯვრის ნიშნის ქვეშ, თავი ქრისტეს ჯარისკაცებად მიაჩნდათ და დედამიწაზე ღმერთის სამეფოსა და რწმენის დასაცავად ომობდნენ.<sup>15</sup> აღმოსავლელი რომაელები თავიანთ თავს განიხილავდნენ, როგორც ღვთის რჩეულ ხალხს, ქრისტიანებს, რომლებიც მუდამ ებრძოდნენ ბნელეოს ძალებს.<sup>16</sup> თავისთავად, რჩეული ხალხის ბრძოლა, რომელთაც უფლის მიერ ცხებული იმპერატორი, მისი ნაცვალი დედამიწაზე, უძღვდა წინ, ღრმად რელიგიური და ქრისტიანული იყო და აღარ საჭიროებდა რომელიმე ომის გამორჩევასა და წმინდა ომად შერაცხას.<sup>17</sup> ქრისტეს ჯარისკაცებს, რომლებიც დედამიწაზე უფლის სამეფოს დასაცავად იბრძოდნენ, წმინდა ომის თეორია არც სჭირდებოდათ.<sup>18</sup>

თანდათან, ბიზანტიიური წმინდა ომის იდეამ მეტი პოპულარობა მოიპოვა. პ. მაგდალინო წერს, რომ იმპერატორ ჰერაკლედი მოყოლებული, ბიზანტიიელებს ჰქონდათ წმინდა ომის საკუთარი ტრადიციები და რომ ჯვაროსნულმა მოძრაობამაც თავისი გავლენა იქონია მათ შეხედულებებზე.<sup>19</sup> ისიც, ისევე როგორც მანამდე რ. ლილი, მანუელ I კომნენტის (1143-80) 1176 წლის ექსპედიციას ანატოლიის თურქთა წინააღმდეგ „ჯვაროსნულ ლაშქრობად“ ნათლავს.<sup>20</sup>

ბიზანტიიური სამხედრო ტრაქტატების შესწავლამ უილბერ დაგრონი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ იმპერიის მუსლიმებთან დაპირისპირებას გამოკვეთილი რელიგიური ხასიათი ჰქონდა. ის თვლის, რომ ამ საკითხში ბიზანტი-

<sup>14</sup> Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire, p. 210.

<sup>15</sup> John Haldon. Warfare, State and Society in the Byzantine World, 565–1204. London. 1999, pp. 17-33.

<sup>16</sup> John Haldon. Warfare, State and Society in the Byzantine World, p. 21.

<sup>17</sup> John Haldon. Warfare, State and Society in the Byzantine World, p. 23.

<sup>18</sup> John Haldon. Warfare, State and Society in the Byzantine World, p. 32.

<sup>19</sup> Paul Magdalino. The Empire of Manuel I Komnenos, 1143-1180. Cambridge. 1993, pp. 420-21.

<sup>20</sup> Ralph-Johannes Lilie. Byzantium and the Crusader States, 1096-1204. Translated by J. C. Morris and Jean E. Ridings. Oxford, 1993, gv. 211; Paul Magdalino. The Empire of Manuel I Komnenos, pp. 95-97. ახლახანს, ე. ქრისოსმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ მანუელის ლაშქრობას არაფერი ჰქონდა საერთო ჯვაროსნობასთან და ის მხოლოდ ტრადიციული იმპერიული ომი იყო. Evangelos Chrysos. 1176 – A Byzantine crusade? Byzantine War Ideology between Roman Imperial Concept and Christian Religion. Eds. Johannes Koder and Ioannis Stouraitis. Vienna. 2012, pp. 81-86.

ელებმა მაგალითი არაბებისაგან აიღეს.<sup>21</sup>

უფრო შორს წავიდა კ. რეგანი, რომელმაც ო. კოლბაბას დებულებებიც კი გადასინჯა და შეეცადა ეზვენებინა, რომ სპარსელთა წინააღმდეგ ჰერაკლე კეისრის წმინდა ომებმა მისცა დასაბამი ჯიპადსა და ჯვაროსნულ მოძრაობას. მკვლევარი ამტკიცებს, რომ ჰერაკლეს ომი ჯვაროსნული იყო, რადგანაც მათ ამოძრავებდათ „რელიგიური ენთუზიაზმი“ ურჯულო სპარსელების წინააღმდეგ.<sup>22</sup> რეგანი იქმდე მიდის, რომ „უზურპატორი ფოკას წინააღმდეგ ჰერაკლეს აჯანებასაც კი „ღრმად რელიგიურსა“ და „ლამის ჯვაროსნულს“ უწოდებს.<sup>23</sup> ის მკაცრად გააკრიტიკა უ. ტრედვოლდმა, რომელმაც მიუთითა რეგანის მთავარ შეცდომაზე, რომ ყველა ომი, რომელშიც მორწმუნები იძრძვიან, არ არის წმინდა.<sup>24</sup>

ვალტერ კეიგი ამბობს, რომ ბერძნული ეკლესია არ პირდებოდა ზეციურ სახლაურს სამხედრო სამსახურისა და ბრძოლაში სიკვდილისათვის და რომ მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლას არა ეკლესია, არამედ იმპერიული ხელისუფლება აწარმოებდა და სკამს კითხვას: იყო კი ასეთი ომი წმინდა?<sup>25</sup>

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და, საერთოდ, ბიზანტიური წმინდა ომის თავისებურებათა შესწავლა და გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ისტორიოგრაფიისთვისაც, რადგანაც ქართული ქრისტიანობა ახლოს იდგა ბიზანტიურთან და უძრავლეს საკითხებში ბერძნული დოქტრინებით ხელმძღვანელობდა.

<sup>21</sup> Gilbert Dagron. Byzance et le modèle islamique au Xe siècle. A propos des *Constitutions tactiques* de l'empereur Léon VI. Comptes rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres. Vol. 127/2. 1983, pp. 226-30; Le traité sur la guérilla (De velitatione) de l'Empereur Nicéphore Phocas (963-969). Texte établi par Gilbert Dagron et Haralambie Mihăescu, traduction et commentaire par G. Dagron, appendice: les Phocas, par J.-C. Cheynet. Paris. 1986, pp. 145-49. ამ მოსახურების კრიტიკასათვის იხ. Ioannis Stouraitis. "Just War" and "Holy War" in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study. Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik. 62. 2012, p. 249, n. 102, სადაც მკვლევარი შენიშვნას, რომ ომის დროს რელიგიური რიტორიკისა და სიმბოლიკის გამოყენებას ბიზანტიულები მუსლიმების გამოჩენამდეც მიმართავდნენ.

<sup>22</sup> Geoffrey Regan. First Crusader: Byzantium's Holy Wars. New York. 2003, pp. V-VII, 77-78, 145-46, 255.

<sup>23</sup> Geoffrey Regan. First Crusader: Byzantium's Holy Wars, p. 52.

<sup>24</sup> Warren Treadgold. Review: Geoffrey Regan. First Crusader: Byzantium's Holy Wars. The Catholic Historical Review. Vol. 90/1. 2004, pp. 94-95. ისეთი ცნებების არევისათვის, როგორიცაა: წმინდა ომი, მარტინობა, ჯვაროსნობა და ჯიპადი, რეგანი ჯ. ჰევლონ-ჰერერმაც გააკრიტიკა. Jennifer L. Hevelone-Harper. Review: Geoffrey Regan. First Crusader: Byzantium's Holy Wars. Journal of Church and State. Vol. 46/1. 2004, p. 141.

<sup>25</sup> W. E. Kaegi. Review: Athina Kolia-Dermitzaki, The Byzantine "Holy War": The Idea and Propagation of Religious War in Byzantium. Speculum. 69/2. 1994, p. 519.

ბიზანტიური ომის ხასიათის შესახებ დავამ წმინდა ომის განსაზღვრის მკაფიო კრიტერიუმები მოითხოვა. ა. ლეუს მიხედვით, ბიზანტიის ომები ოუნდაც იმიტომ არ იყო წმინდა, რომ ასეთ ომებს ეკლესია აწარმოებდა, რომ-ლებშიც ის ცოდვების შენდობას აღუთქამდა მებრძოლებს.<sup>26</sup> ნიკოლას ოკონომიდესი იზიარებს წმინდა ომის ლეუს დეფინიციას და ამტკიცებს, რომ ბიზანტია არ იცნობდა ნამდვილ წმინდა ომს.<sup>27</sup>

ვ. დენისი წმინდა ომის განსაზღვრისათვის აუცილებელ სამ ძირითად კრიტერიუმს ჩამოთვლის: წმინდა ომი რელიგიურია ავტორიტეტმა უნდა გამოაცხადოს, მისი მიზანი რელიგიური უნდა იყოს (დაკარგული სიწმინდეების დაბრუნება, სხვების დამორჩილება საკუთარი რწმენისადმი და სხვ.), ომის მონაწილეებმა სულიერი საზღაური უნდა მიიღონ: ცოდვების მიტევება ან სულაც სამოთხეში მოხვედრა.<sup>28</sup>

თავის დროზე ა. კოლია-დერმიცაკიმ სამართლიანად მიუთითა, რომ რომის პაპის ან ხალიფას ნაცვლად ომი და, მათ შორის, წმინდა ომიც, ბიზანტიის იმპერატორს შეეძლო გამოეცხადებინა, რომელიც პოლიტიკურ ლიდერობასთან ერთად ღმერთის რჩეული და რელიგიის დამცველი იყო.<sup>29</sup> თავის მხრივ, თ. კოლიაბამაც შეუსწორა კოლია-დერმიცაკის, რომ არ არის აუცილებელი წმინდა ომს ჰქონდეს შეტევითი ხასიათი და ის შესაძლებელია თავდაცვითი იყოს.<sup>30</sup> ამ შემთხვევაში მკვლევარს უნდა დავეთანხმოთ. სხვა რომ არა, არც ჯვაროსნების მიერ წარმოებული ყოველი ომი იყო შემტევი და მათ ხშირად უწევდათ მოწინააღმდეგის მოგერიება, რაც არ ცვლიდა ომის ხასიათს.

სხვა, მეორეხარისხოვანი, ნიშნები რომ გვერდზე გადავდოთ, რჩება ორი აუცილებელი მახასიათებელი, რომელთა გარეშეც არცერთი ომი წმინდად არ ჩაითვლება: 1) წმინდა ომს უნდა ჰქონდეს სარწმუნოებრივი შინაარსი და მკაფიოდ განსაზღვრული რელიგიური მიზანი, 2) მასში მონაწილე მებრძო-

<sup>26</sup> Angeliki E. Laiou. On Just War in Byzantium. To Ellēnikon. Studies in Honor of Speros Vryonis, Jr. Eds. J. S. Langdon et al. New Rochelle. 1993, p. 153.

<sup>27</sup> Nicholas Oikonomidès. The Concept of ‘Holy War’ and Two Tenth-century Byzantine Ivories. Peace and War in Byzantium. Essays in Honor of George T. Dennis, S.J. Eds. Timothy S. Miller and John Nesbitt. Washington. 1995, pp. 63, 68.

<sup>28</sup> George Dennis. Defenders of the Christian People: Holy War in Byzantium, p. 31.

<sup>29</sup> Athina Kolia-Dermitsaki. The Byzantine “Holy War”, pp. 390-91. ომის წარმოების ბიზანტიური იდეოლოგია იმპერიული იდეოლოგიის ფარგლებში თავსდებოდა და კონცენტრირებული იყო იმპერიასა და მის პერისონიფიციაზე – იმპერატორზე. რომელიც დედამიწაზე ღმერთის მიერ იყო მოვლენილი. Nicholas Oikonomidès. The Concept of ‘Holy War’ and Two Tenth-century Byzantine Ivories, p. 62.

<sup>30</sup> Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire, pp. 208-9.

ლები კი ცოდვათა შენდობით ან მოწამედ შერაცხვით უნდა დაჯილდოვდნენ.

ბიზანტიური ომებში ამ ნიშან-თვის სტანდარტის გამოსაკვეთად უნდა განვიჩილოთ რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა იმპერიის ომებში, ბიზანტიური „სამართლიანი ომის“ კონცეფცია, ბიზანტიულთა დამოკიდებულება ჯიპადის, ჯვაროსნობისა და მათი მამოძრავებელი იდეების მიმართ, ისევე როგორც, ბიზანტიულთა შეხედულება ზოგადად ომზე.

### რელიგიური ფაქტორი ბიზანტიის ომებში

დასავლური კათოლიციზმის მსგავსად, აღმოსავლური მართლმადიდებლობის მონაწილეობამ ომში გამოხატულება ჰპოვა ლაშქრობისას მღვდლების თანხლებასა და წირვების ჩატარებაში, რელიგიური სიმბოლოებისა და რელიქვიების საბრძოლო გამოყენებაში, დროშებისა და იარაღის კურთხევაში, დაცუმული ჯარისკაცების გაპატიოსნებასა და გამარჯვების სამადლობელი რიტუალების გამართვაში.<sup>31</sup>

კონსტანტინე დიდა (306-37) ქრისტე იმპერიის უპირველეს ღმერთად (*summus deus*) აღიარა, თეოდოსიუს I-მა (379-95) კი ქრისტიანობა სავალდებულო რელიგიად აქცია სახელმწიფოში. თეოდოსიუსის ეპოქაში პირველად გვხვდება სამხედრო-რელიგიური ცერემონიების სრულად გაქრისტიანებული პროგრამა. იუსტინიანეს ხანაში (527-65) რელიგიური მსახურება არმიაში შემდგომ სრულყოფას განიცდის: გვაქვს მოწმობა ბანაკის ცენტრში, გაშლილ კარავში მოთავსებული ეკლესიის შესახებ. აქ, VI საუკუნის მიწურულიდან, მავრიკიოსის სტრატეგიკონის მიხედვით, ჯარისკაცები ლოცულობინენ წმინდა და დღეებში და ბრძოლის წინ. იმავე სტრატეგიკონის თანახმად, საბრძოლო დროშები უნდა ეპურთხებინათ, ხოლო დიღა-საღამოს, ყოველი საქმის დაწყებისა თუ დამთავრების შემდეგ ყველას უნდა წაეკითხა მოკლე ლოცვა („წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო შეგვიწყალენ ჩვენ“), ბანაკის დატოვებისას კი ერთხმად უნდა დაემახათ: „ღმერთი არს ჩვენთან“. უფრო გვიანდელ სამხედრო ტრაქტატებში ლიტურგია კიდევ უფრო გართულებულია და ბრძოლის წინ ჯარისკაცებისაგან სულიერ განწმენდასა და ზიარებას დისკიპლინარული სასჯელის მუქარით თხოვს.<sup>32</sup>

<sup>31</sup> Yuri Stoyanov. Norms of War in Eastern Orthodox Christianity. World Religions and Norms of War. Eds. Vesselin Popovski, Gregory M. Reichberg and Nicholas Turner. Tokyo. 2009, p. 175.

<sup>32</sup> Davis S. Bachrach. Religion and the Conduct of War, c. 300-1215. Woodbridge. 2003, pp. 11-19; Paul Stephenson. Religious Services for Byzantine Soldiers and the Possibility of Martyrdom, c. 400-c.1000. Just Wars, Holy Wars, and Jihads. Ed. Sohail H. Hashmi. Oxford. 2012, pp. 26-29.

რელიგიური სიმბოლიკა და რიტუალები, რომლებსაც მოქმედი არმია იყენებდა, არ ცვლიდა ომების შინაარსს. ქრისტიანული ნიშნები და რიტორიკა ჯარისკაცის მორალისა და ოვითრწმენის ასამაღლებლად გამოიყენებოდა.<sup>33</sup> მართალია, ქრისტიანული რიტუალები ბიზანტიის არმიის საბრძოლო სულის ამაღლებას ემსახურებოდა, მაგრამ მათი მიზანი არ იყო ჯარისკაცებში რელიგიური ფანატიზმის გაღვივება. არმიაში არ შეინიშნებოდა სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობაც.<sup>34</sup>

ოთანის სტურაიტისი შენიშნავს, რომ ბიზანტიურ ტექსტებში ბიბლიური ციტატებისა და ალეგორიების სიხშირე, ბიზანტიელთა დასახვა ახალ რჩეულ ერად და ღმერთის როგორც ომის ბედის მთავარ მსაჯულად წარმოდგენა, ხშირად გამოიყენება აღმოსავლეთ რომაელთა წმინდა ომის კონცეფციის დასასაბუთებლად. ამ საკითხებზე მსჯელობისას, უნდა გვახსოვდეს, რომ ბიბლიაში აღწერილი ებრაული „წმინდა ომები“ არ ითვალისწინებდა მათი სარწმუნოების საყოველთაო გავრცელებას და მოსაზღვრული იყო აღთქმული მიწის ფარგლებით. ქრისტიანი ბიზანტიელი ბიბლიურ ებრაელს იმით ემსგავსება, რომ არცერთ კულტურაში არ გვხვდება ომის საშუალებით საკუთარი რელიგიის გავრცელების კონცეფცია. ომის გზით ღმერთის სიტყვის განვრცობა ბიზანტიელებს აზრადაც არ მოსვლიათ. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ძველი აღოქმა ძირითადი წყარო იყო, საიდანაც ქრისტიანი რომაელები ლიტერატურულ მოტივებს სესხულობდნენ და რომ ბიბლიით ნასახრდოები იდეოლოგია თანაბრად გამოიყენებოდა როგორც ურწმუნო, ისე ქრისტიანი მოწინააღმდეგის მიმართ.<sup>35</sup> ისიც გასაოვალისწინებელა, რომ მარტო სამხედრო ტრაქტატები არ იყო რელიგიური ტერმინოლოგიით დახუძღლული. IX-X საუკუნეებში ასეთი ტერმინები უხვადაა იმპერატორთა ნოველებსა და ხრისობულებში, კომერციულ თუ კანონთა კრებულებში. ეს საფუძველს აძლევს მკვლევრებს ივარაუდონ, რომ ტრაქტატებში ასახული ვითარება უფრო ფორმალური იყო და არ გამოდგება საიმპერატორო არმიის ჯარის-

<sup>33</sup> George Dennis. Defenders of the Christian People: Holy War in Byzantium, p. 35.

<sup>34</sup> Karina Kapsalykova. Predstavleniâ o vojne i armii v Vizantii (seredina IX – середина XI в.). Dissertaciâ na soiskanie uченой stepeni kandidata istoričeskikh nauk. Ekaterinburg. 2017, p. 147 (Карина Капсалькова. Представления о войне и армии в Византии (середина IX – середина XI в.). Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук. Екатеринбург. 2017, гл. 147).

<sup>35</sup> Ioannis Stouraitis. Using the Bible to Justify Imperial Warfare in High-Medieval Byzantium. The Bible in Byzantium: Appropriation, Adaptation, Interpretation. Eds. Claudia Rapp and Andreas Külzer. Göttingen. 2019, pp. 92-94.

კაცთა და მეთაურთა მაღალი რელიგიურობის მოწმობად.<sup>36</sup>

ქრისტიანული რელიგია რომაული გეოპოლიტიკის გამაერთიანებელი იდეა იყო, რომელიც უგულებელყოფვა რეგიონულ თუ ეთნო-პოლიტიკურ სხვაობას და რომლის მიხედვითაც იმპერიის ქვეშევრდომები ქრისტიანული ძმები იყვნენ. ბიზანტიელთა ხედვით, ნორმალურ ვითარებაში ქრისტიანულ ოკუმენაში მცხოვრებ სხვადასხვა ქრისტიან ხალხს შორის მშვიდობა უნდა სუფევდეს. აქედან გამომდინარე, ყველა ომი, რომელსაც სხვა ქრისტიანი ქვეყანა თუ ერი აწარმოებდა ბიზანტიის წინააღმდეგ, ავტომატურად ცხადდებოდა უსამართლოდ და უზნეოდ.<sup>37</sup>

ომის წარმოებისას ბიზანტიელები მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის სამართლიანობას. განურჩევლად ქრისტიანისა თუ ურწმუნოსი, გარეშეთა თავდასხმისაგან იმპერიის ტერიტორიისა და მცხოვრებთა დასაცავად მიმართული თავდაცვითი ომი სამართლიანი იყო. ბიზანტიელთა რაციონალური მიღვომით, ომის სამართლიანობას ღმერთის წება კი არ განსაზღვრავდა, არა ამედ კანონი. ღმერთი მხოლოდ სამართლიანს ეხმარებოდა. სწორედ ამიტომ, ბიზანტიურ იდეოლოგიას შეეძლო გამოეყენებინა მძღავრი რელიგიური რიტორიკა და სიბილიაზმი როგორც ქრისტიან მეზობლებთან ბრძოლაში, ისე სამოქალაქო ომშიც.<sup>38</sup> აღმოსავლეთ რომის „გამარჯვების იმპერიული თეოლოგია“ არ იყო ურწმუნოთა წინააღმდეგ მიმართული წმინდა ომის იდეოლოგია. ის განსაკუთრებით გამოსადეგი სწორედ ქრისტიანთა შორის შინაურ ბრძოლებში იყო.<sup>39</sup>

იშვიათი გამონაკლისის გარდა (ნიკოლოზ მისტიკოსი, ლეონ ბრძენი)<sup>40</sup> ბიზანტიელი ავტორები სხვა ქრისტიან ხალხებთან და ქვეწებთან ბრძოლას არ აღიქვამდნენ როგორც მმათამკგლელ ომს; ისინი ისევე შესთხოვდნენ ჯვარსა და სხვა ქრისტიანულ სიწმინდების ქრისტიანებზე გამარჯვებას, როგორც ამას აკეთებდნენ წარმართებსა და მუსლიმებთან ომში. ამ დროს ქრისტიანული რწმენა იმპერიის ინტერესებს ემსახურებოდა და ბიზანტიური იდე-

<sup>36</sup> Karina Kapsalykova. Predstavleniâ o vojne i armii v Vizantii, pp. 129-30 (Карина Капсаликова. Представления о войне и армии в Византии, гл. 129-30).

<sup>37</sup> Yannis Stouraitis. Civil War in the Christian Empire. A Companion to the Byzantine Culture of War, ca. 300-1204. Ed. by Yannis Stouraitis. Leiden. 2018, pp. 97-98.

<sup>38</sup> Ioannis Stouraitis. Jihâd and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War.” Byzantina Symmeikta. Vol. 21. 2011, pp. 19-23.

<sup>39</sup> Paul Stephenson. The Imperial Theology of Victory. A Companion to the Byzantine Culture of War, ca. 300-1204. Ed. by Yannis Stouraitis. Leiden. 2018, p. 54.

<sup>40</sup> რომლებიც უმთავრესად ბიზანტიელთა შეჭირვების დროსაა დაწერილი და უფრო დიპლომატითა და რიტორიკით შეიძლება აიხსნას.

ოლოგია მხოლოდ რომაელებს წარმოადგენდა ჭეშმარიტ მორწმუნებად, ხოლო მოწინააღმდეგეს არც თვლიდა ქრისტიანად.<sup>41</sup>

### ბიზანტიური „სამართლიანი ომი“

რომის ეკლესიასაგან განსხვავებით, ბერძნული ეკლესია ომს არ აცხადებდა, მასში არ მონაწილეობდა და არც პოპულარიზაციას უწევდა მას.<sup>42</sup> ეს ფუნქცია მას მთლიანად გადაბარებული ჰქონდა იმპერიულ ხელისუფლებაზე. ომის ბიზანტიური იდეოლოგია რომაული სამართლიანი ომის კონცეფციას ეფუძნებოდა, რომელმაც შესამჩნევი ქრისტიანიზაცია განიცადა. „ქრისტიან რომაელთა“ ვალი იყო ახალ ბარბაროსთაგან დაეცვათ კონსტანტინოპოლი, ეს „ახალი რომი“ და „ახალი იერუსალიმი“ და ქრისტიანული რომაული იმპერია როგორც „ახალი ისრაელი“. ეს გაქრისტიანებული სამართლიანი ომის ტრადიცია ბიზანტიური იმპერიული იდეოლოგიის ფუნდამენტი გახდა.<sup>43</sup>

მაგისტრ სირიანოსის IX საუკუნის ტექსტში *Rhetorica militaris* სამხედრო რიტორიკას დიდი ადგილი ეთმობა და წარმოადგენას გვიქმნის იმდრო-ინდელი რომაული საზოგადოების დამოკიდებულებაზე ომის მიმართ.<sup>44</sup> ქრის-

<sup>41</sup> Ioannis Stouraitis. Byzantine War Against Christians – an *Emphylios Polemos*. *Byzantina Symmeikta*. Vol. 20. 2010, pp. 93-100, 102-9. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა XIII საუკუნის დამდეგს, კონსტანტინოპოლის დაცემიდე დაწერილი ნიკოლოზ მესარიტესის (შემდგომში ეფესოს მიტოპოლიტის) ერთი თხზულება. ავტორი წერს ბიზანტიელთა სურვილზე ააღმონახონ იუსტინიანეს დედოფლიდი იმპერიის ძლიერება: „დიდება რომაელთა ქვეყნას, დღეიდან ვერა ბარბაროსი ვედარ იმდლავრებს ჩვენზე, ვერც სკვით, ვერც ბულგარელი, ვერც ტავრისკვითი [იგულისხმებიან ყიფხადები], ვერც პერსარმენიელი [ანატოლიელი სელჩუკი], ვერც ილირიელი, ვერც ტრიბალი [სერბი], ვერც პაიონელი [აქაც სერბი], ვერც ალემანი [გერმანელი], ვერც იტალიელი, ვერც იბერი, ვერც ლიბიელი და ვერც სპარსელები [თუरქები], რომლებიც ასე ძლიერნი არიან აზიაში“. Nikolaos Mesarites. Die Palastrevolution des Johannes Komnenos. Ed. August Heisenberg. Würzburg. 1907, pp. 21, 58-59. მუსლიმებთან ერთად ბიზანტიელთა მტრების რიცხვში დასახელებულია მრავალი ეპროპელი ქრისტიანი ერი (ბულგარელები, სერბები, გერმანელები, იტალიელები), ხოლო აღმოსავლელთაგან – ქრონელები (იბერები). ცხადია, რომ გაძლიერებულ საქართველოს XII-XIII საუკუნეების ბიზანტიაში ეჭვის თვალით უყვრებდნენ და კონკურენტად აღიქვმდნენ.

<sup>42</sup> Yuri Stoyanov. Norms of War in Eastern Orthodox Christianity, gv. 178; Angeliki E. Laiou. The Just War of Eastern Christians and the Holy War of the Crusaders. The Ethics of War: Shared Problems in Different Traditions. Eds R. Sorabji and D. Rodin. Aldershot. 2006, p. 34.

<sup>43</sup> Yuri Stoyanov. Norms of War in Eastern Orthodox Christianity, p. 178.

<sup>44</sup> 870-90 წლებში დაწერილ *Rhetorica militaris*-ში რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იქ აღიარებულია ფაქტი, რომ მტერი (მუსლიმები) იძრგვის თავისი რელიგიისათვის და რომაელებს სწორედ მისი რწმენის გამო უტვრდს. John Haldon. Eastern Roman (Byzantine) Views on Islam and on *Jihād*, c. 900 CE: A Papal Connection? Italy and Early Medieval Europe: Papers for Chris Wickham. Eds. Ross Balzaretti et al. Oxford. 2018, p. 477.

ტიანული რწმენა მიჩნეულია ერთ-ერთ უმთავრეს კულტურულ ღირებულებად, რომელიც ბიზანტიურებს უნდა დაეცვათ. ავტორს მოჰყავს ქრისტეს სიტყვები „გიყვარდეს მოყვასი შენი“ და ამბობს, რომ მოყვასის ყველაზე დიდი სიყვარული მისთვის თავის გაწირვაა. სირიანოსი ცდილობს შეათანხმოს ძველი და ახალი აღთქმის იდები და მაკაბელთა, როგორც ღმერთის მიერ მოწოდებული, ომის გვერდით მოჰყავს ქრისტეს მაგალითი, როდესაც მან პეტრეს ძალადობა აუკრძალა. ი. სტურაიტისის შეფასებით, ძალადობის საწინააღმდეგო სიუჟეტისა და რწმენისათვის მებრძოლ მაკაბელთა ერთად მოხსენიება ბიზანტიურთა მიერ ძველი და ახალი აღთქმის სხვადასხვა მოტივების სინთეზის საუკეთესო მაგალითია, რის შედეგადაც ისინი აყალიბებდნენ სამართლიანი ომის ხედვას. ბიბლიურ მაკაბელთაგან განსხვავებით, სირიანოსი არ მიიჩნევს ღმერთის სიტყვას ომის დაწყებისათვის საკმარის სამართლიან საბაბად. მისთვის ომის სამართლიანი მიზეზი რომის იმპერიის პოლიტიკური ინტერესების დაცვაა. *Rhetorica militaris*-ში სარწმუნოების დაცვა სრულადაა დაქვემდებარებული ომს, როგორც პოლიტიკურ მოცემულობას.<sup>45</sup>

ლეონ VI-ის ტაქტიკის განხილვის შედეგად, ი. სტურაიტისი ამტკიცებს, რომ ძველი აღთქმის იდების უცვლელად გადმოღების ნაცვლად, იმპერატორმა ერთმანეთთან შეაზავა ძველი და ახალი აღთქმის იდები, ისევე როგორც რომაული იმპერიული კონცეფცია, რის შედეგადაც იმპერიული ომების სამართლიანობის განსაზღვრისას რელიგიასა და ღმერთს არ მიენიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა. თხზულების დასაწყისშივე ღმერთი გაიგივებულია მშვიდობასთან, სატანა კი ომთან, რაც გამორიცხავს იმას, რომ ლეონს ესარგებლა ძველი აღთქმის ღმერთის, როგორც ომის წამქეზებლის განსაზღვრებით. იმპერატორი ძველი აღთქმიდან ისეთი მოტივებით სარგებლობს, რომელიც ეწინააღმდეგება ომის მოყვარული ღმერთის გავრცელებულ სახეს: მაგალითად, ის მუსლიმების კრიტიკისას მოიხმობს ფსალმუნს, სადაც ისრაელის ღმერთს ევედრებიან „მიმოფარგლოს ომის მსურველი ერები“ (ფსალმ. 67.31). ლეონი თვლის, რომ ღმერთის დახმარების იმედი იმ შემთხვევაში უნდა გქონდეს, როდესაც ომი სამართლიანია. ასეთად მიაჩნია მას იმპერიის საზღვრების დაცვა გარეშე თავდასხმისაგან. იმპერატორისათვის ძველი აღთქმის

<sup>45</sup> Ioannis Stouraitis. Using the Bible to Justify Imperial Warfare in High-Medieval Byzantium, pp. 95-98. ომთან დაკავშირებით ბიზანტიიაში რომაული მემკვიდრეობა უფრო მძლავრი იყო, ვიდრე ძველი აღთქმის მაგალითები, რომლებიც პერიოდულად ისე აღაფრთოვანებდნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. Philippe Buc. Religions and Warfare: Prolegomena to a Comparative Study. Quaestiones Medii Aevi Novae. Vol. 21. 2016, p. 11.

ღმერთი აღარ არის ომის გამჩალებელი და არც სარწმუნოება თამაშობს მთავარ როლს ბიზანტიილთა სამხედრო ამოცანების განსაზღვრაში.<sup>46</sup>

*Rhetorica militaris* და *ტაქტიკა* მოწმობენ, რომ X საუკუნის დამდეგი-სათვის ბიზანტიაში უკვე ჩამოყალიბდა სამართლიანი ომის დოქტრინა, სადაც ძველი აღთქმის ცნებები ადაპტირდა ახალი აღთქმის იდეებსა და რომაულ სახელმწიფოებრივ ტრადიციასთან, რის შედეგადაც მივიღეთ იმპერიული ომის ახლებური ეთიკური ლეგიტიმაცია.<sup>47</sup>

თუკი დასავლეთი ემყარებოდა ნეტარი ავგუსტინეს ზოგად ფორმულირებას, რომ უსამართლობასთან ბრძოლა სამართლიანი ომია, რაც მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა, ბიზანტიის იმპერატორი ლეონ VI ერთადერთ უსამართლობად მის ტერიტორიაზე თავდასხმას თვლის. ასეთი განსჯის ბუნებრივი შედეგია ომი შეზღუდული ამოცანებით, მხოლოდ თავდაცვის მიზნით.<sup>48</sup> განსხვავებით, დასავლური ქრისტიანობის წმინდა ომის მიზნები და ფარგლები შეუზღუდავა და მისი მიზანია ქრისტიანთა გამარჯვება წარმართებსა და ურჯულოებზე.<sup>49</sup>

ბიზანტიის ომებში სამართლიანი ომის პრინციპთან შედარებით რელიგია დაქვემდებარებულ როლს ასრულებდა, თუმცა მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვდა სამხედრო ძალადობის ლეგიტიმაციაში. რელიგიური მილიტარიზმის გარეშე, იმპერიული იდეოლოგიის ფარგლებში ბერძნული ეკლესია ყოველთვის უჭერდა მხარს ხელისუფლებას. ასეთი მხარდაჭერა იმპერიის პოლიტიკური მიზნების ლეგიტიმაციას განაპირობებდა და ხელისუფლებისათვის საჭიროებას აღარ წარმოადგენდა ძალაუფლება გაუყო ეკლესიისათვის ომის საკითხებში.<sup>50</sup>

მომდევნო საუკუნეებშიც ბიზანტიური პოლიტიკური აზრი „სამართლიანი ომის“ იმპერიული იდეოლოგიის ერთგული რჩება. ანა კომნენას აღუქსიადაში ქრისტიანობა არ თამაშობს განმსაზღვრულ როლს ომების სამართლი-

<sup>46</sup> Ioannis Stouraitis. “Just War” and “Holy War” in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, gv. 239; Ioannis Stouraitis. Using the Bible to Justify Imperial Warfare in High-Medieval Byzantium, pp. 99-103; Ioannis Stouraitis. State War Ethic and Popular Views on Warfare. A Companion to the Byzantine Culture of War, ca. 300-1204. Ed. by Yannis Stouraitis. Leiden. 2018, pp. 78-79. ა. ლეონ მოუთოოებს, რომ მიუხედავად ლეონ VI-ის იდეოლოგიის რელიგიური ხმბიძისა, ის იცავს არა წმინდა ომის, არამედ სამართლიანი ომის იდეას. Angeliki E. Laiou. On Just War in Byzantium, p. 169.

<sup>47</sup> Ioannis Stouraitis. Using the Bible to Justify Imperial Warfare in High-Medieval Byzantium, p. 104.

<sup>48</sup> Angeliki E. Laiou. On Just War in Byzantium, p. 168.

<sup>49</sup> Angeliki E. Laiou. The Just War of Eastern Christians and the Holy War of the Crusaders, p. 38.

<sup>50</sup> Ioannis Stouraitis. “Just War” and “Holy War” in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, p. 264.

ანობის შეფასებაში და ის ძველ რომაულ პრინციპებს (თავდაცვის, დაკარგულის დაბრუნების, ხელშექრულების დარღვევის და სხვ.) ემყარება.<sup>51</sup> ბიზანტიის იმპერიატორი იოანე VI კანტაკუზენი „სამართლიანი ომის“ კატეგორიებით ხელმძღვანელობს XIV საუკუნეშიც.<sup>52</sup> როგორც ჯ. დენისი აცხადებს, ომები, რომელთაც ბიზანტიელები აწარმოებდნენ, იყო არა წმინდა, არამედ სამართლიანი, იმპერიული ომები, რომლებიც მიმდინარეობდა იმპერიის დასაცავად ან დაკარგულის დასაბრუნებლად.<sup>53</sup>

ი. სტურაიტისი შენიშნავს, რომ ბიზანტიერი წმინდა ომის არცერთ მომხრეს არ მოუყვანია ისეთი ომის მაგალითი, რომლის გამომწვევი მიზეზი იმპერიის მთლიანობის აღდგენა კი არ იქნებოდა, არამედ რელიგიური შეუთავსებლობა და უფლის მიერ ნაბრძანები ურჯულოთა განადგურება-დამორჩილება. ა. კოლა-დერმიცაკის შეტევითი წმინდა ომი თუ თ. კოლბაბას მიერ ამავე კატეგორიაში ჩართული თავდაცვითი ხასიათის ომები რელიგიას მოიხმობენ ლეგიტიმაციისათვის, მაგრამ ამ ომების სამართლიანობის მთავარი არგუმენტიც რომაული იმპერიის ტერიტორიის ხელშეუხებლობის პოლიტიკურ აქტიონებს ეფუძნება, რასაც ეს ავტორები თავად აღიარებენ. მკვლევარი მართალია, როდესაც აკრიტიკებს ასეთ თეორიულ მიდგომას, რომელიც წმინდა ომის ტერმინოლოგიას იყენებს სამართლიანობის ისეთი პრინციპის განსასაზღვრად, სადაც არც სარწმუნოებრივი სხვაობა და არც რელიგიური კნონები არ განაპირობებენ ომში ჩაბმის მოტივს.<sup>54</sup>

### **ბიზანტიელთა დამოიდებულება ჯიპადისა და ჯვაროსნობის მიმართ**

ბიზანტიელ ავტორებს ცრურწმენად მიაჩნდათ ის აზრი, რომ ბრძოლაში დაღუპული სამოთხეში მოხვდებოდა.<sup>55</sup> ბიზანტიელები აკრიტიკებდნენ ჯი-

<sup>51</sup> Angeliki E. Laiou. On Just War in Byzantium, pp. 166-67.

<sup>52</sup> Efstratia Synkellou. Reflections on Byzantine “War Ideology” in Late Byzantium. Byzantine War Ideology between Roman Imperial Concept and Christian Religion. Eds. Johannes Koder and Ioannis Stouraitis. Vienna. 2012, p. 103.

<sup>53</sup> George Dennis. Defenders of the Christian People: Holy War in Byzantium, pp. 38-39.

<sup>54</sup> Ioannis Stouraitis. “Just War” and “Holy War” in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, p. 240.

<sup>55</sup> Marius Canard. La guerre sainte dans le monde islamique et dans le monde chrétien. Revue Africaine. 79. 1936, pp. 616-17; Irina Moroz. The Idea of the Holy War in the Orthodox World (On Russian Chronicles from the Twelfth-Sixteenth Century). Quaestiones medii aevi novae. Vol. 4. 1999, p. 46; goč'a Jap'arije. sak'art'velo da maxlobeli ağmosavlet'iis islamuri samqaro XII-XIII s-is pirvel mesamedši. t'bilisi. 1995, p. 230 (გოზა ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბილისი. 1995, გვ. 230).

ჰადის ორ მთავარ იდეას: თითქოსდა ღმერთს სურდა ურჯულოთა განადგურება და რომ ურწმუნოთა წინააღმდეგ მებრძოლი მარტვილობის გვირგვინსა და სამოთხეს იმსახურებდა. IX საუკუნეში ოცოფანე აღმსარებელი ერქსად მიიჩნევს იდეას, რომ ომში დაღუპვა ან ვინმეს მოკვლა ზეციური ჯილდოს ღირსაია.<sup>56</sup> იმავე საუკუნეში ბერძენი სწავლული ნიკეტა ბიზანტიელი უარყოფს იდეას, რომელიც ზეგარდმო წებით ამართლებს კაცის კვლას. მუსლიმ თეოლოგთან დისპუტში ის აცხადებს, რომ ომი არ არის ღმერთის მიერ დაწესებული, რადგანაც შეუძლებელია ღმერთს სურდეს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა.<sup>57</sup> ლეონ VI თავის ტაქტიკაში ბრალს დებს არაბებს, რომ მათ ღმერთი მიაჩნდათ ბოროტებისა და ომის მიზეზად.<sup>58</sup> თეოფანეს კვალდაკვალ კონსტანტინე პორფიროგენეტი უარყოფს მუსლიმთა წარმოდგენას ომში მონაწილეობით ცოდვების გამოსყიდვის შესახებ და მკვეთრად აფასებს მუპამედის სწავლებას სწვისი მოკვლით ან დაღუპვით სამოთხეში მოხვედრის შესახებ.<sup>59</sup> X საუკუნის ბიზანტიელი კარისტაცის თეოდორე დაფნიკატის წერილში „ეგვიპტის ამირას“ მიმართ, კითხულობთ: „ნუთუ ღმერთმა მხოლოდ იმიტომ შექმნა ადამიანი, რომ შემდეგ მოეკლა?.. ღმერთს სტულს ომი და მკვლელობა“.<sup>60</sup>

ჯიპადის იდეების მიმართ ბიზანტიელთა უარყოფითი დამოკიდებულება არ იყო განპირობებული არაბების მიმართ კულტურული გაუცხოებით. ი. სტურაიტისი ასკვნის, რომ ბიზანტიელთა მიერ მუსლიმური წმინდა ომის უარყოფას ღრმა თეოლოგიური საფუძველი ჰქონდა და ემყარებოდა ძირეულად განსხვავებულ წარმოდგენას ომისადმი ღმერთის დამოკიდებულებაზე, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა მათ მიერ წმინდა ომის წარმოებას.<sup>61</sup>

კ. დენისიც მიიჩნევს, რომ ბიზანტიელთათვის წმინდა ომის ორივე ფორმა – ჯიპადი და ჯვაროსნობა – მიუღებელი იყო და ისინი აბსოლუტუ-

<sup>56</sup> The Chronicle of Theophanes Confessor: Byzantine and Near Eastern History, AD 284–813. Translated with introduction and commentary by Cyril Mango and Roger Scott with the assistance of Geoffrey Greatrex. Oxford. 1997, p. 465.

<sup>57</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” 14-15; Johannes Koder and Ioannis Stouraitis. Byzantine Approaches to Warfare (6th-12th centuries): An Introduction. Byzantine War Ideology between Roman Imperial Concept and Christian Religion. Eds. Johannes Koder and Ioannis Stouraitis. Vienna. 2012, p. 13.

<sup>58</sup> The Taktika Of Leo VI. Text, translation, and commentary by George T. Dennis. Washington. 2010, XVIII.105, pp. 476-77.

<sup>59</sup> Constantine Porphyrogenitus. De Administrando Imperio. Ed. by Gyula Moravcsik, translated by Romilly J. H. Jenkins. Rev. ed. Washington. 1967, pp. 78-79, 82-83.

<sup>60</sup> Théodore Daphnopatès. Correspondance. Éditée et traduite par J. Darrouzès et L. G. Westerink. Paris. 1978, pp. 55-57.

<sup>61</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” p. 16.

რად უარყოფნენ ორივეს.<sup>62</sup> ბიზანტიულებისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო წმ. ბერნარდ კლერკოლის მტკიცება, რომ ქრისტეს მოწინააღმდეგის მოკვლა ნებადაროულია, რადგან ეს მკვლელობა (*homicide*) კი არ არის, არამედ ბოროტის მოსპობა (*malecide*).<sup>63</sup>

ბიზანტიულთა დამოკიდებულება ჯვაროსნულ იდეებთან, რომ თმი შეიძლება გამართლდეს უფლის ნებით და რომ ურჯულოებთან ბრძოლაში სიკედლით ან მათი მოკვლა საკმარისი იყო ცოდვათა შენდობისა და განწმენდისათვის, საგანგებოდ გამოიკვლია ი. სტურაიტისმა. მკვლევარი ეთანხმება თ. კოლბაბას მსჯელობას იმის შესახებ, რომ ჯვაროსნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ანა კომნენა არ კიცხავს მათ მიზანს წმინდა მიწის გამოხსინის შესახებ.<sup>64</sup> მისი აზრით, კომნენასთან ჯვაროსნული იდეების კრიტიკა იმიტომ არ გვხვდება, რომ ბიზანტიულები მთავარ ყურადღებას აქცევნენ ყოფილი რომაული მიწების გათავისუფლების იდეის სამართლიანობას, რამაც მათ თვალში სხვა ჯვაროსნული იდეები გადაფარა.<sup>65</sup>

ამავე დროს, ანას მიერ გაყიცხული ლათინი მეომარი მღვდლის მაგალითი აჩვენებს, რომ ბიზანტიულებს არ ჰქონდათ იმ სარწმუნოებრივი მიზეზის, ზეგარდმო ბრძანების გაგება, რომელსაც შეეძლო კანონიკური ნორმები გადაეფარა და მღვდლების ომში მონაწილეობა გაემართლებინა.<sup>66</sup>

ნიკეტა ხონიატე პირველი ბიზანტიული ავტორია, რომელიც უკვე იცნობს ჯვაროსნულ იდეას, რომ ბრძოლის გზით ცოდვების გამოსყიდვაა შესაძლებელი. ანას მსგავსად, ისიც ჯვაროსნობას აღიქვამს, როგორც ქრისტი-

<sup>62</sup> George Dennis. Defenders of the Christian People: Holy War in Byzantium, p. 32.

<sup>63</sup> George Dennis. Defenders of the Christian People: Holy War in Byzantium, p. 33.

<sup>64</sup> Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire, p. 212. თუმცა, ის რომ ანასთან ჯვაროსნული იდეოლოგიის კრიტიკას ვერ ვხედავთ, არ ნიშავს, რომ ბიზანტიური საზოგადოება ამ იდეოლოგიას იზიარებდა, რაც ტიპური *argumentum ex silentio* იქნებოდა. 6. ქრიზისისმა აჩვენა, რომ ჯვაროსნული იდეები ასე უცხოც არ ყოფილა აღმოსავლეთ რომაელთაოვის და მოუხედავად იმისა, რომ არ იზიარებდნენ, ისინი ხვდებოდნენ ჯვაროსანთა მოტივაციასა და იდეოლოგიას. Nikolaos G. Chrissis. Byzantine Crusaders: Holy War and Crusade Rhetoric in Byzantine Contacts with the West (1095-1341). The Crusader World. Ed. by Adrian J. Boas. New York. 2016, pp. 262-73.

<sup>65</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” pp. 14, 17-18, 28-30.

<sup>66</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” p. 31. უფლის მიერ მოწოდებული ომი აქტებს ყველა მორწმუნებს იბრძოლოს ღმერთის ბრძანებით და ომში სამღვდელოების მონაწილეობის ლეგიტიმაციასაც ახდენს. Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” p. 34, n. 53.

ანული მიწების გამოსახსნელ სამართლიან ომის.<sup>67</sup> ხონიატე ქებას ასხამს ფრიდრიხ ბარბაროსას (1152-90) იმისათვის, რომ მან დატოვა მშვიდი ცხოვრება და თავი გაწირა პალესტინელ ქრისტიანთა დასაცავად.<sup>68</sup> ბარბაროსას ლაშქრობას ავტორი აფასებს ბიზანტიური იდეოლოგიის შუქჩე, რომლის მიხედვითაც ქრისტიანთა დაცვა და იმპერიის ყოფილი მიწების დაბრუნება სამართლიანი იყო.<sup>69</sup>

ხონიატე თავის თხზულებას ასრულებს 67-ე ფსალმუნით და „ომის მსურველი ერების მიმოფანტგას“ შესთხოვს ქრისტეს, რომელიც სისხლის-ღვრის წინააღმდეგია და მართალს ამარჯვებინებს.<sup>70</sup> ეს სტრიქონები კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგაა დაწერილი და ლათინთა წინააღმდეგაა მიმართული. ხონიატეს სჯერა, რომ დმტრი მართლის მხარესაა და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ზუსტად იმავე სიტყვებით (67-ე ფსალმუნი) აკრიტიკებს ჯვაროსნებს, როგორც ლეონ VI მუსლიმებს. ორივე ბიზანტიული ავტორი, ისევ როგორც მანაძე ნიკეტა ბიზანტიელი, ილაშქრებს ჯიჰადისა და ჯვაროსნობის მთავარი იდეის წინააღმდეგ, რომ ომი შეიძლება იყოს ღვთის სასურველი.<sup>71</sup>

კიზიკოსის ბერძენი ეპისკოპოსი კონსტანტინე სტილბესი ლათინთა წინააღმდეგ დაწერილ თხზულებაში მკაცრად აკრიტიკებს ჯვაროსნებს იმ რწმენის გამო, რომლის მიხედვითაც მათ სჯეროდათ რომ სხვისი მკვლელობით სულს გადაირჩენდნენ, ომში დაღუპული კი სამოთხეში მოხვდებოდა.<sup>72</sup> როგორც ვხედავთ, IX საუკუნიდან მოყოლებული ბიზანტიელთა იდეოლოგიური პოსტულატები უცვლელი რჩება და უარყოფს ომის, როგორც უფლის მოსაწონი საქმის იდეას.

### განსხვავებული აღმსარებლობა როგორც ომის მიზეზი

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ წმინდა ომის ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელია ომის მიზეზად რელიგიური განსხვავებულობის მოყვანა, რო-

<sup>67</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” pp. 34-38.

<sup>68</sup> O City of Byzantium, Annals of Niketas Choniates. Translated by Harry J. Magoulias. Detroit. 1984, pp. 228-29.

<sup>69</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” pp. 39-41.

<sup>70</sup> O City of Byzantium, Annals of Niketas Choniates, p. 362.

<sup>71</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” pp. 48-49.

<sup>72</sup> Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire, p. 217.

მელიც უფლის ნების სახელით ლეგიტიმაციას აძლევს სხვა რწმენის მქონე-  
თა მოკვლასა და დამორჩილებას.<sup>73</sup>

ბიზანტიულებისათვის ომის გამომწვევი სამართლიანი მიზეზი არასოდეს  
განისაზღვრებოდა სარწმუნოებრივი განსხვავებით.<sup>74</sup> ისინი არ განიხილავდნენ  
ომს როგორც რელიგიური მიზნების მისაღწევ საშუალებას, არამედ უყურებ-  
დნენ მას როგორც აუცილებელ ბოროტებასა და გარდაუვალ ცოდვას.<sup>75</sup> ლა-  
თინებისაგან განსხვავებით, ბიზანტიულების არ გამოუყენებიათ ბიბლიური იდე-  
ები ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თ. კოლბაბა აღიარებს, რომ ცალკე-  
ული შემთხვევების გარდა, ბიზანტიური მასალა იძლევა ცოტა მაგალითს,  
როდესაც მტერი განსაზღვრულია სარწმუნოებრივი კრიტერიუმებით, როგორც  
ურჯულო. კონსტანტინე VII პორფირიგნეტი მცირე ფურადლებას უთმობს  
იმპერიის მტრებისა თუ მოკავშირეების რელიგიას. მისთვის უცხო რელიგია  
არ არის საკმარისი მიზეზი უცხოელთა წინააღმდეგ ლაშქრობისათვის.<sup>76</sup>

ბრძოლის წინა ლოცვები და რელიგიური რიტუალები სტანდარტული  
პროცედურა იყო ბიზანტიურ არმიაში, იმის მიუხედავად თუ ვინ იყო მოწინა-  
აღმდევე – წარმართი, მუსლიმი თუ ქრისტიანი.<sup>77</sup> ჰერაკლე კეისარი ინტენსი-  
ურად იყენებდა სარწმუნოებრივ პროპაგანდასა და რელიგიურ სიმბოლოებს  
საიმპერატორო ხელისუფლების წინააღმდევ აჯანყებისას.<sup>78</sup>

ნიკიფორე ფოკას მოთხოვნა ჯარისკაცთა მარტვილად ცნობის შესახებ,  
ხშირად ისეა წარმოდგენილი, თითქოს იმპერატორი ამას მუსლიმებთან ომებ-  
ში დაცემული ჯარისკაცებისათვის აკეთებდა.<sup>79</sup> ი. სტურაიტისი სწორად უთ-  
ითებს, რომ იმპერატორი ამას ყველა ფრონტზე მებრძოლი ჯარისკაცისათვის  
ითხოვდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმპერიის ყველა მტერი, განურჩევლად

<sup>73</sup> ასევე იხ. Ioannis Stouraitis. “Just War” and “Holy War” in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, pp. 229, 232.

<sup>74</sup> Johannes Koder, Ioannis Stouraitis. Byzantine Approaches to Warfare (6th-12th centuries): An Introduction, p. 12.

<sup>75</sup> Ioannis Stouraitis. “Just War” and “Holy War” in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, pp. 230-31.

<sup>76</sup> Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire, p. 204. ბიზანტიურ ფრაზეოლოგიაში, ჩვეულებრივ, მტერი მოხსენიება როგორც პარბა-  
როსი და არა როგორც ურჯულო. Evangelos Chrysos. 1176 – A Byzantine crusade?, p. 84.

<sup>77</sup> Nicholas Oikonomides. The Concept of ‘Holy War’ and Two Tenth-century Byzantine Ivories, p. 66.

<sup>78</sup> Ioannis Stouraitis. “Just War” and “Holy War” in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, p. 236.

<sup>79</sup> მაგ. იხ. Marius Canard. La guerre sainte dans le monde islamique et dans le monde chrétien, p. 617.

რელიგიისა, აგრესორად და ცოდვილად მიჩნევა.<sup>80</sup> უორენ ტრედგოლდი შენიშნავს, რომ „ბიზანტიულთათვის არცერთი ომი არ იყო წმინდა, მუსლიმთა, წარმართოთა და ერეტიკოსთა წინააღმდეგ მიმართულიც კა“<sup>81</sup>

ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა „რჩეული ერი“, „ქრისტიანი ხალხი“, ბრძოლაში უფლის შეწევნა და სხვ., ბიზანტიული ავტორები ერთნაირად იყენებდნენ ქრისტიანი თუ სხვა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის გასამართლებლად. ამიტომაც ი. სტურაიტისი სვამს კითხვას, როგორ უნდა ჩავთვალოთ წმინდად ბიზანტიულთა ომები, თუკი ისინი აღმსარებლობაში სხვაობას არ მიიჩნევდნენ ომის მიზეზად და ამით არ აკმაყოფილებდნენ ასეთი ომების ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს.<sup>82</sup>

### ომის რელიგიური მიზანი

ქრისტიანული სარწმუნოება ყოველთვის იყო საიმპერიო ჯარის მოტივატორი და მამოძრავებელი ძალა,<sup>83</sup> თუმცა ქრისტიანული სიწმინდე ან საკრალური რელიგია არასოდეს გამხდარა ომის მიზეზი ბიზანტიულებისათვის. ძელი ცხოველის გამოხსნა, რომელიც 614 წელს იერუსალიმის სპარსელების მიერ აღებისას დაიკარგა და რომელსაც ასე დიდი ადგილი უკავია ჰერაკლეს

<sup>80</sup> Yannis Stouraitis. State War Ethic and Popular Views on Warfare, p. 83.

<sup>81</sup> Warren Treadgold. Byzantium, the Reluctant Warrior. Noble Ideals and Bloody Realities: Warfare in the Middle Ages. Eds. Niall Christie and Maya Yazigi. Leiden. 2006, p. 212.

<sup>82</sup> Ioannis Stouraitis. "Just War" and "Holy War" in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, p. 237. დ. თინიკაშვილი აკრიტიკებს ი. სტურაიტისის მოსახრებებს და თვლის, რომ ბიზანტიულები წმინდა მოქმედებდნენ. ქართველი ავტორი, რომელიც ცალკე ქვეთავს უძღვნის ი. სტურაიტისის კრიტიკას, მის მხოლოდ ორიოდე სტატიას იცნობს. ბიზანტიური წმინდა ომის ისეთ საფუძვლიან მოწინააღმდეგის, როგორიც სტურაიტისა, ბევრად მეტი ნაშრომი აქვს ამ თემაზე შექმნილი. თავისი კრიტიკისას დ. თინიკაშვილი უგულებელყოფს მოწინააღმდეგის რელიგიის მნიშვნელობას ომის ხასიათის განსაზღვრისას და ასეთ კითხვას სვამს: „რა მნიშვნელობა აქვს მტერი ვინ არის? მთავარი ხომ ის მოტივაციაა, რომელიც მეომარს ამოძრავებს მტრის წინააღმდეგ?“ davit' t'iminakavili. ramdenad uč'xo iquo bizantiisat'vis cminda omis dassavuri idea? axlo aqmoxavle'i da sak'art'velo. X. 2017, pp. 155-56 (დაგით თინიკაშვილი. რამდენად უცხო იყო ბიზანტიისათვის წმინდა ომის დასავლეური იდეა? ახლო აღმოსავლეური და საქართველო. X. 2017, გვ. 155-56). მოწინააღმდეგის რელიგიურ სხვაობას გადამტკვეტი როლი ენიჭება ომის ხასიათის დადგენისას. განსხვავებული აღმსარებლობა, თუკი ის ომის მიზეზად არის ქცეული, წმინდა ომის უტესარ ნიშანს წარმოადგენს. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ბიზანტიულთა ომები წმინდად არ ითვლება, სწორედ მათი განურჩევლობაა მოწინააღმდეგის რელიგიის მმართ.

<sup>83</sup> Paul Stephenson. Imperial Christianity and Sacred War in Byzantium. Belief and Bloodshed: Religion and Violence across Time and Tradition. Ed. by James K. Wellman Jr. Lanham. 2007, p. 84.

სიცოცხლის მიწურულს დაწერილ ლიტერატურაში, არასოდეს ყოფილა იმპერიატორის ომების მიზანი და არც ფიგურირებს თავდაპირველ ნაწერებში.<sup>84</sup> მოგვიანებით, ბასილი II ბულგართმულებმა (976-1025) უკასუხოდ დატოვა ფატიმიანთა ხალიფა ალ-ჰაჯიმის მიერ 1009 წელს ქრისტიანთა უდიდესი სიწმინდის, აღდგომის ეკლესიის დანგრევა.

თავის ნაშრომში დ. თინიკაშვილი ამტკიცებს, რომ ბიზანტიელებმა წმინდა მიწის განთავისუფლებაზე ზრუნვა ჯვაროსნების გამოჩენამდე დაიწყეს: „აღსანიშნავია, რომ კონსტანტინოპოლის ბასილევსებმა ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე დაიწყეს შეიარაღებული ძალების გაგზავნა იერუსალიმში. ბიზანტიის იმპერატორი იოანე ციმისკე (969-976) სომეხთა მეფის აშოტის-ადმი მიმართულ წერილში წერდა, რომ მისი სურვილი იყო „მაცხოვრის წმინდა საფლავის განთავისუფლება მუსლიმთაგან“.<sup>85</sup> ეს აბსოლუტურად მცდარი მოცემულობაა. ბიზანტიის არცერთ იმპერატორს არასოდეს არ მოუწყვია ლაშქრობა იერუსალიმის გასანთავისუფლებლად. მკვლევარს ყოველ-გვარი ანალიზის გარეშე მოჰყავს მათეოს ურკაელის ცნობა. საქმე ისაა, რომ ბიზანტიის იმპერატორის წერილის ავთენტურობა და შინაარსი დიდი ხანია ეჭვს იწვევს ისტორიოგრაფიაში. აშოტ III-ისადმი მიწერილ წერილში, მაცხოვრის საფლავის განთავისუფლების სურვილის გარდა, იოანე ციმისხი კეხნით ამბობს, რომ მან დაიმორჩილა მთელი ფინიკია, პალესტინა და სირია, მათ შორის ბაალეკი, დამასკო, ტიბერია, ნაზარეთი, კეისარია, აკრა, ავიდა თაბორის მთაზე, ადგილობრივთა თხოვნით მმართველები დანიშნა რამლასა და იერუსალიმში და სხვ.<sup>86</sup> ჯერ კიდევ 1925 წელს ვ. ბარტოლდმა ფანტაზიის სუვეროს მიაკუთვნა ციმისხის პალესტინაში შეჭრის ამბავი.<sup>87</sup> რომც დავუშვათ, რომ იმპერატორის წერილი მართლაც არსებობდა, მასში ასახული მოვლენების მხოლოდ მცირე ნაწილია მართალი და არავითარ ლაშქრობას იერუსალიმის მიმართულებით ადგილი არ ჰქონია. ბერძნული, სომხური და არაბული წყაროების შეჯერებით პ. ულკერმა გაარკვია, რომ ციმისხის წერილში გადმოცემული პალესტინის დალაშქრის ამბავი რეალობ-

<sup>84</sup> Paul Stephenson. Imperial Christianity and Sacred War in Byzantium, p. 84.

<sup>85</sup> davit' t' imikašvili. ramdenad uc'xo iquo bizantiisat'vis eminda omis dasavluri idea? p. 154 (დავით თინიკაშვილი. რამდენად უცხო იყო ბიზანტიისათვის წმინდა ომის დასავლური იდეა? გვ. 154).

<sup>86</sup> The Chronicle of Matthew of Edessa. Translated from the original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian. Lanham. 1993, pp. 29-33.

<sup>87</sup> V.V. Bartol'd. Sočineniâ. T. VI. Moskva. 1966, p. 580 (В.В. Бартольд. Сочинения. Т. VI. Москва. 1966, გვ. 580).

აში არ მომხდარა.<sup>88</sup> ბიზანტიის არმია 18 მილზე მიუხლოვდა დამასკოს და უფრო სამხრეთით წასვლა არც უცდია.<sup>89</sup> უოლკერი ასკვნის, რომ 975 წლის კამპანია არ იყო იერუსალიმის გასამთავისუფლებლად მოწყობილი ჯვაროსნული ლაშქრობა და წერილის ისეთი ინტერპრეტაციის გაზიარება, რომელიც გვიჩატავს იმპერატორს, როგორც ჯვაროსნული ლაშქრობის წამომწყებსა და განმახორციელებელს, შეუძლებელია.<sup>90</sup>

იქვე დ. თინიკაშვილს კიდევ ერთი არგუმენტი მოჰყავს: „უფრო მეტიც, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, თვით პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ინსპირატორი ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენტის იყო (მაგ., პიტერ ფრანკრიცის წიგნი მთლიანად ამ ოქმას ეძღვნება)“<sup>91</sup> პ. ფრანკ-კოპანის ნაშრომი, მართლაც, კარგად წარმოადგენს ბიზანტიური კუთხით დანახულ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის გამომწვევ მიზეზებს, მაგრამ ავტორი არსად არ ამტკიცებს, რომ ბიზანტიის იმპერატორს წმინდა ადგილების ბედი ანალვლებდა.<sup>92</sup> ალექსი კომნენტის მიზანს იერუსალიმის განთავისუფლება კი არ წარმოადგენდა, არამედ თურქთა წინააღმდევ ბრძოლაში დასავლეთიდან დახმარების მიღება.<sup>93</sup> მას ცონებაც კი არ შეეძლო დახმარების იმ მასშტაბებზე, რომელიც ურბან II-ის ქადაგებამ აღძრა. საუკეთესო შემთხვევაში, ბიზანტიის იმპერატორი რამდენიმე ათასი მებრძოლის ჩასვლას თუ იმედოვნებდა და არა ათეულობით ათასი ევროპელის გამოჩენას.<sup>94</sup> ბიზანტიის იმპერატორს, ალბათ, მართლაც იმაზე მეტი წვლილი მიუძღვის პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის წამოწყებაში, ვიდრე ეს აქამდე იყო აღიარებული, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა კომნენტის ან ბიზანტიური „წმინდა ომის დოქტრინის“ დამსახურებად ჩაგვეთვალა იერუსალიმისადმი ჯვაროსანთა

<sup>88</sup> Paul E. Walker. The “Crusade” of John Tzimiskes in the Light of New Arabic Evidence. Byzantium. 47. 1977, pp. 313-24.

<sup>89</sup> Paul E. Walker. The “Crusade” of John Tzimiskes in the Light of New Arabic Evidence, pp. 319-21.

<sup>90</sup> Paul E. Walker. The “Crusade” of John Tzimiskes in the Light of New Arabic Evidence, p. 326.

<sup>91</sup> davit' t'inikašvili. ramdenad uc'xo iqo bizantiisat'vis cminda omis dasavluri idea? p. 154 (დავით თინიკაშვილი. რამდენად უცხო იყო ბიზანტიისათვის წმინდა ომის დასავლური იდეა? გვ. 154).

<sup>92</sup> Peter Frankopan. The First Crusade: The Call from the East. Cambridge, MA. 2012.

<sup>93</sup> Jean Richard. The Crusades, c. 1071 – c. 1291. Translated by Jean Birrell. Cambridge. 1999, p. 45; Christopher Tyerman. God's War: A New History of the Crusades. Cambridge, MA. 2006, pp. 118-20; Thomas Asbridge. The Crusades. New York. 2010, gv. 48-49; Peter Frankopan. The First Crusade: The Call from the East, pp. 86-89.

<sup>94</sup> Steven Runciman. A History of the Crusades. Vol. 1. The First Crusade and the Foundation of the Kingdom of Jerusalem. London. 1951, p. 169; Jean Richard. The Crusades, pp. 43-44; Jonathan Riley-Smith. The First Crusaders, 1095-1131. Cambridge. 1997, p. 12.

ლტოლვა. ალექსი I-მა მხოლოდ პრაგმატულად, იმპერიული პოლიტიკის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად და ქვეყნის საკეთილდღეოდ, გამოიყენა ჯვარის ული მოძრაობის ენთუზიაზმი და სწრაფვა წმინდა მიწის განთავისუფლებისათვის.

### მებრძოლთა ზეციური საზღაური

მებრძოლთა იმქვენიური ჯილდო ყველაზე დიდ კამათს იწვევს ბიზანტიური ომის ხასიათზე მსჯელობისას. წმინდა ომის ოეორიის მოწინააღმდეგები ამტკიცებენ, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, ბერძნული ეკლესია არ პირდებოდა ბრძოლაში მონაწილეებსა და დაღუპულებს ცოდვების შენდობასა და მოწამის ხვედრს, მომხსევს კი მოჰყავთ ის რამდენიმე მაგალითი, რომელიც მართლაც იძლევა საწინააღმდეგოს მტკიცების უფლებას.

ბიზანტიურ არმიაში არსებული რელიგიური რიტუალების მოხმობით, თ. კოლბაბა ცდილობს აჩვენოს, რომ მიუხედავად ბერძნულ ეკლესიაში გაპატონებული მოსაზრებებისა, არმიაში სხვა სულისკვეთება სუფევდა: ბიზანტიური მეთაურები თავიანთ ჯარისკაცებს მუძმივად უნერგავდნენ ღმერთის შემწეობის იმედსა და რწმენას, რომ სამსახურის წილ უფალი მათ დამსახურებულ ჯილდოს მიაგებდა.<sup>95</sup>

ლეონ VI ბრძენმა ბიზანტიის იმპერიის მთავარი მოწინააღმდევის, არაბების წარმატება, სამხედრო ორგანიზაციის გარდა, მათი რწმენითაც ახსნა, რასაც თავის ტრაქტატში დაუპირისპირ „ქრისტესმიერი ლაშქრის“ კონცეფცია. ამ კონცეფციის მიხედვით, ბიზანტიის არმიის მთავარ ამოცანას ქრისტიანების დაცვა და საქრისტიანოსათვის ბრძოლა წარმოადგენდა.<sup>96</sup> ვ. კურმას მიხედვით, ლეონ VI ფაქტობრივად „წმინდა ომის“ საკუთარ თეორიას გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ბიზანტიელი სტრატიოგრი იბრძვის საკუთარი სულის სნინისათვის (XVIII.127), ბრძოლის ველზე დაცემულებს კი მარადიული ნეტარება ელით (XIV.31).<sup>97</sup> აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ რუსი ისტორიკოსი ამეტებს ბიზანტიის იმპერატორის თეორიული მემკვიდრეობის შეფასებისას. ლეონ VI-მ მართლაც მეტად გაზარდა ქრისტიანული რელიგიის

<sup>95</sup> Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire, pp. 204-7.

<sup>96</sup> V.V. Kučma. Religioznyj aspekt vizantijskoj voennoj doktriny: istoki i èvolûciâ. Voennaâ organizaciâ Vizantijsko imperii. Sankt-Peterburg. 2001, pp. 77-78 (B.V. Кучма. Религиозный аспект византийской военной доктрины: истоки и эволюция. Военная организация Византийской империи. Санкт-Петербург. 2001, гл. 77-78).

<sup>97</sup> V.V. Kučma. Religioznyj aspekt vizantijskoj voennoj doktriny: istoki i èvolûciâ, p. 78 (B.V. Кучма. Религиозный аспект византийской военной доктрины: истоки и эволюция, гл. 78).

როლი ბიზანტიური არმიის ცხოვრებაში, მაგრამ მისი ნააზრევი შორს არის წმინდა ომის კონცეფციისაგან და მასში ვერ ვიპოვთ წამებულის გვირგვინის დაბირებას დალუბულთათვის.<sup>98</sup> პ. სტივენსონიც უთითებს, რომ ლეონი არსად ახსენებს მარტივობას.<sup>99</sup>

ზოგჯერ ბიზანტიული სარდლები ეკლესიის მიერ ნებადაროთულზე უფრო შორს მიდიოდნენ და მებრძოლთა შესაგულიანებლად ცდილობდნენ თავიანთი ბრძოლისათვის წმინდა ომის ელფერი მიეცათ. ნ. ოკონომიდესი ასეთ შემთხვევებს გამონაკლისად და ანომალიად თვლის, რომელიც შორს იდგა ეკლესიის პოზიციისაგან.<sup>100</sup>

1176 წლის მირიკეფალონის ლაშქრობის დასაწყისში ექვთიმე მალაკესმა მანუელ I კომნენტის ოდა უძღვნა, სადაც აგტორის პირით იმპერატორი აცხადებს, რომ ის ან გამარჯვებული დაბრუნდება ან დამსახურებს მოწამის სახელს. იქვე, იმპერატორი ურთავს, რომ ის არ იბრძვის ბარბაროსთა ქალაქების დასაპყრობად, არამედ მხოლოდ საკუთარის დასაბრუნებლად. აქედან ცხადია, რომ მანუელის მოტივაციას ბიზანტიური სამართლიანი ომის დოქტრინა განაპირობებს, რომლის მიხედვითაც დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება სამართლიანი ქმედებაა. რაც შეეხება მოწამეობას, სტურაიტისის თვლის, რომ ეს მხოლოდ სურვილის და არა დადასტურებული სტატუსის გამოხატულებაა. მართლაც, ნიკეტა ხონიატეს მიერ ამ მარცხიანი ლაშქრობის დეტალური აღწერისას და ვერც სხვაგან, ვერ ვიპოვთ დაცემული მეომრების მარტივობად მოხსენიებას.<sup>101</sup>

<sup>98</sup> ქდრ. The Taktika Of Leo VI, XIV.31, pp. 306-7; XVIII.127, pp. 484-85.

<sup>99</sup> Paul Stephenson. Religious Services for Byzantine Soldiers and the Possibility of Martyrdom, p. 36. შედარებით ახლოსაა ის ამ ტერმინთან, როდესაც მხედარომთავარს ურჩევს ბრძოლის შემდეგ იზრუნოს დაჭრილებზე და საპატიო დაკრძალვა მოუწყოს დაღუპულებს, რომლებიც „მარადის ნეტარებად (μακαρίζειν δηγεκάς)“ უნდა ჩაითვალონ (XIV.31). ტერმინი მაკარიოს პატრისტიკაში ხშირად მიემართება მარტივილს. Paul Stephenson. Religious Services for Byzantine Soldiers and the Possibility of Martyrdom, p. 36.

<sup>100</sup> Nicholas Oikonomides. The Concept of ‘Holy War’ and Two Tenth-century Byzantine Ivories, pp. 66-67. შემთხვევით არ არის, რომ სკილიცე ნიკიფორე ფოკას დაღუპუსი ერთერთ მიზეზად ასახელებს სწორედ მის სურვილს, მიენიჭებინა ბრძოლაში დაცემული ჯარისაცებისათვის მარტივილის სტატუსი, როგორც ბიზანტიური საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელს. John Skylitzes. A Synopsis of Byzantine History, 811-1057. Translated by John Wortley, with introductions by Jean-Claude Cheynet and Bernard Flusin and notes by Jean-Claude Cheynet. Cambridge. 2010, p. 263. სკილიცეს შემდგომ, XII საუკუნეში ითანებული ზონარა, თეოდორე ბალსამონი და მიხეილ გლიკაც ამ საკითხში პატრიარქიას პოზიციას იზიარებდნენ. Angeliki E. Laiou. On Just War in Byzantium, p. 171; Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” p. 54.

<sup>101</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy

პ. სტივენსონი განარჩევს ბიზანტიის არმიასა და სამხედრო წრეებში დამკვიდრებულ შეხედულებებს ბერძნული ეკლესიის ოფიციალური პოზიციისაგან, რასაც ის „მმპერატორულ ქრისტიანობას“ უწოდებს. ეს გახდათ ის რწმენა, რასაც იმპერატორები და მეთაურები უნერგავდნენ ჯარისკაცებს, რომ მათი თავანწირვა ზეციური ჯილდოს გარეშე არ დარჩებოდა. გარკვეულ პერიოდებში, მებრძოლი იმპერატორების (პერაკლე კეისარი, ნიკიფორე ფოკა, იოანე ციმისხი) დროს, ეს რწმენა საკმაოდ ძლიერი იყო.<sup>102</sup>

განვიხილოთ ამ კონტექსტში კონსტანტინე VII პორფიროგენეტის ორი სიტყვა ბიზანტიიდან ჯარისკაცებისა და მეთაურების მიმართ, რომელთაგან ერთი 950 წელს, მეორე კი 958 წელსაა დაწერილი.<sup>103</sup> ორივე ეს სიტყვა მაგისტრ სირიანოსის ცნობილ მოდელზეა დამყარებული, რომელიც მსგავსი შემთხვევებისათვის იყო მოწოდებული. ამ მხრივ, ორივე სიტყვის რელიგიური საძირკველი ჯერ კიდევ სირიანოსის მიერაა ჩაყრილი, თუმცა კონსტანტინე VII კიდევ უფრო ამძაფრებს მათ სარწმუნოებრივ შემადგენელს.<sup>104</sup> იმპერატორი შესთხოვს ეკლესია-მონასტრებს, წმინდა ბერებსა და განდევილებს იღოცონ ბიზანტიური იარაღის წარმატებისათვის, ხოლო ჯარისკაცების სულისა და სხეულის გასამხნევებლად უგზავნის მათ წმინდა წყალს, რომელიც ქრისტეს ვნების რელიქვიებთან შეხებითაა ნაკურთხი.<sup>105</sup>

ერთგან კონსტანტინე VII ამბობს, რომ ის „ამბორს უყოფს ქრისტეს-თვის დაჭრილთა სხეულებს, როგორც მოწამეთა ნაწილებს“.<sup>106</sup> იმპერატორის ამ სიტყვებში ა. მარკოპულოსი ხედავს კონცეფციას, რომლის მიხედვითაც

War,” pp. 42-47; Yannis Stouraitis. State War Ethic and Popular Views on Warfare, p. 86. არც მანამდე, ბიზანტიული ისტორიკოსი მიხეილ ატალიატე, რომელიც მანასკერტის საბედისწერო კამპანიაში (1071) ახლდა იმპერატორს, არ უკავშირებს თავის ისტორიაში ჯარისკაცთა სიკვდილს მარტინობას. Stratis Papaioannou. Remarks on Michael Attaleiates’ History. Pour l’amour de Byzance. Hommage à Paolo Odorico. Eds. Christian Gastgeber et al. Frankfurt am Main. 2013, p. 160.

<sup>102</sup> Paul Stephenson. Imperial Christianity and Sacred War in Byzantium, pp. 88-90; Paul Stephenson. “About the Emperor Nikephoros and How He Leaves His Bones in Bulgaria”: A Context for the Controversial “Chronicle of 811”. Dumbarton Oaks Papers. Vol. 60. 2006, pp. 105-6.

<sup>103</sup> Eric McGeer. Two Military Orations of Constantine VII. Byzantine Authors: Literary Activities and Preoccupations: Texts and Translations Dedicated to the Memory of Nicolas Oikonomides. Ed. by John W. Nesbitt. Leiden. 2003, pp. 116, 123; Athanasios Markopoulos. The Ideology of War in the Military Harangues of Constantine VII Porphyrogennetos. Byzantine War Ideology between Roman Imperial Concept and Christian Religion. Eds. Johannes Koder and Ioannis Stouraitis. Vienna. 2012, pp. 48-49.

<sup>104</sup> Athanasios Markopoulos. The Ideology of War in the Military Harangues of Constantine VII Porphyrogennetos, pp. 49-50.

<sup>105</sup> Eric McGeer. Two Military Orations of Constantine VII, pp. 129, 133.

<sup>106</sup> Eric McGeer. Two Military Orations of Constantine VII, p. 132.

ბრძოლაში დაცემული ჯარისკაცი მოწამედ ითვლებოდა.<sup>107</sup> მაგრამ ერიგ მაკ-გირი სწორად ხსნის ამ მონაკვეთს და აღნიშნავს ნათქვამის პირდაპირ აღ-უზიას კონსტანტინე დიდის ქმედებასთან, როდესაც ის ამბორით ფარავდა ხე-ლისუფალთა დევნის შედეგად დასახიჩრებულ ქრისტიანთა სხეულს.<sup>108</sup>

იმპერატორი ახსენებს თავის ჯარისკაცებს, რომ ისინი ქრისტიანების-ათვის იბრძვიან. ამავე დროს, ის არსად არ ამბობს, რომ ეს უფლის ბრძანე-ბით ხდება, რომ ბრძოლაში დაცემულს სულიერი ჯილდო მოელის; არ ამ-ბობს, რომ ომი წარმოებს ქრისტიანული რწმენის განსავრცობად ან წმინდა ადგილთა დასაბრუნებლად.<sup>109</sup> იმპერატორი მხოლოდ მიწიერ ჯილდოს პირდე-ბა თავის სარდლებსა და ჯარისკაცებს, თითოეულ მათგანს თავისი წოდებისა და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად.<sup>110</sup>

ცნობილია, რომ X საუკუნეში იმპერატორ ნიკიფორე II ფოკას პატრი-არქმა პოლიევქტოსმა და სინოდმა უარი უთხრა ბრძოლაში დაღუპული მეომ-რების მოწამედ გამოცხადებაზე და ბასილი დიდის კანონი მოიშველია, რომ-ლის მიხედვითაც ომში ი სისხლის დამღვრელი 3 წლით უნდა მოკვეთილიყო ზიარებისაგან.<sup>111</sup> ითანა სკილიცე ასე მოგვითხრობს ამ ეპიზოდზე: „მან [ნიკი-ფორე ფოკამ] სცადა შემოედო კანონი, რომ ბრძოლაში დაცემული ჯარისკა-ცები მოწამედ შერაცხულიყვნენ, რომლის შედეგადაც სულის ხსნის ერთა-დერთი და განსაკუთრებული გზა აქტიურ სამხედრო სამსახურში ყოფნა იქ-ნებოდა. ის დაუინტებით სოხოვდა პატრიარქესა და ეპისკოპოსებს ამ დოქტრი-ნაზე თანხმობას, მაგრამ ზოგიერთნი გაბედულად აღუდგნენ მას წინ და ჩაშა-ლეს მისი განხრახვა. მათ დაიმოწმეს ბასილი დიდის კანონი, რომლის მი-ხედვითაც ის, ვინც ბრძოლაში მოწინააღმდეგეს მოკლავდა, სამი წლით უნდა მოკვეთილიყო ზიარებისაგან“.<sup>112</sup>

<sup>107</sup> Athanasios Markopoulos. The Ideology of War in the Military Harangues of Constantine VII Porphyrogenetos, p. 53.

<sup>108</sup> Eric McGeer. Two Military Orations of Constantine VII, pp. 132, n. 84. ამ ნათქვამის კონ-სტანტინე დიდთან კავშირს მარკოპულოსიც აღიარებს. Athanasios Markopoulos. The Ideology of War in the Military Harangues of Constantine VII Porphyrogenetos, p. 53, n. 64.

<sup>109</sup> Eric McGeer. Two Military Orations of Constantine VII, p. 135.

<sup>110</sup> Eric McGeer. Two Military Orations of Constantine VII, p. 120.

<sup>111</sup> Marius Canard. La guerre sainte dans le monde chrétien et dans le monde chrétien, pp. 617-19.

<sup>112</sup> John Skylitzes. A Synopsis of Byzantine History, p. 263. სკილიცეს მონათხრობში ნიკიფორე ფოკა საკმაოდ უარყოფითადაა წარმოჩენილი, რის გამოც უ. ტრედ-გოლდი საერთოდ ფიქრობს, რომ ამბავი გაზიადებულია: წარმოუდგენელია იმპე-რატორს სხოდისაგან მოეთხოვა უბრალო ჯარისკაცის მოწამესთან გათანაბრება. მისი აზრით, ნიკიფორე ფოკას მხოლოდ დაცემულ ჯარისკაცთა ცოდვების მიზ-ვება უნდა მოეთხოვა. მიუხედავად ამისა, ედლესიამ ეს თხოვნაც კი უარყო. Warren Treadgold. Byzantium, the Reluctant Warrior, pp. 220.

ბიზანტიის ისტორიაში სულ რამდენიმე შემთხვევა თუ მოიძებნება, რომელიც შეიძლება შეფასებული იყოს როგორც პრძმლისა და სიკვდილისშემდგომ ჯილდოზე მინიშნება. სტურაიტისი შენიშნავს, რომ ცოდვების მიზევებისა და იმქვეყნიური ჯილდოს კონცეფცია სისტემატურად გამოყენებული იმპერიული იდეოლოგიის ნაწილი რომ ყოფილიყო, ასეთი ფაქტები გაცილებით მრავალი იქნებოდა, რაშიც უნდა დავეთანხმოთ.<sup>113</sup> ისიც აღსანიშნავია, რომ იგივე ავტორები (თეოფანე აღმსარებელი, კონსტანტინე პორფიროგენეტი), რომელთა ნაწერებში ჯარისკაცებისადმი იმქვეყნიური ჯილდოს დაპირებას გვითხულობთ, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მუსლიმურ იდეას, რომელიც ღმერთის მიერ ურწმუნოებთან მებრძოლთა სამოთხით დაჯილდოებას გულისხმობს.<sup>114</sup>

ბიზანტიური წმინდა ომის მოწმობად ხშირად გამოიყენება ოცნებანე აღმსარებელთან დაცული იმპერიატორ ჰერაკლეს მიმართვები ჯარისკაცებისადმი: „არ არსებობს საფრთხე ჯილდოს გარეშე და მას მარადიული სიცოცხლე მოყვება“; მეორეგან, „გავწიროთ თავი უფლისათვის ჩვენი ძმების დასახსნელად. ვინძლო წამებულის გვირგვინიც გვერგოს, რომ მომავალში განგვადიდონ და ღმერთისგან სამაგიერო ჯილდო მივიღოთ“.<sup>115</sup> ჯ. ჰალდონი, მართალია, აღნიშნავს ჰერაკლე კეისარის სპარსული ომების გამორჩეულ რელიგიურ ელფერს, მაგრამ ამავე დროს აღიარებს, რომ ბიზანტიაში არასოდეს არ ჩამოყალიბებულა წმინდა ომის დოქტრინა.<sup>116</sup> აღმოსავლეთ რომის იმპერიის ომებში ცხადად გამოკვეთილი რელიგიური მოტივების დანახვა მნელია, ჰერაკლე კეისარის ომებსაც კი, რომელთა რელიგიური შეფერილობა ნათელია, თავისი პრაგმატული სტრატეგიული მიზნები და მოტივები ჰქონდა.<sup>117</sup> ჯ. დენისიც აღნიშნავს ჰერაკლეს ომების რელიგიურ მიზანდასახულობას, მაგრამ

<sup>113</sup> Ioannis Stouraitis. “Just War” and “Holy War” in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, p. 243.

<sup>114</sup> Ioannis Stouraitis. “Just War” and “Holy War” in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, pp. 246-47.

<sup>115</sup> The Chronicle of Theophanes Confessor: Byzantine and Near Eastern History, pp. 439, 442-43. ამ სიტყვების მნიშვნელობისათვის იხ. Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire, pp. 206-7; Athina Kolia-Dermitsaki. “Holy War” in Byzantium Twenty Years Later: A Question of Term Definition and Interpretation. Byzantine War Ideology between Roman Imperial Concept and Christian Religion. Eds. Johannes Koder and Ioannis Stouraitis. Vienna. 2012, p. 130, n. 50; Paul Stephenson. Religious Services for Byzantine Soldiers and the Possibility of Martyrdom, p. 30.

<sup>116</sup> John Haldon. Warfare, State and Society in the Byzantine World, p. 21.

<sup>117</sup> John Haldon. Eastern Roman (Byzantine) Views on Islam and on *Jihād*, c. 900 CE: A Papal Connection?, pp. 478-79.

იმასაც მიუთითებს, რომ ეს ომები მხოლოდ ერთი ეტაპი იყო რომი-სპარსე-თის ექვსასწლიან დაპირისპირებაში, სადაც წამყვანი იყო გეოპოლიტიკური ამოცანები.<sup>118</sup> ი. სტოიანოვი, რომელმაც მონიგრაფია უძღვნა ჰერაკლეს სპარ-სული ომების იდეოლოგიას, იმ დასკვნამდე მიდის, რომ იმპერატორის რელი-გიური მიზანდასახულობა წმინდა ომის იდეაში არ გადაზრდილა.<sup>119</sup>

რაც მთავარია, სწორედ ჰერაკლე კეისრის შემდეგ ეპოქაში, 691 წლის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებამ მიიღო კანონები, სადაც ათანასე ალექსანდრიიელისა და ბასილი დიდის განწესებები იფიციალურად „შეიწყნარა და დამტკიცა“. აქედან ჩანს, რომ ბერძნული ეკლესია ომში მონაწილეობას განიხილავდა, როგორც სოციალურად მისაღებელ, მაგრამ ქრისტიანისათვის არასასურველ ქმედებას, რომ აღარ-აფერი ვთქვათ მისი საშუალებით სულის ხსნასა თუ მარტვილობაზე.<sup>120</sup>

ბერძნული ეკლესის ისტორიაში იშვიათი გამონაკლისია პატრიარქი მიხეილ აუგორეიანოსი (1208-14), რომელიც XIII საუკუნის დამდეგს ომში დაღუპულებს ცოდვების მიტევებას აღუთვამდა. 6. ოკონომიდესის აზრით, ეს გარემოება დასავლელ ჯვაროსანთა გავლენას უნდა მივაწეროთ.<sup>121</sup> მკვლე-ვარი აღნიშნავს ამ ფაქტის სრულ უგულებელყოფას ისტორიული და კანონი-კური წყაროების მიერ, რაც აჩვენებს, რომ ის ცუდად მიიღეს ბიზანტიელებ-მა და მაღლე დაივიწყეს. ის გარემოება, რომ ოეოდორე I ლასკარისის არ-მია, რომლის ჯარისკაცებისთვისაც ეს გამონაკლისი იქნა დაშვებული, თით-ქმის ყოველთვის მარცხდებოდა ჯვაროსნებთან, უარყოფითად იმოქმედებდა ამ ნოვაციის ეფექტურობაზეც.<sup>122</sup>

ორ საუკუნეზე მეტი გავა, სანამ მსგავს მოვლენას კვლავ შევხვდებით ბიზანტიის ისტორიაში. XIV საუკუნის შუახანებში, როდესაც დასავლეთ ან-ატოლიის უკანასკნელი ბერძნული ანკლავები თურქთა მძლავრ დაწოლის გა-ნიცდიდნენ, მაშინდელი ეკლესიის წმინდანებისა და დღესასწაულების კალენ-დარში შეტანილია რამდენიმე ქრისტიანი ჯარისკაცი, რომლებიც 1341-47 წლების ომში თურქებთან ბრძოლაში დაეცნენ.<sup>123</sup> ი. სტოიანოვი აღნიშნავს,

<sup>118</sup> George Dennis. Defenders of the Christian People: Holy War in Byzantium, pp. 34-35.

<sup>119</sup> Yuri Stoyanov. Defenders and Enemies of the True Cross. The Sasanian Conquest of Jerusalem in 614 and Byzantine Ideology of Anti-Persian Warfare. Vienna. 2011, p. 73.

<sup>120</sup> Yannis Stouraitis. State War Ethic and Popular Views on Warfare, p. 74.

<sup>121</sup> Nicholas Oikonomides. Cinq actes inédits du patriarche Michel Autoreianos. Revue des études byzantines. 25. 1967, pp. 115-21, 132-35.

<sup>122</sup> Nicholas Oikonomides. Cinq actes inédits du patriarche Michel Autoreianos, p. 135.

<sup>123</sup> Yuri Stoyanov. Norms of War in Eastern Orthodox Christianity, pp. 171-72.

რომ წინა შემთხვევის მსგავსად, ეს ცდაც იზოლირებული დარჩა და, რაც მთავარია, არ უღიარება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს.<sup>124</sup>

ბერძნული ეკლესიის მეთაურს ადრეც გამოუთქვა აზრი, რომ ურჯულოებთან ბრძოლა სიკვდილის შემდგომაც შეიძლება დაჯილდოებულიყო. 915 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ I მისტიკოსი მისალოც წერილს წერს ბიზანტიელ სარდალს, რომელმაც სამხრეთ იტალიაში არაბები დაამარცხა, სადაც იმედოვნებს, რომ ის „მისი ღვაწლისათვის დაჯილდოებული იქნება ამ ცხოვრებაშიც უდიდესი პატივით... და იმ ცხოვრებაშიც ჯილდოთი მათვის, ვინც უფალი ჩვენი ქრისტესა და მისი დიდებისათვის იბრძვის“.<sup>125</sup>

დ. თინიკაშვილს მოჰყავს კონსტანტინოპოლის კიდევ ერთი პატრიარქის ნიკეტა II მუნტანესის სიტყვა, რომელიც მისი აზრით, იმის დასტურად გამოდგება, რომ ბერძნული ეკლესია ცოდვების მიტევებას აღუთქვამდა მებრძოლებს.<sup>126</sup> განვიხილოთ ეს ცნობაც სათანადო კონტექსტში: გერმანიის იმპერატორმა ფრიდრიხ I-მა ბიზანტიაში გააგზავნა ელჩობა ისააკ II ანგელოს-თან (1185-95, 1203-4), რომლის შემადგენლობაში მიუნისტერის ეპისკოპოსი და ფრიდრიხის ორი ნათესავი შედიოდა. ბიზანტიის იმპერატორი მათ მეტად უდიერად, ყოველგვარი დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევით მოეპყრო. უკან დაბრუნებულმა და ბიზანტიილებზე გამწყვალმა ეპისკოპოსმა ფრიდრიხს ბარბაროსას უამბო, რომ ის ესწრებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკეტა II მუნტანესის (1185-89) ქადაგებას ჰაგია სოფიაში, სადაც მან თითქოსდა ასეთი რამ სოქა: „ოუკი ბერძენი ას ლათინ პილიგრიმს მოკლავს, მას მაინც შეენდობა ცოდვები, თუნდაც რომ ამ დროს ათი ბერძენი ჰყავდეს მოკლული“.<sup>127</sup> დიდი განსჯა არ სჭირდება იმას, რომ დაინტერესებული მხრის მიერ წარმოდგენილი ეს მოწმობა ნდობას არ იმსახურებს. გასაკვირიც არ არის, რომ დ. თინიკაშვილს ეს ცნობა შესაბამისი კონტექსტისა და ანალიზის გარეშე მოჰყავს: რუსი ისტორიკოსი, რომლის მიხედვითაც ის ამ ეპიზოდს იმ-

<sup>124</sup> Yuri Stoyanov. Norms of War in Eastern Orthodox Christianity, p. 172.

<sup>125</sup> Nikolaos G. Chrissis. Byzantine Crusaders: Holy War and Crusade Rhetoric in Byzantine Contacts with the West, pp. 262-63; Athina Kolia-Dermitsaki. “Holy War” in Byzantium Twenty Years Later: A Question of Term Definition and Interpretation, pp. 130-31.

<sup>126</sup> davit' t'inikašvili. ramdenad uc'xo iquo bizantiisat'vis cminda omis dasavluri idea? p. 151 (დავით თინიკაშვილი. რამდენად უცხო იყო ბიზანტიისათვის წმინდა ომის დასავლური იდეა? გვ. 151).

<sup>127</sup> Aloys Pichler. Geschichte der kirchlichen Trennung zwischen dem Orient und Occident von den ersten Anfängen bis zur jüngsten Gegenwart. B. I. München. 1864, pp. 296-97.

ოწმებს, დაუკერებელს უწოდებს მას.<sup>128</sup> ბიზანტიური ომის ხასიათზე მსჯელობისას მუნტანესის ამ ქადაგებას არც სხვა მკვლევრები იმოწმებენ, სწორედ მისი შეთხზული ხასიათის გამო. ცხადია, რომ მოუნსტერის ეპისკოპოსი დასავლეთელის და არა ბიზანტიელის თვალით დანახულ სამყაროს გადმოგვცემს. აღოიხ პიკლერი, რომელსაც ეს ცნობა მოჰყავს, წერს კიდევ, რომ ასე ლათინები ფიკრობდნენ ბერძნებთან მიმართებაში.<sup>129</sup>

თავის ბოლოდროინდელ ნაშრომში ა. კოლია-დერმიცაკი უთითებს ცალკეულ მაგალითებზე, რომელთა მიხედვითაც ის თვლის, რომ ბიზანტიელებიც აღიარებდნენ ბრძოლის შედეგად მიღებულ ზეციურ ჯილდოს. მას მოჰყავს X საუკუნის ლიტურგიული ტექსტის მაგალითი, რომელშიც ბრძოლაში აღსრულებულები მართლაც არიან მოწამებთან გათხნაბრულები.<sup>130</sup> მაგრამ ამ პიმნთან დაკავშირებული ვითარება ასე ერთმნიშვნელოვანიც არ არის, რაშიც მისი განხილვა დაგვარწმუნებს. X საუკუნის ბერძნული კოდექსის *triodion* (პიმნთა კრებული დიდმართვისა და აღდგომისათვის) ერთი ლიტურგიული ტექსტი განკუთხნილია ყველა გარდაცვლილის სულისათვის და, ასევე, დამატებით, მეთაურთა და ჯარისკაცოათვის, ვინც ბრძოლასა და ტყვეობაში აღესრულა. საქმე ისაა, რომ პიმნის ავტორი ცდილობს უკვე არსებულ წესში ცვლილება შეიტანოს და დაამატოს იმპერიისათვის თავდადებულთა მოსახსენებული. მისი სურვილი ცხადად ჩანს შემდეგ სიტყვებში: „განაწესე უფალო შენი ჯარები, რომლებიც სიცოცხლეს წირავდნენ შენი სახელისა და რწმენისათვის, პირველშობილთა კარვებში, რათა მათ თავი მარტვილებს გა-

<sup>128</sup> A.P. Lebedev. Istoricheskie ocherki sostoaniâ Vizantijsko-vostočnoj cerkvi ot konca XI do serediny XV veka: Ot načala Krestovyh pohodov do padeniâ Konstantinopolâ v 1453 g. Naučnaâ redakciâ, bibliografiâ i imennoj ukazatel' M.A. Morozova. Sankt-Peterburg. 1998, p. 28 (А.П. Лебедев. Исторические очерки состояния Византийско-восточной церкви от конца XI до середины XV века: От начала Крестовых походов до падения Константинополя в 1453 г. Научная редакция, библиография и именной указатель М.А. Морозова. Санкт-Петербург. 1998, гл. 28).

<sup>129</sup> Aloys Pichler. Geschichte der kirchlichen Trennung zwischen dem Orient und Occident von den ersten Anfängen bis zur jüngsten Gegenwart, p. 297.

<sup>130</sup> Athina Kolia-Dermitzaki. "Holy War" in Byzantium Twenty Years Later: A Question of Term Definition and Interpretation, p. 130, n. 51. ამ ტექსტს პ. ხეივენსონიც იმოწმებს და ამბობს, რომ სინაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული X საუკუნის პიმნთა კრებული *triodion* ბრძოლის ველზე დაცემულებს იმქვეუნურ ჯილდოს აღუთქამს. მიუხედავად ამისა, ავტორი აღნიშვნავს, რომ ეს ტრადიცია ვერ აისახა მართლმადიდებლურ კალენდარში და უცნობი დარჩა. Paul Stephenson. Imperial Christianity and Sacred War in Byzantium, pp. 90-91; Paul Stephenson. "About the Emperor Nikephoros and How He Leaves His Bones in Bulgaria": A Context for the Controversial "Chronicle of 811", pp. 107-8; Paul Stephenson. Religious Services for Byzantine Soldiers and the Possibility of Martyrdom, p. 37.

უთანაბრონ“.<sup>131</sup> როგორც ჩანს, ეს პიმნიც კერძო შემთხვევად უნდა ჩაითვალოს, რომელიც არ გამოხატავს ბერძნული ეკლესიის ოფიციალურ პოზიციას. შემთხვევითი არ არის, რომ ჯ. დენისი ამ ლიტურგიულ ტექსტებს უბრალო ლოცვებად მიიჩნევს.<sup>132</sup>

ბიზანტიაში არ გვხდება ჯარისკაცი-მარტვილების კულტი და არც ბრძოლაში დაცემული ჯარისკაცებია დასახული მოწამებად. ბიზანტიური წმინდა მეომრების კულტში ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ ისინი წმინდანები გახდნენ ჯარისკაცობის მიუხედავად და არა ჯარისკაცებად ყოფნის გამო. იმპერიის მრავალი ჯარისკაცი მონასტერში იმიტომ ამთავრებდა ცხოვრებას, რომ ომში მონაწილეობა არ ითვლებოდა ცოდვების მიზევების წყაროდ.<sup>133</sup>

თავად ნიკიფორე ფოკას მიერ ჯარისკაცი-მარტვილების საკითხის დაყენება იმის უეჭველი მტკიცებულებაა, რომ ამ დრომდე მაინც ბერძნული ეკლესია ომში დაცემულ ჯარისკაცებს წმინდანად არ რაცხავდა. იმპერატორის მხრიდან ეს ახალი, მანამდე გაუგონარი კონცეფციის დაწერგვის წარუმატებელი მცდელობა იყო.<sup>134</sup>

აღმოსავლეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მნიშვნელოვნად შეინარჩუნა კონსტანტინემდელი ქრისტიანობის დამკიდებულება ომისა და სისხლისღვრის მიმართ, ხოლო ბიზანტიის სახელმწიფომ მემკვიდრეობით მიიღო რომის იმპერიის სამართლიანი ომის ტრადიციები. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში კონსტანტინემდელი ქრისტიანობის პაციფისტური ტენდენციები ახალი ქრისტიანული იმპერიული იდეოლოგიის ფარგლებში ისეომა მოღვაწეებმა დანერგეს, როგორებიც იყვნენ კირილე ალექსანდრიელი (373-444) და იოანე ოქროპირი (345-407).<sup>135</sup>

IX-XI საუკუნეებში კათოლიკური ეკლესიის წიაღში მრავალი ნოვაცია შეინიშნება, რომლებიც ახლებურად იაზრებდნენ ეკლესიის როლს ომის დროს, რამაც საბოლოოდ ჯვაროსნობა შვა.<sup>136</sup> მსგავსი არაფერი გვხდება

<sup>131</sup> Monica White. Military Saints in Byzantium and Rus, 900-1200. Cambridge. 2013, p. 60.

<sup>132</sup> George T. Dennis. Religious services in the Byzantine army. Eulogema. Studies in Honor of Robert Taft, SJ. Eds. E. Carr et al. Rome. 1993, pp. 107-17.

<sup>133</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” p. 45, n. 85.

<sup>134</sup> Ioannis Stouraitis. “Just War” and “Holy War” in the Middle Ages. Rethinking Theory through the Byzantine Case-Study, p. 246.

<sup>135</sup> Yuri Stoyanov. Norms of War in Eastern Orthodox Christianity, p. 168.

<sup>136</sup> VIII საუკუნის მიწურულიდან რომის პაპთა წერილებში გვხდება მსჯელობა ქრისტიანული რწმენისათვის დაცემულის ცოდვების მიტევებისა და ზეციური ჯილდოს შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელები უფრო მეტი ხანი იყვ-

აღმოსავლეთის საქრისტიანოში, გარდა ცალკეული ცდებისა შეემსუბუქებინათ ბასილი დიდის მე-13 კანონის სიმბიმე. XII საუკუნეში თეოდორე ბალსამონი და ომანე ზონარა ჩიოდნენ, რომ კანონი მეტად მკაცრი და აუტანელი იყო.<sup>137</sup> თეოდორე ბალსამონი, ბიზანტიელი იურისტი, შემდეგ კი ანტიოქიის პატრიარქი, რომელიც ცნობილია სჯულისკანონის კომენტარებით, ბასილი დიდის ამ კანონის განმარტებისას შენიშნავს, რომ ხშირი ომების გამოისობით, თავისი მსახურების პერიოდში ჯარისკაცი ფაქტობრივად ეკლესიიდან განკვეთილი რჩებოდა.<sup>138</sup> ასეთივე არგუმენტი მოჰყავს იოანე ზონარასაც, რომელსაც ბასილი დიდის რჩევა ზედმეტად მკაცრი ეჩვენება და ამბობს, რომ მისი შესრულების შემთხვევაში სწორედ საუკეთესო ჯარისკაცები დარჩებოდნენ უზიარესებრინა.<sup>139</sup> ამ ცდებს არ მოყოლია რაიმე ცვლილება ეკლესიის ოფიციალურ პოზიციაში.<sup>140</sup> ცნობილმა ბიზანტიელმა თეოლოგმა მათე ბლასტარესმა 1355 წელს ანბანის მიხედვით შედგენილ საეკლესიო და სამოქალაქო კანონთა კრებულში *Syntagma alphabeticum*, რომელიც საუკუნეების განმავლობაში პოპულარული რჩებოდა და მრავალ ენაზე (სერბული, ბულგარული, რუსული) ითარგმნა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ბასილი დიდის კანონის ურყევობა და უარყო ზონარასა და ბალსამონის არგუმენტები.<sup>141</sup> ბლასტარესი ეთანხმება ოპონენტებს, რომ რწმენისა და სამშობლოს დაცვა კეთილი საქმეა. შემდეგ უპირისპირებს მათ როულ თეოლოგიურ მსჯელობას, რომ ყველა კე-

ნენ მუსლიმებთან დაპირისპირებულნი, აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მსგავსი მსჯელობა არ შეინიშნება. John Haldon. Eastern Roman (Byzantine) Views on Islam and on *Jihād*, c. 900 CE: A Papal Connection?, p. 478.

<sup>137</sup> Yuri Stoyanov. Norms of War in Eastern Orthodox Christianity, p. 170.

<sup>138</sup> Jean-Michel Hornus. It Is Not Lawful for Me to Fight: Early Christian Attitudes Toward War, Violence, and the State. Translated by Alan Kreider and Oliver Coburn. Rev. ed. Scottsdale. 1980, p. 171.

<sup>139</sup> Patrick Viscuso. Christian Participation in Warfare: A Byzantine View. Peace and War in Byzantium. Essays in Honor of George T. Dennis, S. J. Eds. Timothy S. Miller and John Nesbitt. Washington. 1995, p. 38; Карина Капсалькова. Представления о войне и армии в Византии, p. 216. მასთანაცვე, ზონარა არ იღავშერებს ბასილის კანონის მთავარი იდეის, რომ თმი ცოდვაა. წინადაღმდეგ და მხოლოდ სასჯელის სიმბიმეზე აპელირებს, რომელიც არაპრაქტიკულად ეჩვენება. Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” pp. 55-56.

<sup>140</sup> მით უმეტეს, რომ არც იურისტთა პოზიცია იყო ამ საკითხში ერთგვაროვანი. იმავე XII საუკუნეში, ზონარასა და ბალსამონისაგან განსხვავებით, წმინდა სოფიის ტაძრის ნომოფილაქსი აღექსი არისტებოსი ამტკიცებდა, რომ წმინდა ბასილის კანონი მის დროსაც ინარჩუნებდა პრაქტიკულ ღირებულებას. Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” p. 58.

<sup>141</sup> Patrick Viscuso. Christian Participation in Warfare: A Byzantine View, pp. 33-34; Yuri Stoyanov. Norms of War in Eastern Orthodox Christianity, p. 172.

თოლი ქმედება, რომელიც ვნებას ემყარება, განწმენდას საჭიროებს, ისეთიც კი, როგორიცაა ქრისტიანული რწმენის დაცვა. თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მას მოჰყავს მაგალითები ბიბლიიდან.<sup>142</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბიზანტიელთა სამხედრო იდეოლოგიის განსაზღვრაში, მიუხედავად ცალკეული გამონაკლისებისა, რომლებიც ბიზანტიის ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში კანტი-კუნტად თუ დასტურდება და მიუხედავად ზოგიერთ მოღვაწეთა განწყობისა, საუკუნეების განმავლობაში ბერძნული ეკლესიის ოფიციალური პოზიცია ნათელი იყო: ბრძოლაში დაცემულ ჯარისკაცებს ის არ პირდებოდა ზეციურ საზღაურს.

### **ომისადმი დამოკიდებულება ბიზანტიაში**

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანობას შორის მთავარი განსხვავება იდეოლოგიური იყო. დასავლელი ჯვაროსანი წმინდა ომში სულის ხსნისათვის იბრძოდა, ბიზანტიელი კი სამართლიან ომში რომაული იმპერიის დასაცავად ომობდა. ეს განსხვავება განპირობებული იყო ომის მიმართ დამოკიდებულებით, რომელსაც, თავის მხრივ, განსხვავებული სოციალური და პოლიტიკური გარემო ქმნიდა. დასავლური ფეოდალური არისტოკრატიის მებრძოლი სულისკვეთება უცხო იყო ბიზანტიელთათვის და უხეში ხალხის ბარბაროსულ ჩვევად აღიქმებოდა.<sup>143</sup> ბიზანტიელების მიერ წარმოებული უამრავი ომის მიუხედავად, ისინი არ ასხამდნენ ქებას ბრძოლასა და საბრძოლო გმირობებს, როგორც ამას აკეთებდა დასავლური ცივილიზაცია.<sup>144</sup> მათთვის ასევე უცხო იყო ბრძოლაში დაღვრილი სისხლის განდიდება, რომელიც თანაბრად გვხვდება ტრუბადურთა სიმღერებსა თუ ჯვაროსნულ ქრონიკებში.<sup>145</sup>

მართლაც, ბიზანტიელები ომს მიიჩნევდნენ „ყველაზე დიდ ბოროტებად და ყველაზე უარეს ჭირად“, რომელიც ჯობდა ყველა ხერხით თავიდან აეცილებინათ.<sup>146</sup> საუკეთესო შემთხვევაში, ბიზანტიელები ომს აუცილებელ ბოროტებად თვლიდნენ.<sup>147</sup>

<sup>142</sup> Patrick Viscuso. Christian Participation in Warfare: A Byzantine View, pp. 35-37.

<sup>143</sup> Angeliki E. Laiou. The Just War of Eastern Christians and the Holy War of the Crusaders, pp. 31-34, 38-39.

<sup>144</sup> Timothy S. Miller. Introduction. Peace and War in Byzantium. Essays in Honor of George T. Dennis, S. J. Eds. Timothy S. Miller and John Nesbitt. Washington. 1995, p. 4.

<sup>145</sup> Angeliki E. Laiou. The Just War of Eastern Christians and the Holy War of the Crusaders, p. 40.

<sup>146</sup> George Dennis. Defenders of the Christian People: Holy War in Byzantium, p. 37.

<sup>147</sup> Monica White. Military Saints in Byzantium and Rus, p. 62.

სხვადასხვა ბიზანტიურ წყაროებში, ტრაქტატებსა თუ რელიგიურ ტექსტებში, მუდმივი მოწოდებაა მშვიდობისაკენ.<sup>148</sup> დაახლ. 530 წელს პავია სოფიის დიაკონი აგაპეტოსი, იუსტინიანე დიდის მასწავლებელი, თავის დარიგებებში ხახს უსვამს მშვიდობის მნიშვნელობას.<sup>149</sup> VI საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი დიპლომატი და ისტორიკოსი პეტრე პატრიკიოსი აცხადებს: „ვერავინ უარყოფს, რომ მშვიდობა კურთხულია, ომი კი ბოროტებაა“.<sup>150</sup>

ომისადმი სწრაფვის გამო იმპერატორთა კრიტიკას ეკლესიის მოღვაწე-ნიც ბედავდნენ. ბასილი II-ის მეფობაში დირსი სიმეონ ახალი ღვთისმეტყველი, მართალია, შეფარვით, მაგრამ მაინც აკრიტიკებდა და ქრისტეს სამსჯავროთი ემუქრებოდა „ბასილებს, არხონტებსა და სტრატეგებს“ უწყვეტი ომებისათვის, რომელსაც ბიზანტია ეწეოდა და რომელთა ჭეშმარიტი მიზეზი მათი პატივმოყვარეობა იყო.<sup>151</sup>

მშვიდობისადმი მოწოდება მხოლოდ სამოქალაქო ან სასულიერო პირთა მხრიდან არ ისმოდა. სამხედრო წრეებიც იზიარებდნენ ამ სულისკვეთებას. VI საუკუნის უცნობი ბიზანტიელი სამხედრო მწერალი ომს „დიდ და ყველაზე უარეს ბოროტებას“ უწოდებს.<sup>152</sup> იმპერატორი ლეონ VI ბრძენი (886-912) ომს ეშმაკის საქმედ თვლიდა. კარგ იმპერატორს თავიდან უნდა აერიდებინა როგორც ქრისტიანთა, ისე ბარბაროსთა მსხვერპლიც.<sup>153</sup> XI საუკუნის 70-იან წლებში კეპავმენის თავის ტრაქტატში ბიზანტიელ სტრატეგს ურჩევდა, კარგად მიეღო მოწინააღმდეგის ელჩები და დათანხმებულიყო მის მიერ შემოთავაზებულ ზავს, თუნდაც ამისთვის კონტრიბუციის გადახდა ყოფილიყო საჭირო.<sup>154</sup>

<sup>148</sup> Angeliki E. Laiou. The Just War of Eastern Christians and the Holy War of the Crusaders, p. 40.

<sup>149</sup> Joseph A. Munitiz. War and Peace Reflected in Some Byzantine *Mirrors of Princes*. Peace and War in Byzantium. Essays in Honor of George T. Dennis, S. J. Eds. Timothy S. Miller and John Nesbitt. Washington. 1995, p. 52.

<sup>150</sup> Tilemachos Louorghis. Alternative Means of Conflict Resolution. A Companion to the Byzantine Culture of War, ca. 300-1204. Ed. by Yannis Stouraitis. Leiden. 2018, p. 196.

<sup>151</sup> Karina Kapsalykova. Predstavleniâ o vojne i armii v Vizantii, pp. 58-59 (Карина Капсалькова. Представления о войне и армии в Византии, гл. 58-59). ომების გამართლებისას, ბიზანტიის სახელმწიფო იდეოლოგია ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მისი სურველი იყო მეზობელ ქვექებთან მშვიდობიანი თანაარსებობა. Karina Kapsalykova. Predstavleniâ o vojne i armii v Vizantii, p. 73 (Карина Капсалькова. Представления о войне и армии в Византии, гл. 73).

<sup>152</sup> The Anonymous Byzantine Treatise on Strategy. Three Byzantine Military Treatises. Text, translation, and notes by George T. Dennis. Washington. 1985, pp. 20-21.

<sup>153</sup> The Taktika Of Leo VI, Pr.4, pp. 4-5; II.30, pp. 34-35; Timothy S. Miller. Introduction, p. 4.

<sup>154</sup> Kekavmen. Sovety i rasskazy: Poučenie vizantijskogo polkovodca XI veka. Podgotovka teksta, vvedenie, perevod s grečeskogo i kommentarij G.G. Litavrina. Izdanie vtoroe, pererabot-

ანა კომნენასთვისაც კი, რომელიც უკიდურესად მიღიტარიზებული საიმპერატორო ოჯახიდან იყო და თავის თხზულებაში ბიზანტიის უმაღლესი სამხედრო წრებისა და არისტოკრატის იდეატს ახმოვნებდა, მშვიდობა კვლავ რჩება უმაღლეს ფასეულობად, რომელსაც გონიერი მმართველი უნდა ესწრაფოდეს.<sup>155</sup>

გვიან შეა საუკუნეებშიც ბერძენი ავტორები აქცენტს აკეთებენ ბიზანტიელთა ომების თავდაცვით ბუნებაზე და ომის მიზეზად მათ მოწინააღმდეგა-თა აგრესიულობას, ქედმაღლობასა და სიხარბეს ასახელებენ.<sup>156</sup> მშვიდობა ისევ სასურველია ბიზანტიელებისათვის: XIII საუკუნეში სწავლული და ბერი მაქსიმუს პლანუდესი ომის წინააღმდევ გამოდის; XIV საუკუნეში იოანე VI კანტაკუზინი „ნებისმიერ ომს მშვიდობას ამჯობინებს“, მანუელ II პალეოლოგოსი კი „ყველაზე სამოდ მშვიდობას“ მიიჩნევს.<sup>157</sup>

1202-54 წლებში დაწერილი ოეგნოსტონის დიდაქტიკური თხზულების *Thesaurus* ბოლოსწინა თავში ავტორი ომს მხოლოდ გარდაუვალ აუცილებლობად აღიარებს და ასეთ რჩევას აძლევს იმპერატორს: „ესწრაფე ზავსა და სამშვიდობო მოლაპარაკებას... ერიდე კაცოაკვლასა და საზარელ სისხლისღვრას, რომლებიც თან სდევს ომს“.<sup>158</sup> დაახლ. 1250 წელს დაწერილი ნიკიფორე ბლემიდესის *Regia statua*, რომელიც მის მოწაფეს თეოდორე II ლასკარის ეძღვნება, დეტალურად იხილავს იმპერატორის სამხედრო მოვალეობებს. სამხედრო ხასიათის სხვადასხვა დარიგებების გვერდით, ბლემიდესი აღნიშნავს, რომ ომი სავალალო რამ არის და გარემოებების გამოა თავსმოხვეული იმპერატორისათვის. ომი წარმოდგენილია, როგორც უსიამოვნო აუც-

tannoe i dopolnennoe. Sankt-Peterburg. 2003, pp. 166-67 (Кекавмен. Советы и рассказы: Поучение византийского полководца XI века. Подготовка текста, введение, перевод с греческого и комментарий Г.Г. Литаврина. Издание второе, переработанное и дополненное. Санкт-Петербург. 2003, гл. 166-67).

<sup>155</sup> Ioannis Stouraitis. Conceptions of War and Peace in Anna Comnena's Alexiad. Byzantine War Ideology between Roman Imperial Concept and Christian Religion. Eds. Johannes Koder and Ioannis Stouraitis. Vienna. 2012, pp. 69-70. ამასთანავე, წინა საუკუნეებთან შედარებით „ალექსიადაში“ გარკვეული ცელიდებები შეინიშნება, მასში იმპერიის ელიტის სამხედრო იდეალებს მნიშვნელოვანი ადგილი უქავია და ომი არ აღიქმება ცალსახად უარყოფითად, არამედ როგორც გარკვეულწილად კეთილშობილური საქმე. Ioannis Stouraitis. Conceptions of War and Peace in Anna Comnena's Alexiad, p. 72.

<sup>156</sup> Efstratia Synkellou. War and Peace in the Byzantine World in the Late Middle Ages: Ideological and Social Implications of War in South-West Balkans. Proceedings of the 3rd Annual South-East European Doctoral Student Conference. Eds. Iraklis Paraskakis and Andrej Luneski. Thessaloniki. 2008, p. 269.

<sup>157</sup> Efstratia Synkellou. Reflections on Byzantine “War Ideology” in Late Byzantium, p. 100.

<sup>158</sup> Joseph A. Munitiz. War and Peace Reflected in Some Byzantine *Mirrors of Princes*, p. 54.

ილებლობა, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა დამთავრდეს.<sup>159</sup> თეოდორე II ლასკარისის (1254-58) ნაწერებში ომში წარმატება საამაყოდაა მიჩნეული, მაგრამ ვერც მათში ვიპოვთ ომის განვითარებას.<sup>160</sup>

რ. ტაფტს მოჰყავს პროსპერ „აკვიტანელის“ (-463) გამოთქმა „როგორც ვლოცულობთ, ისე გვწამს“ (*Ut legem credendi lex statuat supplicandi*) და შესაბამისად განიხილავს ბიზანტიური ლიტურგიის შინაარსს.<sup>161</sup> მკვლევრის დასკვნით, ბერძნული ეკლესია უარყოფდა წმინდა ომის იდეას. ბიზანტიელთა დამოკიდებულება ომისა და მშვიდობის მიმართ ჩანს ოფიციალურ ლიტურგიულ ტექსტებში, სადაც ისინი მშვიდობისათვის ლოცულობდნენ და არ განადიდებდნენ ბრძოლასა და გამარჯვებას.<sup>162</sup>

ბიზანტიელთა შედარებით „არააგრესიულობას“ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც განაპირობებდა. უ. ტრედოლდი მართებულად მიუთიოებს, რომ რომაული იმპერიული მემკვიდრეობა სხვებთან შედარებით ბიზანტიელებს უზარმაზარ მორალურ და პრაქტიკულ უპირატესობას აძლევდა და ისინი იმპერიის საზღვრებშიც შესანიშნავად გრძნობდნენ თავს. ბიზანტიელთა უმთავრეს მიზანს არსებული სტატუს კვოს შენარჩუნება წარმოადგენდა, რის გამოც ისინი იმპერიის გაფართოების ნაკლებ სურვილს ამჟღავნებდნენ და ხშირად კმაყოფილდებოდნენ ზავით გარეშე მოწინააღმდეგესთან, მუსლიმებთანაც კი. ამის გამო მკვლევარი ბიზანტიელებს „უხალისოდ მებრძოლებსაც“ კი უწოდებს. საპირისპირო სურათს ვხედავთ სამოქალაქო ომების დროს, რომლებიც მძაფრი დაპირისპირების ფონზე საბოლოო გამარჯვებამდე მიმდინარეობდა და მეტად ხშირი იყო იმპერიაში. უცნაურია, მაგრამ ბიზანტიელისათვის სამოქალაქო ომს მეტი გამორჩენა მოჰკონდა, ვიდრე გარეშე მოწინააღმდეგესთან ომს, რადგანაც საიმპერატორო ძალაუფლება გარეშე მტერთან გამარჯვებაზე უფრო ფასეული იყო. მკვლევარი აღნიშნავს პარადოქსულ ვითარებას ბიზანტიაში, სადაც მებრძოლი იმპერატორები პოპულარობით არ სარგებლობდნენ.<sup>163</sup>

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიზანტიელები ომს უფრთხოდნენ ან ბრძოლა არ ემარჯვებოდათ; ბიზანტიის მრავალსაუკუნ-

<sup>159</sup> Joseph A. Munitiz. War and Peace Reflected in Some Byzantine *Mirrors of Princes*, pp. 55-56; John Haldon. Warfare, State and Society in the Byzantine World, p. 24.

<sup>160</sup> Joseph A. Munitiz. War and Peace Reflected in Some Byzantine *Mirrors of Princes*, pp. 56-57.

<sup>161</sup> Robert F. Taft. War and Peace in the Byzantine Divine Liturgy. Peace and War in Byzantium. Essays in Honor of George T. Dennis, S.J. Eds. Timothy S. Miller and John Nesbitt. Washington, 1995, p. 18.

<sup>162</sup> Robert F. Taft. War and Peace in the Byzantine Divine Liturgy, pp. 26, 31-32.

<sup>163</sup> Warren Treadgold. *Byzantium, the Reluctant Warrior*, pp. 213-21, 224-28.

ოვანი ისტორია სწორედ ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. ბიზანტიულებმა ომი იცოდნენ და ძალიან კარგადაც იცოდნენ. ამასთანავე, ეჭვს გარეშეა, რომ მშვიდობის შესახებ მუდმივად გამეორებული იდეოლოგიური ნარატივი, მით უფრო სამჩედრო ტრაქტატებში, შესაბამის გავლენას იქონიებდა. მართალია, ბიზანტიული სტრატიოგრაფი ომს არ გაურბოდა, მაგრამ ის მისთვის ისე სა-სურველი არ იყო, როგორც ევროპელი რაინდისა<sup>164</sup> თუ ქართველი აზნაურისათვის, რომელთათვისაც ომი ცხოვრების წესი და დაწინაურების უპირველესი წყარო იყო.<sup>165</sup>

ი. სტოიანოვი აღნიშნავს, რომ არც ბიზანტიულთა მისიონერული საქმი-ანობის შედეგად ბალკანეთსა და რუსეთში აღმოცენებულ ეკლესიებს არ გა-ნუცდიათ ის ტრანსფორმაცია, რაც ჯვაროსნულ ეპოქაში დასავლეთის ეკლე-სიამ განიცადა ომთან დამოკიდებულებაში. მეორეს მხრივ, რუსეთში, უკრაინა-

<sup>164</sup> დ. თინიკაშვილი ცდებს, როდესაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს ჟედარებისას ამტკიცებს, თითქოს „საეკლესიო იდეოლოგია და სამხედრო ცნობიერება ამ თო საქრისტიანოში თითქმის არ გაინიჩეოდა ერთმანეთისაგან“. davit' t'mikašvili. ramdenad uč'xo iqo bizantiisat'vis eminda omis dasavluri idea? p. 157 (დავით თინიკაშვილი. რამდენად უცხო იყო ბიზანტიისათვის წმინდა ომის დასავლეური იდეა? გვ. 157). დასავლეური უკოდალეური სამყარო და რაინდული ცნობიერება ძირეულად განსხვავდებოდა ბიზანტიური რელიგიური კონსერვატიზმისა და ბიუროკრატიული იმპერიისგან. შორს რომ არ წავიდეთ, ამისათვის ბიზანტიური წმინდა ომის მომხრის თ. კოლბაბას დამოწმებაც საკარისი იქნება. იხ. Tia M. Kolbaba. Fighting for Christianity: Holy War in the Byzantine Empire, pp. 210-11.

165 შედარებისათვის, XII საუკუნეში ზავის გამო უქმდა დარჩენილმა ქართველმა მოლაშქრებმა გიორგი III-ს (1157-84) საომარი მოქმედების განახლება მოსონოვა იმ მოტივით, რომ „არა არს ლონე დარჩომისა ჩუქინისა თგნიერ ლაშქრობისა და რბევისა“. istoriani da azmani სარავანდეტ'ani. k'artlis c'xovreba. tek'sti dadgenili qvela jirit'adi xelnaceris mixedvit' s. quaxč'išvilis mier. t. II. t'bilisi. 1959, p. 15; istoriani da azmani სარავანდეტ'ani. tek'sti gamosac'emad moamzades guram kartoziam, c'otne kikvijem. k'artlis c'xovreba. red. roin metreveli. t'bilisi. 2008, p. 391 (ისტორიანი და აზმანი შარავანდეფთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მოხდევით ს. ფაუხენიშვილის მიერ. ტ. II. ობილისი. 1959, გვ. 15; ისტორიანი და აზმანი შარავანდეფთანი. ტექსტი გამოხსაცემად მოამზადეს გურამ კარტოზიამ, ცოტნე კიკვიძემ. ქართლის ცხოვრება. რედ. როინ მეტრეველი. ობილისი. 2008, გვ. 391). მევა იძულებული გახდა მათ დასაგმაყოფილებლად გრანიტზელი მარბიელი ლაშქრობა მოეწყო ქვექნის მთელი სამხრეთი საზღვრების გაყოლებაზე. თავისთავად ცხადია, დაცხორმელი მოლაშქრუობა მხოლოდ ქართველ მოქმედთა ბრძოლისა და სახელის სისვარულით არ იყო განპირობებული. ომში მოპოვებული ნადავლი შემოსავლის მნიშვნელოვან წარმოსადგენის ყველა მოლაშქრისათვის, რის გამოც იხინი ძნელად ეგუბოლენენ უმოქმედობას: „არ ჭაბუქთა ჭელია უორობაო“. mose xoneli. amirandarejaniani. gamosac'emad moamzada, gamokvleva da lek'sikoni daur'o lili at'anelišvilm. t'bilisi. 1967, p. 634 (მოხე ხონელი. ამირანდარეჯანიანი. გამოხსაცემად მოამზადა, გამოყვლევა და ლექსიკონი დაუროო ლილი ათანელიშვილმა. ობილისი. 1967, გვ. 634).

სა და სერბეთში ისტორიული მეომარი მეფეებისა და მთავრების (ალექსან-დრე ჩველი, დიმიტრი დონელი, სტეფანე ლაზარევიჩი) კანონიზაცია მიუთ-ითებს, რომ ეს მართლადიდებლური ეკლესიები უფრო მებრძოლად იყვნენ განწყობილნი, ვიდრე მათი დღდა ეკლესია. ბიზანტიური პოლიტიკური აზროვ-ნება ძველებურად ელინისტურ და რომაულ მოდელებს იყენებდა იდეალური მმართველის სახის შესაქმნელად და მებრძოლი მეფის იდეა მაშინაც კი არ მიუღია, როდესაც დასავლური რაინდული კულტურა მასზე ზემოქმედებდა.<sup>166</sup>

ზემომოყვანილი მსჯელობიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ბიზანტია წმინ-და ომებს არ აწარმოებდა. ბერძული ეკლესია დაღუპულ მებრძოლებს მარ-ტვილებად არ რაცხავდა და არც ცოდვებს უტევებდა ბრძოლაში მონაწილე-ობის გამო, ბიზანტიის იმპერატორების სამხედრო კამპანიები კი არასოდეს ყოფილა სარწმუნოებრივი მიზნითა და მიზეზით განპირობებული. არც რელი-გიური რიტუალებისა და სარწმუნოებრივი სიმბოლიკის უხვად გამოყენებას შეუძლია აქციის სამხედრო კონფლიქტი წმინდა ომად. უნდა დავეთანხმოთ ი. სტურაიტის, რომელიც წერს, რომ თუ ჩვენ იმპერიის საზღვრების აღსადგე-ნად მიმართულ ბიზანტიური ომების სარწმუნოებრივ რიტორიკასა და სიმბო-ლიზმს წმინდა ომის მტკიცებულებად ჩავთვლით, გამოვა, რომ წმინდა ომად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი კონფლიქტი, სადაც მებრძოლები ღმერთსა და ზეციურ ძალებს შესთხოვნ დახმარებას.<sup>167</sup>

<sup>166</sup> Yuri Stoyanov. Norms of War in Eastern Orthodox Christianity, pp. 183-85. ჯ. მუნიტისი აკრიტიკებს ა. კაუდანის მოსახრებას, რომელიც თვლიდა, რომ X-XI საუკუნეების ერთ (დაახლოებით ორმოცდათწლიან) მონაცემთში ბიზანტიურ თხზულებებში „მეომარი-მეფის“ იდეალი წარმოიშვა. Joseph A. Munitiz. War and Peace Reflected in Some Byzantine Mirrors of Princes, pp. 57-60. ის დაწვრილებით იკვლევს ბიზანტიურ სარკებს (მმართველისადმი რჩევებს) და ადგენს, რომ მათ გამორჩეული მემკვიდ-რეობითობა ახასიათებთ. ჩასახვის დღიდან ბოლომდე ამ თხზულებებში მთავარი აქცენტი მმართველის ისეთ დირსებებზე კეთდება, როგორიცაა წინდახედულობა, სამართლიანობა, სიმტკიცე და ზომიერება. მკლევარი ასკენის, რომ ამ მხრივ და-სავლურნა რაინდულმა იღეაღებმა ბიზანტიურ აზროვნებაზე ზეგავლენა ვრ მოახ-დინა. Joseph A. Munitiz. War and Peace Reflected in Some Byzantine Mirrors of Princes, p. 60.

<sup>167</sup> Ioannis Stouraitis. Jihād and Crusade: Byzantine Positions Towards the Notions of “Holy War,” p. 24, n. 35.

**Mamuka Tsurtsunia**

Chairman

The State Council of Heraldry at the Parliament of Georgia

## WAR IDEOLOGY IN BYZANTIUM

### Summary

The attitude of the Byzantines towards the holy war has become a topic of discussion in historiography. Most scholars believe that Byzantium did not conduct holy wars and the very idea of a holy war was totally unacceptable to the Oriental Orthodoxy. However, other scholars claim that Byzantium did conduct such wars which were characterised with unique features.

As early as the 19<sup>th</sup> century Gustav Schlumberger refers to the Byzantine Emperors Nikephoros II Phokas (963-969) and John Tzimiskes (969-976) as Proto-Crusaders. This opinion was shared by Rene Grousset and George Ostrogorsky.

The Historians of the latter period rejected the idea of the Byzantine Holy War. V. Laurent claimed that the Byzantine society was far from the idea of the holy war although he mistakenly attributed this to its specific national character and “idle morale”. P. Lemerle considered that it was due to the characteristic features of Orthodoxy that Byzantium rejected the idea of Crusading.

In the last decade of the 20<sup>th</sup> century Greek scholars reintroduced the issue of the Byzantine holy wars. For instance, A. Kolia-Dermitzaki criticised the idea that the Crusades were the only type of Christian holy war. She stated rightly that societies of different order would wage different types of holy wars. According to Kolia-Dermitzaki, the holy war is characterised by the following features: the enemy cannot be Christian; Christians were oppressed by the Muslim enemy; the territories which the war is fought over had to belong to Christians at some point in history; the holy war must be an offensive war.

As claimed by T. Kolbaba, the Byzantine authorities understood the idea of the holy war. Although not frequently, Byzantium still conducted wars against the unbelievers. Notwithstanding the resistance of the official church, the warriors believed in God’s reward of appreciation.

J. Haldon believed that Byzantine wars always were religious and holy as they were fought under the cross. The warriors referred to themselves as Christ's soldiers and defended the Kingdom of Christ on the earth as well as the Christian faith. P. Magdalino writes that, starting from the Emperor Heraclius, Byzantium had had its own tradition of holy war which were also influenced by the religious militancy of Crusaders and Muslims.

G. Regan took the theory even further when, by criticising Kolbaba, he insisted that it was the holy wars conducted by the Emperor Heraclius that influenced Jihad and Crusades. However, Regan was severely criticised by Treadgold, who indicated the major mistake made by Regan claiming that not all the wars fought by the believers can be classed as the holy war.

Accordig to A. Laiou, Byzantine wars were not holy wars as the latter were fought by the church and the warriors were promised forgiveness of their sins. Sharing her position, Nicolas Oikonomidès claimed that Byzantium was not aware of the real holy war.

G. Dennis puts forward three major criteria for determining the nature of the holy war: the holy war must be declared by the religious authority and its main goal must be religious (for instance, redemption of lost holy objects; subjection of others to their own faith, etc). The participants of the war must obtain a spiritual award, which can be either forgiveness of their sins or a guaranteed place in the Paradise. The wars fought by Byzantium were not the holy wars, but they were just, imperial wars fought for the defense of the Empire or for regaining lost territories.

W. Kaegi mentioned that the Greek church did not promise a divine reward for military service and death against the Muslims and that the wars against the Muslims were conducted by the Imperial authorities. Next, the author poses a question about the holiness of such war.

The answer to this question as well as the exploration of features of the Byzantine holy war is of great importance for Georgian historical studies due to the fact that Georgian Christianity, being close to the Byzantine faith, mostly performed according to the Greek teaching.

The arguments about the character of the Byzantine war demanded setting up clear criteria of the definition of the Holy war. As pointed out by A. Kolia-Dermitzaki, instead of the Pope or the Caliph, the war generally, and the Holy war specifically, could be declared by the Emperor of Byzantium who, together with political leadership, was the protector of religion and was considered as God's vicar. Interestingly, T. Kolbaba amended Kolia-

Dermitzaki's assumption by adding that together with being offensive the Holy War may also have a defensive character.

Not delving into the second-rate features of the war, there remain two important characteristic points without which the war cannot be regarded as Holy: 1) the Holy war should be religious and have a distinct religious goal and 2) the participants should be forgiven their sins or granted martyrdom.

Whilst considering these features in the context of the Byzantine wars the following should be considered: the importance of the religious factor concerning the wars of the Empire, Byzantine theory of the “just war”, the attitude of Byzantium toward Jihad, Crusaders and the ideas behind these concepts as well as the approach of the Byzantines towards the war as such.

### **The religious factor in the Byzantine wars**

Like Western Catholicism, the participation of the Oriental Orthodox Church in the war was expressed through the priests accompanying the warriors and conducting masses during the military campaigns, employing religious symbols and relics during the military actions, blessing the banners and armament, conducting religious ceremonies in honour of the slain soldiers and gratitude rites in the case of victory.

Religious symbols and rites employed by the army did not change the essence of the war. The Christian signs and rhetoric were used to boost the morale and self-confidence of the soldier.

### **The Byzantine “Just War”**

While conducting the war, the Byzantines considered its justness to be the most important factor. The defensive war which was conducted to defend the territories of the Empire and the population from outside invasion, whether by Christians or Muslims, was considered to be just. According to the rational approach of the Byzantines, the law and not God's will determined whether the war was morally justifiable or not. Only the side which was fighting for just cause would be helped by God.

The ideology of the Byzantine war was based on the theory of the Roman just war which underwent a distinct Christianisation. The duty of the “Christian Romans” was to protect Constantinople – the city which was deemed as the “New Rome” and the “New Jerusalem” and also the Christian Roman Empire, which was considered to be the “New Israel”. This Christianised theory of the just war became the foundation of the Byzantine Imperial ideology.

The West relied on the general theory by St. Augustine according to which a fight against injustice is a just war. This theory made it possible to interpret the war in a number of ways. However, the Byzantine Emperor Leon VI considered the attack on the territory of the country to be the only injustice. A logical result of this theory is the war with limited purposes, such as serving only the defensive goals. Conversely, the goals of the Holy War conducted by Western Christians are unlimited and aim at the victory of Christians over the pagans and unbelievers.

Using the example of the *Taktika* by Leo VI, I. Stouraitis showed convincingly that Byzantium paid major attention to justness. Adopting the rational attitude they claimed that the justness of the war was defined by the moral and the law and not by the God's will.

I. Stouraitis points out that those siding with the Byzantine Holy Wars have never succeeded in finding an example of the war whose cause would be religious difference and destruction or subjugation of unbelievers and not the attempt for the restoration of the Empire. Both the theory of the offensive Holy War suggested by Dermitzak and that of the defensive wars included in the same category by Kolbaba employed the religion for legitimisation. However, the main argument confirming the just character of the war is based on the political axiom of the souverenity of the territory of the Roman Empire. This is admitted by the authors themselves. Stouraitis is right when criticising the theoretical approach which employes the terminology of the Holy War in order to determine the principle of justice, which does not consider the religious differences or religious laws to be determining factors for the participation in the war.

### **Attitudes of the Byzantines toward the Jihad and the Crusades**

The Byzantine authors considered it to be prejudicial to believe that people slain in wars would find themselves in Paradise. The Byzantines criticised two major ideas of Jihad: that God wanted to destroy all the unbelievers and that the fighter against the unbelievers deserved both, the crown of the Martyr and Paradise. In the 9<sup>th</sup> century Theophanes the Confessor considered the idea about giving rewards for the killing of the enemy or being killed in warfare absurd. In the same century Nicetas Byzantios rejected the idea which justifies the murder of a human being through the divine will. Leo VI blamed Arabs for considering their God to be a reason for war and cruelty. Constantine VII Porphyrogenitus went against the Muslim idea regarding

redemption of sins through participating in the war. Stouraitis concluded that the denial of Muslim holy wars by Byzantium was based on a deep theological foundation and an absolutely different idea about God's attitude towards war. This, in its own turn, excluded any opportunity of conducting the holy war.

G. Dennis points out that the Byzantines considered both forms of the Holy War – the Jihad and the Crusades – unacceptable, and therefore they rejected both. They found Bernard of Clairvaux's assertion that killing an enemy of Christ was not *homicide* but *malecide* inadmissible.

### **Different confessions as a cause of war**

The Byzantines never considered the differences in confessions as the reason for war. They did not consider war as a means to achieve religious goals but looked at it as a necessary evil and inevitable sin. Kolbaba admits that except for individual cases, Byzantine sources provide few examples of an enemy to be defined as an unbeliever. Constantine VII Porphyrogenitus pays little attention to the religion of either the enemies of the empire or its allies. A foreign religion is not a sufficient cause for campaigning against foreigners.

### **The religious purpose of the war**

Christian faith always served both as a driving force and a motivating power for the imperial army, although Christian holy or sacred relics never became a cause of war for the Byzantium. The redeeming of the True Cross, lost in 614 while the conquest of Jerusalem by the Persians, which occupies a central place in the literature written at the end of the life of Heraclius, never served as the purpose of the Emperors' wars and never appeared in the original writings. Later, Basil II (976-1025) did not respond to the destruction of the Holy Sepulchre, most sacred place of Christianity by Fatimid caliph al-Hakim.

### **The heavenly reward of warriors**

The heavenly prize for the warriors is arguably the most controversial issue concerning the Byzantine war. Opponents of the theory of the Holy War argue that except for a few cases, the Greek Church did not promise the warriors and slain soldiers martyrdom and forgiveness of sins. On the other hand, the supporters of the idea bring several examples that actually contradict the claim.

Based on the rituals in the Byzantine army, Kolbaba tries to show that despite the prevailing views in the Greek Church, the army carried a different

spirit: the Byzantine commanders were continually encouraging the soldiers to hope for God's help and believe that the Lord would reward them according to their merit. P. Stephenson refers to such views in the Byzantine army and military circles as the “imperial Christianity.”

Leon VI the Wise explained the success of the Arabs, the main adversaries of the Byzantine Empire, by the combination of their religious faith and military organization. In his treatise, Leon VI contrasted these factors with concept of “soldiers of the Christ”, according to which the main task of the Byzantine army was to protect Christians and to fight for Christendom. However, his theory is far from the concept of the Holy War, and the promise of the crown for the martyrdom cannot be found either. Stevenson also points out that Leon VI does not mention martyrdom anywhere.

Sometimes the Byzantine commanders pushed the boundaries permitted by the church and made an attempt to inspire the warriors by referring to their fights as the Holy War. N. Oikonomidès classed such cases as exceptional and anomalous, which is far from the position of the church.

In this context let's consider two addresses to the Byzantine soldiers and commanders by Constantine VII Porphyrogennetos written in 950 and 958. The Emperor requests the churches and monasteries, the holy monks, and the hermits to pray for the victory of the Byzantine weapons, and sends the soldiers the containers with the Holy water. Constantine VII states that “we will kiss your bodies wounded for the sake of Christ in veneration as the limbs of martyrs.” According to A. Markopoulos, these words by the Emperor reveal the concept according to which the soldier entering the battle was considered a martyr. However, McGregor explains this process rightly while pointing out the direct allusion to Constantine the Great kissing the bodies of Christians maimed and killed as a result of the persecution from the authorities.

The Emperor reminds his soldiers that they are fighting for Christians. At the same time, he does not mention that it is by the order of the Lord, that the spiritual reward awaits the fallen in battle. Neither does he say that the war is for the spread of the Christian faith or the return of lost holy places. The Emperor only guarantees the earthly reward to his commanders and soldiers, each according to their individual rank and occupied position.

It is also well-known that Emperor Nikephoros II Phokas' was denied granting the warriors killed in wars the status of martyrs by the Patriarch Polyeuctus and the Synode. The Patriarch based his decision on the law introduced by Basil the Great according to which those who shed blood were

denied communion for three years.

In order to discuss the Byzantine Holy War, the appeals to soldiers by Emperor Heraclius, cited by Theopanus Confessor are frequently used: “The danger is not without recompense: nay, it leads to the eternal life”; another extract runs in this way: “let us sacrifice ourselves to God for the salvation of our brothers. May we win the crown of martyrdom so that we may be praised in the future and receive our recompense from God.” Although J. Haldon indicates the religious significance of the Persian Wars conducted by Heraclius, at the same time he admits that the doctrine of the Holy War has never been established in Byzantium. Y. Stoyanov who dedicated a monograph to the Persian Wars conducted by Heraclius reaches the conclusion that religious determination of the Emperor did not turn into the idea of the Holy War.

Most importantly, in 691 the World Ecumenical Council of Constantinople adopted the laws which formally approved the commands of Athanasius of Alexandria and Basil the Great. From this it becomes clear that the Greek Church considered participation in the war as socially acceptable and religiously forgivable, but an undesirable behavior for a Christian, not to mention the martyrdom or salvation of the soul through the war.

The rare exception in the history of the Greek Church is Patriarch Michael IV Autoreianos, who promised to forgive the sins of the soldiers slain in wars at the beginning of the 13<sup>th</sup> century. Oikonomidès believes that this must have been influenced by the Western crusaders. The researcher notes that this fact is completely neglected by both historic and canonical sources which shows that it was soon forgotten by the Byzantines.

More than two centuries will pass until we come across a similar event in the history of Byzantium. In the middle of the 14<sup>th</sup> century, when the last Greek enclaves of Western Anatolia started to experience a stronger pressure from the Turks, a contemporary Church calendar granted martyrdom to several Christian soldiers who fell in battle in 1341-1347. Stoyanov notes that, like the previous case, this attempt was isolated and, most importantly, was not recognized by the Constantinople patriarchate.

In his recent work, Kolia-Dermitzaki refers to a number of separate examples, which led her to the belief that the Byzantines also recognized the heavenly reward for the battle. He cites an example from a 10<sup>th</sup> century’s liturgical text in which the soldiers killed during the fight are equal to the martyrs. However, the situation related to this hymn is not unequivocal. The 10<sup>th</sup> century *Triodion* (The Book of hymns for Lent and Easter) is a liturgical

text designed for the dead souls and in addition, for the commanders and soldiers who died either during battles or in captivity. The point is that the author of this hymn attempts to make a change to the existing rule and add the memory of the soldiers who died at war. His desire is clearly expressed in the following words. Apparently, this hymn should be considered as a separate case that does not express the official position of the Greek Church. It is not accidental that G. Dennis believes that these liturgical texts are simple prayers. P. Stephenson also notes that this tradition was not reflected in the Orthodox calendar and therefore remained unknown.

In the 12<sup>th</sup> century, Theodore Balsamon and Joannes Zonaras complained that the 13<sup>th</sup> law by Basil the Great was extremely severe and unbearable. These attempts were not followed by any changes in the official position of the Church. The famous Byzantine theologian Matthew Blastares in the book of church and civil laws *Syntagma Canonum* which was compiled in alphabetical order in 1355 and which remained popular for centuries and translated into many languages (Serbian, Bulgarian, Russian), confirmed once again the importance of the law by Basil the Great and rejected the arguments provided by Zonaras and Balsamon.

Although the fact that the Church played an important role in determining the Byzantine military ideology, despite several exceptions in the Byzantine Church's centuries-long history and attitudes expressed by several official figures, the position of the Greek Church over the centuries was obvious: it did not promise the heavenly reward to the slain in wars.

From the above discussion, it becomes obvious that Byzantium did not carry out sacred wars. The Greek Church did not consider the killed soldiers as martyrs, nor were they forgiven sins for their participation in the battle, and the military campaigns of the Byzantine Emperors had never been based on religious grounds. The excessive use of either religious rituals or symbols cannot turn a military conflict into the Holy War. We must agree with I. Stouraitis that if we consider the rhetoric and symbolism of the Byzantine wars employed for the restoration of the borders of the Empire, as a proof of the Holy War, any type of conflict in which the warriors pray to God and heavenly forces for help, can also be regarded as a sacred war.

თანა  
კაზარიანი  
მკვლევარი

გაბრიელ შეპანელის უახლოესი შთამომავლების კონტაქტები  
იერუსალიმის სამეფოსთან და პოსპიტალიერების ორდენის წევ-  
რებთან XII საუკუნეში\*

გაბრიელ შეპანელის უახლოესი შთამომავლების შესახებ საკითხის კვლევისას პირველ ყოვლისა აკადემიკოს ელ. მეტრეველის ნაშრომი უნდა ვახსენოთ, რომელმაც გაბრიელ შეპანელის ბიოგრაფიის შესახებ მაქსიმალურად ზუსტი დეტალები მოგვაწოდა: „შეპანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში“.<sup>1</sup> ჩვენი აზრით, ეს არის გაბრიელ შეპანელისა და მის მიერ დაარსებული მონასტრის შესახებ არსებული ყველაზე ნაყოფიერი კვლევა. ელ. მეტრეველი აღნიშნავს, რომ აღაპ-მისახსენებლებისა და ანდერძებში შემორჩენილ ცნობებზე დაყრდნობით, რომლებიც იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში დაცულ ქართულ ხელნაწერებში შემოინახა, ის მივიდა დასკვნამდე, რომ გაბრიელ შეპანელი XI საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მოღვაწე იყო, წარმოშობით თბილისიდან. ხელნაწერების თანახმად, ჯვრის მონასტრის სამმოში მას დიდი ავტორიტეტი გააჩნდა და პოპულარულობით სარგებლობდა. ამავე მონასტერში ის თავდაპირველად თავის ასკეტურ და კულტურულ ღვაწლს ეწეოდა ჯვრის მონასტრის ცნობილ აღმშენებელთან, გიორგი-პროხორევესთან ერთად. შემდგომში, გაბრიელი ქართველ ბერებთან ერთად ჯვრის მონასტერს ტოვებს და მდინარე არნონის ხეობაში მიდის, ტრანსიორდანიაში, სადაც შეპანის მთაზე, მკვდარი

\* სტატიაზე მუშობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ ვლადიმერ კეჭელიას.

<sup>1</sup> E. Metreveli. Shehanis udabno – XI saukunis uenobi k'art'uli skiptoriumi palestinashi. "Mravalt'avi". p'ilologuri-istoriuli dziebani. tomi V. t'bilisi. 1975, pp. 22-44 (ე. მეტრეველი. შეპანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, „მრავალოავა“. ფილოლოგიურ-ისტორიული ძეგლი. ტ. V. თბ. 1975, გვ. 22-44).

ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ახალ ქართულ სავანეს აარსებს, რომელსაც პალესტინის ქართულ ხელნაწერებში შეჰანის უდაბნო ეწოდება. გაბრიელს სავანის მაშენებელი და წინამძღვარი ეწოდება. ელ. მეტრეველის კვლევების თანახმად, ამ სავანეში სკრიპტორიუმი არსებობდა, რაც შეჰანელი ბერების პულტურული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. სამმო ჯვრის მონასტრის თანადგომით სარგებლობდა. ზემოხსენებული მაგალითები აჩვენებს, რომ შეჰანის სავანე წმინდა მიწაზე ქართველთა მთავარი სავანის – ჯვრის მონასტრის – ერთგვარი „ფილიალი“ ან მეტოქი იყო. სავანე, შესაძლოა, ჯვრის მონასტრის შორეული სკიტიც ყოფილიყო.

გარდა ზოგიერთი ქართული იერუსალიმური ხელნაწერისა (ესენია Jer.Geo. 42 და Jer.Geo. 50),<sup>2</sup> რომელიც გაბრიელ შეჰანელზე მნიშვნელოვან (ოუმცა მცირე) ინფორმაციას გვაწვდიან, შემონახულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომელშიც გაბრიელია ნახსენები. წყარო პალესტინის ამ ქართველი მოღვაწის შთამომავლებს ეხება. ეს გახლავთ XII საუკუნის ქართული ხელნაწერი Geo. 28, რომელიც პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია დაცული.<sup>3</sup> ხელნაწერი ოთხთავია, ინახებოდა ჯვრის მონასტერში. ხელნაწერზე არსებულ მინაწერებში, მოსახსენებლებში, სხვადასხვა პირებთან ერთად ჯვაროსნებიც იხსენიებიან.<sup>4</sup> მოსახსენებელთა შორის №4 – გაბრიელ შეჰანელის შეილიშვილებს მოიხსენიებს. მინაწერის ჩაწერის დროისათვის ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ჩვენ სრულად მოგვაქვს ტექსტი:

„ქ[რისტე ღმერთო] დაიცვენ და შეიწყ(ალე)ნ მმ(ა)ნი ჩ(უ)ნი ი(ო)ს(ე)ბ  
და ი(ოან)ე, გ(ა)ბრ(ე)ლ | [შ]ეჰანის მ(ა)შ(ე)ნებლისა შვილის შვილნი. და  
ღირს ყვენ ჩ(ვ)ენ ჩ(უ)არ(ე)ლთა მმ(ო)ბ(ა)სა და შეჰანისსა“ (246v).<sup>5</sup>

<sup>2</sup> E. Metreveli. Shehanis udabno – XI saukunis ucnobi k'art'uli skriptoriumi palestinashi, pp. 24-48 (ე. მეტრეველი. შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, გვ. 24-28).

<sup>3</sup> E. Metreveli. Shehanis udabno – XI saukunis ucnobi k'art'uli skriptoriumi palestinashi, pp. 23 (ე. მეტრეველი. შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, გვ. 23).

<sup>4</sup> E. Metreveli. Shehanis udabno – XI saukunis ucnobi k'art'uli skriptoriumi palestinashi, pp. 23 (ე. მეტრეველი. შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, გვ. 23).

<sup>5</sup> E. Metreveli. Jvris monastris kidev ert'i k'art'uli khelnats'eri jvarosant'a mosakhseblebit'. ivane javakhishvilis 100 ts'lis't avisadmi midzghvnili saiubileo krebuli. t'bilisi. 1976. p. 256 (ე. მეტრეველი. ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით. ივანე ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ. 1976, გვ. 256).

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ელ. მეტრეველი ამ მოსახსენებელს XII საუკუნის შუა ხანებით ათარიღებს, რასაც ვიზიარებთ. მინაწერში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ გაბრიელ შეპანელს ჰყავდა შვილიშვილები: იოსები და იოანე. ამ მოსახსენებელის ჩაწერის დროისთვის, როგორც ჩანს, გაბრიელი უკვე აღარ იყო ცოცხალი, მაგრამ მისი შვილიშვილები ამ დროს შეპანის მონასტერში მოღვაწეობენ (ან მის ახლო წერეში არიან), რომელიც მათმა პაპამ დაარსა. როგორც ჩანს, ისინი არა მხოლოდ შეპანის, არამედ წმინდა ჯვრის მონასტერშიც მოღვაწეობენ, რაზეც ხსენებული ჩანაწერი მეტყველებს – „და ღირს ყვენ ჩ(ვე)ნ | ჯ(უა)რ(ე)ლთა ძმ(ო)ბ(ა)სა და შეპანისსა“ (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ). ამგვარად, გაბრიელის შვილიშვილები ორი მონასტრის ურთიერთობის ტრადიციას აგრძელებენ, რომელიც ჯერ კიდევ მათმა პაპამ დააწესა. სავარაუდოდ, თავად გაბრიელი ჯვაროსანთა თანამედროვე არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ეს არცერთ წყაროში არ ჩანს, მისი შვილიშვილები კი, როგორც ხელნაწერიდან ჩანს, ჯვაროსანთა თანამედროვენი იყენენ, მათი მოსახსენებელი კი (Geo. 28 ხელნაწერიდან) იმავე პერიოდის ჯვაროსანთა მოსახსენებლებთან ერთად არის ჩაწერილი. შესაძლოა, რომ იოსებისა და იოანეს გზები ჯვაროსნებთან ჯვრის მონასტერში იკვეთებოდა. ამას გვაფიქრებინებს ლათინური იურიდიული დოკუმენტი – ჩუქების ტექსტი. ტექსტი ამავე სიტყვით იწყება – „ჩუქება“, რომელიც XII საუკუნის შუა ხანით თარიღდება. ეს არის იოსების და იოანეს, გაბრიელ შეპანელის შვილიშვილების, ცხოვრების პერიოდი. თუ გაბრიელს შვილიშვილები ჰყავდა, ცხადია მას შვილი (ან შვილები) ეყოლებოდა. „ჩუქება“ მნიშვნელოვანი იმთაც არის, რომ ინფორმაციას გვაწვდის გაბრიელის ვაჟის (იოსებისა და იოანეს მამის) სახელსა და სავარაუდო სტატუსზე. „ჩუქების“ ლათინური დოკუმენტის თანახმად მას საბა ერქვა და ხელნაწერში ის „ქართველად“ იხსენება. „ჩუქება“, რომელშიც პალესტინელი ქართველები იხსენიებიან დაცულია ჰოსპიტალიერთა ორდენის ჩუქებების არქივში. დოკუმენტი 1895 წელს ფრანგმა მკვლევარმა J. Delaville le Roulx-მ გამოსცა XII საუკუნისა და შემდგომი ხანის სხვა მრავალი „ჩუქების“ დოკუმენტებთნ ერთად. „ჩუქებების“ მკვლევარმა ფრანგული თარგმანით გამოსცა. გთავაზობთ ჩვენთვის საინტერესო „ჩუქების“ ფრანგულ ტექსტს და მის ქართულ თარგმანს:

«Sans date [vers 1160]. – Donation faite par **Joseph et Jean**, frères, enfants de **Saba Géorgien**, d'un casal appellé en langue arabe «Hara», situé dans la plaine sous la montagne de Saint-Moyse, dite en arabe «Jeham», qui avoit été donné à leur père par Baudouin, II<sup>e</sup> du nom, roy de Hierusalem, sans datte»;

„უთარიდო [დაახლ. 1160]. – კაზალის ჩუქება, საბა ქართველის ვაჟების – ძმების იოსებისა და ოოანეს მიერ, რომელსაც არაბულ ენაზე „Hara“ ეწოდება; რომელიც [„Hara“] წმ. მოსეს მთის ძირში, ვაკეზეა განლაგებული, რომელსაც [ადგილს] არაბულად „Jeham“-ს უწოდებენ, რომელიც [ანუ კაზალი] მათ მამას ბოლუენმა აჩუქა, მეორემ სახელით – იერუსალიმის მეფემ, ფინიკების გარეშე“.<sup>6</sup>

ფრანგი მკვლევარი ამ „ჩუქებას“ დაახლ. 1160 წლით ათარიდებს, „ჩუქებათა“ სიაში კი №62-ა. ფრანგული და ქართული ტექსტების შედარებისას, Geo. 28 ხელნაწერის მოსახსენიებელი №4 და №62 „ჩუქება“, პალესტინის ქართველ მოღვაწეთა სამ თაობას ვადგენთ: იოსები და ოოანე, რომელებიც Geo. 28-ის თანახმად გაბრიელ შეპანელის შვილიშვილები და საბა ქართველის შვილები არიან, რაც „ჩუქების“ ტექსტიდან პირდაპირ ჩანს. ამგვარად, საბა ქართველი გაბრიელ შეპანელის ვაჟია, რაც ჩვენი აზრით უდაო ფაქტია და ორი სხვადასხვაენოვანი ტექსტის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გარკვეული არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს, პალესტინელი ქართველებისა და წმინდა მიწაზე ჩამოსული ლათინი ქრისტიანი მეომრების ურთიერთობის შესახებ. საქმე გვაქვს ცნობილ ქართველ მოღვაწეთა სამ თაობასთან. თუ გაბრიელმა თავისი სავანე – შეპანი დაარსა ელ. მეტრეველის კვლევების თანახმად, „არაუგვიანეს 1061 წლის“,<sup>7</sup> მაშინ გაბრიელისა და მისი ვაჟის, საბას, სიცოცხლის ხანი საკმარისი იყო იმისათვის, რომ 1160 წლისთვის მათ ზრდასრულ შთამომავლებს – იოსებსა და ოოანეს – პოსპიტალიერების ორდენისთვის თავისი საგვარეულო „კაზალი“ (ფრ. casal), ანუ მამისეული სამფლობელო (ან მამული) ჩუქებით გადაეცაო. „კაზალი“ არის ფეოდი, სამფლობელო, რომელშიც ერთი ან მეტი სოფელი შედიოდა. არსებობდა მსხვილი „კაზალებიც“, რომლებიც მცირე ზომის ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. რთულია იმის თქმა, თუ ზუსტად რა სახის იყო საბა ქართველის მამული, რადგან ამისათვის საკმარისი მონაცემები არ გაგვჩნია. აღსანიშნავია ის ტექსტოლოგიური ფაქტიც, რომ ორ სხვადასხვაენოვან დოკუმენტში ორი ძმის სახელის მოხსენების თანმიმდევრობა მკაცრად

<sup>6</sup> J. Delaville le Roulx. Inventaire de pièces de Terre Sainte de l'ordre de l'Hopital [Extrait de la Revue de l'Orient latin, t. III, pp. 36-106]. Paris. 1895. p. 18.

<sup>7</sup> E. Metreveli. Shehanis udabno – XI saukunis ucnobi k'art'uli skriptoriumi palestinashi, p. 32 (ქ. მეტრეველი. შეპანის უდაბნი – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, გვ. 32). ქართული წერილობითი ცნობების მიხდვით შეპანის მონასტერმა XIII საუკუნის დასაწყისამდე იარსება (იქვე, გვ. 44).

არის დაცული, რაც შემთხვევითობით არ უნდა იყოს გამოწვეული: ჯერ იოსე-ები მოიხსენება, შემდეგ კი იოანე. როგორც ჩანს, იოსები უფროსი ძმა იყო, იოანე კი უმცროსი. ძმები საქმაოდ შეძლებულნი უნდა ყოფილიყვნენ და ლა-თინური ტრანსიორდანიის ამ ნაწილში გარკვეულ როლს თამაშობდნენ. აღ-ნიშნული ტერიტორია ჯვაროსანთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და მათი ძოწინააღმდეგე სელჩუქების სახელმწიფოს საზღვრებთან ახლოს მდება-რეობდა. „ჩუქებიდან“ ვიციო, რომ „კაზალს“ ქართველი ძმები ფლობდნენ. „ჩუქების“ თანახმად, მამულს არაბულ ენაზე „Hara“ ეწოდებოდა და ის წმინდა მოსეს მთის ძირში, ვაკეში მდებარეობდა (dans la plaine sous la montagne de Saint-Moyse), რომელსაც არაბულად „Jeham“ ერქვა. ჩვენ ზუს-ტად ვიციო, რომ ბიბლიური წინასწარმეტყველის, მოსეს მთა მაშინ ლათი-ნურ ტრანსიორდანიაში მდებარეობდა, მკვდარი ზღვიდან ჩრდილო-აღმოსავ-ლეთით (მუხაფაზ მადაბა, თანამედროვე იოარდანიის ტერიტორია, კოორდ.: 31°46.0'N 35°43.5'E) და მას ებრაულად Har-Nevo (חַר נְבוֹ), ანუ ნებოს (ან ნევოს) მთა ეწოდებოდა, არაბულად კი Jabal Nibu (جبل نيبو). ამგვარად, გა-საგებია, რომ ქართველთა „კაზალი“ თავად ნებოს მთის ებრაულ-არაბულ სა-ხელწოდებას ატარებდა, უბრალოდ, ლათინურ დოკუმენტში „კაზალის“ ად-გილმდებარეობის სახელი სახეცვლილია, როგორც Jeham (თუმცა, არ გამოვ-რიცხავთ, რომ მახლობელ ტერიტორიაზე, შუა საუკუნეებში, შესძლოა არ-სებობდა მსგავსი სახელწოდების მქონე ტოპონიმი), სინამდვილეში კი სახე-ლი უნდა ყოფილიყო Jabal. სავარაუდოდ, იმ პერიოდში, ტრანსიორდანის ამ ნაწილის არაბულენოვანი მოსახლეობა საბა ქართველის „კაზალს“ ებრაულად უწოდებდა, მაგრამ არაბული გამოთქმით – Hara. ამგვარად, საბა ქართველის, შემდგომში კი მისი შვილების მამულს „მთის“ ციხე-სიმაგრე ეწოდებოდა და ის ბიბლიური მთა ნებოს რაიონში მდებარეობდა (რჯლ. 34, 1).

„ჩუქება“ მოწმობს, რომ საბა ქართველმა ეს „კაზალი“ ჩუქებით ბოდუ-ენისგან (ბალლუინისგან) მიიღო, რომელიც იყო „მეორე სახელით – იერუს-ალიმის მეფე“, სახელით „მეორე“ იყო იერუსალიმის მეფე ბოდუენ II (ფრ. Baudouin du Bourg, ბოდუენ I-სგან განსხვავებით, 1100-1118 წწ.), რომე-ლიც სამეფოს 1118-1131 წლებში მართავდა. იგი ასევე არის იერუსალიმის ტიტულით მეორე მეფე, რადგან სამეფოს პირველმა მმართველმა – გოდფრე-დე ბულონმა (ფრ. Godefroi de Bouillon) აღსაყდრებაზე და „ოქროს გვირ-გვინის ტარებაზე“ უარი თქვა ერუსალიმში, იქ სადაც „ქრისტეს ეკლის

იოანე ქაზარიანი. გაბრიელ შეპანელის უახლოესი შთამომავლების კონტაქტები  
იერუსალიმის სამეფოსთან და პოსპიტალიერების ორდენის წევრებთან

XII საუკუნეში

გვირგვინი ედგა<sup>8</sup>. ამიტომ, მან „უფლის საფლავის მცველის“ ტიტული მიიღო (ლათ. *Advocatus Sancti Sepulchri*). გოდფრიდის მმართველობა არ იყო ხანგრძლივი – 1099-1100 წწ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი იოსებისა და იოანეს სახელების *Geo. 28* ხელნაწერის მოსახსენებლებში მოხვედრა. მოსახსენებელი წარმოადგენდა ერთგვარ დოკუმენტს, რომელშიც მათი სახელები იწერებოდა, ვინც ჯვრის მონასტრის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და პალესტინელ ქართველთა სავანის კეთილისმყოფელი იყო. ასეთი კეთილისმყოფელი, უმეტესად, საშუალო ან დიდი ქონების პატრონები და შესაბამისად, სამეფოს ამა თუ იმ კუთხეში ცნობილი ადამიანები იყვნენ. ზუსტად ასეთები უნდა ყოფილიყვნენ, შეძლებულობითა და სტატუსით ძმები იოსები და იოანე, „გაზალის“ მფლობელები. ამიტომ ვხედავთ მათ სახელებს ჯვრის მონასტრის საღვთისმისახურო წიგნის მოსახსენებელში, სადაც ცნობილი ჯვროსნები იხსენებან ტამბლიერთა ორდენის წევრებთან ერთდ, რომლებიც კიდევ სხვა წყაროშიც – სვინაქსარის მინაწერებში იხსენიებიან.<sup>9</sup>

<sup>8</sup> J Rishar. Latino-Ierusalimskoe korolevstvo. perevod s francuzskogo A. Karachinskogo. Sankt-Peterburg, 2002, p. 80 (Ж. Ришар. Латино-Иерусалимское королевство. Пер. с фр. А. Ю. Карапинского. СПб. 2002. С. 80). აქვე უნდა ავღიაშნოთ, რომ საბა ქართველის „გაზალის“, ძეგლარებებას დ. პრინგლიც იკვლევდა, თუმცა „ჩუქების“ ტექსტის უზუსტო ინტერპრეტაციების გარდა დ. პრინგლი „გაზალის“ ადგილმდებარების თაობაზეც ცდება. მისი აზრით, საბას „გაზალი“ პატრარ იორდანულ ქალაქ Wadi Musa-ს (არაბ. ياد موسى وادي موسى) მდებარეობს იორდანის სამხრეთ-დასავლეთო, მუხაფაზმანი. კოორდ. 30°19'11.96"N 35°28'42.37"E) რაოთში მდებარეობდა და იგი მას “the hill (or valley) of St. Moses” უწევდეს. ასეთი განმარტება „ჩუქების“ ტექსტიან პირდაპირ წანააღმდევობაშია, რომელშიც „გაზალის“ ადგილმდებარეობა ნაჩვენებაა, როგორც “sous la montagne de Saint-Moïse”, ანუ „წმ. მოსეს მთის ძირში“; მოსეს მთა კი ნებოს მთაა (See D. Pringle. The churches of the Crusader Kingdom of Jerusalem. A Corpus, Volume II. L-Z (Excluding Tyre) (Cambridge, 1998). p. 377).

<sup>9</sup> აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ კეკელიამ დამაჯერებლად აჩვნა, რომ ეს სვინაქსარი (ანუ „გოლგოთას სვინაქსარი“), თავდაპირველად გოლგოთის (ანუ, აღდგომის ტაძრის) ქართულ სამხრეთი გეგუმნოდა, რასაც ამ ხელნაწერის გადამწერი (1155-1156 წლებით დათარიღდებული) ადასტურებს: „ესე ს(კ)ნ(ა)ქ(ა)რ(ი) ადდგ(ო)მის ს(ა)ფლ(ა)ვ(ი)სა არ(ი)ს“ (V. Kekelia. k'art'ul sinodikonebshi datsul jvarosant'a mosakheneblebis prosopografiuli shests'avlis sakit'khisat'vis. “saistorio krebuli”. tomi. I. t'bilisi. 2000, pp. 392-393 (ვ. კეკელია. ქართულ სინოდიკონებში დაცულ ჯვარისანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკონსაკონი, „საისტორიო კრებული“. 1 ტ. თბ. 2011, გვ. 392-393) და მხოლოდ შემდგომში ეს ხელნაწერი გადაუტანიათ ჯვრის მონასტერში, სადაც ის 1806 წ. ქართველმა ბერძა, ლავრენტიმ (გოგოლაძე) იხილა (E. Metreveli. ierusalimis ert'i khelnats'eri. “S. Janashias sakhelobis sak'art'velos sakhelmts'ip'o muzeumis moambe”. t'bilisi. 1948. T. XV-B. p. 39 (ელ. მეტრეველი. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი. „ს. ჯანაშაბის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოაბე“. თბილისი. 1948. ტ. XV-B. გვ. 39). ქართულ ხელნაწერებში არსებული ჯვაროსნებისა და ტამბლიერთა ორდენის ძმების მოსახსენებლების შესახებ ის. ელ. მეტრეველისა და ვ. კა-

„ჩუქების“ საფუძველზე, რომელიც საბა ქართველისა და მისი ვაჟების შესახებ მცირე ინფორმაციას გვაწვდის, რომელია ამ ოჯახის პოლიტიკური სტატუსის დადგენა. ამ საკითხზე მხოლოდ გარაუდი შეიძლება გამოვთქვათ. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ თავად პალესტინელი ქართველები იერუსალიმის სამეფოს ცხოვრებაში, კონკრეტულად კი მის ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონში, სელჩუკების საზღვართან ახლოს მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ. თუ „ჩუქების“ თანახმად, თავად იერუსალიმის მეფე ბოლუენ II-მ (1118-1131 წწ.) პირადად გადასცა ქართველებს „პაზალი“ (სადაც „პაზალია“, იქვე იქნებოდა მიწები, რომლებიც მათ გადაეცათ და ამ მიწებს ისინი იერუსალიმის მეფის სახელით აკონტროლებდნენ), მაშინ გამოდის, რომ ეს ხალხი მეფის-თვის ტრანსიორდანის ამ ნაწილში გარკვეულ სტრატეგიულ როლს თამაშობდნენ. აქ ორი კითხვა ჩნდება:

• რისთვის დასჭირდა მეფე ბოლუენს ადგილობრივი (პალესტინელი) ქართველების შხარდაჭერის მოპოვება?

• ხომ შეიძლებოდა ეს მიწები ადგილობრივი ჯვაროსნების მმართველობაში გადაცემულიყო?

ჩვენი აზრით, პასუხი იმ ეპოქის პოლიტიკურ ფონშია, რომელიც არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში, არამედ ამიერკავკასიაშიც შეიქმნა. მეფე ბოლუენ II-ის მმართველობა ქართული სახელმწიფოს გაძლიერებას დაემთხვა. მეფე დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში სელჩუკების ჯარი დაამარცხა და ამით ამიერკავკასიაში პოლიტიკური ფონი რადიკალურად შეცვალა. დიდგორის ბრძოლაში ქართველების მხარეს ჯვაროსნებიც იბრძოდნენ და ამ პერიოდისთვის წმინდა მიწაზე ქართული ეკლესია-მონასტრები პატივით სარგებლობდნენ (აღნიშნულ ტერიტორიას ამ პერიოდში უკვე ჯვაროსნები აკონტროლებდნენ), მეფე დავით IV სამეფო ოჯახის წევრები კი ლათინური იერუსალემის ტერიტორიაზე ქართულ დედათა მონასტრებს აარსებენ.<sup>10</sup> ეს იმაზე მეტყველებს, რომ ლათინებს პოლი-

კელიას აღნიშნულ ნაშრომებში, ასევე ჩვენს სტატიიგში: «ioakrestonoscij gruziya v XII-XIII vekakh» («Крестоносцы и Грузия в XII-XIII веках»): <http://templiers.info/web/a01.php?page=100403a-krestonoscij-gruziya> [04.04.2010]; «vzaimootnoshenia tamplierov i gruzinskikh monakhov v ierusalime (1155-1187 godakh)» («Взаимоотношения тамплиеров и грузинских монахов в Иерусалиме (1155-1187 гг.)»): <http://deusvult.ru/86-tampliery-i-gruzinskie-monakhi.html> [09.01.2012]; «ierusalimshi tamplierebis da k'art'veli berebis urt'iert'oba (1155-1187)» („იერუსალიმში ტამპლიერებისა და ქართველი ბერების ურთიერთობა (1155-1187 წწ.)“) <http://www.orthodoxtheology.ge/tamplierebi> [15.01.2018].

<sup>10</sup> See. D. Tinikashvili, I. Kazariani. jvarosnebi da k'art'velebi: kritikuli midgoma k'art'uli istorio-

ტიკურადაც და ეკლესიურადაც ქართველებთან ჰქონდათ ურთიერთობა. ამიტომ, გასაგები ხდება ბოლუენის ამგვარი პოლიტიკური ნაბიჯები და პალესტინის ქართული სათვისტომოსადმი მისი ყურადღება, რომლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი საბა ქართველი იყო. საბა ქართველისა და მისი ოჯახის პოლიტიკური სტატუსის დადგენა როგორია. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ფეოდის მფლობელი რაინდი იერუსალიმის მეფის ვასალი იყო: ახალ სამკვიდროებში გადმოსვლის შემდეგ დასავლელმა სენიორებმა და რაინდებმა მათვის ჩვეული (საფრანგეთში გავრცელებული) საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესები შემოიღეს, მთავარი ფეოდალური სახელმწიფოები კი ბარონიებად დაყვეს, ეს უკანასკნელი – რაინდულ ფეოდებად. ფეოდში ერთი ან რამოდენიმე სოფელი, თუნდაც სოფლის ნაწილი შედიოდა. ამგვარად, სოფელი შეიძლებოდა ერთმანეთში რამოდენიმე სენიორს გაეყო. იერუსალიმის სამეფოში, სადაც საბა ქართველისა და მისი ვაჟების „კაზალი“ მდებარეობდა, თოხი დიდი სამფლობელო იყო: პალესტინის ჩრდილოეთი გალილეის სამთავრო, დასავლეთით – საიდას, კესარიისა და ბეისანის სენიორია, ასევე ას-კალონისა და იაფოს საგრაფოები; სამხრეთით იყო კრაკ დე მონტესალისა და სენ-აბრაკამის სენიორია. ამ სამფლობელოების სენიორები მეფის უშუალო ვასალებად მიიჩნეოდნენ. თითოეულ მათგანს თავისი ვასალი ჰყავდა, უფრო წვრილი მფლობელების სახით, რომლებიც ფეოდებს მემკვიდრეობით იღებდნენ. იაფოსა და ასკალონის გრაფის ვასალი რამპის სენიორი იყო და ა. შ. თოხი მსხვილი ფეოდალის გარდა მეფეებს ათზე მეტი ნაკლებად მსხვილი ფეოდალი ემორჩილებიდა – არსუფის, იერიქონის, იბელინის, ქებრონისა და სხვა ადგილებისა და გამაგრებული პუნქტების მფლობელები. იერუსალიმის სამეფოში სულ ოცზე მეტი სენიორია იყო. ასეთი მრავალფეროვანი მმართველობის პირობებში საბა ქართველის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა როგორია. თუმცა, გარკვეული დამაჯერებლობით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საბა ქართველი ბოლუენის უშუალო ვასალი იყო (რადგან

grap'iisadmi. "kadmosi". humanitarul klevat'a džurnali. 6. 2014, pp. 8-18 (დ. თინიკაშვილი, ი. კაზარიანი. ჯგაროსნები და ქართველები: კრიტიკული მიდვომა ქართული ისტორიულაფიისადმი. „კადმოსი“. ჰუმანიტარულ კლევათა ჟურნალი. 6. 2014, გვ. 8-18). ქართული დედათა მონასტრის დარსების შესახებ ლათინური წყარო გვამცნობს; ეს არის ლათინელი ქანტორისა და უფლის საფლავის ტაძრის პრესვეტერის, ანსელუსის, წერილი პარიზელი ეპისკოპოსის, გალონისა და არქიდიაკონ სტეფანისადმი (MPL CLXII, col. 729-7320). აღნიშვნული მონასტრის დაარსების შესახებ იხილეთ ჩვენი სტატია: «krestonoscy i gruziya v XII-XIII vekakh» («Крестоносцы и Грузия в XII-XIII веках»): <http://templiers.info/web/a01.php?page=100403a-krestonoscy-i-gruziya> [04.04.2010].

მეფე საბას თავად გადასცემს „კაზალს“, რომელსაც, სავარაუდოდ, მომიჯნავე მიწებიც დაერთო) და ფეოდს ფლობდა და სამეფოს ამ ნაწილს მეფის სახელით აკონტროლებდა (შესაძლოა სამხედრო მოხელის სახითაც). საბა სამეფოში ცნობილი პიროვნება არ იყო – ლათინურ წყაროებში მისი სახელი აღარსად არ გვხვდება. ასევე, ძნელია ოქმა, შეიძლებოდა ოუ არა, რომ ის რაინდ ყოფილიყო (ბოლოს და ბოლოს ის „კაზალის“ ოფიციალური მფლობელია) ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბა იყო კეთილშობილი წარმომავლობის ადამიანი. ის არ იყო წარმოშობით საზოგადოების დაბალი ფენებიდან. მის კეთილშობილურ წარმოშობაზე მისთვის სამკვიდრო ჩუქება მოწმობს. ასეთი ჩუქებები, როგორც წესი, იმ შემთხვევაში ხორციელდებოდა, თუ ვასალი სამეფო ტახტს ადმინისტრაციულ, სამხედრო ან კარის სამსახურს უწევდა. „ჩუქების“ საფუძველზე, ასევე, როულია იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით ახორციელებდა მმართველობას საბა ტრანსიორდანის აღნიშნულ ნაწილში. აქ მხოლოდ ვარაუდის გამოიქმა შეგვიძლია. მიუხედავად იმისა, იყო თუ არა საბა ქართველი ცნობილი ან უცნობი ვასალი ტრანსიორდანის ჩრდილო-აღმოსავლეთით (სტრატეგიულ ადგილას – სელჩუკების საზღვართან) მისი სტატუსი არ იყო უბრალო, რადგან მეფე „კაზალი“ უბობა. თავად ჩუქების ფაქტი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მეფები „კაზალებსა“ და მიწებს ასე უბრალოდ არ არიგებდნენ, ე.ი. ამის საფუძვლიანი მიზეზი არსებობდა, რომლის შესახებ სამწუხაროდ მხოლოდ ვარაუდი დაგვრჩენია.

ამ „ჩუქების“ თანახმად იოსებმა და იოანემ „კაზალი“ ჰოსპიტალის ორდენს გადასცეს, თუმცა ფინიკების გარეშე (ფრ. sans datté). ანუ, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ქართველებმა ჰოსპიტალიერებს მამული და მიწის მხოლოდ ნაწილი გადასცეს (ეს ამყარებს ჩვენს ვარაუდს, რომ ბოლუენმა საბას არა მხოლოდ „კაზალი“, არამედ მისი მომიჯნავე მიწებიც გადასცა), ფინიკის ველები კი დაიტოვეს. შესაძლებელია, რომ ჰოსპიტალიერებისთვის მამისეული „კაზალის“ გადაცემის შემდეგ იოსები და იოანე შეჰანის მონასტრის ბერებად აღიკვეცნენ და ჯვრის მონასტერთან ტრადიციული კავშირები შეინარჩუნეს (შეიძლება იქვე მოღვაწეობდნენ) ანდაც ორივე ქართული სავანის კეთილისმყოფელთა (ერისკაცთა) სახით – მონასტრებზე პატრონაჟი იკისრეს და თავისი საერო სტატუსი შეინარჩუნეს. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე ორივე ვარიანტი სავსებით რეალისტურად მიგვაჩნია. მიუხედავად იმისა, გახდნენ თუ არა შემდგომში იოსები და იოანე ჯვრის მონას-

იოანე ქაზარიანი. გაბრიელ შეპანელის უახლოესი შთამომავლების კონტაქტები  
იერუსალიმის სამეფოსთან და პოსპიტალიერების ორდენის წევრებთან

XII საუკუნეში

---

ტრის ძმები (ბერები), ეს არ გამორიცხავს მათ შემდგომ კონტაქტებს ტამ-პლიერებსა და პოსპიტალიერებთან ჯვრის მონასტრის ფარგლებში, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში. „კაზალისაგან“ განსხვავებით მათ ფინიკის ველები შესაძლოა საკუთრებაში ჯვრის მონასტრების გადასცეს. მათი სახელები Geo. 28 ხელნაწერის მოსახსენებელ ჩანაწერებში ტყუილად როდი იყო მოხსენებული – ისინი ამ სავანის კეთილისმყოფელი იყვნენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელნაწერ Geo. 28-ში შესული №4 მოსახსენებელი ჩანაწერი შედგენილია პოსპიტალიერებისთვის „კაზალის“ გადაცემამდე, ანუ 1160 წლამდე: Geo. 28-ის მოსახსენებელში ძმები, თავისი სახელით, ჯერ კიდევ მომავალ დროში აღნიშნავთ: „და დირს ყვენ ჩ(ვ)ენ | ჯ(უ)რ(ე)ლთა ძმ(ო)ბ(ა)სა და შეპანის-სა“. ეს შეიძლება ამყარებდეს ელ. მეტრეველის აზრს, რომ ეს მოსახსენებელი XII საუკუნის შუა წლებით თარიღდება. რაც შეეხება პოსპიტალიერების-თვის „კაზალის“ გადაცემის მიზეზებს ჩვენთვის უცნობი რჩება. თუმცა, „ჩუ-ქების“ წყალობით წმინდა მიწაზე ქართველთა და ლათინელთა ურთიერთობის ისტორიაში ახალი ფაქტი წარმოჩნდება. აქამდე ჩვენთვის ზუსტად იყო ცნობილი იერუსალიმში მოღვაწე ქართველი ბერებისა და ტამბლიერთა ორდენის ძმებისა და ჯვაროსნების კავშირების შესახებ,<sup>11</sup> მაგრამ გავლენიანი ქართველი ფეოდალისა და პოსპიტალიერთა ორდენის ძმებს შორის არსებული პირდაპირი კონტაქტების შესახებ არაფერი იყო ცნობილი.

ფინიკის ველებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ წმინდა ჯვრის მონასტრისთვის ძმების მიერ ამ მიწების გადაცემის შესახებ ჩვენი ვარაუდი თუ სწორია, მაშინ ამ მიწების კონტროლი შეპანის მონასტრიდან (ასევე როგორც ჯვრის მონასტრიდან) შეიძლებოდა განხორციელებულიყო, სადაც ძმები დრო და დრო იმყოფებოდნენ (რაც Geo. 28 ხელნაწერიდან ჩანს).

შეპანის მონასტერი მდინარე არნონის ხეობაში მდებარეობდა, მკვდარი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თანამედროვე იორდანიის ქალაქ ელ-კერაკის სიახლოეს; შეპანის მოიდან ნებოს მთამდე (სადაც საბა ქართველის ფინიკის ველები და „კაზალი“ მდებარეობდა) მანძილი დაახლ. 70 კმ.-ს შეადგენდა. შეპანის სავანეც (ისევე როგორც ნებოს მთა) და ელ-კერაკიც ტრანსიორდანიაში მდებარეობდა. XII საუკუნის შუახანებში ელ-კერაკი ჯვაროსნების ერთ-ერთ საყრდენი იყო, სადაც მათ დიდი ციხე-სიმაგრე ააგეს და კრაკ დე

<sup>11</sup> See. V. Kekelia. k'art'ul sinodikonebshi, pp. 390-397 (ვ. გმბელია. ქართულ სინოდიკონებში, გვ. 390-397); E. Metreveli. Ierusalimis ert'i khelnats'eri, pp. 37-48 (ვ. მეტრეველი. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, გვ. 37-48).

მოაბი უწოდეს (Frac des Moabites). 1161 წლისთვის ცნობილი ბარონი ფილიპ დე მილი (Philippe de Milly) ტრანსიორდანის მმართველი ხდება და ქალაქს ამაგრებს.<sup>12</sup> ეს ის ფილიპ დე მილი გახდავთ, რომელიც შემდგომში ტამპლიერთა ორდენის მაგისტრი ხდება და რომლის სახელიც (ჯერ კიდევ სანამ ის ორდენში მის სტატუსით შევიდოდა), მისი ოჯახის წევრების სახელებთან ერთად, სავანის კეთილისმყოფელთა სახით, ქართულ ხელნაწერში – გოლგოთის სვინაქსარის მოსახლებლებში ფიქსირდება.<sup>13</sup> ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ იოსებისა და იოანეს და ფილიპ დე მის გზები ელ-კერაკში გადაკვეთილიყო (შეკანის მთიდან ელ-კერაკამდე სულ 32 კმია). ბოლოს და ბოლოს, ფილიპე ღვთისმოსავი იყო, რასაც მისი ცხოვრებაც და მის მიერ აღმოსავლეთში ცნობილი წმ. ეკატერინეს (სინას მთაზე) ბიზანტიურ მონასტრის მოლოცვაც მოწმობს.<sup>14</sup>

ისიც უნდა ითქვას, რომ ახლო აღმოსავლეთში ამა თუ იმ ბიბლიური სიწმინდის ფლობა დიდი ავტორიტეტისა და გამორჩეულობის ნიშანს წარმოადგენდა. პალესტინის წმინდა ადგილებისთვის ქრისტიანთა სხვადასხვა კონფესიას შორის დიდი წინააღმდეგობები ჩნდებოდა, განსაკუთრებით წმინდა მიწაზე ჯვაროსნების გამოჩენის შემდეგ. ნებოს მთა პალესტინელი ქრისტიანებისთვის დიდ სიწმინდეს წარმოადგენდა. ეს ის მთაა, რომელზეც ღვთის დიდი წინასწარმეტყველი მოსე ავიდა და იქ ღმერთის სიტყვის თანახმად გარდაიცვალა: „და აღტდა მოსე არაბოთდ მოაბით მთასა მას ზედა ფაიგისა, რომელ არს პირისპირ იერიქოსა, და უჩუენა მას უფალმან ყოველი იგი ქუეყანად გალადისად ვიდრე დანაღმდე; და ყოველი იგი ქუეყნად ღვეფიალებისი და ყოველი ქუეყანად ეფრემისი და მანასესი, და ყოველი იგი ქუეყანა იუდაისი ვიდრე დასასრულადმდე ზღვსა; და ყოველი იგი უდაბნოდ და ყოველი გარემოს სოფლები, რომელ იყო ველთა მათ იერიქოსათა, ქალაქები იგი დანაკისკულევანი ვიდრე სეგორდმდე; და პრქუა უფალმან მოსეს: ესე არს ქუეყანა იგი, რომელ ვეფუცე აბრაჟამს, ისაკს და იაკობსა და ვარქუ, ვითარმედ:

<sup>12</sup> M. Barber. The career of Philip of Nablus in the kingdom of Jerusalem, “*The Experience of Crusading*”. Volume 2. *Defining the Crusader Kingdom*. ed. P. Edbury and J. Phillips. Cambridge. 2003, p. 70.

<sup>13</sup> See «Vzaimootnoshenia tamplierov i gruzinskikh monakhov v Ierusalime (1155-1187 godakh)» («Взаимоотношения тамплиеров и грузинских монахов в Иерусалиме (1155-1187 гг.)»): <http://deusvult.ru/86-tampliery-i-gruzinskie-monakhi.html> [09.01.2012], in Georgian: “ierusalimshi tamplierebis da k’art’veli berebis urt’iert’oba (1155-1187)” („იერუსალიმში ტამპლიერებისა და ქართველი ბერების ურთიერთობა (1155-1187 წწ.)“: <http://www.orthodoxtheology.ge/tamplierebi/> [15.01.2018]

<sup>14</sup> M. Barber. The career of Philip of Nablus in the kingdom of Jerusalem, p. 71.

ნათესავსა შენსა მივსცე ეგე. აწ, ეგერა, გიჩუენე შენ, თუალთა შენთა იხილეს, ხოლო შენ არა შეხვდე მუნ; და მოკუდა მოსე, მონა იგი ღმრთისაი, ქუეყნასა მას მოაბისასა სიტყვითა უფლისათა; და დაპფლეს იგი გეჭს, მახლობელად სახლისა მას ფაგომისსა. და არა ვინ იცის საფლავი მისი მოდლენდელად დღედმდე“ (რჯლ. 34, 1-6). ამიტომ, ბოლოუნის მიერ ამ ბიბლიური ადგილების, სადაც ჩვენთვის ცნობილი „კაზალი“ მდებარეობდა, საბა ქართველისა და მისი ოჯახისთვის გადაცემა არა მხოლოდ პოლიტიკურ და სტრატეგიულ, არამედ საეკლესიო ავტორიტეტის ჭრილშიც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს რომ მდინარე არნონის ხეობაც, სადაც იყო განლაგებული შეპანის ქართული მონასტერი, – არაერთხელ არის ნახსენები ბიბლიაში (მაგალითად, რჯლ. 2, 36).

მოცემულ სტატიაში ვეცადეთ, გაბრიელ შეპანელის ოჯახის, მისი ვაჟის – საბა ქართველისა – და შვილიშვილების, კვალი მაქსიმალურად ზუსტად და ზედმიწევნით შეგვესწავლა, გვეჩვენებინა მათი კონტაქტები ჯვაროსანთა ადგილობრივ ადმინისტრაციასა და ჰოსპიტალის ორდენთან. უფრო მეტის თქმა საბასა და მისი ვაჟების საქმიანობის შესახებ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ისტორიული მასალის სიმწირის გამო. ჩვენ ვეთანხმებით ელ. მეტრეველს, რომელმაც თავისი სტატიის დასაწყისში ზუსტად შენიშნა: „მართლაც, დასადგენი და აღსადგენი პალესტინაში ჯერ კიდევ ბევრია“.<sup>15</sup> ჩვენ ვეცადეთ კვლევაში მისი სიტყვები გაგვეთვალისწინებინა. იგივე აზრი გასათვალისწინებელია საბა ქართველისა და მისი ვაჟების (ან ახლადაღმოჩენილი პალესტინის ქართული ფეოდალური ოჯახების) შესახებ მომავალ ისტორიულ ანალიზსა და პროსოპოგრაფიულ კვლევებში. იმდეს გამოვთქვავთ, რომ შემდგომი კვლევა პალესტინის ქართული თემის ცხოვრებისა და განვითარების ისტორიის შესახებ მეტ ინფორმაციას მოგვცემს.

<sup>15</sup> See. E. Metreveli. Shehanis udabno – XI saukunis ucnobi k'art'uli skriptoriumi palestinashi, pp. 22 (იხ. ე. მეტრეველი. შეპანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, გვ. 22).

**დანართი – Jer.Geo.50 ხელნაწერის ანდერძი<sup>16</sup>**

დ(იღე)ბ(ა) ო შ(ე)ნდა ქ(რისტ)ე, დ(იღე)ბ(ა) ო შ(ე)ნდა ქ(რისტ)ე, დ(იღე)ბ(ა) ო შ(ე)ნდა ქ(რისტ)ე, გ(ა)დიღ(ე)ბ, გ(ა)ქ(ე)ბ, გ(ა)კ(უ)რთხ(ე)[გ] | და გმ(ა)დღ(ო)ბ შ(ე)ნ, უ(ფალ)ო რ(ომელ)ი-ესე ჰე(ა)ვ ჩ(ე)მ ზ(ედ)ა შ(ე)ნითა აურ(ა)ცხელითა ს(ა)ხი(ე)რ(ე)ბითა და მიუწდ(ო)მ(ე)ლითა მ(ო)წყ(ა)ლ(ე)ბითა და კ(ა)ცო-მოყვ)ვ(ა)რ(ე)ბითა დიდი ესე კ(ე)თ(ი)ლი და სიხ(ა)რ(უ)ლი ს(უ)ლთა და პ(ო)რცო ჩ(ე)მთავ და ღ(ი)რს მყ(ა)ვ მე, არაღირსი ესე აღ-წერ(ა)დ წიგნსა ამ(ა)ს წ(მიდას)ა, | გ(ან)მ(ა)ნ(ა)ოლ(ე)ბ(ელ)სა ს(უ)ლთა და პ(ო)რცო სა და სწორსა წ(მიდ)ისა ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბის(ა)სა. |

ესმსა სიბ(ე)რის(ა)სა მომხ(ე)დნა და შ(ე)მ(ი)წყ(ა)ლა ს(უ)ლი(ე)რ(ა)დ და ხ(ო)რც(იე)ლად, | მსგ(ავ)ს(ა)დ მ(ო)ძღ(უ)რისა თ(კ)სისა ქ(რისტე)სა დიდ(ე)ბ(უ)ლმ(ა)ნ მისგ(ან) წ(მიდამა)ნ ს(კ)მ(ეო)ნ და კ(უ)რთხ(ეუ)ლმ(ა)ნ დ(ე)დამ(ა)ნ მისმ(ა)ნ წ(მ)ი(დამა)ნ მართა, რ(ამე)თ(უ) (თუა)ლთა მომკლ(ე)ბ(ო)და და | არა ვ(ჴ)გ(ო)ნ(ე)ბდი, [და] ვაიძულე თ(ა)ვსა ჩ(ე)მსა და კ(ა)ღნ(იე)რ ვიქმ(ე)ნ | ამისათ(კ)ს, რ(ომე)ლ ახალშ(ე)ნი და გლ(ა)ხ(ა)კი იყო წიგნითა; რ(ამეთუ) კ(ა)ც(ი) | ესე ფ(რია)დ შეიყ(უა)რა ქ(რისტემა)ნ ქ(უ)ყ(ა)ნ(ა)სა ზ(ედ)ა და მის მ(იე)რ ურიცხუნი | ს(უ)ლნი გ(ა)ნ(ა)ნ(ა)ოლნა და გ(ა)ნარინნა ც(ო)ლვ(ა)თაგ[ან] და ს(ა)ცოურთა | ხ(ოლო) ეშმ(ა)კის(ა)თა; და წ(მიდა)ი ესე ს(ა)ხ(ე)ლგ(ან)ოქმ(უ)ლი და დ(იღე)ბ(უ)ლი წ(მიდა)ი ს(უ)მ(ეო)ნ | თ(კ)ს(ი)თა მ(ო)წყა(ლე)ბითა შ(ე)მწ(ე)დ და მკ(უ)რნ(ა)ლ(ა)დ ს(უ)ლთა და პ(ო)რცო მოსცა ს(ო)ფ(ე)ლსა და გ(ა)მოირჩია ნ(ა)თ(ე)ს(ა)ვთა შ(ორი)ს ადამისთა | [და] სწორ(ა)დ წ(მიდ)ისა ნ(ა)ოლისმც(ე)მლისა შეიყ(უა)რა და მის მ(იე)რ შ(ე)აწუნენა ბ(ო)რ(ო)ტი მტ(ე)რი კ(ა)ცთა ნ(ა)თ(ე)ს(ა)ვის(ა)ი ეშმ(ა)კი და მრ(ა)ვ(ა)ლნი | სარცხუ(ე)ნ(ე)ლნი საქმ(ე)ნი მის ურცხუნი(ო)სნი გ(ა)ნაცხ(ა)დნა და იგი | დაპჭდა ქ(უ)ყ(ე)სკნ(ე)ლ(ი)სა სიღრმ(ე)თა. და აწ მე-ცა, გლ(ა)ხ(ა)კი, | [ვევ]ედრ(ე)ბი ქ(რისტე)სა ღ(მერთს)ა, რ(აით)ა ამის წ(მიდი)სა ს(კ)მ(ეო)ნის მ(ა)დღითა და მ(ეო)ნებითა მეცა შ(ე)მ(ი)ნდვნ(ე)ს ყ(ოველ)ნი უგ[უ]ნ(უ)რ(ე)ბ(ა)ნი და შეც(ო)დ(ე)ბ(ა)ნი და მეღგრ(ო)ბ(ა)ნი ჩ(ე)მნი [სახიერები]სა მისისათ(კ)ს წ(მიდ)ისა, რ(ომელ)ი კ(ურთ)ხ(ეუ)ლ,

<sup>16</sup> ანდერძის ტექსტის სხვა გამოცემა იხ.: E. Metreveli. Shehanis udabno – XI saukunis ucnobis k'art'uli skriptoriumi palestinashi, pp. 27-28 (ე. მეტრეველი. შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში, გვ. 27-28).

იოანე ქაზარიანი. გაბრიელ შეპანელის უახლოესი შთამომავლების კონტაქტები  
იერუსალიმის სამეფოსთან და პოსპიტალიერების ორდენის წევრებთან

---

XII საუკუნეში

წ(მიდ)ა და დიდ(ე)ბულ | [არს და] აწ და მ(არადი)ს და [უკუნიოთი უ]კ(უნის-  
ამდ)ე, ამინ.

და აწ ღ(მერ)თ შემოს(ი)ლნო წ(მიდან)ო | ... მ(ა)მ(ა)ნო და [ძმანო],  
გ(ე)ვ(ე)დრ(ე)ბი ც(ო)დვ(ი)ლი ქ(რისტე)ს სიყ(ვა)რ(უ)ლ(ი)სათ(კ)ს: | ვ[ინცა]  
ღირს იქმნ(ე)თ წარკითხვ(ა)დ წ(მიდ)ისა ამის ცხ(ორე)ბ(ი)სა, თქუთ  
წ(მიდ)ითა პირითა თქ(უე)ნითა მოტ(ე)ვ(ე)ბ(ა)ვ ც(ო)დვ(ა)თა ჩ(ე)მთ(ა)ვ |  
და თქ(უე)ნცა მკითხვ(ე)ლთა და მსმ(ე)ნ(ე)ლთა მ(ა)დლი მისი  
მ(ო)გ[უა]ნ(ი)ჭ(ე)ნ, ამინ. |

დაიწერა წ(მიდას)ა უდ(ა)ბნოსა შეპანს მამობ(ა)სა გ(ა)ბ(რიე)ლ  
ტფ(ი)ლელისსა, რ(ომელმა)ნ აღაშ(ე)ნა უდ(ა)ბნ(ო)ვ შეპანი. ღ(მერთმა)ნ  
შეუ(ნ)დვ(ე)ნ და | ს(ა)სყ(ი)დ(ე)ლი მრ(ო)მ(ა)თა მისთ(ა)ვ მიანიჭ(ე)ნ  
ჭ(ე)ლითა ჩ(ე)მ ფ(რია)დ ც(ო)დვ(ი)ლ(ი)სა | იოვ(ა)ნ(ე)სითა.  
შ(ე)მ(ი)ნდვ(ე)თ უცბ(ა)დ ჩხრ(ე)ვ(ა)ვ, გ(ე)ვ(ე)დრ(ე)ბი ღ(მრთი)სათ(კ)ს. “<sup>67r</sup>

Jer.GEO.50 - 66v. @ Library of Congress (LOC). Digital Collection.



*Ioane Kazaryan*

Researcher, Georgia

## **ON THE CONTACT OF GABRIEL OF SHEHAN'S CLOSEST DESCENDANTS WITH THE KINGDOM OF JERUSALEM AND WITH THE KNIGHTS OF HOSPITALLERS IN THE 12<sup>TH</sup> CENTURY**

### **Summary**

We have studied two medieval sources in different languages – commemoration №4 from a Georgian manuscript (Geo 28.) – Gospels from the Georgian Monastery of the Holy Cross in Jerusalem and Latin juridical act “Donatio” №62 from archive of Order of Hospitallers’ (both sources are dated by the mid-12<sup>th</sup> century). The author shows that these sources refer to brothers Joseph and John and their father Saba, who are the closest descendants of famous Georgian church personality – Gabriel of Shehan. According to Georgian manuscripts of 11<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries, he was a founder and the first abbot of the Georgian monastery in Shehan, situated in Transjordan (south-east of the Dead Sea). According to “Donatio”, the son and grandsons of Gabriel had their estate (casal) with large lands (north-east of the Dead Sea). Having studied the abovementioned manuscripts the author concludes that the Georgian community was active and developing in Transjordan area which belonged to Crusaders’ Kingdom of Jerusalem. “Donatio” gives us direct testimonies that Saba, Gabriel of Shehan’s son, contacted and collaborated with the local Crusader administration, even directly with monarch of Jerusalem – King Baldwin II (1118-1131) who transmitted to Saba (and his family) lands in Latin Transjordan area (north-east of the Dead Sea) and thus entrusted them with the control of these lands on behalf of the Kingdom of Jerusalem. Supposedly, Saba’s sons – Joseph and John – served the Kingdom of Jerusalem until 1160 when they transmitted a part of their father’s estate to Order of Hospitallers. According to the Georgian manuscript (Geo 28.) and its comparative analysis with “Donatio”, the author suggests that after 1160 when Joseph and John transmitted a part of their land to the Hospitallers, they became monks at the Monastery of the Holy Cross (at the same time they kept in touch with Shehan) or possibly they kept their family tradition of being patrons of Shehan monastery as well as that of the Holy Cross which was the main Georgian monastery in Jerusalem.

Having studied and analyzed both of these sources, we received exact and direct data that the Georgian community in Palestine had tight contacts with the local Latin administration not only in an ecclesiastical field but in political-administrative sphere too. Thus, due to comparative analysis of both sources, we can expand our knowledge about the Georgian community in Palestine. It helps us to understand its role in relationship with the local Latin administration. The author hopes that studies in this field will be continued and if we find some new data we will have a better understanding of the historic and cultural contribution of the Georgian community into development of Palestine.

**ნიკო ჯავახიშვილი**  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

## 1210 წელს სპარსეთზე გალაშქრებაში მთიულთა მონაწილეობის ასახვა ქართულ ფოლკლორში

ქართულ ხალხურ პოეზიაში შემონახულია მრავალი ფოლკლორული ტექსტი, რომელებშიც ასახულია საყურადღებო ისტორიული ფაქტები, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები. ზოგიერთი ასეთი ტექსტი უნიკალურია, ვინაიდან მსგავსი ინფორმაცია სხვა წყაროებში ან მკრთალად აისახა, ანდა საერთოდ არ შემოგვრჩა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში – მთიულეთში, კერძოდ, მდინარეების ქსნისა და არაგვის წყალგამყოფი ქედის უღელტეხილზე მდებარეობს VIII-IX საუკუნეებში აგებული ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიის კომპლექსი, რომელიც მთელი რეგიონის გამაერთიანებელი, უპირველესი სალოცავია. მის მახლობლად არის სოფელი მღეთა, რომელიც მდებარეობს მთიულეთის რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში, ისტორიულ ხადას თემში (მოიცავდა ტერიტორიას სოფელ ქვეშოდან – ჯვრის უღელტეხილამდე).

აღნიშნულ კომპლექსში ყოველწლიურად იმართება “ლომისობის დღე-სასწაული”. ლომისობისას მთიულები ტრადიციულად მღერიან უძველეს სალაშქრო სიმღერას, ე. წ. “ფერგისას”.

ამ ფოლკლორული ტექსტის ყველაზე აღრინდელი პუბლიკაცია ეკუთვნის საზოგადო მოღვაწეს და ფოლკლორისტს პეტრე უმიკაშვილს (1838-1904), რომელმაც ეს სიმღერა 1876 წელს, ხევში (მოიცავს თანამედროვე ყაზბეგის მუნიციპალიტეტს) ჩაიწერა. ამ ტექსტში, რომელიც გამოქვეყნდა სახელწოდებით: „ხოროშან ლაშქარად ვიყვნით“ ვკითხულობთ:

„ხოროშან ლაშქარად ვიყვნით ჩვენ ლომისისანი,  
იქ გავიგონეთ უღერანი უამურ ბერციხის კლდისანი.

მუკლი გვქონდა და ვიხმარეთ ამ ჩემის ჭარმაგისანი,  
სადილით სამხრობამდისა უამურს დავლახეთ ქვიშანი,  
შვიდნი ჩვენ, შვიდნი ქსნელები სისხლის ტბად შევიყარენით,  
გაშჭრა ი შაბათის ძალმა, ბარდაბარ გავიყარენით”.<sup>1</sup>

იმავე სიმღერის სხვა ვარიანტი ფოლკლორისტმა ელენე ვირსალაძემ  
მთიულეთში 1950 წელს მოწყობილი ფოლკლორული ექსპედიციის დროს ჩა-  
იწერა სოფელ ქვემო მლეთაში მცხოვრები შაქრო ვლადიმერის ძე ბურდული-  
საგან. ამ ტექსტში, რომელიც გამოქვეყნდა სახელწოდებით: “ლომისურნი  
(ფერტისა)” ვკითხულობთ:

„ხოროშანს ლაშქარად ვიყავით ჩვენ ლომნი ლომისისანი,  
წინ შამოგვესმა უღერ უამურ ბერციხის კლდისანი.  
მუკლი მქონდა და ვიკმარე ის ჩემი ჭარმაგისანი.  
სადილით – სამხრობისინა უამურ დავლახე ქვიშანი”.

ამ ტექსტის მოქმედის – შაქრო ბურდულის განმარტებით: “თავდაპირ-  
ველად ლომისა ბურდულებისა არ ყოფილა. ყოფილა პატაშურების. თათრები  
სცარცვავდნენ ხატებს. ლომისას ხატი წაუღდათ ხორასანში. ბურდულების  
მეთაურობით წამოუღდათ ხატი ხორასნიდგან. ამაზეა ლექსი”.<sup>2</sup>

იმავე სიმღერის განსხვავებული ვარიანტი ელენე ვირსალაძემ მთიულ-  
ეთში ზემოთ აღნიშნულ წელს მოწყობილი ფოლკლორული ექსპედიციის  
დროს ჩაიწერა სოფელ სეთურნში მცხოვრები ისაკო აბრამის ძე სეთურიძი-  
საგან, რომელიც წარსულში დეკანზი ყოფილა. ამ ტექსტში ვკითხულობთ:

„ხორასნის ლაშქარად ვიყავითო ჩვენ ლომნი ლომისისანი,  
მანდ შამაგვესმა უღერანი უამურ ბერციხის კლდისანი.  
მუკლი გვქონდა და ვიკმარეოთ მაგ ჩვენის ჭარმაგისანიო,  
სადილობითა სამხრამდი უამურ დავლახნეთ ქვიშანიო,  
შუა ზღვას ჩავსვით სამანი ჩვენგენ დავიგდეთ ხმელეთიო”.<sup>3</sup>

<sup>1</sup> P. Umikašvili. xalxuri sitqvierenba. nacili pirveli (lek'sebi, andazebi, gamoc'anebi). redak'c'ia, bi-  
ograp'ia, cinasitqvaoba da šenišvnebi P. Gogič'aišvilisa. tp'ilisi. 1937, p. 80 (პ. უმიკაშვილი.  
ხალხური სიტყვიერება. ნაწილი პირველი (ლექსიბი, ანდაზები, გმოცანები). რედაქცია, ბოთ-  
გრაფია, წინასიტყვობა და შენიშვნები ფ. გოგიაშვილის. ტვ. 1937, გვ. 80).

<sup>2</sup> k'art'vel mt'ielt'a zepirsitqvierenba (mt'iulet'-gudamaqari). tek'stebis momzadeba, redak'c'ia, ga-  
mokvleba da šenišvnebi e. virsalajisa. t'bilisi. 1958, p. 504 (ქართველ მთიელთა ზეპირისტყვიერება  
(მთიულთ-გუდამაყრი). ტექსტების მომხადება, რედაქცია, გმოკლება და შენიშვნები ე. ვირ-  
სალაძეს. თბ. 1958, გვ. 504).

<sup>3</sup> k'art'vel mt'ielt'a zepirsitqvierenba (mt'iulet'-gudamaqari), p. 504 (ქართველ მთიელთა ზეპირ-  
სიტყვიერება (მთიულთ-გუდამაყრი), გვ. 230).

ზემოხსენებული ფოლკლორული ტექსტის (სალაშქრო სიმღერის) განსხვავდებული ვერსია 1987 წელს ჩაიწერეთ სოფელ ზემო მღეთაში მცხოვრები 90 წელს მიღწეული ნინო ნიკოლოზის ასული ოგბაიძე-ბუთხუზისაგან. ამ ვერსიაში, რომელშიც იხსენიება უდიდესი ქართველი გვირგვინისანი — დავით IV აღმაშენებელი, ვკითხულობთ:

„ხორასანს ლაშქარად ვიყავით ჩვენ ლომნი ლომისისანი,

იქ ჩამაგვესმა უღარუნი აღმაშენებლის ხმლისანი.

სადილით სამხრობამდინა ჟამურ დავლახეთ ქვიშანი,

მუკლი გაქონდა და ვიტმარეთ მეფისა ჭარმაგისანი“.<sup>4</sup>

ამდენად, ზემოთ მოყვანილი ფოლკლორული ტექსტის ყველა ვერსიაში იხსენიება ხორასანი.

საგულისხმოა, რომ ხორასანი ასევე იხსენიება მთიულეთის სალოცავთა დეკანოზების დამწყალობნების ტექსტებში ასეთი სახით: “ღმერთო, გაუმარჯვე დიდ ლომისას წმიდა გიორგის, ხორასნით მობრძანებულს, შვიდ ათასი ტყვის მხსნელს, ქსნისა და არაგის თავდამყურებელს”.<sup>5</sup>

აქვე განვმარტავთ, რომ ხორასანი იყო ისტორიული ოლქი შუა აღმოსავლეთში, რომელიც მოიცავდა თანამედროვე ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, მარვის თაზისს, თურქმენეთის სამხრეთის თაზისებს, ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებს.<sup>6</sup>

რაც შეეხება მთიულეთის გამაერთიანებელ, უპირველეს სალოცავს – ლომისის წმ. გიორგის ეკლესიას, ის აგებულია VIII-IX საუკუნეებში და

<sup>4</sup> N. Javaxišvili. legenda legenedebši. gazer'i "saxalxo ganat'leba". 28 ivnisi. t'bilisi. 1989, №30 (4185), p. 15 (ნ. ჯავახიშვილი. ლეგენდა ლეგენდა. გაზურთ სახალხო განათლება". 28 ივნისი. თბ. 1989. № 30 (4185), გვ. 15); N. Javaxišvili. ogbajeni (sagvareulos istoriisat'vis). t'bilisi. 2005, p. 79; (ნ. ჯავახიშვილი. ოგბაიძენი (საგვარეულოს ისტორიისათვის). თბ. 2005, გვ. 79); N. Javaxišvili. mt'iuluri simgera k'art'velt'a xorasani šlaš'k'robiš šesaxeb. prop'esor n. šengeliaš dabadebis 75 clist'avisadmi mijgvnili saiubileo krebuli. t'bilisi. 2008, p. 355; (ნ. ჯავახიშვილი. მთიულეთი ქართველთა ხორასნში ლაშქრობის შესხებ. პროფესორ ნ. შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საუცხილეო კრებული. თბ. 2008, გვ. 355); N. Javaxišvili. sparsset'ze galaš'k'rebaši mt'iult'a monacileobis asaxva k'art'ul p'olklorši. rogor šemogvinaxa zepirsitqvieriabam c'noba k'art'vel mt'iel'ta gmirobaze, istoriul-šemec'nebit'i žurnali "istoriani". t'bilisi. 2019, №10 (106), p. 11 (ნ. ჯავახიშვილი. საარსეფოზე გალაშქრებაში მთიულთა მონაწილეობის ასახვა ქართულ ფოლკლორში. როგორ შემოგვინახა ზეპირსიტყვიერებაში ცნობა ქართველ მთიულთა გმირობაზე. ისტორიულ-მემკნებითი ფურნალი „ისტორიინი“. თბ. 2019, № 10 (106), გვ. 11).

<sup>5</sup> N. Javaxišvili. ogbajeni, gv. 113 (ნ. ჯავახიშვილი. ოგბაიძენი, გვ. 113).

<sup>6</sup> P. T'op'uria. xorasani. k'se. tomi 11. t'bilisi. 1987, p. 498 (პ. თოფურია. ხორასანი. ქსე. ტომი 11. თბ. 1987, გვ. 498).

მდებარეობს მდინარეების ქსნისა და არაგვის წყალგამყოფი ქედის უღელტე-  
ხილზე, სოფელ ზემო მლეთასთან ახლოს. მას მთიულებთან ერთად ქსნისხე-  
ველნიც ცემობილენენ. აქვე დაგვწნო, რომ ქსნის ხეობა მოიცავს ოანაშედროვე  
ახალგორის რაიონს, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მომხდარი რუსეთ-სა-  
ქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებულია რუსთა მიერ.

ეთნოლოგი სერგი მაკალათია შენიშნავდა: „მლეთაშივეა მთიულეთის  
უდიდესი სამლოცველო ლომისის წმ. გიორგის ხატი, რომელიც აღმართულია  
ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ლომისას მაღალ ქედზე, საიდანაც ორივე ეს  
ხეობა საუცხოვო სახილველია... ლომისობის ხატობა ნააღმდგომევის მეშვიდე  
კვირაზეა. ამ ხატობაზე მლოცვავები აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყვე-  
ლა კუთხებიდან ჩამოდიან. ლომისას წვერის ეს ეკლესია დღეს ცარიელია.  
მისი ხატები და დროშები ქვემო მლეთის ეკლესიაში ინახება და ლომისობას  
დეკანოზები ამ ხატებს გამოასვენებენ და „ფერხისის სიმღერით“ ლომისას  
წვერის ტაძარში აასვენებენ“.<sup>7</sup>

აღნიშნულ ხატონ დაკავშირებული ხალხური გადმოცემის ცნობით,  
საქართველოში ხვარაზმაპ ჯალალედინის შემოსევების (1226-1229 წლები)  
შედეგად, დამპყრობელთა მიერ ტყვედ წაყვანილი 7.000 ქართველი ხორასან-  
ში ჩაიყვნეს. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ტყვეთა უკან დაბრუნება მხო-  
ლოდ მთიულეთის მთავარი ხატის – „გზოვანის წმ. გიორგის“ სასწაულმოქ-  
მედი ძალით მოხერხდა.

სერგი მაკალათიას ნაშრომში ვკითხულობთ: „როდესაც საქართველოს  
ხორასნელები შემოსივნენ, მათ ტყვედ 7.000 ქართველი წაუსხამო. ამ ტყვე-  
ებს მთიულეთის მთავარი ხატი გზოვანის წმ. გიორგი (ფასანაურის მაღალ  
მთის წვერია) თან წაუსვენებიათ. ამ ძლიერ ხატს ხორასნის ქვეყნა შეუკ-  
რავს და დედამიწას ნაყოფი არ მიუცია. ადამიანი და საქონელიც გაბერწებუ-  
ლა და მათი ქვეყნა დაღუპვის კარზე მიძღვარა.

ამის მიზეზის საცნობად თავზარდაცემულ სულთანს მკითხავები უხ-  
მია, რომლებსაც მისოვის მოუხსენებიათ, რომ უბედურების მიზეზი გურჯის-  
ტანის ხატიათ. სულთანს მაშინ ბრძანება გაუცია, რომ ეს ხატი ანთებულ  
საკირქში ჩაედოთ. ასეც მოქცეულან, მაგრამ ცოტათი შეტრუსული ხატი სა-  
კირიდან მაშინვე ამოფრენილა და იქვე მოვლენილ თეთრი ხარის რქაზე  
დაბრძანებულა... ხარი და ხატი ადგილიდან არ დაბრულა, სანამ სულთანმა

<sup>7</sup> S. Makalat'ia., mt'iulet'i. tp'ilisi. 1930, p. 166-167 (ს. მაკალათია. მთიულეთი. ტფ. 1930, გვ. 166-167).

ყველა ქართველი ტყვე უკლებლივ არ გაანთავისუფლა.

ბოლოს მაინც ერთი კოჭლი ტყვე დედაკაცი დაკლებიათ, რომელიც ერთ ხორასნელს მოახლეოდ თურმე წაეყვნა. სულთანი ხალხს შეკითხვია, ვო სა გყავს კოჭლი გურჯის ქალიო? ეს ქალიც ჩქარა მოუძებნიათ და ხატიანი ხარი ტყვეებით საქართველოსაკენ დაძრულა<sup>8</sup>.

იქნებ, ზემოხსენებული სიმღერა ამის შესახებ გვამცნობს?

ამასთანავე, ცნობილია, რომ საქართველოში სპარსელთა გამანადგურებელი ლაშქრობების (1614, 1616, და 1617 წლები) შედეგად ტყვედ წაყვანილ ქართველთა (200 ათასამდე) გარკვეული ნაწილი, კერძოდ კი კახეთის სამეფოდან აყრილნი, შაჰინშაჰ აბას I სეფიანის ბრძანებით ჩაასახლეს ხორასნის დასავლეთ ნაწილში მდებარე დასახლებულ პუნქტში – ასადაბადში.<sup>9</sup>

XVII საუკუნის დასაწყისამდე არაგვის ხეობა (მთიულეთითურთ) კახეთის სამეფოში შედიოდა და გამორიცხული არ არის, რომ შაჰინშაჰის ბრძანებით ხორასანში გადასახლებულ კახელებთან ერთად არაგველთა (და მათ შორის მთიულთა) ერთი ნაწილიც მოხვდა.

იქნებ, ზემოთ მოტანილი სასიმღერო ტექსტი ამ ისტორიულ მოვლენას გვახსენებს?

ვფიქრობთ, რომ ფოლკლორულ ტექსტში გადმოცემული ამბავი არ არის დაკავშირებული არც პირველ და არც მეორე მოვლენასთან. სიმღერის რიხიანი, საზეიმო პათოსი, უდავოდ სხვა ისტორიულ ფაქტზე მიგვანიშნებს.

ცნობილია, რომ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოსა და ხორებშის სახელმწიფოებს შორის მწვავე დაპირისპირება არსებობდა. ეს განაპირობა ხორებშის მესვეურთა მცდელობამ, დაეკავებინა საქართველოსთან ახლოს მდებარე ტერიტორიები, რომლებზედაც პრეტენზია ქართველ მეფეებსაც ჰქონდათ.<sup>10</sup>

ზემოხსენებულ ვითარებაში ქალაქ არდებილის (მდებარეობს თანამედროვე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში შემავალი ერთ-ერთი რეგიონის – აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ქართულ საისტორიო წყაროებში იხსენიება „არდაველის“ სახელით) სულთანმა, ისარგებლა რა, თამარ მეფის გეგუთს ყოფნით (დიდმარხვის პერიოდში), 1208 წელს აიღო ქალაქი ანისი,

<sup>8</sup> S. Makalat'ia. mt'iulet'i, p. 167-169 (ს. მაკალათია. მთიულეთი, გვ. 167-169).

<sup>9</sup> P. T'op'uria. xorasani, p. 498 (პ. თოფურია. ხორასანი, გვ. 498).

<sup>10</sup> J. Step'naje. xorasanši laš'krobis sakit'xisat'vis. "saistorio krebuli". VII. t'bilisi. 1977, pp. 187-200 (ჯ. სტეპანეს ხორასანში ლაშქრობის საკითხისათვის. „საისტორიო კრებული“. VII. ობ. 1977, გვ. 187-200).

დაარბია, მოსახლეობა ამოწყვიტა და უკან დიდი ნადავლით გაბრუნდა.

ამ მუხანათურ ლაშქრობას ქართველთა მხრიდან მოჰყვა საპასუხო, დამსჯელი ღონისძიება. 1210 წელს ქართველთა ჯარმა აიღო არცებილი, და-არბია და სულთანი სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ, ქართველთა გამარჯვე-ბული ლაშქარი ზაქარია და ივანე მხარგრძელთა სარდლობით, დიდძალი აღ-აფიო ხელდამშვენებული ეახლა თამარ დედოფალს, რომელმაც მხარგრძელე-ბი ასევე გულუხხად დააჯილდოვა.

ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა: „სპარსეთში ლაშქრობამ ამირსპარსა-ლარს ზაქარიას, მსახურთ-უხუცესს ივანეს და სხვა სარდლებს სპარსეთის ნამდვილი ვითარება დაანახვა, მისი უძლურება და დაქსაქსულობა“.<sup>11</sup>

ამიტომაც, მათ, ვარამ გაგელთან ერთად, თამარ მეფეს სპარსეთში გა-ლასქრების ნებართვა სთხოვეს.

თამარის ისტორიკოსი წერს, რომ სარდლებმა თავიანთ მეფეს შემდეგი თხოვნით მიმართეს: „ძლიერო ჭელმწიფეო, შარავანდედო შორის უმეტეს აღმობრწყინვებულო! იხილე და განიცადე სამეფო ოქუენი და ცან სიმწნე და სიქველე სპათა შენთა; გულისვმა ყავ, რამეთუ მრავალნი ახოვანნი, მცნენი და რჩეულნი იპოებიან სპათა შენთა შორის, რამეთუ არა არს წინააღმდეგომი მათი. აწ ბრძანოს მეფობამან თქუენმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეც-ნეს სადამე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვმიტედოთ ერაყს, რომ-გურსა ზედა, რომელ არს ხუარასანი, და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმწნე ჩუენი. და უბრძანე სპათა საქართველოსათა — მზა იყვნენ ლაშქრობად ხუარასანს. დაღათუ არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს ხუ-არასანს და ერაყს, არამედ ბრძანე, რათა ნიკოფისით დარუბანდამდე აღიჭურ-ნენ და მზა იყვნენ!“<sup>12</sup>

სპარსეთში გალაშქრების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თამარმა თბილისში ინახულა ლაშქარი, დალოცა და გადასცა „დროშა სკანად ჭმარე-ბული, გორგასლიანი და დავითიანი“ ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელს, რომლის სარდლობითაც ქართველთა ჯარი საომრად გაემართა. მათ ძლევამო-სილად დალაშქრეს ჩრდილოეთ სპარსეთის ქალაქები: მარანდი, თავრიზი

<sup>11</sup> I. Javaxišvili. t'xzulebani t'ormet tomad. t. II. t'bilisi. 1983, p. 283 (ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. 1983, გვ. 283).

<sup>12</sup> istoriani da azmani šaravandedt'ani. k'art'lis c'xovreba. tek'sti dadgenili qvela jirit'adi xelnaceris mixedvit' S. Qauxč'išvilis mier. t. II. t'bilisi. 1959, p. 103 (ისტორიანი და აზმანი შარავანდე-თანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგნილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხდვით ს. გაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბ. 1959, გვ. 103).

(ქართული წყაროების მიხედვით – თავრეული), მიანა, ზენჯანი, ყაზვინი. ყაზვინიდან ქართველი მოლაშქრენი „უშინაგანესისა რომ-გურისა მიმართ მიიწივნეს, რომელ არს ხორასანი“<sup>13</sup>

დიდძალი ალაფით დატგირთულ ქართველთა მხედრობას ლაშქრობის გაგრძელება გაუჭირდა და უკან გამობრუნდა. როგორც მემატიანე წერს, „შემოიქცეს გამარჯუებული და ძლევა-შემოსილი ქართველი“<sup>14</sup>

თავის გამარჯვებულ ლაშქარის თამარი „მაღლობელი ღმრთისა, მხიარულითა პირითა გაეგბა, ზეიმითა და დიდებითა. იყო კმა ბუკთა და დუმბულთა“<sup>15</sup>

ქართველთა აღნიშნული ლაშქრობა სპარსეთის ჩრდილოეთში გამოკვლეული აქვთ ჯემალ სტეფნაძეს,<sup>16</sup> აგრეთვე, დიმიტრი და ერეკლე შეელიძეებს.<sup>17</sup>

ამ დამსჯელი ექსპედიციის განმაპირობებელი მიზეზების, კერძოდ, საქართველო-ადარბადაგანსა და საქართველო-ხორეზმის შორის იმ პერიოდში არსებული დაძაბული ურთიერთობების შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს აგრეთვე, აზერბაიჯანელი მეცნიერის, აკადემიკოს ზია ბუნიატოვის ნაშრომები.<sup>18</sup>

ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ზემოხსენებულ ქართველ მეცნიერთა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ქართულმა მხედრობამ სპარსეთში იღაშქრა არა მხოლოდ ძალთა დემონსტრირებისა და ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით, არამედ, მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ხორეზმის შაჰ მუჰამედის წინააღმდევ ბრძოლა.<sup>19</sup>

<sup>13</sup> istoriani da azmani šaravandedt'ani, p. 107 (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 107).

<sup>14</sup> istoriani da azmani šaravandedt'ani, p. 107 (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 107).

<sup>15</sup> istoriani da azmani šaravandedt'ani, p. 109 (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 109).

<sup>16</sup> J. Step'naje. xorasanši lašk'robis sakit'xisat'vis, pp. 187-200 (ჯ. სტეფნაძე. ხორასანში ლაშქრობის საკითხისათვის, გვ. 187-200).

<sup>17</sup> D. Šveljije, E. Šveljije. sak'art'velosa da xorezmis urt'iert'oba da k'art'velt'a lašk'roba iranši (1210). prop'esor V. Mačarajis 80 cist'avasadmii mijgvnili samec'niero našromt'a krebuli. t'bilisi. 2001, pp. 35-45 (დ. შველიე, ე. შველიე. საქართველოსა და ხორეზმის ურთიერთობა და ქართველთა ლაშქრობა ირანში (1210). პროფესიონ. ვ. მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომთა კრიბული. თბ. 2001, გვ. 35-45).

<sup>18</sup> Z. Buniâtov. Gosudarstvo atabekov Azerbajdžana (1136-1226). Baku. 1978 (З. Буниятов, Государство атабеков Азербайджана (1136-1226), Баку, 1978); Z. Buniâtov. Gosudarstvo horezmšahov Anušteginov (1097-1231). Moskva. 1986 ( З. Буниятов, Государство хорезмшахов Ануштегинов (1097-1231), Москва, 1986).

<sup>19</sup> D. Šveljije, E. Šveljije. sak'art'velosa da xorezmis urt'iert'oba da k'art'velt'a lašk'roba iranši, pp.

40 (დ. შველიე, ე. შველიე. საქართველოსა და ხორეზმის ურთიერთობა და ქართველთა ლაშქრობა ირანში (1210), გვ. 40).

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ როგორიც არ უნდა ყოფილიყო  
აღნიშნული ლაშქრობის მიზეზები, ფაქტია: ეს იყო ქართველთა პირველი (და  
უკანასკნელი) ლაშქრობა სპარსეთში, რომელმაც საქართველოს საერთაშორი-  
სო ავტორიტეტი არნახულად აამაღლა.<sup>20</sup>

ამრიგად, ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, მთიულური საბრძოლო სიმ-  
ღერის (“ფერგისას”) სხვადასხვა დროს ჩაწერილ ვარიანტებში, რომლებიც  
ზემოთ არის მოყვანილი და განხილული, ასახულია მთიულ მხედართა მონა-  
წილეობა საქართველოს სამეფოს ჯარის მიერ სპარსეთში მოწყობილ ძლევა-  
მოსილ ლაშქრობაში, რაც 1210 წელს მოხდა და ეს ფაქტი სხვა საისტო-  
რიო წყაროებითაც დასტურდება.

---

<sup>20</sup> N. Javaxišvili. sparsel'ze galašk'rebaši mt'iult'a monacileobis asaxva k'art'ul p'olklorisi, rogor  
šemogvinaxa zepirsitqvierenbam c'noba k'art'vel mt'iel'ta gmirobaze, p. 15 (ნ. ჯავახიშვილი.  
სპარსეთზე გალაშქრებაში მთიულთა მონაწილეობის ასახვა ქართულ ფოლკლორში, როგორ  
შემოგვინახა ზეპირსიტყვიერებამ ცნობა ქართველ მთიულთა გმირობაზე, გვ. 15).

**Niko Javakhishvili**

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

**THE REFLECTION IN THE GEORGIAN FOLKLORE OF  
HIGHLANDERS' PARTICIPATION IN GEORGIAN ARMY'S  
INVASION IN PERSIA IN 1210**

Summary

There is a number of folklore texts preserved in Georgian peoples' poetry, which tell about the important historical military-political events. Some of these texts are unique as there are few or no other sources preserved describing these types of events.

On the festival of "Lomisoba", which is celebrated annually in Lomisi's St. Giorgi Church (8<sup>th</sup>-9<sup>th</sup> centuries) situated in one of Georgia's history-geographic regions called Mtiuleti, an ancient military song "Perkhisa" is sung. There were many versions of the song's texts published in Georgia over different years. One of them was published by us in 1989.

Various versions of the above song's texts are presented and analyzed in this article. In all of them, participation of Georgian highlanders – Mtiulis – is reflected in Georgians' military invasion of Khorasan (proved by Georgian historical sources).

In Georgian historiography it is proved that Georgian army conquered the following towns: Marandi, Tabriz, Miana, Zenjan, Kazvin etc. and reached Khorasan (Persia) in 1210. The army came back to Georgia with large booty. The above invasion took place not only for booty and demonstration of power, but its main goal was fighting with and defeating of the Shah of Khorezm – Muhamad.

**ხათუნა ბაინდურაშვილი**  
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**სუნიტური მაზჰაბები**  
**XIII-XIV საუკუნეების თბილისში**

ისლამის მქადაგებლის – მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ (632 წ.) მუსლიმურ თემში შიდა დაპირისპირება დაიწყო. ვითარებას ის გარემოება ამ-წვავებდა, რომ მუჰამადს თავის სიცოცხლეში მემკვიდრე არ დაუსახელებია. ეს კი საკმარისი მიზეზი გახდა იმისათვის, რომ მუსლიმებს შორის გაჩენილიყო სხვადასხვა აზრი „დედამიწაზე ღმერთის მოციქულის მოადგილის“ არჩევის თაობაზე.

VIII ს. მეორე ნახევრიდან სუნიტურ ისლამში თეოლოგიურ-სამართლებრივი სკოლების – მაზჰაბების<sup>1</sup> ჩამოყალიბება დაიწყო და ეს პროცესი საბოლოოდ X ს. დასრულდა. IX ს. პირველი ნახევრიდან მოყოლებული ორთოდოქსულ ისლამში ოთხი იურიდიულ-სამართლებრივი სკოლა არსებობს: მალიქიტების (მაზჰაბის სახელი მომდინარეობს დამაარსებლის მალიქ იბნ ან-ასის სახელიდან (713-795 წწ.)) ჰანაფიტების (მაზჰაბის დამაარსებელია აბუ-ჰანიფა (699-767 წწ. გარდ. ქუფაში), შაფიტებისა (აშ-შაფია (767-820 წწ.)) და ჰანბალიტების (აპმად იბნ ჰანბალი. გარდ. 855 წ.).<sup>2</sup> ასევე არსებობდა ზაპირიტებისა და ჯარირიტების მაზჰაბებიც, რომლებიც მაღლევე გაქრნენ. მაზჰაბებს შორის არსებობდა იდეოლოგიური დაპირისპირება, რომელიც ზოგჯერ

<sup>1</sup> მაზჰაბი – მიმართულება, ქცევი წესი, მუსლიმურ დვოისმეტყველებაში იგი რელიგიურ მოძღვრებას, დოქტრინას აღნიშნავს.

<sup>2</sup> N. Gelovani, G. Sanikjje. islam (religia, istoria, c'ivillizac'ia). t'bilisi. 2009, pp. 175-180 (ნ. გელოვანი, გ. სანიკე. ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია). თბ. 2009, გვ. 175-180); M. Tikajje. arabit'a istoria (V-XV ss). t'bilisi. 2008, pp. 144-146 (მ. ტიკაჯე. არაბთა ისტორია (V-XV სს.). თბ. 2008, გვ. 144-146); G. M. Kerimov. Šariat i ego social'naâ sušnost', p. 4 (Г. М. Керимов. Шариат и его социальная сущность, ст. 4); A. Mec. Musul'manskij Renessans. Moskva. 1966, p. 176-179 (А. Мец. Мусульманский Ренессанс. Москва. 1966, გვ. 176-179).

ფიზიკურ და შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზრდებოდა ხოლმე.<sup>3</sup>

ტერმინი სუნა (არაბ. اس-سُنَّة) ნიშნავს იმ გზას, მიმართულებას, რომ-ლითაც მორწმუნე მუსლიმმა უნდა იაროს. „სუნა“ გადატანითი მნიშვნელობებია ასევე „ადათი“, „ჩვეულება“ ანუ მოციქულ მუჰამადის ქცევა და სიტყვები, რომლებიც შემონახულია მისი შესახებ არსებულ გადმოცემებში და მუსლიმთავის მიღებულია, როგორც ცხოვრების კოდექსი.<sup>4</sup> სუნიზმის (იგივე ორთო-დოქტერული ისლამი) მიმდევრებს სუნიტები ეწოდებათ. მათი სრული სახელწოდებაა – „აპლ ას-სუნა ვა ლჯამა‘ა (სუნას თემის თანხმობის ხალხი).<sup>5</sup>

სუნიტები თეოლოგიურად და პოლიტიკურადაც გამართლებულად პირ-ველი ოთხი ხალიფას (აბუ-ბაქრი (632-634), ომარი (634-644), ოსმანი (644-656), ალი (656-661) მმართველობას აღიარებენ.<sup>6</sup>

სუნიტური მოძღვრების თანახმად, მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ მუსლიმთა მიმართ პოლიტიკური და სასულიერო ძალაუფლება არა მოციქულის საგვარეულოს ოჯახის წევრებს ეკუთვნოდათ, როგორც ამას შიიტები მიიჩნევდნენ, არამედ მუსლიმური თემის მიერ არჩეულ ღირსეულ ადამიანს, რომელიც თავისი პირველი თვისებებითა და ცოდნით შეძლებდა ცხოვრება-ში განეხორციელებინა ყურანის მოთხოვნები.<sup>7</sup>

სუნიტური თვალსაზრისით, მუჰამადის გარდაცვალებამ აღაპთან მუს-ლიმური თემის „პირდაპირი კონტაქტის“ გაწყვეტა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, მათი ცხოვრება უკვე ყურანისა და სუნას საფუძველზე უნდა წარ-მართულიყო. ამ ორი წიგნის სწორი განმარტება კი უზრუნველყოფილია თე-მის ერთობლივი აზრით (იჯმა), რომელსაც წარმოადგენდნენ ყველაზე ავტო-

<sup>3</sup> G. Sanikjje. mazhabi. islami, enc'iklopediuri c'nobari. t'bilisi. 1999, p. 123 (გ. სანიგიძე. მაზაბაბი. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი. ობ. 1999, გვ. 123); G. Jap'arije. sunizmi. islami, enc'iklopediuri c'nobari, pp. 175-176. (გ. ჯაფარიძე. სუნიზმი. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი. გვ. 175-176).

<sup>4</sup> G. Jap'arije. suna, p. 175 (გ. ჯაფარიძე. სუნა, გვ. 175); N. Gelovani, G. Sanikjje. islami (religia, istoria, c'ivillizac'ia), pp. 219-222 (ნ. გელოვანი, გ. სანიგიძე. ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), გვ. 219-222; M. Tikaje. arab'ta istoria (V-XV ss), pp. 134-135 (მ. ტიკაჟე. არაბთა ისტორია (V-XV ს.), გვ. 134-135); V. V. Bartol'd. Sočineniâ. VI. Moskva. 1966, pp. 104-113 (В. В. Бартольд. Сочинения. VI. Москва. 1966, ст. 104-113).

<sup>5</sup> G. Jap'arije. sunizmi. islami, enc'iklopediuri c'nobari, pp. 175-176 (გ. ჯაფარიძე. სუნიზმი. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, გვ. 175); T. Ramadan. Islam. prošloe i nastoâše. Moskva. 2017, p. 60 (Т. Рамадан. Ислам. прошлое и настоящe. Москва. 2017, ст. 60).

<sup>6</sup> N. Gelovani, g. sanikjje. islami (religia, istoria, c'ivillizac'ia), pp. 49 (ნ. გელოვანი, გ. სანიგიძე. ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), გვ. 49).

<sup>7</sup> G. Jap'arije. sunizmi, p. 175 (გ. ჯაფარიძე. სუნიზმი, გვ. 175).

რიტეტული მეცნიერი ღვთისმეტყველები.<sup>8</sup>

პანაფიტური მაზპაბი მუსლიმური სამართლის უმთავრეს წყაროდ ყურანს აღიარებს, ხოლო სუნას სამართლის დამოუკიდებელ წყაროდ მიიჩნევს. ამ მაზპაბის მიხედვით გადაწყვეტილება (იჯმა) მხოლოდ მაშინ მიიღება მხედველობაში თუ იგი სანდო ჰადისიდან მომდინარეობს.<sup>9</sup>

ისლამში რელიგიურ მიმდინარეობათა გამიჯვნის პროცესი არაბთა სახალიფოში მძაფრი შიდაპოლიტიკური დაპირისპირებისა და სოციალური აფეთქებების ფონზე მიმდინარეობდა, რაც აისახებოდა მისადმი დაქვემდებარებულ პოლიტიკურ ერთეულებზეც. უკვე VIII საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში ერთმანეთს დაუპირისპირდა შიიტური და სუნიტური ისლამი, რომლის მიმდევრებიც აქ თავიანთი მიმდინარეობის გავლენის მოპოვებასა და დამკიდრებას ცდილობდნენ. საბოლოოდ, თბილისის მუსლიმ მოსახლეობაში წამყვანი პოზიციები სუნიტურმა ისლამმა დაიკავა.<sup>10</sup> თბილისის სუნიტ მოსახლეობაში კი საგარაულოდ შაფიტური მაზპაბის წარმომადგენლები ჭარბობდნენ.<sup>11</sup>

მუსლიმური სამყაროსთვის ცნობილნი არიან ისლამის თეოლოგები და მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, რომელთა წარმომავლობა ან მოღვაწეობა თბილისთანაა დაკავშირებული. XIII საუკუნის თბილისელი მეცნიერია ფახრ აღ-დინ აღ-ხილატი (წარმომავლობა ხლათიდან), რომელიც მარალის ობსერვატორიაში მოღვაწეობდა. მანამდე კი მას 1242-1258 წლებში თბილისის ყადის თანამდებობა ეკავა.<sup>12</sup> 1245-1259 წლებში სირიის მთავარი

<sup>8</sup> G. M. Kerimov. Šariat i ego social'naâ sušnost', p. 4 (Г. М. Керимов. Шариат и его социальная сущность, გვ. 4).

<sup>9</sup> M. Metreveli. hanap'itebi. islami, enc'iklopediuri c'nobari, pp. 231-232 (მ. მეტრეველი. პანაფიტები. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, გვ. 231-232); R. Loimeier. Abu-Hanifa. Encyclopedia of Islam and the Muslim World. v. I-II. New York. 2003-2004, p. 8.

<sup>10</sup> E. Sixarulije. ibn-haukali t'bilisisi šesaxebe. kreb.: sak'art'velos istoriis aägmosavluri masalebi. I. t'bilisi. 1976, pp. 31-39 (ე. სიხარულიძე. იბნ-ჰაუკალი თბილისის შესახებ. ქრებ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლეური მასალები. I. თბ. 1976, გვ. 31-39). G. Beraje. Šua saukuneebis t'bilisisi istoriisat'vis (ert'i muslimuri gadmoc'emis šesaxebe). axloägmosavluri krebuli. I. t'bilisi. 1983, p. 54. (pp. 54-69) (გ. ბერაჟე. შუა საუკუნეების თბილისის ისტორიისათვის (ერთი მუსლიმური გადმოცემის შესახებ). ახლოაღმოსავლეური კრებული. I. თბ. 1983. გვ. 54 (გვ. 54-69)).

<sup>11</sup> G. jep'arije. sak'art'velo da maxlobeli aägmosavlet'is islamuri samqaro (XII-XIII s-is pirvel mesamedshi). t'bilisi. 1995, p. 200 (გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო (XII-XIII ს-ის პირველი მესამედში). თბ. 1995, გვ. 200); G. jep'arije. at-tip'lis'i. islami, enc'iklopediuri c'nobari, pp. 75-76, 211 (გ. ჯაფარიძე, ათ-თიფლისი, ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, გვ. 75-76, 211); X. Bairdurašvili. Šiiizmi t'bilisši. istoriul-et'nograp'iuli studiebi. IX. t'bilisi. 2005, pp. 143-144 (ხ. ბაირდუაშვილი. შიიზმი თბილისში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მტუდიები. IX. თბ. 2005, გვ. 143-144).

<sup>12</sup> G. Jap'arije. XIII saukunis t'biliseli mec'nieri maragis observatoriaši. "mac'ne". istoriis, ark'eo-logicis, et'nograp'iisa da xelovnebis istoriis seria. №2, t'bilisi, 1984, pp. 99-110 (გ. ჯაფარიძე. XIII

ყადის მოადგილე იყო თბილისში დაბადებული აბულ-ფათჰ უმრან იბნ ბუნდარ ქამალ ად-დინ ათ-თიფლისი (გარდ. 1273 წ.). ათ-თიფლისის ნისბის მატარებელ პირთა ეთნიკური კუთხით ილება, ჩვეულებრივ, უცნობია. ბიოგრაფიი საკითხზე ყურადღებას არ ამახვილებდნენ. ათ-თიფლისი ნისბის მქონე პიროვნებებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს შუასაუკუნეების მუსლიმური მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.<sup>13</sup>

ყადის თანამდებობაზე ნიშანვდა ხალიფა, ხოლო სახალიფოს დაშლის შემდეგ სულტანი ან სხვა მუსლიმი გამგებელი. როგორც პროფ. გოჩა ჯაფარიძე მიიჩნევს, მუსლიმთა ბატონობის დროს იგივე პროცედურა უნდა დავუშვათ თბილისშიც. იბნ ალ-ფუვატის ცნობით XIII ს. 40-50-იან წლებში თბილისის ყადის აბასიანი ხალიფა ამტკიცებდა, უფრო გვიან, XIV საუკუნის დასაწყისში (1305-1306 წწ.) ფახრ ად-დინ ალ-ხილატის (ყადის თანამდებობა 1242-1258 წლებს შორის უკანასკნელი აბასიანი ხალიფა – მუსთასიმ ბილ ლაპისაგან მიიღო) ვაჟი ალა ად-დინი თბილისის ყადიობის მანშურის ილხანთა ყაენისაგან ითხოვდა. მეცნიერი აღნიშნავს, რომ მოსამართლის მოღვაწეობას ქრისტიანული საქართველოს დედაქალაქში არ შეიძლებოდა თავისი სპეციფიკური ნიშნებიც არ ჰქონოდა, რადგან ძნელი დასაშეგებია, რომ თბილისის ყადის კანდიდატურა უცნობი და მიუღებელი ყოფილიყო ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის. ყადის უფლებამოსილებაში სამართალწარმოების გარდა, ნოტარიუსის უუქციაც შედიოდა. თბილისში მუსლიმური და ქრისტიანული მოსახლეობის თანაარსებობის პირობებში ყადის საქმიანობა საქართველოს სამეფო კარისა და ქართული მართლმასაჯულების ინტერესების მიღმა ვერ დარჩებოდა.<sup>14</sup> XIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ თბილისის ყადი მონაწილეობდა ქრისტიანთა სასამართლო პროცესებზე.<sup>15</sup>

საუკუნის თბილისელი მეცნიერი მარალის ობსერვატორიაში. „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №2. თბ. 1984, გვ. 99-110); G. Jap'arije. XIII saukunis t'bileli mec'nieri marağis observatoriaşı. jiebani sak'art'velosa da axlo ağımosavlet'iş istoriasi. I. t'bilisi. 2012, pp. 364-278 (გ. ჯაფარიძე. XIII საუკუნის თბილელი მეცნიერი მარალის ობსერვატორიაში. მიერან საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. I. თბ. 2012, გვ. 364-278).

<sup>13</sup> G. Jap'arije. at'-tip'lisi. islami, enc'iklopediuri c'nobari, pp. 75-76 (გ. ჯაფარიძე. ათ-თიფლისი. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, გვ. 75-76).

<sup>14</sup> G. Jap'arije. XIII saukunis t'biliseli mec'nieri marağis observatoriaşı. 1984, p. 108 (გ. ჯაფარიძე. XIII საუკუნის თბილისელი მეცნიერი მარალის ობსერვატორიაში. 1984, გვ. 108); G. Jap'arije. XIII saukunis t'biliseli mec'nieri marağis observatoriaşı, 2012, p. 276 (გ. ჯაფარიძე. XIII საუკუნის თბილისელი მეცნიერი მარალის ობსერვატორიაში. 2012, გვ. 276).

<sup>15</sup> G. Jap'arije. XIII saukunis t'biliseli mec'nieri marağis observatoriaşı. 1984, p. 108 (გ. ჯაფარიძე. XIII საუკუნის თბილისელი მეცნიერი მარალის ობსერვატორიაში. 1984, გვ. 108);

თბილისში ორთოდოქსული ისლამის ჰანაფიტური მაზკაბის გავრცელების მცდელობას ადგილი ჰქონდა აქ ჯალალ ად-დინის ლაშქრობის პერიოდში. XIII საუკუნის პირველ ნახევრში, როდესაც ქართველებსა და ხორებმელებს შორის დაპირისპირება მოხდა, ორივე სახელმწიფო დაქვეითების გზაზე იდგა. ხორებმ-შაჰმა საღვთო ომი გამოუცხადა საქართველოს და თვის თავზე აიღო ქართველთაგან მუსლიმთა გათავისუფლება და დაცვა. იგი აცხადებდა, რომ „ისლამის სახლს პატრონი გამოუჩნდა“<sup>16</sup>. აზერბაიჯანისა და არანის მუსლიმები ჯალალ ად-დინში ისლამისა და მისლიმების დამცველს ხედავდნენ. იმ პერიოდის ანტიქართული განწყობის თვალსაჩინო ნიმუშია XIII ს. ისტორიკოსი ჯუვეინის სიტყვები – „უგვანო და ურწმუნო ქართველებმა განამტკიცეს ხარბი სურვილი ვილაითის დასაკუთრებისა, რათა პირველ რიგში სულტანი განედევნათ და თავრიზის მხარე დაეპყროთ, შემდეგ ბაღდადს წასულიყვნენ, კათოლიკოსი დაესვათ ხალიფას ადგილზე, მეჩეთები ეკლესიებად და ჭეშმარიტება (ისლამი – ხ. ბ.) სიცრუით (ქრისტიანობით – ხ. ბ.) შეეცვალათ.<sup>17</sup> შესაძლოა ეს ჭორი ქართველების შიშით ყოფილიყო შეოხევული (თუმცა არა უსაფუძლოდ, აქ ვხედავთ არდებილის მხარეში ქართველების ლაშქრობის შესახებ ინფორმაციულ ანარუცლს – ხ. ბ.) ან ჯალალ ად-დინს თვითონ მოეგონებინა ეს ამბავი, რათა კიდევ უფრო გაეღიზანებინა მუსლიმები და ქართველთა წინააღმდეგ აემხედრებინა, თავისი ბრძოლისათვის კი რელიგიური ხასიათი მიეცა.<sup>18</sup> ჯალალ ად-დინი აცხადებდა, რომ „ისლამის სახლს პატრონი გამოუჩნდა“, რაც გულისხმობდა საქართველოსადმი დაქვე-

Iv. Javaxišvili. k'art'veli eris istoria. II. t'bilisi. 1965, pp. 306-304 (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II. თბ. 1965, გვ. 306-304); T'. Papuašvili. kulturuli urt'ier't'oba mezobel k'veqnebt'an. sak'art'velos istoriis narkvevebi. III. t'bilisi. 1979, pp. 499-500 (თ. პაპუაშვილი. კულტურული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III. თბ. 1979, გვ. 499-500); Il. Abulaje. stefanos orbelianis istoriis ert'i c'nobis gammaritebis garšemo. t'su şromebi. t. XXXIII. t'bilisi. 1948, p. III (ილ. აბულაჟე. სტეფანოს ირბელიანის ისტორიის კრიტიკობის განმარტების გარშემო. თევ. შრომები. ტ. XXXIII. თბ. 1948, გვ. III).

<sup>16</sup> Siyah ad-Din Muhammad an Nasavi. Zizneopisanie sultana Džalal ad-Dina Mankburny. Perevod s arabskogo, predislovie, kommetarij, primečaniâ i ukazateli Z. M. Bunâtova. Baku. 1973, p. 155 (Шихад ад-Дин Мухаммад ан Насави. Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкубурны. Перевод с арабского, предисловие, комментарий, примечания и указатели З. М. Бунятова. Баку. 1973, ет. 155).

<sup>17</sup> Juveinis c'nobebi sak'art'velos šesaxeb. sparsul tek'sts šesavali cerili caumjğvara, k'art'uli t'argmani da šenişvnebi daur'to R. Kiknajem. t'bilisi. 1974, p. 29 (ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. საპარასულ ტექსტს შესავალი წერილი წაუმდლვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაუკროთ რ. კიკნაძემ. თბ. 1974, გვ. 29).

<sup>18</sup> G. Jap'arije. sak'art'velo da maxlobeli ağmosavlet'iş islamuri samqaro, p. 223 (გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური, გვ. 223).

დებარებულ მუსლიმურ ტერიტორიებს და თვით თბილისს. რადგან მუსლიმებს თბილისი დარ აღ-ისმალად მიაჩნდათ. მასზე, როგორც მუსლიმთა ქალაქზე პრეტენზია ჰქონდათ და ოცნებობდნენ თბილისს კვლავ მუსლიმთა ხელში გადასვლაზე.

1225 წლის ივნისში აზერბაიჯანში თავისი პოზიციების განმტკიცების შემდეგ ჯალალ ად-დინმა საქართველოს ხელისუფლებას „მუქარითა და ქალილით სავსე“ მიმართვა გამოუგზავნა, რომელშიც ნებაყოფლობით დამორჩილებას თხოულობდა,<sup>19</sup> რაზეც უარი მიიღო. ჯალალ ად-დინის ეს ქმედება ჯიპადის პრინციპით იყო გაპირობებული. ამის შემდეგ ხორეზმ-შაჰმა საქართველოს ტერიტორიაზე პერმანენტული თავდასხმები დაიწყო. იბნ აღ-ასირის გადმოცემით, როდესაც ჯალალ ად-დინს თანმხლებმა პირებმა თბილისზე გალაშქრება ურჩიეს, მან უპასუხა, რომ არ ღირდა ქალაქის კედლებთან თავისი მეომრების დაღუპვა, რადგან, როდესაც ქართველებს გაანადგურებდა, თბილისი უბრძოლველად და უდანაკარგობა ჩაუვარდებოდა ხელში.<sup>20</sup>

გარნისის ბრძოლის (1225 წ. შემოდგომა) შემდეგ, სადაც ქართველებმა მარცხი განიცადეს, ჯალალ ად-დინმა მეფე რუსუდანს ცოლობა მოსთხოვა და მონღოლთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა.<sup>21</sup> „ჯალალ ად-დინის წინადადება, რუსუდანს ქმარიც რომ არ ჰყოლოდა, მიუღებელი იყო. ჯალალ ად-დინთან ქორწინება ფაქტობრივად ნიშნავდა ხვარაზმელთა მიერ საქართველოს უომრად ოკუპაციას და ქვეყანაში ხორეზმ-შაჰის თანმხლებ თურქებთა მრავალრიცხოვნი მასის ჩამოსახლებას, რასაც საქართველოს სამეფო კარი ვერავითარი სამხედრო მუქარის შიშით ვერ დასთანხმდებოდა“. <sup>22</sup> ფაქტია, რომ საქართველოს სამეფო კარი ჯალალ ად-დინის ნებისმიერი ფორმით ქვეყანაში შემოსვლაზე ყოველნაირად წინააღმდეგი იყო. როგორც

<sup>19</sup> Iv. Javaxišvili. K'art'veli eris istoria. III. t'bilisi. 1982, p. 10 (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. III. თბ. 1982, გვ. 10).

<sup>20</sup> Ibn al-Asir. Al-Kamil fi-t-tarih. Perevod s arabskogo, primečani i kommentarii P. G. Bulgakova. Dopolneniâ k perevodu, primečaniâ i kommentarîm, vvedenie i ukazateli Š. S. Kammolidina. Taškent. 2006, p. 379 (Ибн ал-Асир. Ал-Камил фи-т-тарих. Перевод с арабского, примечания и комментарии П. Г. Булгакова. Дополнения к переводу, примечаниям и комментариям, введение и указатели Ш. С. Каммолидина. Ташкент. 2006, ст. 379).

<sup>21</sup> žamt'ağmcereli. K'art'lis c'xovreba. II. tek'sti dadgenili qvela jirit'adi xelnaceris mixedvit' s. quauxč'išvilis mier. t'bilisi. 1959, pp. 173-174 (ჟამთაღმწერელი. ქართლის ცხოვრება. II. ტექსტი დადგნილი ქველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაქტიშვილის მიერ. თბ. 1959, გვ. 173-174).

<sup>22</sup> G. Jap'arije. sak'art'velo da maxlobeli ağmosavlet'is islamuri samqaro, p. 187 (გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 187).

პოლიტიკურად, ისე ეკლესიურად მისი წინადაღება მიუღებელი და აბსურდული იყო. უამთაღმწერელი აღნიშნავს: „ვითარ მოიწია თქმული ესე და იხილნეს წიგნი, განკვირდა მეფე და უცხო უწნდა საქმე ესე“<sup>23</sup> ასე, რომ ხგარაზმ-შაპის დიპლომატიური მანევრი – უორად და უსისხლოდ საქართველოს დამორჩილებისა, მარცხით დამთავრდა.

1226 წლის დამდეგს ხორეზმ-შაპი თბილის მოადგა და ალყა შემოარტყა. რუსედანი თავისი ამაღიო დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ქალაქის დაცვა კი მემნა და ბოცო ბოცოს ძეგბს მიაწოდების პირველ დღეს ქართველებმა ხორეზმელებს „ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს“. შემდეგ კი თბილისელ მუსლიმთა ინიციატივით მათსა და ჯალალ ად-დინს მორის გაიმართა ფარული მოღაპარაკება, რომელიც იმ შეთანხმებით დამთავრდა, რომ საჭირო დროს თბილისის მუსლიმობა მომხვდურ თანამორწმუნებებს ქალაქის კარს გაუღებდა და შიგნით შემოუშვებდა.<sup>25</sup> უამთაღმწერლის ცნობით ამ დროს თბილისელ მუსლიმებს ქალაქის ერთ-ერთი კარი – „განძის კარი“ ჰქონდათ ჩაბარებული.<sup>26</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი შემოიერთა, ქალაქი უცხოელი დამპყრობლების ალყა-ში არ ყოფილა. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა 1122 წლის შემდეგ საქართველოს დედაქალაქს მუსლიმები შემოეწყვნენ. ქართულ ლაშქართან ერთად ძოხდა მოსახლეობის მობილიზაცია. აქ კი აღვილობრივ მუსლიმებს ცალკე რაზმად ვხვდებით, რაც შესაძლოა, სწორედ სარწმუნოებრივი ფაქტორით იყო გაპირობებული. თუმცა, სტრატეგიულად ეს გადაწყვეტილება ქართული სარდლობის წინდაუხედაობაზე მიუთიობს. მათ კარგად ვერ გათვალეს ის რისკები, რაც შეიძლებოდა მუსლიმთა ცალკე რაზმის შექმნასა და მათვის თბილისის ერთ-ერთი კარის დაცვის ჩაბარებას მოჰყოლოდა. თბილისელმა მუსლიმებმა შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვეს, რათა ქალაქი კვლავ მუსლიმ მმართველთა ხელში აღმოჩნდიდიყო. ქართველებმა თბილისელი მუსლიმების დალატის შესახებ არაფერი იცოდნენ.<sup>27</sup> განძის კართან მისულ მემნა ბოცოს ძეს, რომელსაც მისი მმა ბოცოც ახლდა, ერთმა

<sup>23</sup> žamt'ağmcereli, p. 174 (უამთაღმწერელი, გვ. 174).

<sup>24</sup> žamt'ağmcereli, p. 174 (უამთაღმწერელი, გვ. 174); R. Kiknaje. xorezmelebi sak'art'veloši, sak'art'velos istoriis narkvebebi. III. Tbilisi. 1979, p. 541 (რ. კიკნაძე. ხორეზმელების საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკევები. III. თბ. 1979, გვ. 541).

<sup>25</sup> žamt'ağmcereli, p. 174 (უამთაღმწერელი, გვ. 174).

<sup>26</sup> žamt'ağmcereli, p. 175 (უამთაღმწერელი, გვ. 175).

<sup>27</sup> žamt'ağmcereli, p. 175 (უამთაღმწერელი, გვ. 175).

თბილისელმა მუსლიმმა „აფთიათა ძლიერ დაუხეთქა უმუზარადოსა თავსა, განუპო და მყის დაეცა და მოკუდა“<sup>28</sup> თბილისელ მუსლიმთა დალატზე საუბრობს სომეხი ისტორიკოსი კირაკის განმაკეცი<sup>29</sup> და იბნ ალ-ასირიც.<sup>30</sup>

1226 წლის 9 მარტს თბილისი ხორეზმელებმა დაიკავეს.<sup>31</sup> ამ ფაქტს ჯალალ ად-დინისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისი იმ დროის უძლიდესი ქალაქი იყო.<sup>32</sup> მისი დაუფლება და დიდმაღი ნადავლის ხელში ჩაგდება ჯალალ ად-დინს შესაძლებლობას მისცემდა უფექტიანად ებრძოლა მონლოების წინააღმდეგ და თავისი სამფლობელოები დაებრუნებინა (რაც საბოლოო ჯამში მაინც ვერ განახორციელა). გარდა ამისა, თბილისი წარმოადგენდა აღმოსავლეთში ქრისტიანობის დაცვისა და გავრცელების სიმბოლოს და მისი დაპყრობა ჯალალ ად-დინისათვის მუსლიმთა თვალში პრესტიუს ამაღლებას ნიშნავდა.

თბილისში ხორეზმ-შაპმა დიდი ხოცვა-ულეტა მოაწყო. ეს იყო სისხლიანი ანგარიშსწორება საქართველოსა და მისი ქრისტიანი მოსახლეობის მიმართ იმისათვის, რასაც აღმოსავლეთში ქართველთა ჰეგემონობა ერქვა. ხორეზმელები არ ინდობდნენ არც ერთი სქესისა და ასაკის ადამიანს. მათ საშინლად გაძარცვეს და ააოხრეს თბილისი. დაანგრიეს და შეურაცხყვეს ეპლესია-მონასტრები. სასტიკად მოეპყრნენ ქრისტიან სასულიერო პირებს.<sup>33</sup> ჯალალ ად-დინი თბილისის აოხრების შეძლევ თავისი „სარწმუნოებრივი მისის“ შესრულებას შეუდგა. მისი ბრძანებით სიონის ტაძარის გუმბათი მოარღვიეს და ზედ მისთვის დასაჯდომი ადგილი მოაწყვეს. სწორედ აქედან ადევნებდა იგი თვალ-ყურს ქრისტიანთა ძალით გამუსლიმებას. გარეთ, ხიდზე ღვთისმობლისა და მაცხოვრის ხატი დასვენეს, თავი მოუყარეს თბილისის მოსახლეობას და უბრძანეს ხატის შეურაცხყოფა და ისლამის აღიარება, რომლის შემთხვევაშიც მათ ცოცხლად დატოვებდნენ. მრავალმა თვითგადარჩნის მიზნით ისლამი აღიარა, ბევრი კი, ვინც გამუსლიმებაზე უარი განაც-

<sup>28</sup> žamt'ağmcereli, p. 175 (ფამთაღმწერელი, გვ. 175).

<sup>29</sup> Kirakos Gandzakeci. Istorî Armenii. Perevod s drevnormânskogo, predislovie i kommentarij L. A. Hanlarân. Moskva. 1976, pp. 149-150 (Киракос Гандзакеци. История Армении. Перевод с древнормянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян. Москва. 1976, ст. 149-150).

<sup>30</sup> Ibn al-Asir. Al-Kamil fi-t-tarih, p. 380 (Ибн ал-Асир. Ал-Камил фи-т-тарих, ст. 380).

<sup>31</sup> Ibn al-Asir. Al-Kamil fi-t-tarih, p. 380 (Ибн ал-Асир. Ал-Камил фи-т-тарих, ст. 380); რ. kiknaje. xorezmelebi sak'art'veloši, p. 542 (რ. კიგნაჟ. ხორეზმელები საქართველოში, გვ. 542).

<sup>32</sup> D. Gvritišvili. narkvevebi sak'art'velos istoriidian. I. t'bilisi. 1962, pp. 166-167 (დ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. I. თბ. 1962, გვ. 166-167).

<sup>33</sup> žamt'ağmcereli, p. 177-178 (ფამთაღმწერელი, გვ. 177-178).

ხადა, სიკვდილით დასაჯეს.<sup>34</sup>

თბილისში ხორეზმელების მიერ ეკლესიების ადგილზე სამლოცველოების დაარსების შესახებ საუბრობს ათა-მალექ ჯუვერნი.<sup>35</sup> ეს ცნობა ერთგვარ ეჭვს ბადებს, რადგან ავტორი აშკარაა, ცდილობს ისლამის წინაშე ჯალალ-ად-დინის „დამსახურება“ გადაჭარბებულად წარმოაჩინოს. ჯალალ ად-დინის მიერ მუსლიმური სამლოცველოების აშენების შესახებ ცნობები არ გვხვდება არც უამთაღმწერელთან და არც კირაკოს განძაკეცთან.

ხორეზმში გავრცელებული იყო სუნიტური ისლამის ჰაზ-ჰაბი. გამონაკლის მხოლოდ ქალაქი ხივა წარმოადგენდა, სადაც მუსლიმი მოსახლეობა შაფიტურ მაზჰაბს აღიარებდა.<sup>36</sup> იქიდან გამომდინარე, რომ ჰაზიტური მაზჰაბი ხორეზმში ოფიციალურ მაზჰაბად იყო აღიარებული, ცხადია, ჯალალ ად-დინის მიერ თბილისში მოწყობილი მასობრივი გამუსლიმება, სწორედ ამ მაზჰაბის შემოტანას გამოიწვევდა.

დიდი იყო სიძულვილი ქრისტიანებსა და შემოსულ მტერს შორის. ქრისტიანები ხორეზმელების რელიგიას „ცუდ-რჯულს“<sup>37</sup> და „სიცრუეს“,<sup>38</sup> ხოლო მუსლიმები ქრისტიანებს „წარმართო სექტას“ და „ეშმაკის მიმდევ-რებს“<sup>39</sup> უწოდებდნენ.

XIII საუკუნის 20-იანი წლებისათვის თბილისელ მუსლიმთა განწყობას გადომოგცემს არაბი მემატიანე იბნ-ვასილი. იგი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც თბილისი ქართველებმა დაიკავეს (იგულისხმება 1122 წელს დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღება). მათ დატოვეს ქალაქში მუსლიმები, რომლებსაც ნება დართეს, რომ შეესრულებინათ ისლამის წეს-ჩვეულებები, მაგრამ „ქალაქში იყვნენ მუსლიმთაგან ისეთები, რომლებიც გამოოქვამდნენ სურვილს, რომ მაღალ ღმერთს დაეხსნა ისინი ურწმუნოთაგან“<sup>40</sup> ანუ ქრის-

<sup>34</sup> ჰამტაგმწერელი, p. 177-178 (ფათაღმწერელი, გვ. 177-178); ibn al-asiri. G. Jap'arije. sak'art'velo da maxlobeli āgmosavlet'i islamuri samqaro (XII-XIII ს-ის pirvel mesamedši), p. 228 (იბბ ალ-ასირი. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო (XII-XIII ს-ის პირველი მეტედში, გვ. 228); 150 Kirakos Gandzakeci. Istorija Armenii, p. 150 (Кираакос Гандзакеци. История Армении, ст. 150).

<sup>35</sup> juveinisi c'nobebi sak'art'velos šesaxeb, p. 32 (ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 32).

<sup>36</sup> An-nasavi, 1973, p. 68, 94, 330 (ან-ნასავი, 1973, გვ. 68, 94, 330).

<sup>37</sup> ჰამტაგმწერელი, p. 177 (ფათაღმწერელი, გვ. 177).

<sup>38</sup> Kirakos Ganjakeci, 1976, p. 150 (კირაკოს განჯაკეცი, 1976, გვ. 150).

<sup>39</sup> juveinisi c'nobebi sak'art'velos šesaxeb, pp. 31- 32 (ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 31-32).

<sup>40</sup> ibn-vasilis es c'noba mogvak'vs g. Jap'arijis cignidan sak'art'velo da maxlobeli āgmosavlet'i

ტიანი ქართველებისაგან. ზოგმა მუსლიმმა ანდერძადაც კი დაუბარა თავიანთ შვილებს, რომ თუ ალაპი ინებებდა და თბილისი კვლავ მუსლიმთა ხელში აღმოჩნდებოდა, იმ შემთხვევაში თუ იგი ცოცხალი არ იქნებოდა, ეს ამბავი საფლავზე ეცნობებინათ მისთვის. ანდერძი შეუსრულეს – როდესაც ჯალალ ად-დინმა თბილისი აიღო „მოანდერძის ერთ-ერთი შვილი მივიდა მამის საფლავთან და იძახდა ამას საფლავის წინ“.<sup>41</sup>

ხვარაზმელთა სისასტიკეს ემატებოდა მათი ამორალურობაც. ხორეზმელები აღმოსავლეთში ცნობილი იყვნენ გარყვნილებითა და მრუშობით. XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი აბდ ალ-ლატიფ ალ-ბალდადი მათ შესახებ წერდა: „ხვარაზმელებთან გავრცელებულია მრუშობა და მამათმავლობა არ ითვლება სამარცხებინ საქმეზ“.<sup>42</sup>

ხორეზმელები თბილისში არც მუსლიმებს ინდობდნენ.<sup>43</sup> იტაცებდნენ მათ ქონებას, ცოლ-შილს და თან რენეგატებს, სარწმუნოების მოღალატეებს უწოდებდნენ.<sup>44</sup> რადგან თბილისელი სუნიტი მუსლიმები შაფიტური, ხოლო შიიტები – იმამიტური მაზჰაბის მიმდერები იყვნენ, ხორეზმელებისთვის ორივე გარემოება მიუღებელი იყო.

აღნიშნულ პროცესებამდე თბილისის ყადი შაფიტური მაზჰაბს ეკუთვნოდა, ხოლო თბილისში ხორეზმ-შაპის შემოსვლის შემდეგ ლოგიკურია ვიკარაულო, რომ თბილისის მთავარი ყადი პანაფიტური მაზჰაბის წარმომადგენელი უნდა გამხდარიყო და პოლიტიკური სიტუაციიდან და იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომელშიც ხორეზმ-შაპი იმყოფებოდა, შესაძლოა, მას ლეგიტიმაცია თვით ჯალალ ად-დინისაგან უნდა მიეღო.

ჯალალ ად-დინის თანამედროვე და მომდევნო ხანის ისტორიკოსებმა შემოგვინახეს ცნობები მისი პიროვნების შესახებ. ან-ნასავი გადმოგვცემს, რომ ჯალალ ად-დინი იყო „შავგვრემანი, საშუალო სიმაღლის, თურქული საუბრითა და გამოთქმებით, ამასთანავე ის ლაპარაკობდა სპარსულადაც... ის

islamuri samqaro, p. 255 (აბნ-ვასილის ეს ცნობა მოგვაქს გ. ჯაფარიძის წიგნიდან. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 255).

<sup>41</sup> g. Jap'arije. sak'art'velo da maxlobeli aghmosavlet'i's islamuri samqaro, p. 255 (გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო, გვ. 255).

<sup>42</sup> g. Jap'arije. axali arabuli cqaro XIII saukunis sak'art'velos istoriisat'vis. "c'iskari". №1. 1980, p. 137 (გ. ჯაფარიძე. ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. „ცისპარი“. №1. 1980, გვ. 137).

<sup>43</sup> Ibn al-Asir. Al-Kamil fi-t-tarih, p. 380 (Иbn ал-Асир. Ал-Камил фи-т-тарих, ст. 380).

<sup>44</sup> G. Jap'arije. axali arabuli cqaro XIII saukunis sak'art'velos istoriisat'vis, p. 137 (გ. ჯაფარიძე. ახალი არაბული წყარო XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 137).

იყო ლომი ლომებს შორის. იყო მორცხვი, არ ბრაზდებოდა და არ ილანძღებდოდა. იყო სერიოზული. არასოდეს იცინოდა, მხოლოდ იღიმებოდა. არ იყო ენაწყლიანი. უყვარდა სამართლიანობა, თუმცა წინააღმდეგობებმა, რომლებიც მას ცხოვრებაში შეხვდა, ხასიათი შეუცვალა. ცდილობდა თავისი ხელქვეიბისათვის ცხოვრება შეემსუბუქებინა, მაგრამ ქვეყანას მართავდა დაცემის პრეიოდში და ამიტომ მიმართავდა ძალმომრეობას“<sup>45</sup> ხაზგასასმელია, რომ ან-ნა-სავი არაფერს ამბობს ჯალალ ად-დინის ღვთისმოსაობისა და აღაპისადმი მისი სიყვარულის შესახებ. ისლამი ხორეზმ-შაჰი სჭირდებოდა, როგორც მუსლიმთა გამაერთიანებელი იარაღი ქართველების წინააღმდეგ, რამაც თავ-დაპირველად პოზიტიური შედეგიც გამოიღო.

საინტერესოა ასევე ჯალალ ად-დინის უამთაღმწერლისეული დახასიათებაც. მიუხდავად იმ საშინელებებისა, რაც ჯალალ ად-დინმა საქართველოში ჩაიდინა, ქართველი მემატიანე მისადმი, როგორც მხედარომთავრის მიმართ საკმაოდ სიმპათიებით და შეიძლება ითქვას, აღფრთოვანებითაც აღნიშნავს, რომ ხორეზმ-შაჰი ჯალალ ად-დინი იყო „კაცი მხნე და ქველი, შემმართებელი, უშიში ვითარცა უხორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო... რამე-თუ იყო უშიში ბრძოლათა შინა“<sup>46</sup> ჯალალ ად-დინის ეს დახასიათება ქართველმა ისტორიკოსმა ცხადია, ხორეზმ-შაჰის აპოლეგეტებიდან აიღო, თუმცა მისი მისამართით ქართველი მემატიანის მიერ ტერმინ „ქველის“ გამოყენება გაოცებას იწვევს. უამთაღმწერელზე დაყრდნობით ჯალალ ად-დინის ანალოგიურ დახასიათებას იძლევა ვახუშტი ბატონიშვილიც<sup>47</sup> თუმცა იმ განსხვავებით, რომ სასტიკ დამპყრობელს „ქველს“ არ უწოდებს.

როგორც ვხედავთ, უამთაღმწერელი არ უკარგავს ჯალალ ად-დინს მხედარომთავრულ და პიროვნულ თვისებებს, მაგრამ ისტორიკოსს არც ის უხამსობა და უღირსი საქციელი გამოპარვია, რასაც ხორეზმელები საქართველოში ჩადიოდნენ და შემდეგში ქვეყანაში გავრცელებულ ათასგვარ მანკიერებას უამთაღმწერელი ხორეზმელთა „დამსახურებად“ მიიჩნევს. იგი აღნიშნავს: „...ამის ძალითა დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყვარული, სიწრფოება, სიმშვიდე, სიმართლე და ამის წილ მოიპოვეს

<sup>45</sup> An-nasavi. 1973, p. 297 (ან-ნასავი. 1973, გვ. 297).

<sup>46</sup> ჟამტაგმცერელი, p. 183 (უამთაღმწერელი, გვ. 183).

<sup>47</sup> Vaxuştī Batonişvili. ağcera samep'osa sak'art'velosa. k'art'lis c'xovreba. IV. tek'sti dadgenili qvela jirit'adi xelnaceris mixedvit' s. quauxč'išvilis mier. t'bilisi. 1973, p. 200 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაქტიშვილის მიერ. ობ. 1973, გვ. 200).

ამპარტაგნება, ზაკუა, შური, ხდომა, სიძულვილი, ანგარება, მიმძლავრება, კლვანი, პარვანი, სიძვანი, უწესობანი, რამეთუ სენი იგი სოდომელთა და სალმობა გომორელთა მოიწია<sup>48</sup> როგორც ჩანს, გაჭირვებაში ჩავარდნილ ქვეყანაში მანკიერმა ჩვევებმა გავრცელებისთვის კარგი ნიადაგი ჰქოვა.

ჯალალ აღ-დინმა თავისი ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ ჯიპადის დროშით დაიწყო და აღმოსავლეთის მუსლიმებს „უსჯულო“ ქართველებისა-გან გათავისუფლებას შეპირდა. პოლიტიკური მიზნები სარწმუნოებისათვის ბრძოლის საფარით შეირდა და სწორედ ამან გაუადვილა მას თბილისის დაპყრობა. ამ ფაქტს მუსლიმთათვის დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა – თბილისის კვლავ მუსლიმი მბრძანებლის ხელში აღ-მოჩნდა და ხუთი წლის მანძილზე კვლავ დარ აღ-ისლამის ტერიტორიად ითვლებოდა. ხორეზმელთა მიერ თბილისში გავრცელებული სარწმუნოება სუ-ნიტური ისლამის ჰანაფიტური მაზჰკაბი იყო.

ამრიგად, XIII საუკუნის 20-იან წლებში თბილისში ისლამის სამი მაზ-ჰკაბი არსებობდა. აქედან ორი – შაფიტური და ჰანაფიტური – ორთოდოქსული ისლამის და ერთი – ჯაფარიტული მაზჰკაბი, შიიტურ-იმამიტური ისლამის კუთხნილება იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯალალ აღ-დინის მიერ თბილისში შემოტანილ ჰანაფიზმს დამკვიდრების არანაირი პერსპექტივა ჰქონდა, რადგან იძულებით გამუსლიმებული ქართველები ქვეყნიდან ხორეზმელთა წასვლის შემდეგ კვლავ თავიანთ სარწმუნოებას დაუბრუნდებოდა. ამრიგად, საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე, თბილისში ჰანაფიტური მაზჰკაბის არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა, თუმცა მისი შემოსვლის გზა ძალისმიერი და სისტლიანი იყო.

თბილისში ჰანაფიზმის გავრცელება-დამკვიდრებისათვის მცდელობის საკითხში მნიშვნელოვანია თემურ-ლენგის ლაშქრობათა პერიოდი. ამ პიროვნების მოღვაწეობა მრავალი მეცნიერის კვლევის საგანს წარმოადგენს და ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი აღილს იკავებს.<sup>49</sup>

<sup>48</sup> ჟამთაღმწერელი, p. 178 (ჟამთაღმწერელი, გვ. 178).

<sup>49</sup> See: V. Gabaşvili. maxlobeli ağmosavlet'i XIV-XV ss. narkvevebi maxlobeli ağmosavlet'i isatoriidan. t'bilisi. 1957, pp. 215-225 (ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმოსავლეთი XIV-XV სს. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ. 1957, გვ. 215-225); D. Kac'itaje. sak'art'velo XIV-XV saukunet'a mijnaz (sparsuli da sparsulenovani cqaroebis mixedvit'). t'bilisi. 1975 (დ. კაცითაძე. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სამარსული და სამარსულებრივი წყაროების მიხედვით). თბ. 1975); K. Tabataje. k'art'veli xalxis brjola uc'xoel dampqrobt'a cinaağmdeg XIV-XV ss-is mijnaz. t'bilisi. 1974 (კ. ტაბათაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს-ის მიჯნაზე. თბ. 1974); V. Gabaşvili. t'at'art'a

როგორც ცნობილია, თემურ-ლენგის ლაშქრობებს საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) მისი აპოლოგეტი ისტორიკოსები (ნიზამ ად-დინ შამი, შერეფ ად-დინ ალი იეზდი, მუხ ად-დინ ნათანზი, ფასიპი ხაფი, ჰაფუ-ზე აბრუ, აბდ არ-რეზა სამარყანდი, მირხონდი, ხონდემირი) აქ ისლამის გავრცელების მიზეზით ხსნიან. დაპყრობითი ლაშქრობების მიზნად ისლამის ექსპანსის დასახელება მუსლიმი ისტორიკოსებისთვის ტრადიციას წარმოადგენდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის როლი ამ სამხედრო ოპერაციების დროს არც თუ ნაკლებმნიშვნელოვანი იყო. ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ საქართველოში თემურ-ლენგის ლაშქრობათა რელიგიური კომპონენტი და აქ ისლამის ჰაზაფიტური მაზაპაბის გავრცელების მცდელობის რეალური მიზეზები.

თემურ-ლენგი მუსლიმ სასულიერო პირებს იყენებდა საკუთარი ძალა-უფლების განმტკიცებისათვის და ცდილობდა, რომ ეს ფეხა თავის პოლიტიკურ დასაყრდენად ჰყოლოდა. თემური ტრადიციულად სუნიტური ისლამის მიმდევარი იყო. მისი სარწმუნოებრივი კუთვნილების შესახებ სწავლულ კაც-

semosevebi sak'art'veloši. t'bilisi. 1943 (ვ. გაბაშვილი. ოთართა შემთხვევები საქართველოში. თბ. 1943); D. Gvritišvili. narkvevebi sak'art'velos istoriidan. I (დ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიად. I); M. Brose. sak'art'velos istoria. I. tp'ilisi. 1895 (მ. ბროსი. საქართველოს ისტორია. I. ტვ. 1895); Iv. Javaxišvili. k'art'veli eris istoria. III. t'bilisi. 1941 (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. III. თბ. 1941); N. Berjenišvili. sak'art'velos istoria. XIII-XIV ss. sak'art'velos istoriis sakit'xebi. II. t'bilisi. 1962 (ნ. ბერენიშვილი. საქართველოს ისტორია. XIII-XIV სს. საქართველოს ისტორიის საკითხები. II. თბ. 1962); D. Karičašvili. sak'art'velos mokle istoria. tp'ilisi. 1908 (დ. კარიჭაშვილი. საქართველოს მოქალა ისტორია. ტფილის. 1908); G. O'txmezuri. t'emur-langsak'art'veloši lašk'robis šesaxebe (religiuri aspek'ti). saistorio krebuli. I. t'bilisi. 2011, pp. 54-67 (გ. ოთხმეტე. თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ (რელიგიური ასპექტი). საისტორიო კრებული. I. თბ. 2011, გვ. 54-67). L. V. Stroeva. Vozniknovenie gosudarstva Timur, Učeny zapiski Leningradskogo gos. universite-ta. №128. Seriâ vostokovedečeskikh nauk. vyp. 3. L. 1952 (Л. В. Стровеа. Возникновение государства Тимур. Учены записки Ленинградского гос. университета. №128. Серия востоковедческих наук. вып. 3. Л., 1952); L. Ú. Akubovskij. Timur, opyt krtatkoj harakteristiki. Voprosy istorii. №8-9. M. 1946 (Л. Ю. Якубовский. Тимур, опыт краткой характеристики. Вопросы истории. №8-9. М. 1946); V. V. Bartol'd. Ulugbek i ego vremâ. soč. II. č. I. Moskva. 1964 (В. В. Бартольд. Улугбек и его время. соч. II. ч. I. Москва. 1964); N. V. Pigulevskaâ, A. Ú. Akubovskij, I. G. Petruševskij, L. V. Stroeva, A. M. Belenickij. Istorîâ Iranâ s drevneiših vremen do konca XVIII v. L. 1958 (Н. В. Пигуловская, А. Ю. Якубовский, И. Г. Петрушевский, Л. В. Стровеа, А. М. Беленицкий. История Ирана с древнейших времен до конца XVIII в. Л. 1958); M.S. Ivanov. Istorîâ Iranâ. Moskva. 1977 (М. С. Иванов. История Ирана. Москва. 1977); Istorîa stran zarubežnoj Azii v srednie veka. Moskva. 1970 (История стран зарубежной Азии в средние века. Москва. 1970); A. Ú. Akubovskij. Timur i ego vremâ. Istorîa narodov Uzbekistana. t. I. Taškent. 1950 (А. Ю. Якубовский. Тимур и его время. История народов Узбекистана. т. I. Ташкент, 1950).

თა კომისია აღნიშნავს, რომ იგი „იყო სჯულითა სუნი“.<sup>50</sup> მაგრამ ჩვეულებრივ, თემურ-ლენგისათვის რელიგია მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენდა და მას შექმნილი ისტუაციის შესაბამისად თავის სა-სარგებლოდ იყენებდა. სადაც სჭირდებოდა შიიტების დამცველი იყო და სა-დაც საჭიროება მოითხოვდა – სუნიტების.<sup>51</sup>

თემურიანთა ხანის სპარსი ისტორიკოსები ცდილობდნენ თემურ-ლენგში არა მარტო დიდი მხედართმთავრის, არამედ, სარწმუნოების გამავრცელებლის სახე წარმოებინათ. ისინი თემურის ლაშქრობებს საქართველოში ჯიპადის მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სინამდვილეში, ისლამი თემურ-ლენგისათვის პოლიტიკური ლავირების ერთ-ერთი საშუალება იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არანაირ ანგარიშს უწევდა. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „მიწის მფლობელობისათვის მებრძოლ „ველურ“-მომთაბარეებმა მაპმადიანობა თავის აღმად აღიარეს და „გიაურთა“ (ქრისტიან მიწისმფლობელთა) წინააღმდეგ ბრძოლაში „საღვთო საქმე“ გამოაცხადეს. თემურ ლენგი ამ „მაპმადიანური პოლიტიკის თანმიმდევრული გამტარებელი იყო“.<sup>52</sup> აქვე დავსძონთ, რომ ამ „მაპმადიანურ პოლიტიკაში“ სოიურდალის ინსტიტუტის დანერგვა ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო, რასაც თემურ-ლენგის დაპყრობითი ომების საბოლოო წარმატება უნდა უზრუნველეყო.

თემურ-ლენგი საქართველოს პირველად 1386 წელს ე. წ. „სამწლიანი“ ლაშქრობის დროს მოადგა, რაც მასსა და ოოლთამიშს შორის ურთიერთობის გამწვევებას მოჰყვა. თემურმა გაძარცვა თბილისი და ტყვედ ჩაიგდო საქართველოს სამეფო ოჯახი – მეფე ბაგრატ V (1360-1393 წწ.), დედოფალი ანა და უფლისწული დავითი, დიდალი ტყვე წაიყვანა და ყარაბაღში დაბანაკდა.<sup>53</sup> მოუხედავად იმისა, რომ სპარსი ისტორიკოსები თემურის ამ ლაშქ-

<sup>50</sup> Beri Egnatašvili. axali k'art'lis c'xovreba. pirveli tek'sti. k'art'lis c'xovreba. II. tbilisi. 1959, p. 327 (ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. II. თბ. 1959, გვ. 327); Vaxušti Batonišvili. aćcera samep'osa sak'art'velosa, p. 264 (ვახუშტი ბათონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 264).

<sup>51</sup> Istorija Uzbekskoj SSR. t. I. kn. I. Taškent, p. 331 (История Узбекской ССР. т. I. кн. I. Ташкент, ст. 331).

<sup>52</sup> N. Berjenišvili. sak'art'velos ruset't'an šeert'ebis istoriuli mnisišvnelobisat'vis. sak'art'velos istoriis sakit'xebi. V. tbilisi. 1971, pp. 155-180 (ნ. ბერჯენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. საქართველოს ისტორიის საკითხები. V. თბ. 1971, გვ. 155-180).

<sup>53</sup> P'arsadan Gorgijanijis istoria. S. Kakabajis gamoc'ema. saistorio moambe. nac. II. tp'ilisi. 1925, p. 302 (ფარსალინ გორგიანიძის ისტორია. ს. კაკაბაჯის გამოცემა. სასტორიო მოახვ. ნაწ. II. ტფ. 1925, გვ. 302); K. Tabataje. t'emur lengis dapqrobit'i omebi da misi pirveli šemoseva sak'art'veloši 1386 c. sin. III. tbilisi. 1979, p. 670 (670-680) (კ. ტაბათაე. თემურ ლენგის დაპყრობითი ომები და მისი პირველი შემოსევა საქართველოში 1386 წ. სინ. III. თბ. 1979,

რობას საქართველოში ისლამის გავრცელების მიზნით ხსნიან, არსად ლაპარაკი არაა იმის თაობაზე, რომ ომურ-ლენგს თბილისის ქრისტიანი მოსახლეობის მასიური გამუსლიმება მოეწყო, როგორც ეს ჯალალ აღ-დინმა გააკეთა.

ბაგრატ V-ს ომურ-ლენგმა ისლამის აღიარება ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას შესთავაზა. როგორც ჩანს, შუაზიელ დამპყრობელს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოს მეფის გამუსლიმება, რადგან ბაგრატს ამ საკითხზე პირადად დალაპარაკებია.<sup>54</sup>

თავდაპირველად ბაგრატ V უარზე იყო მიეღო ისლამი. ამის გამო მას ომურთან ტყვედ ყოფნა მოუწია. ბაგრატი ომურ-ლენგს გილანსა და მაზან-დარანში ლაშქრობის დროს თან ჰყავდა.<sup>55</sup> როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში ომურ-ლენგსა და საქართველოს მეფეს ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ, რაც უპირველესად მასთან რელიგიურ საკითხებზე საუბრით იყო გაპირობებული. ამ დროს ბაგრატ V-ს ომურ-ლენგისგან და მისი თანმხლები მეცნიერებისგან უნდა მიეღო ინფორმაცია მუსლიმური მიწათმფლობელობის\* შესახებ და გაერჩევინა ის საფრთხე, რაც ამ სისტემას შეეძლო მოეტანა საქართველოსთვის.

ტყვედ ყოფნის პერიოდში ბაგრატ V-მ ომურ-ლენგის კეთილგანწყობის მოპოვება შეძლო. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „გარნა შეიყუარა

გვ. 670 (670-680); Šaraf ad-Din Ali Jazdi. Zafar-name. Kniga pobed Amira Temura. Predislovie, perevod so starouzbekskogo, kommentarij, ukazateli i karta doktora istoricheskikh nauk professora Ašrafa Ahmedova. Taškent. 2008, p. 114 (Шараф ад-Дин Али Йазди. Зафар-наме. Книга побед Амира Темура. Предисловие, перевод со староузбекского, комментарий, указатели и карта доктора исторических наук профессора Ашрафа Ахмедова. Ташкент. 2008, ст. 114).

<sup>54</sup> K. Tabataje. K'art'veli xalxis brjola ic'xoel dampqrobt'a cinaagmdeg XIV-XV ss-is mijnaze. t'bilisi. 1974, p. 74 (კ. ტაბათაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. თბ. 1974, გვ. 74); Šaraf ad-Din Ali Jazdi. Zafar-name, p. 115 (Шараф ад-Дин Али Йазди. Зафар-наме, ст. 115).

<sup>55</sup> Vaxušti Batonišvili. aēgcera samep'osa sak'art'velosa, p. 265 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 265).

\* სოიურდალი ოქროს ურდოში გავრცელებული მიწათმფლობელობის ფორმა იყო. სამხედრო სამსახურისთვის პირს გადაეცემოდა ერთი ან რამდენიმე სოფელი ან მთელი ოლქიც. ოქროს ურდოში სოიურდალის მფლობელი სარგბელობდა საგადასახადო და სასამართლო შეუკალიბით. ომურ-ლენგის დროს სოიურდალი გადაეცემოდა მის მეომრებსა და სარდლებს – მომთაბარე ტომის ბელადებს. როგორც კ. გაბაშვილი აღნიშნავს, „...სოიურდალი ორგანულად უპავშირდება მიწისმფლობელობის უფლებების ახალ გადანაწილება-გადაჯგუფებას მახლობელ აღმოსავლეთში. თუ მანამდე სოიურდალი ნებისმიერ წყალობას ნიშნავდა, თემურის დროს იგი სამხედრო სამსახურისთვის სარდლებისთვის მტკიცირებით ვნერწყდობები მიწის აღმიშნევლად იქცა, სადაც სრული ან ნაწილობრივი საგადასახადო და სასამართლო შეუკალიბა ჰქონდათ მინიჭებული (V. Gabašvili. t'emur-lengi. narkvevebi maxlobeli aēmosavlet'i is toriiidan, p. 222 (ვ. გაბაშვილი. ომურ-ლენგი. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 222).

მეფე პაეროვნებისა და სიმწინისა მისისათვის, და არა ენება ბოროტის-ყოფა მის ზედა; არამედ შიშისათვის, რათა იქმნას მაკმადიან, აქადებდა ტანჯვასა და უბატიობასა და კულად, თუ ჰყოს ნება მისი, ნიჭისა დიდსა და თავისუფლებასა აღუთქმიდა სამეფოსა თვისა;<sup>56</sup> მიუხედავად ამისა ბაგრატ V გამუს-ლიმებაზე უარს ამბობდა. თემურ-ლენგი ტყვედ წაყვანილი ბაგრატ მეფისგან სუნიტური ისლამის აღიარებას თოხოვდა, „...რამეთუ თვით იყო სუნი“.<sup>57</sup>

ბაგრატ V-მ გაანალიზა რა მისი, მასთან ერთად მყოფი პირებისა და ქვეყნის მდგომარეობა, (თემურ-ლენგთან ერთად ყარაბაღის სამხედრო ბანაკში ყოფნის დროს) ისლამი აღიარა.<sup>58</sup> ეს იყო თვითგადარჩენისათვის გადადგმული ნაბიჯი. ბაგრატ V-სთვის ეს უდიდეს პიროვნულ ტრაგედიას წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილის სიყვით: „მახმედიან იქმნა მეფე ბაგრატ ხელოვნებით, რათა დაეღწეს თემურსა და შურ აგოს ამისათვის“.<sup>59</sup> წყაროს ცნობით, „ხოლო მეფე ბაგრატ დაღაცათუ პირითა აღიარებდა სჯულსა მათსა, არამედ მტკიცედ ეგო გულითა მხერვალითა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა“.<sup>60</sup>

ბაგრატის გამუს-ლიმებას ტყვედ ჩავარდნილ ქართველთა გამუს-ლიმებაც მოჰყვა.<sup>61</sup> ბაგრატ V ტყვედ ყოფნის პერიოდშივე ფიქრობდა თუ როგორ ეძია შური თემურ-ლენგზე.<sup>62</sup> ამისთვის მან თვითონ შესთავაზა თემურს მისთვის ლაშქარი გაეყოლებინა, რათა საქართველო გაემუს-ლიმებინა. ვახუშტის ცნობით: „მერმე ეტყოდა ბაგრატ თემურს: ვინათვანან გსცან სჯულთა შეწია გე-თილობა, აწ მნებავს, რათა მომცე სპანი შენნი და ვჰყო ყოველნი სამეფონი ჩემთი მაკმადიან“.<sup>63</sup> იგივეს წერს სომეხი ისტორიკოსი თოვმა მეწოვეცი.<sup>64</sup>

<sup>56</sup> Vaxušti Batonišvili. aġcera samep'osa sak'art'velosa, p. 264-265 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 264-265).

<sup>57</sup> Vaxušti Batonišvili. aġcera samep'osa sak'art'velosa, p. 264 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 264).

<sup>58</sup> Saraf ad-Din Ali Jazdi. Zafar-name, p. 115 (Шараф ад-Дин Али Йазди. Зафар-наме, ст.115).

<sup>59</sup> Vaxušti Batonišvili. aġcera samep'osa sak'art'velosa, p. 266 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 266); Beri Egnatašvili. axali k'art'lis c'xovreba. pirveli tek'sti. k'art'lis c'xovreba, p. 329 (ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. II, გვ. 329).

<sup>60</sup> axali k'art'lis c'xovreba. meore tek'sti. k'art'lis c'xovreba. II. t'bilisi. 1959, p. 455 (ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. II. გვ. 455).

<sup>61</sup> Saraf ad-Din Ali Jazdi. Zafar-name, p. 115 (Шараф ад-Дин Али Йазди. Зафар-наме, ст. 115).

<sup>62</sup> Beri Egnatašvili. axali k'art'lis c'xovreba. pirveli tek'sti, p. 32 (ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი, გვ. 329).

<sup>63</sup> Vaxušti Batonišvili. aġcera samep'osa sak'art'velosa, p. 266 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 266).

<sup>64</sup> T'ovma Mecop'ec'i. istoria t'emur-lengisa da misi št'amomavlebisa. jveli somxuridan t'argmna,

წყაროთა ამ მონაცემებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ იზიარებს ივანე ჯავახიშვილი და აღნიშნავს, რომ „არაფერი ამის მსგავსი არც შეიძლება მომხდარიყო და არც მომხდარა. ოქმურ-ლენგი ისეთი ცბიერი და ჭიკვიანი კაცი იყო, რომ მისი ასე სულელურად მოტყუება არავის შეეძლო.“<sup>65</sup> გ. ოთხმეტურის აზრით, „გამორიცხულია „შურისძიების“ მიზნით მას (ბაგრატ V-ს – ხ.ბ.) თვითონ შეეთავაზებინა თემურ-ლენგისათვის მთელი საქართველოს გამაპმადიანება და მოთხოვა ჯარი“.<sup>66</sup> მეცნიერი გამოოქვემდება უდის, რომ თემურ-ლენგმა ბაგრატ V-სა და გიორგი VII-ს ქვეყნის გამუსლიმება მოსთხოვა და ეს იყო იმ უკომპრომისო ბრძოლის მიზეზი რასაც ქართველი მეფეები დამპყრობლის წინააღმდეგ აწარმოებდნენ.<sup>67</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ არც ქართულ და არც თემურიანთა პერიოდის სპარსულენოვან ნარატივებში ინფორმაცია თემურ-ლენგის მიერ ბაგრატის-თვის ქვეყნის გამუსლიმების მოთხოვნის შესახებ არ ფიქსირდება. თემურის ისტორიკოსებთან არც ქართველი მეფისადმი 12000 ჩაღათაელის გატანების საკითხს ვხვდებით. თუმცა ქართულ და სომხურ მატიანებში ამ ამბის არსებობა მის რეალობაში ეჭვის შეტანის საფუძველს არ გვაძლევს. ცხადია, რომ ბაგრატ V-მ ჯერ შეძლო და ისეთი ოდიოზური და ცბიერი პირვენების კეთილ განწყობა დაიმსახურა, როგორიც თემურ-ლენგი იყო და შემდეგ უფრო მეტიც, მისი მოტყუება მოახერხა, რის შედეგადაც ქართველებმა თემურის ლაშქრის ნაწილი გაანადგურეს. ვფიქრობთ, ეს მომენტი კარგად ასახავს ბაგრატ V-ის დიპლომატიურ ნიჭისა და მოხერხებულობას. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ მიზეზების გამო არც ერთი სპარსულენოვანი ისტორიკოსი ამ ფაქტის შესახებ არ საუბრობს.

ბაგრატ V პირველი ქართველი მეფეა, რომელიც იძულებული გახდა საკუთარი და სხვების სიცოცხლის გადასარჩენად ისლამი ეღიარებინა. ეს იმდენად დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იყო მისთვის, რომ ვფიქრობთ, მისი შურისძიების უპირველესი მიზეზი მისი იძულებით გამუსლიმება და თე-

შესავალი da komentarebi daurt'o karlo kuc'iam. tbilisi. 1987, p. 24 (თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაუროო გარღო გუციამ. თბ. 1987, გვ. 24).

<sup>65</sup> Iv. Javaxišvili. k'art'veli eris istoria. III. tbilisi. 1966, pp. 291-292 (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. III. თბ. 1966, გვ. 291-292).

<sup>66</sup> G. Ot'xmezuri. t'emur-langis sak'art'veloši lašk'robis šesaxeb (religiuri aspek'ti), p. 57 (გ. ოთხმეტური. თემურ-ლანგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ (რელიგიური ასპექტი), გვ. 57).

<sup>67</sup> G. Ot'xmezuri. t'emur-langis sak'art'veloši lašk'robis šesaxeb (religiuri aspek'ti), p. 59 (გ. ოთხმეტური. თემურ-ლანგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ (რელიგიური ასპექტი), გვ. 59).

მურ-ლენგის მიერ ქვეყნის აოხრება უნდა ყოფილიყო. შვილისადმი მიწერილ წერილში ბაგრატ V აღნიშნავს, რომ „ვიძიოთ შური პირველი, რომელ ჰყვეს მათ ჩენ ზედა“.<sup>68</sup>

ქართველების მხრიდან მტერზე შურის ძება მართლაც რომ სასტიკი აღმოჩნდა – გამთენისას უფლისწულმა გიორგიმ ხუნაში, ბედრუჯის ციხესთან თავისი ლაშქრით ალფაში მოაქცია ჩაღათაელები და გაწყვიტა „... ბრძოდა ბაგრატ ფიცხლად; აღიდო ალაფი მათი და მოვიდა გამარჯუებული და მოადგა ტფილისს ... უამსა მცირესა აღიდო ციხე, მოსრნა თათარნი და დაიპყრა თკო, და იძია შური თემურისა ესრეთ ბაგრატ მეფემან.“<sup>69</sup>

თემურის მიერ გამუსლიმებულმა ქართველმა მეფემ და მისმა ამაღამ სუნიტური ისლამის ჰანაფიტური მაზპაბი „აღიარა.“ როგორც შარაფ ად-დინი აღნიშნავს, საქართველოს მეფე ბაგრატ V-მ უშუალოდ თემურ-ლენგის შეგონების საფუძველზე „ჰანაფიზმისკენ მიდრევილება გამოიჩინა“. ამ საკითხთან დაკავშირებით პ. ტაბატაძის მოსაზრებით, თემულ-ლენგმა საქართველოში გასავრცელებლად ეს მაზპაბი იმიტომ შეარჩია, რომ იგი გამოირჩევა დიდი მოთმინებითა და მორჩილებით და ფართოდ გავრცელდა მოწაომოქმედ ტომებში და დასძენს, რომ „თემურ-ლენგის ვარაუდით ასეთი რელიგია მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოში ქრისტიანობის შესაცვლელად“.<sup>70</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰანაფიტური მაზპაბი გავრცელებული იყო თურქელი მოდგმის ხალხებში, რომლებიც არ მიეკუთვნებოდნენ მიწათმოქმედ საზოგადოებას. ქართველთა შორის ჰანაფიტური იურიდიულ-თეოლოგიური სკოლის შეტანა (*უფრო ძღველობა*), კვიქრობო, გაპირობებული იყო მხოლოდ იმ მიზეზით, რომ თვითონ თემურ-ლენგი იყო ამ მაზპაბის წარმომადგენელი და რელიგიურ-ექსპანსიონისტური თვალსაზრისითაც ვალდებული იყო საკუთარი მაზპაბი გაევრცელებინა. ისე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს, როგორც მხოლოდ აგრარული ქვეყნის ჭრილში განხილვა არ განაპირობებდა აქ ჰანაფიტური მაზპაბის გავრცელებას.

ბაგრატ V-ის საქართველოში დაბრუნებისთანავე მისი კვლავ გაქრისტიანების დადასტურებაა ის, რომ ბაგრატი ისევ საქართველოს მეფეა და

<sup>68</sup> Beri Egnatašvili. axali k'art'lis c'xovreba. pirveli tek'sti. k'art'lis c'xovreba, p. 320 (ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი, გვ. 330).

<sup>69</sup> Vaxušti Batonišvili. aēcera samep'osa sak'art'velosa, p. 266-267 (ვახუშტი ბათონიშვილი. აღწერა საქართველოსა, გვ. 266-267)

<sup>70</sup> K. Tabataje. k'art'veli xalxis brjola uc'xoel dampqrobt'a cinaagmdeg XIV-XV saukuneebis mijnaze, p. 682 (კ. ტაბათაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 682).

იბრძვის თემურ-ლენგის წინააღმდეგ. ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტი ბაგრატის შესახებ წერს: „ხოლო მეფემან ბაგრატ კუალად იპყრა სამეფო თვისი და განაგებდა კეთილად ... და მცირედსა ხანსა შინა მიიცალა სარწმუნოებასა და სინაულსა შინა“.<sup>71</sup> აქედანაც ჩანს, ბაგრატი რომ კვლავ გაქრისტიანდა და ტახტი ყოველგვარი წინააღმდევობის გარეშე დაიკავა.<sup>72</sup>

საქართველოში თემურ-ლენგის მრავალგზის ლაშქრობების მიუხედავად, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მას გადამჭრელი ზომები აქ ისლამის გავრცელებისთვის არ მიუღია. როგორც სამართლიანად აღნიშნავს კ. ტაბატაძე, თემურ-ლენგს ეგონა, რომ ადგილობრივი რელიგიის შეცვლას ადვილად შეძლებდა აქ ფეოდალური ზედაფენისა და პირველ რიგში მეფისა და მისი ოჯახის გამუსლიმების გზით.<sup>73</sup> როგორც ჩანს, თემურ-ლენგი ვარაუდობდა, რომ საქართველოს რჯულშეცვლილი მეფე თავისი ქვეყნის გამუსლიმებასაც განახორციელებდა. სწორედ ამგარმა შეხედულებამ გადაადგმევინა მას ის მცდარი ნაბიჯი, რაც 12 000 ჩაღათაელის სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

მიუხედავად იმ სისასტიკისა, რაც თემურ-ლენგის ლაშქრობებისას ხდებოდა, ქართველები თავს არ ზოგავდნენ და ამ უთანასწორო ბრძოლაში მიმართავდნენ როგორც ფიზიკური დაპირისპირების, ისე დიპლომატიურ მე-

<sup>71</sup> axali k'art'lis c'xovreba. meore tek'sti, p. 459 (ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, გვ. 459).

<sup>72</sup> კ. ტაბატაძე გამუსლიმებული ბაგრატის საქართველოში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით სვამს კითხვას – „მიიღებდა თუ არა ქართველი საზოგადოება რჯულშეცვლილ და გამუსლიმებულ მეფეს, ან შეძლებდა თუ არა ეს უკანასკნელი წინააღმდევობის გარეშე პლავ დაბატორიებოდა სამეფო ტახტს?“ და დასტენს, რომ შესაძლებელი იყო ამ დროს (უმეობის პერიოდში) უფლისტული გიორგი მეფედ ეკურონებიანთ. მას კი, თავის მხრივ, წინააღმდევობა გაეწია გამუსლიმებული მამის კვლავ ტახტზე დაბრუნებისთვის. გიორგის ამ შემთხვევაში მეტი უპირატესობა ექნებოდა და ბაგრატის წინააღმდევ მას მოყლი საქართველო დაუჭრდა მხარსო. მეცნიერი აქვე გამოიქამს ვარაუდს, რომ ქართველებმა ჩაღათაელები არა შურისძიების, არამედ მათგან ბაგრატ მეფის გამოხსნის გამო გაწყვეტეს. (K. Tabataje. k'art'veli xalxis brjola uc'xoel dampqrobt'a cinaaġmdeg XIV-XV ss-is miñnaze, p. 69 (კ. ტაბატაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობით წინააღმდევ XIV-XV სს-თა მიჯნაზე გვ. 69) აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დავიწყოთ იმთი, რომ საქართველოში დაბრუნებულ გამუსლიმებულ ბაგრატ V-ს ტახტის კვლავ დაკავების საქმეში წინააღმდევობა არ შექმნია, რადგან ქართველებისთვის ცნობილი იყო ტევზე ჩავარდნილი მეფისა და მისი ამაღლის გამუსლიმების მიზნიც (ფიზიკური გადარჩენა). და მაზარიც (ტევგობიდან თავის დაღწევა და თემურ-ლენგზე შურის ძიება). ისიც ცნობილია, რომ ტახტის მემკვიდრე, უფლისტული გიორგი განხრას არ თანხმდებოდა დიდებულების მეფედ კურონევაზე, რათა თემურთან ტევზე მყოფ მის ოჯახს უფრო დიდი პრობლემები არ შექმნიდა. ქართველთა მიერ ჩაღათაელების გაწყვეტა კი შურისძიება იყო იმ ყველაფრისათვის, რაც თემურ-ლენგმა ბაგრატ მეფესა და ქვეყნას შემთხვა.

<sup>73</sup> K. Tabataje. k'art'veli xalxis brjola uc'xoel dampqrobt'a cinaaġmdeg XIV-XV saukuneebis miñnaze. sin. III. t'bilisi. 1979, p. 682 (კ. ტაბატაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობით წინააღმდევ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. სი. III. თბ. 1979, გვ. 682).

თოდებს. გიორგი VII-მ უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა თემურს და მეზობელ მუსლიმურ ტერიტორიებს. ეს იყო საპასუხო იერიშები თემურის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ მოკავშირებზე. გიორგი VII-მ აღინჯის ციხიდნ თემურის მიერ დატყვევებული სულტან თირის გამოხსნის შემდეგ „მოაოჭრნა და მოსწყებდნა გარემონი მაპმადიანნი, აღიღო აღაფი დიდალი.“<sup>74</sup>

ქართველებისგან შევიწროვებული მუსლიმები თემულ-ლენგს მათგან დაცვის თხოვნით მიმართვადნენ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „აქა ევდრენ მაპმადიანნი მესახლვრენი ქართლისანი თემურს, რომელსა აოჭრებდნენ ქართველნი, რამეთუ რაჟამი იციან მოსწყებდიან და აღაფობდიან“.<sup>75</sup>

საგულისხმოა, რომ გიორგი VII-ის მიერ თემურთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი უფლისწული კონსტანტინე, რომელმაც თემურ-ლენგს სოხოვა, რომ ქვეყანა აღარ დაერბია, პასუხად თემურის ნათქვამი ჩამოიტანა – „იყავ მშვიდობით და ნურღარასამცა ავნებო მაპმადიანთა“.<sup>76</sup> ქართველთა მხრიდან თემურ-ლენგთან დაზავებისა და ქვეყანაში მშვიდობის დამყარების მცდელობას არა ერთხელ ჰქონდა ადგილი.<sup>77</sup>

მორიგი დიპლომატიური ურთიერთობის დროს გიორგი VII-მ თემურს ჯერ თავისი მმა კონსტანტინე მიუგზავნა მოსალაპარაკებლად, შემდეგ, კი „სომხითარი მთავარი იესე ვედრებით“, რომ ქვეყანა არ აეოხრებინა. თემურმა კი მეფეს გამუსლიმების ულტიმატუმი წამოუყენა და მხოლოდ ამის შემდეგ დაპირდა ქვეყნის დანებებას<sup>78</sup>, რაზეც უარი მიიღო და საპასუხოთ ქართველებმა განაახლეს მეზობელ მუსლიმურ პოლიტიკურ ერთეულებზე თავდასხმები: „ხოლო ვითარ იყო ჭირი დიდი გიორგი მეფისაგან ყოველთა გარემოთა მაპმადიანთა ზედა, ვიდრე რახსისა კიდემდე მოსრვიდაა აღაფობითა“. გიორგი VII -ის ასეთი ქმედებების გამო, თურქთა ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა და მეფე სწორედ მათთან ბრძოლაში დაიღუპა.<sup>79</sup>

<sup>74</sup> Vaxušti Batonišvili. aīgcera samep'osa sak'art'velosa, p. 270 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 270).

<sup>75</sup> Vaxušti Batonišvili. aīgcera samep'osa sak'art'velosa, p. 271 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 271).

<sup>76</sup> Vaxušti Batonišvili. aīgcera samep'osa sak'art'velosa, p. 272 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 272).

<sup>77</sup> Vaxušti Batonišvili. aīgcera samep'osa sak'art'velosa, p. 270-271 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 270-271).

<sup>78</sup> Vaxušti Batonišvili. aīgcera samep'osa sak'art'velosa, p. 273 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 273).

<sup>79</sup> Vaxušti Batonišvili. aīgcera samep'osa sak'art'velosa, p. 273 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 273).

საქართველოსთვის ერთნაირად მიუღებელი იყო, როგორც დამპყრობლის რელიგია, ისე მისთვის დამახასიათებელი მიწათმფლობელობის სისტემა და მმართველობის ფორმა. გამუსილიმების თანმდევი პროცესები რომ კარგად ესმოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას კარგად ჩანს მოინ ად-დინ ნათანზის ცნობიდან. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს მეფეს (გიორგი ბაგრატის ძე) დანებებისა და დამორჩილების სრული მისწრაფება ჰქონდა, მაგრამ იმის შიშით, რომ ვაი თუ მუსლიმი გამხდარიყო, შეუპოვარ ბრძოლას ეწედა და და ამ სიჯიუტეს ასეული ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა.<sup>80</sup>

იმავე მეთოდებით გააგრძელა მტრის წინააღმდევ ბრძოლა კონსტანტინემაც. ტახტზე ასვლისთანავე „მან კუალად იწყო უმეტესი კირთება და სრვანი მაჭადიანთა ... მოსრვიდა იავარი მაჭადიანთა...“<sup>81</sup>

საქართველოსთვის უპრეცედენტოდ დიდი იყო თემურ-ლენგის ლაშქრობათა შედეგად მიღებული ზარალი, როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსების თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა ქართველები მოელი ენერგიით იბრძონენ თემურის წინააღმდევ. ქართველი მეფების რეაქცია გამუსლი-მების პირობაზე თავიდანვე იძღავარი იყო, რომ თემურ-ლენგს ქვეყნის ტოტალური გამუსლიმების ოთხოვნა ან მასზე ღონისძიებები, როგორჩ ჩანს და-საწყისშივე შეუძლებლად ეჩვენა.

1401 წლის სექტემბერში, შამქორში თემურ-ლენგსა და ქართველებს შორის დადებული ზავი ჩვენთვის თავისი რელიგიური მნიშვნელობთაა საყურადღებო. ქართული მხარე ნაკისრ ვალებულებებთან ერთად მოითხოვდა ხელშეუხებლობას და მათთვის ისეთი პირობების შექმნას, რომლითაც ქართველები „უშიშრად და მოსვენებით“ იცხოვრებდნენ მუსლიმებთან მეზობლობაში, როგორც ეს უწინ ხდებოდა. თემურ-ლენგი კი ქართველებისგან მოითხოვდა, რომ მათ თავიანთ ქვეყანაში „უსაფრთხოებასა და პატივში“ ჰყოლოდათ მუსლიმები და აშკარად არ შეესრულებინათ „ურწმუნოთა“, ანუ ქრისტიანული წესები (აქ. ღვთისმსახურება) „მართლმრრწმუნეთა“ ანუ მუსლიმთა ქვეყანაში. ამავე დროს, თემურ-ლენგი საქართველოს ეკლესიის მრევლს ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას აღუთქვამდა.<sup>82</sup>

<sup>80</sup> K. Tabataje. k'art'veli xalxis brjola uc'xoel dampqrobt'a cinaagmdeg XIV-XV ss-is mijnaze, pp. 71-72 (კ. ტაბათაძე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდევ XIV-XV საუკუნეები, გვ. 71-72).

<sup>81</sup> Vaxušti Batonišvili. aćcera samep'osa sak'art'velosa, p. 277 (ვახუშტი ბათონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 277).

<sup>82</sup> K. Tabataje. k'art'veli xalxis brjola uc'xoel dampqrobt'a cinaagmdeg XIV-XV ss-is

შამქორის ზავის ერთ-ერთი პირობა, რომ ქართველებს მუსლიმები არ უნდა შეევიწროებინათ საქართველოში ორი მნიშვნელობით უნდა გავიაზროთ: ერთი, რომ ხორებზედათ შემოსევის დროს გამომჟღავნებული დალატის გამო თბილისში მუსლიმების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებები იქნა გატარებული და მას შემდეგ ისინი გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლოა, მართლაც შევიწროებულები იყვნენ, და მეორე – საზავო ხელშეკრულებაში ამ პირობის შეტანის მიზანი საქართველოში მცხოვრები მუსლიმების სიმპათიებისა და ნდობის მოპოვება იყო, რითაც თემურ-ლენგი ცდილობდა მათი იდეოლოგიის დამცველის როლში გამოსულიყო და თბილისში და ზოგადად საქართველოში მათი სახით საიმედო დასაყრდენი გაეჩინა. ამას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოს სასაზღვრო ზოლში და მის მეზობლად მცხოვრები მუსლიმები არცთუ იშვიათად განიცდიდნენ ქართველებისგან საპასუხო თავდასხმებსა და დარბევას რის გამოც ისინი თემურ-ლენგს ქართველებისაგან დაცვას სოხოვდნენ.

ხელშეკრულების ამ პირობების მიხედვით თუ ვიშსჯელებთ, ცხადი ხდება, რომ თემურ-ლენგს საქართველოს გამუსლიმების განზრახვა 1401 წლისთვის შეცვლილი პქონდა ან გადადო სამომავლოდ, რაც უკვე აღარ დასცალდა.

პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ თემურ-ლენგმა კარგად დაინახა და გააანალიზა შემდეგი გარემოება – საქართველოში ისლამის გავრცელება და სოიურლალის ინსტიტუტის დამკვიდრება ადვილი არ იყო. ამიტომ შამქორის ზავის პირობები აღიშნული თვალსაზრისით, თემურ-ლენგის მიერ საქართველოს მიმართ დაომობაზე წასვლას ნიშნავდა. ყოველივე ეს კი საქართველოში მისი რელიგიური პოლიტიკის მარცხზე მიანიშნებს.

სწორედ ეს შეიძლება ჩაითვალოს იმის მიზეზად, რომ ისეთმა ძლიერმა და სასტიკმა დამპყრობელმა, როგორიც თემურ-ლენგი იყო, მისთვის ჩვეული მეოთხედით თბილისის ქრისტიანი მოსახლეობის გამუსლიმება არ სცადა. მისთვის პრიორიტეტული იყო თოლთამიშის წინააღმდეგ ქართველების სახით მისადმი დაქვემდებარებული მოკავშირის ყოლა. რაც იმაზე მიუთითებს, რომ თემურის ლაშქრობები გაპირობებული იყო წმინდა სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული მოტივებით. ქართველი მეფეებისადმი (ბაგრატ V, გიორგი) ისლამის მიღების მოთხოვნა მუსლიმური დოგმატიკის ერთ-ერთი პრინციპი იყო, რომლითაც დარ ალ-ჰარბსა და დარ ალ-ისლამს შორის ურთიერ-

mijnaze, pp. 156-157 (კ. ტაბატაბე. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს-თა მიჯნაზე, გვ. 156-157).

თობა უნდა წარმართულიყო. ისლამის აღიარების მოთხოვნით თემურ-ლენგი თავისი სარწმუნოების გამავრცელებლის სახეს ქმნიდა და თავის დამპყრობლურ ლაშქრობებს ჯიპალის მნიშვნელობას აძლევდა. სწორედ მუსლიმურმა დოგმატიკამ გამოიწვია ის სასტიკი წინააღმდეგობა, რაც თემურ-ლენგმა (და ყველა დამპყრობელმა) ქართველების მხრიდან მიიღო.

ბაგრატ V-ისა და მისი მემკვიდრეების სასტიკმა წინააღმდეგობამ, თემურ-ლენგს თავიდანვე უარი ათქმევინა ქვეყნის გამუსლიმებაზე.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში თემურ-ლენგის რელიგიური პოლიტიკა არ შედგა შემდეგი მიზეზებით: ქართული საზოგადოება თავგამოდებით იცავდა ქრისტიანობას, როგორც ეროვნულობის სიმბოლოს. გარდა ამისა, ქართულ არისტოკრატიას კარგად ესმოდა, თუ რა ცვლილებებს გამოიწვევდა ქვეყანაში ისლამის გავრცელება მიწაომფლობელობის საკითხში, რაც მათთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. ჩანს, თემურ-ლენგმა ეს ყველაფერი გააცნობიერა და ანგარიში გაუწია შექმნილ ვითარებას, რადგან მოხარკეობის საფუძველზე ქართველ მეფეს ქრისტიანობით მეფობის უფლება დართო, ხოლო მოსახლეობას შეუვალობასა და ხელშეუხებლობას დაპირდა. ამრიგად, თემურ-ლენგის მიერ თბილისში სუნიტური ისლამის ჰაზაბის გავრცელების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

*Khatuna Baindurashvili*

Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts

## THE SUNNI MAHD'HABS IN THE 13<sup>TH</sup>-14<sup>TH</sup> CENTURIES TBILISI

### Summary

The paper studies the political and theological grounds for establishing the Sunni Islamic school of jurisprudence and theology—Hanafi Mahd'hab in the 13<sup>th</sup>-14<sup>th</sup> centuries Tbilisi. The focus is upon the social and political nature of introducing the religion and the land ownership system by the Muslim conquerors. In addition, the analysis is conducted on the methods which were intended to apply for converting the country to Islam as well as the reasons of the failure of their “religious mission”.

The attempt to propagate the Hanafi Mahd'hab of Orthodox Islam in Tbilisi was made in the period of Jalal ad-Din's military campaign. The Muslims considered Tbilisi as Dar al-Islam. They claimed it as the city of Muslims and had aspirations for Tbilisi to be under the control of Muslims again.

The findings of the complex research on the issue about the introduction and establishment of Hanafi Mahd'hab of Sunni Islam in Tbilisi are as follows:

1. The first attempt of spreading the Hanafi Mahd'hab of Orthodox Islam in Tbilisi was made after the capture of Tbilisi by Jalal ad-Din in the 20s of 13<sup>th</sup> century. The aforesaid process revealed the following: a) the political and state unreliability of the Muslims of Tbilisi, b) the undue functioning of defensive and scout's institute of Georgian State.

2. Jalal ad-Din fought a war against Georgia under the Jihadist flag; however, depending on his unfavorable situation he made interpretation and proposed marriage to the King of Georgia.

3. In this period Tbilisi was re-granted the status of Dar al-Islam since it again was in the hands of the Muslim ruler.

4. Primarily, the forced and mass conversion of Tbilisi's Christian population to Islam was made by Jalal ad-Din. Hanafi Mahd'hab was declared to be the leading juridical-theological movement.

5. Only the Georgians converted to Islam were affiliated with Hanafi Mahd'hab.

6. In the 20s of 13<sup>th</sup> century there existed three Islamic Mahd’hab in Tbilisi. Two were of Orthodox Islam – Shafi’i and Hanafi, and the third one – Ja’far Mahd’hab which belonged to Shi’a-Imam Islam.

7. After the Khwarazmians left Tbilisi, the Hanafi Mahd’hab stopped its existence because the Georgian population adopted Christianity again.

As regards the issue about the attempt to introduce Hanafi Mahd’hab in Tbilisi, the importance is attached to Tamerlane’s military campaign in Georgia.

The King Bagrat V, having been captured by Tamerlane, was compelled to convert to Sunni Islam and its Hanafi Mahd’hab. Tamerlane supposed that the conversion of Georgian king and noblemen to Islam would condition the conversion of the whole country to Islam that allowed him to implement the “Soyurghal” (quitrent of sour) land-ownership system here.

In September 1401 the truce concluded between Tamerlane and Georgians in Shamkori is particularly noteworthy for us in terms of its religious significance. Alongside the undertaken commitments, the Georgian party demanded for the immunity as well as the creation of such conditions that would allow Georgians to live peacefully together with neighboring Muslims. Tamerlane demanded from Georgians not to constrain the Muslims in their country. At the same time, Tamerlane promised to ensure the supporters of Georgian Church the immunity and safety.

Tamerlane’s religious policy was not pursued in Georgia due to the following reasons: the Georgian society devotedly defended the Christianity as the symbol of nationality. Besides, the Georgian aristocracy was well aware of the changes the spread of Islam could have caused regarding the issue about the land ownership. As it seems, Tamerlane understood all this and had to take into account the existing situation – he let Georgian King to reign under the Christian rule and promised to provide the inviolability and immunity of the population. Hence, this time, the attempt to spread the Hanifi Mahd’hab of Sunni Islam in Tbilisi proved abortive.

**Михаил Чореф**

Старший научный сотрудник,  
Нижневартовский государственный университет, Россия

## **К вопросу о характере обращения грузинской серебряной монеты в Крыму при первых Гиляях**

Как известно, античные и средневековые монеты являются ценнейшими источниками исторической информации. Этот тезис справедлив и для Крыма. Так, изучение нумизматических артефактов позволило уточнить наши представления о политической и экономической ситуации на полуострове в византийский период,<sup>1</sup> а также в эпоху существования Крымского ханства.<sup>2</sup> Однако к настоящему времени не удалось атрибутировать все средневековые монеты, найденные на территории полуострова. Проблема в том, что в Крыму в тот период обращались монеты не только местного чекана. Значительная их часть была завезена из сопредельных или достаточно удаленных государств. Причем на многих из них отсутствуют греческие, латинские или арабографические надписи, прочитать которые не представляет особого труда. Однако к чести исследователей нужно отметить, что такие монеты все же публикуются, пусть даже без определений. Благодаря этому материал становится доступным для дальнейшего изучения.

<sup>1</sup> V.A. Anokhin. Monetnoe delo Hersonesa (IV v. do n.è. – XII v. n.è.) (Монетное дело Херсонеса (IV в. до н.э. – XII в. н.э.)). Kiev. 1977; M.M. Choref. K istorii vizantijskoj Tavriki po dannym numizmatiki (К истории византийской Таврики по данным нумизматики). Tûmen'; Nižnevartovsk. 2015.

<sup>2</sup> V.V. Majko. Kyrk-Erskij klad gorodiša Čufut-Kale v ugo-zapadnom Krymu (Кырк-Ерский клад городища Чуфут-Кале в юго-западном Крыму). Kiev. 2007; V.A. Sidorenko. Monetnâ čekanka Krymskogo hanstva (1442-1475) (Монетная чеканка Крымского ханства (1442-1475)). Simferopol'. 2016; M.M. Choref. K voprosu ob obrašenii inostrannoj monety v Krymu v XVI-XIX vv. (К вопросу об обращении иностранной монеты в Крыму в XVI-XIX вв.). “Materialy po arkheologii i istorii antichnogo i srednevekovogo Kryma” (“Материалы по археологии и истории античного и средневекового Крыма”). Vyp. 3. Moskva; Tûmen'; Nižnevartovsk. 2011., ss. 359-370; M.M. Choref. Denežnaâ reforma Mehmeda Giraâ IV: pričiny, celi, rezul'taty i istoricheskoe značenie (Денежная реформа Мехмеда Гиляя IV: причины, цели, результаты и историческое значение). “Krymskoe istoricheskoe obozrenie” (“Крымское историческое обозрение”). No. 2. Simferopol'. 2018., ss. 132-145; O. Retowski. Die Münzen der Girei. Moskau. 1905.

Речь пойдет о серебряных монетах с изображениями рыб. Они были обнаружены В.В. Майко в составе Кырк-йерского клада<sup>3</sup> (рис. 1, 1-3), а также в процессе исследования некрополя у храма в 1993 г. в портовой части Сугдей<sup>4</sup> (рис. 1, 4). Исследователь допустил, что их следует отнести к золотоордынскому чекану.<sup>5</sup> Сравнительно недавно в Крыму были обнаружены еще две таких монеты<sup>6</sup> (рис. 1, 5). Причем одна из них была найдена близ гор. Чуфут-Кале (рис. 1, 6). Попытаемся атрибутировать эти артефакты, а также выявить пути их поступления на территорию полуострова.

Начнем с того, что такие монеты давно и хорошо известны. Они были опубликованы М.П. Баратаевым<sup>7</sup> и Д.Г. Капанадзе.<sup>8</sup> Их детальное описание приведено в фундаментальном труде Т. и Г. Дундуа «Catalogue of Georgian Numismatic».<sup>9</sup> Исследователи установили, что эти монеты чеканили в княжестве Самцхе-Саатабаго при аatabеге Кваркваре II Джакели (1451-1498) на денежном дворе г. Ахалцихе. Дело в том, что на их аверсе оттиснута надпись չւֆթ - «Кваркваре», исполненная шрифтом мхедрули. Ее буквы развернуты зеркально. Т. и Г. Дундуа привели изображения монет с четырьмя вариантами оформления лицевой стороны:

1. Надпись в две строки. Во второй различима монограмма, составленная из букв յ и շ. Легенда вписана в точечный квадрат<sup>10</sup> (рис. 2, 1);
2. Надпись в две строки без лигатур. Вписана в линейный квадрат<sup>11</sup> (рис. 2, 2, 3);

<sup>3</sup> V.V. Majko. Kyrk-Erskij klad gorodiša Čufut-Kale v ūgo-zapadnom Krymu (Кырк-Ерский клад городища Чуфут-Кале в юго-западном Крыму). Kiev. 2007, ss. 167, 170, No. 4281-4283, ris. 95, 4281-4283.

<sup>4</sup> V.V. Majko. Srednevekovye nekropoli Sudakskoj doliny (Средневековые некрополи Судакской долины). Kiev. 2007, ss. 228, 230, ris. 140.

<sup>5</sup> V.V. Majko. Kyrk-Erskij klad gorodiša Čufut-Kale v ūgo-zapadnom Krymu (Кырк-Ерский клад городища Чуфут-Кале в юго-западном Крыму), ss. 165-167.

<sup>6</sup> URL: <http://coins.ucoz.ru/forum/66-467-1>; URL: <http://coins.ucoz.ru/forum/66-1652-1#13182>. Там же приведено и определение одной из них (рис. 1,6), найденной в округе Чуфут-Кале. Было справедливо замечено, что такие монеты выпускали в грузинском княжестве Самцхе-Саатабаго при аatabеге Кваркваре II (URL: <http://coins.ucoz.ru/forum/66-1652-1#13182>).

<sup>7</sup> M. Barataev. Numizmatičeskie fakty Gruzinskogo carstva (Нумизматические факты Грузинского царства). Sankt-Peterburg. 1844, ss. 129-130, tabl. VI, 14. К сожалению, исследователь не смог прочитать надпись аверса. Он разобрал ней не имя правителя, а буквенные обозначения даты выпуска, по его мнению, грузинский короникон 450 (1250 г.). В результате М.П. Баратаев датировал свою монету правлением Русудан (1223-1245) (M. Barataev. Numizmatičeskie fakty Gruzinskogo carstva (Нумизматические факты Грузинского царства), ss. 129-130). На это обстоятельство обратил внимание Д.Г. Капанадзе (D.G. Kapanadze. Gruzinśkaâ numizmatika (Грузинская нумизматика). Moskva. 1955, s. 108).

<sup>8</sup> D.G. Kapanadze. Gruzinśkaâ numizmatika (Грузинская нумизматика), ss. 107-108, ris. 13-15.

<sup>9</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics. Tb. 2018, pp. 328-329.

<sup>10</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 328.

<sup>11</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, pp. 328-329.

3. Лигатура дана в виде монограммы, над которой помещен крест. Обрамлена линейной окружностью<sup>12</sup> (рис. 2, 4);

4. Надпись в две строки с аббревиатурой из букв გ и ვ во второй. Вписана в восьмиугольный картуш, обрамленный линейной и точечной окружностями<sup>13</sup> (рис. 2, 5, 6).

На реверсе всех этих монет отчеканено изображение рыбы, развернутой влево. Над и под нею размещены дифференты:

1. На монетах с двустрочной надписью без сокращений просматриваются восьми- и шестиконечная звездочки. Обрамление реверса на известных Т. и Г. Дундуа экземплярах на различимо<sup>14</sup> (рис. 2, 2, 3);

2. На реверсе выпусков с лигатурой и с крестом над изображением рыбы выбита четырехконечная звездочка. Композиция оборотной стороны вписана в линейную окружность<sup>15</sup> (рис. 2, 4);

3. На монетах с лигатурой во второй строке над изображением рыбы просматривается четырехконечная звездочка, а под ней оттиснута буква «К». Композиция вписана в линейную (рис. 2, 5) или в точечную окружность<sup>16</sup> (рис. 2, 6).

На реверсе монеты на рис. 2, 1 дифференты не просматриваются. Но это не говорит о том, что их там не было. К сожалению, известный Т. и Г. Дундуа экземпляр не лучшей сохранности.<sup>17</sup> Так что вопрос о размещении дифферентов на таких монетах все еще остается открытым. Он может быть разрешен только в случае обнаружения монеты с полным оттиском штемпеля на оборотной стороне.

Однако обратим внимание на изображения рыб. На ряде монет они покрыты чешуей, переданной с помощью простых геометрических фигур: прямоугольников (рис. 2, 1) и треугольников и параллелограммов (рис. 2, 2-4). В тоже время на серебре третьей вариации на коже рыбы просматриваются два ряда точек. Они напоминают костяные щитки осетра. Приходим к выводу, что на реверсе монет на рис. 2, 1-4 выбиты изображения костяных рыб, а на выпусках третьей вариации (рис. 2, 5, 6) – лучеперых. Заметим, что последние известны в Черном море.<sup>18</sup> Речь идет о черномор-

<sup>12</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 329.

<sup>13</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 329.

<sup>14</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, pp. 328-329.

<sup>15</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 329.

<sup>16</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 329.

<sup>17</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, p. 328.

<sup>18</sup> L.S. Berg. Ryby presnyh vod SSSR i sopredel'nyh stran (Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран). Ch. 1. Moskva; Leningrad. 1948, ss. 57, 83-86, 94-95; O.F. Gricenko,

ско-азовском или русском (*Acipenser colchicus*), а также об атлантическом (*Acipenser sturio*) осетрах,<sup>19</sup> мигрирующих из Черного моря в р. Риони с июня по август, и, возможно, в первой половине сентября, а также с конца апреля по конец июля соответственно.<sup>20</sup>

Попытаемся истолковать выявленные факты. Судя по вариациям в написании легенды ცუბურე на аверсе и по наличию различных изображений рыб на реверсе серебро Кваркваре II Джакели следует разделить на четыре серии. Первыми поступили в обращение монеты с надписью в две строки, вписанной в точечный квадрат (рис. 2, 1). Судим по тому, что точечное обрамление легенды аверса предельно небрежно, а на реверсе этих монет отчеканено примитивное, непрофессионально выполненное изображение рыбы, чешуйки которой переданы прямоугольниками. Вслед за ними были выпущены монеты второй серии – с модернизированным оформлением лицевой и обратной сторон. Надпись на них вписана в куда более изящный линейный квадрат, а чешуя рыбы передана треугольниками и параллелограммами (рис. 2, 2, 3). Позже были отчеканены монеты с монограммой на аверсе и с изображением костяной рыбы на реверсе (рис. 2, 4). Относим их к третьей серии. Полагаем, что в четвертую, завершающую серию следует выделить монеты с монограммой во второй строке легенды и с изображением осетра (рис. 2, 5, 6).

Но вот что интересно. В Кырк-йерском кладе были представлены выпуски второй (рис. 1, 1-3), а в последние годы в Крыму, в т.ч. близ гор. Чуфут-Кале были найдены монеты третьей разновидности (рис. 1, 5, 6). Это обстоятельство не может быть проигнорировано. Полагаем, что оно дает возможность датировать выпуски Кваркваре II Джакели, а также проследить пути из поступления на территорию полуострова.

Допустим, что разновидности интересующих нас монеты вряд ли обращались одновременно. Основываемся на том, что в Кырк-йерском кладе, как уже было сказано выше, представлено серебро только второй разновидности. В пользу этого тезиса говорит и множество вариаций монет Кваркваре II Джакели. Полагаем, что на смену монетам первой серии

---

A.N. Kotlár, B.N. Kotenëv (red.). Promyslovye ryby Rossii. V dvuh tomah (Промысловые рыбы России. В двух томах). Т. 1. Moskva. 2006, ss. 61, 72-73.

<sup>19</sup> Не случайно их изображения присутствуют на монетах Пантикея. О ловле осетра в окрестностях Таны Причерноморье писал А. Контарини (E.Č. Skrzinskaâ (sost.). Barbaro i Kontarini o Rossii: K istorii italo-russkih svazej XV v. (Барбаро и Контарини о России: К истории итalo-русских связей XV в.). Leningrad. 1971. s. 216, § 15).

<sup>20</sup> L.S. Berg. Ryby presnyh vod SSSR i sopredel'nyh stran (Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран), ss. 86, 95.

было выпущено серебро второй. Усложнение оформления проводилось для борьбы с фальшивомонетчиками. С той же целью отчеканили монеты третьей разновидности – с легендой, зашифрованной в монограмму. Последним поступило в обращение серебро четвертой серии. Монеты четвертой серии могли быть выпущены в последние годы правления Кваркваре II Джакели. Вернее всего, их эмиссия прошла после похода Гедика Ахмеда паши в 1475 г. в Северное Причерноморье. Судим по тому, что находки монет с осетром в Крыму не известны.

В ином случае различия в их оформлении выпусков Кваркваре II Джакели необъяснимы. Заметим, что наблюдаемое явление не уникально. Оно характерно и монетного дела Крымского ханства.<sup>21</sup> Его государи регулярно выпускали новые серии своих неполноценных монет с целью замены в обращения привозных полноценных денег.<sup>22</sup> Однако Кваркваре II Джакели выпускал монету не только с целью максимального использования монетной регалии. Судя по тому, что на его монетах нет герба династии Джакели – овна и знамени с саблей, зато присутствуют изображения промысловых рыб, он чеканил торговую монету. Этим обстоятельством и следует объяснять модификацию их типов. Новые серии могли быть выпущены для замены прежде эмитированных монет, потерявших доверие пользователей из-за снижения стопы.

Однако мы еще не истолковали весьма интересное обстоятельство. Как уже было сказано выше, интересующие нас монеты отчеканены из серебра. Однако выпуски современников Кваркваре II Джакели – царей Гиоргия VIII(I) (1446-1465, 1465-1476), Баграта IV (1466-1478) и Константина II (1478-1505) чеканили из биллона.<sup>23</sup> Полагаем, что выпуск серебря-

<sup>21</sup> V.A. Sidorenko. Monetnā ķekanka Krymskogo hanstva (1442-1475) (Монетная чеканка Крымского ханства (1442-1475)); M.M. Choref. K voprosu ob èmissii kafijskih akče pri Devlete Girae I i Muhammede Girae II (К вопросу об эмиссии кафийских акче при Девлете Гирае I и Мухаммеде Гирае II). “Istoricheskoe nasledie Kryma” (“Историческое наследие Крыма”). No. 16. Simferopol’. 2006., ss. 77-81; M.M. Choref. K voprosu o periode funkcionirovaniâ monetnogo dvora g. Kyrk-Jera (К вопросу о периоде функционирования монетного двора г. Кырк-Йера). “Materialy po arhkeologii, istorii i etnografii Tavrii” (“Материалы по археологии, истории и этнографии Таврии”). Vyp. XIII. Simferopol’. 2007, ss. 375-382; M.M. Choref Denežnâ reforma Mehmeda Girâ IV: prîčiny, celi, rezul'taty i istoriîcheskoe značenie (Денежная реформа Мехмеда Гирая IV: причины, цели, результаты и историческое значение). “Krymskoe istoriîcheskoe obozrenie” (“Крымское историческое обозрение”), ss. 132-145; O. Retowski. Die Münzen der Girei.

<sup>22</sup> È.D. d'Askoli. Opisanie Černogo morâ i Tatarii (Описание Черного моря и Татарии). “Zapiski Odesskogo obšestva istorii i drevnostej” (“Записки Одесского общества истории и древностей”). T. 24. Otd. II. Materialy (Материалы). Odessa. 1902, s. 115.

<sup>23</sup> T. Dundua, G. Dundua. Catalogue of Georgian Numismatics, pp. 326-328, 329-330.

ных монет аatabega Самцхе-Саатабаго стал возможен только после его победы над Гиоргием VIII в битве у о. Паравани в 1465 г. Приходим к выводу, что Кваркваре II Джакели чеканил свои монеты, будучи независимым государем. Учитываем то обстоятельство, датируем его первую эмиссию 1465 г. Допускаем, что Кваркваре II Джакели поспешил тогда выпустить свои монеты, чтобы заявить о своей независимости. Их чеканили до конца правления этого государя. Ведь его сын Кейхосро I Джакели (1498-1500) также являлся самостоятельным правителем.

Итак, в ходе исследования удалось дать ответы на поставленные вопросы. Найденные в Крыму монеты с легендой *უბურე* на аверсе и с рыбой на реверсе были отчеканены при Кваркваре II Джакели. Его монеты, судя по статистике находок, поступали в Крым двумя путями. Основным был караванный. По нему монеты Кваркваре II Джакели попали в Кырк-Йер. Вернее всего, они поступили по караванному пути, но не через г. Крым, который к тому времени потерял свое административное и экономическое значение.<sup>24</sup> Ведь при раскопках этого города они не найдены.<sup>25</sup> Менее значимым был морской путь. Судим по тому, что на Южном берегу Крыма была найдена только одна монета Кваркваре II Джакели. Вернее всего, их завозили на полуостров итальянские купцы. В любом случае, сами факты обнаружения серебра Кваркваре II Джакели на Крымском полуострове говорит о том, что его жители знали и ценили грузинскую монету.<sup>26</sup> Выносим результаты нашего исследования на научное обсуждение.

---

<sup>24</sup> A.V. Gavrilov, V.V. Majko. Srednevekovoe gorodiše Solhat-Krym (materialy k arheologičeskoi karte goroda Staryj Krym) (Средневековое городище Солхат-Крым (материалы к археологической карте города Старый Крым)). Simferopol'. 2014; V.L. Egorov. Istoričeskââ geografiâ Zolotoj Ordy v XIII-XIV vv. (Историческая география Золотой Орды в XIII-XIV вв.). Moskva. 1985, s. 88.

<sup>25</sup> A.V. Gavrilov, V.V. Majko. Srednevekovoe gorodiše Solhat-Krym (materialy k arheologičeskoi karte goroda Staryj Krym) (Средневековое городище Солхат-Крым (материалы к археологической карте города Старый Крым)).

<sup>26</sup> О позднейших контактах жителей Крымского ханства и грузинских государств см.: (A. Tabuashvili. The Import of Gun Barrels and Their Price in Georgia in 17th – 18th cc. “Materialy po arkheologii i istorii antichnogo i srednevekovogo Kryma” (“Материалы по археологии и истории античного и средневекового Крыма”). Vyp. 9. Moskva; Tûmen’; Nižnevartovsk. 2017, ss. 284-293; A. Tabuashvili. 2018. The Issue of Georgian Captives in the Crimea in the 18th Century. “Materialy po arkheologii i istorii antichnogo i srednevekovogo Kryma” (“Материалы по археологии и истории античного и средневекового Крыма”). Vyp. 10. Moskva; Tûmen’; Nižnevartovsk. 2018, ss. 329-333).



**Рис. 1. Монеты Кваркваре II Джакели из Крыма:** 1-3 – из Кырк-йерского клада; 4 – из некрополя у храма в 1993 г. в портовой части Сугдеи; 5,6 – из частных собраний (по V.V. Majko. *Kyrk-Erskij klad gorodiša Čufut-Kale v ūgo-zapadnom Krymu* (Кырк-Ерский клад городища Чуфут-Кале в юго-западном Крыму), ris. 95, 4281-4283; V.V. Majko. *Srednevekovye nekropoli Sudakskoj doliny* (Средневековые некрополи Судакской долины), ris. 140; URL: <http://coins.ucoz.ru/forum/66-467-1>; URL: <http://coins.ucoz.ru/forum/66-1652-1#13182>).



**Рис. 2. Монеты Кваркваре II Джакели** (по T. Dundua, G. Dundua. *Catalogue of Georgian Numismatics*, pp. 328-329).

*Mikhail Choref*  
Senior Researcher,  
Nizhnevartovsk State University, Russia

## **GEORGIAN SILVER COINS IN CRIMEA UNDER THE FIRST GIRAYS**

### **Summary**

The objects of the study are silver coins with images of fish on the reverse. They are found in the Crimea, on the territory and near of Sudak and Qirq Yer. Six such coins have been found on the peninsula to date and three of them are preserved in the Qirq Yer hoard. There is no reason to consider them as local issues. Similarly decorated coins were minted in the principality of Samtskhe-Saatabago under atabeg Quarkvare II Jakeli.

It is obvious that the inhabitants of Crimea knew and appreciated Georgian coins. Otherwise, they would not have been hidden in the Qirq Yer hoard. This circumstance makes it possible to clarify our ideas about the contacts of the population of Georgia and Crimea in the second half of the 15<sup>th</sup> century. Obviously, those links existed and were quite stable. Georgian coin was valued not only on the coast, but also in Qirq Yer.

We conclude that trade relations existed between Georgia and Crimea at that time. We believe that silver of Quarkvare II Jakeli arrived on the peninsula in two ways: by land, by caravan roads passing through the southern regions of the steppe, and also by sea, from the Italian colonies of the Eastern Black Sea coast.

**გორგი სოსიაშვილი**  
პროფესორი, გორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტი

**ფავლენიშვილთა წარმომავლობის საკითხისათვის**

XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ფავლენიშვილებზე ძალზე ლაკონურად მიუთითებს, რომ ისინი მხარგრძელთა შთამომავლები არიან: „ფავლენიშვილი იტყვის მჭარგრძელობასა“.<sup>1</sup> ფავლენიშვილების წარმომავლობის შესახებ გაცილებით ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის იოანე ბაგრატიონი: „ძველად არიან ესენი მხარგრძელის შთამომავლობისანი, რომელიც იყვნენ მხარგრძელი უკანასკნელი მეფისა სპარსთასა ეწყდიგარისა გვარისანი, ამათნი უკვე გვარი განდევნილ იქნენ სპარსთაგან და მოვიდნენ ასურისტანის შინა და მუნ დაეშენენ და მერე მიიღო ამაოგან წინაპარმან სარწმუნოება სომეხთა და აიესტანიდგან გადმოსახლდნენ ერევანს და იქმნა ამათ გვართა შინა წარჩინებული სარგის მხარგრძელი და შემდგომად ამისა განდიდებულ იქმნენ ზაქარია მხარგრძელი იოანე ძმა მისი დროსა თამარ მეფისასა წელსა 1174-სა. შემდგომად ამისა, ოდეს მოვიდნენ თურქი საქართველოსა ზედა სულთანითურთ თვისით და სძლო მეფემან დავით ბაგრატიონმან მეუღლემან თამარ მეფისამან, მას ჟამსა შინა თანა ჰყვა ზაქარია მხარგრძელი იოანეთურთ და რა ძლევაი შეიმოსა მეფემან, მაშინ მიუბოდა ზაქარიას სასაფლაოდ მონასტერი სომეხთა და საინი და მუნ სოფელი, ხოლო იოანეს უბოძა თავისი საზაფხულო სასახლე სოფელითურთ ერედვად წოდებული, რომელ იოანესა შთამომავალნი პიცხოვრობდნენ მუნ და შემდგომად თამარ მეფისა შვილიშვილისა დავით მეფისა დროსა. იქნა რა აღრეულობა საქართველოსა შინა და დაიპყრეს ჩინგიზთა საქართველო და ნოინთა, მაშინ

<sup>1</sup> Vaxušti Batonišvili. aġcera samep'osa sak'art'velosa. k'art'lis c'xovreba. tek'sti dadgenili qvela jirit'adi xelnaceris mixedvit' S. Qauxč'išvilis mier. t. IV. Tbilisi. 1973, p. 34 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაუსტიშვილის მიერ. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 34).

ყრმა ერთი ამათგანი მხარგრძელი მოიტაცეს ოსთა და მუნ კავკასიონსა შინა, თავადმან თაგაურთოაგანმან ფავლენად წოდებულმან აღზარდა შვილად თვისადვე ვინადგან არ ესვა შვილი და მისცა ასეული თვისი ცოლად და უწოდა სახელი თავისი მხარგრძელსა მან ფავლენა და მოიყვანა მამულადვე თვისი და მუნიდგან იწოდებიან ესენი მხარგრძელნი ფავლენის შვილებად მუნ უამიდან წელსა 1244-სა და აწ არიან სხვადასხვა სახელად განყოფილნი: 1) შიოშის შვილებად; 2) თეიმურაზის შვილებად; 3) ივანეს შვილებად; 4) იორამის შვილებად და კიდე სხვად და აქვნდათ პირველის შვილისას ხარისხი პირველისა სახით, სხვანი მეორისა და მესამის ხარისხით.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ფავლენიშვილთა წინაპრებად იოანე ბაგრატიონიც მხარგრძელებს მიიჩნევს. თუმცა, ეს ცნობა ნაკლებ სანდოა, თითქოს სოფელ ერევანში დამკვიდრებული იოანე მხარგრძელის ერთ-ერთი შთამომავალი ოსებმა მოიტაცეს და ფავლენიშვილთა საგვარეულო თაგაურელი ოსი დიდებულის – ფავლენას სახელის უკავშირდება, ნუ დაგვავიწყდება, რომ იოანე ბაგრატიონს ასეთი ცნობები სხვა საგვარეულოებთან დაკავშირებითაც აქვს. მაგ: არაგვის ერისთავებს იგი ოსურ გვარ სიდამონიძეებს უკავშირებს,<sup>3</sup> ქსნის ერისთავებს ოსურ გვარ გორჭიანს,<sup>4</sup> ციციშვილებს „ურიასტანიდან“ მოსულებად თვლის,<sup>5</sup> აბაშიძეებს ეთოპაიდან ჩამოსახლებულად<sup>6</sup> და სხვ.

ფავლენიშვილთა გვარს მხარგრძელთა საგვარეულოს უკავშირებს ანტონ I კათალიკოსი. 1783 წლის ერთ-ერთ საბუთში: „წიგნი ანტონ I კათალიკოსისა ფავლენიშვილებისადმი ნიქოზის ეკლესიის სასაფლაოს თაობაზე“, აღნიშნულია: „ჩვენ დიაღ კარგად ვიცით, რომ თქვენ დიდის გვარისგან ხართ გამოსულნი, მხარგრძელნი საიანიდან ფავნისს მოსულნი და ფავნისიდან მანდ ერედვ მოსულნი და დასახლებულნი“.<sup>7</sup>

<sup>2</sup> Ioane Bagrationi. აგცერა sak'art'velos t'avad-aznaurt'a gvarebisa. Z. Kac'elašvilis red. Tbilisi. 1997, p. 28 (იოანე ბაგრატიონი. აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა. ზ. კაცელაშვილის რედ. თბ. 1997, გვ. 28).

<sup>3</sup> See Ioane Bagrationi. აგცერა sak'art'velos t'avad-aznaurt'a gvarebisa. p. 20 (იხ. იოანე ბაგრატიონი. აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა. გვ. 20).

<sup>4</sup> Ioane Bagrationi. აგცერა sak'art'velos t'avad-aznaurt'a gvarebisa. p. 22 (იოანე ბაგრატიონი. აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა. გვ. 22).

<sup>5</sup> Ioane Bagrationi. აგცერა sak'art'velos t'avad-aznaurt'a gvarebisa. p. 23 (იოანე ბაგრატიონი, აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა. გვ. 23).

<sup>6</sup> Ioane Bagrationi. აგცერა sak'art'velos t'avad-aznaurt'a gvarebisa. p. 23 (იოანე ბაგრატიონი. აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა. გვ. 23).

<sup>7</sup> k'art'uli samart'lis jeglebi. tek'stebi gamosc'a, senišvnebi da sajiebeli daurt'o prop' I. Dolijem. t. III. Tbilisi. 1970, p. 944 (ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაუროვ ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970, გვ. 944).

ფავლენიშვილთა გვარს მხარგრძელთა შთამომავლად მიიჩნევდა ისტორიკოსი კ. თუმანოვი. მხარგრძელთა გვარს იგი ორანული გვარის არშაკილების ერთ-ერთ შტოს – კამისარაკინგბის, იგივე „ფაპლავალების“ დინასტიის გამგრძელებლად თვლიდა. მისი აზრით, „ფაპლავალების დინასტიისაგან შეიქმნა სამი შტო; ფალავანდიდი, მხარგრძელი და სუმბატიდი, რომლებიც შემდეგ სხვადასხვა განშტოებად დაიყვნენ: ფალავანდიშვილებად, ამირაჯიბებად, მხარგრძელ-არღუთაშვილებად, არღუთინსკი-დოლგორუკებად, ფავლენიშვილებად, მაღალაშვილებად.<sup>8</sup>

ფავლენიშვილთა წარმომავლობის საკითხს იკვლევდა ს. კაკაბაძე.<sup>9</sup> მან ნიქოზის საყდრის საბუთოა შორის აღმოაჩინა XVI საუკუნის ორი დოკუმენტი, რომლებიც ფავლენიშვილთა საგვარეულოს ნიქოზის ტაძართან კავშირს ადასტურებს. პირველი საბუთიდან, რომელიც მკვლევარმა 1569 წლით დაათარიღდა, ჩანს, რომ ნიქოზში დამკვიდრებული ფავლენიშვილები, თავდაპირველად თმოგველ-უჯარმელ ფავლენიშვილებად იწერებოდნენ. დოკუმენტში ვკითხულობთ: „წიგნი და სიგელი გავატარეთ და მოგაროვით და ვიგულეთ ჩუენ თმოგველ-უჯარმელ-ფავლენიშვილთა, რობიამ, გარასპი იოთამ და კად იოთამ თქუენ და შესაძრწუნებელსა და ცხოვრებისა ჩუენისა მცველსა და ზედა მდგომელსა... ხატსა ამაღლებულსასა, ნიქოზს: სამკვიდრებელსა და სამარხსა ჩუენთასა, მოგახსენებო და შემოგწირეთ სოფელი, ზემო ნიქოზი, პირველადცა ღვთივ: გპრგპნოსანსა მეფეთ მეფესა და მოწამესა ვახტანგ გურგასლანსა, სანატრელსა, აღმაშენებელსა წ~სა საყდრისა თქუენისასა შეწირა სოფელი, ზემო ნიქოზი და სხუანიცა მრავალნი სამწყსონი და ადგილი ყმათა სიგრძეთა და ვითარებისაგან მოშლოდეს ზოგი რომელიმე ჰქონდეს, კუალად წ~სა ტაძარსა თქუენსა და რომელიმე ჩუენითა ნათესავთა გაეყო და თუის თუინად, დაეჭირა, ხოლო ჩუენ ახლად მოგუხდნა, მოწყალემა თქუენმან და აღგუნილნა თუალნი... მოგახსენებო და შემოგწირეთ სოფელი ზემო ნიქოზი, ყოვლითა, მისითა სამართლიანითა და რაცა ჩუენ ზემო ნიქოზს სახასოდ გუქონდა...“<sup>10</sup> ნიქოზის ტაძრისადმი ფავლენიშვილთა შეწირულობის სიგელი გამჭევენებული აქვს თ. უორდანიას. მკვლევარი აღნიშნულ დოკუმენტს 1565

<sup>8</sup> ს. Mesxia. sašinao politikuri vit'areba da samoxeleo cqoba XII saukunis sak'art'veloši. Tbilisi. 1979, p. 215 (შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ. 1979, გვ. 215).

<sup>9</sup> See S. Kakabaje. t'mogvel't'a gvaris istoriisat'vis. Tbilisi, 1913 (იხ. ს. კაკაბაძე. თმოგველთა გვარის ისტორიისათვის. ტფ. 1913).

<sup>10</sup> S. Kakabaje. t'mogvel't'a gvaris istoriisat'vis. p. 6 (ს. კაკაბაძე. თმოგველთა გვარის ისტორიისათვის. გვ. 6).

წლით ათარიღებს. სიგელის თ. უორდანიასეულ ვარიანტში მოხსნიებულნი არიან მხოლოდ ფაფნელიშვილები და არა თმოგველ-უჯარმელ-ფაფნელიშვილები: „1565 წ. ქ-ქს: სნგ: ჩვნ ფაფნელიშვილთა რობოამ, გაჯასპი, ოორამ... შემოგწირეთ... ხატსა ამაღლებისასა ნიქოზს სოფელი ზემო-ნიქოზი...“<sup>11</sup> ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტი კიდევ უფრო განსხვავებული სახით აქვს გამოქვეყნებული მ. სურგულაძეს. მკვლევარი დოკუმენტს 1565 წლით ათარიღებს: „ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ესე შეწირულობის წიგნი და სიგელი გპადრეთ და შემოგწირეთ ჩ(უე), ფავნელიშვილთა: რობამ, გორასპი, ოორამ და კუალად ოოთამ, ოქ(უე)ნ, ამაღლებულსა და შესაძრწუნებელსა და ცხოვრებისა ჩ(უე)ნისა მცველსა და ზედამდგომელსა, ჩ(უე)ნისა სასოებასა და სიქადულსა და ყ(ოველ)თა შენდა მოლტოლვილთა ნავთიაფუდელსა და შესავედრებელსა ხატსა, და ბრწყინვალებასა ძისა და სიტყვისა ღ(მრ)თისასა, რ(მ)ელი-იგი არს ხატი და თანა-განგება ღ(მრ)თისა მამისა, ხატსა ამაღლებისასა ნიქოზს, სამკვიდრებელსა მეფეთა ჩ(უე)ნთასა. მოგახსენეთ და შემოგწირეთ სოფელი ნიქოზი. პირველადცა ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანსა მეფეთა მეფესა და მოწამესა ვახტანგ გურგასლანსა, სანატრელსა აღმაშენებელსა წ(მიდ)ისა საყდრისა თქ(უე)ნისასა შეეწირა სოფელი ზემო ნიქოზი და სხვანიცა მრავალნი სამწყსონი და ადგილნი და ჟამთა სიგრძეთა და ვითარებისა-გან მოშლოდოს. ზოგი რ(ომელნ)იმე ჰქონდეს კ(უალა)დ წ(მიდ)ასა ტაძარსა თქ(უე)ნისა და რ(ომე)ლიმე ჩ(უე)ნთა ნათესავთა გაეყო და თვის-ვისად და-ეჭირა. ხ(ოლო) ჩ(უე)ნ ახლად მოგვხედნა მოწყალებამან თქ(უე)ნმან და აღ-გვიზილნა თვალნი გულისა ჩ(უე)ნისანი და მოგახსენეთ და შემოგწირეთ რა-ცა ჩ(უე)ნ სახასოდ გვქონდა: [აზნაურისშვილი], მსახური და მოყალნე, და რაც მამულზედა მსახლობელი იყო და ანუ ოხერი და პარტახტი იყო, მით ყოვლით ფერითა. უნაკლოდ მოგახსენეთ და შემოგწირეთ სოფელი ზემო ნი-ქოზი ყ(ოვლ)ითა ფერითა უნაკლულოდ.<sup>12</sup> შინაარსობრივად, დოკუმენტის ზემოთ წარმოდგენილი ყველა ვარიანტი ერთი და იგივეა. ფავნელიშვილებმა სოფელ ზემო ნიქოზში არსებულ თავიანთი მამულები ნიქოზის ტაძრის ამაღლების ხატს შეწირეს. დოკუმენტში შემწირველები იმასაც აღნიშნავენ, რომ

<sup>11</sup> T. Žordania. k'ronikebi. II. gamosac'emad moamzada Manana Čumburijem. Tbilisi. 2018, p. 405 (თ. უორდანია. ქრონიკები. II. გამოსაცემად მოამზადა მანანა ჭუბერიძემ. ობ. 2018, გვ. 405).

<sup>12</sup> k'art'uli istoriuli sabut'ebis korpusi. IV. tomi šeadgina da k'art'uli tek'stebi gamosac'emad moamzada Mzia Surgulajem. sparsuli tek'stebi moamzada T'amaz Abašijem. Tbilisi. 2016, p. 260 (ქართული ისტორიული საბურიბის კროპუსი. IV. ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზა სურგულაძემ. საარსელი ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ. ობ. 2016, გვ. 260).

Just after the assassination of Naser al-Din Shah (1 may 1896), Atabak brought the sick crown prince, Mozzafar al-Din, from Tabriz to Tehran and he himself remained the chief minister. But he could not survive for a long time. His enemies<sup>12</sup> at the court forced him to resign<sup>13</sup>. After resignation, he preferred to travel around the world. He left Iran in a way that it seemed he would not ever come back. *Mahdi Qoli Khan Hedayat*, who accompanied Atabak in his trip, witnessed that “Atabak was not the same person after the trip,” he had been changed. Observing the developed countries might have changed his mind and served as a basis for comparing a couple of contexts with undeveloped Iran<sup>14</sup>.

<sup>9</sup> M. M. Rahimi. *Gorjihaye Iran* (The Georgians of Iran). Esfahan. 2000. (in Persian)

<sup>10</sup> Bank-e Rejal-e Iran. “Miza Ali Asghar Khan Atabak Amin al-Sultan”. Bank-e Rejal-e Iran. <http://rijaldb.com/fa/6211/>. 2012

<sup>11</sup> Women's world in Qajar Iran. “Love letters of Amin ol-Sultan and Badr ol Molok”. Women's world in Qajar Iran. Accessed in 01.09.2019. <http://www.qajarwomen.org/fa/items/1282A2.html>. 2013.

<sup>12</sup> Also see. E'temad al-Saltaneh. *Rooznameh Khaterat* (diaries). Edited by Iraj Afshar. Mashhad. 2000. (in Persian)

<sup>13</sup> M. M. Aghakhani. “The assassination of Ali Asghar Khan Amin ol-Sultan”. *Ganjineh Asnad* (62). 2006, pp. 158-167.

<sup>14</sup> M. Amiri. *Zengegiye Siasiye Atabak Azam* (The political life of Atabak). Tehran: Sharq .1967 (in Persian)

Mozzafar al-Din Shah died in 1907 and his successor son, Mohammad Ali, a well-known Russophile, was clearly against the Constitutional Movement<sup>15</sup>. The new king took a stand against newspapers and the parliament. Censorship provoked the revolutionaries. The weakened king became afraid and found himself unable to control the condition. Due to this chaos, he wrote a letter to Atabak and asked him to come back from his long trip<sup>16</sup>.

Atabak had some conditions for coming back; first, he wanted more authority as prime minister, and second, the legal role of the parliament had to be formalized, and third, Atabak had to be recognized as the formal mediator between the King and the parliament.

After coming back to Iran and due to the conflicts at the court, Atabak had to stay in Anzali port for a while because the Constitutional fighter were against his re-empowering<sup>17</sup>. Arriving in Tehran, he rapidly formed his Cabinet from both Russophiles and Anglophones<sup>18</sup>. Despite all objections, Atabak was able to appoint all his ministers except three of them; so his cabinet comprised of: Atabak Amin al-Sultan (prime minister), Kamran Mirza (minister of war), *Ala al-Saltaneh* (minister of foreign policy), *Naser al-Molk Hamadani* (minister of finance), Mehdi Qoli Khan (minister of education), *Mirza Mohammad Khan Vazir Homyen* (minister of trade), *Monhades al-Molk* (minister of publicity) and *Farmanfarma* (minister of justice).

At the last meeting, Atabak promised to solve the problems between the parliament and the king as soon as possible. Seyyed Abdullah Behbahani had a speech and exaggeratedly exalted Atabak's role. Afterwards, Seyyed and Atabak met each other in private in one of the rooms of the parliament building. While coming out of the building, Atabak was assassinated.

---

<sup>15</sup> A. Amanat. "Amin-al-soltan, Aqa Ebrahim". Encyclopedia Iranica. 1989, pp. 949–951.

<sup>16</sup> C. Calmard. "Atabak-e A'zam". Iranica Encyclopedia. Vol. II . <http://www.iranicaonline.org/articles/atabak-e-azam>. 1989, pp. 878-890.

<sup>17</sup> B. Agheli. The Prime ministers of Iran. Tehran. 2011. (in Persian)

<sup>18</sup> H. Mahdavi. Tarikh-e Ravabete Khareji Iran (The history of Iranian foreign affairs). Tehran. 2012. (in Persian).



**Pic.3- Atabak Amin al- Sultan<sup>19</sup>**

**2. Abbas Agha Sarraf Tabrizi** (1885-31 August 1907): Abbas was known to be one of the young commanders of revolutionaries. His day job was working as a bookseller at a bookstore owned by Sheikh Hassan located in *Che-raq Barq Street*, Tehran. The street was located very close to the parliament. After Abbas's death, it was widely said that he had gone to the public bath the day before and had also had a photo of himself taken, admitting to the photographer that soon this would be a photo of a well-known hero<sup>20</sup>. Later Heidar Khan confessed that he had ordered twelve terrorists, including Abbas, to assassinate Atabak; a claim which was never proved.

**3. Heidar Khan Amu Oqlu (December 20, 1880-October 15, 1921):** the descent of Heidar is obscure. Some scholars believe that he was originally from an *Urmiyan* family who had immigrated to *Caucasus* (Raeen, 1979). The

---

<sup>19</sup> Photo from Institute for contemporary history studies (Tehran).

<sup>20</sup> E. Raeen. Heidarkhan Amou Oghlou (documents and memoires). Tehran. 1979. (in Persian)

fact of the matter is that he had been educated in the field of electrical engineering and, due to his education; he was invited by Mozzafar al-Din Shah's court to build the first electricity factory in Iran. He built the first Iranian power plant in *Mashhad* but suddenly encountered the oppositions<sup>21</sup>. At the time, he did not know Persian and apparently it was difficult for him to analyze the situation. Gradually, Heidar transformed from an engineer into a terrorist<sup>22</sup>. He used (or misused) his knowledge to produce handmade bombs. Later, he founded *E'jtemae A'miyoun* party. His ambition along with his vast knowledge of weaponry made him famous among revolutionaries. Indeed, later Mehdi Qoli, in his book “*Dangers and Memories*”, wrote that Heidar was not the only one to take responsibility, but the most famous one. In 1921, he ran away to *Gilan* and joined the *Jungle Movement*, where he was suspiciously killed. Heidar's memory was kept alive in folklore songs of Turkish Iranians who appreciate his bravery and handsome face.



**Pic.4- one of the oldest photos of Parliament building<sup>23</sup>**

<sup>21</sup> J. Sheikh ol-Eslami. “How was Atabak assassinated?”. E'telaat Siasi va Eghtesadi 277/278. 2010. pp. 82-103. (in Persian)

<sup>22</sup> It is the term he uses several times to address his own activities.

<sup>23</sup> Photo Tahami, private Archive.

### **Reconstruction of the Assassination**

One of the unsolved puzzles is that on the day of murder, Atabak's carriages were kept far from the usual place<sup>24</sup>. It was never found out who was responsible for changing the place of carriages and guards. *Moshir-al-Dawla*'s death under suspicious circumstances (13 September 1907) after he had refused to collaborate with Sa'd-al-Dawla, strengthened the idea that the rumors about the role of Sa'd al-Dawla in this political assassination might be rooted in facts. *Sheikh Fazlallah Nouri*<sup>25</sup> and his followers safely returned to Tehran where they continued to undermine the constitutionalist's undertakings. Many others could not deny the role of *Adamiyat* lodge in the assassination of Atabak<sup>26</sup>- *Adamiyat* lodge<sup>27</sup> was known to be supported by the court.

Atabak was certainly killed by two different guns from two sides. Even if the first killer was Abbas, the next one had shot Atabak from behind. Since he was standing in the entrance of the parliament, the second terrorist might have been standing on the first floor window and, because of the darkness, recognizing him/her might have been impossible. But it can be assumed that Seyyed Abdullah might have seen and instantly recognized him. Assuming that, Atabak was shot from the back and front at the same time; it could be concluded that his body was not bent and, from both sides, the bullets hit him in the chest. It is very hard to accept that Abbas ran all the way to *Sar-Cheshmeh-* where Mo-shar's house was located. More logically, he was killed at the time of the assassination and then his body was removed. Actually, the photos do not show any trauma, and bleeding was not reported by the reporters.

Atabak was killed by three bullets shot from different sides; a Seyyed and a soldier came to his rescue but were killed on the spot (basically, at least five bullets were shot). So, the killers should be at least two to three individuals<sup>28</sup>. This was also endorsed in the first telegraph from Tehran to other cities, indicating that there were two terrorists. The following day, the police announced pub-

---

<sup>24</sup> Y. Dowlat-Ababdi. *Hayate Yahya* (The life of Yahya). Tehran. 1993. (in Persian)

<sup>25</sup> Sheikh Fazlallah Nouri was a prominent Shia Muslim cleric in Qajar Iran and one of the strongest enemies of Constitution and intellectuals- he was later appreciated as the "anti-colonial hero" during Islamic Republic. see. E. Abrahamian. *Khomeinism: Essays on the Islamic Republic*. New York. 1993.

<sup>26</sup> A. Kasravi. *The history of Iran's constitution*. Tehran. 2002. (in Persian)

<sup>27</sup> *Adamiyat* lodge in which the Shah and Atabak was membered was known to be a hidden party supported by court. It was a pseudo-Masonic group in Persia, active from 1904 to 1908. See. E. Abrahamian. *Iran between Two Revolutions*. Princeton. 1982.

<sup>28</sup> N. R. Keddie. "British policy and the Iranian opposition 1901-1907". *Journal of Modern history*. 39 (3). 1971, pp. 266-282.

lically that there was only a single terrorist named Abbas Agha. The photos taken from Abbas's corpse do not show any trauma on his head or mouth. Also, it was reported that the gun was found, but there is no actual report of the details of the gun.

It is noteworthy that the strategy of Heidar Khan till that date was basically constructing small handmade bombs. A few months before the assassination of Atabak, Heidar and some of his so-called terrorists had thrown a bomb toward Shah's car (or carriage?). afterwards, he was called *Heidar bombist or Heidar Bombsaz* (bomb maker) regarding his skill in making handmade<sup>29</sup>. There are so many reports mentioning that Heidar had taught bomb constructing to some Iranian fighters and revolutionaries. It is very unlikely that he should have changed his core strategy to kill Atabak from making bomb to gun terror. On the other hand, his unfinished description of the scene is so precise that it hardly seems that he might be lying<sup>30</sup>. Obviously, both Jahangir Khan and Heidar knew Abbas Agha who used to work in one of the very few bookshops of Tehran. Besides, Heidar reports that they would precisely observe every scene they would like to do some terrorist activities there for several times before they planed it.

Archaeologically speaking, it seems that Sheikh ol-Eslami's assumption about the involvement of two terrorist groups sounds more rational than the other explanations of the murder scene. The problem of the brand and caliber of the guns would not be solved except by excavating Atabak's grave which seems to be impossible due to the condition of Iranian archaeology. But according to the scene and the remaining evidence of the murder, the traces of two groups can be observed. Heidar and his supporters seem to be the witnesses of the assassination, but there so many concerns if they were the killers. The narrative of Heidar is unfinished in this case and other people close to him, such as *Taghizadeh*, or other supporters of *E'jtemaae A'miyoun* never spoke about the murder. Regarding Abbas's corpse photos, it can be elucidated that he was not shot in the mouth. The assumption that he was poisoned by strychnine may be more logical. In a letter to *Eghbal*, Hedayat writes that some experts had confirmed that the cause of Abbas's death was not suicide<sup>31</sup>. According to the amount of crowd, the narrative of him running towards north seems to be wrong; even if

---


<sup>29</sup> N. al-din Hassanzadeh. The memoires of Heidar Khan Amou oghli. Tehran: Nashr-e Namak. 2014

<sup>30</sup> Raeen, 1979; Sheikh-ol Eslami, 2010

<sup>31</sup> Sheikh-ol Eslami, 2010, p. 115.

accepted, it should be asked why he did not defend or shot himself or whether did not use the poison he had in his pockets. Besides, the second group, that has not been recognized at the time but many people considered this group to be supported by Shah<sup>32</sup>, did not come out of the shadow. But there are pieces of evidence that show how professional they were. It should be considered that the second terrorist group was aware that the first group was going to organize a plan to kill Atabak. Secondly, they certainly had the authority to change the place of carriages. They could easily hide among the crowd or buy tickets to enter the parliament building.

Based on the reconstruction of the scene, the official narrative of the assassination should be reviewed seriously.



**Pic.5- The reconstruction of the assassination**

### **Discussion**

Mehdi Qoli Hedayat (1952: 156-8) indicates that we encounter two different Atabaks, before and after his journey. Here, we refer to Jahangir's report, which seems to be one of the most neutral reports (although, he and some other comrades of him later published another report stating that they were happy Atabak had been murdered)<sup>33</sup>. Hedayat confirms that several Constitutional fighters took the responsibility of the murder but among them, the Heidar Khan

---

<sup>32</sup> Hedayat, 1952

<sup>33</sup> M. Malekzadeh. Tarikh-e Mashroutiyat (The history of constitution). Tehran. 2004. (in Persian)

Amu Oghlu's claim (Hassanzadeh, 2014) was more accepted by historians. Some<sup>34</sup> introduce him as the direct responsible to order Abbas Agha to kill Atabak. It seems that his unfinished description of the scene is also logical and detailed. But noteworthy to say, this very important murder has not been studies in detail and even this might have been originated from the character of Atabak.

In many senses, during his life, Atabak was an "Other"- future discussions are needed to reach to this point to know if being *an other* has had an actual role in shaping his ideas and desire to stay in power or not. Was power a kind of safe place for a person like him? Many other Qajarid chief ministers were "others" from low income families. But unlike *Amir Kabir* and *Qaem Magham* who came from low-income statuses yet Persian/Turk speaking families, Atabak was known to come from a Proselyte Muslim Georgian family which strengthens his identity as *an other*. Unlike the initial impression of Constitutionalists, assassinating him never solved any problems. The constitutional Movement did not continue while the concept of "Otherness" gradually grew so large that now it embarrasses almost everyone living in Iranian territories.

---

<sup>34</sup> Bateni, Gholam-Reza. "Constitution and the murder case of Atabak Amin ol-Sultan". Nou She-koft Journal. 2010, pp.1-32. (in Persian)

ელენე გოგიაშვილი  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**ისტორიული პირი თუ ლიტერატურული ფიგურა?  
ხალხური გადმოცემები აღექსანდრე მაკედონელზე**

ზეპირ თხრობით ტრადიციას აღექსანდრე მაკედონელის შესახებ სხვა-  
დასხვა ლიტერატურული წყარო აქვს: ანტიკური თხზულებები (ფლავიუს  
არიანე, კალისტონე, პლუტარქე, კვინტუს კურციუს რუფუსი, დიოდოროს სი-  
ცილიელი) და შეა საუკუნეების ევროპული და აღმოსავლური რომანები  
(ფსევდოკალისტონე, ფირდოუსი, ნიზამი, ამირ ხოსროვი, ჯამი, აღიშერ ნა-  
ვორ და სხვ.).

IV-XVI საუკუნეებში ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში ლეგენდა-  
თა მთელი ციკლი დამუშავდა, რომელიც ფსევდოკალისტონებს აღექსანდრეს  
რომანისა და მისი მრავალრიცხოვანი თარგმანებიდან იღებს სათავეს.<sup>1</sup> ეს ნა-  
წარმოები არ არის ისტორიული სიზუსტით ან მაღალმხატვრულობით გა-  
მორჩეული, მაგრამ ხალხურ ტრადიციაში მისი გავრცელებისთვის არც ის-  
ტორიული ამოცანები იყო მთავარი და არც მხატვრული დონე. მკოთხველი  
და მსმენელი თავად ლეგენდარული მეფის პიროვნებით უფრო იყო დაინტე-  
რესებული, ვიდრე სინამდვილებში მომხდარი ფაქტებით. აღექსანდრეს შესახებ  
გადმოცემებს ვხვდებით იმ ქვეყნებშიც, სადაც აღექსანდრე მაკედონელს ფეხი  
არ დაუდგამს. ევროპის შორეული ჩრდილოეთიდან მოყოლებული შეა აზიაში  
მონღლოურის გავლით მაღაზიასა და სხვა აზოურ ენგბზეც კი შეიქმნა აღ-  
ექსანდრე მაკედონელზე თქმულებები და ლიტერატურული თხზულებები.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ევროპაში აღექსანდრეს რომანი იუდითის ვალერიუსის დათონური თარგმანის (III-IV ს.) საუკუნეებში გავრცელდა. აღმოსავლეთის ქვეყნებში ამ თხზულების პირველ თარგმანს საუკუნევლად ბერძნული დედანი დაედო. ეს ნაწარმოები ითარგმნა ფალაურ, სირიულ, გოპტურ, ეთოსპიურ, სომხურ ენგბზე. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე აღექსანდრეს რომანი ქრისტენი მეფებ და პიეტაბ არჩელა (1647-1713). იხ. R. Mirianashvili (ed.). Aleksandriani. Tbilisi. 1980, p. 4-5 (რ. მირიანაშვილი (რედ.). აღექსანდრიანი. თბ. 1980, გვ. 4-5).

<sup>2</sup> S. Gero. The Legend of Alexander the Great in the Christian Orient. Bulletin of the John Rylands Library N75(1). 1993, p. 3-9.

ალექსანდრეს მიმართ ინტერესი სარაინდო იდეალებსაც უკავშირდება. საგარაულოდ, ეპონაპელი მენესტროლები ჯვაროსნულ ლაშქრობებში სხვადას-ხვა აღმოსავლურ ფოლკლორულ გადმოცემას უნდა გაცნობოდნენ ალექსანდრეზე. ამ გადმოცემების გავლენა აშკარად იგრძნობა შუასაუკუნეების ეპო-ბულ თხზულებებზე, ისტორიულ თქმულებებზე, ლეგენდებზე, ზღაპრებზე, რომანტიკულ ისტორიებზე და ანეკდოტებზეც.<sup>3</sup> სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ შუა საუკუნეების მოთხრობები ალექსანდრეს ლაშქრობების შესახებ მთლიანად ისტორიზმს ექვემდებარება და მორალურ-რელიგიური ოვალსაზრისისაც არის შეფასებული, შემდგომ ეპოქებში კი თხრობა უფრო სათავადასავლო ხასიათს იღებს და ბოლოს ხალხურ წიგნებში (folk literature) გადაიის.<sup>4</sup>

კავკასიურ ფოლკლორში ალექსანდრე მაკედონელის ფიგურა მხოლოდ ნოველისტურ ზღაპრებში ჩნდება. ამ მიზეზის ახსნა თხრობითი ჟანრების სპეციფიკაში უნდა ვეძიოთ.

ფოლკლორის თხრობითი ჟანრებიდან ნოველისტური ზღაპარი პერსონაჟების ასახვის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ ნოველისტური ზღაპარი ისეთივე მყაცრ ეპიკურ კანონებშია მოქცეული, როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრები, მისი პერსონაჟები ლიტერატურული გმირების მსგავსად სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში გვევლინებიან. სიუჟეტთა საერთაშორისო საძიებელში ჯადოსწური ზღაპრების მხოლოდ 450 ტიპი არსებობს, ნოველისტური ზღაპრებისა და ანეკდოტების ტიპები კი 1000-ზე მეტი.<sup>5</sup> თუ ჯადოსწური ზღაპრის მთავარი გმირების უმრავლესობა ერთმანეთს ჰგავს, ნოველისტური ზღაპრისა და ანეკდოტების პერსონაჟები სხვადასხვა ხასიათითა და მორალით გამოირჩევიან. მაშინ, როცა ხალხურ ჯადოსწურ ზღაპარში სრულიად გამორიცხულია გმირის ინდივიდუალობის ასახვა, ნოველისტური ზღაპარი მთქმელს მეტი იმპროვიზაციის შესაძლებლობას აძლევს.

<sup>3</sup> I.Tomkowiak. Zur Popularität des Herrscherbildes in der Volkszählung. Als es noch Könige gab. Forschungsberichte aus der Welt der Märchen. Hrsg. Hainz-Albert Heindrichs, Harlinda Lox. München. 2001, p. 155-168.

<sup>4</sup> E. Kostjukhin. Aleksandr makedonski v literaturnoj i folklornoj tradicij. Moskva. 1972, p. 42. (Е. Костюхин, Александр Македонский в литературной и фольклорной традиции. Москва. 1972, стр. 42).

<sup>5</sup> H.J. Uther. The Types of International Folktales: A Classification and Bibliography Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. I. Helsinki. 2004.

## ელენგ გოგიაშვილი. ისტორიული პირი თუ ლიტერატურული ფიგურა? ხალხური გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელზე

ნოველისტური ზღაპრების ტიპებში ლიტერატურული გავლენა ადვილი შესამჩნევია. ალექსანდრე მაკედონელის ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟად ქცევას სწორედ ლიტერატურული ტრადიცია განაპირობებს. ასევე ხდება სხვა ლიტერატურული მოტივების ფოლკლორში გადასვლის შემთხვევაშიც. ფოლკლორული პერსონაჟი იმავე თვისებებს ამჟღავნებს, რასაც მისი ლიტერატურული პრიოტოტიპი.

კავკასიური ხალხური ნოველები ალექსანდრე მაკედონელზე ფიქსირებულია XIX საუკუნიდან. „კავკასიის ადგილთა და ტომთა აღწერის მასალათა კრებულში“ (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа), 1890 წლის №10 გამოშვების III განყოფილებაში დაბეჭდილია ქართლში ჩაწერილი ორი ტექსტი.

ერთი ჩანაწერი გადმოგვცემს გაქვავებული ქალაქის ამბავს, რომლის შესახებაც ალექსანდრე მაკედონელმა სოლომონ ბრძენისგან შეიტყო.

ალექსანდრე ჯარით შევიდა ამ ქალაქში და გაქვავებული მეფე-დედოფალი ნახა. დედოფალს თითებში წერილი ჰქონდა: „ყველაფერი წაიღონ, მხოლოდ გვირგვინი ღვთისააო“. ალექსანდრემ ხელი არ ახლო გვირგვინს. შემდეგ ხმელეთის მპყრობელმა ალექსანდრემ ზღვის დამორჩილებაც მოინდომა. ზღვაში ჩალა ჩაყარა, ცეცხლი წაუკიდა და ასე დამორჩილა. ზღვის პატრონმა ალექსანდრეს სამი მარცვალი მისცა: ერთს თუ შეჭამდა, გაახალგაზრდავდებოდა, მეორეს შეჭამდა – ბრძენი გახდებოდა, მესამეს კი შეეძლო ექიმად ექცია. ალექსანდრემ ხაბაზს უბრძანა ამ მარცვლებით პური გამოეცხო. საუბედუროდ ხაბაზს, რომელმაც არ იცოდა მარცვლების მაგიური ძალის შესახებ, გამომცხარი პურები ნაცარში ჩაუცვივდა, მეფეს აღარ გაუგზავნა და მათხოვარს მისცა. ალექსანდრემ სხვა პური შეჭამა და ჯადოსწურმა ძალამ რომ არ იძოქმედა, ხაბაზი დაიბარა. ხაბაზის მეშვეობით ალექსანდრემ გაახალგაზრდავებული და დაბრძენებული მათხოვარი მოძებნა და სასახლის ექიმად დააყენა. მან სიკვდილის დღეც კი უწინასწარმეტყველა ალექსანდრეს. მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ხალხმა ეს ბრძენი აიყვანა ტახტზე (ჩაწერილია გორის მაზრის სოფელ ქიშნისში სოლომონ გულიშვილისგან, ჩამწერი გორის სამსაწავლებლო სემინარიის მოწაფე პავლე პრიხნია).<sup>6</sup>

იმავე კრებულში დაბეჭდილი მეორე ტექსტი ალექსანდრე მაკედონელზე მოგვითხრობს, თუ როგორ დამორჩილა უძლეველმა მეფემ სამყაროს სამი ნაწილი. როცა მეოთხე ნაწილის დაპყრობაც მოინდომა, რომელშიც დარი-

<sup>6</sup> СМОПК 1890, №10, III, გვ. 37-44.

ბები ცხოვრობდნენ, მოფრინდა ანგელოზი და ურჩია: „ამ ქვეყანას ხელს ნუ ახლებთ, თორებ თავები წაგეცლებათ“. ალექსანდრემ არ დაუჯერა. ამის გამო მის ჯარისკაცებსა და პირად ამაღლას უჩინარმა ძალამ თავები წააცალა, დარიბთა ქვეყნის მკვიდრებმა კი მოწაფის, ვინმე სურკოვის მიერ).<sup>7</sup>

1895 წელს სულხან ბარათაშვილს „საქართველოს ისტორიაში“ დამოწმებული აქვს ხალხური გადმოცემა, რომელშიც მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობა. ისტორიკოსი ლეგენდას ხალხურად მიიჩნევს, მაგრამ ისტორიულ ღირებულებასაც ანიჭებს მას: „ხალხური გადმოცემა ამბობს, რომ ბერძნების მხარეში, სახელდობრ მაკედონიაში, გამოჩნდა ალექსანდრე, ფილიპეს შვილი, რომელმაც დაიპყრა ყველა ქვეყანაო. იმან დაპყრობა დასავლეუთიდან დაიწყო, გადალახა სამხრეთი, შემდეგ ჩრდილოეთი და იქიდან კავკასიის მოებით საქართველოში შევიდაო. ალექსანდრემ ამ ქვეყანაში ურწმუნობდა და უზნეობა პპოვა, მაგრამ ნახა, რომ იქ მეომარი ხალხი ცხოვრობდა, რომელსაც მაგარი ქალაქები ჰქონდა. იმნ ყველა ეს ქალაქები აიღო და შიგ თავისი ჯარები ჩააყენა ერთის მაკედონელის სარდლის, აზონ პატრიკის ხელქვეშ, რომელსაც უბრძანა, გაევრცელებია ხალხში მზის, მოვარისა და ხუთი ვარსკვლავის თაყვანისცემა“.<sup>8</sup>

ალექსანდრე მაკედონელის პერსონაჟი ქართულ ხალხურ ნოველაში თავნება და ხარბია. 1930-იან წლებში ჩაწერილ ერთ ქართულ ნოველისტურ ზღაპარში აღწერილია, თუ როგორ ემორჩილებოდა ალექსანდრეს მოელი ქვეყანა: დასავლეთი და აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. მაგრამ მისი გული მანც არ დაკმაყოფილდა.

ალექსანდრემ გადაწყვიტა, ცაზე კიბე მიედგა და მიწა გაეთხარა, რათა მოელი სამყაროს ბრძანებელი გამხდარიყო. ცაზე ასვლა ვერ შეძლო, მაგრამ მიწისქვეშა ქვეყნების დაპყრობის სურვილი კვლავ არ ასვენებდა. მეფემ ისიც იცოდა, რომ მის ამ გადაწყვეტილებას მოხუცებულები შეეწინააღმდეგებოდნენ და ბრძანება გასცა, ახალგაზრდებს თავები მოეკვეთოთ თავიანთი მამებისთვის და სამუშაოდ გამოცხადებულიყვნენ. ამასთან, დაეფიცებინათ: „მამაჩემი მიწის ზემოთ არ დამიტოვებიათ“. ერთმა მოხუცებულმა კაცმა შვილს უთხრა: „ჩემი სიმაღლე მიწა მოთხარე, ჩამაგლე შიგ და დაიფიცე, რომე მამაჩემი მიწის ზემოთ არ დამიტოვებია თქო და შენ რომ წახვალ, მეც იქ მოვალ. იმ სულელ

<sup>7</sup> СМОПК 1890, №10, III, გვ. 44.

<sup>8</sup> G. Akhvlediani. Folklori XIX saukunis kartvel istorikosta naşromebši. Kartuli Folklori. VII. Tbilisi. 1977, p. 141. (გ. ახვლედიანი. ფოლკლორი XIX საუკუნის ქართველ ისტორიკოსთან ნაშრომებში. ქართული ფოლკლორი. VII. თბ. 1977, გვ. 141).

## ელენგ გოგიაშვილი. ისტორიული პირი თუ ლიტერატურული ფიგურა? ხალხური გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელზე

მეფეს ვირი უფრო ჭეკვიანი ჰყავს, ვიდრე თვითონ არის. სამუშაოზე საჭმელი ვირით წაიღე და მიწის თხრას რომ დაიწყებთ, მისი ჩოჩორი მაღლა დატოვე დაბმული. ვირი კი, სადაც მუშაობთ, იქ გააჩერე. როცა მიწას ამოთხრით და იქიდან სიმყრალის სუნი ამოვა, ვირს სუნი შეაწუხებს და გაიქცევა. შენ წაატანე კუდზე ხელი და ამოგიყვანს. თუ გინდა, შენი სულელი მეფეც ამოიყვანე“.

ბიჭი ისე მოიქცა, როგორც მოხუცმა მამამ დაარიგა. როცა მიწიდან სიმყრალის სუნი ამოვიდა, ვირი ზემოთ ამოხტა და ბიჭიც და მეფეც თან ამოყოლა. დანარჩენები მიწაში დარჩნენ და დაიღუპნენ. მხოლოდ მამა-შვილი და მეფე გადარჩა. მეფემ რომ გაიგო, ბიჭი მამის დარიგებული იყო, უთხრა: ასეთი ჭეკვიანი მამა თუ გყავდა, რატომ მოკვეთე თავიო. ბიჭმა გადარჩნილი მამა მიუყვანა. მეფემ მოხუცს მადლობის ნიშნად ნახევარი სახელმწიფო შეს-თავაზა. მოხუცებული გაბრაზდა და უპასუხა: „შენ სად გაქვს სახელმწიფო? თუ მკვდრების ქვეყანას მაძლევ, რად მინდა? სანამდე ხალხი დაიხოცებოდა, მანამდე რატომ არ მომეციო?“

მაშინ მეფემ ფული შესთავაზა. მოხუცმა ჯიბიდან კაცის გამხმარი გული ამოიღო, მიწაზე დადო და უთხრა: „ბევრს არაფერს გოხოვ, ეს გული რომ დაფაროს, იმდენი ფული მომეცი“.9

მეფემ ფული დააყარა გულს, მაგრამ გული ზემოთ ამოხტა. კიდევ დააყარა ფული, მაგრამ გული ისევ ზემოთ ხტებოდა. მოელი ხაზინა მოატანინა, მაგრამ გული მაინც ვერ დაფარა.

მოხუცმა გაიცინა და ოქა: „ხომ ხედავ, ეს კაცის გამხმარი გულია, ამას ერთი მუჭა მიწა დაფარავს, მეტი არაფერი. შენ რომ მოელი ქვეყნა გქონდა, ქვესნელში რადა გინდოდა, რომ მიწას თხრიდი?“ მოხუცმა გულს მიწა დააყარა და მაშინვე დაიფარა. ასეა ადამიანი – მისი გული ვერაფრით დაკმაყოფილდება, მაგრამ ერთი მუჭა მიწა ყველაფერს დაავიწყებს.<sup>9</sup>

ალექსანდრე მაკედონელი უარყოფითი თვისებებით არის წარმოდგენილი სხვა ნოველისტურ ზღაპარში (1960-იან წლებში ჩაწერილი ტექსტი, ID 15024). „მაკედონელის ზღაპარში“ მოთხოვილია სხვა ისტორია ალექსანდრეზე, მაგრამ იგივე მორალური სახით – ძლიერი, მაგრამ გაუმაძლარი მეფე:

მაკედონელი იყო სასტიკი მებრძოლი იყო. ერთხელ ბრძენს უთხრა, რომ ომი სურდა. ბრძენმა უპასუხა, რომ ერთი სახელმწიფო არსებობდა, სა-დაც ვერავინ შევიდოდა. მარტო მაშინ შეაღწევდა ვინმე, კლდეს თუ გაჭრი-

<sup>9</sup> A. Glonti. Guruli folklori. Tbilisi. 1937, p. 203-204 (ა. ღლონტი. გურული ფოლკლორი. თბ. 1937, გვ. 203-204).

და, რადგან ეს სახელმწიფო გაქვაგებული იყო. მაკედონელმა დაუწყო ჭრა კლდეს. ათი წელიწადი ჭრა, ბოლოს გაჭრა და შევიდა. ჭიშკარში ება ცხენი, გაქავებული. ზედ ეწერა ჭიშკარს: მარჯვნივ შემოატრიალებ ცხენს – გაიღება, მარცხნივ – დაიკეტება. შევიდენ ქალაქში და დაიწყეს სიმდიდრის გამოზიდვა. ხემწიფის სასახლეში ეწერა: „ყველაფერი წაიღეთ, ოღონდ ხელმწიფის გვირგვინს ნუ ახლებთ ხელს“: ვეღარ გაძლა მაინც მაკედონელი და წაატანა დედოფლის გვირგვინს ხელი. ხელმწიფის უკან ხმლიანი კაცი იდგა, დედოფლის უკან კი კომბლიანი კაცი. როგორც კი წაატანა ხელი გვირგვინს, მაკედონელს კომბალი მოხვდა, დაეცა და ცოცხალ-მცვდარი ძლიერს მოაპოვნეს.

როცა მაკედონელმა სიმღიღრე შინ წამოიღო, კიდევ უთხრა ბრძენს, ომი მინდაო. ვერ ძლებოდა ამდენი სიმღიღრით. ბრძენმა ურჩია, ზღვა დაეპყრო. მაკედონელმა გადაასხა ზღვას ნავთი და წაუკიდა ცეცხლი. შემოუთვალია ზღვის ხელმწიფები: „რა გინდა ჩვენგან, წაიღე საჩუქარი, ოღონდ უჰაეროდ ნუ დაგვხოცავო. ერთ რამეს გაჩუქებ და მოგვეშვიო“ გამოუგზავნა პურის ფქვილი. ეს ფქვილი გაახალგაზრდავების წამალი იყო. მაგრამ მეპურემ პური კარგად ვერ გამოაცხო, თონეში ჩაუცვივდა, ამიტომ ადგა და მეცეს სხვა პური მიაროვა. მაკედონელმა შეჭამა, მაგრამ ვერ გაახალგაზრდავდა. დაიბარა მეპურე და უბრძანა სიმართლე ეთქვა. მეპურემ აღიარა: „ის პურები ვერ გავაჩერე თონეზე, ჩაცვივდა და ჩემი პური მოგართვიო. ის პურები კი მათხოვარმა ჩამოიარა და მიგვციო“.

როცა მაკედონელი ავად გახდა, ბრძენს ჰკითხა, როდის მოგვდებიო? ბრძენმა უპასუხა: „შენ მაშინ მოგვდები, როცა მიწა რკინად იქცევა და ცა სპილენძადო“. მაკედონელმა მოითხოვა ბაღში ჩასვლა. იქ ჰკინდა გაკეობებული მიწა რკინად და ცა სპილენძისა. დაინახა და ეგონა, მართლა მიწა რკინად გადაქცეულდა და კა სპილენძად და მოკვდა.<sup>10</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აღვესანდრე მაკედონელი როგორც ფოლკლორული პერსონაჟი ნაკლებად მომხიბვლელია, ვიდრე აღვესანდრე მაკედონელი როგორც ლიტერატურული გმირი.<sup>11</sup> ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟი ძალიან დაშორებული იყო.

<sup>10</sup> Georgian Folklore Database.Fundamentals of an Electronic Documentation of Caucasian Languages and Cultures ‘Armazi’.Rustaveli Institute of Georgian Literature Folklore Archive. Accessed 21 September 2006. <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/folkarch/query.htm#inpform>.

<sup>11</sup> Костюхин, Е.А. Aleksandr makedonski v literaturnoj i folklornoj traditcij. Moskva. 1972, p. 150 (Костюхин, Е.А. Александр Македонский в литературной и фольклорной традиции. Москва. 1972, с. 150).

## ელენგ გოგიაშვილი. ისტორიული პირი თუ ლიტერატურული ფიგურა? ხალხური გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელზე

ლია შუასაუკუნეების რაინდობის იდეალს. არის იშვიათი შემთხვევები, როცა ალექსანდრე მაკედონელი ჯადოსნური ზღაპრის გმირია. ჩრდილოკავკასიურ, კერძოდ, ოსურ ფოლკლორში გვხვდება ერთი ჯადოსნური ზღაპარი ალექსანდრე მაკედონელზე. ტექსტი სტრუქტურულად ჯადოსნური ზღაპრის სქემაზეა აგებული, მოტივებში საგრძნობია ლეგენდების გავლენა, ფინალი კი სხვა ნოველისტური ზღაპრების მსგავსია.

შორეულ წარსულში ცხოვრობდა ერთი ხელმწიფე ალექსანდრე მაკედონელი (ოს. ალექსან მაჭიდონი). მას ერთი გიუ კვიცი ჰყავდა, რომლის გახედვნასაც ვერავინ ბედავდა მის გახედვნას. ხელმწიფემ საუკეთესო ცხენოსნები დაიბარა, მაგრამ ვერავინ მოახერხა კვიცის დამორჩილება. ბოლოს ალექსანდრემ გადაწყვიტა, თვითონ გაეხედნა თავისი ცხენი. დიდი ბრძოლის შემდეგ ცხენი ადამიანის ენით დაელაპარაკა: „ვარგებულხარ მხედრად და მეც გამოგადეგები მერნად. ახლა კი სამი დღით გამიშვი იალაღზე თავისუფლად. მერე როცა ჩემი თავი დაგჭირდეს, კვესი ჩამოჰკარი და აბედს მოუკიდე. სადაც არ უნდა ვიყო, აბედის სუნი მეცემა და შენოთან გავჩნდები“. წავიდა ცხენი საბალახოდ. ხელმწიფე კი შევიდა თავის სასახლეში მოსასვენებლად.

ერთხელ აღმოსავლეთის ხელმწიფე დიდი ჯარით მოადგა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოს საზღვარს და ხარკის გადახდა უბრძანა. ალექსანდრემ უპასუხა, რომ მეორე დღეს ბრძოლის ველზე შეხვედროდნენ. მან თავის ცხენს მოუხმო და დახმარება სოხოვა. მეორე დღეს საომრად გამოწყობილი ალექსანდრე და მისი ჯარი მტრის შესახვედრად გაემართნენ. ალექსანდრემ მოწინააღმდეგე ხელმწიფეს შეუთვალა: „ჩემს ჯარს შენი ჯარიდან მოშორებით დავაყენებ. მე თვითონ ცხენით გეახლები და ნიშანზე დაგიდგები. სამჯერ მესროლე შენი საომარი ისარი. თუ მომარტყამ და მოკლავ, შენ დაგრჩება ჩემი სახელმწიფო. ხოლო თუ შენის სამ სროლას გადავურჩი, მაშინ მეც მომეცი ორჯერ სროლის ნება“.

ხელმწიფემ მიხვდა, რომ რაღაც ეშმაკობა იმაღლებოდა ალექსანდრეს დანაბარებში, მაგრამ მაინც დათანხმდა ორთაბრძოლას.

როცა შუაკაცებმა გადასცეს მისი პასუხი ალექსანდრე მაკედონელს, მან თავისი ცხენი იხმო და ამ მორიგების ამბავი უთხრა. ნუ გეშინიაო, დააიმედა ცხენმა. მარცხენა ყურში შეუშვა ალექსანი და მარჯვნიდან გამოუშვა. იგი საუკეთესოდ აღჭურვილ მეომრად იქცა: შეჯავშნული ფარით, შუბით, მშვილდისრით შეიარაღებული.

ორთაბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგე ხელმწიფემ სამჯერ ესროლა

ალექსანდრეს მშვილდისარი, მაგრამ ააცდინა. გადარჩენილმა ალექსანდრემ აღმოსავლეთის ხელმწიფე არ დასაჯა და მშვიდობით გაისტუმრა. იმ დღიდან ალექსანდრე მაკედონელმა მთელ ქვეყანაზე გაითქვა სახელი, მაგრამ კაცის ოვალი ვერაფრით გაძლება და მაკედონელსაც აღარ აკმაყოფილებდა, რაც მოიპოვა: სულ მეტ და მეტ ქვეყნებს იმორჩილებდა. სულ მოკლე ხანში ლამის ყველა სახელმწიფო დაიპყრო. მერე როგორც იყო, იფიქრა სახლში მობრუნება. როდესაც გზაში დასასვენებლად შეჩერდა მდინარის ნაპირზე, წყლი მოეწონა და მდინარის სათავის პოვნა ისურვა. რამდენიმე მეომართან ერთად აუყვა მდინარეს და საღამოს ერთ მაღალ სასახლესთან მივიდნენ. სასახლეს ირგვლივ ხმლის პირები ჰქონდა დატანებული და ორმაგი რკინის კარები ჰქონდა. მის კართან მარტო ერთი კაცი იდგა შუბით, რომელმაც ალექსანდრე შიგნით არ შეუშვა. მისმა თვალებმა ისე შეაშინეს ალექსანდრე, რომ კინაღამ ცხენიდან ჩამოვარდა. ცხენიც აკანკალდა. ალექსანდრე მაკედონელმა უკან დაიხია და მხოლოდ ეს ჰქითხა: „ის მაინც მასწავლე, რა გააძლობს კაცის თვალს“. მეკარემ ადამიანის თვალის ბუდე გადმოუგდო და უთხრა: „წაიღე ეს და სასწორზე დადე, მაგისი წონა გააძლობს მხოლოდ კაცის თვალს“.

ალექსანდრემ ჯიბეში ჩაიდო თვალი და წამოვიდა. როცა თავის ბანაკს მიაღწია, სასწორი მოითხოვა და ცალ მხარეს ეს ძვალი დასდო, მეორე მხარეს თავისი მშვილდი. მშვილდმა ძვრაც ვერ უყო იმ პატარა თვალს. ალექსანდრემ თავისი ხმალიც დადო სასწორზე, მაგრამ ვერც ამან გადაწონა. ბოლოს ერთმა მოხუცმა კაცმა აიღო თვალის ბუდე, მიწით გამოტენა და მხოლოდ მიწამ გადაძლია სასწორი. ამის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელი გონს მოეგო და სიკვდილამდე მშვიდად და უშფოთველად იცხოვრა.<sup>12</sup>

ალექსანდრეს როგორც რეფორმატორის ხსოვნა ფოლკლორში არ არის შემორჩენილი და მითუმეტეს, კავკასიურ ფოლკლორში არც შეიძლებოდა შემორჩენილიყო. აქ ალექსანდრე მაკედონელი მხატვრული სახეა, რომელიც ლიტერატურული გზით გადავიდა ზეპირ თხრობით ტრადიციაში. ლიტერატურული პერსონაჟიდან ალექსანდრე ზდაპრის გმირად გადაიქცა, ოღონდ ნოველისტური ზღაპრის გმირად.

ამქვეყნიური დიდების მოჩვენებითობა და ამაოება იმ უნივერსალურ რელიგიურ იდეათაგანია, რომელიც არსებობს ქრისტიანობაშიც, იუდაიზმსა და ისლამშიც. ადამიანი არ უნდა ისწრაფვოდეს დიდებისკენ, რამდენადაც მას მა-

<sup>12</sup> Tskhvrebava, M. (transl.). Osuri zyaprebi. Tskhinvali. 1974, p. 113 (ოსური ზღაპრები, თარგმა მ. ცხოვრებოვამ. ცხინვალი, 1974, გვ. 113).

## ელენგ გოგიაშვილი. ისტორიული პირი თუ ლიტერატურული ფიგურა? ხალხური გადმოცემები ალექსანდრე მაკედონელზე

რადიული ნეტარება ელის სიკვდილის შემდგომ – ამ იდეით არის განმსჭვალული თთქმის ყველა ხალხური გადმოცემა ალექსანდრეზე, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ხალხურ თხრობით ტრადიციაში ალექსანდრე იდეალურ გმირად არ არის წარმოდგენილი. ალექსანდრეს პერსონაჟი ჩენის ტენდენციას, გახდეს იდეალური გმირი, მაგრამ ის მაინც ვერ ხდება იდეალური თავისი წინააღმდეგობრივი ბუნების გამო. ამის მიზეზიც ხალხურ თხრობით უანროა სპეციფიკა.

აღსანიშნავია, რომ ევროპულ ფოლკლორში ისტორიულ პირთა სახეები, მაგალითად, ჰოლგერ დანსკეს, კრალი მარკოს, მათიას კორვინუსის, ჰარუნ-ალ-რაშიდის, ფრიდრიხ დიდის, ნაპოლეონის – ურთიერთმსგავსია და ერთმანეთის ამბებსაც იმეორებენ.<sup>13</sup> საერთაშორისო სიუჟეტები თავის ისტორიულ განვითარებაში ერთი უანრიდან შეიძლება გადავიდნენ მეორეში, მაგალითად, მითოლოგიური გადმოცემიდან – ზღაპარში ან ლეგენდაში. ოუმცა სიუჟეტების მონაცემებასაც თავისი კანონზომიერება აქვს. ალექსანდრე როგორც ნოველისტური ზღაპრის გმირი სრულებით განსხვავებულია ალექსანდრესგან როგორც ლიტერატურულ გმირისგან: ლიტერატურაში მისი ზღაპრული, ფანტასტიკური თავგადასავლებია აღწერილი, ხალხურ ნოველაში კი ადამიანური ნაკლოვანებები.

ალექსანდრე მაკედონელი ვერ იქცა ჯადოსწური ზღაპრის გმირად, რამდენადაც ამ უანრისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია გმირის მაღალი ზნეობრივი მხარე: ჯადოსწური ზღაპრის ცენტრალური ფიგურა არის ადამიანი. ყოველგვარი მოვლენა და დანარჩენ გმირთა მოქმედება მის ირგვლივ არის განლაგებული და ეს წესი ყველა ჯადოსწურ ზღაპარზე ვრცელდება ზოგადად. ზღაპრის მთავარ გმირს აქვს შესაძლებლობა, თავად წარმართოს თავისი ცხოვრება, ეცადოს, არასრულყოფილი არსებიდან გადაიქცეს სრულყოფილად და ზღაპრის ბოლოს კიდეც მიაღწიოს ამას. თუკი ზღაპრის დასაწყისში გმირი აკრძალვას არღვევს და კარგავს რაიმე მნიშვნელოვანს, იგი ამით საბოლოოდ განწირული კი არ არის, არამედ სსნა თვით მასზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, ფოლკლორის არცერთ თხრობით უანრში არ არის ადამიანის სულიერი სიძლიერე ისე ხაზგასმული, როგორც ჯადოსწურ ზღაპარში. თქმულებისა და ლეგენდის ობიექტი ძირითა-

<sup>13</sup> I. Tomkowiak. Zur Popularität des Herrscherbildes in der Volkserzählung. Als es noch Könige gab. Forschungsberichte aus der Welt der Märchen. Hrsg. Hainz-Albert Heindrichs, Harlinda Lox. München. 2001, p. 155.

დად ისტორიული ფაქტია, ხალხური ნოველისა და ანეკდოტის – სახუმარო ამბავი, რომელშიც ადამიანი ხშირად უდიდესი სარკაზმის მსხვერპლია. ჯადოსწური ზღაპრი კი ადამიანს საუკთხესო მხრიდან წარმოაჩენს. ჯადოსწური ზღაპრის გმირი ფოლკლორის სხვა უარების გმირებთან შედარებით ყველაზე მეტად არის იმ იდეალთან ახლოს, რომელშიც ქრისტიანულ მოძღვრებას შეეძლო ქრისტიანის სახე დაენახა. ამიტომ, ზღაპრებისთვის მოუღებელია მოძღვრება პატივმოყვარეზე, თუნდაც კეთილშობილზე. სწორედ ამ თვისების გამო ალექსანდრე მაკედონელი ვერ გახდა ჯადოსწური ზღაპრის გმირი.

ალექსანდრე მაკედონელის კონტრასტული სახე მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი პორტრეტის ლიტერატურული და ფოლკლორული განვითარებისთვის ადამიანის ხასიათის სირთულეებსა და წინააღმდევობებზე ჩასაფიქრებლად. ლიტერატურული ნაწარმოებები, ელინისტური და შუასაუკუნეების რომანები მეტად მიმზიდველად აღწერენ ბერძნ სარდალს. მოგზაურობა უცხო ქვეყნებში, ბრძოლები უდიდეს მტრებთან, გმირული ბუნება – ყოველივე ეს შუასაუკუნეების რომანს ზედმიწევნით შეესაბამება და ალექსანდრეს თემა ორგანულად ერწყმის მის იდეალებს. ხალხური გადმოცემები კი ალექსანდრე მაკედონელს დადებითზე მეტად უარყოფითი კუთხით ასახავენ. ქართულ ზღაპრებშიც ალექსანდრე ძლიერ მეფედ არის წარმოდგნილი, რომელსაც ცისა და მიწის დაპყრობა სურს, მაგრამ როგორც ყველა მოკვდავს თავისი სისუსტეები აქვს.

*Elene Gogiashvili*  
Associate Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## HISTORICAL FIGURE OR LITERARY CHARACTER? FOLK NARRATIVES ON ALEXANDER THE GREAT

### Summary

Georgian folktales about Alexander the Great show literary influences from Antiquity and the Middle Ages, followed by his development as an organic part of national oral folk tradition.

Two traditions of narratives about Alexander of Macedon existed in Antiquity: historical and literary. Legendary material related to the Greek quasi-fabulous prose biography of Alexander is found in the *Alexander Romance* by Pseudo-Callisthenes (c. third century AD). This text is the basis of all the Alexander legends in the Middle Ages. In Europe *Alexander Romance* spread via the Latin translation of Julius Valerius Alexander (third to fourth centuries AD) and won great popularity. The original Greek text was the basis for medieval Persian, Syrian, Coptic, and Ethiopian versions.

Between the fourth and sixteenth centuries, European and Eastern literature (including that of the Christian Orient, the Caucasus area, the Near East, and Central Asia) produced a major cycle of legends about Alexander the Great. The fiction occupies a honorary a place. Historic enterprises are not the main subject in this text.

In Georgian folklore Alexander appears only in the folktales which might be classified as realistic tales (novelle). Caucasian folktales about Alexander show miscellaneous interpretations of the hero, perhaps in part also because of the variety of literary and oral traditions which influenced Georgian folklore. The folkloric character of Alexander is far from the ideal of medieval knighthood; his image in the realistic tales and novelle is in general less attractive than in the *Alexander Romance*.

The Georgian folktales never depict Alexander thus, like a wonder-tale hero. He appears only in the realistic, non-magical, novelle. Wonder tales are marked by the high moral qualities of the hero. They are often tales of individual endeavour, and opportunities to become a moral, even perfect,

human being. Even heroes who break prohibitions early on manage to atone for this: one's salvation then depends on oneself. One could say that none of the narrative genres of folklore stresses the spiritual strength of a human being as much as the wonder tales do.

Alexander the Great is a literary character converted into an insatiable king of the realistic tale. He thus shows generally negative characteristics. In the Georgian tales Alexander is represented as a strong king who wants to conquer the heavens and the earth, but he, as with any mortal, has his own weaknesses, too.

## თხებ აღიმბარაშვილი

ასოცირებული პროფესორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### ოსების დაბრუნება საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში – მიზეზები და მიზნები

ეთნიკურად ოსი მოსახლეობის ლტოლვა ჩრდილოკავკასიიდან საქართველოში განსაკუთრებით XVII საუკუნიდან გახდა საგრძნობი.

გადმოსახლება მიმდინარეობდა სხვადასხვა მიზეზით: ქართველ მეფეთა ინიციატივით – ნასოფლარებად ქცეულ ტერიტორიებზე მოსახლეობის გამრავლების, მათი თავდაცვით სტრუქტურებში ჩაბმისა და გადასახადების გაზრდის მიზნით,<sup>1</sup> ქართველ ფეოდალთა მიერ – ყმათა და შემოსავლის გასამრავლებლად, საკუთარი ინიციატივით – მწირი და უშემოსავლო მთიანი ტერიტორიებიდან ლტოლვით, ოჯახების შიმშილისაგან დასაცავად და ა. შ.

ოსებმა თანდაოანობით დაიკავეს, თრუსოსა (მდ. თერგის სათავე) და მაღრან-დვალეთის ტერიტორიები (მდ. დიდი ლიახვის ხეობის სათავე). ოსთა მიგრაციას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ხსენებული დროისათვის შიდა ქართლის მთიანეთი (დიდი და პატარა ლიახვის ხეობები) ნასოფლარებით იყო მოფენილი. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა აქედან აყრილი და ბარში საცხოვრებლად იყო წასული.<sup>2</sup>

ვახუშტი ბატონიშვილის დროს (XVIII ს. 20-იანი წლები) ოსები უკვე ცხოვრობდნენ ქარხოხის დასავლეთით, ქნის ხეობაში – უამურში,<sup>3</sup> „ვანათის

<sup>1</sup> G. Sosiašvili. narkvevebi šida k'art'lis istoriidan. Tbilisi. 2011, p. 150 (გ. სოსიაშვილი. ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან. თბ. 2011, გვ. 150).

<sup>2</sup> R. T'op'č'išvili, kavkasiis xalxt'a et'nograp'ia, et'nikuri istoria, et'nikuri kultura. Tbilisi. 2007, p. 55 (რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. თბ. 2007, გვ. 55).

<sup>3</sup> Vaxušti Batonišvili. aāgcera samep'osa sak'art'velosa, k'art'lis c'xovreba. t. IV. tek'sti dadgenili qvela jirit'adi xelnaceris mixedvit' S. Qauxč'išvilis mier. Tbilisi. 1973, p. 360 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილი ფელა ძირითადი ხელნაწერის მიზევით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 360).

ზეით“ – გერის ხევში,<sup>4</sup> „აწერის ევს ზეით“,<sup>5</sup> ლიახვის ხეობაში „სუერს ზეით“<sup>6</sup> და სხვა. XVIII ს. ბოლოსათვის ოსებს კომპაქტური დასახლებები ჰქონდათ დიდი და პატარა ლიახვის მთიან ნაწილში, თრუსოსა და კუდაროში. ქსნის, ლეხურას, მეჯუდას ხეობებში მათი დასახლებები ამ დროისათვის ჯერ კიდევ მეტხერი იყო და ამ ტერიტორიებზე ოსთა განსახლება შედარებით გვიან, XIX ს. 30-იან წლებში განხორციელდა ქართველებისაგან დაცლილ და „ხარაბა“ ტერიტორიებზე.<sup>7</sup>

რუსული ხელისუფლების პირობებში ამ პროცესმა იძულებითი და მიზანმიმართული ხასიათი მიიღო. იგი განსაკუთრებით მთავარმართებელ ერმოლოვის დროს გახდა ინტენსიური. ოსების სამხრეთ კავკასიაში გადმოსახლების პირობა რუსეთისადმი ერთგულება და მძარცველებისაგან სამხედრო გზის უსაფრთხოება იყო. სამაგიეროდ, ხელისუფლება მათ სხვა ხალხებისაგან შევიწროებისაგან დაცვასა და მიწების გადასახადებიდან გათავისუფლებას პპირდებოდა.<sup>8</sup>

მოცემული პერიოდის მოსახლეობის სხვადასხვა აღწერებიდან თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობს გორის მაზრაში მოსახლეობის შიდა მიგრაცია ჩრდილოეთიდან – სამხრეთით. ამ მხრივ 1818 წლის აღწერის – 1781 წლის ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერასთან შედარება მნიშვნელოვნი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მაგ.: შიო სალუქაშვილი, 1781 წლის აღწერაში ძმასთან, გლახასთან ერთად, ქსნის ხეობაში, სოფ. ისროლისხევშია დაფიქსირებული გოგია ფიცხელაურის სამოურავოში.<sup>9</sup> 1818 წელს უკვე კირბალში ჩანს საცხოვრებლად გადმოსული.<sup>10</sup> ივანე სალუქაშვილი, რომელიც 1781 წელს ისროლისხევის მამასახლისად ჩანს, 1813 წელს საკორინთლოში გადმოსახლებულა<sup>11</sup> და სხვ. 1818 წლის მიხედვით, მხოლოდ სოფ. კირბალში,

<sup>4</sup> Vaxušti Batonišvili. agcera samep'osa sak'art'velosa, p. 362 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა საბეჭოსა საქართველოსა. გვ. 362).

<sup>5</sup> Vaxušti Batonišvili. agcera samep'osa sak'art'velosa, p. 363 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა საბეჭოსა საქართველოსა. გვ. 363).

<sup>6</sup> Vaxušti Batonišvili. agcera samep'osa sak'art'velosa, p. 372 (ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა საბეჭოსა საქართველოსა. გვ. 372).

<sup>7</sup> R. T'opčišvili. sak'art'veloši ost'a č'amoxaxlebisa da šida k'art'lis et'noistorii sakit'xebi. T'bilisi. 1997, pp. 148-150 (რ. თაფშიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოსტრუქტურის საკითხები. თბ. 1997, გვ. 148-150).

<sup>8</sup> Č'rdilo kavkasiis xalxt'a istoriis narkvebebi. Z. Anč'abajis red. nakvet'i II. T'bilisi. 1978, p. 27 (ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვები. ზ. ანჩაბაძის რედ. ნაკვეთი II. თბ. 1978, გვ. 27).

<sup>9</sup> E. Taqaišvili. k'snis xeobis statistikuri agceriloba. t'bilisis saxelmcip'o universitetis šromebi. t. 45. T'bilisi. 1951, p. 5. (ე. თაყაიშვილი. ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერილობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავები. ტ. 45. თბ. 1951, გვ. 5).

<sup>10</sup> goris saxelmcip'o istoriul et'nograp'iuli muzeumi. Next gsim. 8177. p. 130 (გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. შემდეგ გხიებ. 8177. გვ. 130).

<sup>11</sup> gsim. 8175. p. 100 (გხიებ. 8175. გვ. 100).

ქსნის ხეობიდან 5 კომლი გადმოსახლებულა და ყველა ქართველია (საღუ-  
ქაშვილი, ლაზარაშვილი, ციცაგი, მელაძე, პავლიაშვილი), პატარა მეჯვრის-  
ხევში ორი კომლი (ილურიძე, ჩოჩელი), მარანაში – ამდენივე (ლოუაშვილი,  
კეკაძე) და ა. შ. ასევე მრავლად გადმოსახლებულან შიდა ქართლის სხვა-  
დასხვა სოფლებში (დიდ მეჯვრისხევში, ზემო არცევში, ფლავისმანში, ფლავ-  
ში) იკორთის მონასტრის ყმები. აღსანიშნავია, რომ გადმოსახლებულთა 70%  
ბოლო 15 წელზე მოდის, ანუ რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მხოლოდ აღწერის გარკვეულ ნაწილში, კერძოდ, მდ. პატარა ლიახვის მო-  
ნაბირე სოფლებში ჩანს ოსი მოსახლეობა (დმენისში, ქსუისში და სხვ.), ისიც  
ნათელია, რომ ახლად ჩამოსახლებულნი არიან. მიუხედავად ხელისუფლების  
ხელშეწყობისა, მათ ნაწილს ჯერ კიდევ არ გააჩნია საცხოვრებელი სახლი,  
საკუთარი მიწა, არიან ბოგანოები, თაგს ირჩენენ დღიური შრომით და ა.შ.<sup>12</sup>

მათგან უნდა განვასხვავოთ ქართველი თავადაზნაურების ინიციატივით  
ოსეთიდან გადმოსახლებული ოსები, რომელთაც, უკვე უჩანთ უძრავი ქონება,  
მიწა და შემოსავალიც გააჩნიათ, რაც, სავარაუდოდ, გადმომსახლებელთა  
ხელშეწყობით ხდება. მაგ., სოფ. ტყვიავში აზნაურ კორინთელების მიერ 20  
წლის წინ (XVIII ს. ბოლო – XIX ს. დასაწყისში) გადმოსახლებულ ოს-  
ებს: ბატიზა გაბოშვილს, ბარძიმ გაბარაშვილს, გლახა ჯათეშვილს, სოფელ  
დმენისში შანშე ერისთავის გლეხებს: გიორგი, ჩეჩე და ბერო ვალიშვილებს,  
სოფელ ქსუისში გლახა უთნელიშვილის გლეხებს: დათუა ჯახოევს და ან-  
დრო ფუხაურს უკვე დაფიქსირებული აქვთ საკუთარი სახლები, მიწა, ჰყავთ  
შინაური პირუტყვი, ეწევიან მიწათმოქმედებას, მევნენახობას.<sup>13</sup>

როგორც ჩანს, გადმოსახლებულ ოსთა ნაწილი ქრისტიანობას იღებდა  
და მალევე ქართველდებოდა. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ 1804  
წლის კამერალური აღწერის მიხედვით, გორის მაზრაში ბევრად მეტი ოსი  
ჩანს, ვიდრე 1818 წლის აღწერაში. ნაკლებად სავარაუდოა, ჩამოსახლებული  
ოსები 1804 წლიდან 1818 წლამდე სადმე წასულიყვნენ. ვფიქრობთ, მათი  
უმრავლესობა გაქრისტიანდა და ქართველებად დაეწერა.

ბუნებრივია, ყველა არ იცვლიდა სარწმუნოებას და ეროვნებას. 1838

<sup>12</sup> I. Alimbarashvili. šida k'art'lis mosaxleoba (md. lexura – didi liaxvis xeobebis) mosaxleoba 1818 clis kameraluri aćceris mixedevit'. 2<sup>nd</sup> International Conference on History, Art, Literature & Culture in South Caucasus and Black Sea Region HALC-2017. Tbilisi. 2017, p. 35 (ი. ალიმბარაშვილი. შიდა ქართლის მოსახლეობა (მდ. ლექსურა – დადი ლახვის ხეობების) მოსახლეობა 1818 წლის კამერალური აღწერის მიხედვით. 2<sup>nd</sup> International Conference on History, Art, Literature & Culture in South Caucasus and Black Sea Region HALC-2017. თბ. 2017, გვ. 35).

<sup>13</sup> gsim 8051. pp. 303-305 (გსიერ 8051. გვ. 303-305).

წლისთვის გორის მაზრაში უკვე 1573 სული ოსი ცხოვრობდა,<sup>14</sup> რაც მაზრის მთელი მოსახლეობის 5,03%-ს შეადგენდა. 1886 წლისათვის ოსების რიცხვმა გორის მაზრაში, მეჯვრისხევის უბანზე (სოფ. ხურვალეთი, კოლი, ორჭოშანი, ჭარები, წინაგარა, სნეკვი და სხვ.) უკვე შეადგინა 7483 სული,<sup>15</sup> რაც ქართველი მოსახლეობის 37%-ს შეადგენდა, ხოლო ხიდისთავის უბანზე (ტანას ხეობის სოფლები: ბობნევი, ბოშური, ღვედრეთი, დრე, იკვნევი, იუნარა, ორმოცი, წერეთი, ღვარები, ტუსრები და სხვ.) – 7377 სული (ქართველების 33%).<sup>16</sup>

განსაკუთრებით გაიზარდა ოსი ეროვნების მოსახლეობის რიცხვი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მხოლოდ 1926 წლიდან – 1939 წლამდე აღწერებს შორის პერიოდში მან 35382 სულით მოიმატა და 113298-დან – 148680-ს მიაღწია.<sup>17</sup> ეს იმ დროს, როდესაც ქართველების რიცხვი მცირდებოდა ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკის შედეგად მისთვის მიუღებელი ფეხების: თავადაზნაურობის, სამღვდელოების, ინტელიგენციის ფიზიკური ლიკვიდაციის, გადასახლებისა და ემიგრაციაში წასვლის გამო.

ხელისუფლების ინიციატივა თსთა მიგრაციასთან დაკავშირებით ეხებოდა არა მხოლოდ ჩრდილოკავკასიოდან ე.წ. სამხრეთ თხეთის ტერიტორიაზე, არამედ, დიდი და პატარა ლიახევის ხეობებიდან შიდა ქართლის სიღრმეში გადმოსახლებასაც. მაგ., 1932 წლის 8 მაისს საქართველოს სსრ სახკომსაბჭო იღებს გადაწყვეტილებას სამხრეთ-ოსეთიდან ტირიფონის ველზე მცირებიწიანი გლეხების გადასახლების და მათი მიწითა და საშენი მასალით უზრუნველყოფის შესახებ.<sup>18</sup>

ზოგიერთი ოსი ავტორი შეგნებულად აყალბებდა და აყალბებს დოკუ-

<sup>14</sup> სტატისტიკური მონაცემებით, 1838 წლისათვის გორის მაზრაში აღრიცხულია ორივე სქესის 24581 ქართველი, 4595 სომეხი, 1573 ოსი და 504 ებრაელი, სულ 31253 სული. See Sbornik materialov dlâ opisaniâ Tiflisskoj gubernii. pod. red. K. L. Zissermana. t. I. č. I. Tiflis. 1870, p. 62 (იხ: Сборник материалов для описания Тифлисской губернии. под. ред. К. Л. Зиссермана. т. I. ч. I. Тифл. 1870, გვ. 62).

<sup>15</sup> Svod statističeskikh dannyh o naselenii Zakavkazskogo kraâ izvlečennyh iz posemejnyh spiskov 1886 g. Tiflis. 1893, p. 49-50 (Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифлис. 1893, გვ. 49-50).

<sup>16</sup> Svod statističeskikh dannyh o naselenii Zakavkazskogo kraâ izvlečennyh iz posemejnyh spiskov 1886 g. p. 56 (Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. გვ. 56).

<sup>17</sup> V. jaošvili. sak'art'velos mosaxleoba. Tbilisi. 1996, p. 145 (ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ. 1996, გვ. 145).

<sup>18</sup> sak'art'velos erovnuli ark'ivis teritoriuli organo. goris raionuli ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 104. p. 7, 1932. Next, goris ark'ivi (საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 104. გვ. 7. 1932. შემდეგ. გორის არქივი).

მენტებს და ცდილობს საქართველოს ტერიტორიაზე რეალურად მაცხოვრებელი ისების რიცხვი ხელოვნურად კიდევ უფრო გაზარდოს. მაგ., პროფ. გ. ოგოშვილის, მ. ჯოვალის, კ. ფუხაევის, ლ. ჩიბიროვის ავტორობით და ამ უკანასკნელის რედაქციით 1990 წელს ცხინვალში გამოცემულ სასწავლო სახელმძღვანელოში „სამხრეთ ოსების ისტორია“, ცხინვალში დაფიქსირებულია 1015 კომლი, მათ შორის 44 კომლი ისი. წყაროდ მითითებულია 1804 წლის აღწერა.<sup>19</sup>

რეალურად 1804 წლის კამერალურ აღწერაში ცხინვალში მითითებულია 182 კომლი. აქედან 41 კომლი ქართველია,<sup>20</sup> სომეხია – 116, ოსი – 12. ცალკეა მითითებული „ჟიდი“ – 6 კომლი და „გათოლიკე“ – 7 კომლი.<sup>21</sup>

საბჭოთა და თანამედროვე ოს ისტორიკოსთა ნაწილი (მაგ., თეიმურაზ ტადტაევი, ლუდვიგ ჩიბიროვი, კონსტანტინე ფუხაევი და სხვ.) ცდილობს ოსების საქართველოში ჩამოსახლების პროცესში მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური მიზნის ხაზგასმას, მცირე ერის (ამ შემთხვევაში ოსების) დეერნიზაციისა და ქართველებთან ასიმილაციის თვალსაზრისით, რომელიც ატარებდა ძალადობრივ, უხეშ და დისკრიმინაციულ ხასიათს და არაფერს ამბობს ამ პროცესში თვით ოსი მოსახლეობის მიზნებზე, სურვილსა და ინიციატივებზე. ასევე, ხელისუფლების შეგნებულ და მიზანმიმართულ პოლიტიკაზე რეგიონის განუვითარებლობის, ეკონომიკის ჩამორჩენილობისა და სტაგნაციის მიზნით.<sup>22</sup>

ჩვენ ზემოთ ეს პროცესი ქრონოლოგიურ ჭრილში წარმოვაჩინეთ. ახლა შევცდებით, საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით გავარკვიოთ, თუ როგორ გახდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად ოსი მოსახლეობა უკნ, ჩრდილო კავკასიაში დაბრუნების ინიციატივი და რა იყო ამის მიზეზი.

XX ს. 40-იან წლებში ჩრდილო კავკასიაში იმგვარი სიტუაცია შეიქმ-

<sup>19</sup> L. Čibirovi. G. T'ogošvili. M. Jioevi. K. P'uxaevi. samxret' osebis istoria. prop'. I. Čibirovis red. sascavlo saxelmjgvelo. C'xinvali. 1990, p. 60. (ლ. ჩიბიროვი, გ. ოგოშვილი, მ. ჯოვალი, კ. ფუხაევი. სამხრეთ ოსების ისტორია. პროფ. ლ. ჩიბიროვის რედ. სასწავლო სახელმძღვანელო. ცხინვალი. 1990, გვ. 60).

<sup>20</sup> აღსანიშნავა, რომ აღწერაში „ქართველი“ და „იმერელი“ ცალ-ცალკე გრაფაშია დაფიქსირებული.

<sup>21</sup> gisem. 7486. agcera, p. 16 (გსიმ. 7486. აღწერა. გვ. 16).

<sup>22</sup> T. Tadtaev. Demografičeskie processy v poreformennyj period v Úžnoj Osetii (1861-1900 gg.), pp. 205, 206 (Т. Тадтаев. Демографические процессы в преформенный период в Южной Осетии (1861-1900 гг.). გვ. 205, 206). <https://cyberleninka.ru/article/v/demografičeskie-protsessy-v-poreformennyy-period-v-yuzhnay-osetii-1861-1900-gg>; L. Čibirovi. G. T'ogošvili. M. Jioevi. K. P'uxaevi. samxret' osebis istoria. pp. 148-151; 165-168 (ლ. ჩიბიროვი. გ. ოგოშვილი. მ. ჯოვალი. კ. ფუხაევი. სამხრეთ ოსების ისტორია. გვ. 148-151; 165-168).

ნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ოსებს პირიქით, ჩრდილო კავკასიაში მასობრივად დაბრუნების სურვილი გაუჩნდათ, რასაც ხელი-სუფლება მიზანმიმართულად უწყობდა ხელს გარკვეულ მიმეტამდე.

გერმანიასთან ომის მიწურულს ხელისუფლებამ ჩეჩენებსა და ინგუშებს ბრალი დასდო გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობასა და სამშობლოს დალატში.

1944 წლის თებერვალში 100 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და 20 ათასი ოფიცერი ჩრდილოეთის ფრონტის ხაზიდან მოხსნეს და ჩეჩენეთისა და ინგუშეთის სოფლებში ოჯახებში განალაგეს. ოფიციალურ მიზეზად მათვის მიცემული შეკბულების გატარება დასახელდა. ადგილობრივ კომუნისტებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა დაავალეს, ასევე შეკრიბეს ისლამური რელიგიური ლიდერები და ანგარიშსწორებით დაემუქრნენ, რათა მოსახლეობა ბრძანებას დამორჩილებოდა და წინააღმდეგობა არ გაეწია.

1944 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა არმიის დღეს, ჯარისკაცები მოულოდნელად სახლებში შევიდნენ და ადგილობრივთა მასიური დაპატიმრებები დაიწყეს. ჩეჩენებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ ამაռდ. მათ, ოჯახებთან ერთად, ორსაათიანი ვადა მისცეს, რათა 3 დღის სურსათი აეღოთ და გადასახლებისათვის მომზადებულიყვნენ. ზამთრის სუსტისა და დიდი თოვლის გამო, გადასახლებულთა გადაყვანა ჭირდა, ამიტომ ბევრი მათვანი ადგილზევე გაანადგურეს, მაგ., გალანტიოურის ტბაში 6000 ადამიანი დააღრჩვეს.<sup>23</sup> ზაბაზის აულის მოსახლეობა საჯინობოში შერევეს და 700 კაცი ცოცხლად გამოწვევს.<sup>24</sup>

352647 ადამიანი 86 სატვირთო მატარებელში ჩასხეს და შორეულ ფაზახეთისა და ციმბირის ტრამალებსა და დაუსახლებელ ადგილებს გაუყენეს.

1944 წლის 7 მარტის დადგენილებით ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა გაუქმდა, ხოლო ტერიტორია ჩრდილო ოსეთს, დაღესტანსა და საქართველოს შორის გადაანაწილეს. საქართველოს შემადგენლობაში შევიდა ითუმ-ყალება რაიონი მთლიანად, შაროის რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალანტიოურის, გალაშეის და პრიგოროდნის რაიონების სამხრეთი ნაწილები. საქართველოს შემადგენლობაში ასევე შევიდა ჩრდილო ოსეთის ასერ გიზელ-დონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რის საფუძველზეც შეიქმნა

<sup>23</sup> M. Č'uxua. kavkasiis k'eds miğma (გ. ჩუხუა. კავკასიის ქედს მიღმა). [http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=124&info\\_id=1657](http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=124&info_id=1657).

<sup>24</sup> J. Baberowski. Prestuplenie veka: Roždenie čečenskoj vojny iz duha Stalinskogo terrora (Й. Баберовский. Преступление века: Рождение чеченской войны из духа Сталинского террора). <http://old.memo.ru/hr/hotpoints/caucas1/msg/2004/09/m26242.htm>.

იოსებ ალიმბარაშვილი. ოსების დაბრუნება საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში – მიზეზები და მიზნები

---

საქართველოს შემადგენლობაში ახალხევის რაიონი, რომლის ფართობი 2000 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენდა.<sup>25</sup>

ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების შედეგად საქართველოსათვის შემოერთებულ ტერიტორიაზე დააფუქნეს ახალხევის რაიონი, რომელიც 50-იანი წლების დასაწყისში გააუქმეს და სამხრეთი ნაწილი დუშეთის რაიონს, ხოლო ჩრდილო ოსეთის გიზელდონის რაიონისა და ჩეჩენ-ინგუშეთის პრიგოროდნის რაიონი ყაზბეგის რაიონს მიუერთეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, თავისუფლებისმოყვარე, ჯიუტი და დაუმორჩილებელი ჩეჩენ-ინგუშების ნაცვლად, დეპორტირებულთა ადგილზე მორჩილი და ერთგული ოსები გადაესახლებინა საქართველოდან და კავკასიის მუდამ მშვითვარე ეს რეგიონი „სამუდამოდ“, დაემშვიდებინა. მთავრობა ახლად გადასახლებულებს ცხოვრების კარგ პირობებს, გადასახადებისაგან გათავისუფლებას და სხვა შეღავათებს სთავაზობდა, სამაისოდ მათ სათანადო განცხადებით უნდა მიემართად ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რომელიც, თავის მხრივ, სიებს ცენტრში ათანხმებდა.

თუმცა, აშენებულ-გამზადებული კარ-მიდამოს, ავეჯისა და საქონლის უსასყიდლოდ დაუფლების მსურველი ბეჭი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ხელისუფლება ვარაუდობდა. რომ იტყვიან, საქმე დასწრებაზე იყო. ჩრდილო კავკასიაში გადასახლების მიზეზად ისინი ადგილზე ცხოვრების მძიმე პირობებს, უგზოობას, უმიწობას ასახელებდნენ.

გადასახლების საკითხი გააქტიურდა გორის რაიონშიც. 1946-48 წლებში ატენის ხეობის მთანი ზონისა და შიდა ქართლის ეთნიკურად ოსებით დასახლებული რვა სოფლის მოსახლეობამ (ზ. ახალსოფელი, იკვნევი, ღვედრეთი, ხვწე, წერეთი, ურიული, დიდთავი, ნადარბაზევი) განცხადებით მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას ჩრდილოკავკასიაში, მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიებზე გადასახლებასთან დაკავშირებით.

ზემოთ გარკვეულწილად შევეხეთ ოსების საქართველოში გადმოსახლების პროცესს, მაგრამ საიდან, როდის და როგორ გაჩნდა ტანას ხეობაში ოსური მოსახლეობა?

<sup>25</sup> K'. Lukianoviči. sak'art'velos ērdiloet'i sazgvis strategiuli gadasasvlelebi da mat'i roli k'veqnis usap'rt'xoebaši (geopolitikuri da istoriuli analizi). našromi šesrulebuli dok'toris akademiuri xarisxis mosapoveblad. Tbilisi. 2015, p. 56. (ქ. ლუკიანოვიჩი. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასახლები და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში (გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი). ნაშრომი შესრულებული დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2015, გვ. 56).

ჩამოთვლილი რვა სოფლიდან<sup>26</sup> იოანე ბაგრატიონი ატენის ხეობაში XVIII ს. ბოლოს (1799 წ.) ასახელებს მხოლოდ „ღვედრეთსა“ და „იკუნევს“.<sup>27</sup>

XIX საუკუნის დასაწყისისათვისაც გამუდმებული „ღვერიანობის“ გამო, მდ. ტანას ხეობა მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია და მისი ხელახალი დასახლება მხოლოდ 1817-1821 წლებში ხდება გენერალ-მაიორ გიორგი ერისთავის მიერ მთავარმართებელ ერმოლოვის დავალებით, იმ პირობით, რომ აქ ერისთავი თავის საკუთარ 50 კომლ გლეხს ჩამოასახლებდა ქსნისა და არაგვის ხეობიდან და სოფელს დაიცავდა.<sup>28</sup>

თვით ხეობის ცენტრი სოფელი ატენი ციცანოვის დავალებით ჩატარებულ გორის მაზრის 1804 წლის პირველ კამერალურ აღწერაში სხვაგან, ბევრად უფრო ჩრდილოეთი ლოკალიზდება და პატარა ლიახვის ზემო წელის სოფლების: კოლოტებსა და ზონგარს შორისაა მოხსენიებული.<sup>29</sup>

<sup>26</sup> მკითხველი შეცდისში არ უნდა შევიძეს იმ ოკლასაზრისით, რომ დღისსათვოს ხვწე მდებარეობს მდ. დღიდ ლიახვის ხეობაში ჯავის ზემო, ხოლ ნადარბაზევი ტირიფონის ვაკეზე, შავშების თექში, თბილისი-გორის საავტომობილო გზის სიახლოეს. XX ს. 80-აან წლებამდე, სოფლები: ხწე და ნადარბაზევი ტანის ხეობის პარალელურ თემბის ხეობაშიც არსებობდა. ხსნებული სოფლები დაფიქსირებულია ივ. ჯავახიშვილის რედაქციით 1923 წელს გამოცემულ საქართველოს რუკაზეც. See sak'art'velos istoriuli ruka. gamoc'emuli sinagan sak'met'a saxalxo komisariatis mier Iv. Javaxišvilis redak'torobit', šedgenili topograp' Evsevi Baramijis mier, Tbilisi. 1923. (იხ: საქართველოს ისტორიული რუკა. გამოცემული შინაგან საქმითა სახალხო კომისარიატის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. შედგენილი ტოპოგრაფ ევსევი ბარამიძის მიერ. თბილისი. 1923).

<sup>27</sup> Ioane Bagrationi. k'art'l-kaxet'iš aīgcera. tek'sti gamosac'emad moamzades, gamokvleva da sajieblebi daur't'es T'ina Enuk'ijem da Guram Bedošvilia. Tbilisi. 1986, p. 31. (იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გმოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიებლები დაუროებ თინა ენუქიში და გურამ ბეჭოვილმ. თბ. 1986, გვ. 31).

<sup>28</sup> Kavkazskij kalendar'. Tiflis. 1846, pp. 47-48 (Кавказский календарь. Тифл. 1846, გვ. 47-48); S. Makalat'ia. atenis xeoba. Tbilisi. 1957, p. 8 (ს. მაკალათა. ატენის ხეობა. თბ. 1957, გვ. 8).

<sup>29</sup> I. Alimbarašvili. goris mazris mosaxleoba 1804 clis pirveli kameraluri aīgceris mixed-vit'. Ggoris saxelmcip'o sascavlo universitetis davit' aīgmašeneblisadmi mijgvnili V saert'ašoriso samec'niero konp'renc'iis masalebi. Gori. 2018, p. 75. (ი. ალიმბარაშვილი. გორის მაზრის მოსახლეობა 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით. გორის სახელმწიფო სახწავლო უნივერსიტეტის დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი V საერთაშორისი სამყნაირო კონფერენციის მასალები. გორი. 2018, გვ. 75). ჩვენი მოსახლება შემდეგ არგუმენტებს ეყრდნობა: ჯერ ერთი, გეოგრაფიული თანმიმდევრობით, ხსნებულ აღწერაში №80-დან 90-ის ჩათვლით, პატარა ლიახვის, მეჯუდასა და ქინის ხეობების ზემო წელის სოფლებია აღწერილი და ატენი კონტექსტიდან ამოვარდნილია. ქეორგ – დედაქალაქიდან დაშორება ატენამდე აღწერილ 4 სოფელში (ვარტყაპი, ვალდა, სხელგბი, კოლოტები) მეტყობს 88-დან 100 კორსამდე, თვით ატენისა კი – 98 კორსი. ტანის ხეობაში მდებარე ატენის მეზობელ სოფელ ხადგისთავს (№162) დეაქალაქმდე მანილად მოთოვებული აქვს 60 კორსი. შეუძლებელია ხიდისთავსა და ატენის შორის მანილში აღმწერებს 28 კორსის ცდომილება დაეჭვათ. ძებაზე, მოსახლეობის საქმიანობიდან გამომდინარე, ატენელები ეწევიან მესაქონლეობას და გადასახადსაც შინაგრი პირუტყვით იხდიან, რაც, ზოგადი, მთის მოსახლეობისათვისებული.

## 1886 წლის საოჯახო სიებში გორის მაზრის ზემოთ დასახელებული

გორის მიმდებარე სოფელი ატენი კი მთელ ქართლში მევნენახებისა და დვინის ხარისხით გამორჩეული ადგილი იყო, რაც, ასევე ნაკლებად სავარაუდოა, აღმტერებს მხედველობიდნ გამორჩენდათ. ძერთება – ატენის ხეობა გამზღვდებული ლევანიშვილისაგან 1804 წლისათვის თოქმის დაცლილი იყო მოსახლეობისაგან და, როგორც თქვა, მხოლოდ XIX ს. 20-ას წლებში ხდება მასი მოსახლეობით ხელახალი დასახლება; ძერთება – 1817 წლის 8 მარტს, იმავე ერმოლოვის მიერ რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრისადმი გაგზავნილი წერილის მიხედვით, ტანას ხეობა სიგრძით სულ 15 კვირის შეადგენდა, ხოლო სიგნანი 1/4 კვირის. თვით ატენში ერთი სახაზინო ვწახანი იყო, რომელიც 100 თუბგ ღვინის იძლეოდა, ასევე რამდენიმე ცარიული სავანაზე ადგილი, სახაზინი და ადგილობრივი მებატონების მფლობელობაში. See: Akty Sobrannye Kavkazskoû Arheografičeskoi Kommissieû. t. VI. č. II. Tiflis. 1875, p. 750. dok. 1099 (იხ: Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиесю. т. VI. ч. II. Тифл. 1875, № 750. лнр. 1099). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ატენის დახასიათება ერთმანეთის არ ემთხვევა. ადსანიშნავია, რომ ატენი წოლდება და კოლოტებს მორისაა მოსახლეობული კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებშიც. სოფლის მოსახლეობა 19 კომლია (129 სული), აქედან 18 კომლია (123 სული) ქართველია და 1 კომლი (6 სული) ოსი. მისდევენ მესაქონლეობას, თესებ ხორბალს, შვრიას, ქერის. ზაფხულში დადიან „ქართლში სამუშაოები“. დალას სხდიონ კომლზე 1 თხასა და 1 ბატკნს წლითურად, მოსახლეობა დარიბია. See: Akty Sobrannye Kavkazskoû Arheografičeskoi Kommissieû. t. II. Tiflis. 1868, p. 75. dok. 121 (იხ: Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиесю. т. II. Тифл. 1868, № 75. лнр. 121) და სხვ. ე. თაყაიშვილის მიერ 1951 წელს გამოცემული „ქსნის საერთოავოს სტატისტიკური აღწერილობაში“, რომელიც 1781 წლის ძღვომარებას ასახავს, აღწერა იწყება „ისროლისხევის ატენიდამ“, რომელიც გოგია ფიცხელურის სამოურავო ყოფილა და აღწერილია 9 კომლი (16 სული), ყველა ქართველი ეროვნების (სალუქაშვილები, ასტამაძეები, ხახასმელი და გეგნაური) E. T'aqaišvili. k'snis saerist'avos statistikuri aęceriloba. T'bilisis saxelmcipl' universitetis šromebi. t. 45. Tbilisi. 1951, p. 5. (ე. თაყაიშვილი. ქსნის საერთოავოს სტატისტიკური აღწერილობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრომები, ტ. 45. თბ. 1951, გვ. 5). ცნობილია, რომ ისროლისხევი მდგარების მდ. მეჯულის სათავესთან, ცხინვალის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ბიგარის თემში), „ქუალად ჭურთისა, ცხრაწყაროსა და ქოლოთ-ქვიტკირის დასაგლიო“ (Vaxušti Batonišvili. p. 361) (ვახუშტი ბატონიშვილი. გვ. 361). საკითხის საბოლოო გარკვევაში გვეხმარება ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ითავს გოულდენშტედტი. იგი განმარტავს, რომ „სხლებს გარშემო, მეჯუდაზე მდებარეობდა 4 ოსური სიცელი: ასტური, არდისა, ბერზიათკარი, ტბა და ქართული სიცელები: დათვანთკარი, წოლდევი, ატენი, ჯავახარი, ისროლი და სხვ. Giuldenstedtis mogzauroba sak'art'veloši. t. I. germanuli tek'sti k'art'uli t'argmanit'urt' gamosc'a da gamokvlevebi daurt'o g. gelašvilma. T'bilisi. 1962. p. 98-99 (გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკლევები დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962. გვ. 98-99). ვნახოთ, სად მოუთოთებს გოულდენშტედტი „სხლებს“. 1771 წლის 1 ივნისს იგი გასულა ლარგვისიდან, მდ. ჭურთას ზევით მისდევს და 3 საათის შემდეგ მიდის ოსურ სოფელ ცეუნეთში. ცეუნეთიდან 1 საათში კვლავ „აღმა“ მიდის და 1,5 საათის შემდეგ ადის „მთის წვერზე“, რომელზეც „ჯერ კიდევ თოვლი დეს“. იქნებს სამხრეთი ჩანს მდ. მეჯულის სათავე. ხესებში ადგილიდან იგი კლავ „ზეით“ მიემართება ოსურ სიცელ სხლებამდე, სადაც გაუოვეა დამე. Giuldenstedtis mogzauroba sak'art'veloši. t. I. germanuli tek'sti k'art'uli t'argmanit'urt' gamosc'a da gamokvlevebi daurt'o g. gelašvilma. T'bilisi. 1962. p. 97 (გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკლევები დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962. გვ. 97). როგორც ვხედავთ, გერმანული მეცნიერი ატენის ზუსტ ლოკალიზაციას გვაწვდის, რაც აღწერილი სოფლის ტანას ხეობის ატენობა იღებტიფიკაციას გამორიცხავს.

სოფლებიდან მოხსენიებულია მხოლოდ სამი: იკვნევში ცხოვრობს 7 კომლი (51 კაცი, 45 ქალი, სულ 96 სული), ღვედრეთში – 5 კომლი (13 კაცი, 19 ქალი, სულ 32), დიდ და პატარა წერეთში ერთად – 14 (7+7) კომლი, 88 (52+36) კაცი, 70 (47+23) ქალი, სულ 158 სული<sup>30</sup>. როგორც ვხედავთ, მოსახლეობა დასახლებულ სოფლებში ჯერ კიდევ მცირერიცხოვნია, მაგრამ ყველგან მითითებულია ეთნიკურად ოსები.<sup>31</sup>

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ტანას ხეობის ზემო წელზე ოსური მოსახლეობა მნიშვნელოვნად გამრავლდა.

1926 წლის აღწერის მიხედვით, გორის მაზრაში 1000 სულზე ნაკლები მოსახლეობით სოფელი უკვე აღარ ჩანს.<sup>32</sup>

1886 წლიდან – 1936 წლამდე (50 წლის განმავლობაში) სოფელ იკვნევის მოსახლეობა 7 კომლიდან (96 სულიდან) გაზრდილა 31 კომლამდე (251 სული), ანუ, თითოების გასამმაგებულია. ხელოვნურ გამრავლებას ემატებდოდა ბუნებრივი გამრავლებაც. ოჯახების უმტესობა 10 და მეტსულიანია (გვხვდება 18 და 17 სულიანი ოჯახებიც). 31 კომლიდან 13 კომლი ქერდიყოშვილია, 8 – ხინჩეგაშვილი, ხოლო 10 – მუხაშვილი.<sup>33</sup> რაც შეეხება სოფელ ღვედრეთის მოსახლეობას, იგი იმავე 50 წლის განმავლობაში 5 კომლიდან (32 სული) გაზრდილა 14 კომლამდე (133 სული). ამ შემთხვევაში მოსახლეობა კიდევ უფრო მეტი, გაოთხმაგებულია. აქაც გვხვდება 18 და 19 სულიანი ოჯახები. ცხოვრობენ შემდეგი გვარები: ცხოშვილი (3 კომლი), გუსოშვილი (1), ფერსაშვილი (1), ქისიშვილი (2), ქორთიაშვილი (1), ჯინიაშვილი (1), ჯეირანაშვილი (5).<sup>34</sup>

როგორც ითქვა, ტანას ხეობის ოსური მოსახლეობიდან ჩრდილო კავკასიაში გადასახლების მსურველი ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ. მალევე პროცესს თან დაერთო გაუთვალისწინებული სირთულეებიც და ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.

<sup>30</sup> Svod statističeskikh dannyh o naselenii Zakavkazskogo kraâ izvlečennyyh iz posemejnyh spisokov 1886 g. Tiflis. 1893, p. 56 (Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифлис. 1893, гл. 56).

<sup>31</sup> Svod statističeskikh dannyh o naselenii Zakavkazskogo kraâ izvlečennyyh iz posemejnyh spisokov 1886 g. Tiflis. 1893, p. 56 (Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифлис. 1893, гл. 56).

<sup>32</sup> mosaxleobis sruiliad sakavširo ağcera 1926 clis. ganq. I. c'xrili II. T'bilisi. 1929 (მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის განყ. I. ცხრილი II. თბ. 1929).

<sup>33</sup> goris ark'ivi. p'ondi 15. anaceri 1. saark'ivo 2. sakomlo dav'tari 8. p. 1-30, 1936 (გორის არქივი. ფონდი 15. ანაცერი 1. საარქივო 2. საკომლო დაფთარი 8. გვ. 1-30, 1936).

<sup>34</sup> goris ark'ivi. p'ondi 15. anaceri 1. saark'ivo 4. sakomlo dav'tari 1. p. 78-91, 1937 (გორის არქივი. ფონდი 15. ანაცერი 1. საარქივო 4. საკომლო დაფთარი 1. გვ. 78-91, 1937).

რამდენადაც, გადასახლების მსურველთა ძირითად საქმიანობას მეცხოველობა წარმოადგენდა, ყველაზე მეტად ეს დარგი დაზარალდა. მაგ., 1946 წლის 11 ნოემბერს გორის რაიალმასკომი იხილავს საკოთხს, გორის რაიონიდან დიდი წერეთის, ურიულისა და ხვრელის კოლმეურნეობის წევრთა მათი უძრავ-მოძრავი ქონებით ჩრდილოეთ ოსეთში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით, რის გამოც, გორის რაიონის 1946 წლის მეცხოველეობის გეგმიდან იღებენ: 252 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, 369 სულ ცხვარსა და თხას, 6 ცხენს, 250 ფრთა ფრთნველს და ა.შ.<sup>35</sup>

გადასახლების სურვილს განსაკუთრებით მთანი რეგიონის მოსახლეობა გამოიქვამდა. 1948 წლის 13 მარტს გორის რაიალმასკომში შედის სოფ. ზემო ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრთა საერთო განცხადება: „ჩვენ, ზ. ახალსოფლის მოსახლენი 30 კომლის რაოდენობით ვცხოვრობთ მთაგორიან, სრულიად უვარგის და გამოუსადეგარ ადგილას ყველაზე ღარიბად, ამიტომ გთხოვთ ნება დაგვრთოთ ჩრდილოეთ ოსეთში ჩვენი საცხოვრებლად გადასვლის გამო“.<sup>36</sup>

1948 წლის 27 იანვარს ტარდება სოფ. იკვნევის ბერიას სახელობის კოლმეურნეთა საერთო კრება, რომელსაც დასწრებია 46 კაცი, მათ შორის 19 ქალი, დღის წესრიგი: გორის რაიონიდან ჩრდილო კავკასიის გროჩნოს ოლქის პერვომაისის რაიონში ჩვენი კოლმეურნეობის გადასვლისა და დასახლების შესახებ (მომხს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ქერდიყოშვილი).

კრება აღნიშნავს: „დღევნდელი საცხოვრებელი ადგილი სოფ. იკვნევში ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს, სახნავ-საოესი ფართობები ნიაღვრებისაგან გაირეცხა და უმოსავლოა. განვიცდით საოესი და სათიბი ფართობების დიდ სიმცირეს და უგზოობას. ამიტომ გადავწყვიტეთ, მუდმივ საცხოვრებლად გადავიდეთ ჩრდ. კავკასიაში“.<sup>37</sup>

დოკუმენტს მოსდევს იკვნევის მაცხოვრებელთა სია (სულ 27 კომლი, მუზაშვილები, ხინჩაგაშვილები, ქერდიყოშვილები), მათ საკუთრებაში არსებული მსხვილფეხა რქოსან პირუტყვის, ცხენის, ცხვრისა და თხის რაოდენობა და განცხადებები გროზნოს „ობლასთში“ ოჯახიანად გადასახლების სურვი-

<sup>35</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 654. p. 24, 1946 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 654. გვ. 24, 1946).

<sup>36</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 768. p. 1, 1948 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 768. გვ. 1, 1948).

<sup>37</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 675. p. 8, 1948 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 675. გვ. 8, 1948).

ლის შესახებ. განცხადებები ერთი შინაარსის და ერთი ხელით ნაწერია, მათ-ზე თანდართული ხელმოწერებიდან ჩანს, რომ ხელმოწერთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი, ან ნაკლებად მცოდნება.<sup>38</sup>

იგივეს თხოვს სოფ. ნადარბაზევის გლეხობა: „მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მთაგორიან ადგილას, ეკონომიკურად ძალზე ჩამოვრჩებით რაიონ-ზედ, ე. ი. რკინის გზასთან ვართ ძალზე დაშორებული და არც მანქანის გზა გვადგება. განათლებაშიც აუცილებად ჩამოვრჩებით ჩვენი ადგილის მიხედვით, აი სწორედ ამის გამო ამა წლის (იგულისხმება 1948 წ. – ი.ა.) 3. II-ს ჩვენი სოფლის მოსახლეობა 17 კომლიდან 16 კომლი შემოვიკრიბენით და გა-დავწყვიტყეთ, რათა გადავსახლდეთ მაცხოვრებლად ჩრდილოეთ ოსეთში, რისოვისაც გთხოვთ დაგვრთოთ ნება“ (მიმართვას ხელს აწერს 17 კაცი).<sup>39</sup>

მოუხედავად ზემოთ დასახელებული სოფლების მოსახლეობის ჩივილისა, გადასახლების მიზეზად ნაკლები შემოსავლისა და უმიწობის შესახებ, მათი ქრისტიანი „დეკლარაციებიდან“ ჩანს, რომ ისინი მცირე მიწაზე და ღარიბად სულაც არ ცხოვრობენ. მაგ., სოფ. იკვნევში ილია მუზაშვილის საკუთრებაში ჩანს 65 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 2 ცხენი, 27 ცხვარი და მოსდის 3 ტონა საკვები,<sup>40</sup> ქიტო ჩინჩაგაშვილს ჰყავს 2 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 15 ცხვარი და მოსდის 2 ტონა საკვები, ქიტე ქერდი-ყოშვილს – 6 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 2 ცხენი, 6 ცხვარი და 2 ტონა საკვები, ხინჩაგაშვილ ლადოს – 4 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 15 ცხვარი და 2 ტონა საკვები, ხინჩაგაშვილ მაქსის – 4 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 1 ცხენი, 35 ცხვარი და 4 ტონა საკვები და სხვ. სულ 27 კომლიან სოფელში (179 სული) მოსახლეობის საკუთრება-შია 115 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 6 ცხენი, 227 თხა და ცხვარი, მოჰყავთ 44 ტონა საკვები.<sup>41</sup> ანუ, ჩრდილოკავკასიაში მათი გადასახლების რეალური მიზეზი სულ სხვა რამ არის და არა მძიმე სოციალური ფონი.

მალე პროცესმა ადგილზე თვითნებური და სტიქიური ხასიათი მიიღო და ხელისუფლება იძულებული გახდა საბასუხო ღონისძიებები გაეტარებინა. 1948 წლის 4 აპრილს სოფ. დიდთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გო-

<sup>38</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 675, p. 9-32 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 675. გვ. 9-32).

<sup>39</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 727. p. 6-7, 1948 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 727. გვ. 6-7, 1948).

<sup>40</sup> დოკუმენტში მხოლოდ წონაა მითითებული, სახე დაკონკრეტებული არ არის.

<sup>41</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 675. p. 9 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 675. გვ. 9).

რის რაიაღმასკომს აცნობებს, რომ „სოფ. დიდთავის კოლმეურნეობის წევრები მასიურად აიბარგნენ და ორჯონიკიძეში წავიდნენ“.<sup>42</sup> ამავე წლის 8 ივნისს ჩატარებულია სოფ. ღვედროვის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, რომელსაც განუხილავს შოთა ცხოშვილის, ასლან, კეკე და მაშო ქისიშვილების, მარუშა ჯერანაშვილის და სხვების კოლმეურნეობიდან გარიცხვისა და მათი კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთების ჩამორთმევის საკითხი, რადგან ისინი ოვითნებურად წავიდნენ ოჯახებით ჩრდილოკავკასიაში“.<sup>43</sup>

1948 წლის 25 ივლისს გორის რაიონის სოფ. იკვნევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ ქერდიოშვილი საჩივრით მიმართავს გორის რაიონაბჭოს აღმასკომს: „ვინაიდან ჩვენი კოლმეურნეობის წევრებს მოლიანად უნდათ გადასახლება ჩრდილოკავკასიაში, ვროზნის ოლქში, პერგომაისკის რაიონში მუდმივ საცხოვრებლად, ნაწილი ხალხისა არიან წასული 15 აპრილს აქვთ და ნაწილი კიდევ აქ იძყოფებიან. ...მათ (ჩრდილოკავკასიაში გადასახლებულებს – ი.ა.) მიზომილი აქვთ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და ძირებული აქვთ საცხოვრებელი ბინები. ახლა, როგორც თქვენს ძირ ნებადაუროველნი, აღარ უშვებენ სამუშაოზე და აღარც საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს აძლევენ მოსავალს მაინც და თანაც გვიწერამენ ჩვენი ხალხი იქმდან რომ თავებს დავიხოცამო აქაო, მაინც იქ ჩამომსვლელები აღარა ვართ ჩვენაო. აგრუოვე აღვილზე ძყოფ ხალხსაც უნდათ წასულა მუდმივ საცხოვრებლად, ვინაიდან მამული ძალიან გაგვიღარიბდა და წლიდან-წლამდის უფრო ნაკლებ მოსავალს ვღებულობთ და აღარ გვყოფნის რომ დავკამყოფილდეთ ჩვენი შვილები, და ამისათვის გოხოვთ მასზე, რომ შეხვიდეთ ჩვენს ძღვო-მარებაში და ნება დაგვროთოთ ჩვენს გადასახლებაზე“.<sup>44</sup>

ცოტა წნით ადრე, 1948 წლის 10 ივნისს საქართველოს კპ (ბ) ცპ-ის მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე შედის გორის რაიონის სოფ. ზემოახ-ალსოფლის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლის გულხანდისის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვანო ჯებისაშვილის განცხადება: „აღვილობრივი ხელისუფლის ნება-დართვით ჩვენი სოფელი იქმნა წასული და დასახლებული ჩრდ. ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კოსტა ხეთაგურის რაიონში ა.

<sup>42</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 768. p. 9, 1946 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 768. გვ. 9, 1946).

<sup>43</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 767. p. 1. 1948 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 767. გვ. 1, 1948).

<sup>44</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 675. p. 4-5, 1948 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 675. გვ. 4-5, 1948). ღოკუმენტის სტილი დაცულია – ი.ა.

წლის 9 მარტიდან და უკვე იქ კოლმეურნეობაში მუშაობენ, მოღებული აქვთ სახლები, საკარმილამო მიწის ნაკვეთები. აქ გორის რაიონში დარჩენილია მხოლოდ საქონელი და ძოხუცი ხალხი, მაგრამ გორის რაიონის ხელისუფლება აღარ გვაძლევს უფლებას წავასხათ საქონელი და გადავსახლდეთ მოლიანად. უკვე სამი კვირაა ჩამოსულები არიან საქონლის წასახმელად, მივდივართ-მოვდივართ რაიონის ხელმძღვანელებთან და არ გვაძლევს უფლებას რომ წავასხათ საქონელი ...საკვირველი საქმეა, ჯერ პირველად რაიონში დავკროთ ნება გადასახლებისა, მათი ნება-დართვით წავიდნენ მუშა ხალხი, ზოგმა სახლები დაყიდეს და ეხლა კი რაიონი უფლებას არვაძლევს საქონელის წასხმაზე ...აქ აღარ გვაქს ნათესები და თუ დავრჩიო ამა წელს ამ სოფელში მოლად გაწყდება მთელი საქონელი და მასთან ხალხი<sup>45</sup>".<sup>45</sup>

ერთი კვირის შემდეგ (16 ივნისს), ვანო ჯებისაშვილს მსგავსი განცხადებით გორის რაიკომის მდივნის ი. ყუჯიაშვილსთვისაც მიუმართავს, მაგრამ, ამ შემთხვევაში განცხადების ტონი შედარებით კატეგორიულია: „თუ კოდე უარი გაგვიცხადეს წასვლაზე – ძალით გაფიქცივით“.<sup>46</sup>

განცხადებას ადევს ყუჯიაშვილის რეზოლუცია: „ამხანაგ კეჩხუაშვილს, მომელაპარაკეთ“.

მნელი არ არის იმის გარკვევა, თუ რით დამთავრდა მათი „მოლაპარაკება“, რადგან, 17 ივნისს გორის რაიკომის მდივნის სახელზე შედის ვანო ჯებისაშვილის ახალი განცხადება: „აღარ შემიღლიან ასეთ დამოიარობაშიც (sic! – ი.ა.) მუშაობა და ამიტომ გთხოვთ, რათა გამანთავისუფლოთ თავმჯდომარებიდება“.<sup>47</sup>

ადგილობრივი ხელისუფლების ყოფანისა და თავშეკავების მიზეზი მალევე ხდება გასაგები. 1948 წლის 29 ივნისს გორის რაიაღმასკომს, ჩრდილოკავკასიონან, გროზნის პირველი მაისის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის ი. ლევჩენკოს პასუხი მოსდის: „თქვენი წერილის პასუხად, I მაისის რაიონში კოლმეურნეთა გადასახლების აკრძალვის თაობაზე გაცნობეთ, რომ კოლმეურნები ბერიასა და მახარაძის სახ. კოლმეურნეობებიდან ჩვენს რაიონში ჩამოსახლდენ ყოველგვარი ქონების გარეშე და ჩვენი აკრძალვის მიუხედავდ, სურვილი აქვთ აქ დარჩენისა.“

<sup>45</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 727. p. 18, 1948 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 727. გვ. 18, 1948).

<sup>46</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 727. p. 26, 1948 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 727. გვ. 26, 1948).

<sup>47</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 727. p. 25, 1948 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 727. გვ. 25, 1948).

იოსებ ალიმბარაშვილი. ოსების დაბრუნება საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში – მიზეზები და მიზნები

გთხოვთ აცნობოთ ზემოაღნიშნული კოლმეურნეობების თავმჯდომარუებს მათი დაუყოვნებლივ გამოწვევის შესახებ“<sup>48</sup>

ჩრდილოკავკასიაში გადასახლების სურვილი ხსნებული სოფლების მოსახლეობას მეტად აღარ გამოუთქვამს.

რა თქმა უნდა, დეპორტირებულ ჩეჩენ-ინგუშთა ტერიტორიების საქართველოზე გადმოცემისას საბჭოთა ხელისუფლება ქართველ ხალხსა და მის მომავალზე სულაც არ ზრუნავდა. ყველა გრძნობდა, რომ ეს ნაბიჯი დროებითი იყო. მართლაც, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ჩეჩენ-ინგუშების რეაბილიტაცია განხორციელდა და ისინი მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ. 1957 წლის 9 იანვარს აღდგა ჩეჩენ-ინგუშების ავტონომიური რესპუბლიკაც და საქართველო-რუსეთის საზღვარი 1944 წლის 7 მარტამდე არსებულ ვითარებას დაუბრუნდა.

უფრო მეტიც, 1957 წლის დასაწყისში რუსეთმა საქართველოსთან შეთანხმების მიღწევის გარეშე გააუქმა ახალხევის ადმინისტრაციული რაიონი და თავის ტერიტორიას შეუერთა აქამდე ყაზბეგის რაიონის დაქვემდებარებაში მყოფი რამდენიმე სოფელი.<sup>49</sup>

1957 წლის 10 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების ტერიტორიის ნაწილის საქართველოს სსრ შემადგენლობიდან რსფსრ შემადგენლობაში გადაცემისა და მათ შორის 1944 წლის 7 მარტამდე არსებული სახელმწიფო საზღვრის აღდგენის შესახებ.<sup>50</sup>

უკან, საქართველოში დაბრუნდა გორის რაიონიდან გადასახლებულთა გარკვეული ნაწილიც. 1963 წლის 10 იანვარს გორის რაიონის აღმასკომი იხილავს საკითხს „გორის რაიონულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ დაყოფაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: „სოფლები ზემო და ქვემო ურიული, რომელიც გადასახლდა 1944 წელს ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რეგიონში გაუქმდებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის ბრძანებულებით, მაგრამ ამ სოფლების

<sup>48</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 727, p. 21, 1948 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 727. გვ. 21, 1948).

<sup>49</sup> K'sištop' Lukianovič'i. sak'art'velos ērdiloet'i sazgvis strategiuli gadasasvlelebi, p. 56-57 (ქ. ლუკიანოვიჩი. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელები, გვ. 56-57).

<sup>50</sup> S. Vardosanije. V. Guruli. K. Xaraje. L. Jik'ia. M. Kvarac'xelia. sak'art'velos saxelmciip'o sazgvis istoria, (1917-1957). gamokvleva, dokumentebi da masalebi. Tbilisi. 2015, p. 278 (ს. ვარდოსანიე, ვ. გურული, კ. ხარაძე, ლ. ჯიქ'ია, მ. კვარაცხელია. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია, (1917-1957). გმოკვლევა, დოკუმენტები და მსალები. თბ. 2015, გვ. 278).

მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი კვლავ დაბრუნდა და დასახლდა ამ სოფლების ტერიტორიაზე. ამჯაմდ ურიულში ცხოვრობს 11 კომლი 59 მცხოვრებით ...ამატომ გორის რაიონის მშრომელთა საბჭოს აღმასკომს მიზანშეწონილად მააჩნია ზემო და ქვემო ურიული სოფლების აღდგენა ერთი სოფლის ურიულის სახელწოდებით“<sup>51</sup>

თუმცა, ეთნიკურად ოსი ეროვნების ის ნაწილი, რომელიც ჩრდილო კავკასიაში დარჩა და ინგუშების ბინებში შესახლდა, მოგვიანებით კიდევ ერთი სისხლისმღვრელი კონფლიქტის საბაბი გახდა ოსებსა და ინგუშებს შორის და დღემდე მოუგვარებლად ითვლება.

რა შეიძლება ითქვა დასკვნის სახით?

საქართველოში, მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიებზე ჩამოსახლებისას ოსებს ამოძრავებდათ ცხოვრების უკეოესი პირობების ძიების სურვილი, შიმშილისაგან საკუთარი თავის, ოჯახის ხსნა და არა ქართველებთან მეზობლობის სიახლოვისადმი სწრაფვა. როგორც კი მათ საშუალება მიეცათ უკან, ჩრდილოკავკასიაში ხელსაყრელ პირობებში დაბრუნებისა, თვითონ გახდნენ ამ პროცესის ინიციატორები. რაც შეეხება ხელისუფლებას, მისი მიზანი ოსთა ჩრდილოკავკასიაში უკან გადასახლებისა და დეპორტირებულ ჩეჩენ-ინგუშთა სახლ-კარებში ჩასახლებისას, ოსებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება კი არა, რეჟიმს დაუმორჩილებელი ჩეჩენ-ინგუშების მებრძოლი სულის გატეხვა და საბოლოო დამორჩილება იყო.

<sup>51</sup> goris ark'ivi. p'ondi 4. anaceri 1. sak'me 1499. p. 15-16, 1963 (გორის არქივი. ფონდი 4. ანაწერი 1. საქმე 1499. გვ. 15-16, 1963).

**Ioseb Alimbarashvili**  
Associate Professor,  
Gori State Teaching University, Georgia

## **RETURN OF OSSETIANS FROM GEORGIA TO THE NORTH CAUCASUS DURING SOVIET POWER – REASONS AND GOALS**

### **Summary**

Based on the archival documents and population descriptions, the process of settlement and resettlement of ethnic Ossetian populations from North Caucasus in the Shida Kartli region (former Gori district), its causes, consequences, chronology, further inner migration and the goal of the government is discussed in the article.

In the 1940s the Ossetians' desire to return to the North Caucasus was intentionally promoted by the government.

At the end of the war with Germany (1945), Chechens and Ingushs were accused of cooperating with Germans and betrayal.

The Soviet government decided to evacuate Moscow-devoted and obedient Ossetians instead of disobedient Chechen-Ingush people in order to calm the Caucasus "forever". The government offered better living conditions of life, diminution of expenses and other privileges to the new settlers. In order to get all these benefits they should have applied to the local authorities, which, in turn, sent the lists to the center.

Expense-diminution issue was introduced in Gori district too. In 1946-48 the population of Ateni gorge and eight villages inhabited by the ethnically Ossetian population of Shida Kartli (Zemo Akhalsopeli, Iknevi, Gedereti, Khvini, Gvedreti, Kvtse, Tsereti, Uriuli, Didtavi, Nardabazevi) were evicted in the Tskhinvali region and settled in the apartments of the deported people.

However, people who were wishing to get houses, furniture and goods free of charge turned out to be many more than the government supposedly expected. They explained that the reason for their resettlement in the North Caucasus was hard conditions of life.

The process became very difficult to deal with, so the government soon cancelled the resettlement policy and returned the part of the Ossetians, but the

other part of ethnic Ossetians who remained in the North Caucasus and stayed in the Ingush houses became the reason of one more bloody conflict between the Ossetians and the Ingush people and this conflict still remains unsolved.

The article includes the copies of archival documents reflecting the above mentioned process.

დიმიტრი შველიძე  
ასოცირებული პროფესორი, თსუ

## პეტრე კროპოტკინის წერილები გიორგი გოგელიასადმი (1904-1913)

1903 წლის 1 აგვისტოს უნივერსიტეტის გამოვიდა პირველი რუსულენოვანი ანარქისტული „ურნალი „ხლები ი ვოლია““. ურნალმა დიდი გავლენა მოახდინა რუსეთში რევოლუციურ-ანარქისტული მოძრაობის ჩამოყალიბების პროცესში. იმპერიის წარმოქმნილი მრავალრიცხოვანი ანარქისტული ჯგუფები უპირობოდ იზიარებდნენ ურნალში გამოქვეყნებულ და დასაბუთებულ ოერთულ პრინციპებს. ამ ჯგუფებს მათი „ხლებავოლცებსაც“ უწოდებდნენ.

ურნალის რედაქტორი და სულისჩამდგმელი გახლდათ ქართველი ანარქისტი გიორგი (კომანდო) გოგელია. 1900-1910-იან წლებში გიორგი გოგელია ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებდა იმპერიაში მოძლიერებულ რევოლუციურ-ანარქისტულ მოძრაობაში და ითვლებოდა მის ერთ-ერთ დედაბობად. ურნალის წამყვანი თანამშრობლები და მხარდაჭერები იყვნენ საერთაშორისო ანარქიზმის ღია და მარტინის შემცირებით პეტრე კროპოტკინი და ვარლამ ჩერქეზიშვილი.

ანარქისტული ურნალის გამოსკლით გახარებული პეტრე კროპოტკინი აღფრთოვანებით წერდა ჩერქეზიშვილს: „ძალიან კარგია. ყველაფერი კარგია – აზრიც, ენაც. იმდენად კარგია, რომ მე მხოლოდ ერთი შენიშვნა გავაკეთე. კარგი ხალხია, მაგრამ რუსული საქმე მათ განსაკუთრებულად უნდა წაიყვანონ. შენც უთხარი მათ ამის შესახებ, შენი მხრიდან.“

ჯერჯერობით კი შესანიშნავია – რაც არი ეს არი. რაც უფრო პასუხ-საგებია – მით უფრო კარგია ახალგაზრდობისათვის. ჩვენ მხოლოდ ხელს შევუშლიდით მათ. დახმარებით კი დავეხმარებით. – მე ჯერ მათოვის არ მი-მიწერია...“<sup>1</sup>

<sup>1</sup> <http://oldcancer.narod.ru/Nonfiction/PAK-Letters91.htm>. P. A. Kropotkin. Pis'ma. V. N. Čerkezovu. 1906.16.VIII (П. А. Кропоткин. Письма. В. Н. Черкезову. 1906.16.VIII).

დაახლოებით ამავე პერიოდში იწყება პეტრე კროპოტკინის მიმოწერა გიორგი გოგელიასთან. ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ამ მიმოწერის ერთი ნაწილი – კროპოტკინის წერილები გოგელიასადმი. ანარქიზმის ერთ-ერთი ძამამთავრის წერილები ნათლად წარმოაჩენენ გიორგი გოგელიას უმნიშვნელოვანების როლს რუსეთში ანარქიზმის რევოლუციურ-პოლიტიკური მოძრაობის დაფუძნების პროცესში და ამავე დროს მის წვლილს დასავლეთ ევროპის ანარქისტულ რეალობაში.

სულ, გიორგი გოგელიასთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია კროპოტკინის 18 წერილი. აქედან „ხლები ი ვოლიას“ რედაქციისადმი მიწერილია სამი წერილი; ხუთი წერილი მიწერილია გიორგი გოგელიას მეუღლის – ლილია გოგელია-იკონიკოვას სახელზე, ხოლო დანარჩენი 10 – უშუალოდ გოგელიასადმია მიწერილი. ის წერილები, რომლებიც ლიდია გოგელია-იკონიკოვასადმი და უურნალ „ხლები ი ვოლიას“ რედაქციისადმია მიწერილი, მაინც გიორგი გოგელიას საქმიანობის ამა თუ იმ ეპიზოდთანაა დაკავშირებული.

შინაარსობლივად და თემატურად წერილები რამდენიმე ნაწილად ან ჯგუფად შეიძლება დავანაწილოთ. პირველი – საქმიანი წერილები, რომელიც ეხება ანარქისტული მოძრაობის საკითხებს; „ხლები ი ვოლიას“ და სხვა უურნალ-გაზეთების გამოცემას; მეორე – სხვა მესამე პირების საქმიანობას; მესამე – ცალკეა გამოსაყოფი ცნობები და მონაცემები, რომლებიც ვარლამ ჩერქეზიშვილს ეხება; მეოთხე – პირადი, ოჯახური ურთიერთობების, ჯანმრთელობის და საერთოდ – ყოველდღიური ხდომილებების ამსახველი ინფორმაციების შემცველი მასალები და სხვ.

წერილების დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, საქმიანია. გოგელიამ „ხლები ი ვოლიაში“ გამოაქვეყნა კროპოტკინის რამდენიმე ნაშრომი და სტატიები. მიწერ-მოწერა ეხება აგრეთვე უცხოურ ენგბზე დაბეჭდილი ნაშრომების რუსულად თარგმნას. ამ საქმეში გოგელიას რუსი მეუღლეცაა ჩართული – ლიდია ვლადიმიროვნა გოგელია-იკონიკოვა: „და ეს დამძრახავს ლიდია ვლადიმიროვნა, შესწორებებისათვის. ვერ შეძლებო რომ გადაათვალიეროთ თარგმანის გაგრძელება?“ – წერს კროპოტკინი 1904 წლის 18 ივნისის წერილში. შემდეგ კი წინასწარ აფრთხილებს, რომ უგზავნის მეორე კორექტურის ტექსტს.

1904 წლის პირველი ნახევრის დაუთარიღებელ წერილში წამოიჭრება საკითხი – ანარქისტული პარტიის შექმნის შესახებ. „ხლებავოლელები“ ამ იდეის მომხრეები არიან. სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ პარტიის საჭიროების მომხრეა ჩერქეზიშვილიც. მაგრამ კროპოტკინი თავს იკავებდა, ვერ ბედავ-

და, წარსულის მაგალითებს იშველიებდა თავისი პოზიციის გასამართლებლად. ამ წერილში იგი წინასწარი მოლაპარაკებებისა და შეთანხმების წინადაღებას აძლევს გიორგი გოგელიას. იგი თითქოს აკავებს ახალგაზრდა თანამოაზრის მოძრავ ენერგიას და ლა-მანშის იქით, ლონდონში ეპატიუება მას. ეჭვი კვლავ ჩნდება, რომ თითქოს ანარქიზმის პატრიარქს არ უნდა ინიციატივა დაკარგოს. „ანარქისტული პარტიის შექმნა რუსეთში – სერიოზული საქმეა, და მის წამოწყებაზე ბევრია დამოკიდებული. ოცდაათწლიანი გამოცდილება რაღაცას ნიშნავს“<sup>2</sup>. აქ თავის ცხოვრებისუულ გამოცდილებასა და თითქოს თავის პრიორიტეტებდა მიუთითებდა კროპოტკინი თავის ახალგაზრდა თანამოაზრეს. 1905 წლის 5 აგვისტოს წერილი გოგელიას მეუღლის ლიდია გოგელია-იკონნიკოვას სახელზეა გაგზავნილი. ირკვევა რომ კროპოტკინი და მისი ოჯახი ბრეტანში, საფრანგეთში ისვენებენ. წამოსვლის წინ ლონდონში ვარლამ ჩერქეზიშვილს შეუგლია კროპოტკინებთან და შეუტყობინებია, რომ გიორგი გოგელია ჟურნალის რედაქციიდან წასვლას აპირებს. „ეს ძალიან სამწუხაროა რუსული ანარქიზმის საქმისათვის“ – წერს გოგელია-იკონნიკოვას კროპოტკინი. მას აინტერესებს, იკონნიკოვა მაინც თუ დარჩება უენევაში. ჟურნალის დახურვა არ შეიძლება და არც მისი გადატანა ლონდონში: „დახურვა, ცხადია არ შეიძლება, რათა სერიოზული დარტყმა არ მიადგეს დაწყებულ საქმეს, რომლის დასაწყისი სერიოზული ხდება“<sup>3</sup>. იქვე, კროპოტკინი კატეგორიულად აფრთხილებს იკონნიკოვას, რომ უცნობ პირებთან ჟურნალში არ ითანამშრომლებს. ჟურნალის გამოცემა გაგრძელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლიდია გოგელია მაინც დარჩება რედაქციაში. თუ ისიც აპირებს უენევიდან წასვლას, მაშინ კროპოტკინის აზრით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, საჭირო გახდება ჟურნალის გადატანა ლონდონში. ბოლოს, იგი თხოვს ცოლ-ქმარ გოგელიებს, ერთად მოილაპარაკონ ჟურნალის მომავალზე.

უკვე ამ პერიოდიდანვე, ანუ თავისი რევოლუციურ-პოლიტიკური საქმი-ანობის დასაწყისიდანვე, გიორგი გოგელია საკმაოდ დამოუკიდებელი და საკუთარი ხელწერის მქონე მოღვაწე იყო. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, იგი არ ერიდებოდა თავის ბევრად უფრო უფროსი ასაკის მქონე თანამებრძოლებთან განსხვავებული მოსაზრებების დასაბუთებას და ამის გამო –

<sup>2</sup> <http://oldcancer.narod.ru/Nonfiction/PAK-Letters91.htm>. P. A. Kropotkin. Pis'ma. Redakcii žurnala "Hleb i volâ". 1904 (П. А. Кропоткин. Письма. Редакции журнала "Хлеб и воля". 1904).

<sup>3</sup> <http://oldcancer.narod.ru/Nonfiction/PAK-Letters91.htm>. P. A. Kropotkin. Pis'ma. Lidii Vladimirovne Ikonnikovoj. 1905.5.VIII (П. А. Кропоткин. Письма. Лидии Владимировне Иконниковой. 1905.5.VIII).

დაპირისპირებასაც. მათ შორის მოიაზრებოდა ისეთი ავტორიტეტი, როგორიც თვით კროპოტკინი გახდათ.

„ხლები ი ვოლიას“ 1904 წლის მექუთე ნომერში გამოქვეყნდა გიორგი გოგელიას სტატია ტერორის შესახებ, რომელმაც ანარქიზმის ბელადის დიდი აღმფორება გამოიწვია. გიორგი გოგელია ფიცხი ნატურის მქონე კაცი იყო და მასთან დაპირისპირება სიფრთხილეს მოითხოვდა. ეტყობა ამიტომაც არ გაუგზავნა საკუთარი უგმაყოფილების შემცველი წერილი კროპოტკინმა გოგელიას. მან არჩია „ხლები ი ვოლიას“ რედაქციისათვის გაეგზავნა წერილი. ტერორიზმისაკენ მოწოდება დაუშვებელია, – წერდა კროპოტკინი „ხლებავოლცებს“. სტატია ტერორის შესახებ „მე არ მომეწონა. ზოგიერთი ადგილები პირდაპირ აღმაშფოთებელია“ – იწერებოდა კროპოტკინი. „ანარქისტისათვის დაუშვებელია ტერორისაკენ მოწოდება... ასეთი ტონი ანარქისტულ პრესი არასოდეს არ ყოფილა“.

მაგრამ დაბეჭდილს არაფერი ეშველებოდა და გოგელიასაც არაფერი უარყოფით თავისი სტატიიდან. დაპირისპირება ჩაცხრა. ყოველ შემთხვევაში, იმავე თვის, იანვრის 27-ში გოგელიასადმი წერილში, კროპოტკინი ერთი სიტყვითაც არ ახსენებდა არც ტერორს და არც თავის უგმაყოფილებას. პირიქით, იგი ბოდიშსაც კი უხდის თავის ახალგაზრდა „ჩემს ძვირფას ამხანგას“, რომ როგორიცაც გამოსაქვეყნებელი წიგნის მესამე თავის კორექტურა, იქ სადაც ის არ უნდა ყოფილიყო. „ჩემი ბრალიაო“ – დაასკვნიდა.

ტერორის თემაზ შემდგომში მაინც წამოიწია, 1904 წლის მარტამდელ ერთ წერილში, მაგრამ მას განეიტრალურული ხასიათი ჰქონდა. ამ წერილში კროპოტკინი უფრო აზუსტებს, თანაც რბილად, თავის პოზიციას, მაგრამ მკეთრი ფრაზების გარეშე. ის არწმუნებს თავის ახალგაზრდა თანამებრძოლს, რომ მკითხველმა ისე არ უნდა გაიგოს, ანარქისტების პოზიცია, თითქოს ისინი ამართლებდნენ იაკობინელების მსგავს ტერორს. მაგრამ წინააღმდეგობები და უფრო სწორად, აზრო სხვაობა კროპოტკინსა და მის ახალგაზრდა ადეპტს შორის კვლავ იჩნდა ხოლმე თავს. 1905 წლის 19 ოქტომბერს, როგორც იტყვიან, ჭირმა თავი ვეღარ დაფარა და კროპოტკინმა „ხლები ი ვოლიას“ მორიგი წერილი გაუგზავნა. აღმოჩნდა რომ გოგელიასა და იყონიკოვას აზრით, მათსა და კროპოტკინს შორის არსებობდა „არსებითი სახის აზრთა სხვადასხვაობა გაზეთის ამოცანების შესახებ“. ირკვევა ორივე მხარის პოზიციები. „ხლებოვოლელები“ მიიჩნევდნენ რომ მომავალი ანარქისტული პარტია უნდა ყოფილიყო მებრძოლი და შეტევითი ორგანიზაცია. მათგან გან-

სხვავებით, კროპოტკინი ფიქრობდა, რომ უურნალს უნდა დაესაბუთებინა ან-არქისტული პროგრამული საკითხები, თეორიული პრინციპები და ა. შ. მოკ-ლებ, კროპოტკინი თეორიულ პრინციპს ანიჭებდა უპირატესობას, ცოლ-ქმა-რი გოგელიები კი – პრაქტიკულ ბრძოლას.

შემდეგი წერილიდან რომელიც ლიდია გოგელია-იკონიკოვას სახელზე იყო გაგზავნილი, ირკვევა რომ გიორგი გოგელია რედაქციიდანაც და შევიც-არიიდანაც წასულა. კროპოტკინი უკამოფილებას ვერ ფარავს: „ოქვენმა წე-რილმა გამახარა. უცნაურად მეჩვენება: ადამიანები ორი წლის განმავლობაში ერთად მუშაობდნენ და ერთ მშვენიერ დღეს დაიშალნენ, როგორც ორი ბა-ტონი, რომლებიც შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს ბულვარში... ყველაზე ცუდი ისაა რომ გოგელია წავიდა, ისე რომ პასუხიც არ გაუცია ჩემს კით-ხვებზე, და ახლა ჩვენ დავრჩიო სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში... ჩვენი პარტია დარჩა ორგანოს გარეშე“<sup>4</sup>

რა მოხდა? სად და რატომ წავიდა გიორგი გოგელია, რომელსაც კრო-პოტკინის აზრით, ისე გამოლიოდა რომ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა – რუ-სეთში ანარქისტული პარტიის ცენტრალური ორგანოს შეწყვეტის საქმეში. „ეს არაამსანაგური გამოდის“ – აღარ იცის როგორ გამოხატოს კროპოტკინ-მა უკამოფილება.

მაგრამ მას გაუგია სადაა გოგელია. „უკანასკნელი, რაც მე შევიტყვე მ. ი. გოლდეშიტისგან, ისაა რომ გიორგი წავიდა კავკასიაში რათა დააარსოს ქართული ანარქისტული გაზეთი, რომელშიც თქვენ ერთი-ორი თვის შემდეგ გექნებათ რუსული განყოფილება. მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს არ იქნება „ხლები ი ვოლია“, რომელიც იყო რუსული ანარქისტული მოძრაობის ცენ-ტრალური ორგანო“<sup>5</sup>.

უკამოფილოა, მაგრამ თან არ უნდა რომ გაანაწყენოს თავისი ახალ-გაზრდა მეგობრები და კროპოტკინი დაყვავებით ამთავრებს თავის მონოლოგს: ასე არ არის განა? თქვენ კი არაფერს იწერებით ამ ყველაფრის შესახებ, ძვირფასო ლიდია ვლადიმიროვნა, განა ასე აკეთებენ საქმეებს ამხანაგები?!“.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მოხუცი კროპოტკინი მართალია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წუთით. პირიქით, ის თავისი უკამო-ფილების არცერთ კომპონენტში არაა მართალი. იმ დროს როცა თავის ამ

<sup>4</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Lidii Vladimirovne Ikonnikovoj. 1906.23.II (П. А. Кропоткин. Письма. Лидии Владимировне Иконниковой. 1906.23.II).

<sup>5</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Lidii Vladimirovne Ikonnikovoj. 1905.6.II (П. А. Кропоткин. Письма. Лидии Владимировне Иконниковой. 1906.23.II).

წერილებს წერდა, რუსეთსა და საქართველოში რევოლუცია მიმდინარეობდა. გიორგი (კომანდო) გოგელია რევოლუციონერი იყო და რევოლუციური ეთიკით მოქმედებდა – ის წავიდა იქ სადაც რევოლუცია მძვინვარებდა. გარდა ამისა, გიორგი გოგელია ქართველი რევოლუციონერი იყო და პირველ ყოვლისა, თავის სამშობლოში უნდა წასულიყო, რაც გააკეთა კიდეც.

როცა გოგელია საქართველოში ჩავიდა, სწორედ მან და მისმა თანამებრძოლებმა ზედიზედ გამოსცეს ანარქისტული მიმართულების უურნალ-გაზეთები – „ქარიშხალი“, „ნობათი“, „მუშა“, „ხმა“, ცის ნამი“. როგორც ადრე ვწერდით, ეს იყო ანარქისტული გამოცემების ბუმი საქართველოში და ეს მაშინ, როცა ანარქიზმის მამამთავარი კროპოტკინი რუსეთის იმპერიაში შეუძლებლად თვლიდა ანარქისტული ორგანის გამოცემას.

კროპოტკინი თეორეტიკოსად დარჩა ბოლომდე და რევოლუციის პერიოდში რუსეთში არ ჩასულა. მისგან განსხვავებით, კომანდო გოგელია უყოფ-მანიდ ჩავიდა რევოლუციურ საქართველოში, რომელიც იბრძოდა რუსეთის თვითმყრობელობის დასამხობად. რუსეთში და შემდეგ საქართველოში ჩამოვიდა კროპოტკინის უახლოესი მეგობარი – ვარლამ ჩერქეზიშვილიც. ამის შესახებ წერდა კიდეც ლიდია გოგელიას: „ჩერქეზოვი პეტერბურგშია. მაგრამ რას აკეთებს იგი, ვის ხვდება – არ ვიცი. არც ერთი საქმიანი წერილი მისებან არ მიმიღა“. ცოტა გულუბრყვილოდაც გამოიყურება ეს ფრაზა – განა მაშინ ან როდესმე რუსული სპეცსამსახურები რევოლუციონერების მიწერ-მოწერას არ ხსნიდნენ? არ ეკარებოდნენ? რა თქმა უნდა ჩერქეზიშვილი წერილებში არ მისწერდა ყველაფერს რასაც ის აკეთებდა რუსეთსა და საქართველოში – ეს არ იყო ლონდონი, უენევა ან ბრიუსელი.

მაგრამ საქმე არც დაშლა-გაყრით და არც დამდურებით არ დასრულებულა. პირიქით, კროპოტკინისა და ახალგაზრდა გოგელიების საქმიანი ამხანაგობა მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა. პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ გიორგი გოგელია ისევ ევროპულ ემიგრაციაში დაბრუნდა. 1906 წელს განახლდა „ხლები ი ვოლიას“ გამოცემა, მაგრამ ახალი სახელწოდებით: „ხლები ი ვოლიას ფურცლები“. ახლა ამ გაზეოს თვით კროპოტკინი რედაქტორობდა და თანაც ლონდონში, 1906-1907 წლებში. გაზეოს თრკიირული იყო. „ფურცლები“ ადრინდელი „ხლები ი ვოლიას“ მემკვიდრე-გამოცემა გახლდათ და კროპოტკინიც განუწყვეტლიც უთანხმებდა გამოცემის დეტალებს გოგელიებს.

ლიდია გოგელიასადმი 1907 წლის 3 მარტს გაგზავნილი წერილიდან

ჩანს, რომ გაზეთში დაწყებულა გიორგი გოგელიას წერილების სერია „სტატია ძალიან კარგია, სწორედ ისაა, რაც საჭიროა“. – წერდა კროპოტკინი. ეს იყო გოგელიას წერილების სერია სათაურო „მოწინავე დემოკრატიზმის მშვენიერებანი“, რომელიც „ორგეიანის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა „ხლები ი ვოლიას“ ფურცლებში.

იქვე კროპოტკინი ამატებდა: „ბერტონის შესახებ სტატიას დღესაც აქებები“.<sup>6</sup> როგორც ჩანს, ეს სტატიაც გოგელიას კალამს ეკუთვნოდა. იგი ეხებოდა ცნობილ იტალიელ რევოლუციონირ-ანარქისტს ლუიჯი ბერტონის.

ლილია გოგელიას სახელზე გაგზავნილ წერილში ძირითადად საუბარი იყო გიორგი გოგელიას შესახებ. გოგელია დაუცხრომელი პოლემისტი გახლდათ. იმუამად იგი ახალი ოპონენტის – ნოვომირსკის წინააღმდევ პპირებდა პოლემიკის წამოწყებას და კროპოტკინი ცდილობდა მის შეკავებას. დანილ ნოვომირსკი იმ პერიოდიდან უკვე იწყებდა ანარქო-სინდიკალიზმისაკენ გადახრას და კროპოტკინული ანარქიზმებუნიზმიდან დისტანცირებას. პეტრე ალექსეევიჩს კი არ სიამოვნებდა რომ რუსეთში ანარქისტული მოძრაობა შეიძლებოდა მიმდინარეობებად დაყოფილიყო.

მაგრამ ამუამად ჩვენ რუსული ანარქიზმის ბედი არ გვაინტერესებს. ჩვენ მხოლოდ გოგელიასადმი კროპოტკინის წერილებში აღძრული საკითხებით და თემატიკით ვიფარგლებით.

1910-იანი წლების დასაწყისში გიორგი გოგელიამ სერიოზული ავადმყოფობის პირველი კრიზისი მეტ-ნაკლებად დაძლია და მუშაობა განაახლა. მასსა და კროპოტკინის ურთიერთობას მომდევნო წლებში კარგად ხსნის კროპოტკინის წერილი გოგელიასადმი, რომელიც 1912 წლის 8 მაისს არის მიწერილი: „ძვირფასო გიორგი. წლებია ჩვენ აღარ გაგვიცვლია ერთმანეთს შორის ერთი სტროფიც კი. და აა ახლა მე ვანახლებ მიწერ-მოწერას“.<sup>7</sup>

წერილი საქმიანი გახლდათ. კროპოტკინი იწერებოდა რომ მან და ალექსანდრე შაპირომ (ანარქისტული მოძრაობის აქტიური მონაწილე), გადაწყვიტეს „ხლები ი ვოლიას ფურცლების“ ბროშურების გამოცემა. ამასთან დაკავშირებით, იგი თხოვდა გიორგის მოემზადებინა და გაეგზავნა ახალი გამოცემისათვის, რომელიმე ბროშურა, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევდა. ბროშურის გაგზავნამდე კროპოტკინი თხოულობდა სათაურის გაგზავნას, რა-

<sup>6</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Lidii Vladimirovne Ikonnikovoj. 1907.7.III (П. А. Кропоткин. Письма. Лидии Владимировне Иконниковой. 1907.3.III).

<sup>7</sup> <http://oldcancer.narod.ru/Nonfiction/PAK-Letters91.htm>. P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiū II'icū Gogelia 1912.8.V (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1912.8.V).

თა მის შესახებ განცხადება გამოექვეყნებინათ ახალ გამოცემაში.

შემდეგი წერილიდან ირკვევა, რომ გოგელიას გამოსაქვეყნებელი ბროშურის სათაური გაუგზავნია. კროპოტკინი ამისათვის მადლობას უხდიდა, თუმცა ბროშურის სათაურს არ ახსენებდა და ჩვენთვის უცნობი რჩება, რა ბროშურაზე იყო საუბარი. „შეუდექით მუშაობას ბროშურაზე და ნუ აჩქარდებით, რაც შეიძლება ჩქარა დაამთავროთ. მეც თქვენსავთ რამდენჯერმე გადავწერ ხოლმე და ვიცი, როგორ იგებს ამით ხელნაწერი“<sup>8</sup> – წერდა კროპოტკინი.

მომდევნო წერილიდან ვიგებთ, რომ ინტენსიური მუშაობის შედეგად გორგი გოგელიას მოუმზადებია კიდეც და გაუგზავნია კიდეც თავისი ნაშრომი. პეტრე ალექსეევიჩი კამაყოფილებას გამოთქვამდა გოგელიას ხელნაწერის გამო. 1912 წლის 29 ოქტომბერს კროპოტკინი გოგელიას წერდა: „ახლა დავამთავრე თქვენი ბროშურის კითხვა. შესანიშნავია. საქმიანია, და დაწერილია ზუსტად ის, რაც საჭიროა... ყველაფერი დანარჩენი – შესანიშნავად მიდის. აზრიც სწორია, მისი გადმოცემაც დამარტინულებელი. ძვირფასო გიორგი, მე ვიცი, როგორ მუშაობთ თქვენ, და მთელი გულით მადლობელი ვარ ამ ბროშურისათვის“<sup>9</sup>. ცხადია, კროპოტკინი გოგელიას სტაბილურ ავადმყოფობას გულისხმობდა.

ერთ-ერთი უკანასკნელი წერილი მწვავე შიდაპარტიულ დაბაზულობას ეხებოდა. როგორც ჩანს გოგელიამ კროპოტკინისადმი გაგზავნილ წერილში მკაცრად გააკრიტიკა მოძრაობის რომელიდაცა წარმომადგენელი. რომელიც ორივე ადრესატისთვის ახლო თანამებრძოლი იყო. კროპოტკინი ცდილობდა დაერწმუნებინა გოგელია, რომ ის მართალია, მაგრამ შეიძლებოდა ეს სიმართლე უფრო „რბილად“ გამოეთქვა. ახალგაზრდა და ფიცხ გოგელიასა და მოხუც, დინჯ, კაბინეტურ კროპოტკინს შორის მეტალური განსხვავება არ-სებობდა. კროპოტკინს არ უყვარდა მკვეთრი გამოთქმები, ტერმინოლოგია და გოგელიას არწმუნებდა რომ ის მომხრეა „მეგობრული კრიტიკისა, უკეთესია მოვერიდოთ სიმძაფრეს“.

იმ პერიოდში პარიზში საქმიანობდა რუსეთის ანარქისტ-ემიგრანტთა წამყვანი ჯგუფი. გიორგი გოგელიასთან ერთად აქ იყვნენ რუსეთის ანარქისტული მოძრაობის ცნობილი ლიდერები: როგორევი, კარელინი... იმპერიის სპეცსამსახურებმა შეძლეს ჯგუფში პროვოკატორის შეგზავნა, რომელმაც

<sup>8</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiû Il'iču Gogelia 1912.14.VII (Георгию Ильичу Гогелии. 1912.14.VII).

<sup>9</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiû Il'iču Gogelia. 1912.29.X (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелии. 1912.29.X).

დიმიტრი შევლიძე.  
პეტრე კროპოტკინის წერილები გიორგი გოგელიასადმი (1904-1913)

ერთმანეთს გადაჰკიდა და დაუპირისპირა თანამებრძოლები, რომლებსაც პქონ-დათ ინფორმაცია, რომ მათ რიგებში პროვოკატორი იმყოფებოდა. მაგრამ მათ არ იცოდნენ, ვინ იყო და ერთმანეთზე მიჰქონდათ ეჭვი. ისე გამოვდა რომ მაშინ როდესაც ნამდვილი პროვოკატორი უკვე წასული იყო პარიზიდან, დარჩენილებმა თვალი დაადგეს ერთ-ერთ თავისიანს – როგორაც კროპოტკინის ზემო-აღნიშნული იწერებოდა.

გოგელია თავს ესხმოდა ნიკოლოზ როგორაც უსამართლოდ იქნა ეჭვმიტანილი. კროპოტკინი იზიარებდა გოგელიას პოზიციას და მას სწერდა რომ „ნიკალაი“ ექსებმა გააფუჭქს. კროპოტკინი აკრიტიკებდა მეორე თანამებრძოლს – ზაბრეუნვეს, რომელიც ინტელიგენციას აკრიტიკებდა და ტყუილუბრალოდ იმტერებდა მას. კროპოტკინი აკრიტიკებდა აგრეთვე მესამე თავის თანამებრძოლსაც, გროსმან-როშინს, რომელიც ტერორიზმისაკენ იხ-რებოდა. ერთი სიტყვით, წინააღმდეგობანი და აზრობრივი განსხვავებანი საკ-მაოზე ბევრი იყო ანარქისტთა პარიზის ცენტრალურ ჯგუფში. კროპოტკინს იმედი პქონდა და გოგელიასაც სწერდა, იმდინ მაქვს რომ ყველაფრი მშვი-დობით დასრულდებო. ამ ყველაფრის შესახებ საუბარი იყო კროპოტკინის 1913 წლის 26 აგვისტოს წერილში.

აქვე კროპოტკინი გოგელიას სთავაზობდა აზალ იღეას: „ხომ არ ფიქ-რობთ, რომ კარგი იქნებოდა ჩქარა გამოიცეს ბროშურა პარიზის კონგრესის შესახებ? ფული არის, ცოტაა, მაგრამ საქმარისი. ყველას აჯობებს გამოიცეს ისეოთ ბროშურა, პარიზში... შეიძლება რომ უბრალოდ ვთარმნოთ „ტემპს ნო-უვეაუქსიდან?“<sup>10</sup>

აქ გაურკვეველია, ვის წერილზე იყო საუბარი, გოგელიასი? კროპოტ-კინისა? და ამთავრებდა: „სონია ძალიან ნასიამოვნები იყო ლიდია ვლადიმი-როვნას თბილი სიტყვებით. მაგრად მოეხვიოთ მას ჩვენს მაგივრად. ყველაზე გულთბილი სალამი სონიასგან. მაგრად გეხვევით. გაუფრთხილდით ჯანმრთე-ლობას“, სონია – კროპოტკინის მეუღლე გახლდათ – სოფია.

უკანასკნელი წერილი 1913 წლის 15 დეკემბერსაა მიწერილი. იგი კარგად ასახავს იმ დრამატულ ვითარებას, რაც პარიზში მოქმედ ანარქისტთა გუნდში პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო აგენტის ზ. მ. ვიროვის შეღ-წევამ გამოიწვია. როგორც წერილიდან ირკვევა, გოგელიამ მკაცრად გააკრი-

<sup>10</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiû Il'icu Gogelia 1913.26.VII (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1913.26.VII).

ტიკა ცნობილი ანარქისტი-თანამებრძოლი ალექსანდრე კარელინი. ეს უკანას-ქნელი იყო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გაზეთების რედაქტორი და პუბლიცისტი.

კროპოტკინი გოგელიას ატყობინებს რომ მან მიიღო ალექსანდრე კარელინის მეუღლის წერილი: „მე მომმართა სასოწარკვეთილი წერილით კარელინამ, და ამიზნა, რა აღლვებულ მდგომარეობაშია მისი ქმარი, თქვენი სტატიის შემდეგ“.<sup>11</sup> ოპერა რომ საერთოდ, კროპოტკინს მიუღია კარელინის მეუღლის სამი წერილი და ყოველ მათგანში, ეხვეწებოდა კროპოტკინს, სპეციალური მხარდამჭერი პუბლიკაციით გამოქომაგებოდა მის ქმარს – ალექსანდრე კარელინს.

ეტყობა გოგელიას სტატიამ იმდენად ძლიერი გავლენა იქონია ემიგრაციაში და განსაკუთრებით პარიზში მყოფ ანარქისტებზე, რომ კარელინი, მის მიერვე დაარსებული რომელიდაც ფედერაციიდანაც კი გაურიცხიათ. კროპოტკინი შეშფოთებული იყო ანარქისტ-ემიგრანტთა შორის მიმდინარე დაპირისპირებებით და ქაოსით. იგი ვრცლად აღწერდა კარელინის ცოლის თხოვნებს, უარყოფითად მოიხსენიებდა, გოგელიას მიერ ადრე გაკრიტიკებულ მეორე ან-არქისტ-ლიდერს – როგორავს და ბოლოს: „ახლა კი, ჩემო ძვირფასო გიორგი, აი ჩემი თქვენდამი რჩევა. მიაგდეთ მოელი ეს ისტორია და აღარ მიაქციოთ აღარაგითარი ყურადღება ას პარიზელ დობჩინსკებს და ბობჩინსკებს. და-ვიშალეთ – და მორჩა (ბასტა)!“<sup>11</sup>

წერილების ტექსტების ერთ-ერთ თემად შეიძლება გამოვყოთ – პირადი და ოჯახური ურთიერთობები. კროპოტკინს გოგელიების სახით ურთიერთობა პქონდა არამარტო თანამოაზრებთან, არამედ მეგობრებთან, ახლობელ ოჯახთან. გიორგი და ლიდია გოგელიები, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ კროპოტკინის ოჯახის წევრებს. მათი ახლობლური ურთიერთობა ასახულია წერილებში.

1908 წლის მარტში კროპოტკინისათვის ცნობილი გახდა გიორგი გოგელიას სერიოზული ავადმყოფობა. ამ წლის 14 მარტის წერილში კროპოტკინი დიდ წუხილს გამოოქვამს გიორგის ავადმყოფობის გამო. ეს წერილი მხოლოდ გოგელიას ავადმყოფობას ეხება. „ჩემო ძვირფასო გიორგი – წერს კროპოტკინი თავის ახალგაზრდა თანამებრძოლს – ჩვენ ერთმანეთისთვის დიდი ხანია არ მიგვიწერია, თითქმის დავკარგეთ კიდეც ერთმანეთი მხედველო-

<sup>11</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiû Il'icu Gogelia. 1913.15.XII (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1913.15.XII).

დიმიტრი შევლიძე.  
პეტრე კროპოტკინის წერილები გიორგი გოგელიასადმი (1904-1913)

---

ბიდან, და აი ახლა მე ვიგებ ... რომ თქვენ პარიზში საავადმყოფოში წევ-  
ხართ. თქვენ კი ძვირფასო ლიდია ვლადიმიროვნა, ერთი სიტყვაც კი არ  
მომწეროთ.

რა დაგემართა, ჩემო გიორგი? თქვენი გული თითქმის ყოველთვის ვერ  
იყო წესრიგში, მაგრამ ახლა, რომელიდაცა წყლული სხვადასხვა ფორმით  
საიდან აღმოგაჩნდათ.<sup>12</sup> კროპოტკინი „ცოტაოდენ ფულს“ უგზავნის გოგელი-  
ებს, რადგან „ავადმყოფობა — ეს ნიშნავს სასწრაფო ხარჯებს“.

შემდეგი წერილი (1908 წლის 20 აპრილის), ლიდია გოგელიასადმია  
მიწერილი, მაგრამ მთლიანად გიორგის ავადმყოფობას ეხება. წერილი მხო-  
ლოდ წუხილის გამოთქმით, რომელიმე თბილ ქვეყნაში გადასვლის რჩევით  
და თანაგრძნილით არ შემოიფარგლება: კროპოტკინის მეუღლეს — სონიას  
ანუ სოფია ანანიევა-რაბინოვიჩს უშოვია 500 ფრანკი, გოგელიებისათვის გა-  
საგზავნად: „შეგიძლიათ ფული, თუ გნებავთ, ჩათვალოთ სესხად, სრულიად  
განუსაზღვრელი დროით“ — ასე განუმარტავს, რაც ფაქტობრივ ჩუქებას ნიშ-  
ნავს. ის ვიღაც კეთილისმყოფელი დოქტორი ფრიდებერგია, რომელიც ასევე  
იმავე აზრისაა, რომ გოგელიები სასწრაფოდ უნდა გაემგზავრონ რომელიმე  
გაცილებით თბილ ქვეყნაში, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე. ისე, ცნობი-  
სათვის კი დავამატებთ, რომ თვითონ კროპოტკინი, რომელსაც ასევე არ ურ-  
ჩევდინ ცივ ლონდონში ზამთრის გატარებას, მიღმგზავრება იტალიაში, ლაგო  
მაჯორეს რომელიდაც პატარა სანაპირო ქალაქში.

ჩვენ უკვე აღვნიშვნეთ, რომ კროპოტკინ-გოგელიას წერილობითი ურთი-  
ერთობა გიორგის ავადმყოფობის გამო, რამდენიმე წლით შეწყდა. 1912 წელს  
ურთიერთობა აღდგა. კროპოტკინი გახარებული იყო რომ გიორგი გოგელია  
მუშაობას დაუხმუნდა. „როგორია თქვენი ჯანმრთელობა ძვირფასო გიორგი.  
ჩვენამდე მოდიოდა შემაშფოთებელი ხმები, მაგრამ ძალიან გაგიხარდა, როცა  
გავიგეთ რომ თქვენ მუშაობთ, თავს ცუდად არ გრძნობთ და ბევრსაც კი მუ-  
შაობთ. იმედია ლიდია ვლადიმიროვნაც კარგად არის“.<sup>13</sup>

წერილიდან ისიც ირკვევა, რომ გიორგი გოგელიას რომელიდაც სას-  
წავლებელში გამოცდები ჩაუბარებია და ხარისხი აუღია, რის გამოც კრო-  
პოტკინი კმაყოფილებას გამოთქამს. ესეც 1912 წელს მომხდარა, ან წინა  
წელს. ყოველ შემთხვევაში, იმ დროისათვის ახალი ამბავი იყო.

<sup>12</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiū Il'iču Gogelia. 1908.14.III (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1908.14.III).

<sup>13</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiū Il'iču Gogelia. 1912.8.V (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1912.8.V).

პირველი რევოლუციის შემდეგ ევროპულ ემიგრაციაში ხელმეორედ გა-  
ხიზნულ გორგი გოგელიას ცხადია უჭირდა. გარდა უკურნებელი და პროგ-  
რესირებადი სენისა, გარდა უშუშევრიაბისა და მატერიალურ-ფინანსური  
პრობლემებისა, მას ხელს უშლიდა საკუთარი ანარქისტული ცნობადობაც,  
ცხადია. ანარქისტის სახელი სახოგადოებაში პირველ რიგში აღძრავდა ტე-  
რორისა და „ბომბისტობის“ ასოციაციას. ანარქისტებისა ეშინოდათ და ეს  
თვით ანარქისტებსაც მშვენივრად მოეხსენებოდათ, მით უფრო მათ ბელადს,  
პეტრე ალექსის ძე კროპოტკინს, რომელიც უიმედოდ ცდილობდა ენუგეშები-  
ნა თავისი ახალგაზრდა თანამებრძოლი. „მალიან ვწუხვარ, რომ თქვენ სამსა-  
ხური არ გაქვთ, – წერდა იგი გოგელიას. – „ქიმიკოსი-ანარქისტი“, „უცხოე-  
ლი“ – ეს საფრანგეთში ნიშნავს ყველაფრის საწინააღმდეგოს“. მერე კი ურ-  
ჩევდა: „ჯეომს გილიომს იცნობოთ? ის უშესანიშნავესი ადამიანია, და თქვენ  
კარგად გაუგებოთ მას. იქნებ მან სადმე რეკომენდაცია გაგიწიოთ...“.<sup>14</sup> შესაძ-  
ლოა, გილიომი ნამდვილად კეთილზე კეთილი კაცი გახლდათ, მაგრამ ის  
ხომ საქვეყნოდ ცნობილი ანარქისტი იყო თავადაც – და მით უფრო საშიში.

ყველაზე მცირე მოცულობისა 1912 წლის 4 დეკემბრის ლიდია გოგე-  
ლიასადმი გაგზავნილი წერილია, უფრო სწორედ – მცირე ბარათი. ის მხო-  
ლოდ ერთი ინფორმაციით იქცევს ჩვენს ყურადღებას – გიორგი გოგელიას  
ჯანმრთელობა თითქმის შეუქცევადია. კროპოტკინი ბოდიშს უხდის ლიდია  
გოგელია-იკონიკოვას, რომ ვერ ახერხებს ვრცელი წერილის გაგზავნას და  
მერე შენიშნავს: „ნაღვლიანად ვკითხულობდი თქვენს მონაწერს, სადაც თქვენ  
საუბრობთ გიორგის ჯანმრთელობის გამო“.

კროპოტკინის წერილებში და სავარაუდოა, რომ გოგელიას საპასუხო  
წერილებშიც, რომლებიც მომავალში შეიძლება მიკვლეული იქნას, არც თუ  
იშვიათად გვხვდება ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელი. იგი ფიგურირებს, რო-  
გორც ყველა მნიშვნელოვანი საქმის, პროცესის, მოვლენის თუ ურთიერთო-  
ბის მონაწილე და მთავარი პროტაგონისტი.

1904 წლის წერილში კროპოტკინი გოგელიას წერს გამოსაქვეყნებელი  
წიგნის კორექტურის შესახებ, რომელიც გოგელიასათვის არის გასაგზნი:  
„თქვენი შენიშვნა მართალიცაა და არცაა მართალი, და როცა წავიკითხე  
(წინა კვირაში, კორექტურაში), მე ვთხოვე ძიას (ჩერქეზოვს), დაეწერა ორი-  
სამი წინადაღება ახსნა-განმარტებისათვის, რათა არ გამოეწვია გაუგებრობა...“

<sup>14</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiû Il'iču Gogelia. 1912.29.X (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1912.29.X).

საქმე ნამდვილად როულია. თქვენი შენიშვნა სოციალ-დემოკრატიასთან დაკავშირებით, რომელიც არ დგას მუშაოთ თვალსაზრისხე, ძალიან სწორია, ხოლო ჩერქეზოვი და მე აგრეთვე ვაკეობთ სწორ შენიშვნას...“<sup>15</sup>

რადგან ვარლამ ჩერქეზიშვილის პიროვნებას ვეზებით, კვლავ 1900-იანი წლების რეალობას დაუუბრუნდეთ.

წერილებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კროპოტკინი უფრო ცდილობდა კონტაქტი და ახლო კავშირები დამყარებინა გოგელიასთან და მის ჯგუფთან, ვიდრე პირიქით. ეჭვი ჩნდება, თითქოს გოგელიას აქტივობამ, რუსეთში მისმა პოპულარობამ გადასწრო ანარქიზმის აღიარებული ლიდერების, ავტორიტეტის. ზემოაღნიშნული რუსულენოვანი უურნალის – „ხლები ვოლდას“ გამოცემას დიდი რეზონანსი ჰქონდა რუსეთის იმპერიის რევოლუციურ რეალობაში. ისე გამოვიდა, რომ ლონდონელი „მოხუცების“ ტრადიციულ ემიგრანტულ ხმას, შორიდან მომდინარე ნიავის ეფექტი ჰქონდა, მაშინ როცა. სულ სხვა იყო რუსულენოვანი უურნალის გავრცელება რუსეთში, რომელმაც იმპერიის რევოლუციური პარტიების და ადეპტების ყურადღება ერთბაშად მიიქცა.

და ამ, კროპოტკინს ახალგაზრდა მიმდევრების ახლო გაცნობის სურვილი უჩნდება. ამ დროს, 1904 წლის აპრილში, ლონდონის ანარქისტული ცენტრის მძიმე არტილერია – ვარლამ ჩერქეზიშვილის სახით, შეეცარიაშია. ის მხოლოდ პარტიული მისით არ ჩადის შვეიცარიაში. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ 1904 წლის აპრილის დასაწყისში ვარლამი, ქართული პოლიტიკური ფრაქციების კონფერენციაზე, უწევაში. აქ იქმნება საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტია და ჩერქეზიშვილი დამფუძნებელთა შორისაა. ალბათ აქვე გაიცნო მან თავისი ახალგაზრდა თანაპარტიელი – გიორგი გოგელია. მაგრამ ცნობილ ისტორიულ ეპიზოდებზე არ შევჩერდებით.

კროპოტკინი 1904 წლის 10 მაისის წერილში მადლობას უხდის „ძვითას ამხანაგს“ – გიორგი გოგელიას, მისადმი გაგზავნილი წერილისათვის: „მადლობელი ვარ თქვენი მეგობრული წერილისათვის. მე დიდი ხანია მინდა „გავარღვიო რკალი“ და დავამყარო გაცილებით ამხანაგური ურთიერთობები, და აი გულით გამიხარდება, თუ ჩერქეზოვის ჩამოსვლა დაგვეხმარება, რომ დავამყაროთ ასეთი ურთიერთობები“<sup>16</sup>.

<sup>15</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiû Il'iču Gogelia. 1904.27.I (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1904.27.I).

<sup>16</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiû Il'iču Gogelia. 1904.10.V (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1904.10.V).

ჩვენთვის კარგადაა ცნობილი რომ ჩვენი სახელგანთქმული თანამემამულე ვარლამ ჩერქეზიშვილი, მუდამ ორ პრიორიტეტულ საქმეს აკეთებდა და აქლაც – ერთი იყო პატრიოტული, ეროვნული და ამ შემთხვევაშიც ჩერქეზიშვილმა სოციალისტ-ფედერალისტების პარტია დააფუძნა, თავის თანამემამულეებთან ერთად; მეორე შემთხვევაში, ის უწევაში შეხვდა, ახლოს გაიცნო და გაეცნო ანარქისტული უწრნალის „ხლები ი ვოლიას“ რედაქციის თანამშრომლებს. პირველ რიგში ისინი იყვნენ გიორგი გოგელია და მისი მეუღლე – ლიდია გოგელია-იკონიკოვა.

ერთ-ერთ წერილშიკროპოტკინი გოგელიას არწმუნებდა რომ სხვა პარტიებთან პოლემიკას აზრი არა აქვს, რადგან პარტიები პოლემიკის დროს ერთმანეთს ვერ გადაარწმუნებენ. მაგრამ აი: „ჩ. (ე. ი. ჩერქეზიშვილი – დ. შ.) ამბობს რომ საჭიროა პოლემიკა... საჭიროა მათი თაღლითობის, მათი მეცნიერული სიყალბეების მხილება – ეს საჭიროა. ეს პაერის გასუფთავებაა?“ ე. ი. ჩერქეზიშვილიც არ ეთანხმებოდა კროპოტკინს სხვა პარტიებთან პოლემიკის ზედმეტად მიჩნევის საკითხში.

ეს წერილიც ვარლამ ჩერქეზიშვილის შვეიცარიაში ყოფნის პერიოდში იყო დაწერილი, რადგან კროპოტკინს კვლავ „ხლები ი ვოლიას“ ჯგუფისა და რედაქციის თანამშრომელთა მონახულებისა და პირადად გაცნობის სურვილი აწუხებდა. ჩვენ უფრო დაგაზუსტებოთ, რომ ეს უთარილო წერილი 1904 წლის აპრილ-მაისში უნდა ყოფილიყო დაწერილი, როცა ჩერქეზიშვილი კვლავ შვეიცარიაში იმყოფებოდა. „საშინლად მშურს ვარლამისა. – წერს რედაქციას კროპოტკინი – ძალიან კი ვარ დაკავებული, მაგრამ აუცილებლად ჩავიქნევდი ხელს და ჩამოვიდოდი თქვენთან, რომ არა სიბერის ცოდვები“<sup>17</sup> კროპოტკინი სიბერეს იმიზზებდა, მაგრამ ის უფრო კაბინეტის კაცი იყო და გადაადგილების პროცესში ჰქონდა. თან ისიც აწუხებდა, რომ მთელი რუსეთის ანარქისტული მრევლის ყურადღება „ხლები ი ვოლიასგენ“ იყო მიპყრობილი და საკუთარი თვალით უნდღდა ენახა მათი საქმიანობის ავან-ჩავანი.

გიორგი გოგელიასა და ვარლამ ჩერქეზიშვილს შორის არ იყო ყოველ-თვის იდეალური ურთიერთობა. პირველი რევოლუციის პერიოდში გიორგი ანუ როგორც მას პარტიული ამხანაგები ეძახდნენ – კომანდო გოგელია, მწვავედ დაესხა თავის თავის თანამემამულე ქართველ პატრიოტ-ანარქისტებს,

<sup>17</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiū Il'iču Gogelia. 1904.IV-V (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1904.IV-V).

საკმაოდ არაკორექტული ეპითეტებიც კი არ დაიშურა ჩერქეზიშვილისა და მიხაკო წერილის მიმართ. ახლაც, უკვე 1913 წელს, ეტყობა გოგელია და-ეჭვებული ეპითხებოდა კროპოტკინს, ვარლამი ნაწყენი იქნება ჩემზე. პეტრე ალექსეევიჩი ამშვიდებდა, თუმცა არ ვიცით, გულწრფელად ოუ ხელოვნურად: „თქვენ მეკითხებით ვარლამის შესახებ. არა მგონია, რომ ის ნაწყენი იყოს თქვენზე. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრიათ თქვენზე. ყოველთვის სიმპათით. სან-დოობისათვის, მე დაველაპარაკები მას“.

და წერილის ბოლოს, ჩვენ ვიგებთ, კიდევ ერთ დეტალს კროპოტკინებისა და ჩერქეზიშვილების ახლობლურ-ოჯახური ურთიერთობის წარმოსადგენად: „პარასკევს ვბრუნდებით სახლში, ბრაიტონში. ახლა ჩვენს სახლში ცხოვრობებ ვარლამი ფრიდასთან ერთად.“<sup>18</sup>

დაბოლოს, მცირე ისტორიული კურიოზით დავასრულებთ, რომ ის ნიკოლაი როგდაევი, რომელსაც თავს ესხმოდა გოგელია, რომელიც არ მოსწონდა კროპოტკინს და ზოგიერთები პროვოკატორობაშიც კი სდებდნენ ბრალს, საბოლოოდ ყველასთან მართალი აღმოჩნდა. რაც მთავარია, 1924 წლის 21 დეკემბერს, როდესაც თბილისში გარდაიცვალა გიორგი გოგელია, იმ დღეებში, საბჭოთა კავშირის წამყვან გაზეობებში, მათ შორის „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა გულთბილი ნეკროლოგი. მისი ავტორი გახლდათ სწორედ ნიკოლაი როგდაევი, რომელიც წერდა: „ჩვენ 900-იან წლებში საზღვარგარეთ მცხოვრებ რუს ემიგრანტებს, კარგად გვახსოვს ამხანაგი გოგელია და არასოდეს არ დაგვავიწყდება მისი დაუღალავი მუშაობა იმ ახალგაზრდობის პოლიტიკურად გაწრთვნის საქმეში, რომლებმაც აქტიური როლი ითამაშეს რუსეთის პირველი რევოლუციის მოძრაობის დროს. რუსეთის რევოლუციის წინა ხანებში საფრანგეთსა და შვეიცარიაში მცხოვრებ ახალგაზრდა რევოლუციონერებისათვის გოგელია იყო მეტად პოპულარული მასწავლებელი... გოგელიას სახელი საკმაოდ ცნობილია ფრანგ, შვეიცარიელ და იტალიელ მუშაობის, რომელთაოვის ის ხშირად აქეენებდა საერთაშორისო პრესაში წერილებს და შენიშვნებს“.<sup>19</sup>

<sup>18</sup> P. A. Kropotkin. Pis'ma. Georgiū Il'iču Gogelia. 1913.26.VII (П. А. Кропоткин. Письма. Георгию Ильичу Гогелиа. 1913.26.VII).

<sup>19</sup> dimitri švelije. vin iquo komando gogelia? gazet'i „eri“. 1991 c. 27 marti (დიმიტრი შევლიძე. ვინ იყო კომანდო გოგელია? გაზეთი „ერი“. 1991 წ. 27 მარტი).

**Dimitri Shvelidze**  
Associate Professor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

## PETER KROPOTKIN'S LETTERS TO GIORGI GOGELIA

### Summary

The work discusses and analyzes 18 personal letters of Peter Kropotkin, 10 of which are written to Giorgi Gogelia; 5 – to his wife Lydia Gogelia-Ikonnikova and 3 – to the staff of the magazine “Khleb i Volia” (Bread and Freedom). The chronological timespan of the letters is 1904-1913.

Kropotkin's letters clearly illustrate Giorgi Gogelia's crucial role in the process of formation of anarchism in Russia as a revolutionary-political movement and at the same time his contribution to the anarchist reality of Western Europe. The content of the letters mainly focuses on the functioning and distribution of the magazine “Khleb i Volia”, assessing its role in promoting anarchist ideology in Russia. The letters also deal with other problems of concern for the anarchist movement. There are expressed opinions and positions about prominent representatives of the movement like: James Guillaume, Luigi Bertoni, Apollin Karelín, Nikolai Rogdaev and others. The letters provide some information on Giorgi Gogelia's personal situation, health, and relationship between his and the Kropotkin family. It seems that Giorgi Gogelia's wife Lydia Gogelia-Ikonnikova was actively involved in the anarchist movement.

In Kropotkin's letters there is mentioned Varlam Cherkezishvili's name and some new details of his biography become clear.

## ანა ჭეიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, საფრანგეთი

### საფრანგეთში დაცული უცნობი ფოტოკოლექციის შესახებ, ჰუგო კრაფტის მოგზაურობა საქართველოში

ცნობილი ფრანგი მეცნიატის, მოგზაურის და ფოტოგრაფის ჰუგო კრაფტის (1853-1935) საქართველოში ყოფნის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ერთ ჩანაწერს ვხვდებით: ფრანგი არქეოლოგი ბარონი ჟოზეფ დე ბაი თავის ერთ-ერთ წიგნში აღნიშნავს, რომ 1898 წელს გორში გენერალ ივანე ამილახვართან სტუმრობისას მას თან ახლდა ჰუგო კრაფტი; წიგნში ასევე გამოქვეყნებულია კრაფტის მიერ საქართველოში გადაღებული ორი ფოტო.<sup>1</sup> სწორედ ეს მცირე ინფორმაცია გახდა ამ მიმართულებით ჩვენი კალეგის მიზეზი. ჰუგო კრაფტის შესახებ დამატებითი ცნობების მოპოვებისა და 2015-2018 წლებში საფრანგეთის სხვადასხვა დაწესებულებებში ჩატარებული კალევა-ძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ კრაფტის მიერ კავკასიაში გადაღებული მდიდარი ფოტოკოლექცია დღეს დაცულია რეიმსის ლე ვერუერის მუზეუმში,<sup>2</sup> პარიზის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკასა და სლავისტიკის ინსტიტუტის არქივში. წინამდებარე სტატია ჩვენ მიერ ჩატარებული კალევის შედეგების პირველი პუბლიკაციაა ქართულ ენაზე.<sup>3</sup>

**ჰუგო კრაფტი – მეცნიატი და მოგზაური.** ჰუგო კრაფტი დაიბადა პარიზში 1853 წლის 1 დეკემბერს. რამდენიმე წელიწადში ოჯახი საცხოვრებლად ქალაქ რეიმსში გადავიდა, სადაც ჰუგომ ბავშვობა უმცროს და-მმასთან

<sup>1</sup> Le baron de Baye. Au sud de la chaîne du Caucase, souvenirs d'une mission. Paris. 1899, p. 39, 41, 43.

<sup>2</sup> მაღლობას მოვახსენებთ საქართველოს საელჩოს საფრანგეთში ლე ვერუერის მუზეუმის წინაშე გაწეული რეკომენდაციისათვის.

<sup>3</sup> რეიმსის ლე ვერუერის მუზეუმში ჩვენი კურატორობით მოტყოფა გამოფენა «A la découverte de Bakou, Voyages de Hugues Krafft dans le Caucase» (25.XII.2017-04.II.2018), სადაც წარმოდგენილი იყო ჰუგო კრაფტის მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანში გადაღებული ფოტოები; ასევე გამოქვეყნდა ამავე სახლწოდების ორენოვანი კატალოგი (ფრანგულ და ინგლისურ ენებზე).

და მშობლებთან ერთად გააფარა.<sup>4</sup> ჰუგოს მამა, გიიომ კრაფტი, შამპანურის ცნობილი სახლის როდერერის აქციონერი იყო, დედა, ემა მომი კი უიულ მომის – ამავე სახელწოდების ცნობილი შამპანურის სახლის დამფუძნებლის ბიძაშვილი. 1874 წელს, იტონის ვაჟთა კოლეჯში სწავლის დასრულების შემდეგ რეიმსში დაბრუნებულ ჰუგოს მამამ როდერერის კომპანიაში სამსახური შესთავაზა. ჰუგო დიდი ენთუზიაზმით არ შედგომია ამ საქმეს და 1877 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. 1880 წელს დედის გარდაცვალების შემდეგ ჰუგო და მისი ძმა ჰერმან ედუარდი დიდი ქონების სათავეში აღმოჩნდნენ, რამაც ძმებს საშუალება მისცა თავის ორ მეგობართან ერთად მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა წამოეწყოთ. ამგვარად, ჰუგო კრაფტის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო – მომდევნო 20 წელი მან მხოლოდ მოგზაურობას მიუძღვნა და თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. ყოველი მოგზაურობის დროს იგი ასობით ფოტოს იღებდა, ეგზოტიკურ კოლექციებს იძენდა და საფრანგეთში დაბრუნებისას გამოიენებს აწყობდა. თავისი მოგზაურობების შესახებ კრაფტმა ასევე გამოაქვეყნა ორი წიგნი: «Souvenirs de notre tour du monde» 1885 წელს და «A travers le Turkestan russe» 1902 წელს. მეორე წიგნს განსაკუთრებით დიდი პოპულარობა ხვდა წილად. აქ აღწერილია 1898-99 წლებში კრაფტის მოგზაურობა შუა აზიაში და გამოკვეთებულია ავტორის მიერ გადაღებული 265 ფოტო. ამ წიგნის პუბლიკაციის შემდეგ კრაფტმა რეიმსის ეროვნული აკადემიისგან წევრ-კორესპონდენტის წოდება და პარიზის გეოგრაფიული საზოგადოებისგან კი ლეონ დევეს სახელობის ოქროს მედალი მიიღო. მას ასევე საშუალება მიეცა თავისი წიგნის ერთი ეგზემპლარი პირადად გადაეცა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორისათვის.<sup>5</sup>

1909 წელს ჰუგო კრაფტმა რეიმსის კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვის მიზნით „ძველი რეიმსის მეგობართა საზოგადოება“ ჩამოაყალიბდა. 1910 წელს მან შეიძინა ლე ვერუერის ოტელი – რეიმსის ცენტრში მდებარე მე-13 საუკუნის სახლი და, ამგვარად, ხელი შეუშალა ამ სახლის დაშლას, მოხატული და კვეთილი მუხის ჭერის გაყიდვასა და ამერიკაში გადატანას. პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე კრაფტმა აღ-

<sup>4</sup> See. F. Matz. Hugues Krafft artiste (1853-1935). «Regards sur notre patrimoine». n°30. décembre 2012, pp. 17-36. M. Morlet. Hugues Krafft (1853-1935). «Regards sur notre patrimoine». n°6. 1999, pp. 4-7.

<sup>5</sup> S. Gorshenina. La route de Samarcande: l'Asie centrale dans l'objectif des voyageurs d'autrefois. Genève. 2000, p. 201.

ადგინა ომის დროს დაბომბილი სახლი, რისთვისაც მას იაპონიის მოგზაურობიდან ჩამოტანილი კოლექციების გაყიდვაც კი მოუხდა. კრაფტის სურვილით ღე ვერუერის ოტელის პირველ სართულზე მუზეუმი გაიხსნა, თვითონ კი სახლის ზედა სართულებზე ცხოვრობდა. ღე ვერუერის მუზეუმი დღესაც არსებობს. მას კვლავ „პველი რეიმსის მეგობართა საზოგადოება“ ხელმძღვანელობს და აქ სხვა მასალებთან ერთად ფრანგი მეცნატისა და მოგზაურის პირადი ნივთებიც არის დაცული.

მიუხედავად იმისა, რომ პუგო კრაფტის სახელი დღეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი ფრანგ მკვლევართა შორის და მის მოღვაწეობას მრავალი პუბლიკაცია მიეძღვნა, მისი კავკასიაში მოგზაურობის პერიოდი სრულიად შეუსწავლელი აღმოჩნდა. სამწუხაროდ ღე ვერუერის მუზეუმში დაცულ კრაფტის პირად არქივში არ არის შემორჩენილი მისი დღიური ან რაიმე სხვა ტიპის საბუთი, სადაც აღწერილი იქნება ამ მოგზაურობის დეტალები. რამდენიმე სარქივო დოკუმენტი, მის თანამედროვეთა პუბლიკაციები, მეგობრებისადმი მიწერილი წერილები და, განსაკუთრებით კი, XIX საუკუნის დასასრულის ქართული და ფრანგული პერიოდული პრესა იყო ის ძირითადი წყარო, რამაც ამ მოგზაურობის მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენის საშუალება მოგვცა.

**პირველი მოგზაურობა საქართველოში.** 1896 წელს პუგო კრაფტი გაემგზავრა ნიკოლოზ II-ის იმპერატორად კურთხევის ცერემონიალზე დასასწრებად, რომელიც მოსკოვში 26 მაისს გაიმართა.<sup>6</sup> გამგზავრებამდე მან თხოვნით მიმართა საფრანგეთის ომის სამინისტროს,<sup>7</sup> რათა მოსკოვში ყოფნისას მისთვის, როგორც ქვეითთა 54-ე დივიზიის შტაბის თარჯიშნისთვის, სამხედრო უნიფორმის ტარების უფლება მიეცათ.<sup>8</sup> ამ თხოვნაზე მას უარი ეთქვა იმ მიზეზით, რომ კრაფტი ამავე დროს მოსკოვში მიემგზავრებოდა როგორც ფრანგული გაზეთის *Journal des Débats*<sup>9</sup> კორესპონდენტი და უურნალისტები-სათვის განკუთვნილ ტრიბუნაზე სამხედრო უნიფორმაში გამოწყობილი პირის ხილვა რუსეთის ხელისუფლებაში ეჭვს გამოიწვევდა.<sup>10</sup> საბოლოოდ, საელჩომ კრაფტის სახელი შეიტანა იმ გამორჩეულ ფრანგთა (des Français de distinc-

<sup>6</sup> წინამდებარე სტატიაში ყველა თარიღი მოცემულია ახალი სტილით.

<sup>7</sup> საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ძელი სახელწოდება.

<sup>8</sup> Archives diplomatiques, correspondance consulaire, 112CP/309. 1896 წლის 13 აპრილით დათარიღებული წერილი.

<sup>9</sup> ფრანგული გაზეთი, რომელიც 1789-1944 წლებში გამოდიოდა.

<sup>10</sup> Archives diplomatiques, correspondance consulaire, 112CP/309. 1896 წლის 17 აპრილით დათარიღებული წერილი.

tion) სიაში, ვისაც ცერემონიაზე დასწრების სურვილი ჰქონდა, სამაგიეროდ კი მას უურნალისტის სტატუსზე უარის თქმა მოუხდა.<sup>11</sup>

1896 წლის 10 მაისს<sup>12</sup> კრაფტი საფრანგეთიდან მოსკოვისკენ გაემგზავრა. იმპერატორად კურთხევის ცერემონიალს იგი დიპლომატიური კორპუსის ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს, ისევე როგორც მისი მეგობარი ბარონი დე ბაი.<sup>13</sup> როგორც კრაფტის პირად არქივში დაცული მოსაწვევებიდან ჩანს, იგი ამ დღესასწაულის ფარგლებში გამართულ რამდენიმე ოფიციალურ მიღებას დაესწრო. დღესასწაულის შემდეგ ჰუგო კრაფტი და ბარონი დე ბაი, რომელსაც საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს ოფიციალური მივლინებით ციმბირში არქეოლოგიური გათხრები უნდა ჩაეტარებინა, ეკატერინბურგისკენ გაემგზავრნენ.<sup>14</sup> 16 ივნისს კრაფტი გატერინბურგში დაესწრო ბარონ დე ბაის საპატივცემულოდ გამართულ ოფიციალურ ვახშამს,<sup>15</sup> რის შემდეგაც იგი კიევისკენ და შემდეგ კი ყირიმისკენ გაემგზავრა.

ამ მოგზაურობის მანძილზე ჰუგო კრაფტმა რამდენიმე ასეული ფოტო გადაიღო, რომელთა ნაწილიც ბარონმა დე ბაიმ გამოიყენა თავისი კონფერენციებისა და წიგნების ილუსტრირებისათვის.<sup>16</sup> ლე ვერუერის მუზეუმში დაცულ 4 ალბომში განთავსებული ფოტოები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ასახავს 1896 წელს რუსეთის იმპერიაში კრაფტის მოგზაურობას. ალბომის ყველა გვერდზე ავტორის ხელით გაკეთებული წარწერებია. სწორედ აქედან ვიგებთ, რომ ფრანგი მოგზაური ოქტომბრის დასაწყისში ყირიმიდან საქართველოში ჩამოსულა და თბილისა და ქუთაისში გაჩერებულა.

მინის ნეგატივები (6,5x9 სმ) და მათი თანადროული, ქაღალდზე დაბეჭდილი გადიდებული ფოტოები (13x18 სმ) – სულ 87 კადრი – ეს არის ის ერთადერთი და უნიკალური მასალა, რომელიც 1896 წელს საქართველოში ჰუგო კრაფტის მოგზაურობას ასახავს. რომელი გზით ჩამოვიდა კრაფტი

<sup>11</sup> Archives du Musée Le Vergeur (ლე ვერუერის მუზეუმის არქივი). 1896 წლის 7 მაისით დათარიღებული წერილი.

<sup>12</sup> ჰუგო კრაფტის მიერ დაწერილი სია, სადაც მისი რამდენიმე მოგზაურობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობაა წარმოდგენილი (დაცულია ლე ვერუერის მუზეუმის არქივში).

<sup>13</sup> Koronacionnyj sbornik". tom" vtoroj. S-Peterburg". 1899, p. 330 (Коронационный сборникъ. томъ второй. С-Петербургъ. 1899, стр. 330).

<sup>14</sup> Le baron de Baye. De Moscou à Krasnoïarsk, souvenirs d'une mission. Paris. 1897, p. 22.

<sup>15</sup> «Ekaterinburgska nedēlā». XVIII god". № 28. 21 iūlā 1896 («Екатеринбургская недѣля». XVIII годъ. № 28. 21 июля 1896). ოფიციალური ვახშის მეჩი დაცულია ლე ვერუერის მუზეუმის არქივში.

<sup>16</sup> Le baron de Baye. Souvenirs d'un couronnement impérial, Moscou – mai 1896. Paris. 1897. Le baron de Baye. De Moscou à Krasnoïarsk, souvenirs d'une mission. Paris. 1897.

ანა ჭეიშვილი. საფრანგეთში დაცული უცნობი ფოტოკოლექციის შესახებ,  
პუგო კრაფტის მოგზაურობა საქართველოში შესახებ

---

საქართველოში, რა იყო მისი მოგზაურობის ძირითადი მიზანი, თბილისისა და ქუთაისის გარდა კიდევ რა პუნქტები მოიარა მან – დღეისათვის საარქივო მასალების უქონლობის გამო ყველა ეს კითხვა უპასუხოდ რჩება. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაულოთ, რომ კრაფტი საქართველოთი სწორედ ამ დროს დაინტერესდა, ვინაიდან ორი წლის შემდეგ იგი აქ ისევ დაბრუნდა, ამჯერად უკვე ბარონ დე ბაისთან ერთად სამოგზაუროდ.

მეორე მოგზაურობა სამხრეთ კავკასიაში. 1898 წელს ბარონი დე ბაი საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს ეგიდით პირველ არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპედიციას აწყობს კავკასიაში.<sup>17</sup> ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარებული ორთვიანი კვლევის შემდეგ<sup>18</sup> იგი საქართველოს სამხედრო გზის გავლით ტფილისში სექტემბრის შუა რიცხვებში ჩამოვიდა. კახეთის მონახულების შემდეგ დე ბაი ტფილისში 1898 წლის 2 ოქტომბერს დაბრუნდა.<sup>19</sup> როგორც ჩანს, დაახლოებით ამ რიცხვისთვის მას შეუერთდა მისი მეგობარი პუგო კრაფტი, რომელმაც საფრანგეთი 20 სექტემბერს დატოვა. როგორც ლე ვერჯერის მუზეუმში დაცულ ფოტოებზე ჩანს, კრაფტი საქართველოში სამხედრო გზის გავლით შემოსულა.

1897 წელს საქართველოში პირველი მოგზაურობის შემდეგ ბარონი დე ბაი აქ უკვე საქმაოდ ცნობილია და ადგილობრივი პრესა მის ყველა გადაადგილებას ადევნებს თვალს. ვინაიდან ამ მოგზაურობებში დე ბაის პუგო კრაფტიც თან ახლავს, სწორედ პრესაში გამოქვეყნებული ცნობები გახდა ჩვენთვის ძირითადი წყარო კრაფტის მარშრუტის აღსადგენად.

6 ოქტომბერს ფრანგი მოგზაურები ერევნისა და ეჩმიაძინის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ.<sup>20</sup> როგორც ყოველთვის, ბარონ დე ბაის თან აქვს ისტომან-კოდაკის მარკის ფოტოაპარატი, რომელშიც ორმეტკადრიანი ფოტორი თავსებოდა. რაც შეეხება პუგო კრაფტს, იგი მინის ფირფიტებიანი ფოტოაპარატებით სარგებლობს. მოგზაურობის პერიოდში მეგობრებმა მრავალი ფოტო გადაიღეს – პეიზაჟები, კალესიები, მეჩეთები, ბაზრები, გამვლელები... მათი გადაღებული ყოველი კადრი იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ არა ფოტოების განსხვავებული ფორმატი, დღეს შეუძლებელი გახდებოდა მათი ერთმანეთისგან გარჩევა. 16 ოქტომბერს ტფილისში დაბრუნების შემდეგ<sup>21</sup> პუგო

<sup>17</sup> Archives nationales de France, Ministère de l'Instruction publique F/17/2936/B.

<sup>18</sup> მისი მოგზაურობის დღიური დაცულია კერძო კოლექციაში საფრანგეთში.

<sup>19</sup> gaz. „Iveria“. 20 sekt'emberi, 1898, №202 (გზ. „ივერია“: 20 სექტემბერი, 1898, №202).

<sup>20</sup> gaz. «Kavkaz». 24-go sentâbrâ, 1898. №251 (Газ.: «Кавказъ». 24-го сентября, 1898. №251). Le baron de Baye. Au Sud de la Chaîne du Caucase: souvenirs d'une mission. Paris. 1899.

<sup>21</sup> gaz. «Kavkaz». 6-go oktâbrâ. 1898. №262 (Газ.: «Кавказъ». 6-го октября 1898. №262).

კრაფტმა და ბარონმა დე ბაიძ კვლავ დატოვეს ქალაქი – გენერალ ივანე ამილახვარის მიპატიუებით ისინი გორისა და მის შემოგარენს ესტუმრნები<sup>22</sup> (ფოტო 1).

3 ნოემბერს გაზეთმა „კავკაზმა“ გამოაქვეყნა ონფორმაცია ბარონ დე ბაიძა და ჰუგო კრაფტის საქართველოს სამხედრო გზის გავლით მოსკოვში წასვლის შესახებ,<sup>23</sup> თუმცა საფრანგეთში დაცული წერილები მოწმობს, რომ კრაფტმა გამგზავრება ბოლო წუთს გადაიფიქრა. პირველ წერილში, რომელიც 1898 წლის 7 ნოემბრით თარიღდება,<sup>24</sup> კრაფტი სინანულს გამოთქვამს, რომ დე ბაიძ მარტო წასვლის საშუალება მისცა და ბოლიშის მოხდის შემდეგ აღნიშნავს, რომ კვლავ ისურვებდა მასთან ერთად მოგზაურობას. კრაფტი აქვე წერს, რომ სამი დღის მანძილზე მტკვრის ულმაზეს ხეობაში იმოგზაურა, ბორჯომი და ახალციხე მოინახულა და დე ბაიძაც ურჩევს ამ გზის გავლას საქართველოში მომდევნო სტუმრობისას. მეორე წერილი 17 ნოემბრით თარიღდება და წინანდლიდან დაბრუნების შემდეგ არის დაწერილი.<sup>25</sup> ეს წერილი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ავტორის სამომავლო გეგმების შესახებ: იგი რამდენიმე დღით ბაქოში ჩასვლას გეგმავს, სანამ მის მიერ ფოტოგრაფ დამიტრი ერმაკოვის<sup>26</sup> ატელიეში გაგზავნილი ნეგატივებიდან ფოტოებს დაბეჭდავენ.

კრაფტი აგრძელებს სამხრეთ კავკასიაში მოგზაურობას. თუ მხედველობაში მივიღებთ მის რვეულს, სადაც საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ მან, სავარაუდოდ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩამოწერა 1898 წლის მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოების სახელწოდები, იგი კერ ბაქოში წავდა და ტფილისში დაბრუნების შემდეგ დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა.

15 დეკემბერს,<sup>27</sup> სხვა წყაროს მიხდვით კი 19 დეკემბერს,<sup>28</sup> კრაფტი კვლავ ბაქოში ჩავიდა, საიდანაც შუა აზიაში გაემგზავრა.<sup>29</sup> ხუთოვანი მოგ-

<sup>22</sup> gaz. „Iveria“. 23 ok'tomberi. 1898, №226 (გაზ. „ივერია“. 23 ოქტომბერი 1898, №226). ბარონ დე ბაიძ წერილი, რომელიც მან თვის ქლიშვილის ტფილისადან გაუგზავნა 1898 წლის 26 ოქტომბერს. Archives départementales de la Marne, J 6036.

<sup>23</sup> gaz. «Kavkaz». 20-go oktâbrâ. 1898. №276 (Газ.: «Кавказъ». 20-го октября 1898. №276).

<sup>24</sup> Archives du Musée d'Archéologie nationale et Domaine national de Saint-Germain-en-Laye; dossier du baron de Baye.

<sup>25</sup> Archives départementales de la Marne, J 6036.

<sup>26</sup> დიმიტრი ერმაკოვი (1846-1916) – ტფილისში მოდგაწე რუსი ფოტოგრაფი. საქართველოში ჩამოსული უცხოული ფოტოგრაფები თავიანთ ფოტოებს ხშირად ბეჭდავდნენ ერმაკოვის ატელიეში.

<sup>27</sup> «Le Temps». 28 juin 1899. A l'Union des arts décoratifs: l'exposition Krafft.

<sup>28</sup> Réunion des Voyageurs Français. XXXIV. Paris. 1899, p. 3.

<sup>29</sup> Bulletin du Photo-Club de Paris. 1899, p. 243.

ზაურობის შემდეგ, 1899 წლის 15 მაისს, იგი ამავე გზის გავლით დაბრუნდა უკან.<sup>30</sup> ტფილისში გაჩერების ერთადერთი დამადასტურებელი საბუთი ის 15 ფოტოა, რომელიც კრაფტმა მუსლიმანური სასაფლაოს მახლობლად, დღევან-დელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, აშურას დღესასწაულის დროს გადაიღო<sup>31</sup> (ფოტო 2).

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ კრაფტმა პარიზის საზოგადოების წინაშე წარადგინა რვათვანი მოგზაურობის შედეგები: იგი ჯერ ბარონ დე ბაის მიერ გიმეს მუზეუმში მოწყობილ გამოფენას შეავსებს კავკასიაში გადა-დებულ ფოტოებით;<sup>32</sup> შემდეგ, 1899 წლის 22 ივნისიდან 8 ივლისამდე, დე-კრატიული ხელოვნების მუზეუმში გამართავს გამოფენას.<sup>33</sup>

**ჰუგო კრაფტი – ფოტოგრაფი.** როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კრაფტის მიერ სამხრეთ კავკასიაში გადაღებული ფოტოები საფრანგეთის სამსახურის მიერ სამხრეთ კავკასიაში გადაღებული ფოტოებით დაცული; აქედან, მინის ნეგატივები მხოლოდ ლე ვერუერის მუზეუმში ინახება. 361 ერთეული ე.წ. მშრალი ბრომულატინის მინის ნეგატივი ორი ფორმატისაა: 6,5x9 სმ და 13x18 სმ. სწორედ აქედან ვასკვნით, რომ ჰუგო კრაფტი იყენებდა ორ ფოტოაპარატს, რომლებშიც განსხვავებული ზომის მინის ფირფიტები იდებოდა.

პირველი ფოტოაპარატი,<sup>34</sup> რომელიც ცნობილმა ფრანგმა ინჟინერმა ჟიულ კარპანტიემ 1890 წელს გამოიგონა, ფორმით ბინოკულს ჰგავს. აპარატის წინა მხარეს ორი ობიექტივი აქვს: ერთი ცაისის (Zeiss) მარკის ანასტიგმატი, მეორე კი სამზერი.<sup>35</sup> მოდელის მიხედვით ფოტოაპარატში 4,5x6 სმ ზომის 12 ცალი მინის ფირფიტა, ან 6,5x9 სმ ზომის 18 ცალი მინის ფირფიტა იდებოდა. ეს აპარატი, რომელსაც შემოკლებით კარპანტიეს ფოტობინოკულს (photo-jumelle Carpentier) უწოდებდნენ, ადვილი მოსახმარი, პატარა ზომის და იმ პერიოდისათვის სამართ მსუბუქი იყო – ჩატვირთული მინის ფირფიტებით მისი წონა მოდელის მიხედვით 500-დან 1400 გრამამდე მერყეობდა,<sup>36</sup> რაც ძალიან სწრაფად გახდა მისი კომერციული წარმატების საწინ-

<sup>30</sup> Hugues Krafft. A travers le Turkestan russe. Paris. 1902, p. 190.

<sup>31</sup> 1899 წელს აშურა 21 მაისს უნდა ჩატარებულიყო.

<sup>32</sup> «Le Rappel». 21 juin 1899. n°10694.

<sup>33</sup> Bulletin de la Société de Géographie commerciale de Paris. Tome XXI. Paris. 1899, p. 638

<sup>34</sup> დე ვერუერის მუზეუმი. საინვენტარო ნომერი: 2006.0.345, 2006.0.347.

<sup>35</sup> Charles Fabre. Traité encyclopédique de photographie. Deuxième supplément B. Paris, 1897, p. 192.

<sup>36</sup> Radiguet et Massiot. Prix-courant illustré des appareils photographiques, fournitures et accessoires divers: catalogue n° 97, 1901-1902. 4e édition. Paris. 1902, p. 15.

დარი (ფოტო 3). კრაფტის მიერ გამოყენებული კარპანტიეს ფოტობინოკლი 1896 წლის მოდელი იყო და 18 მინის ნეგატივს იტევდა. 1898-99 წლებში კაგებასასა და ცნოტრალურ აზიაში გადაღებული 1 100 ფოტოდან ნახევარზე მეტი სწორედ ფოტობინოკლით იყო გადაღებული. ჰუგო კრაფტი ამ ფოტო-აპარატის გამოყენების მიზეზს პარიზის ფოტოკლუბისადმი გაგზავნილ წერილში შემდეგნაირად ხსნიდა: ადანიშნული აპარატი მოსახურხებელი ყოფილა სახალხო დღესასწაულებზე, ქუჩებში, ბაზრებში გამვლელთა სწრაფად გადასაღებად, განსაკუთრებით კი ადგილობრივი მოსახლეობის ფურადღების მიქცევის გარეშე.<sup>37</sup> კარპანტიეს ფოტობინოკლი მართლაც საგმაოდ შეუმჩნეველი იყო ფოტოგრაფიაში ჩაუხედავთაოვის, ეს კი კრაფტს საშუალებას აძლევდა თამაშად გამოეყენებინა იგი უცხო ადგილებში მოგზაურობისას (ფოტო 4). აღსანიშნავია, რომ სწორედ მისი ფორმისა და შეუმჩნევლობის გამო კარპანტიეს ფოტობინოკლს გამოგონებისთანავე აქტიურად იყენებდა ფრანგული პოლიცია.<sup>38</sup> მართლაც, ფოტობინოკლი გარეგნულად იმდენად ჰგავს ჩვეულებრივ ბინოკლს, რომ ლე ვერუერის მუზეუმში ჩვენი კვლევის დაწყებამდე ეს ნივთი საინვენტარო დავთარში გატარებული იყო როგორც ბინოკლი, ხოლო კრაფტის ფოტოაპარატი კი დაკარგულად ითვლებოდა.

მეორე ფოტოაპარატი,<sup>39</sup> რომელსაც კრაფტი იყენებდა, წარმოადგენდა კამერა-ობსკურას დალმეირის ობიექტივით და 13x18 სმ ზომის მინის ფირფიტებით. კრაფტი ამ აპარატს ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და განსაკუთრებით კი პორტრეტების გადასაღებად იყენებდა, რომელთაც იგი დიდ ადგილს უთმობდა თავის კოლექციაში.

ფოტოგრაფის მიერ სხვადასხვა მოდელის ფოტოაპარატის გამოყენებამ ფოტოების ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული სტილი განაპირობა. ფოტობინოკლით გადაღებულ ფოტოებზე ხალხი მათი ყოველდღიური საქმიანობისას არის აღბეჭდილი, მათ არ იციან ფოტოაპარატის არსებობის შესახებ და, შესაბამისად, მათი ქცევა თავისუფალია, ისინი არ პოზირებენ, რაც ამგვარ ფოტოებს განსაკუთრებულ რიტმისა და სიცოცხლეს სძენს. მეორე მხრივ, კამერა-ობსკურათი გადაღებულ ფოტოებში მეტი სიმშვიდეა – აქ ხალხი პოზირებს თავიანთ საუკეთესო კოსტუმებში გამოწყობილი, რომლებიც აღბათ სპეციალურად ამ შემთხვევისთვის შეარჩიეს (ფოტო 5).

<sup>37</sup> Bulletin du Photo-Club de Paris. n°103. août 1899, p. 260.

<sup>38</sup> Rodolphe Archibald Reiss. La photographie judiciaire. Paris. 1903, p. 20.

<sup>39</sup> ლე ვერუერის მუზეუმი. საინვენტარო ნომერი: 2006.0.346, 2006.0.349.

ფოტომემკვიდრობა. პუგო კრაფტის მიერ სამხრეთ კავკასიაში 1896 და 1898-1899 წლებში გადაღებული ფოტოების სხვადასხვა დაწესებულებებში მოძიება, მათი შედარებითი შესწავლა და ანალიზი, მათზე აღბეჭდილი ადგილებისა და პირების იდენტიფიცირება საკმაოდ რთული, მოცულობითი და ხანგრძლივი სამუშაო აღმოჩნდა. ამ პროცესში გარკვეულწილად დაგვეხმარა და ვერუერის მუზეუმში დაცული პუგო კრაფტის ხელით ნაწერი ფოტოების ნუსხა, რომელიც მან სავარაუდო მოგზაურობიდან დაბრუნების შედეგ შეადგინა; ოუმცა, აღსანიშნავია, რომ სიასა და მოძიებულ ფოტოებს შორის ხშირად გარკვეული შეუსაბამოებიც არსებობდა.<sup>40</sup> ფოტოკოლექციის დიდი ნაწილი სწორედ და ვერუერის მუზეუმშია დაცული. აქ სულ არის 555 განსხვავებული კადრი, რომელთაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 361 ასევე არსებობს მინის ნეგატივების სახით. აღნიშნული ფოტოებიდან 464 კადრი გადაღებულია საქართველოში. დაბეჭდილი ფოტოების დიდ ნაწილზე ლითონის შტამპის საშუალებით, რომელიც ასევე მუზეუმში ინახება, დატანილია პუგო კრაფტის სახელი და გვარი ლათინური ასოებით “Hugues Krafft”. ეს იმის მანიშნებელია, რომ ეს ფოტოები კრაფტის სიცოცხლეშივე დაიბეჭდა და გვიანდელ ტირაჟს არ წარმოადგენს. ხშირად ერთსა და იმავე ფოტოს პუგო კრაფტი რამდენიმე ეგზემპლარად ბეჭდავდა, ნაწილს თავისივე კოლექციაში ინახავდა, ნაწილს კი სხვებს გადასცემდა. სწორედ ასე აღმოჩნდა ფოტოები პარიზის ორ სხვა დაწესებულებაში: დეკორატიული ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახება 296 ფოტო, რომლებიც ავტორმა მუზეუმს 1902 წელს გადასცა საჩუქრად;<sup>41</sup> პარიზის სლავისტიკის ინსტიტუტის ფოტოკოლექცია გაცილებით მცირეა – აქ ორმოციოდე ერთეულია დაცული, რომელიც კრაფტმა ბარონ დე ბაის უსახსოვრა.<sup>42</sup> სამივე კოლექციის შეჯერებისა და ერთი ხეგატივიდან დაბეჭდილი ტირაჟირებული კაღრების გამოკლების შედეგად ვაღგენთ, რომ დღესდღეობით ცნობილია სამხრეთ კავკასიაში გადაღებული 562 ფოტო, რომელთაგან 471 გადაღებულია საქართველოში, 65 ფოტო – სომხეთში (ერევანი, ეჩმიაძინი) და 26 კი აზერბაიჯანში (ბაქო).

საქართველოში გადაღებულ ფოტოებს შორის გვხვდება ქალაქისა და სოფელების ხედები, ეკლესია-მონასტრები, სახალხო და რელიგიური დღესასწაულები, ფოტოგრაფი ასევე დაინტერესებულა მეღვინობის კულტურით. გან-

<sup>40</sup> და ვერუერის მუზეუმში მუშაობისას განსაკუთრებით გვეხმარებოდა ჯურატორის თანაშემწებადასაც მას მაღლობას მოვახსენებთ.

<sup>41</sup> Bibliothèque du Musée des Arts décoratifs, K 192.

<sup>42</sup> Institut d'études slaves; fonds du baron de Baye.

საკუთრებით მნიშვნელოვანია პორტრეტების სერია, რომელიც კრაფტს სხვა-დასხვა ადგილებში გადაუღია. აქ გარდა მეტ-ნაკლებად ცნობილი პირებისა, რომელთა სახელებსაც ზოგ შემთხვევაში თვითონ ფოტოგრაფი მინაწერების სახით გვაწვდის (ივანე ამილახვარი და მისი ოჯახი, ლევან გურიელი, ვარ-ლამ კიწმარიშვილი, მხატვარი ალექსეი ეისნერი და სხვ.), ვხვდებით გლეხე-ბის პორტრეტებსაც, რომლებიც კრაფტს საინტერესო ტიპაჟებად ჩაუთვლია.

სათანადო საარქივო მასალის უქონლობის გამო დღეს შეუძლებელია თქმა თუ რა გახდა იმის მიზეზი, რომ პუგო კრაფტმა სიცოცხლეშივე არ გამოაქვეყნა ასეთი მდიდარი ფოტოკოლექცია და 1898-99 წლების მოგზაურობიდან მხოლოდ შუა აზიაში გადაღებული ფოტოების გამოქვეყნებას დასკვრდა. დარწმუნებით მხოლოდ იმის აღნიშვნა შეგვიძლია, რომ ეს ფოტოები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს და გაცილებით უფრო მეტყველია, ვიდრე ის მწირი ფაქტები, რისი მოძიებაც კრაფტის საქართველოში მოგზაურობის შესახებ გახდა შესაძლებელი.

ანა ჭეიშვილი. საფრანგეთში დაცული უცნობი ფოტოკოლექციის შესახებ,  
პუგო კრაფტის მოგზაურობა საქართველოში შესახებ

პუგო კრაფტის მიერ საქართველოში გადაღებული ფოტოების ნუსხა  
(1896, 1898-1899 წწ.)

ფოტოს გადაღების ადგილი	რაოდენობა	ფოტოს გადაღების ადგილი	რაოდენობა
საქართველოს სამხედრო გზა	17	ტფილისის მუსლიმანური სასაფლაო	15
ტფილისი	48	ქუთაისი	18
გორი	11	რიონის ხეობა	1
ლიახვი	1	გელათი	7
უფლისციხე	5	მოწამეთა	5
ატენი	6	ფოთი	1
ურბნისი	7	ჭოროხის ხეობა	15
ჭალა	4	მარადიდი	1
სამთავისი	3	ბორჩხა	2
ანანური	3	გომბორი	6
მცხეთა	11	თელავი	13
ბორჯომი	9	წინანდალი	17
მტკვრის ხეობა	7	ნაფარული	10
აწყური	3	სიღნაღი	9
ახალციხე	8	კახეთი	3
პორტულეტები	200	ადგილის გარეშე	5
სულ	471		

ფოტოები:




1. პუგო კრაფტი (1), ბარონი დე ბაი (2), ივანე ამილახვარი (3) და მისი ოჯახი.  
სოფელი ჭალა. 26 ოქტომბერი 1898. CAU.231 © SAVR.

ანა ჭეიშვილი. საფრანგეთში დაცული უცნობი ფოტოკოლექციის შესახებ,  
პუგო კრაფტის მოგზაურობა საქართველოში შესახებ



2. აშურას დღესასწაული ტფილისის მუსლიმანურ სასაფლაოზე. დღევანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორია. 21 მაისი 1899.

CAU.58 © SAVR.



VISÉE AVEC L'APPAREIL.

Fig. 13.

3. კარპანტიეს ფოტობინოკლის რეკლამა XIX საუკუნის დასასრულის უკრნალში.



4. ეკლესია ოელავში. ნოემბერი 1898. წინა პლანზე ჩანს ფოტოგრაფის ჩრდილი: ჰუგო კრაფტი ფოტოს კარპანტიეს ფოტობინოკლის საშუალებით იღებს.

CAU.VIII/135 © SAVR



5. ქალების პორტრეტი. ქუთაისი. 1898 წლის ნოემბერი ან დეკემბერი. CAU.128 © SAVR

ანა ჭეიშვილი. საფრანგეთში დაცული უცნობი ფოტოკოლექციის შესახებ,  
პუგო კრაფტის მოგზაურობა საქართველოში შესახებ

---



6. ქორწილი წინანდალში. ნოემბერი 1898. CAU.X/180 © SAVR



7. სოფელი ბორჩხა. ჭოროხის ხეობა. 1898. CAU.171 © SAVR

*Ana Cheishvili*

Ecole des hautes études en sciences sociales (CERCEC/CNRS), France

**ABOUT AN UNPUBLISHED PHOTOGRAPHIC  
COLLECTION KEPT IN FRANCE,  
HUGUES KRAFFT'S TRIP TO GEORGIA**

**Summary**

The famous French traveler, photographer and philanthropist Hugues Krafft (1853-1935) traveled in the Caucasus in 1896 and 1898-1899. Several articles and books are devoted to Hugues Krafft's various travels, but the least explored episode remains that of his travels in the Caucasus. Despite several months spent in this region, either in the stories published by Krafft, or in the work on his life and his work, the journey is rarely mentioned. Thus, hundreds of photos taken by him in the Caucasus have never been published. Today, these photos are kept in the following three French institutions: Musée Le Vergeur in Reims, the library of the Musée des Arts Décoratifs in Paris and the Institute of Slavic Studies. Of the total 562 photos, 471 are taken in Georgia, 65 in Armenia and 26 in Baku. Monasteries, religious festivals, wine culture are in the photos taken in different towns and villages of Georgia. Among these images is an important series of portraits. 361 negatives on gelatin dry glass plates are kept at the Musée Le Vergeur. There are two sizes: 6.5X9 cm and 13X18 cm; indeed, Krafft used two plate cameras of different sizes. The first camera was a type of photographic binocular invented by the famous French engineer Jules Carpentier in 1890. This camera remained discreet enough for non-connoisseurs, allowed the photographer to go unnoticed. The second camera was a view camera, which Krafft used to photograph monuments and the portraits to which he reserved a large place in his collections. Shooting differs depending on the device used. The images captured by the photo-binocular show people in their daily activities not suspecting being photographed, making these pictures full of life. On the other hand, the images taken by the photographic chamber are quieter – people pose in their best costumes, chosen for this occasion.

## მიზანი ბაზარი

ასოცირებული პროფესორი, თსუ

### გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას კარგი სამხედრო ელიტა ყავდა. 1918-1921 წლებში რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა დროს საერთო ჯამში დაახლოებით სამოცამდე გენერალი მსახურობდა. ვგულისხმობთ იმათ, ვინც სამხედრო სამინისტროს, რეგულარული არმიის და სახალხო გვარდიის სტრუქტურებში მსახურობდნენ. არ ვთვლით მათ, ვისაც გენერლობა კი ქონდა, მაგრამ ქართულ შეიარაღებულ ძალებში არ უმსახურია. მაგალითად კოტე აფხაზი გენერალი იყო, მაგრამ დემოკრატიული რესპუბლიკის დროს სამხედრო სამსახურში არ იყო. ან მაგალითად გენერალი ბარათოვი, სამხედრო სამსახურში კი იყო, მაგრამ არა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში მყოფი გენერლებიდან თხუთმეტს გენერალ-მაიორობა 1917 წლამდე, ანუ რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში ჰქონდა მიღებული. ესენი იყვნენ: გაბაშვილი ვასილ დავითის ძე (1908), ოდიშელიძე ილია ზურაბის ძე (1910), ქუთათელაძე კირილე პეტრეს ძე (1910), წერეთელი როსტომ გრიგოლის ძე (1914), გედევანიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (1915), ერისთავი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1915), თოფურია დიმიტრი სოლომონის ძე (1915), მაყაშვილი აბელ (ბალო) გაბრიელის ძე (1915), მდიგარი ზაქარია ასლანის ძე (1915), არჯევანიძე გიორგი პავლეს ძე (1916), ფურცელაძე გიორგი მიხეილის ძე (1916), ყაზბეგი ივანე ნიკოლოზის ძე (1916), წულუკიძე გარდენ გრიგოლის ძე (1916), ჭავჭავაძე სპირიდონ მიხეილის ძე (1916). ზემოთ დასახელებულ პირთაგან ორს გენერალ-ლეიტენატობაც ჰქონდა მინიჭებული: ილია ოდიშელიძეს 1914 წელს და კირილე ქუთათელაძეს 1916 წელს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> M. Gogitje, G. Bežitasvili. samxedro p'ic'is ert'gulni. t'b. 2015 (პ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტაშვილი).

დაახლოებით ათამდე პირმა გენერლობა მიიღო 1917 წელს რუსეთის დროებითი მთავრობის მმართველობისას, ხოლო უმეტესობამ კი გენერლობა მიიღო უკვე საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში: 1918, 1919 და 1920 წლებში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში არსებობდა გენერლის მხოლოდ ერთი წოდება – გენერალი. ანუ არ იყო ისე როგორც რუსეთის იმპერიაში: გენერალ – მაიორი, გენერალ ლეიტენანტი და ა.შ.

ქართველ გენერალთაგან ზოგის სახელი კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის. მაგ. გენერლები: გიორგი კვინიტაძე და გიორგი მაზნიაშვილი. ზოგიც კი საერთოდ უცნობია. მაგ. გენერლები: ივანე ჯაფარიძე, დავთ მაჭავარიანი, ვასილ ლიონიძე და სხვ.

გენერლებიდან ნაწილი უშუალოდ მონაწილეობდა 1918-1921 წლებში მომხდარ ბრძოლებსა და ომებში. სხვები სამხედრო სამინისტროსა და სახალხო გვარდიის მმართველობით სტრუქტურებში იყვნენ დაკავებული და უშუალოდ სამხედრო ოპერაციებთან კავშირი არ ქონდათ. მაგ. გიორგი ქავთარაძე სამინისტროში ერთ-ერთი განყოფილები უფროსი იყო, ირაკლი ვეზირიშვილი – სამხედრო პროკურორი, იოსებ როინიშვილი – სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე, იასონ ახვლედიანი – ვეტერანთა სახლის უფროსი და სხვ.<sup>2</sup>

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე გაძორჩეული გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი იყო.

ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1871 წლის 7 ოქტომბერს სიღნაღმი. 1891 წელს დაამთავრა მე-2 სამხედრო სასწავლებელი და პოდპორუჩიკად გაიგზავნა ყარსის ციხის საარტილერიო ნაწილში. შემდეგ მსახურობდა კავკასიის საალყო საარტილერიო ნაწილში. პორუჩიკი (1894), შტაბს-კაპიტანი (1898). 1903 წელს პირველი თანრიგით დაამთავრა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის აკადემია. მსახურობდა მე-13 ლეიბ-გვარდიის ერვნის პოლკში (1906-1907). 1907-1908 წლებში უსურიის საკავალერიო ბრიგადის უფროსი ადიუტანტია. 1908-1909 წლებში ომსკის სამხედრო ოლქის დავალებათა უფროსი აფიცერი. 1909-1912 წლებში 36-ე დივიზიის შტაბის უფროსი ადიუტანტი. 1912-1914 წლებში კითხულობდა ლექ-

სამხედრო ფიცის ერთგულნი. ობ. 2015); M. Gogitidze. Voennaâ élita kavkaza. t. I. 2007 (M. Гогитидзе. Военная элита кавказа. т. I. 2007; Russkaâ armiâ v Velikoj vojne. <http://www.grwar.ru> (Русская армия в Великой войне. <http://www.grwar.ru>).

<sup>2</sup> M. Gogitije, G. Bežitasvili. samxedro p'ic'is ert'gulni (მ. გოგიტიძე, გ. ბეჟიტასვილი. სამხედრო ფიცის ერთგული); M. Gogitidze. Voennaâ élita kavkaza. t. I (M. Гогитидзе. Военная элита кавказа. т. I); Russkaâ armiâ v Velikoj vojne. <http://www.grwar.ru> (Русская армия в Великой войне. <http://www.grwar.ru>).

ციებს ალექსანდრეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში. პოდპოლკოვნიკი (1912.) პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. 1914 წელს მე-11 არმიის შტაბის დაგალებათა ოფიცერი. იმავე წელს მიწიჭა პილკოვნიკობა. 1914-1916 წლებში იყო 75-ე ქვეითთა დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 1916 წელს დაინიშნა 298-ე ქვეითთა პოლკის უფროსის მოადგილედ. 1917 წლის ობერვლიდან 177-ე ქვეითთა დივიზიის შტაბის უფროსია, ხოლო ივნისიდან XX საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი. 1917 წლის ნოემბერში მიწიჭა გენერალ-მაიორობა. რუსეთის იმპერიის ჯარში სამსახურის დროს დაჯილდოებული იყო ორდენებით: წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის (1898), წმ. ანას მე-3 ხარისხის (1907), წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის (1914), წმ. ვლადიმერის ხმლებითა და ბანტით (1915) წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის ხმლებით (1916). დაჯილდოებული იყო ასევე იარაღით (1916).<sup>3</sup>

1918 წლიდან გენერალი ანდრონიკაშვილი ქართულ შეიარაღებულ ძალებში იწყებს სამსახურს. თავდაპირველად ის სამხედრო მინისტრის თანაშემწეო იყო. 1918 წლის ნოემბრიდან კი დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსად. ამ პოსტზე იყო ალექსანდრე ანდრონიკაშვილი სამოხეთოან ომის დროსაც. 1919 წლის ზაფხულში გენერალი ანდრონიკაშვილი გენერალური შტაბის უფროსობიდან გაათავისუფლეს და მის ნაცვლად გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე დაინიშნა.

ჩვენი აზრით, გენერალ ზაქარიაძის დანიშვნა გენერალური შტაბის უფროსად შეცდომა იყო. გენერალი ანდრონიკაშვილი აღმატებოდა მას ცოდნითაც, განათლებითაც და გამოცდილებითაც. გენერალური შტაბის უფროსის შეცვლის მიზეზი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათია უნდა ყოფილიყო. ხელი-სუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები გენერალ ზაქარიაძეს უფრო ენდობოდნენ (ეს სხვათა შორის კარგად გამოჩნდა ემიგრაციაშიც, როდესაც ზაქარიაძე პოლონეთის არმიაში მსახურობდა), ვიდრე გენერალ ანდრონიკაშვილს. მნელი სათქმელია რამდენად უკეთ იმოქმედებდა გენერალური შტაბი მისი ხელმძღვანელი რომ 1920-1921 წლებში ალექსანდრე ანდრონიკაშვილი ყოფილიყო. თუმცა ჩვენთვის ცხადია, რომ ალექსანდრე ზაქარიაძემ დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა.

გენერალი ანდრონიკაშვილი იმ მცირერიცხოვან ქართველ გენერალთა და ოფიცერთა ჯგუფში შედიოდა, რომლებსაც რუსეთის იმპერიის სამხედრო

<sup>3</sup> Russkaâ armiâ v Velikoj vojne. <http://www.grwar.ru> (Русская армия в Великой войне. <http://www.grwar.ru>).

სასწავლებლებში პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება ქონდათ. ამიტომ სრულდად ბუნებრივია, რომ როდესაც 1919 წლის 5 სექტემბერს თბილისში ქართული სამხედრო სკოლა გაიხსნა ერთ-ერთი პირველი ვინც ლექტორად მიიწვიეს სწორედ აღექსანდრე ანდრონიკაშვილი იყო. ის მომავალ ოფიცრებს ტაქტიკასა და ტოპოგრაფიას ასწავლიდა. მკვლევართა ნაწილი თვლის რომ ანდრონიკაშვილი სამხედრო სკოლაში ფორტიფიკაციას და სამხედრო ისტორიასაც ასწავლიდა.<sup>4</sup> 1920 წლის ოქტომბერში აღექსანდრე ანდრონიკაშვილი სამხედრო სასწავლებლის უფროსად დაინიშნა.<sup>5</sup>

1920 წლის მაისში, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ნაწილებმა საქართველოში შემოჭრა სცადეს. ბრძოლები წითელი და ფოილოს ხიდის მიდამოებში დაახლოებით სამი კვირა მიმდინარეობდა. ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა, რეგულარულმა არმიამ და სახალხო გვარდიამ, მტერი დაამარცხა და სამხედრო მოქმედებები საბჭოთა აზერბაიჯანის სიღრმეში 15-20 ვერსზე გადაიტანა. მოწინააღმდეგებმ ზავი ითხოვა. დაიწყო მოლაპარაკებები და მათში დელეგაციის წევრის სტატუსით მონაწილეობდა გენერალი აღექსანდრე ანდრონიკაშვილი. ამ დროს ის სამხედრო საბჭოს წევრი იყო. 1920 წლის 12 ივნისს საღამოს 10 საათზე ხელი მოეწერა ზავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის.<sup>6</sup>

1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა სომხეთის ჯარები თავს დაესხნებ ლორეს ნეიტრალურ ზონაში დისლოცირებულ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს. პირველი ბრძოლები იქართულმა შენაერთობმა წააგეს, უკან დაიხიეს და მდინარე ხრამის მარცხნა ნაპირიზე გამგრდნენ. 16 თებერვალს წითელი და ფოილოს ხიდების მიმართულებიდან ძირითადი შეტევა დაიწყეს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის მთავარმა ძალებმა. ქართული შენაერთობი იძულებული გახდნენ თბილისისკენ დაეხიათ უკან. ომის პირველ ეტაპზე განცდილი მარცხის გამო, 16 თებერვალს დილით მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე გადააყენეს

<sup>4</sup> M. Xuc'išvili. generali Alek'sandre Andronikašvili. t'su sak'art'velos istoriis institutisa da msop'-lio istoriis institutis axalgazrda istorikost'a šromebi. III. t'b. 2016, p. 80 (მ. ხუციშვილი. გენერალი აღექსანდრე ანდრონიკაშვილი. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტისა და მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები, III. თბ. 2016, გვ. 80).

<sup>5</sup> L.Salarije. samxedro skola (iunkrebi) pirveli demokratiuli respublikis dros. "meomris biblioteka". №6. t'bilisi. 2008, p. 40 (ლ. სალარიე. სამხედრო სკოლა (იუნკრები) პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს. „მეომრის ბიბლიოთეკა“. №6. თბ. 2008, გვ. 40).

<sup>6</sup> gaz. "saxalxo sak'me". №850. 15.06.1920 (გაზ. „სახალხო საქმე“. №850. 15.06.1920).

და მის ნაცვლად მთავარსარდლად გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნება.<sup>7</sup>

გენერალმა კვინიტაძემ მის ხელო არსებულ ყველა ძალას თბილისთან მოუყარა თავი. 18 ოქტერვალს ქართულ შეიარაღებულ ძალებს შემდგი პოზიციები ეკავათ: მარჯვენა ფლანგზე – კოჯორ-მანგლისის გზატკეცილზე, თეთრი დუქნიდან აზეულას (ქორ-ოდღის) ციხემდე მე-4 ათასეულის ორი ასეული იღვა, პოლკოვნიკ პლატონ ჩიქოვანის მეთაურობით. ამ ათასეულის დანარჩენი ნაწილები ადგილზე 19 ოქტერვალს მივიღნენ. ტაბახმელას მონაკვეთი სამხედრო სკოლას ეკავა. ამ ფრთას გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი მეთაურობდა. ცენტრში – გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაქვემდებარებული ნაწილები იყო დისლოცირებული. მარცხენა ფლანგზე – გვარდიის ნაწილები იღვა გენერალ არტემ ჯიჯიხიას მეთაურობით.<sup>8</sup>

18-19 ოქტერვალის ღამეს მოწინააღმდეგებ ცენტრალურ უბანზე მყოფ, გენერალ მაზნიაშვილის შენაერთობს შეუტია და მარცხი იწვნია.

19 ოქტერვალს, ცენტრში დამარცხების შემდეგ, მე-11 არმიის სარდლობამ შეტევის მიმართულება შეცვალეს და ჩვენი ჯარების მარჯვენა ფრთას შეუტიეს. დილის 8 საათზე მტერი სოფლების ვაშლოვანისა და კუმისის წინ გამოჩნდა და ტაბახმელა-კოჯორის მიმართულებით დაიძრა. ტაბახმელას, სამხედრო სკოლასთან ერთად მე-10 ათასეულის მეომრებიც იცავდნენ პოლკოვნიკ საგინაშვილის მეთაურობით. ეს სამხედრო ნაწილი სკოლის დასახმარებლად პოზიციებზე 18 ოქტერვალს საღამოს მივიდა. ტაბახმელას პოზიციებიდან მაიორმა ბახუტაშვილმა მოწინააღმდეგებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა და დაფანტა. ცოტა ხანში მოწინააღმდეგის ცხენოსანი რაზმი გამოჩნდა. ქართველმა არტილერისტება ამჯერად მათი მიმართულებით გახსნეს ცეცხლი. მოწინააღმდეგებს ძალიან დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა და ნელ-ნელა წინ მოიწვდა. 12 საათისათვის მათ უკვე უშუალოდ ტაბახმელას პოზიციებს შეუტიეს. №1 სანგრიდან, ლეიტენანტ ერისთავის მეთაურობით გახსნილმა ტყველმფრქვევების ცეცხლმა მოწინააღმდეგებ შეაყოვნა. პარალელურად მიმდინარეობდა მტრის შეტევა კოჯორის მიმართულებითაც. აქ მყოფმა მე-4 ათასეულის ნაწილებმა მოწინააღმდეგის შემოტევას ვერ გაუდეს და მამადავითის მიმართულებით უკან დაიხიეს. კოჯორის დაკავების შემ-

<sup>7</sup> M. Baxtaje. 1921 clis ruset'-sak'art'velos omi. sabrjolo mok'medebebis istoriidian. t'b. 2013. pp. 19-44 (მ. ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. საბრძოლო მოქმედებების ისტორიია. თბ. 2013, გვ. 19-44).

<sup>8</sup> M. Baxtaje. 1921 clis ruset'-sak'art'velos omi, p. 46 (მ. ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, გვ. 46).

დეგ ბოლშევიკები წავკისისა და ტაბახმელას მიმართულებით დაეშვნენ. ამ დროს დაახლოებით 13.30 საათი იყო. შეიქმნა ტაბახმელას პოზიციებზე მყოფი ქართული ნაწილების აღყაში მოქცევის საშიშროება, ამიტომ გენერალმა ანდრონიკაშვილმა პოლკოვნიკ ჩხეიძეს ტაბახმელას დატოვება და ბრძოლით მამადავითისაკენ დახევა უბრძანა.<sup>9</sup> პრინციპში ეს თეორიულად სწორი გადაწყვეტილება იყო. როდესაც არსებობს შენაერთის აღყაში მოქცევის საშიშროება, ერთ-ერთი სწორი გადაწყვეტილებაა უკან დახევა.

ანდრონიკაშვილის ამ ბრძანებასთან დაკავშირებით, ჩხეიძე წერს, „საერთოდ გენერალ ანდრონიკაშვილს თავი ეჭირა მეტად მშვიდად და განაგებდა საზრიანად. მის გადაწყვეტილებას შეიძლება მიეცეს ფსიქოლოგიური ახსნა. ის იმყოფებოდა თავის შტაბში და ვერ ხედავდა უშუალოდ ჯარებს, ვერ გრძნობდა სკოლის გამობრძმედილ მებრძოლ სულს და როგორც ბუნებით რბილი ადამიანი, ვერ პოულობდა თავის არსებაში იმდენ ნებისყოფას, რომ მოეთხოვა თავისი ჯარებისათვის, უეჭველი დაღუპვის მიუწედავად, დამდგარიყვნენ“.

პოლკოვნიკი ჩხეიძე ხვდებოდა, რომ მის ხელო არსებული ძალებით კოჯრის გათავისუფლებას ვერ შეძლებდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ საჭირო იყო მტრის შეჩერება სანამ მთავარსარდალი დამატებით ძალებს გამოგზავნიდა. უკან დახევა მას არასწორად მიაჩნდა, თვლიდა რომ ასეთ შემთხვევაში იდი საფრთხე დაემუქრებოდა უშუალოდ თბილისს.

პოლკოვნიკმა ჩხეიძემ მაიორ ბახტაშვილს არტილერიის მობრუნება და მტრისთვის ცეცხლის გახსნა უბრძანა. სარდლობა დროებით ნესტორ გარდაფახეს გადააბარა და თავად გენერალ ანდრონიკაშვილთან შტაბში ჩავიდა. მცირე საუბრის შემდეგ გადაწყდა არსებული ძალებით კონტრშეტევის განხორციელება და მტრის შეჩერება.<sup>10</sup> იუნკრებისა და მე-10 ათასუელის მებრძოლთა თვადადებულმა კონტრშეტევამ მოწინააღმდეგე ჯერ შეაჩერა, ხოლო შემდეგ უკაუაქცია.<sup>11</sup>

მეორე დღეს, 20 თებერვალს ქართულმა შენაერთებმა კოჯორიც გაათავისუფლეს და პოზიციები დაიბრუნეს.

<sup>9</sup> M. Baxtaje. 1921 clis ruset'-sak'art'velos omi, p. 55-56 (მ. ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, გვ. 55-56).

<sup>10</sup> a. ტ'ეიჯ. samxedro skola. žurn. „mxedari“. #1-4. 1991, p. 55; (ა. ჩხეიძე. სამხედრო სკოლა. ჟურნ. „მხედარი“. №1-4. 1991, გვ. 55).

<sup>11</sup> M. Baxtaje. 1921 clis ruset'-sak'art'velos omi, pp. 56-58 (მ. ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, გვ. 56-58).

ვფიქრობ, ზემოთ მოტანილი ამბავი კარგად ახასიათებს გენერალ ანდრონიკაშვილს, როგორც მეთაურს. თავდაპირველად მან მიიღო გადაწყვეტილება რომელიც ლოგიკური ჩანდა. მას შედღება რაც მასთან მივიღა პოლკოვნიკი ჩხეიძე, რომელიც უშუალოდ იმყოფებოდა ბრძოლის ეპიცენტრში და თავისი არგუმენტები წარუდგინა, გენერალმა ანდრონიკაშვილმა გადაწყვეტილება შეცვალა. ანუ არ გაჯიუტდა, ენდო ხელქვეითს და საბოლოო ჯამში ყველაფერი წარმატებით დასრულდა.

20 თებერვალს გენერალმა კვინიტაძემ ტაბახმელა-კოჯრის პოზიციები დაათვალიერა და გენერალ ანდრონიკაშვილსაც შეხვდა. მთავარსარდალი წერს, ანდრონიკაშვილს „კარგა ხანია ვიცნობდი, მაგრამ საბრძოლო ვითარებაში არასდროს შევხვედრილვარ. ბოლშევიკებთან ომის დროს არაერთხელ დავრწმუნდი, რომ იგი ბრძოლებს მშვენივრად ხელმძღვანელობდა, განსაკუთრებით სიმშვიდითა და თავდაჭერილობით გამოირჩეოდა“.<sup>12</sup>

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე შეძლევნაირად ახასიათებს გენერალ ანდრონიკაშვილს, „გენ. ანდრონიკაშვილი ფრთხილობდა, მშვენივრად განაგებდა თავის საქმეს და იოლად უმკლავდებოდა ყველა შემოტევას“, და იქვე ამატებს, „ჰკვიანი, განათლებული, მშრომელი, მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ჯარის შედეგნაში“.<sup>13</sup> კვინიტაძისა და თევზაძის სიტყვები ადასტურებენ, რომ გენერალი ანდრონიკაშვილი მაღალი დონის პოზესიონალი იყო.

21 თებერვალს კვლავ მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლები თბილისის დაცვის მარჯვენა ფრთაზე.

22 თებერვალს შედარებითი სიმშვიდე იყო ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებაზე. ამთ ისარგებლა პოლკოვნიკმა ჩხეიძემ. ის გენერალ ანდრონიკაშვილთან გამოცხადდა და ამ უკანასკნელს მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ნაწილების დაწყობასა და გადაჯგუფებაში დაეხმარა. „გენერალ ანდრონიკაშვილს მართლაც უმნელეს პირობებში უხდებოდა მუშაობა. დუქანში, სადაც ის იდგა, მოთავსებული იყო შვიდი ტელეფონის სადგური, ყოველწუთის მას ტელეფონთან თხოულობდნენ, არა ჰყავდა არც ერთი თანაშემწე“! – წერს ალექსანდრე ჩხეიძე თავის მოგონებებში.<sup>14</sup>

<sup>12</sup> g. kvinitaje. mogonebebi: sak'art'velos damoukideblobis clebi, 1917-1921. or cignad. c. 2. t'bilisi, 1999, p. 71 (გ. კვინიტაძე. მოგონებები: საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, 1917-1921. ორ წიგნად. წ. 2. თბილისი, 1999, გვ. 71).

<sup>13</sup> v. t'evzaje. k'art'veli op'i'ris č'anacerebi. t'bilisi, 1990, p. 48 (გ. თევზაძე. ქართველი ოფიცრის ჩანაწერები. თბილისი, 1990, გვ. 48).

<sup>14</sup> a. č'xeijke. samxedro skola, p. 40 (ა. ჩხეიძე. სამხედრო სკოლა, გვ. 40).

23 თებერვალს სარამოს მოწინაარმდეგებ კვლავ შეუტა ტაბახმელას პოზიციებს, მაგრამ კვლავ მარცხი იწვნია.

24 თებერვალს საბჭოთა მე-11 არმიის სარდლობამ თბილისის დაცვის სამივე სექტორის შეუტა. სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლა მიმდინარეობდა და მარჯვენა ფრთაზეც. მთელი დღე მიმდინარეობდა ბრძოლა. ერთ მომენტში მოწინააღმდეგებ ტაბახმელას პოზიციების ერთი ნაწილი დაიკავა, თუმცა იუნკრები და ქართველი არტილერისტები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაეტნენ და მოწინააღმდეგე უკუაქციეს. „ბოლშევიკებმა ყველაფერი გადმოისროლეს ბრძოლაში: გამწარებულად და უშიშრად მოწევდენ წინ და კვდებოდენ, მაგრამ ყველა მათი მქუხარედ მოვარდნილი ტალღა იმსხვრეოდა ტაბახმელას გმირთა მკერდზე ისე, როგორც ზღვის ტალღები პიტალო კლდეზე. დღე იქცა ისტორიულად, გადამწყვეტ ჭიდილში ჩვენ გავიმარჯვეთ. გამარჯვება იყო სრული“, — ასე აფასებს ამ დღეს აღექსანდრე ჩხეიძე.<sup>15</sup>

24 თებერვალს საღამოს, დაახლოებით ცხრა საათზე მთავარსარდალმა გენერალმა კვინიტაძემ ერთიპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება თბილის დატოვების შესახებ.

„გენერლებს: ზაქარიაძეს, ჯიჯიხიას, ანდრონიკაშვილს, მაზნიაშვილს და პოლკ. გედევანიშვილს.

პოლკ. გედევანიშვილის რაზმა დაიხიოს ტახტების მთისკენ, იქიდან არირგარდის დახმარებით წამოვიდეს გზით, კუკის ტბების ჩრდილოეთით ზემო-ავჭალაში. აქ დაიკავოს პოზიციები გლდანისა და ქვემო-ავჭალის ხაზზე. გენერალმა ჯიჯიხიამ დაიკავოს პოზიციები ნოვოალექსეევიდან მოყოლებული წმ. გიორგის ეკლესიამდე.

გენ. მაზნიაშვილი თავის მარცხენა ფრთის ჯარების ნაწილებით გამოვიდეს სოღანლურის ხიდზე, იაროს მტკვრის მარცხენა ნაპირით აღექსანდერ-სდორფზე და მივიდეს ზემო-ავჭალაში, სადაც ჩადგეს რეზერვში. გენ. მაზნიაშვილი თავის მარჯვენა ფრთის ჯარების ნაწილებით გამოვიდეს მნაცაკანვის ხიდზე, ორთაჭალაში და იაროს მტკვრის მარცხენა ნაპირით, მარცხენა ფრთის ჯარების ნაწილებთან ერთად. გენ. მაზნიაშვილმა ააფეთქოს სოღანლურის ხიდი, როდესაც კი გამოვლენ მისი ჯარის ნაწილები.

გენ. ანდრონიკაშვილი არიერგარდის დახმარებით წამოვიდეს და იაროს სეიდაბადის მაღლობზე ძლებარე ბოტანიკური ბაღის სამხედრო გზატკეცილით და ბილიკით წყნეთზე. დახევის გასაუმჯობესებლად გენ. ანდრონიკაშვილმა

<sup>15</sup> a. ტ'ხეი. samxedro skola, p. 42 (ა. ჩხეიძე. სამხედრო სკოლა, გვ. 42).

გარდა სეიდაბადის მაღლობისა დაიკავოს პოზიციები ქედზე, რომელიც მიდის კოჯირიდან ფუნიკულიორისაკენ. უკან დახევა აწარმოოს საქართველოს სამხედრო გზით, დაიკავოს პოზიცია მცხეთიდან სამხრეთით, სანამ გამამარტებდეს პოზიციებს მაღლობზე 291, 3.323, 1.317,7 და უთულოვანზე. ამჟამად გამოვიდეს სეიდაბადის მაღლობზე მდგბარე ბოტანიკური ბაღის სამხრეთით მე-8 ლეგიონის ათასეული. ეს ჯარის ნაწილი ექვემდებარება გენ. ანდრონიკაშვილს და უკან იხევს მხოლოდ მისი ბრძანებით. წყერთის რაიონში და შემდეგ ჩრდილოეთით ნახშირგორიდან საბურთალოს გზაზე დგას მე-5 ლეგიონის ათასეული მაიორ სუმბათაშვილის უფროსობით. ეს გვერდზე მყოფი ავანგარდი უნდა გაძლიერებულ იქნეს გენ. ანდრონიკაშვილის ჯარის ნაწილებით და შეუძლიან მას დაიხიოს მხოლოდ ანდრონიკაშვილის ბრძანებით.

ჯარებმა თავის ზურგს უკან მყოფ დაწესებულებებს უნდა გადასცენ წინდაწინვე ბრძანება უკან დახევისა. ეს დაწესებულებები გენ. მაზნიაშვილის, ჯიჯიხიას და პოლკ. გედეგანიშვილის რაზმებისა უნდა წამოვიდნენ მტკვრის მარცხენა ნაპირით, ხოლო გენ. ანდრონიკაშვილისა საქართველოს სამხედრო გზით.

მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება, რომ ჯარების უკან დახევა წესიერად სწარმოებდეს.

ცხენოსანმა რაზმმა დაიცვას ნორიო-გლდანის მიმართულება, დაიხოცონ ყველა და არ გამოუშვან მოწინააღმდეგე გლდანში. როდესაც ყველა ჯარები დაიხევენ და ზემო-ავჭალასა და გლდანს დაიკავებენ ჩვენი უკანდახეული ჯარების, ცხენოსან რაზმმა დაიხიოს გლდანში დამის 24 საათისთვის, 24-25 თებერვალს. 24/II – 21 წ. №131 კვინიტაძე“.<sup>16</sup>

ბრძანება დედაქალაქის დატოვების შესახებ ყველასთვის მოულოდნელი იყო. გენერალი მაზნიაშვილი წერს, „ბრძანების მიღებისთანავე ტელეფონით შევურთდი გენ. ანდრონიკაშვილს და გენ. ჯიჯიხიას და შევეკითხე, მიიღეს თუ არა მთავარსარდლის ბრძანება და თუ მიიღეს, ხომ არ იციან მიზეზები ასეთი მოულოდნელი უკან დახევისა? ორივე გენერალმა გულის ტკივილით მიპასუხა, რომ ბრძანება მიიღეს, მაგრამ მიზეზები არ იციან“.<sup>17</sup>

მიუხედავად პიროვნული პოზიციისა, ბრძანება შესასრულებელი იყო და გენერალმა ანდრონიკაშვილმაც თავის შენაერთობს პოზიციების დატოვება უბრძანა. ალექსანდრე ჩხეიძის მიხედვით, „გენ. ანდრონიკაშვილმა გაატარა

<sup>16</sup> g. mazniašvili. mogonebani, 1917-1925. bat'umi, 1990, p. 173-175 (გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, 1917-1925. ბათუმი, 1990, გვ. 173-175).

<sup>17</sup> g. mazniašvili. mogonebani, p. 176 (გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 176).

თავის წინ რაზმის ყველა ნაწილი და ოვითონ წამოვიდა ჯარების უკანას-კნელ ჯგუფთან ერთად<sup>18</sup>.<sup>18</sup> ვფიქრობ ესე პატარა ეპიზოდიც ძალიან კარგად ახასიათს აღვესანდრე ანდრონიკაშვილს. თავისი საქციელით მან პატივი მი-აგო და მადლობა გადაუხადა თავის მებრძოლებს ერთკვირიანი თავგანწირუ-ლი და ვაჟკაცური ბრძოლისთვის.

25 ობერვალს დილის 9-10 საათისთვის გენერალ ანდრონიკაშვილის შენაერთბმა მცხეთას მიაღწიეს.<sup>19</sup>

მთავარსარდალმა მცხეთიდან გორის მიმართულებით ორ კოლონად უკან დახევის გადაწყვეტილება მიიღო. მარჯვნა კოლონა, რომელიც არმიის შენაერთებისაგან შედგებოდა, გენერალი ანდრონიკაშვილის სარდლობით ძეგვზე, ახალქალაჭე და დოუსზე გავლით ივლიდა. მარცხნა კოლონას გვარდის დარჩენილი მეომრები შეადგენდნენ, რომლებიც გენერალ სოსო გედევანიშვილის მეთაურობით მუხრანისა და იგორეთის გავლით იმოძრავებდნენ.<sup>20</sup>

სამწუხაროდ თბილისის დატოვების შემდეგ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა ვერარ შეძლეს ვითარების გამოსწორება. არც 5-6 მარტის ოსიაურის ბრძოლა აღმოჩნდა წარმატებული და საბრძოლო მოქმედებები დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

წიფაში მყოფ გენერალ კვინიტაძეს გენერალური შტაბის უფროსმა გენერალმა ზაქარიაძემ მოახსენა, რომ მას ქუთაისიდან ნოე რამიშვილი დაუკავშირდა და ქუთისში სამხედრო ხელისუფლების გასაერთიანებლად და მამისონის უღელტეხილზე გადმოსული მტრის წინააღმდეგ სახელმძღვანელოდ ვინმეს დანიშვნა ითხოვა. მთავრსარდალმა აღცვევანი გენერალ ანდრონიკაშვილზე შეაჩერა. აი როგორ აღწერს ამ ამბავს კვინიტაძე საკუტარ მოგონებებში: „ამ დროს ჩემს ვაგონში სიცხიანი გენერალი ანდრონიკაშვილი იწვა. მაღალი სიცხის შემდეგ დღეს თავს უკეთ გრძნობდა ... გენერალ ანდრონიკაშვილს მივუბრუნდი, სანდორ როგორ გრძნობ თავს? ამ დროისთვის შესაფერისი არავინ მყავს. მსოლოდ შენ შემიძლია მიგავლინოთქო. მიპასუხა, დღს უკეტსად ვარ, სიცხემ უკვე 38-ზე დამიწაო. მაშინ წადი, წესრიგი დაამყარე, გაარკვიე რა ხდება და მაცნობე. ყველაფერი იღონე, რომ ხელი არავინ შეგვიშალოს. დამოუკიდებლად იმოქმედე, განსაკუთრებით თვითმარქვია სატრატეგებს უფრთხილდი მეთქმა“<sup>21</sup>.

<sup>18</sup> a. ძ'ხეიე. samxedro skola, p. 47 (ა. ჩხეიძე. სამხედრო სკოლა, გვ. 47).

<sup>19</sup> g. kvinitaje. mogonebebi, c. 2, p. 64 (გ. კვინიტაძე. მოგონებები, წ. 2, გვ. 64).

<sup>20</sup> g. mazniašvili. mogonebani, p. 79 (გ. მაზნაუშვილი. მოგონებანი, გვ. 79).

<sup>21</sup> g. kvinitaje. mogonebebi, c. 2, p. 77 (გ. კვინიტაძე. მოგონებები, წ. 2, გვ. 77).

გენერალი ანდრონიკაშვილი ფაქტობრივად მთავარსარდლის მოადგილედ დაინიშნა და ქუთაისში გაემგზავრა. ამ დროს მთავრობა ქუთაისში იყო და ამ ქალაქის დაცვას დიდი მნიშვნელობა ქონდა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ აფხაზეთის მხრიდან საბჭოთა რუსეთის მე-9 არმიის ნაწილები მოიწვდონ წინ. მათ წინააღმდეგ მებრძოლი გენერალ ართმელაძის ქვედანაყოფები მტრის შეჩერებას ვერ ახერხებდნენ და ახალსენაკის მიმართულებით იხევდნენ უკან. არსებობდა საფრთხე, რომ მტერი სამტრედიას დაიკავებდა და მანამ, სანამ მთავრობა ქუთაისიდან ბათუმში გადასვლას შეძლებდა. ამის თავიდან ასაცილებლად ართმელაძის შენაურთების დასახმარებლად გენერალი მაზნიაშვილი გაიგზავნა.

სამტრედიაში ჩასული მაზნიაშვილი გენერალ ანდრონიკაშვილს შეხვდა. ანდრონიკაშვილმა მაზნიაშვილს მტრის ახალსენაკთან შეჩერება უბრძანა. რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მაზნიაშვილს პოზიციები უნდა შეენარჩუნებინა და სანამ ქუთაისიდან ევაკუაცია არ დასრულდებოდა, მოწინააღმდეგის სამტრედიისკენ წინსვლა არ უნდა დაეშვა.<sup>22</sup>

10 მარტს მე-11 არმიის მეწინავე ნაწილები ქუთაისს მიუახლოვდნენ და ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ 17 საათზე ქალაქი დაიკავეს.<sup>23</sup> ერთ-ერთმა უკანასკნელმა, მოწინააღმდეგის ტყვიების ქვეშ ქალაქი გენერალმა ანდრონიკაშვილმა დატოვა.<sup>24</sup>

11 მარტს გენერალმა ანდრონიკაშვილმა მაზნიაშვილს აცნობა, რომ ევ-აკუაცია დამოავრებულია და ხვალ დილიდან უკვე შეუძლია უკან დაიხიოს.<sup>25</sup> რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ ანდრონიკაშვილის ჯანმრტლობის მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. გენერალი მაზნიაშვილი წერს, რომ ანდრონიკაშვილი სახადით გახდაო ავად,<sup>26</sup> მაგრამ, როგორც ჩანს, ანდრონიკაშვილს ფილტვების ანთება ჰქონდა. ავადმყოფობის გამო გენერალი ანდრონიკაშვილი ფაქტობრივად გამოუოიშა შემდგომში განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის ქალისტების წინააღმდეგ ბრძოლას ბათუმში.

გენერალი ანდრონიკაშვილი ასე აფასებდა 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს საბჭოთა რუსეთთან, „ქართველ ხალხს სასაყვედუროს ვერას ვეტევით. წინააღმდეგ ამისა, ის დიდი ქების ღირსა. მთელი ერი, სოფელი თუ

<sup>22</sup> g. mazniašvili. mogonebani, p. 189 (გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 189).

<sup>23</sup> gaz. „komunisti“. №11. 15.03.1921 (გაზ. „კომუნისტი“. №11. 15.03.1921).

<sup>24</sup> g. kvinitaje. mogonebebi, c. 2, p. 114 (გ. კვინიტაძე. მოგონებები, წ. 2, გვ. 114).

<sup>25</sup> g. mazniašvili. mogonebani, p. 189 (გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 189).

<sup>26</sup> g. mazniašvili. mogonebani, p. 190 (გ. მაზნიაშვილი. მოგონებანი, გვ. 190).

ქალაქი, ყველა ჯგუფი და წრე ერთსულოვნად გამოვიდა სამშობლოს დასაცავად. მნელად თუ რომელიმე სხვა უფრო დაწინაურებული და მოწყობილი ერი გამოიჩინდა ასეთ შეგნებულს პატრიოტიზმს და თავდადებას ომის დროს. მშიერ-მწყურვალე, უტანისამოდ იდგნენ თოვლიან საგნებში ჩვენი ჯარისკაცები. მუდმივ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი, დასვენებას მოკლებულნი. მოუხედავად ამისა, ამ ჯარისკაცების სიმტკიცე სრულიად არ შერყეულა, სანამ მთელს საქართველოში არ გამეფდა ევაკუაციის და გაქცევის ფსიხოზი. ეს საშინელი ფსიხოზი კი სათავიდან დაიწყო. ამ ომმა ყველასოვის ცხადად ჰყო ის, რაც თავიდანვე ნაოელი უნდა ყოფილიყო ყოველი გონიერი მოღვაწისოვის, რომ პარტიული გვარდით და რაზმებით შეუძლებელი გახდებოდა გარეშე მტრის-გან ქვეწის დაცვა. რა მცირე ძალა იყო საჭირო საქართველოს დასაცავად 1921 წელს, მაგრამ ეს ძალა უნდა ყოფილიყო ნამდვილი სამხედრო ძალა, წესიერ სამხედრო საფუძველზე აღმოცენებული და საღ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას დაქვემდებარებული, მაგრამ არაფერი, საქართველოს ათასი უბედურება გამოუარია და ის ამასაც ადვილად მოინელებს. ეს უბედურება საბოლოოდ გააჯანსაღებს ერს და მას სწორ გზაზე დააყენებს. ჩვენი უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ თაობას ჰქონდა ისეთი ბედნიერი შემთხვევა, როგორც არც ერთ სხვა თაობას და ჩვენ ამით ვერ ვისარგებლეთ. ჩვენს ისტორიას არ ახსოვს მტკიცე სახელმწიფოებრივი ცხოვრების შექმნისოვის ასე კარგი და ხელსაყრელი პირობები. დროზე რომ დაგვეხსნა თავი ამ სოციალ-ისტურ და რევოლუციონური პოლიტიკასგან, ყველა ამ უბედურებას თავიდან ავიცდენდით და ჩვენს თავისუფლებას სამუდამოდ განვიტკიცებდით. ეხლა რა გაეწყობა. იქნებ კიდევ მოვესწროთ საქმის გამოსწორებას. თუ არა და ჩვენი თაობა ყველაზე შერცხვენილი თაობა იქნება ჩვენს ისტორიაში“.<sup>27</sup>

საინტერესო შეფასება, თუმცა ცხადია სუბიექტურია. როდესაც გენერალი საუბრობს, რომ „ჯარისკაცების სიმტკიცე სრულიად არ შერყეულა, სანამ მთელს საქართველოში არ გამეფდა ევაკუაციის და გაქცევის ფსიხოზი. ეს საშინელი ფსიხოზი კი სათავიდან დაიწყო“ აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: „გაქცევის ფსიხოზი“ იყო ომის პირველ ეტაპზე 12-16 თებერვლის ბრძოლებისას, მაგრამ არა თბილის დაცვისას 18-24 თებერვალს. დედაქალაქის დატოვებს შემდეგ ჯარისა და განსაკუთრებით გვარდიის ბრძოლი-სუნარიანობა დაეცა, მორალურარ მებრძოლები გატყდნენ და „გაქცევის ფსი-

<sup>27</sup> M. Xuc'išvili. generali Alek'sandre Andronikašvili, p. 80 (პ. ზუციშვილი. გენერალი ალექსან-დრე ანდრონიკაშვილი, გვ. 83).

ხოზი“ ისევ ამოქმედდა. რაც შეეხება „ფსიხოზის სათავიდან დაწყებას“, არც ეს შეფასებაა ზუსტი. მთავრობა ბოლომდე თბილისში იყო დამხოლდ მას შემდეგ დაიწყო ვაკუაცია, რაც მთავარსარდალმა კვინიტაძემ თბილისის დატოვების ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღო.<sup>28</sup>

გენერალი ანდრონიკაშვილი ცხადია თავისი მსოფლმხედველობით სოციალისტი არ იყო და ეს იდეოლოგია აღბათ მიუღებლად მიაჩნდა. თუმცა ამის მიუხედავად ერთგულად ემსახურებოდა საქართველოს. ეს მან საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგაც დაამტკიცა საკუთარი საქციელით. საინტერესო და ნიშანდობლივ ეპიზოდს აღწერს გიორგი კვინიტაძე მოგონებებში, „დგებუაძე<sup>29</sup> გენერალ ანდრონიკაშვილის მიერ გაცემულ განკარგულებში ჩაერთა და ამაზე შეკამათდნენ. დგებუაძე დამსწრებებს არც მორიდებია, ისე ემუქრებოდა ანდრონიკაშვილს დაპატიმრებით, ამასთან, კონტრრევოლუციონერს და მეფის გენერალს უწოდებდა. გენერალმა ანდრონიკაშვილმა ეს წერილობით მაცნობა მაშინ, როცა მე უკვე ბათუმში მივემგზავრებოდი. შემდგომმა მოვლენებმა მაიმულა ეს საქმე დამევიწყებინა“.<sup>30</sup>

გვარდიასთან დაკავშირებით ანდრონიკაშვილი შენიშნავს, „ამ ომმა ყველასთვის ცხადად ჰყო ის, რაც თავიდანვე ნათელი უნდა ყოფილიყო ყოველი გონიერი მოღვაწისთვის, რომ პარტიული გვარდიით და რაზმებით შეუძლებელი გახდებოდა გარეშე მტრისგან ქვეყნის დაცვა“. გვარდის შექმნას 1917 წელს თავისი კონკრეტული მიზეზები ქონდა. შემდგომში ნამდვილად საჭირო იყო ორი სამხედრო სტრუქტურის (სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარი) გაერთიანება. ასე თვლიდა სოციალ-დემოკრატია ერთი ნაწილიც, მაგ. გრიგოლ ლორთქიფანიძე.<sup>31</sup> რატომ არ გაერთიანდა, ეს დიდი და როგორი საკითხია და მასზე საუბარი ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმომადგენს. თუმცა გვარდია ძალიან აქტიურად მონაწილეობდა 1918-1921 წლებში მიმდინარე სამხედრო ოპერაციაბში და საგმაოდ წარმატებითაც მოქმედებდა. მაგ. 1920

<sup>28</sup> See M. Baxtaje. 1921 clis ruset'-sak'art'velos omi (მ. ბახტაძე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი).

<sup>29</sup> იგულისხმება სოციალ-დემოკრატია აღექსანდრე დგებუაძე, რომელიც იყო: სახალხო გვარდიის შტაბის წევრი, საქართველოს დამუშანებელი კრების წევრი, გვარდიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ხელმძღვანელი. 1918-1921 წლებში მონაწილეობდა თითქმის ყველა სამხედრო მოქმედებაში. 1921 წელს ემზადა არ წავიდა. დახვრიტეს 1937 წელს.

<sup>30</sup> g. kvinitaje. mogonebebi, c. 2, p. 80 (გ. კვინიტაძე. მოგონებები, წ. 2, გვ. 80).

<sup>31</sup> gr. lortqip'anije. žurn. „mxedari“. №1. t'bilisi. 1919 (გრ. ლორთქიფანიძე. უკრნ. „მხედარი“. №1. ობ. 1919).

წლის მაისში, როდესაც საბჭოთა რუსეთმა პირველად სცადა საქართველოს დაპყრობა და აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ბრძოლის მთელი სიმძიმე სამი კვირის განმავლობაში ძირითადად მხოლოდ გვარდიამ გადაიტანა. მან წარმატებით მოიგერია მტრის შეტევა და კონტრშეტევის შედეგად სამხედრო მოქმედებები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადაიტანა.

მნელი სათქმელია, ავადმყოფობა იყო იმის მიზეზი, რომ გენერალი ანდრონიკაშვილი ემიგრაციაში არ წავიდა, თუ არც ქონდა მას ასეთი გაზრიახვა. ფაქტია, რომ ის დარჩა საქართველოში და სამსახური წითელ ჯარში განაგრძო. მსგავსი გადაწყვეტილება სამშობლოში დარჩენილმა სხვა გენერლებმაც მიიღეს: გიორგი მაზნიაშვილმა, ვარდენ წულუკიძემ, ალექსანდრე გელევანიშვილმა და სხვ. მნელი სათქმელია რეალურად რამ განაპირობა მათი არჩევანი. თუმცა შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ქართულ წითელ არმიაში მყოფი ქართველი გენერლების უმტესობისთვის ეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებისათვის თვალის ასახვევი ნაბიჯი იყო. ისინი თავიდანვე აქტიურად ჩაებნენ ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1921 წლის ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით გენერალი ანდრონიკაშვილი ქართული წითელი ჯარის მეთაური იყო. ამის პარალელურად, დაპატიმრებამდე იყო სამხედრო სასწავლებლის უფროსი და ლექციებსაც კითხულობდა იქვე.<sup>32</sup>

გენერალი ანდრონიკაშვილი საბჭოთა სპეცსამსახურის, ყК-სა ინტერესის არეალში უკვე 1922 წელს მოექცა (შესაძლოა ადრეც, მაგარმ ამის დამადასტურებელი მასალა ვერ ვნახეთ). მასზე დაწესდა საიდუმლო თვალთვალი. აგენტები სისტემატურად აწვდიდნენ ყK-ს ინფორმაციას ალექსანდრე ანდრონიკაშვილის შესახებ. აი ზოგიერთი მათგანი:

1922 წლის 17 ივნისი – „ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, ყოფილი გენერალი, მეტშევიკების დროს ხელმძღვანელობდა კოჯრის ფრონტს, ამ მომენტისთვის ასწავლის ტაქტიკას კურსანტთა სკოლაში და არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომისიის თავმჯდომარე“.<sup>33</sup> დღეს არსებული სხვა მასალებში არავითარი ცნობა არ მოიბოვება ალექსანდრე ანდრონიკაშვილის კომისიის თავმჯდომარეობის შესახებ. ის თავადაც არსად არაფერს მსგავს არ ახსენებს. ამიტომ ვთვლით, რომ საგარაულოდ აგენტი ცდება

<sup>32</sup> “m̄vidobit' jmebo gvxvreten amağam”. sak'art'velos shinagan sak'met'a saministros ark'ivis gamoc'ema. 2016. t'bilisi. p. 18, 26 („მშვიდობით მმებო გვხვრეტენ ამაღამ“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის გამოცემა. თბ. 2016, გვ. 18, 26).

<sup>33</sup> “m̄vidobit' jmebo gvxvreten amağam”, p. 49 („მშვიდობით მმებო გვხვრეტენ ამაღამ“, გვ. 49).

და არასწორ ინფორმაციას აწვდის ხელმძღვანელობას.

1922 წლის 23 სექტემბერი – „დადგენილია ნარიკელაძესთან<sup>34</sup> ვიზიტით მყოფი ბირები: 1. ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, მცხ. ოლგას ქ. №33-ში, 51 წლის, ადგილობრივი, ქართული შეერთებული სკოლის მეთაური. 2. დიმიტრი თოფურიძე, მცხ. ვერის დაღმართი, ბინა №3“.<sup>35</sup>

1922 წლის 3 ოქტომბერი – „დადგენილია კავშირი ნარიკელაძესა და ანდრონიკაშვილს შორის. ანდრონიკაშვილი ალექსანდრე სიმონის ძე, თავადი, ყოფილი გენერალი, კურსანტთა შეერთებული სამხედრო სკოლის მასწავლებელი“.<sup>36</sup>

1922 წელი, თვე და რიცხვი მითითებული არაა – „ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი, ყოფილი გენერალი, თავადი, ყოველმხრივ არაკოილსამედო ელემენტი, ხშირად აწარმოებს საიდუმლო საუბრებს ნარიკელაძესთან, მონარქისტი – საბჭოთა ხელისუფლების მტერი“.<sup>37</sup>

1922 ან 1923 წლის 5 იანვარი – „ალექსანდრე ანდრონიკაშვილი – ყოფილი გენერალი, ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლაში კითხულობს ლექციებს, მსმენელთა შორის სარგებლობს დიდი სიმპატიით“.<sup>38</sup>

უთარიდო – „ანდრონიკაშვილი შემჩნეულია ნარიკელაძესთან კავშირში. იგი შეასრულობდა მენშევიკებთან, იყო კოჯრის ფრონტის ხელმძღვანელი, არაკეთიდლსამედოა, არის მონარქისტი“.<sup>39</sup>

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ასკარა იყო, რომ გენერალი ანდრონიკაშვილი ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრი იყო.

1923 წლის 3 მარტს გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი დააპატარიშვილი მის ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს შემდეგი:

<sup>34</sup> პოლგოვნიკი იყონე ნარიკელიძე იყო სამხედრო ცენტრის ცენტრაზე აქტიური წევრი. 1923 წელს დააპატიმრეს სხვებტან ერთად. დააპატიმრებულთა საქმეებში ხშირია ნარიკელიძის ჩვენებები. არ დაუხვრეტიათ სამხედრო ცენტრის სხვა წევრებთან ერთად 1923 წლის 21 მაისს. დააპატიმრებულთა საქმეებში არსებული ჩვენებებიდან ცხადი ხდება, რომ უკვე იმ დროს არსებობდა ხმება პოლკოვნიკ ნარიკელაძის ყ.კ.-ას აგრძელის შესახებ (თანამედროვე მკვლევართა ნაწილი სწორებ მას აბრალებს „სამხედრო ცენტრის“ გაცემას). საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდებულ ოფიციალურ განაჩენში ნარიკელაძე საერთოდ არ არის ნახსენები. როგორც სხვა დოკუმენტებითან რკვება, ის მოგვიანებით, 1924 წელს დახვრიტეს, რისთვისაც მოსკოვიდნ გამოითხოვეს საგანგებო ნებართვა

<sup>35</sup> „mšvidobit' jmebo gvxvreten amağam“, p. 23 („მშვიდობით ძმებო გვხვრეტენ ამაღაძ“, გვ. 23).

<sup>36</sup> „mšvidobit' jmebo gvxvreten amağam“, p. 23 („მშვიდობით ძმებო გვხვრეტენ ამაღაძ“, გვ. 23).

<sup>37</sup> „mšvidobit' jmebo gvxvreten amağam“, p. 49 („მშვიდობით ძმებო გვხვრეტენ ამაღაძ“, გვ. 49).

<sup>38</sup> „mšvidobit' jmebo gvxvreten amağam“, p. 49 („მშვიდობით ძმებო გვხვრეტენ ამაღაძ“, გვ. 49).

<sup>39</sup> „mšvidobit' jmebo gvxvreten amağam“, p. 23 („მშვიდობით ძმებო გვხვრეტენ ამაღაძ“, გვ. 23).

<sup>40</sup> „სამხედრო ცენტრის“ საქმესთან დაკავშირებულ პირთა უმეტესობა 1923 წლის 3 მარტს

„სხვადასხვა სახის მიმოწერა, იარაღები: ნაგანი №2712 და კოლტი №2812, 20-20 ვაზნით, ბულებითა და ქამრებით, ასევე პირადი ჩხრეკისას: საათი №3193, ძეწვი სხვადასხვა ფიცურით, ჯაყვა და დოკუმენტაცია შემდგი ნომრებით: №№463, 244, 30, 144, 2207, 64, 351, 472, 1832“.<sup>41</sup>

გენერალ ანდრონიკაშვილის დაკითხვის ოქმიდან ვიგებთ, რომ ის ცხოვრობდა თბილისში, ოლგას ჭერიაზე №33-ში. ყავდა: მეუღლე, მარიმ ივანეს ასული ანდრონიკაშვილი; დები: ნინა ანდრონიკაშვილი, მასწავლებელი. ელისაბედ ანდრონიკაშვილი, დიასახლისი. ვარვარა სტრელბიუმი, მასწავლებელი. სამივე და ცხოვრობდა სიღნაღმში. ცოლისძმა ზაალ ივანეს ძე ტერიევი, სააღალო ბატალიონის კაპიტანი, ქ. დუშეთის სამხედრო კომისარიატის თანამშრომელი.

ალექსანდრე ანდრონიკაშვილს სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა. მის მთხები ორჯერ გადატანილი ფილტვების ანთება იყო. მის საქმეში არსებობს ექიმ გოპაძის შესაბამისი ცნობაც, „მიეცა მოქალაქე ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვს მასზედ, რომ მას აღნიშნება მარჯვენა ფილტვის ზედა ნაწილის შესქელება, სისუსტე, საღამობით ტემპერატურის მატება. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 2-ჯერ გადაიტანა გრიბისშემდგომი ფილტვების ანთება, რის შედეგად დარჩა ქრონიკული ხველა და მიღრეკილება ზედა სასუნთქი გზების კატარული ანთებისადმი. ზემოოქმედიდან გამომდინარე, მოქ. ანდრონიკოვი აუცილებლად საჭიროებს სანატორიულ მცურნალობას აბასთუმანში. მედიცინის დოქტორი – ილ. გოპაძე<sup>42</sup>.“

1923 წლის 11 მარტს გენერალ ანდრონიკაშვილის მეუღლემ თხოვნით მიმართა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს სიმონ მოგილევსკის, „როგორც ჩემ მიერ წარმოდგენილი ცნობიდან ირკვევა, ჩემს ქმარს სუსტი ჯანმრთელობა აქვს და ოუნდაც მოკლევადიანი საპატიმრო რეემი შეუძლებელია ცუდად არ აისახოს მის ჯანმრთელობაზე. ამიტომ გონივზო, გაუძლიეროთ კვება და დაუმატოთ კეფირი და სხვა საკვები პროდუქტები. ასეთივე შუამდგომლობა აღძრულია საქართველოს საბჭოთა სახალხო კომისარიატის თავმჯდომარის მიმართ. მარიამ ივანეს ასული ანდრონიკოვა<sup>43</sup>.“

დააკავეს: ანდრონიკაშვილი, აფხაზი, წულუკიძე, მუსხელიშვილი, გულისაშვილი, კლიმიაშვილი, ჭერიათელაძე, გარალაშვილი. მოგვიანებით დააპატიმრეს: ჩრდილელი (9 მარტს), ბაგრატიონ-მუხრანელი (13 მარტს), მაჭავარიანი (13 მარტს), ჭიაბრიშვილი (2 აპრილი). გაცილებით აღრე, ჯერ კიდევ 1922 წელს დააპატიმრეს და კერუსელიძე. უცნობია ზანდუკელისა და ხიშაბიშვილის დაატიმრების ზუსტი თარიღი.

<sup>41</sup> „mšvidobit' jmebo gvvxreten amağam”, p. 15 („მშვიდობით ძმებო გახვრებენ ამაღამ“, გვ. 15).

<sup>42</sup> „mšvidobit' jmebo gvvxreten amağam”, p. 39 („მშვიდობით ძმებო გახვრებენ ამაღამ“, გვ. 39).

<sup>43</sup> „mšvidobit' jmebo gvvxreten amağam”, p. 38 („მშვიდობით ძმებო გახვრებენ ამაღამ“, გვ. 38).

17 მარტს მარიამ ანდრონიკაშვილმა კიდევ ერთი თხოვნა დაწერა, ამ-ჯერად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თაგმჯდომარის შალვა ელიავას სახელზე, „როგორც წარმოდგენილი საბუთებიდან ჩანს, ჩემი მეუღლე ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკოვი ბოლო 5 წლის განმავლობაში 2-ორჯერ იყო ავად ფილტვების ანთებით, რამაც დაუტოვა ქრონიკული ხველა და სასუნთქი გზების კატარული დაავადებებისკენ მიღრეკილება და როგორც არ უნდა იყოს დაპატიმრებულის რეჟიმი, იგი არ შეიძლება არ აისახოს მის ჯანმრთელობაზე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყოველთვის, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, იგი იძულებული იყო მჯდარიყო სახლში და არსად არ გასულიყო, ასევე გაეძლიერებინა კვებითი რაციონი. სათანადო სახსრების არარსებობის გამო, მან ვერ შეძლო აბასთუმანში მეურნალობა. თქვენ შეგიძლიათ გამოკითხოთ მის პარტიულ პასუხიმგებელ მუშაკებს, თანამშრომლებს, რომლებიც გასაკიცხს მასზე ნამდვილად ვერაფერს იტყვიან, როგორც სამსახურებრივ, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ყოველთვის პატიოსანი და კეთილსინდისიერად მომსახურე პირი რატომ უნდა იმყოფებოდეს პატიმრობაში. მე გთხოვთ თქვენ, მიიღოთ რა მხედველობაში ჩემი მეუღლის სუსტი ჯანმრთელობა, მალე გამოიძიოთ მისი პატიმრობის საკითხი, თუ მას რამეში ადანაშაულებენ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი პროლეტარული სინდის გაფანტავს ამ საშინელ ცილისწამებას, რომელიც ბლალავს მის სუფთა სახელს, ამიტომ უაღრესად გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში მისი ავადმყოფობა, შეუმსუბუქო ხვედრი, რამდენადაც პატიმრობაში ყოფნა ცუდად აისახება მის ჯანმრთელობაზე“.<sup>44</sup>

ცხადია, ორივე თხოვნა უფრადდებოდ დარჩა. მარიამ ანდრონიკაშვილი ხავსს ეპოტინებოდა, თორებ ისე დიდი გულუბრყვილობა იყო საბჭოთა ხელი-სუფლებისგან პატიმრისთვის კვების რაციონის გაზრდისა და ნორმალური პირობების მოთხოვნა.

27 აპრილს მარიამ ანდრონიკაშვილი კიდევ ერთხელ მიმართავს თხოვნით ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს, „მიმდინარე წლის 2 მარტს ჩემი მეუღლე, ქართული შეერთებული სამხედრო სკოლის ლექტორი, ალექსანდრე სიმონის ძე დაპატიმრებული იყო და აგერ უკვე 2 თვეა პატიმრობაში იმყოფება უპარობასა და არასწორ კვებით რეჟიმში, დაავადებული ფილტვებით. ეს რეჟიმი არ შეუძლებელია უარყოფითად არ აისახოს მის ჯანმრთელობაზე. ის, რომ იგი ნამდვილად არის ავად, ამის დასტურად წარმოგიდგენთ

<sup>44</sup> “mšvidobit’ jmebo gvxvreten amagam”, p. 42 („მშვიდობით მმებო გვხვრებენ ამაღამ“, გვ. 42).

სამი ექიმის: გოპაძის, გომართელის და ბექზადოვის სამედიცინო ცნობებს. მოგახსენებთ რა ამ ყველაფერს, დაბეჭითებით გთხოვთ, გაათავისუფლოთ აკადემიუმობის გამო, რათა არ განუვითარდეს ტუბერკულოზი, რომელიც დაღუპავს მას და მთელ ოჯახს, რომელსაც იგი არჩენს. მას, როგორც პატიოსან მშრომელს, ისე იცნობენ მისი მეგობარი კომუნისტები: ამხ. ელიავა, კეკელაშვილი, კვანტალიანი, ტალახაძე, ოკუჯავა, აღნიაშვილი და სხვანი. მასზე ასევე დადებით დახასიათებას მოგვცემენ თანამოსამსახურენი რუსეთის არმიიდან, რომლებიც ახლა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არიან. დარწმუნებული ვარ ჩემი მეუღლის „უდანაშაულობაში და თქვენს სამართლიანობაში“<sup>45</sup> 1923 წელს შალვა ელიავა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ანუ ფორმალურად აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი იყო. ეპიფანე კვანტალიანის საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის პოსტი ეკავა. ილარიონ ტალახაძე შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ მუშაობდა. გავკლენიანი ბოლშევკიები იყვნენ მიხეილ ოკუჯავა და ლევან აღნიაშვილი. ასეთი პიროვნებები ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ნამდვილი მეგობრები ვერაფერით იქნებოდნენ. ნაცნობობა კი ცხადია ექნებოდათ. მით უმეტეს, რომ გენერალი ანდრონიკაშვილი ერთი ხანობა ქართული წითელი ჯარის მეთაური იყო. ქართველი ბოლშევკიების გვარების დასახელებით მარიამ ანდრონიკაშვილი გულუბრყვილოდ ფიქრობდა გავლენის მოხდენას ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე სიმონ მოგილევსკიზე.

თავად ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა ოჯახერ მიმართა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს პირობითი გათავისუფლების თხოვნით.

პირველად 1 აპრილს, გამოიყიდებელ აშუკინს, „3 აპრილს გახდება სრული ერთი ოვე, რაც მე დამაპატიმრეს. დაპატიმრების გამო მომიწია ძალიან საჩქარო და საჭირო სამუშაოს შეწყვეტა ქართულ შეერთებულ სკოლაში, რომელსაც თითქმის არ გააჩნია და არც საშველი არსაიდან არაა ჰქონდეს სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე. გარდა ამისა, ეს სამუშაო იყო ერთადერთი შემოსავლის წყარო ჩემი ოჯახისთვის, ასევე მოხუცებული სიდედრის და ხანშიშესული, ავადმყოფი, დაუძლურებული დისთვის. შეწყვეტილ საქმეს აგრძელებს ჩემი ოჯახი, არსებობისთვის საჭირო შემოსავლის გარეშე. ამ ყველაფერთან ერთად ექიმმა, რომელმაც გამსინჯა, აღნიშნა, რომ დიდი ხანი ასეთ პირობებში ჩემი ყოფნა არ შეიძლება, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც

<sup>45</sup> „m'svidobit' jmebo gvxvreten amagam“, p. 43-44 („მშვიდობით მმებო გვხვრებენ ამაღამ“, გვ. 43-44).

ორჯერ გადავიტანე ფილტვების ანთება ბოლო 2 წლის მანძილზე. უკვე აღარაფერს ვამბობ, თუ როგორ შეიცვალა ჩემი საერთო მდგომარეობა, ინტენსიური 12-სათიანი სამუშაო გრაფიკის შემდეგ გადავდი სრულ უსაქმოდ ყოფნაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ პირობით გათვისუფლებას საქმის განხილვამდე, იმ პირობით, რომ თქვენი მითითებით დანიშნულ დღესა და საათზე გამოვცხადდები რეგისტრაციისთვის, ან იმ პირობით, რა პირობაც თქვენთვის იქნება მისაღები. ასევე, დამრთოთ ნება გავაგრძელო დაპატიმრების გამო შეწყვეტილი საქმის წარმოება, რომელიც აუცილებელია სკოლის მუშაობისთვის, შევინახო ოჯახი და საკუთარი ჯანმრთელობა მომავალი საქმიანობისთვის“.<sup>46</sup>

მეორედ, 16 აპრილს სიმონ მოგილევსკის, „1 აპრილს დაგწერე განცხადება პირობით გათვისუფლების შესახებ, რომელზეც დღემდე პასუხი არ მიმიღია. როგორც ჩანს, ჩემი დაკითხვა დასრულებულია, რადგან უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში არავის დაგუარისხივარ. სავარაუდოდ, აქ ჩემი დატუსაღება გარე სამყაროსგან იზოლაციას ისახავს მიზნად, მაგრამ საკითხავია, რამდენად აუცილებელია ამის გაკეთება. უპირველეს ყოვლისა, ყველა ის პირი, რომელიც ნარიკელაძესთან იყო ჩემთან ერთად, დაპატიმრებულია და შესაბამისად, ჩვენ შორის რაიმე სახის ურთიერობა შეუძლებელია. ასევე, აგუნტურული ცნობებით, თქვენთვის უსაოურდ ცნობილი უნდა იყოს ჩემ მიერ განვლილი გზა, რაც ცხადად ადასტურებს, რომ არა მხოლოდ ამჟამად, არამედ საქართველოს გასაბჭოებამდეც გზზე ვიდექი ყოველგვარი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, არ ვიცნობდი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და სრულად ვუძღვიდი თავს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც გასაბჭოებამდე და მას შემდეგაც ვიცნობდი, იყო ჯანდაცვის სახალხო კომისარი კიკალეიშვილი. ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ჩემი იზოლაცია ყოვლად ზედმეტი და უმიზნოა. ჩემმა აქ ყოფამ შეწყვიტა ჩემი სამუშაო, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქართული საჯარისო სკოლისთვის და ქართული წითელი არმიისთვის, რომელიც ახლა ივსება. სკოლასაც ამ დრომდე არ აქვს სახელმძღვანელოები, მათ შორის, „ტაქტიკის“, რომლის შედგენაც მე მაქვს დავალებული, როგორც გენერალური შტაბის ერთადერთ სპეციალისტს. ამგვარად, სამუშაოს შეწყვეტა ქართული წითელი არმიის ინტერესებს ეწინააღმდეგება. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეს სამსახური ჩემი ოჯახის არსებობის ერთადერთი

<sup>46</sup> “m'svidobit' jmebo gvxvreten amagam”, p. 40 („მშვიდობით მმებო გვხვრებენ ამაღამ“, გვ. 40).

წყაროა. 1921 და 1922 წლებში, გადატანილი ფილტვების ანთებით შერყეული ჯანმრთელობა მზის სინათლეს, სუფთა და მშრალ ჰაერსა და კარგ გეგბას საჭიროებს, რასაც ვერ უზრუნველყოფს ჩემი ნახევრად ბნელი, ნესტიანი და მზის სინათლეს სრულიად მოკლებული საკანი. გაცხოველებული, 12-საათიანი სამუშაო გრაფიკის შემდეგ, სამუშაო პირობების სრული არქონა უარყოფითად ისახება ჩემი ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე. ზემოოქმული-დან გამომდინარე, უმორჩილესად გთხოვთ, განიხილოთ ეს განცხადება და პირობით გამათავისუფლოთ საქმის გარჩევამდე იმ პირობით, რომ დანიშნულ დღესა და საათზე გამოვცხადდები რეგისტრაციისთვის, ან იმ პირობით, რომელიც ოქვენთვის იქნება მისაღები“.<sup>47</sup>

ცხადია საბჭოთა ხელისუფლებამ გენერლის ეს ორივე თხოვნა უაულვებელყო. ჩვენთვის ამ დოკუმენტებიდან დამატებით ცნობილი ხდება რამდენიმე ფაქტი: დაპატიმრებამდე ალექსანდრე ანდრონიკაშვილი წერდა ქართულენოვან სახელმძღვანელოს ტაქტიკაში სამსედრო სკოლისთვის, რომელსაც ფაქტობრივად არ გააჩნდა ქართული სახელმძღვანელოები; ქონდა დატვირთული სამუშაო გრაფიკი, დღეში 12 საათი; ოჯახი შეჭირვებულად ცხოვრობდა; პატიმრობისას საკმაოდ მძიმე პირობებში იყო, ნახევრად ბნელი, ნესტიანი, მზის სინათლეს სრულიად მოკლებული საკანი.

ალექსანდრე ანდრონიკაშვილის საქმეში მოიპოვება ამონარიდები სხვა დაპატიმრებულოთა: გენერალ ვარდენ წულუკიძის, გენერალ იოსებ გელევანიშვილის, პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის, პოლკოვნიკ ივანე ნარიკელაძის, პოლკოვნიკ გიორგი ჩიმშიაშვილის, მაიორ დიმიტრი ჩრდილელის ჩვენებებიდან.

პირველ რიგში აღვნიშნავთ შემდეგს, დაკავებულთა ჩვენებების გაცნობისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რა ვითარებაში იქმნებოდა აღნიშნული დოკუმენტები. ისინი ცდილობდნენ, ძიებისთვის კვალი აუწიათ და ამიტომ არ აბიტობნენ სრულ სიმართლეს. გარკვეულ ინფორმაციას მაღავდნენ, რეალურ ვითარებას ცვლიდნენ და ა.შ. ამითაც შეიძლება აიხსნას ის წინააღმდეგობები, რომლებიც არსებობს სხვადასხვა პირთა ჩვენებებს შორის. აღნიშნული ჩვენებები, ცხადია, ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს, მაგრამ ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გამო, მათში დაცული ცალკეული ინფორმაციები შესაძლოა არ იყოს ჭეშმარიტი და შეიცავდეს უზუსტობებსა და შეცდომებს. ამიტომ აუცილებელია ამ დუკუმენტების კრიტიკული განხილვა,

<sup>47</sup> “mšvidobit’ jmebo gvxvreten amagam”, p. 41 („მშვიდობით მმებო გვხვრებენ ამაღამ“, გვ. 41).

გაანალიზება და მხოლოდ შემდეგ გარკვეული დასკვნების გაკეთება.

საინტერესოა ივანე ნარიკელაძის ჩვენებები სადაც ის აცხადებს რომ ანდრონიკაშვილი სამხედრო ცენტრის წევრი კი არ იყო, არამედ მოწვეული სპეციალისტი. 6 მარტი 1923 წელი, „რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ანდრონიკოვი შედიოდა ცენტრის შემადგენლობაში როგორც ასისტენტ-სპეციალისტი. იღებდა ოუ არა ის ცენტრისგან სპეციალურ დავალებებს, ჩემთვის უცნობია. საკუთარი მრწამსით ანდრონიკოვი, მისი საუბრებიდან გამომდინარე, არც ერთი პარტიის წევრი არ იყო. მე მას ყოველთვის უპარტიო პიროვნებად მივიჩნევდი“.<sup>48</sup> 7 მარტის ჩვენება, „ანდრონიკოვი სამხედრო ცენტრის წევრი არ იყო, მოწვეული სპეციალისტი გახლდათ“.<sup>49</sup>

სხვა დაპატიმრებულთა ჩვენებებიდან აშკარაა, რომ გენერალი ანდრონიკაშვილი იყო სამხედრო ცენტრის წევრი. უფრო მეტიც, ის სამხედრო ცენტრის თავმჯდომარე იყო. ესწრებოდა ცენტრის ორივე სხდომას, რომელც ნარიკელის ბინაში გამართა.

